საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia

წლიური ანგარიში
2021

საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia

წლიური ანგარიში

2021



ყოველწლიური პუბლიკაცია

ISSN 1512-1739

სარჩევი

აბრევიატურები 8
შესავალი 10

01
მაკროეკონომიკური გარემო 25

1.1 მსოფლიო ეკონომიკა 26
1.2 საგარეო სექტორი და საგადასახდელო ბალანსი 30
1.3 ეკონომიკური ზრდა 44
1.4 ინფლაცია 47

02
ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკა 52

2.1 ფულად-საკრედიტო პოლიტიკა 53
2.2 ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ინსტრუმენტები 65
2.2.1 რეფინანსირების სესხი 66
2.2.2 ღია ბაზრის ერთთვიანი ინსტრუმენტი 67
2.2.3 ერთდღიანი სესხები და ერთდღიანი დეპოზიტები 67
2.2.4 ლიკვიდობის მიწოდების დამატებითი ინსტრუმენტები 67
2.2.5 ფასიანი ქაღალდები 68
2.2.6 მინიმალური სარეზერვო მოთხოვნები 72
2.2.7 საქართველოში ფასიანი ქაღალდებით ანგარიშსწორების სისტემის განვითარება 73
2.3 სავალუტო პოლიტიკა და საერთაშორისო რეზერვების მართვა 74

03
ფინანსური სტაბილურობა 78

3.1 ფინანსური სტაბილურობის პოლიტიკა 79
3.2 ფინანსური სტაბილურობის ჩარჩოს განვითარება 82

04
საბანკო ზედამხედველობა 92

4.1 საზედამხედველო ჩარჩოს განვითარება 93
4.2 კორპორაციული მართვისა და ჯგუფის სტრუქტურის რისკი 100
4.3 კაპიტალის ადეკვატურობა 103
4.4 ფინანსური ანგარიშგება და გამჭვირვალობა 108
4.4.1 2020-2022 წლების საქართველოს ეროვნული ბანკის საზედამხედველო სტრატეგიის ფინანსური ანგარიშგება და გამჭვირვალობა 108
4.5 საკრედიტო რისკი 109
4.6 საბაზრო რისკი 131
4.6.1 სავალუტო რისკი 131
4.6.2 საპროცენტო რისკი 132
4.7 მომგებიანობის რისკი 134
4.8 ლიკვიდობის რისკი 136
4.8.1 ლიკვიდური აქტივების სტრუქტურა 136
4.8.2 ვალდებულებების სტრუქტურა 139
4.8.3 საცალო დაფინანსება 140
4.8.4 საბითუმო დაფინანსება 143
4.9 მაკროპრუდენციული რისკები 144
4.10 საოპერაციო რისკი 145
4.10.1 საოპერაციო რისკი საქართველოს საბანკო სექტორში 146
4.11 კიბერუსაფრთხოება 150
4.11.1 კიბერრისკის მიმართულებით გადადგმული საზედამხედველო ნაბიჯები 152
4.11.2 აუთსორსინგი და მესამე მხარის რისკი 152
4.11.3 საბანკო სისტემის სხვა სექტორებზე დამოკიდებულება 152
4.11.4 ინფორმაციის გაზიარებისა და ანალიზის ცენტრი 152
4.11.5 მონაცემთა ხარისხი და სიზუსტის რისკი 153
4.12 ფინანსური და საზედამხედველო ტექნოლოგიების განვითარება 153
4.12.1 ფინანსური ინოვაციების ხელშეწყობა 153
4.12.2 მოდელის რისკი 154
4.12.3 საკრედიტო საინფორმაციო ბიურო 157
4.12.4 ღია ბანკინგი 158
4.13 ინფორმაციის დამუშავება და საზედამხედველო ტექნოლოგიები 158
4.14 რეზოლუცია და ლიკვიდაცია 159

05
მომხმარებელთა უფლებების დაცვა და ფინანსური განათლება 164

5.1 მომხმარებელთა უფლებების დაცვა 165
5.2 ფინანსური განათლება 171

06
არასაბანკო ზედამხედველობა 186

6.1 არასაბანკო სექტორის რეგულირება და საზედამხედველო ჩარჩო 187
6.2 არასაბანკო საფინანსო ინსტიტუტები 187
6.2.1 მიკროსაფინანსო ორგანიზაციები 188
6.2.2 სესხის გამცემი სუბიექტები 197
6.2.3 ვალუტის გადამცვლელი პუნქტები 200
6.2.4 საკრედიტო კავშირები 201

07
ფასიანი ქაღალდების ბაზარი 202

7.1 ფასიანი ქაღალდების ბაზრის საკანონმდებლო და მარეგულირებელი ჩარჩოს მასშტაბური რეფორმა 203
7.2 ფასიანი ქაღალდების ბაზრის მაჩვენებლები 204
7.3 ბაზრის მონაწილეების მიმოხილვა 207
7.4 საპენსიო სააგენტოს საინვესტიციო საქმიანობის მიმოხილვა 212
7.5 საინვესტიციო ფონდების საქმიანობის მიმოხილვა 214

08
ფულის გათეთრების ინსპექტირება და ზედამხედველობა 215

09
საგადახდო სისტემები 222

10
საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარება 243

11
საკასო-საემისიო სამუშაოების ორგანიზაცია 249

12
შიდა აუდიტი და რისკების ცენტრალიზებული მართვა 266

13
საზოგადოებასთან ურთიერთობა და საერთაშორისო თანამშრომლობა 270

14
ადამიანური რესურსების მართვა და განვითარება 280

15
ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზის განვითარება 283

16
სტატისტიკური საქმიანობა 291

17
ფინანსური ანგარიშგება 295

ჩანართები

ჩანართი 1 ლიკვიდობაზე მოქმედი ფაქტორები 59
ჩანართი 2 კორელაცია ფულის მასის ზრდასა და ინფლაციას შორის 63
ჩანართი 3 სავალუტო ბაზრის რეფორმები 75
ჩანართი 4 პანდემიის შესაძლო გავლენის შეფასება ფინანსურ სტაბილურობაზე რეგულაციების გატარების გარეშე 89
ჩანართი 5 კონკურენციის პოლიტიკის მომწესრიგებელი ჩარჩოს გაძლიერება და კონკურენციის ხელშემწყობი სხვა ღონისძიებები 94
ჩანართი 6 ფინანსური სექტორის შეფასების პროგრამის (FSAP) ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები 97
ჩანართი 7 კორპორაციული მართვის კოდექსის განახლებული მოთხოვნები 102
ჩანართი 8 COVID 19-თან დაკავშირებული საზედამხედველო ზომები და კაპიტალის აღდგენის გეგმა 107
ჩანართი 9 ადგილობრივი ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების საერთაშორისო ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების სტანდარტებზე (IFRS) გადაყვანის რეფორმა 108
ჩანართი 10 სასტუმროებისა და ტურიზმის სექტორის საკრედიტო რისკების შეფასება 126
ჩანართი 11 ხელოვნური მიკრო მონაცემების გენერირება 156

დიაგრამები

დიაგრამა N 1.1 რეალური მშპ-ის ზრდა მსოფლიოში 27
დიაგრამა N 1.2. სფი (სამომხმარებლო ფასების ინფლაცია) მსოფლიოში 28
დიაგრამა N 1.3 რეალური მშპ-ის ზრდა საქართველოში და სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების საშუალო შეწონილი ზრდა 30
დიაგრამა N 1.4 მიმდინარე ანგარიშის კომპონენტების ფარდობა მშპ-თან 31
დიაგრამა N 1.5 საქონლის ექსპორტისა და იმპორტის წლიური ცვლილება (2019-2021 წელი) 32
დიაგრამა N 1.6 ექსპორტის სტრუქტურა ქვეყნების მიხედვით 2021 წ. 33
დიაგრამა N 1.7 უმსხვილესი საექსპორტო ჯგუფების ათეული 2019-2021 წწ. 34
დიაგრამა N 1.8 იმპორტის სტრუქტურა ქვეყნების მიხედვით 2021 წ. 35
დიაგრამა N 1.9 ტურიზმის ექსპორტიდან მიღებული შემოსავლები (2019-2021) 36
დიაგრამა N 1.10 საერთაშორისო ვიზიტორთა რაოდენობა ქვეყნების მიხედვით 37
დიაგრამა N 1.11 საქონლისა და მომსახურების ექსპორტიდან მიღებული შემოსავლების ფარდობა მშპ-თან 37
დიაგრამა N 1.12 პირადი გზავნილების წლიური ცვლილება 38
დიაგრამა N 1.13 ფულადი გზავნილები ქვეყნების მიხედვით 39
დიაგრამა N 1.14 მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის დაფინანსების წყაროები (პროცენტულად მშპ-თან) 40
დიაგრამა N 1.15 ოფიციალური საერთაშორისო რეზერვების ადეკვატურობის შეფასება საერთაშორისო სავალუტო ფონდის მეთოდოლოგიით (ARA metric) 41
დიაგრამა N 1.16 ლარის რეალური და ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსების ინდექსები (დეკ. 2012=100) 43
დიაგრამა N 1.17 მშპ-ს ზრდა დანახარჯების მიხედვით 46
დიაგრამა N 1.18 ინვესტიციების ფარდობა მშპ-თან 47
დიაგრამა N 1.19 მთლიანი და საბაზო (სურსათისა, ენერგომატარებლების და თამბაქოს გარეშე) ინფლაციები 48
დიაგრამა N 1.20 ძირითადი კომპონენტების წვლილი ინფლაციაში 49
დიაგრამა N 1.21 იმპორტირებული და ადგილობრივი საქონლის ინფლაცია 50

დიაგრამა N 1.22 წლიური ინფლაციის მაჩვენებლების ცვლილება სხვადასხვა ხანგრძლივობის მოხმარების საქონლისა და მომსახურებისათვის 51
დიაგრამა N 2.1 მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 55
დიაგრამა N 2.2 მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი და საპროცენტო განაკვეთი ლარის სესხებზე 56
დიაგრამა N 2.3 რეფინანსირების სესხების წლიურ ცვლილებაზე მოქმედი ფაქტორები 57
დიაგრამა N 2.4 ბანკთაშორისი ფულადი ბაზარი 58
დიაგრამა N 2.5 რეფინანსირების სესხების ცვლილება და მისი დეკომპოზიცია (გამომწვევი მიზეზების მიხედვით) 60
დიაგრამა N 2.6 საბანკო სექტორის დოლარიზაციის მაჩვენებლები (გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით) 62
დიაგრამა N 2.7 ლარით დენომინირებული ფასიანი ქაღალდების დინამიკა 63
დიაგრამა N 2.8 M2 ფულის მასის წლიური ცვლილება და წლიური ინფლაცია. 64
დიაგრამა N 2.9 სადეპოზიტო სერტიფიკატების პორტფელის მოცულობა 2016-2021 წლებში 69
დიაგრამა N 2.10 სახაზინო ვალდებულებებისა და სახაზინო ობლიგაციების პორტფელის დინამიკა 2017-2021 წლებში 70
დიაგრამა N 2.11 სახაზინო ვალდებულებებისა და სახაზინო ობლიგაციების პორტფელის დინამიკა 2017-2021 წლებში 71
დიაგრამა N 2.12 ოფიციალური სარეზერვო აქტივები 1997-2020 (მლნ აშშ დოლარი, წლის ბოლოს მაჩვენებელი) 76
დიაგრამა N 3.1 სესხებისა და ნომინალური მშპ-ის ზრდის ტემპების შედარება 81
დიაგრამა N 3.2 SBFN-ის შეფასების სისტემა (ივნისი, 2021) 88
დიაგრამა N 4.1 კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტები ბაზელ III-ის შესაბამისად 104
დიაგრამა N 4.2 პილარ 2-ის ჯამური მოთხოვნები ბანკების მიხედვით 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 106
დიაგრამა N 4.3 მთლიანი სასესხო პორტფელის ცვლილება წინა წელთან შედარებით 109
დიაგრამა N 4.4 საბანკო სექტორის სესხების მშპ-თან ფარდობა 110
დიაგრამა N 4.5 სესხების ნაკადებზე არსებული საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთები სეგმენტების მიხედვით 111
დიაგრამა N 4.6 სესხების ნაკადებზე არსებული საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთები კორპორატიულ პორტფელში 111
დიაგრამა N 4.7 სესხების ნაკადებზე არსებული საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთები მცირე და საშუალო საკრედიტო პორტფელში 112
დიაგრამა N 4.8 სესხების ნაკადებზე არსებული საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთები საცალო საკრედიტო პორტფელში 112
დიაგრამა N 4.9 ეკონომიკურად მოწყვლადი სექტორების წილი ჯამურ საკრედიტო პორტფელში 114
დიაგრამა N 4.10 საცალო პროდუქტების ნაშთების განაწილება 2020 და 2021 წლის ბოლო მდგომარეობით 115
დიაგრამა N 4.11 სეგმენტების ნაშთები ვალუტების ჭრილში 2021 წლის ბოლო მდგომარეობით (ბანკთაშორისი სესხების გარდა) 115
დიაგრამა N 4.12 საცალო პორტფელის კომპოზიცია ვალუტების ჭრილში 116
დიაგრამა N 4.13 საცალო პორტფელის ხარისხი და რისკის ხარჯი პროდუქტების მიხედვით 117
დიაგრამა N 4.14 რისკის ხარჯის ცვლილება (დეკ-2021 - დეკ-2020) 118
დიაგრამა N 4.15 საკრედიტო პორტფელი ხარისხობრივი მაჩვენებლების მიხედვით (ბანკთაშორისი სესხების გარდა) 118
დიაგრამა N 4.16 რესტრუქტურიზირებული სესხების წილი ვალუტების მიხედვით მთლიან სასესხო პორტფელში 119
დიაგრამა N 4.17 უმოქმედო სესხების წილი ვალუტების მიხედვით ბიზნეს სესხებში 119
დიაგრამა N 4.18 უმოქმედო სესხების წილი ვალუტების მიხედვით იპოთეკურ სესხებში 120
დიაგრამა N 4.19 სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვის მთლიან პორტფელთან თანაფარდობა 120
დიაგრამა N 4.20 ცვლად განაკვეთიანი სესხების მოცულობა და თანაფარდობა (წმინდა სესხებთან) 121
დიაგრამა N 4.21 სესხების ჩამოწერა და ამოღება 121
დიაგრამა N 4.22 პრობლემური აქტივები 122
დიაგრამა N 4.23 დასაკუთრებული აქტივები 122
დიაგრამა N 4.24 კომერციული ბანკების საბალანსო და კრებსითი სავალუტო პოზიციები საზედამხედველო კაპიტალთან 132
დიაგრამა N 4.25 კაპიტალის ეკონომიკური ღირებულების (EVE) ცვლილების შეფარდება პირველად კაპიტალთან 133
დიაგრამა N 4.26 უკუგება კაპიტალსა და აქტივებზე 134
დიაგრამა N 4.27 მოგების დეკომპოზიცია 135
დიაგრამა N 4.28 ხარჯების შემოსავალსა და აქტივებთან თანაფარდობა 135
დიაგრამა N 4.29 ლიკვიდური აქტივების დონე 136
დიაგრამა N 4.30 ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტის (LCR) დინამიკა 137
დიაგრამა N 4.31 წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტი 138
დიაგრამა N 4.32 ლიკვიდობის გეპი - აქტივების თანაფარდობა ვალდებულებებთან 138
დიაგრამა N 4.33 ლიკვიდური აქტივების მოცულობა და სტრუქტურა 139
დიაგრამა N 4.34 ვალდებულებების სტრუქტურა 139
დიაგრამა N 4.35 სადეპოზიტო სერტიფიკატები და მათი წილი არასაბანკო დეპოზიტებში 140
დიაგრამა N 4.36 არასაბანკო დეპოზიტების წლიური ზრდა 141
დიაგრამა N 4.37 საბანკო სექტორის დეპოზიტების მშპ-თან ფარდობა 141
დიაგრამა N 4.38 არარეზიდენტი კლიენტების დეპოზიტების წილი 142
დიაგრამა N 4.39 არარეზიდენტების დეპოზიტების სტრუქტურა (2021 წლის დეკემბერი) 142
დიაგრამა N 4.40 არარეზიდენტების დეპოზიტები ქვეყნების ჭრილში (2021 წლის დეკემბერი) 142
დიაგრამა N 4.41 მთლიანი სესხების შეფარდება არასაბანკო დეპოზიტებთან ვალუტების მიხედვით 143
დიაგრამა N 4.42 დეპოზიტების დოლარიზაციის დინამიკა (ფიქსირებული გაცვლითი კურსით) 145
დიაგრამა N 4.43 2021 წლის მთლიანი დანაკარგის დინამიკა საბანკო სექტორისთვის 147
დიაგრამა N 4.44 ბოლო ხუთი წლის მთლიანი დანაკარგის დინამიკა (2017-2021 წწ.) 148
დიაგრამა N 4.45 ბოლო ხუთი წლის (2017-2021 წწ.) მთლიანი საოპერაციო დანაკარგის პროპორციული განაწილება 148
დიაგრამა N 4.46 2020 წლის საოპერაციო დანაკარგის ინდიკატორის დინამიკა (მთლიანი დანაკარგი შეფარდებული მთლიან შემოსავალთან) 149
დიაგრამა N 4.47 საბანკო სისტემის 2021 წლის მთლიანი დანაკარგის განაწილება მოვლენათა კატეგორიების მიხედვით 150
დიაგრამა N 4.48 მომხმარებელთა პრეტენზიების რაოდენობა (2021) 157
დიაგრამა N 4.49 სისტემური ბანკების კონცენტრაცია საბანკო ბაზარზე (2021 წლის 31 დეკემბრის მიხედვით) 161
დიაგრამა N 4.50 ფინანსური ორგანიზაციების ლიკვიდაციის მიმდინარეობა 2021 წელს 163
დიაგრამა N 5.1 კომერციულ ბანკებში პრეტენზიების

გადანაწილება სტატუსის მიხედვით 169
დიაგრამა N 5.2 კომერციულ ბანკებში პრეტენზიების გადანაწილება პროდუქტების მიხედვით 170
დიაგრამა N 5.3 მიკროსაფინანსო ორგანიზაციებში პრეტენზიების გადანაწილება სტატუსის მიხედვით 171
დიაგრამა N 5.4 მიკროსაფინანსო ორგანიზაციებში პრეტენზიების გადანაწილება სტატუსის მიხედვით 171
დიაგრამა N 5.5 მიკრო, მცირე და საშუალო მეწარმეების ფინანსური განათლების კვლევა. ფინანსური განათლების ქულა 180
დიაგრამა N 5.6 ფინანსური პროდუქტების ცნობადობა 181
დიაგრამა N 5.7 ფინანსური პროდუქტების გამოყენება 182
დიაგრამა N 5.8 მიკრო, მცირე და საშუალო მეწარმეების ფინანსური განათლების კვლევა. ბიზნესის გაციფრულების დონე 183
დიაგრამა N 5.9 მიკრო, მცირე და საშუალო მეწარმეების ფინანსური განათლების კვლევა. COVID-19-ის ზეგავლენა ბიზნესზე 184
დიაგრამა N 6.1 მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ფილიალების რაოდენობა 188
დიაგრამა N 6.2 მიკროსაფინანსო ორგანიზაციების თანამშრომელთა რაოდენობა 189
დიაგრამა N 6.3 მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ფილიალებისა და მსესხებლების განაწილება რეგიონების მიხედვით 189
დიაგრამა N 6.4 მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და მსესხებელთა რაოდენობა 190
დიაგრამა N 6.5 მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საკრედიტო პორტფელის მოცულობა 190
დიაგრამა N 6.6 საკრედიტო პორტფელის სტრუქტურა 191
დიაგრამა N 6.7 პორტფელის საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთების და სახსრების ღირებულება 191
დიაგრამა N 6.8 საკრედიტო პორტფელის ხარისხი 192
დიაგრამა N 6.9 საკრედიტო პორტფელის დოლარიზაცია 192
დიაგრამა N 6.10 დაფინანსების წყარო 193
დიაგრამა N 6.11 ნასესხები სახსრების სტრუქტურა 193
დიაგრამა N 6.12 ფიზიკური პირებიდან მოზიდული სახსრები და კრედიტორი ფიზიკური პირების რაოდენობა 194
დიაგრამა N 6.13 არარეზიდენტების სახსრები 194
დიაგრამა N 6.14 საზედამხედველო კაპიტალი 195
დიაგრამა N 6.15 საზედამხედველო კაპიტალის სტრუქტურა 195
დიაგრამა N 6.16 კაპიტალის სტრუქტურა რეზიდენტობის მიხედვით 196
დიაგრამა N 6.17 ლიკვიდური სახსრების სტრუქტურა 196
დიაგრამა N 6.18 წმინდა და საოპერაციო მოგების დინამიკა 197
დიაგრამა N 6.19 სესხის გამცემი სუბიექტების ფილიალების განაწილება რეგიონების მიხედვით 198
დიაგრამა N 6.20 სესხის გამცემი სუბიექტები და მსესხებელთა რაოდენობა 198
დიაგრამა N 6.21 მთლიანი აქტივების და წმინდა სესხების დინამიკა 199
დიაგრამა N 6.22 სესხის გამცემი სუბიექტების დაფინანსების წყარო 199
დიაგრამა N 6.23 ვალუტის გადამცვლელი პუნქტების და ფილიალების რაოდენობა 200
დიაგრამა N 6.24 ვალუტის გადამცვლელი პუნქტების სტრუქტურული ერთეულების განაწილება რეგიონების მიხედვით 201
დიაგრამა N 7.1 კომერციული ობლიგაციების ნაშთები პერიოდის ბოლოს (2014-2021) 204
დიაგრამა N 7.2 კორპორაციული ობლიგაციების ნაშთები საერთაშორისო საკრედიტო რეიტინგების მიხედვით (2014-2021) 205
დიაგრამა N 7.3 კორპორაციული ობლიგაციების ნაშთების განაწილება ინდუსტრიების მიხედვით (2021) 205
დიაგრამა N 7.4 სახაზინო ფასიანი ქაღალდების ნაშთები ვადიანობების მიხედვით (2009-2021) 206
დიაგრამა N 7.5 საქართველოში გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდების მეორადი ბაზრის აქტივობა (2015-2021) 206
დიაგრამა N 7.6 სახაზინო ფასიანი ქაღალდების განაწილება მფლობელობის მიხედვით (2014-2021) 207
დიაგრამა N 7.7 საბროკერო კომპანიების ჯამური აქტივების დინამიკა წლების მიხედვით (2010-2021) 207
დიაგრამა N 7.8 საბროკერო კომპანიების და ბანკების ფასიანი ქაღალდების ანგარიშებზე რიცხული კლიენტების ფასიანი ქაღალდების ჯამური ღირებულება (მილიარდი ლარი) 208
დიაგრამა N 7.9 საბროკერო კომპანიების და ბანკების ფასიანი ქაღალდების ანგარიშებზე რიცხული კლიენტების ფასიანი ქაღალდების პორტფელის განაწილება (უცხო ქვეყნებსა და საქართველოში გამოშვებული ფასიანი ქაღალდები) 209
დიაგრამა N 7.10 ვაჭრობის ძირითადი მაჩვენებლები (სავაჭრო სესიებზე დადებული და ბირჟაზე დაფიქსირებული გარიგებები) 2010-2021 წწ. 210
დიაგრამა N 7.11 სავაჭრო სესიებზე და ბირჟაზე დაფიქსირებული გარიგებების რაოდენობა წლების მიხედვით (2010–2021 წ) 210
დიაგრამა N 7.12 ცენტრალურ დეპოზიტარში დეპონირებული ფასიანი ქაღალდები წლების მიხედვით (2010-2021) 211
დიაგრამა N 7.13 ცენტრალურ დეპოზიტარში დეპონირებული ფულადი სახსრები წლების მიხედვით (2010-2021) 211
დიაგრამა N 7.14 ბენჩმარკ პორტფელის განაწილება 213
დიაგრამა N 7.15 საპენსიო აქტივების პორტფელის განაწილება, 31 დეკემბერი 2021 213
დიაგრამა N 9.1 RTGS ოპერაციების დინამიკა (2002-2021 წწ.) 227
დიაგრამა N 9.2 RTGS ოპერაციები (2021 წ.) 227
დიაგრამა N 9.3 RTGS ოპერაციების თანხა მონაწილეების მიხედვით (2011-2021 წწ.) 228
დიაგრამა N 9.4 RTGS ოპერაციების რაოდენობა მონაწილეების მიხედვით (2011-2021 წწ.) 228
დიაგრამა N 9.5 RTGS ოპერაციების თანხა ანგარიშსწორების მიხედვით (2011-2021 წწ.) 229
დიაგრამა N 9.6 ბანკის კლიენტების გადახდების რაოდენობა თანხობრივი ზღვრების მიხედვით (2011-2021 წწ.) 229
დიაგრამა N 9.7 ბანკის კლიენტების გადახდების განაწილება თანხების მიხედვით (2011-2021 წწ.) 230
დიაგრამა N 9.8 კომერციულ ბანკებს შორის გადახდების წლიური მაჩვენებლების ცვლილება RTGS სისტემაში (2012-2021 წწ.) 230
დიაგრამა N 9.9 RTGS სისტემაში კომერციულ ბანკებს შორის გადახდების ცვლილება წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით (2012-2021 წწ.) 231
დიაგრამა N 9.10 კომერციულ ბანკების კლიენტების გადახდების რაოდენობის ცვლილება თვეების მიხედვით (2020 და 2021 წელი) 232
დიაგრამა N 9.11 გადახდის ინიციირების საშუალებების გამოყენება 2012-2021 წლებში 233
დიაგრამა N 9.12 უნაღდო გადახდების განაწილება საგადახდო დავალების ინიციირების საშუალებების მიხედვით (2021 წელი) 234
დიაგრამა N 9.13 ინტერნეტბანკითა და მობილური ბანკით გადახდების ზრდა წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით (2020-2021 წელი) 235
დიაგრამა N 9.14 ქართული საბარათე ინსტრუმენტებით განხორციელებული ოპერაციების დინამიკა წლების მიხედვით 236
დიაგრამა N 9.15 საშუალოდ ერთი ბარათით შესრულებული ოპერაციები 237
დიაგრამა N 9.16 საბარათე მოწყობილობების დინამიკა წლების მიხედვით (დეკემბერი) 237

დიაგრამა N 9.17 საგადახდო მომსახურების პროვაიდერების მიერ განხორციელებული გადახდები (გარდა ელექტრონული ფულისა) 240
დიაგრამა N 9.18 ელექტრონული ფულით გადახდები (გარდა სატრანსპორტო საბარათე ინსტრუმენტით გადახდებისა) (2021 წ.) 241
დიაგრამა N 9.19 თვითმომსახურების კიოსკებით შესრულებული გადახდების ცვლილება წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით (2020-2021 წწ.) 242
დიაგრამა N 9.20 ელექტრონული ფულით გადახდების ცვლილება წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით. (2020-2021 წწ.) 242
დიაგრამა N 11.1 მიმოქცევაში ბანკნოტების ხვედრითი წილები ნომინალების მიხედვით 250
დიაგრამა N 11.2 ნაღდი ფული მიმოქცევაში (2017-2021 წლები) 251
დიაგრამა N 11.3 მიმოქცევაში ბანკნოტების ცალკეული ნომინალისა და მონეტების ხვედრითი წილები (2017-2021 წლები) 252
დიაგრამა N 11.4 5, 10, 20, 50 და 100 ლარის ნომინალის ბანკნოტები მიმოქცევაში, მოდიფიკაციების მიხედვით (პროცენტი). 253
დიაგრამა N 11.5 საკასო ცენტრის შემოსავალ-გასავლები 2017-2021 წლებში. 255
დიაგრამა N 11.6 2020 წელს გამოვლენილი ლარის ყალბი ბანკნოტები და მონეტები (პროცენტი) 257
დიაგრამა N 11.7 2017-2021 წლებში გამოვლენილი ლარის ყალბი ბანკნოტების რაოდენობა 258
დიაგრამა N 11.8 2017-2021 წლებში გამოვლენილი ლარის ყალბი მონეტების რაოდენობა 258
დიაგრამა N 11.9 2017-2021 წლებში რეალიზებული ფასეულობა 259
დიაგრამა N 14.1 ცენტრალურ ბანკებში დასაქმებულთა რაოდენობა 281
დიაგრამა N 16.1 დეპოზიტური კორპორაციების მიმოხილვის ETL ნაკადის შემოკლებული ილუსტრაცია 293

ცხრილები

ცხრილი N 1.1 საგადახდელო ბალანსი 2017-2021 წლებში (მლნ აშშ დოლარი) 42
ცხრილი N 1.2 ეფექტური გაცვლითი კურსების წლიური ცვლილება 2021 წელს 43
ცხრილი N 1.3 მთლიანი შიდა პროდუქტი დარგობრივ ჭრილში 45
ცხრილი N 1.4 ინფლაციის (სფი) მაჩვენებლები ცალკეული კომპონენტების მიხედვით (პროცენტი), მათი წონა სამომხმარებლო კალათაში (პროცენტი) და ზეგავლენა სფი-ზე (პროცენტული პუნქტი) 50
ცხრილი N 2.1 კორელაციები M2 ფულის მასის წლიურ ცვლილებასა და წლიურ ინფლაციას შორის. 65
ცხრილი N 4.1 სისტემური ბუფერების დაწესების ვადები 103
ცხრილი N 4.2 კონცენტრაციისა და წმინდა GRAPE ბუფერების დაწესების ვადები COVID-19-თან დაკავშირებული საზედამხედველო ღონისძიებების გატარებამდე 104
ცხრილი N 4.3 კონცენტრაციისა და წმინდა GRAPE ბუფერების დაწესების ვადები COVID-19-თან დაკავშირებული საზედამხედველო ღონისძიებების ფარგლებში 105
ცხრილი N 4.4 საკრედიტო პორტფელის (ბანკთაშორისი სესხების გარდა) კომპოზიცია სეგმენტების მიხედვით (გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე, 2020 წლის ბოლოს არსებული კურსით) 110
ცხრილი N 4.5 საკრედიტო პორტფელის სექტორული განაწილება 113
ცხრილი N 4.6 საცალო პროდუქტების ზრდა (გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე, 2020 წლის ბოლოს არსებული კურსით) 114
ცხრილი N 4.7 საკრედიტო პორტფელის კლასიფიკაცია ხარისხის მიხედვით 116
ცხრილი N 4.8 პორტფელის ხარისხი სეგმენტების მიხედვით 116
ცხრილი N 4.9 საბითუმო დაფინანსების გარე წყაროები და მათი დაფარვის გრაფიკი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 143
ცხრილი N 7.1 ჯამური ინფორმაცია სავაჭრო სესიებზე დადებული და ბირჟაზე დაფიქსირებული მაჩვენებლების მიხედვით (2020-2021) 209
ცხრილი N 7.2 საინვესტიციო პორტფელის შედეგები 214
ცხრილი N 8.1 დისტანციური ზედამხედველობა, 2021წ. 216
ცხრილი N 8.2 ჯარიმების მოცულობა, 2021წ. 218
ცხრილი N 8.3 რეკომენდაციების რაოდენობა, 2021წ. 219
ცხრილი N 8.4 სწავლების თემატიკა, 2021წ. 221
ცხრილი N 9.1 კომერციული ბანკების მიერ გამოშვებული ბარათები წლების მიხედვით 235
დიაგრამა N 11.1 2020 წელს გამოვლენილი ლარის ყალბი ბანკნოტები და მონეტები (პროცენტი) 257

აბრევიატურები

ACAG (Association of Communication Agencies of Georgia) - საქართველოს საკომუნიკაციო სააგენტოების ასოციაცია
ADR (Average Daily Rate) - საშუალო დღიური ფასი
AML/CFT (Anti-Money Laundering/Combating the Financing of Terrorism) - ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლა
API (Application Programming Interface) - გამოყენებითი პროგრამირების ინტერფეისი
ARA (Assessing Reserve Adequacy) - რეზერვების ადეკვატურობის შეფასება
BI (Business Intelligence) - მონაცემთა ვიზუალიზაციისა და ანალიზის თანამედროვე პლატფორმა
BIS (Bank for International Settlements) - საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკი
BISIP (BIS Investment Pool) - საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკის საინვესტიციო პროგრამა
BMatch - კომპანია ბლუმბერგის უცხოური ვალუტის სავაჭრო პლატფორმა
CFA (Chartered Financial Analyst) - სერტიფიცირებულ ფინანსურ ანალიტიკოსთა ინსტიტუტი
CICR (Currency Induced Credit Risk) - სავალუტო საკრედიტო რისკი
CIF (Cost, Insurance and Freight) - ხარჯები, დაზღვევა და ფრახტი
CPMI (Committee on Payments and Market Infrastructures) - საგადახდო და ბაზრების ინფრასტრუქტურის კომიტეტი
CRA (Credit Risk Adjustment buffer) - საკრედიტო რისკის კორექტირების ბუფერი
CRD IV - ევროკავშირში მოქმედი საკრედიტო ინსტიტუტების საქმიანობისა და პრუდენციული რეგულირების შესახებ დირექტივა
CRX (Cyber Range Exercises) - კიბერ სავარჯიშოები
CSR (Corporate Social Responsibility) - კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა
DDos (Distributed Denial-of-service attack) - მომსახურების შეფერხების განაწილებული შეტევები
DPM (Data Point Model) - მონაცემთა ლექსიკონი, რომელიც მოიცავს EBA-ს მიერ შემუშავებულ მონაცემთა ჰარმონიზებულ მოთხოვნებს და შედის მის ტექნიკურ სტანდარტებსა და სახელმძღვანელოში
DSCR (Debt-Service Coverage Ratio) - ვალის მომსახურების დაფარვის კოეფიციენტი
DSIK (German Sparkassenstiftung for International Cooperation) - გერმანული კომპანია საერთაშორისო თანამშრომლობისთვის
EAD (Exposure At Default) – ფინანსური ინსტრუმენტის მოცულობა დეფოლტის დადგომისას
EBA (European Banking Authority) - ევროპის საბანკო ასოციაცია
EBITDA (Earnings Before Interest, Taxes, Depreciation and Amortization) - შემოსავლები პროცენტის, გადასახადების, ცვეთის და ამორტიზაციის დარიცხვამდე
EBRD (European Bank for Reconstruction and Development) - ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი
ECB (European Central Bank) - ევროპის ცენტრალური ბანკი
EFF (Extended Fund Facility) - გაფართოებული დაფინანსების მექანიზმი
EFSE DF (Development Facility of the European Fund for Southeast Europe) – „ევროპული ფონდის სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპისათვის“ განვითარების პროგრამა
EMV (Europay, Mastercard and Visa) - გადახდის მეთოდი, რომელიც დაფუძნებულია საგადახდო ბარათებისა და მოწყობილობების ტექნიკურ სტანდარტებზე
ESG (Environmental, Social, and Governance) - გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი საკითხები
ETL (Extract, Transform, Load) - ზოგადი პროცედურა სხვადასხვა წყაროდან (MS SQL, MS Excel და ა.შ.) მონაცემების შემოტანის, გარდაქმნის და საჭირო ფორმატში შენახვის შესახებ
EVE (Economic Value of Equity) - კაპიტალის ეკონომიკური ღირებულება
FAO (Food and Agriculture Organization) - სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია
FID (Financial Indicator-Daily) - ყოველდღიური ფინანსური მაჩვენებლები
FinEdu - ფინანსური განათლების პირველი ქართული საგანმანათლებლო ვებპორტალი - www.finedu.gov.ge („ფინედუ“)
FINREP - Financial Reporting (a European regulation which applies to credit institutions) - ევროკავშირის ფინანსური ანგარიშგების სტანდარტები საკრედიტო დაწესებულებებისთვის
FOB (Free on Board) - თავისუფლდება ვალდებულებებისგან, საქონლის საწყალოსნო ტრანსპორტზე დატვირთვიდან
FSAP (Financial Sector Assessment Program) - ფინანსური სექტორის შეფასების პროგრამა

FSI (Financial Stability Indicators) - ფინანსური სტაბილურობის ინდიკატორები
GAN (General Adversarial Networks) - გენერაციული მოწინააღმდეგე ქსელები
GCSD (Georgian Center for Strategy and Development) - საქართველოს სტრატეგიის და განვითარების ცენტრი
GET (German Economic Team) - გერმანიის ეკონომიკური ჯგუფი
GFIN (Global Financial Innovation Network) - გლობალური ფინანსური ინოვაციების ქსელი
GGF (Green for Growth Fund) - მწვანე ზრდის ფონდი
GRAPE (General Risk Assessment Program) - რისკების შეფასების საერთო პროგრამა
GSSS (Georgian Securities Settlement System) - საქართველოს ფასიანი ქაღალდების ანგარიშსწორების სისტემა
HHI (Herfindahl-Hirschman Index) - ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსი
HR (Human Resource) - ადამიანური რესურსები
HRMS (Human Resource Management System) - ადამიანური რესურსების მართვის სისტემა
IFC (International Finance Corporation) - საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია
IFRS (International Financial Reporting Standards) - ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები
IMF (International Monetary Fund) - საერთაშორისო სავალუტო ფონდი
IOSCO (Technical Committee of the International Organization of Securities Commissions) - ფასიანი ქაღალდების კომისიების საერთაშორისო ორგანიზაციის ტექნიკური კომიტეტი
IT (Information Technology) - საინფორმაციო ტექნოლოგიები
LCR (liquidity Coverage Ratio) - ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი
LGD (Loss Given Default) - დეფოლტის შემთხვევაში დანაკარგები
NGFS (Network for Greening the Financial System) ქსელი ფინანსური სისტემის “გამწვანებისთვის”
NII (Net Interest Income) - წმინდა საპროცენტო შემოსავალი
NPL (Non-Performing Loan) - უმოქმედო სესხი
NSDP (National Summary Data Page) - ეროვნულ მონაცემთა ერთიანი გვერდი
NSFR (Net Stable Funding Ratio) - წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტი
OECD (Organizaton for Economic Co–operaton and Development) – ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია
OECD/INFE - ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ფინანსური განათლების საერთაშორისო ქსელი
OSINT (Open Source Intelligence) - ღია წყაროების დაზვერვა/გამოძიება
PD (Probability of Default) - დეფოლტის ალბათობა
PTI (Payment to income ratio) - სესხის მომსახურების კოეფიციენტი
ROA (Return on Assets) - ამონაგები აქტივებზე
ROE (Return on Equity) - ამონაგები კაპიტალზე
RTGS (Real Time Gross Settlement) - დროის რეალურ რეჟიმში ანგარიშსწორების სისტემა
SAA (Strategy of Asset Allocation) - აქტივების განთავსების სტრატეგია
SBFN (Sustainable Banking and Finance Network) - მდგრადი საბანკო და საფინანსო ქსელი
SDR (Special Drawing Rights) - საერთაშორისო ფულის ფორმა, რომელიც შეიქმნა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ და განისაზღვრება, როგორც სხვადასხვა კონვერტირებადი ვალუტების შეწონილი საშუალო
SDMX (Statistical Data and Metadata Exchange) - სტატისტიკური მონაცემებისა და მეტამონაცემების გაცვლა
SECO (State Secretariat for Economic Affairs) - ეკონომიკის საკითხებში სახელმწიფო სამდივნო
SWIFT (Society for Worldwide Interbank Financial Telecommunication) - მსოფლიო ბანკთაშორისი ფინანსური ტელეკომუნიკაციის საზოგადოება
TIBR (Tbilisi Interbank Rate) - თბილისის ბანკთაშორისი განაკვეთი
TMS (Taxonomy Management System) - ტაქსონომიის მართვის სისტემა
USAID (United States Agency for International Development) - შეერთებული შტატების სააგენტო საერთაშორისო განვითარებისთვის
WB (World Bank) - მსოფლიო ბანკი
XBRL (Extensible Business Reporting Language) - ბიზნეს ანგარიშგების გაფართოებადი ენა

შესავალი

საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ-ის) 2021 წლის წლიური ანგარიში მომზადებულია „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ ორგანული კანონის მე-60 და 61-ე მუხლების შესაბამისად და მოიცავს ფულად-საკრედიტო, სავალუტო და საზედამხედველო პოლიტიკის მიმოხილვასა და აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, ეროვნული ბანკის ძირითად ამოცანას ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფა წარმოადგენს[1]. ამასთანავე, ეროვნულმა ბანკმა ფინანსური სისტემის სტაბილურობა და გამჭვირვალობა უნდა უზრუნველყოს და ხელი შეუწყოს ქვეყნის მდგრად ეკონომიკურ ზრდას ისე, რომ მისი ძირითადი ამოცანის შესრულებას საფრთხე არ შეექმნას. ფასების სტაბილურობა, თავის მხრივ, საშუალოვადიან პერიოდში ინფლაციის ისეთი დონის არსებობას გულისხმობს, რომელიც მაღალი და მდგრადი ეკონომიკური ზრდისთვის ოპტიმალურია. საშუალოვადიან პერიოდზე ფოკუსირებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან შოკების შედეგად ინფლაცია შესაძლებელია მიზნობრივი მაჩვენებლისგან გადაიხაროს, თუმცა, ეროვნული ბანკის მიერ გატარებული პოლიტიკის შედეგად, დამატებითი შოკების არარსებობის შემთხვევაში, საშუალოვადიან პერიოდში ინფლაცია მიზნობრივ მაჩვენებელს დაუბრუნდება, რითაც ფასების სტაბილურობა მიიღწევა.

ფასების სტაბილურობის უზრუნველსაყოფად საქართველოს ეროვნული ბანკი მონეტარულ (ფულად-საკრედიტო) პოლიტიკას ინფლაციის თარგეთირების რეჟიმში წარმართავს. აღნიშნული რეჟიმი, რომელიც დღესდღეობით მსოფლიოში ყველაზე თანამედროვე და ეფექტიან მოდელად ითვლება, ინფლაციის სამიზნე მაჩვენებლის წინასწარ გამოცხადებას და შემდგომი პოლიტიკის იმგვარად განხორციელებას გულისხმობს, რომ საშუალოვადიან პერიოდში ინფლაცია მიზნობრივ დონესთან ახლოს იყოს. საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის ძირითადი ინსტრუმენტი მონეტარული პოლიტიკის განაკვეთია, რომელიც ინფლაციის პროგნოზის შესაბამისად იცვლება. თუ ინფლაციის პროგნოზირებული მაჩვენებელი მიზნობრივ დონეზე მაღალი იქნება, საქართველოს ეროვნული ბანკი მონეტარულ პოლიტიკას გაამკაცრებს და პირიქით, თუ ინფლაციის პროგნოზირებული მაჩვენებელი მიზნობრივ დონეზე დაბალი იქნება, ეროვნული ბანკი მონეტარულ პოლიტიკას შეარბილებს. ეს მიდგომა ფასების სტაბილურობას და, სხვა ალტერნატივებთან შედარებით, ყველაზე დაბალ გრძელვადიან საპროცენტო განაკვეთებს უზრუნველყოფს. მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტების და მისი გადაცემის მექანიზმის განვითარებასთან ერთად, მცირდება საზოგადოებრივი დანახარჯიც ფასების სტაბილურობის უზრუნველსაყოფად. სწორედ ამიტომ, ეროვნული ბანკი მუდმივად ზრუნავს ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ინსტრუმენტების დახვეწასა და მონეტარული პოლიტიკის გადაცემის მექანიზმის ეფექტიანობის ზრდაზე.

ინფლაციის თარგეთირებაზე ეროვნული ბანკი 2009 წლიდან გადავიდა. მას შემდეგ (2009-2021 წლებში) საქართველოში წლიური ინფლაციის საშუალო მაჩვენებელი 4.3 პროცენტს შეადგენს. ინფლაციის თარგეთირების რეჟიმამდე 2000-2008 წლებში ინფლაცია საშუალოდ 6.6 პროცენტს უტოლდებოდა. თავდაპირველად, ინფლაციის თარგეთირებაზე გადასვლისას, ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი 6 პროცენტი იყო. მომდევნო

1. „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ ორგანული კანონი, მესამე მუხლის პირველი პუნქტი.

წლებში ის ეტაპობრივად კლებულობდა, ხოლო 2018 წლიდან კი 3 პროცენტამდე შემცირდა, რაც წლიური ინფლაციის გრძელვადიან მიზნობრივ დონეს წარმოადგენს.

გასათვალისწინებელია, რომ საქართველოში, ისევე როგორც ღია ეკონომიკის მქონე სხვა ქვეყნებში, გარდაუვალია ეგზოგენური (მონეტარული პოლიტიკისგან დამოუკიდებელი) შოკები, რომელთა გავლენითაც, შესაძლებელია, ინფლაცია მიზნობრივი მაჩვენებლიდან გადაიხაროს. მონეტარული პოლიტიკა მოთხოვნაზე ზემოქმედების ინსტრუმენტია. სწორედ ამიტომ, ცენტრალური ბანკები, ძირითადად, მოთხოვნის შოკებზე რეაგირებენ, რადგან მიწოდების შოკებზე (მაგალითად აქციზის გადასახადის, გლობალურ ბაზრებზე ნედლეული პროდუქტების ფასებისა და საერთაშორისო ტრანსპორტირების ხარჯების ზრდა) რეაგირება ეკონომიკისთვის დიდ დანახარჯებთან არის დაკავშირებული და ეკონომიკური ზრდის მერყეობას და, გრძელვადიან პერიოდში, დასაქმების შემცირებას გამოიწვევს. ამასთანავე, როგორც კვლევები აჩვენებს, მონეტარული პოლიტიკის ცვლილების ეკონომიკაზე გადაცემას გარკვეული დრო სჭირდება[2], შესაბამისად, ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებლიდან გადახრა დასაშვებია, თუ, პროგნოზით, საშუალოვადიან პერიოდში ინფლაცია მის მიზნობრივ მაჩვენებელს დაუბრუნდება. თუმცა საყურადღებოა ისეთი ვითარება, როდესაც მსგავსი გადახრა ინფლაციის მოლოდინებს ზრდის, რაც მომავალში, შესაძლოა, ინფლაციის მატებაში აისახოს. ასეთ დროს ეროვნული ბანკი პოლიტიკას შესაბამისად შეცვლის.

2021 წლის განმავლობაში საქართველოში, ისევე როგორც გლობალურად, ინფლაციური წნეხი გაძლიერდა. მაღალი ინფლაციის მიზეზი COVID-19-ის გამო შექმნილი არაორდინარული ვითარება იყო, რა დროსაც ერთბაშად რამდენიმე ფაქტორმა ინფლაციაზე ზრდის მიმართულებით იმოქმედა. საერთაშორისო სავალუტო ფონდის, მსოფლიო ბანკისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიმოხილვებში გლობალური ინფლაცია ერთ-ერთი მთავარი თემა იყო. მაღალი ინფლაციის მიზეზი მსოფლიოში ფართო მოხმარების პროდუქტებზე ფასების ზრდა იყო, რაშიც სურსათის გაძვირება გამოირჩეოდა. პანდემიასთან დაკავშირებული შეფერხებების, ცუდი მოსავლისა და გაზრდილი სატრანსპორტო ხარჯების გამო, მსოფლიოში 2021 წელს სურსათის საშუალო ფასები ბოლო ათი წლის მანძილზე უმაღლეს ნიშნულზე იყო. მობილობის აღდგენასთან ერთად, ნავთობზე მოთხოვნა და ფასები საერთაშორისო ბაზრებზე გაიზარდა. მსოფლიოში ნავთობის ფასები წლის განმავლობაში თანდათან მატულობდა, რაც ადგილობრივ ბაზარზე საწვავის ფასებზეც აისახებოდა.

COVID-19-ის გავრცელების წინააღმდეგ მიმართულმა შეზღუდვებმა, შემდგომ კი ეკონომიკის აღდგენითი პროცესის და მისი თანმდევი მოთხოვნის გააქტიურებამ, სატრანსპორტო არხების გადატვირთვა გამოიწვია, რამაც მსოფლიოში სატრანსპორტო და სხვა საოპერაციო ხარჯები მკვეთრად გაზარდა, რაც, თავის მხრივ, თითქმის ყველა სახის პროდუქტის საბოლოო ფასზე აისახა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ინფლაცია არა მხოლოდ განვითარებადი, არამედ განვითარებული ქვეყნების პრობლემაცაა. გასული წლის დეკემბერში ინფლაციამ აშშ-ში 7.0 პროცენტი შეადგინა, ხოლო ევროზონის ინფლაციამ - 5.0 პროცენტი. მაღალი ინფლაცია დაფიქსირდა ბალტიისპირეთის ქვეყნებშიც, კერძოდ 2021 წლის დეკემბერში ინფლაციამ ესტონეთში 12.2 პროცენტი, ლიეტუვაში 10.6 პროცენტი, ხოლო ლატვიაში 7.9 პროცენტი შეადგინა. აღსანიშნავია,

2. Bernanke & Blinder (1992) „The Federal Funds Rate and the Channels of Monetary Transmission", American Economic Review; vol. 82, issue 4, 901-21.
Bernanke & Gertler (1995) „Inside the Black Box: The Credit Channel of Monetary Policy Transmission ", the Journal of Economic Perspectives, Vol. 9, No. 4 (Autumn, 1995), pp. 27-48.

რომ 2022 წლის დასაწყისში ფასების ზრდის ტემპი კიდევ უფრო დაჩქარდა და მარტში ინფლაციამ აშშ-ში 8.5 პროცენტს მიაღწია, რაც ბოლო 40 წლის მაქსიმუმია. ხოლო ევროზონის ინფლაცია 7.5 პროცენტი იყო - ეს კი მისთვის რეკორდული მაჩვენებელია. ინფლაცია ასევე გაიზარდა ბალტიისპირეთის ქვეყნებში. კერძოდ, 2022 წლის მარტში მან ესტონეთში - 12.0 პროცენტი, ლიეტუვაში - 15.7 პროცენტი, ხოლო ლატვიაში 11.5 პროცენტი შეადგინა.

აღწერილი ფაქტორების გავლენით, 2021 წელს საქართველოში ინფლაციას მზარდი ტენდენცია ჰქონდა. იანვარში კომუნალური გადასახადების სუბსიდირების გამო წლიური ინფლაცია შედარებით შემცირებული იყო და 2.8 პროცენტს შეადგენდა, თუმცა შემდეგ თვეებში თანდათან იზრდებოდა და უმაღლეს ნიშნულს, 13.9 პროცენტს, დეკემბერში მიაღწია. საბოლოოდ, 2021 წელს, ინფლაციამ საშუალოდ 9.6 პროცენტი შეადგინა. აქედან სურსათზე 3.1 პპ მოდიოდა, სადაც იმპორტირებული და იმპორტირებულ ნედლეულზე დამოკიდებული სურსათის ინფლაცია ჭარბობდა, ხოლო საწვავის ინფლაცია წლის განმავლობაში საშუალოდ 1.4 პპ-ს გაუტოლდა. ამის გარდა, ინფლაციის მაჩვენებელზე მნიშვნელოვან გავლენას კომუნალური გადასახადების ფასები ახდენდა, რომელიც როგორც კომუნალური გადასახადების გაძვირებას, ასევე სტატისტიკურ ეფექტს მოიცავდა[3].

2020 წლის 6.8 პროცენტიანი კლების შემდეგ ეკონომიკური აქტივობა 2021 წლის პირველ კვარტალშიც სუსტი იყო, თუმცა მეორე კვარტლიდან პანდემიის გავრცელების წინააღმდეგ მიმართული შეზღუდვები თანდათან შემსუბუქდა, რამაც ეკონომიკური სურათი საგრძნობლად შეცვალა. საერთაშორისო მობილობაზე დაწესებული შეზღუდვების უმეტესობა გაუქმდა, რამაც ტურიზმის ნაწილობრივ აღდგენას შეუწყო ხელი. საქართველოში საერთაშორისო მოგზაურების ნაკადმა ეტაპობრივი აღდგენა დაიწყო, რამაც ტურიზმიდან და მასთან დაკავშირებულ ბიზნეს საქმიანობებიდან მიღებულ შემოსავლებზე დადებითი გავლენა მოახდინა. 2021 წლის მეორე კვარტალში მთლიანი შიდა პროდუქტი წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით რეალურად 28.9 პროცენტით გაიზარდა. მაღალი ზრდის მთავარი მიზეზი საბაზო ეფექტი იყო, რადგან მკაცრი შეზღუდვები, თავდაპირველად, სწორედ 2020 წლის მეორე კვარტალში დაწესდა, რამაც ამ პერიოდში მნიშვნელოვანი ეკონომიკური ვარდნა გამოიწვია. თუმცა ზრდა შემდეგ პერიოდებშიც გაგრძელდა და, წინასწარი მონაცემებით, რეალური მშპ 2021 წელს 10.4 პროცენტით გაიზარდა. საბაზო ეფექტის გარდა, გასულ წელს მაღალ ზრდას შეზღუდვების გამო თვეების განმავლობაში დაგროვილი მოთხოვნის გააქტიურებამ, ფისკალურმა სტიმულმა და ეკონომიკის დაკრედიტებამ შეუწყო ხელი. აღსანიშნავია, რომ 2021 წლის მშპ-ს მოცულობამ 2019 წლის დონეს რეალურად 2.9 პროცენტით გადააჭარბა.

იმის გათვალისწინებით, რომ 2021 წელს მიწოდების ფაქტორები ჯერ კიდევ ძლიერი იყო და მიზნობრივ მაჩვენებელთან შედარებით ინფლაციის მაღალ ნიშნულზე შენარჩუნება ინფლაციური მოლოდინების გააქტიურების რისკს წარმოადგენდა, 2021 წლის განმავლობაში მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი, ეტაპობრივად, 8.0 პროცენტიდან 10.5 პროცენტამდე გაიზარდა.

3. მთავრობის მიერ კომუნალური გადასახადების სუბსიდირების გამო, 2020 წლის დეკემბერში კომუნალური გადასახადების ინდექსები ნოემბერთან შედარებით შემცირდა, ხოლო 2021 მარტში ეს ინდექსები ნოემბრის დონესთან შედარებით მხოლოდ მცირედით გაიზარდა. თუმცა, პროცენტულად ზრდა გაცილებით მეტი გამოვიდა, ვიდრე შემცირება. კომუნალური გადასახადების უცვლელი წონის პირობებში, აღნიშნულმა სხვაობამ წლიური ინფლაციის დონე მომდევნო ერთი წლის მანძილზე დაახლოებით 1.2 პპ-ით გაზარდა. ივნისიდან კი ეს ეფექტი, ბუნებრივის გაზის ტარიფის მატებასთან ერთად, დამატებით 0.1 პპ-ით, 1.3 პპ-მდე გაიზარდა. საბოლოოდ, დეკემბერში, საბაზო ეფექტის გამო კომუნალური გადასახადების წლიურმა წვლილმა დამატებით 2.0 პპ-ით, 3.6 პპ-მდე მოიმატა.

2021 წელს, შეზღუდვების გლობალურად შემსუბუქების პროცესის დაწყებასთან ერთად, საგარეო მოთხოვნის აღდგენაც დაიწყო. 2021 წლის მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი, მშპ-ს 9.8 პროცენტი, წინა წლის მაჩვენებელზე მშპ-ს 2.6 პროცენტული პუნქტით ნაკლები იყო. აბსოლუტურ გამოხატულებაში მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი 131 მლნ აშშ დოლარით გაუმჯობესდა და 1,834 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. შიდა მოთხოვნის გააქტიურების შედეგად საქონლის იმპორტი წინა წელთან შედარებით 23.8 პროცენტით გაიზარდა. ექსპორტის ზრდამ კი 27.4 პროცენტი შეადგინა. საერთაშორისო მოგზაურებიდან მიღებული შემოსავლების ეტაპობრივი აღდგენის ფონზე (წლიური ზრდა - 129.8 პროცენტი, თუმცა 2019-თან შედარებით კლება - 61.9 პროცენტი), მომსახურებით ვაჭრობის პროფიციტი გაიზარდა და მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის გაუმჯობესება განაპირობა. ფულადი გზავნილების მზარდი დინამიკა 2021 წელსაც გაგრძელდა.

2021 წელს, წინა წლების მსგავსად, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის დაფინანსების მნიშვნელოვანი წყარო კვლავ წმინდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციები იყო. საქართველოში განხორციელებულმა პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა 1.15 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის მაჩვენებელზე 101.6 პროცენტით მეტია, ხოლო წმინდა უცხოური ინვესტიციების მოცულობა 128 მლნ აშშ დოლარით (23.3 პროცენტით) გაიზარდა. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდა უმეტესად რეინვესტიციების მატებამ განაპირობა. ინვესტიციების უდიდესი ნაწილი საფინანსო, ენერგეტიკისა და დამამუშავებელი მრეწველობის დარგებში განხორციელდა, ხოლო წინა წელთან შედარებით ინვესტიციები უმეტესად სასტუმროები-რესტორნების, ენერგეტიკისა და დამამუშავებელი მრეწველობის მიმართულებით გაიზარდა.

2021 წელს მიმდინარე ანგარიშის გაზრდილი დეფიციტისა და ფინანსურ ანგარიშში კერძო სექტორის შემცირებული შემოდინებების ფონზე, ამ დანაკლისის შესავსებად მნიშვნელოვანი იყო მთავრობის მიერ საერთაშორისო ორგანიზაციებიდან საგარეო დაფინანსების მიღების გაგრძელება. კერძოდ, 2021 წლის განმავლობაში სახელმწიფო სექტორის წმინდა შემოდინებებმა (სესხებისა და გრანტების სახით) 1,532 მლნ დოლარი შეადგინა, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი ეროვნული ბანკის ანგარიშებში აისახა. გარდა ამისა, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა საერთაშორისო სავალუტო ფონდის გაფართოებული მექანიზმის პროგრამის დასკვნით ნაწილში 78 მლნ SDR[4] (112.5 მლნ აშშ დოლარი) მიიღო. აღსანიშნავია, ასევე, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდის ნასესხობის სპეციალური უფლების განაწილების ახალი წესის ფარგლებში, რაც ქვეყნების საგარეო ბუფერების გაძლიერებას ემსახურებოდა, საქართველოს 202 მლნ SDR (286 მლნ აშშ დოლარი) ერგო. რაც შეეხება ფინანსურ ანგარიშში პორტფელურ ინვესტიციებს, კლება უმეტესად არასაბანკო სექტორს უკავშირდება.

2021 წელს ოფიციალური სარეზერვო აქტივები 361.4 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა და 4.27 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა. რეზერვებზე ზრდის მიმართულებით, მეტწილად, საერთაშორისო სავალუტო ფონდიდან მიღებული თანხები და მთავრობის მიერ სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მოზიდული სახსრები, რომელთა უმეტესი ნაწილი ეროვნულ ბანკში მთავრობის ანგარიშებზე ხვდება, და ასევე სავალუტო სვოპები მოქმედებდა. საერთაშორისო რეზერვებზე კლების მიმართულებით საგარეო ვალის მომსახურება, მთავრობის სხვა სავალუტო ხარჯები და სავალუტო ინტერვენციები მოქმედებდა. 2021 წელს მთავრობის ვალის უცხოური ვალუტით მომსახურებამ და საქონელსა და მომსახურებაზე

4. Special Drawing Right - ნასესხობის სპეციალური უფლებებია, რაც სსფ-ს მიერ განსაზღვრულ დამატებით საერთაშორისო სარეზერვო აქტივს წარმოადგენს.

მთავრობის სავალუტო დანახარჯებმა ჯამურად დაახლოებით 856 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. სავალუტო ინტერვენციების გზით ეროვნულმა ბანკმა სავალუტო ბაზარს 354.9 მლნ აშშ დოლარი მიაწოდა.

ფინანსური სტაბილურობის ხელშეწყობა, როგორც მდგრადი ეკონომიკური ზრდის წინაპირობა, ეროვნული ბანკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ ფინანსური სტაბილურობის საკითხების და მაკროპრუდენციული პოლიტიკის აქტუალობა მსოფლიოში, განსაკუთრებით ბოლო წლებში, გაიზარდა. 2020 წელს განვითარებულმა პანდემიამ და შედეგად წარმოქმნილმა გლობალურმა ეკონომიკურმა კრიზისმა კიდევ ერთხელ დაადასტურა მისი მნიშვნელობა. ფინანსური სტაბილურობის უზრუნველსაყოფად ეროვნული ბანკი მაკროპრუდენციულ პოლიტიკასა და საფინანსო სექტორის ზედამხედველობას ახორციელებს. ეროვნული ბანკის მიერ გატარებული მაკროპრუდენციული პოლიტიკის შედეგად, ფინანსურმა სექტორმა პანდემიით გამოწვეული შოკის საკმაოდ მძიმე ფაზა წარმატებით განვლო და ეკონომიკის შეუფერხებლად დაკრედიტებას პანდემიის პირობებშიც განაგრძობს. პანდემიამდე ეროვნული ბანკის მიერ დამატებითი კაპიტალის დაწესებულმა მოთხოვნებმა, პასუხისმგებლიანი დაკრედიტების რეგულაციის ამოქმედებამ და სესხების დოლარიზაციის შემცირების მიზნით რიგი მაკროპრუდენციული ზომების თანმიმდევრულად გატარებამ ხელი შეუწყო აქტივების მდგრად ხარისხსა და კაპიტალის საკმარისი ბუფერების დაგროვებას. გარდა ამისა, გასულ წლებში ლიკვიდობის გადაფარვისა (LCR) და წმინდა სტაბილური დაფინანსების (NSFR) კოეფიციენტების დაწესებამ ბანკების დაფინანსების წყაროების სტაბილურობა და ლიკვიდობის ბუფერის გაუმჯობესება განაპირობა. შედეგად, 2021 წლის დეკემბრის მონაცემებით, ბანკები კაპიტალის და ლიკვიდობის ჯანსაღ მაჩვენებლებს ინარჩუნებენ, ხოლო აქტივების ხარისხი, წინა წელთან შედარებით, გაუმჯობესდა. ბანკებმა 2021 წელი სოლიდური მოგებით დაასრულეს, რასაც ხელი მაღალმა საკრედიტო აქტივობამ და საკრედიტო დანაკარგების შემცირებამ შეუწყო, რაც, თავის მხრივ, 2020 წელს სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვების წინასწარ შექმნითაა განპირობებული (მოსალოდნელზე უკეთესმა ეკონომიკურმა ზრდამ, მათ შორის, ფინანსური პრობლემების მქონე მსესხებლების მდგომარეობაც გამოასწორა, რის შედეგადაც შესაბამისი რეზერვი შემცირდა). აღსანიშნავია, რომ ფინანსური სტაბილურობის კომიტეტის გადაწყვეტილებით, ბანკებს არაჰეჯირებული სავალუტო საკრედიტო რისკის (CICR) ბუფერის აღსადგენად დრო 2023 წლის 1 იანვრამდე, ხოლო კაპიტალის კონსერვაციის ბუფერის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად - 2024 წლის 1 იანვრამდე მიეცათ. თუმცა, გაუმჯობესებული ფინანსური მაჩვენებლების მეშვეობით, ბანკების მნიშვნელოვანმა ნაწილმა კაპიტალის გამოთავისუფლებული ბუფერები უკვე აღიდგინა. ფინანსური სტაბილურობის კომიტეტის შეფასებით, 2022 წელს საბანკო სექტორი მდგრადობას შეინარჩუნებს და ეკონომიკის შეუფერხებლად დაკრედიტებას გააგრძელებს.

მიუხედავად საგრძნობი შემცირებისა, დოლარიზაცია ფინანსური სექტორისთვის კვლავ ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად რჩება. დოლარიზაციის შემცირება ქვეყანაში მაკრო-ფინანსური რისკების შემცირებისა და საგარეო მოწყვლადობების მიმართ მდგრადობის გაუმჯობესებისთვის აუცილებელი პირობაა. შესაბამისად, ლარიზაციის ზრდა საქართველოს ეროვნული ბანკის ერთ-ერთ პრიორიტეტია და მისი წამახალისებელი რეფორმები ეტაპობრივად ხორციელდება.

2021 წლის მეორე ნახევრიდან, მონეტარული პოლიტიკის გამკაცრების კვალდაკვალ, ლარის რესურსის გაძვირების ფონზე, უცხოური ვალუტით გაცემული სესხების წვლილი გაიზარდა, რაც სესხების დოლარიზაციაზე ზრდის მიმართულებით მოქმედებდა. წლის განმავლობაში სესხების დოლარიზაცია, გაცვლითი კურსის ეფექტის

გამორიცხვით, 3.3 პპ-ით შემცირდა (გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვის გარეშე კი 4.7 პპ-ით შემცირდა) და დეკემბერში 50.6 პროცენტი შეადგინა. რაც შეეხება ფიზიკური პირების სესხების დოლარიზაციის მაჩვენებელს, ის 2021 წლის განმავლობაში, გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით, 40.2 პროცენტიდან 36.6 პროცენტამდე შემცირდა (გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვის გარეშე კი 4.9 პპ-ით შემცირდა). ხოლო, მთლიანი დეპოზიტების დოლარიზაცია, გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით, პრაქტიკულად არ შეცვლილა (გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვის გარეშე კი 1.4 პპ-ით შემცირდა) და 60.2 პროცენტს გაუტოლდა.

კრიზისამდელ პერიოდში ეროვნულმა ბანკმა სესხების დოლარიზაციის შემცირების მიზნით რიგი მაკროპრუდენციული ზომები გაატარა, რამაც ხელი შეუწყო არსებული მოწყვლადობის მნიშვნელოვან შემცირებას. თუმცა, საკრედიტო პორტფელში უცხოური ვალუტის სესხების კვლავ მაღალი წილის ფონზე, დოლარიზაცია არაჰეჯირებული მსესხებლებისა და, ჯამურად, ფინანსური სისტემის მდგრადობის ძირითად რისკად რჩება. ფინანსური სტაბილურობის კომიტეტის გადაწყვეტილებით, შეიცვალა სავალუტო საკრედიტო რისკის ბუფერის (CICR) დათვლის მეთოდი და ის დამოკიდებული გახდა კომერციული ბანკის საკრედიტო პორტფელის დოლარიზაციის დონეზე, რაც ბანკებისთვის სესხების ლარიზაციის მოტივაციას გაზრდის. ასევე აღსანიშნავია, რომ, 2021 წლის ბოლოს მიღებული გადაწყვეტილებით, 2022 წლიდან უცხოური ვალუტის იპოთეკური სესხების მაქსიმალური ვადა 15-დან 10 წლამდე შემცირდა. გასათვალისწინებელია, რომ მსესხებლების უმეტესობა არაჰეჯირებულია, რაც მათ მაღალ მოწყვლადობაზე მიანიშნებს და, პორტფელის ზომიდან გამომდინარე, ხელს უწყობს ფინანსურ სექტორში სისტემური რისკების დაგროვებას. ეს, ასევე, საფრთხეს უქმნის უძრავი ქონების ბაზრის მდგრადობას. იპოთეკური სესხების ძირითადი ნაწილი ცვლადგანაკვეთიანია, შესაბამისად, სესხებს, გაცვლითი კურსის რისკთან ერთად, თან ახლავს საპროცენტო რისკი, რომელიც განსაკუთრებით საგულისხმოა მსოფლიო ბაზრებზე აშშ დოლარსა და ევროზე, ისტორიულად დაბალი საპროცენტო განაკვეთების პირობებში, საპროცენტო განაკვეთების შესაძლო ზრდის წინაპირობების გათვალისწინებით.

2021 წელს ეროვნულმა ბანკმა 2020-2022 წლების საზედამხედველო სტრატეგიის 2021 წლის გამოცემა გამოაქვეყნა.[5] ეროვნული ბანკის საზედამხედველო პრიორიტეტები სტრატეგიის 2021 გამოცემაში უცვლელი დარჩა. სტრატეგიის ყოველწლიური დოკუმენტი განსაკუთრებულ აქცენტს მომდევნო 12-18 თვის პერიოდში დაგეგმილ საზედამხედველო პრიორიტეტების ძირითად ამოცანებსა და ცვლილებებზე აკეთებს. მნიშვნელოვანია, რომ 2021 წელს გაიზარდა თანამშრომლობა ქვეყნის შიგნით სხვადასხვა საჯარო ინსტიტუტებთან. 2021 წელს საქართველოს საზედამხედველო და მარეგულირებელ უწყებებს შორის უწყებათაშორისი ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა, რომლის მიზანი ანგარიშგებასთან დაკავშირებულ საკითხებზე თანამშრომლობაა.

2021 წლის განმავლობაში საქართველოს ეროვნული ბანკი საზედამხედველო ჩარჩოს დახვეწის, მოწინავე საერთაშორისო პრაქტიკასთან დაახლოებისა და რიგი საზედამხედველო მიმართულებების გაძლიერებისთვის აქტიურ მუშაობას განაგრძობდა. 2021 წელი მნიშვნელოვანი იყო ეროვნული ბანკის მიერ რეგულირებად სფეროში კონკურენციის საკითხების მარეგულირებელი სპეციალური კანონმდებლობის შემუშავებისა და ზედამხედველობის გაძლიერების კუთხით. კონკურენციის პოლიტიკის განხორციელების

5. დაწვრილებით იხილეთ - საზედამხედველო სტრატეგიის 2021 წლის გამოცემა.
https://nbg.gov.ge/page/საზედამხედველო-სტრატეგია

პროცესში ეროვნული ბანკის უფლებამოსილებები, „კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონსა და „ეროვნული ბანკის შესახებ" ორგანულ კანონში 2020 წელს განხორციელებული ცვლილებებით დაზუსტდა. სწორედ ამ ცვლილებებით განსაზღვრული ვალდებულებების შესაბამისად, 2021 წელს ეროვნულმა ბანკმა რეგულირებას დაქვემდებარებული სუბიექტებისათვის კონკურენციის პოლიტიკის მომწესრიგებელი კანონქვემდებარე აქტები დაამტკიცა. წესები „კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონს, კონკურენციის სააგენტოს მეორად კანონმდებლობასა და ამ მიმართულებით არსებულ მოწინავე საერთაშორისო პრაქტიკებს დაეფუძნა. წესების მომზადების პროცესში ეროვნულ ბანკს ექსპერტულ დახმარებას მსოფლიო ბანკის წარმომადგენლები უწევდნენ, ამასთან, წესების შემუშავების პროცესი კონკურენციის სააგენტოსა და ფინანსურ სექტორთან ინტენსიური ჩართულობითა და მათთან კონსულტაციების ფონზე წარიმართა. აღსანიშნავია, რომ COVID-19-თან დაკავშირებული საზედამხედველო გეგმის ფარგლებში, ეროვნულმა ბანკმა ახალი საზედამხედველო მოთხოვნების შემუშავებასა და დაწესებაზე დროებითი მორატორიუმი გამოაცხადა. თუმცა 2022 წელს ეროვნული ბანკი კვლავ გააგრძელებს კაპიტალის ადეკვატურობის სტანდარტების უფრო მეტად დაახლოებას ევროკავშირის მიერ განსაზღვრულ რეგულაციებთან.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საბანკო სექტორში 14 კომერციული ბანკი ფუნქციონირებდა. ამავე პერიოდში არარეზიდენტი მესაკუთრეების მონაწილეობა ბანკების აქტივებში, საბოლოო მფლობელობის მიხედვით, 86.7 პროცენტს, ხოლო სააქციო კაპიტალში - 86.2 პროცენტს შეადგენდა.

2021 წლის ბოლოს საბანკო სისტემის მთლიანმა საკრედიტო პორტფელმა 43 მილიარდ ლარს მიაღწია და მისი წლიური ზრდა, გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე, 18.2 პროცენტი იყო. 2021 წელს, 2020 წელთან შედარებით, საბანკო სექტორის სესხების მშპ-თან ფარდობა შემცირდა და წლის ბოლო მდგომარეობით 71.4% შეადგინა. საკრედიტო პორტფელის (ბანკთაშორისი სესხების გარდა) შედგენილობა, სეგმენტების ჭრილში მნიშვნელოვნად არ შეცვლილა. რაც შეეხება დეპოზიტებს, მათი მოცულობა 2021 წლის განმავლობაში 2.6 მლრდ ლარით (7.6 პროცენტით, გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე - 11.3 პროცენტით) გაიზარდა და დეკემბრისათვის 37.2 მლრდ ლარი (მშპ-ს 61.8 პროცენტი) შეადგინა.

საკრედიტო პორტფელი სექტორულად დივერსიფიცირებულია. აღსანიშნავია, რომ 2021 წლის დეკემბრის ბოლოს, ეკონომიკურად მოწყვლადი სექტორების (უძრავი ქონების დეველოპმენტი, უძრავი ქონების მენეჯმენტი, სასტუმროები და ტურიზმი, რესტორნები და კვების ობიექტები, ავტოდილერები) ჯამურმა წილმა პორტფელში 18.1 პროცენტი შეადგინა, რაც წინა წლის დეკემბრის თვის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 1.1 პროცენტით ნაკლებია. ზოგიერთ სექტორში შესაძლო დანაკარგების რეზერვის მაღალი მოცულობა, უმთავრესად, COVID-19-ის მიზეზით შექმნილი დამატებითი რეზერვით არის გამოწვეული.

COVID-19-ით გამოწვეული პანდემიის მიუხედავად, მიკროსაფინანსო სექტორის საკრედიტო პორტფელის ხარისხი გასული წლის მაჩვენებლებთან შედარებით გაუმჯობესდა. კერძოდ, უმოქმედო სესხების წილი მთლიან პორტფელში 7.5-დან 5.9 პროცენტამდე, ხოლო ვადაგადაცილებული პორტფელის წილი კი 9.3-დან 8 პროცენტამდე შემცირდა. აღნიშნულზე გავლენა მოახდინა როგორც უმოქმედო სესხების შემცირებამ, ისე ახალი სესხების გაცემამ. მთლიანი პორტფელის რეზერვი 6 პროცენტის ფარგლებშია, რაც ზომიერია.

COVID-19 პანდემიის ქვეყნის საფინანსო სექტორზე უარყოფითი ზეგავლენის შერბილებისა და ქვეყნის ეკონომიკის წახალისების მიზნით,

2021 წელს საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მნიშვნელოვანი საზედამხედველო ღონისძიებები გაატარა. აღნიშნული საზედამხედველო გეგმის ფარგლებში, კომერციულ ბანკებს კაპიტალის მოთხოვნები შეუმსუბუქდათ, რაც კაპიტალის კონსერვაციის ბუფერისა (რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების 2.5 პროცენტის ოდენობით) და პილარ 2-ის ბუფერის ნაწილის - არაჰეჯირებული სავალუტო საკრედიტო რისკის ბუფერის ორი მესამედის (რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების 1.6 პროცენტის ოდენობით) დროებით შემცირებას გულისხმობს.

2021 წლის განმავლობაში სავალუტო კურსი წინა წელთან შედარებით ნაკლები მერყეობით ხასიათდებოდა და წლის ჭრილში გამყარდა, ხოლო ბანკები სტაბილური სავალუტო პოზიციებით განაგრძობდნენ საქმიანობას. საბანკო სისტემაში უცხოური ვალუტის აქტივ-ვალდებულებების წილი კვლავ მაღალია, რის შედეგადაც, სავალუტო რისკის ფაქტორი ქართული ბანკებისთვის კვლავ მნიშვნელოვანი რჩება. საქართველოს ეროვნული ბანკი აგრძელებს საზედამხედველო მუშაობას სავალუტო რისკის მართვის არსებული მიდგომების სრულყოფის მიმართულებით, მათ შორის ღია სავალუტო პოზიციაში უცხოური ვალუტის აქტივების რეზერვის ასახვის მიდგომების დახვეწასთან დაკავშირებით და აღნიშნულთან დაკავშირებით სებ-ის მიერ განსაზღვრული გრაფიკი გრძელდება. ასევე, მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა სტრუქტურულ პოზიციასთან დაკავშირებული რისკების შეფასებას და ბანკებში სავალუტო რისკის შიდა მოდელების განვითარებას.

2021 წლის მოგების დეკომპოზიციის კუთხით, დამატებით აღსანიშნავია საბანკო სისტემის მომგებიანობაზე მოქმედი რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორი. წლის განმავლობაში წმინდა საპროცენტო შემოსავალი და არასაპროცენტო შემოსავლები შესაბამისად 34.4 და 36.6 პროცენტით გაიზარდა, რაც, ძირითადად, გაზრდილ საკრედიტო აქტივობას უკავშირდება. ხოლო საოპერაციო ხარჯები მხოლოდ 15.8 პროცენტით, რის შედეგადაც ხარჯების შემოსავლებთან თანაფარდობის კოეფიციენტი 48.3 პროცენტიდან 41.4 პროცენტამდე შემცირდა. ხარჯების აქტივებთან თანაფარდობის კოეფიციენტი სტაბილურადაა, 2.6 პროცენტის ფარგლებში. საქართველოს ეროვნული ბანკი აგრძელებს ბანკების მომგებიანობის საპროგნოზო მაჩვენებლების განხილვას, ცალკეული ინსტიტუტების ბიზნეს მოდელისა და სტრატეგიის ანალიზს და მომგებიანობის რისკის შესაბამისი შემარბილებლების შეფასებას. მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა მასშტაბის ეფექტის, ბაზრის ნიშის ან/და სხვა კონკურენტული უპირატესობის და საპროგნოზო საკრედიტო დანაკარგების ფაქტორებს. გრძელდება ბანკების პროდუქტების ფასდადების მოდელების შემუშავება და მათი დახვეწის მონიტორინგი.

2021 წლის განმავლობაში ლიკვიდური აქტივების მოცულობა მაღალ დონეზე ნარჩუნდებოდა. შედეგად, ლიკვიდური აქტივები მთლიანი აქტივების 21 პროცენტს აღწევს, რაც საკმარისია არასაბანკო დეპოზიტების 34 პროცენტამდე დასაფარად. COVID-19 პანდემიასთან დაკავშირებული რისკების წარმოშობის შემდეგ, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ლარის ლიკვიდობის მხარდამჭერი მნიშვნელოვანი ღონისძიებები მყისიერად გაატარა, რამაც ლარის დამატებითი ლიკვიდობის მოზიდვა და არსებული რისკების მნიშვნელოვნად შემცირება გახადა შესაძლებელი. აღნიშნული ღონისძიებების შემდეგ, წლის პირველი ნახევრის ბოლოს, ლარის საკმარისი რესურსი დაგროვდა და ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტმა (LCR) COVID-19-ის პანდემიამდე არსებულ დონეს მნიშვნელოვნად გადააჭარბა. ასევე, მაღალ დონეს ინარჩუნებდა წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტი (NSFR). 2021 წლის განმავლობაში ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი (LCR), ჯამურად, სტაბილურობით ხასიათდებოდა. ლარისა და უცხოური ვალუტის კოეფიციენტებს შორის მერყეობა სავალუტო დერივატივებთან დაკავშირებული ოპერაციებით არის გამოწვეული.

მაკროპრუდენციული ზედამხედველობა ძირითადი მიმართულებების მიხედვით კვლავ გრძელდებოდა. ვალუტების შეუსაბამობით გამოწვეული საკრედიტო რისკისთვის ეროვნული ბანკი პრუდენციულ მიდგომას ინარჩუნებდა. კერძოდ, არაჰეჯირებულ მსესხებლებზე გაცემული უცხოური ვალუტის სესხებისთვის დამატებითი კაპიტალის მოთხოვნა მოქმედებდა, ხოლო ფიზიკური პირების შემთხვევაში, დამატებით, უფრო კონსერვატიული საკრედიტო სტანდარტები დაწესდა. ვალდებულებების ლარიზაციის მხარდასაჭერად ეროვნული ბანკი ეროვნული ვალუტისთვის ლიკვიდობის და მინიმალური რეზერვების შეღავათიან მოთხოვნებს იყენებდა. მაღალი დოლარიზაციის თანმდევი რისკების მაკროპრუდენციული ინსტრუმენტებით შერბილებისათვის გასათვალისწინებელია, რომ ბანკების ლიკვიდობის საგანგებო გეგმის, შერბილების სხვა ღონისძიებების ან ეროვნული ბანკის მხრიდან მხარდაჭერის ინსტრუმენტების გამოყენების შესაძლებლობა უცხოური ვალუტით შეზღუდულია, რაც გლობალური ტენდენციებისა და რეგიონის რისკებთან ერთად, უცხოური ვალუტის მინიმალური რეზერვებისა და ლიკვიდობის მაღალი მოთხოვნების აუცილებლობას ასევე ადასტურებს.

COVID-19 პანდემიამ მსოფლიოზე ფართომასშტაბიანი გავლენა იქონია და ფინანსური სექტორი, საოპერაციო რისკის თვალსაზრისით, ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა. განსაკუთრებით აღსანიშნავია საოპერაციო რისკის როლი თანამედროვე ორგანიზაციებში, სადაც ელექტრონულ საინფორმაციო სისტემებზე დამოკიდებულება პროგრესულად იზრდება. ეს პროცესი განპირობებულია ფინანსური ინსტიტუტების ციფრული ტრანსფორმაციით, ახალი ფინანსური ტექნოლოგიების დანერგვითა და უფრო რთული ოპერაციებისა და კომპლექსური ფინანსური მომსახურების დამკვიდრებით. გლობალურმა პანდემიამ ფინანსური დაწესებულებების ციფრული გარდაქმნის პროცესი დააჩქარა. ზემოთქმულიდან გამომდინარე, საოპერაციო რისკების მართვის თვალსაზრისით, ერთ-ერთ მთავარ რისკს კიბერრისკი და კიბერუსაფრთხოების მართვასთან დაკავშირებული თანამედროვე გამოწვევები წარმოადგენს.

საქართველოს ეროვნული ბანკი საქართველოს საფინანსო სექტორში საოპერაციო რისკების ცნობიერების ამაღლებას, საოპერაციო რისკების მართვის გაფართოებასა და საზედამხედველო პრინციპების განვითარებას დიდ ყურადღებას უთმობს.

პანდემიური და მაკრო-ეკონომიკური სიტუაციებიდან გამომდინარე, საოპერაციო რისკის პროგნოზირების ინსტრუმენტების გაფართოება უფრო აქტუალური გახდა. ამ მხრივ, საოპერაციო რისკების სტრეს-ტესტების შესწავლა და კვლევა მიმდინარეობს, რაც ნეგატიური სცენარის დადგომის შემთხვევაში ორგანიზაციის კაპიტალსა და ფინანსურ მდგომარეობაზე მოვლენის მოსალოდნელი ზეგავლენის განსაზღვრის შესაძლებლობას იძლევა. აქედან გამომდინარე, პოტენციური თუ რეალური საოპერაციო რისკების დანაკარგების ისტორიული მონაცემების აღრიცხვის სიზუსტესა და სრულყოფას, საოპერაციო რისკების მოვლენების მიზეზ-შედეგობრივ ანალიზსა და სისტემური ზეგავლენის შეფასებას მეტი მნიშვნელობა ენიჭება.

2020-2022 წლების საქართველოს ეროვნული ბანკის საზედამხედველო სტრატეგიის მიხედვით, საზედამხედველო ანგარიშგებების საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოება ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტს წარმოადგენს. ანგარიშგებების საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოების პროექტი მსოფლიო ბანკის ჩართულობით მიმდინარეობს და მისი მხარდაჭერით, პროექტში ჩართული არიან მრავალმხრივი გამოცდილების მქონე ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტები, რომლებიც პროექტზე მომუშავე ჯგუფებს

კონსულტაციას უწევენ და მათთან მოწინავე ქვეყნების მიერ დანერგილ საუკეთესო პრაქტიკებს განიხილავენ.

2021 წელს *ფასს 9*-ის მოთხოვნების შესაბამისი, ეროვნულ ბანკთან წარსადგენი, ანგარიშგების ფორმების განახლებაზე მუშაობა დასრულდა. *ფასს 9*-ზე დაფუძნებული აქტივების დარეზერვების წესის პროექტი შემუშავდა და კაპიტალთან დაკავშირებული მიდგომების პირველადი ვერსია ჩამოყალიბდა.

2021 წელს FINREP ანგარიშგების ფორმების დანერგვაზე მუშაობა გაგრძელდა, რაც *ფასს 9*-ზე გადასვლის პროექტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია. აღნიშნული ფორმები კომერციული ბანკების მიერ 2018 წლიდან სატესტო რეჟიმში ივსება, თუმცა, *ფასს 9*-ზე სრულად გადასვლის შემდეგ, FINREP ანგარიშგების ფორმების წარდგენის პერიოდულობა ყოველთვიური იქნება.

2021 წელს აუდიტორებთან კომუნიკაციის ეფექტიანობის გაუმჯობესების კუთხით მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა. „აუდიტორულ ფირმებსა და ეროვნულ ბანკს შორის ეფექტური კომუნიკაციის სახელმძღვანელოს“ შესაბამისად, ეროვნული ბანკისა და აუდიტორული ფირმების წარმომადგენლებს შორის შეხვედრები გაიმართა, რის ფარგლებშიც აუდიტირებულ ანგარიშგებებსა და სარეკომენდაციო წერილებში მოცემული კომპლექსური საკითხები განიხილებოდა. აღსანიშნავია, რომ *ფასს 9*-ზე გადასვლის პროექტის დასრულებასთან ერთად სახელმძღვანელო უფრო მეტ მნიშვნელობას შეიძენს.

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა კომერციული ბანკების გაჯანსაღებისა და რეზოლუციის ჩარჩოს იმპლემენტაციაზე მუშაობა 2021 წლიდან დაიწყო. რეზოლუციის ჩარჩოში შემავალი ე.წ. დაგეგმვის კომპონენტი უწყვეტად მოქმედებაშია და საჭიროების დადგომისას პროცესების უკეთესად ორგანიზებისა და მართვისათვის, კრიზისამდელი მომზადების ერთგვარი სავარჯიშოს ფუნქციას ასრულებს. 2021 წელს გაჯანსაღების პირველი გეგმები საბანკო სექტორის ყველა მონაწილემ მოამზადა. გეგმა მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულეების შექმნისას ან კრიტიკული ფუნქციების შეფერხებისას, კომერციული ბანკის მიერ ფინანსური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, კრიტიკული ფუნქციების აღსადგენად და შესანარჩუნებლად განსახორციელებელ ღონისძიებებს მოიცავს. პროცესი რეგულატორთან ინტენსიური კომუნიკაციის ფონზე მიმდინარეობდა. ეროვნულმა ბანკმა, მარეგულირებელი წესის და საერთაშორისო კარგი პრაქტიკის გათვალისწინებით, ყველა ბანკის დოკუმენტები შეისწავლა და შემდგომ მათ შესაბამისი უკუკავშირიც მიაწოდა.

ფინანსურ სექტორში ინოვაციებისა და ინოვაციური ორგანიზაციების წილი მზარდია, რასაც, როგორც ახალი შესაძლებლობები, ასევე ახალი რისკები მოაქვს. ამავდროულად, ფინანსური სექტორი მთელს მსოფლიოში ეკონომიკის ყველაზე მეტად რეგულირებად სექტორად რჩება. უფრო მეტიც, რეგულირებას მზარდი ტენდენცია აქვს. შედეგად, თანამედროვე საზედამხედველო ჩარჩო საკმაოდ მოცულობითი, ტექნიკური და კომპლექსურია, განსაკუთრებით ახალი ფინანსური სტარტაპებისთვის. აღნიშნულის ფონზე, ფინანსური სექტორის მარეგულირებლებისათვის ფინტექ იდეების მქონე ინოვატორების წახალისება და ამ იდეების მდგრად ფინანსურ მოდელად გარდაქმნის ხელშეწყობა მნიშვნელოვანი გამოწვევაა. ამ გამოწვევის საპასუხოდ, საქართველოს ეროვნული ბანკი სხვადასხვა საზედამხედველო მიდგომას ავითარებს და ხელს უწყობს ფინტექ საქმიანობისათვის საბაზისო ინფრასტრუქტურის შექმნას.

2021 წლის განმავლობაში ეროვნული ბანკი ღია ბანკინგის საკითხებზე აქტიურ მუშაობას კვლავ აგრძელებდა. ღია ბანკინგის იმპლემენტაციის პირველი ეტაპის წარმატებით განხორციელების

შემდეგ, 2021 წლის 31 მარტიდან ხელმისაწვდომი გახდა კომერციულ ბანკებს შორის ღია ბანკინგით ინფორმაციის მიმოცვლა, რაც ანგარიშებზე ნაშთების და ანგარიშის ამონაწერის დეტალური ინფორმაციის გაცვლას გულისხმობს. 2021 წლის 1 დეკემბრიდან ბანკებმა ხელმისაწვდომი გახადეს გადახდის API ფიზიკური პირებისთვის. 2022 წელს დაგეგმილია გადახდების ინიცირების ნაწილში იურიდიული პირების ჩართვა, დისტანციური იდენტიფიკაციის პროცესის დანერგვა და სტანდარტულ პროდუქტებზე ინფორმაციის გაცვლა. საკანონმდებლო ცვლილებების ძალაში შესვლის შემდეგ კი აღნიშნული მომსახურებების გამოყენება არასაბანკო ინსტიტუტებსაც შეეძლებათ.

2021 წელს ეროვნულმა ბანკმა საკრედიტო რეესტრის მონაცემების შეგროვება სატესტო რეჟიმში დაიწყო. საკრედიტო რეესტრი მსოფლიო ბანკის სამუშაო ჯგუფთან კონსულტაციების საფუძველზე შეიქმნა და წარმოადგენს მონაცემთა ბაზას, რომელიც საკრედიტო რისკის შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის შეგროვების საშუალებას იძლევა. 2022 წელს დაგეგმილია ინფორმაციის სრულყოფა და პარალელური რეპორტინგის დაწყება და 2022 წლის ბოლოსთვის კი აღმოფხვრილი იქნება მონაცემთა სიზუსტესთან დაკავშირებული ხარვეზები.

არასაბანკო სექტორი COVID-19 პანდემიის ნეგატიურ შედეგებს მომზადებული შეხვდა. 2020 წელს მიღებული გამოცდილება, 2021 წელსაც ეფექტური აღმოჩნდა. არსებული რისკებისა და გამოწვევების მიუხედავად, სექტორის ზრდა არ შენელებულა. თუ არასაბანკო საფინანსო სექტორის წილი მთლიან საფინანსო სექტორში 2020 წელს 3.3 პროცენტს შეადგენდა, 2021 წელს 3.4 პროცენტი შეადგინა. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ნდობა და ინტერესი არასაბანკო სექტორის მიმართ, მათ შორის არარეზიდენტი ინსტიტუციონალური კრედიტორების მხრიდან მიღებული მზარდი დაფინანსების თვალსაზრისითაც, გაზრდილია. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არასაბანკო საფინანსო სექტორი წარმოდგენილია 38 მიკროსაფინანსო ორგანიზაციით (385 ფილიალი), 183 სესხის გამცემი სუბიექტით (345 ფილიალი), 561 ვალუტის გადამცვლელი პუნქტითა (732 ფილიალი) და ერთი საკრედიტო კავშირით. არასაბანკო საფინანსო სექტორის მთლიანი აქტივები 2 მილიარდი ლარის ფარგლებშია, საიდანაც უდიდესი წილი - 1.6 მლრდ ლარი - მიკროსაფინანსო სექტორს ეკუთვნის. მიკროსაფინანსო სექტორში უზრუნველყოფილი იყო კაპიტალისა და ლიკვიდობის დონის მაღალი ბუფერის შენარჩუნება.

2021 წლის აგვისტოში საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ფასიანი ქაღალდების კომისიების საერთაშორისო ორგანიზაციის (IOSCO)[6] მუდმივი წევრის სტატუსი მოიპოვა. უნდა აღინიშნოს, რომ ეროვნულმა ბანკმა IOSCO-ს ასოცირებული წევრის სტატუსი 2018 წელს მიიღო, ხოლო მუდმივ წევრობაზე განაცხადი 2019 წლის შემოდგომაზე წარადგინა. IOSCO-ს მუდმივი წევრის სტატუსის მოპოვება ხაზს უსვამს ფაქტს, რომ საქართველოს ფასიანი ქაღალდების ბაზრის მარეგულირებელი ჩარჩო, საქართველოს ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების დონის გათვალისწინებით, ამ სფეროში დამკვიდრებულ საერთაშორისო სტანდარტებს დაუახლოვდა აღნიშნული ორგანიზაციის მუდმივი წევრობა, ერთი მხრივ, საქართველოს ფასიანი ქაღალდების ბაზრის მიმართ ინვესტორების ნდობისა და ინტერესის ზრდას შეუწყობს ხელს, მეორე მხრივ კი, საქართველოს საერთაშორისო ბაზრებთან ინტეგრაციის შესაძლებლობას გააფართოებს. ამასთან, ორგანიზაციის წევრობა აამაღლებს საქართველოს ეროვნული ბანკის, როგორც ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულატორის რეპუტაციას.

6. IOSCO საერთაშორისო ორგანიზაციაა, რომელიც ფასიანი ქაღალდების ბაზრებზე რეგულირებასა და ურთიერთთანამშრომლობას უწყობს ხელს და მსოფლიოს 130-ზე მეტი ქვეყნის ფასიანი ქაღალდების რეგულატორს აერთიანებს.

ადგილობრივი ობლიგაციების ბაზარი ბოლო წლების განმავლობაში მკვეთრად გაიზარდა. თუმცა ფასიანი ქაღალდების ბაზრის ზრდის სწრაფ დინამიკაზე პანდემიამ და მისმა თანმდევმა ეკონომიკურმა ეფექტებმა არაერთგვაროვანი ეფექტი მოახდინა. 2021 წელს ობლიგაციების ბაზარი 8.8 პროცენტით[7] გაიზარდა და მისმა ზომამ მთლიანი შიდა პროდუქტის 3.67 პროცენტი შეადგინა. გამოშვებული ობლიგაციების 68 პროცენტს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ ლარში დენომინირებული ობლიგაციები შეადგენდა. აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების შეთავაზებები მნიშვნელოვნად გაიზარდა, ხოლო კორპორატიული ობლიგაციების სეგმენტი მცირედით შემცირდა.

საქართველოს ეროვნული ბანკი საპენსიო სააგენტოს ზედამხედველობას მიმდინარე წელსაც ახორციელებდა. 2021 წელს აქტივების განთავსების სტრატეგიის (SAA) პირველადი პროცესი დასრულდა, რის მიხედვითაც ნაკლებად რისკიანი საინვესტიციო პორტფელისთვის ბენჩმარკ პორტფელი განისაზღვრა და საინვესტიციო პოლიტიკის დოკუმენტი განახლდა. ბენჩმარკ პორტფელი საინვესტიციო საბჭოს აქტივების განაწილების გრძელვადიან სტრატეგიას წარმოადგენს, რისკის აპეტიტის, საინვესტიციო მიზნებისა და საინვესტიციო ჰორიზონტის გათვალისწინებით. 2021 წელს საპენსიო სააგენტომ სპეციალიზებული დეპოზიტარის შერჩევის პროცესი დაასრულა. სპეციალიზებული დეპოზიტარი მნიშვნელოვან როლს ასრულებს საპენსიო სქემის გამართულად ფუნქციონირებაში. მისი საქმიანობა ეროვნული ბანკის მიერ რეგულირდება და იგი ნდობითი ვალდებულების მქონე იურიდიულ პირია. აღსანიშნავია, რომ სპეციალიზებული დეპოზიტარის დანიშვნით საპენსიო სააგენტოს ადგილობრივ თუ საერთაშორისო ფასიან ქაღალდებში ინვესტიციების განხორციელების დაწყების საშუალება მიეცა.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საპენსიო ფონდის მოცულობამ 1.98 მილიარდი ლარი შეადგინა. აღნიშნული თანხა სრულად ლარში იყო დენომინირებული. საპენსიო აქტივების 67.3 პროცენტი სადეპოზიტო სერტიფიკატებში და ვადიან დეპოზიტებში იყო განთავსებული, ხოლო 32.7 პროცენტი სარგებლიან მიმდინარე ანგარიშებზე. 2021 წლის განმავლობაში ჯამურად გამომუშავებულმა წმინდა სარგებელმა 161 მილიონი ლარი შეადგინა, რაც დაახლოებით 9.5 პროცენტი წლიური ამონაგების ტოლფასია.

მომხმარებელთა უფლებების დაცვა და ფინანსური განათლება საქართველოს ეროვნული ბანკისთვის კვლავ ერთ-ერთ პრიორიტეტულ საკითხად რჩება. აღნიშნული მიმართულებით, როგორც წინა წლებში, 2021 წელსაც, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა არაერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა. მათ შორის, არსებული საკანონმდებლო ჩარჩოს დახვეწისა და სექტორში საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის დანერგვის მიმართულებით, რაც, თავის მხრივ, მოიცავდა სექტორთან კონსულტაციებს და სამუშაო შეხვედრებს. კერძოდ, შემუშავდა ფინანსური ორგანიზაციების მიერ კრედიტის ამოღებასთან დაკავშირებული ეთიკის კოდექსი და ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესის ცვლილებები. კოდექსი ფინანსური ორგანიზაციების მხრიდან კეთილსინდისიერების, გამჭვირვალობისა და სამართლიანობის პრინციპებზე დამყარებული საქმიანი ურთიერთობების წარმართვას, ხოლო წესის ცვლილებები საბანკო პროდუქტებისა და მომსახურებების, მათ შორის მოთხოვნამდე დეპოზიტებისა და ოვერდრაფტების, მეტ გამჭვირვალობასა და, შედეგად, მომხმარებე-

7. მონაცემები არ შეიცავს საქართველოს საფონდო ბირჟაზე ორმაგად დალისტულ (“Dual Listing”) არასამთავრობო სასესხო ფასიან ქაღალდებსა და სადეპოზიტო სერტიფიკატებს.

ლთა მხრიდან ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებას უზრუნველყოფს. გარდა ამისა, მუდმივად მიმდინარეობდა დაწესებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის მონიტორინგი. ჩატარდა ტრენინგები პრაქტიკოსი მოსამართლეებისთვისაც. აქტიურად ფუნქციონირებდა ფინანსური განათლების პორტალი - ფინედუ; სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებისთვის ტარდებოდა ვებინარები, ონლაინ შეხვედრები და კონკურსები; ტრადიციულად, ცნობიერების ასამაღლებელი ყოველწლიური ღონისძიებები აღინიშნა.

საქართველოს ეროვნული ბანკის საქმიანობის ერთ-ერთ მიმართულებას ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლა წარმოადგენს. „საქართველოს ეროვნული ბანკის ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის საზედამხედველო ჩარჩოს“ მიხედვით განსაზღვრული საზედამხედველო ყურადღების დონეების შესაბამისად, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა, ზედამხედველობას დაქვემდებარებული სუბიექტების მიმართ, 2021 წლის განმავლობაში განსახორციელებელი რისკის შესაბამისი, ეფექტიანი საზედამხედველო ღონისძიებები დაადგინა. ეროვნული ბანკის მიერ საზედამხედველო ყურადღების დონეების განსაზღვრას, რისკების დისტანციური ფორმით იდენტიფიცირებისა და შეფასების უწყვეტი პროცესი უდევს საფუძვლად. აღსანიშნავია, რომ 2021 წელს სესხის გამცემი სუბიექტების ანგარიშგებები ფულის გათეთრების ჭრილში პირველად დამუშავდა. 2021 წლის განმავლობაში განხორციელებული საზედამხედველო ღონისძიებები როგორც კომპლექსურ, ისე თემატურ, სპეციალურ და საკონტროლო ტიპის ადგილზე შემოწმებებს მოიცავდა.

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაკუთრებული მნიშვნელობა პრევენციული საზედამხედველო ღონისძიებების განხორციელებას ენიჭება, რაც საზედამხედველო მოლოდინების შესახებ საფინანსო სექტორის წარმომადგენლების სისტემატურ ინფორმირებასა და მათი შესაბამისობის დონის ამაღლებას უზრუნველყოფს. აღნიშნული მიზნით, 2021 წელს, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა შეიმუშავა სახელმძღვანელო დოკუმენტები და შემუშავებული სახელმძღვანელოების გაცნობისა და პრაქტიკაში ეფექტიანად დანერგვის მიზნით, სასწავლო სემინარები ონლაინ ფორმატში ჩაატარა.

საგადახდო სისტემების ეფექტიანი და შეუფერხებელი ფუნქციონირება საფინანსო სექტორის სტაბილურობისა და ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთი აუცილებელი ფაქტორია. საგადახდო სისტემებით განხორციელებული ტრანზაქციების რაოდენობა და თანხა როგორც მსოფლიოს მასშტაბით, ასევე საქართველოში ზრდას აგრძელებს. შესაბამისად, მათი უსაფრთხო, მდგრადი და ეფექტიანი ფუნქციონირება საფინანსო სისტემის სტაბილურობისა და მოსახლეობისა და ბიზნესის მხრიდან ელექტრონული გადახდების მიმართ მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის მეტად კრიტიკული ხდება. COVID-19 პანდემიით გამოწვეულმა ცვლილებებმა მომსახურებების გაციფრულების მნიშვნელობა, როგორც მომხმარებლებისთვის, ასევე ზოგადად ქვეყნის ეკონომიკისთვის კიდევ უფრო ცხადყო. საგადახდო სისტემების პოტენციური გაუმართაობის თავიდან ასაცილებლად, ფინანსური სისტემები, მათი დიზაინი და ფუნქციონირება საერთაშორისო დონეზე აღიარებულ და ფართოდ მიღებულ სტანდარტებს უნდა ეფუძნებოდეს.

2021 წლის განმავლობაში, COVID-19 პანდემიის შედეგად გამოწვეული გლობალური შეფერხებების მიუხედავად, ეროვნული ბანკის სტატისტიკური საქმიანობა წარმატებით მიმდინარეობდა. წარმატებით განხორციელდა მომხმარებლების ინტერესებზე მორგებული რამდენიმე პროექტი და შემდგომი გეგმების ხორცშესხმის მიზნით ტექნიკური ბაზა მომზადდა.

ქვეყანაში COVID-19 პანდემიის გავრცელების და ეროვნულ ეკონომიკაზე მისი ნეგატიური გავლენის მიუხედავად, აქტიური მუშაობა გრძელდებოდა ქვეყნის ეკონომიკის ლარის ბანკნოტებითა და მონეტებით შეუფერხებელ უზრუნველსაყოფად, ასევე, მიმოქცევაში არსებული ბანკნოტებისა და მონეტების ხარისხის ამაღლების, საემისიო ლარის ბანკნოტების/მონეტებისა და მიმოქცევიდან შემოსული ფულის ნიშნების დადგენილი წესით დამუშავების, ექსპერტიზის საქმიანობის გაუმჯობესებისა და სამართლებრივი ბაზის დახვეწის მიმართულებებით.

საქართველოს ეროვნული ბანკი, ეროვნული ვალუტისა და ქვეყნის პოპულარიზაციის მიზნით, საანგარიშო პერიოდში განაგრძობდა საკოლექციო დანიშნულების ფულის ნიშნების გამოშვებას. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გამოშვებულმა მონეტებმა საზოგადოების დიდი მოწონება დაიმსახურა, რაც მონეტების რეალიზაციის შედეგებით დასტურდება.

2021 წელს აქტიურად გრძელდებოდა საქართველოს ეროვნული ბანკის ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზის განვითარების და სრულყოფა-განახლების პროცესი. საქართველოს ეროვნული ბანკის ავტორობით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან თანამშრომლობით, შემუშავდა „დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდების ფლობის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი და მისგან გამომდინარე ცვლილებები. საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი 2021 წელს ინიცირებულ იქნა საქართველოს პარლამენტში და დაიწყო მისი საკომიტეტო განხილვები.

2021 წელს მნიშვნელოვანი კანონქვემდებარე აქტების პროექტები შევიდა ძალაში მრავალი სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის ნორმატიული სიახლეები შემდეგ საკითხებს შეეხო:

- კონკურენციის რეგულირება ფინანსურ სექტორში;
- მომხმარებელთა უფლებების დაცვა;
- საბანკო ზედამხედველობა;
- ფიზიკური პირის დაკრედიტება;
- არასაბანკო ზედამხედველობა;
- საკრედიტო რეესტრის შექმნა და გამოყენება;
- ფასიანი ქაღალდების ბაზრის ზედამხედველობა და საინვესტიციო ფონდები;
- ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის მარეგულირებელი კანონმდებლობა;
- ჯარიმების დაკისრების წესები;
- ინფორმაციის კონფიდენციალურად მიჩნევისა და მისი გაცემის წესები.

2021 წელს, ჯერ კიდევ მიმდინარე გლობალური პანდემიის უარყოფითი შედეგების გამკლავების დროს, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მაკროეკონომიკური პოლიტიკის ეფექტური რეაგირება საერთაშორისო სარეიტინგო კომპანიების მიერ საქართველოს საკრედიტო რეიტინგების შენარჩუნებაში აისახა. თებერვალში საერთაშორისო სარეიტინგო კომპანიამ "Standard&Poor's"-მა (S&P) საქართველოს სუვერენული რეიტინგი უარყოფითი პერსპექტივით "BB" დონეზე დაადასტურა. აგვისტოში „Fitch Ratings"-მა საქართველოს პერსპექტივა უარყოფითიდან სტაბილურამდე გააუმჯობესა, ხოლო სუვერენული რეიტინგი BB დონეზე შეინარჩუნა. ასევე სექტემბერში საერთაშორისო სარეიტინგო კომპანია Moody's-მა საქართველოს რეიტინგი Ba2-ზე, ხოლო პერსპექტივა - სტაბილურზე დაადასტურა. რეიტინგის შენარჩუნება საერთაშორისო სავალუტო ფონდის ოთხწლიანი გაფართოებული დაფინანსების მექანიზმის პროგრამის ფარგლებში განხორციელებული სტრუქტურული რეფორმებითა და შოკების მიმართ ეკონომიკის მოქნილობის ხელშეწყობით იყო გამოწვეული.

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გაწეულმა სამუშაომ საერთაშორისო აღიარება გასული წლების მსგავსად, 2021 წელსაც მოიპოვა. ამას არაერთი ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაცია ადასტურებს. კერ-

ძოდ, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკი, ევროპის საინვესტიციო ბანკი, აზიის განვითარების ბანკი, ევროპისა და რეკონსტრუქციის ბანკი, სარეიტინგო კომპანიები და სხვა. აღსანიშნავია, რომ ავტორიტეტულმა საერთაშორისო გამოცემამ, Global Finance-მა, ეროვნული ბანკის პრეზიდენტი, ზედიზედ უკვე მეოთხედ, 2021 წლის ცენტრალური ბანკების საუკეთესო მმართველთა შორის დაასახელა. ასევე, საერთაშორისო სავალუტო ფონდი ახალ პროგრამასთან დაკავშირებით გამოცემულ პრესრელიზში აღნიშნავს, რომ „საქართველოს ეროვნული ბანკი ინფლაციის სამიზნე მაჩვენებელთან დასაახლოებლად მართებულად ფოკუსირებული რჩება და ამ თვალსაზრისით მიმდინარე და მომავალ წელს მნიშვნელოვან პროგრესს მოველით, რადგანაც ფასებზე ზრდის მიმართულებით მოქმედი გლობალური ფაქტორები მიილევა. ინფლაციის თარგეთირების ჩარჩო, მცურავი გაცვლითი კურსის რეჟიმთან ერთად საქართველოს კარგ სამსახურს უწევს. მცურავი გაცვლითი კურსის რეჟიმი, რომელიც შოკების შემწოვ ფუნქციას ასრულებს, კვლავ შენარჩუნდება და სავალუტო ინტერვენციები შეზღუდულად, ჭარბი მერყეობის შესარბილებლად და სავალუტო ბაზრის გაუმართავი მუშაობის პრევენციისათვის განხორციელდება.[8]

8. დეტალური ინფორმაცია იხილეთ:
https://www.imf.org/en/News/Articles/2022/04/01/pr22101georgia-and-imf-conclude-staff-level-agreement-on-a-three-year-us-289-million-sba

01

მაკროეკონომიკური გარემო

1.1 მსოფლიო ეკონომიკა

2022 წლის თებერვალში რუსეთის ფედერაციის უკრაინაში შეჭრის გამო უკიდურესად გართულებული გეოპოლიტიკური ვითარების პირობებში, 2022 წელს მოსალოდნელია მაკროეკონომიკური სიტუაციის გართულება, განსაკუთრებით, სასაქონლო ბაზრებზე მიწოდების მიმართულებით, რაც ამ ბაზრებზე ფასების ზრდას შეუწყობს ხელს. რაც შეეხება 2021 წელს, COVID-19 პანდემიის შედეგად გადატანილი 2020 წლის ღრმა ეკონომიკური კრიზისის შემდგომ, 2021 წელს გლობალური ეკონომიკური აქტივობა საკმაოდ გაჯანსაღდა. აღნიშნულს ხელი შეუწყო პანდემიასთან დაკავშირებული შეზღუდვების ეტაპობრივმა შემსუბუქებამ და მასშტაბური ვაქცინაციის პროგრამამ მსოფლიოში; ამასთანავე, ქვეყნებმა უპრეცედენტოდ მაღალი ფისკალური და მონეტარული სტიმული განახორციელეს. თუმცა, წლის განმავლობაში COVID-19-ის ახალი შტამების გამოჩენა (დელტა, ომიკრონი) დამატებით საფრთხეს ქმნიდა, რის გამოც ბევრ ქვეყანას კვლავ შეზღუდვების გამკაცრება უწევდა, აღნიშნული კი ეკონომიკურ საქმიანობას მნიშვნელოვნად აფერხებდა. ჯამში, საერთაშორისო სავალუტო ფონდის (სსფ) 2022 წლის აპრილის შეფასების[9] მიხედვით, გლობალური ეკონომიკური ზრდა 2021 წელს 6.1 პროცენტი იყო. 2021 წლის დასაწყისიდან სამომხმარებლო ფასების ინდექსი როგორც განვითარებულ, ასევე მზარდ და განვითარებად ქვეყნებში მკვეთრად გაიზარდა რაც, ძირითადად, პანდემიის პირობებში მიწოდების მხარეს წარმოქმნილი შეფერხებებით და საერთაშორისო სასაქონლო ბაზრებზე პროდუქციის ფასების მზარდი დინამიკით იყო განპირობებული. წინა წელთან შედარებით, FAO-ს[10] საკვები პროდუქტების ფასების ინდექსი 2021 წელს საშუალოდ დაახლოებით 28 პროცენტით გაიზარდა, ხოლო ნავთობის საერთაშორისო ფასი კი თითქმის გაორმაგდა.

ევროზონასა და დიდ ბრიტანეთში, პანდემიასთან დაკავშირებული შეზღუდვების ეტაპობრივი შემსუბუქების პარალელურად, ეკონომიკური აქტივობა გაუმჯობესდა. სამომხმარებლო და ბიზნეს განწყობები გაიზარდა, ნაწილობრივ გაჯანსაღდა აქტივობა საწარმოო და სამრეწველო სექტორშიც. წლის მეორე ნახევრიდან, ვაქცინაციის პარალელურად, აღდგენა დაიწყო ინვესტიციების მოცულობამ და ტურიზმის სექტორმაც. თუმცა, 2021 წლის განმავლობაში ინფლაციური წნეხიც გაიზარდა. პანდემიის ფონზე, ევროპის ცენტრალურმა ბანკმა (ECB) ფართო რაოდენობრივი შერბილების პროგრამა 2022 წლის მარტამდე გაახანგრძლივა. ეკონომიკური აქტივობა გაჯანსაღდა მზარდ და განვითარებად ეკონომიკებშიც, თუმცა უფრო დაბალი ტემპებით, ვიდრე განვითარებულ ქვეყნებში. აღნიშნული ვაქცინაციის პროცესის დაბალი ტემპით მიმდინარეობასა და ინფიცირების მაჩვენებლების საკმაოდ მაღალ რიცხვებს უკავშირდება. საერთო ჯამში კი, ამ ქვეყნებში, COVID-19 პანდემიასთან დაკავშირებული შეზღუდვების შემსუბუქების ფონზე, გაუმჯობესდა როგორც სამომხმარებლო, ისე ბიზნეს განწყობები. წარმოების მოცულობასთან ერთად გაჯანსაღდა გაყიდვებიც. ნავთობის ფასების ზრდასთან ერთად, ექსპორტის და ინვესტიციების მოცულობამაც მოიმატა. წლის მეორე ნახევრიდან ტურიზმის სექტორიც გაუმჯობესდა. თუმცა, მაღალი ინფლაციური გარემოს ფონზე, ცენტრალურმა ბანკებმა მონეტარული პოლიტიკის გამკაცრება დაიწყეს.

პანდემიასთან დაკავშირებული შეზღუდვების შერბილების პარალელურად, 2021 წლის პირველ ნახევარში ზრდის ტემპები საგრძნობლად გაუმჯობესდა აშშ-ში. კერძოდ, საგარეო მოთხოვნა დასტაბილურდა, უმუშევრობის დონის კლების კვალდაკვალ, სამომხმარებლო განწყობები და დანახარჯები გაიზარდა. ასევე გაუმჯობესდა ბიზნესს განწყობებიც. მასშტაბური ვაქცინაციისა

9. International Monetary Fund. 2022. World Economic Outlook: War Sets Back The Global Recovery. Washington, D.C., April.
10. გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია

და, ასევე, ძლიერი ფისკალური და მონეტარული სტიმულის ფონზე, ეკონომიკური აქტივობის გაუმჯობესება წლის მეორე ნახევარშიც გაგრძელდა, თუმცა COVID-19-ის ახალი ვარიანტების გამოჩენა ამ პერიოდში მნიშვნელოვან გამოწვევად იქცა. საბოლოო ჯამში, სსფ-ს აპრილის შეფასებით, აშშ-ს რეალური ეკონომიკური ზრდა 2021 წელს 5.7 პროცენტით განისაზღვრა, ხოლო წლიური ინფლაცია საშუალოდ 4.7 პროცენტი იყო. მიუხედავად იმისა, რომ 2021 წლის განმავლობაში ინფლაციის წლიური მაჩვენებელი საკმაოდ გაიზარდა, ფედერალურმა სარეზერვო სისტემამ ფედერალური ფონდების განაკვეთი შემცირებულ დონეზე (0-0.25 პროცენტიან შუალედში) შეინარჩუნა.

დიაგრამა N 1.1 რეალური მშპ-ის ზრდა მსოფლიოში



წყარო: საერთაშორისო სავალუტო ფონდი

COVID-19 პანდემიასთან დაკავშირებული შეზღუდვების ეტაპობრივი მოხსნის პარალელურად, ასევე, მაღალი ფისკალური და მონეტარული სტიმულის ფონზე, ეკონომიკურმა აქტივობამ იმატა საქართველოს სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებშიც, სადაც სამომხმარებლო და ბიზნეს განწყობები გაუმჯობესდა. გაჯანსაღდა საწარმოო და სამრეწველო სექტორი და ტურიზმი და ინვესტიციებიც ნაწილობრივ აღდგა. 2021 წელს, მასშტაბური ვაქცინაციის პარალელურად, განვითარებულ ქვეყნებში ეკონომიკური აქტივობა დაჩქარდა, რასაც ხელი საბაზო ეფექტმაც შეუწყო. გერმანიაში წარმოების პროცესი გაჯანსაღდა და საცალო გაყიდვები გაიზარდა. სამომხმარებლო და ბიზნეს განწყობები გაუმჯობესდა, ხოლო ექსპორტის და ინვესტიციების მოცულობამ მოიმატა. სსფ-ს შეფასებით, გერმანიაში რეალური ეკონომიკური ზრდა 2021 წელს 2.8 პროცენტი იყო. მძიმე კრიზისის შემდეგ, ეკონომიკური აქტივობა გაუმჯობესდა იტალიაშიც, სადაც ვაქცინაციის პროცესი მაღალი ტემპით მიმდინარეობდა. შედეგად, იტალიის რეალური ეკონომიკა 2021 წელს 6.6 პროცენტით გაიზარდა. ეკონომიკური აქტივობა გაუმჯობესდა საფრანგეთშიც, სადაც მოიმატა როგორც სამომხმარებლო, ასევე ბიზნეს განწყობებმა. სსფ-ს შეფასებით, საფრანგეთის რეალური ეკონომიკა 2021 წელს 7 პროცენტით გაიზარდა. ეკონომიკური აქტივობის გაჯანსაღება შეიმჩნეოდა ესპანეთშიც, რასაც ვაქცინაციის მაღალმა ტემპმა და ძლიერმა ფისკალურმა

სტიმულმა შეუწყო ხელი. ესპანეთის რეალური ეკონომიკა 2021 წელს 5.1 პროცენტით გაიზარდა. ნიშანდობლივია, რომ 2021 წლის განმავლობაში გაიზარდა ინფლაციური მოლოდინები და ინფლაციის წლიური მაჩვენებელი, შესაბამისად, ევროზონის ქვეყნების წლიური ინფლაცია, 2021 წელს საშუალოდ 2.6 პროცენტი იყო. აღსანიშნავია, რომ ანალოგიური მაჩვენებელი 2019 წელს - 1.2, ხოლო 2020-ში - 0.3 პროცენტი იყო.

2021 წლის პირველ ნახევარში ეკონომიკური აქტივობის გაუმჯობესება შეიმჩნეოდა თურქეთში, სადაც საგრძნობლად გაჯანსაღდა ბიზნეს კლიმატი, საწარმოო სექტორი და გაიზარდა ექსპორტის მოცულობაც. საკრედიტო აქტივობის მატებასთან ერთად გაიზარდა სამომხმარებლო დანახარჯებიც. მცირედ გაჯანსაღდა ტურიზმის სექტორი, ასევე ინვესტიციებიც. თუმცა, 2021 წლის ბოლოს, ეკონომიკური აქტივობის ზრდის ტემპი შეფერხდა, რაც ძირითადად ლირის ბოლოდროინდელი რეკორდულად გაუფასურებით იყო განპირობებული, რამაც ინფლაციური წნეხი კიდევ უფრო გაზარდა. სსფ-ს აპრილის შეფასებით, თურქეთის რეალური ეკონომიკა 2021 წელს 11 პროცენტით გაიზარდა. რაც შეეხება ინფლაციას, ის 2021 წელს საშუალოდ 19.6 პროცენტიან ნიშნულზე იყო.

დიაგრამა N 1.2 სფი ინფლაცია მსოფლიოში



წყარო: საერთაშორისო სავალუტო ფონდი

2021 წლის პირველ ნახევარში, ეკონომიკური აქტივობა საკმაოდ გაუმჯობესდა რუსეთშიც. აღნიშნული, ძირითადად, COVID-19 პანდემიასთან დაკავშირებული შეზღუდვების შემსუბუქებასა და გლობალურ ვაქცინაციასთან იყო დაკავშირებული, რის ფონზეც გაიზარდა სამომხმარებლო დანახარჯები და საცალო გაყიდვები და გაუმჯობესდა სამომხმარებლო და ბიზნეს განწყობები. ნავთობის ფასების ზრდის პარალელურად, საგარეო სექტორიც გაუმჯობესდა. თუმცა, წლის მეორე ნახევარში, საგრძნობლად გაიზარდა წლიური ინფლაციის მაჩვენებელი, რის ფონზეც, გაზრდილ მოლოდინებზე საპასუხოდ, რუსეთის ცენტრალურმა ბანკმა მონეტარული პოლიტიკა რამდენჯერმე გაამკაცრა. სსფ-ს შეფასებით, 2021 წელს რეალური ეკონომიკა რუსეთში 4.7 პროცენტით გაიზარდა, ინფლაციის დონე კი საშუალოდ 6.7 პროცენტი იყო.

2021 წელს მაღალი ეკონომიკური აქტივობა იყო უკრაინაშიც, სადაც სამრეწველო სექტორის მაჩვენებლები სამომხმარებლო და ბიზნეს განწყობებთან ერთად გაუმჯობესდა. პანდემიასთან დაკავშირებული შეზღუდვების შემსუბუქების კვალდაკვალ სამომხმარებლო დანახარჯები და საცალო გაყიდვები გაიზარდა, ხოლო გლობალურად აქტივობის გაუმჯობესების ფონზე კი სავაჭრო ბალანსი მცირედ დასტაბილურდა. თუმცა წლის განმავლობაში გაიზარდა ინფლაციური მოლოდინები, რის ფონზეც ინფლაციურმა წნეხმა მოიმატა. სსფ-ს შეფასებით, უკრაინის რეალური ეკონომიკა 2021 წელს 3.4 პროცენტით გაიზარდა, ხოლო ინფლაციის დონე, საშუალოდ, 9.4 პროცენტი იყო.

2021 წელს, ზრდის ტემპები დასტაბილურდა სომხეთშიც, რასაც პანდემიასთან დაკავშირებული შეზღუდვების შერბილებამ შეუწყო ხელი. შედეგად, საწარმოო სექტორი და სამომხმარებლო დანახარჯები გაიზარდა. წლის მეორე ნახევარში სამომხმარებლო და ბიზნეს განწყობებმა მოიმატა და ფულადი გზავნილებიც გაიზარდა. თუმცა, 2021 წლის განმავლობაში საშუალო წლიური ინფლაცია 7.2 პროცენტამდე გაიზარდა (2020 წლის ანალოგიური მაჩვენებელი - 1.2 პროცენტი), რაც ქვეყნისთვის საკმაოდ მაღალი მაჩვენებელი იყო. აღნიშნულის ფონზე სომხეთის ცენტრალურმა ბანკმა მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი რამდენჯერმე გაამკაცრა. სსფ-ს შეფასებით, სომხეთის რეალური მშპ 2021 წელს 5.7 პროცენტით გაიზარდა.

რაც შეეხება აზერბაიჯანს, 2021 წელს აზერბაიჯანის სანავთობო, ისევე როგორც არასანავთობო სექტორში ზრდის ტემპები გაუმჯობესდა. აღნიშნულს, დიდწილად, ხელი შეუწყო ნავთობის ფასების მზარდმა დინამიკამ საერთაშორისო ბაზარზე და სამრეწველო და საწარმოო სექტორის გაუმჯობესებამ. წლის განმავლობაში ნავთობმოპოვება და გადამუშავება გაიზარდა, რის ფონზეც საგარეო სექტორიც დასტაბილურდა. თუმცა, მოიმატა ინფლაციის მაჩვენებელმაც. სსფ-ს შეფასებით, 2021 წელს აზერბაიჯანის რეალური მშპ 5.6 პროცენტით გაიზარდა, ხოლო წლიური ინფლაცია კი საშუალოდ 6.7 პროცენტი იყო.

საბოლოო ჯამში, საქართველოს სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების ეკონომიკა 2021 წელს 5.7 პროცენტით გაიზარდა მაშინ, როდესაც 2020 წელს, საშუალოდ 4.1 პროცენტით შემცირდა. რაც შეეხება საქართველოს, 2021 წელს რეალური მშპ, წინასწარი მონაცემებით, 10.4 პროცენტით გაიზარდა, ხოლო 2020 წელს კი, 6.8 პროცენტიანი შემცირება იყო (იხ. დიაგრამა 1.3). 2021 წლის ინფლაციამ კი საშუალოდ 9.6 პროცენტი შეადგინა.

დიაგრამა N 1.3 რეალური მშპ-ის ზრდა საქართველოში და სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების საშუალო შეწონილი ზრდა



წყარო: საერთაშორისო სავალუტო ფონდი

საქართველოს სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების ცენტრალურმა ბანკებმა, გაზრდილი ინფლაციური წნეხისა და ინფლაციური მოლოდინების საპასუხოდ, 2021 წლის განმავლობაში მონეტარული პოლიტიკის განაკვეთები რამდენჯერმე გაზარდეს. გამონაკლისია თურქეთი, სადაც, მიუხედავად ინფლაციის მაღალი მაჩვენებლისა, მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი წლის მეორე ნახევარში მცირდებოდა. აშშ-ის ფედერალურმა სარეზერვო სისტემამ 2021 წელს ფედერალური ფონდების განაკვეთი 0-0.25 პროცენტიან შუალედში შეინარჩუნა, თუმცა, გაზრდილი ინფლაციის ფონზე, შეიქმნა მოლოდინები, რომ აშშ-ში საპროცენტო განაკვეთების ზრდა უფრო ადრე (2022 წელს) დაიწყებოდა. რაც შეეხება ევროპის ცენტრალურ ბანკს, მან საპროცენტო განაკვეთი უცვლელად, 0 პროცენტის დონეზე დატოვა, თუმცა, პანდემიის უარყოფითი ეფექტების შესამსუბუქებლად, ფართო რაოდენობრივი შერბილების პროგრამა 2022 წლამდე გაახანგრძლივა.

1.2 საგარეო სექტორი და საგადასახდელო ბალანსი

2021 წელს საქართველოს ეკონომიკაზე პანდემიის უარყოფითი ზეგავლენა გრძელდებოდა, თუმცა საგარეო მოთხოვნა არსებითად გაიზარდა და ეკონომიკურ ზრდაში დადებითი წვლილი შეიტანა. მსოფლიოში COVID-19-ის საწინააღმდეგოდ ვაქცინაციის დაწყებამ ნაწილობრივ ეკონომიკური გაურკვევლობა შეამცირა, თუმცა საწარმოო პროცესები ჯერ კიდევ პანდემიამდელ დონეს ვერ დაუბრუნდა. ეკონომიკური გაჯანსაღების პროცესთან ერთად, ბევრ ქვეყანაში ინფლაციამ ბოლო ათწლეულების რეკორდულ დონეს მიაღწია, რის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამომწვევი მიზეზი სასაქონლო ბაზრებიდან წამოსული წნეხი იყო. აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო მობილობაზე დაწესებული უმეტესი შეზღუდვები გაუქმდა, რაც ტურიზმის ნაწილობრივ აღდგე-

ნას დაეხმარა. საქართველოში საერთაშორისო მოგზაურების რაოდენობამ ეტაპობრივი აღდგენა დაიწყო, რამაც ტურიზმიდან და მასთან დაკავშირებულ ბიზნესსაქმიანობიდან მიღებულ შემოსავლებზე დადებითი გავლენა მოახდინა. ქვეყანაში დაიწყო ეკონომიკური გაჯანსაღება - ერთობლივი მოთხოვნა მნიშვნელოვნად გაიზარდა და ბიზნესის მოლოდინები გაუმჯობესდა. თანდათანობით გაიზარდა საგარეო მოთხოვნა საქონელზე, თუმცა მომსახურების ექსპორტი, განსაკუთრებით ტურიზმი, კვლავ დაბალ ნიშნულზე იყო. შიდა მოთხოვნის გააქტიურებამ საქონლის იმპორტი გაზარდა. აღსანიშნავია, რომ ფულადი გზავნილების მზარდი დინამიკა 2021 წელსაც გაგრძელდა. აღნიშნული ფაქტორების შედეგად, 2021 წელს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი მცირედით გაუმჯობესდა (იხ. დიაგრამა N 1.4).

2021 წლის მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი - მშპ-ს 9.8 პროცენტი - წინა წლის მაჩვენებელზე მშპ-ს 2.6 პროცენტული პუნქტით ნაკლებია. აბსოლუტურ გამოხატულებაში მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი 131 მლნ აშშ დოლარით გაუმჯობესდა და 1,834 მლნ აშშ დოლარი შეადგინა (იხ. ცხრილი N 1.1). საქონლით ვაჭრობის დეფიციტი 2021 წელს მშპ-თან ფარდობაში თითქმის იმავე ნიშნულზე (მშპ-ს 20.1 პროცენტი) დარჩა. საერთაშორისო მოგზაურებიდან მიღებული შემოსავლების ეტაპობრივი აღდგენის ფონზე (წლიური ზრდა - 129.8 პროცენტი, თუმცა 2019-თან შედარებით კლება - 61.9 პროცენტი), მომსახურებით ვაჭრობის პროფიციტი გაიზარდა და მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის გაუმჯობესება განაპირობა. 2021 წელს მიმდინარე ანგარიშის ბალანსზე პირველადი[11] შემოსავლის დეფიციტმა უარყოფითად იმოქმედა, რაც, ძირითადად, საინვესტიციო შემოსავლის მუხლში გადინებით არის გამოწვეული. აღსანიშნავია, რომ წინა წლების მსგავსად, როგორც გაცემული დივიდენდების, ასევე რეინვესტირებული შემოსავლების მოცულობა მაღალია, რაც მიმდინარე ანგარიშის დეფიციტზე ზრდის მიმართულებით მოქმედებს.

დიაგრამა N 1.4 მიმდინარე ანგარიშის კომპონენტების ფარდობა მშპ-თან



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

11. პირველადი შემოსავალი მიმდინარე ანგარიშის მუხლია, სადაც აღირიცხება რეზიდენტებისა და არარეზიდენტების შემოსავლები, რომელიც დაკავშირებულია საწარმოო პროცესებთან და ქონებასთან (მაგ. როგორიცაა შრომის ანაზღაურება, საინვესტიციო შემოსავალი და ა.შ).

საქონლით ვაჭრობა მიმდინარე ანგარიშის კვლავ ყველაზე დეფიციტური კომპონენტია. 2021 წელს საქონლით ვაჭრობის დეფიციტის მოცულობა გაიზარდა, თუმცა მშპ-თან მიმართებაში იგივე დარჩა. როგორც აღვნიშნეთ, 2021 წლის განმავლობაში საქონლის ექსპორტი მნიშვნელოვნად გაიზარდა. წლის პირველ ნახევარში, საქონლის ექსპორტის მატება, როგორც რეგიონის ქვეყნებში, ასევე გლობალურად, COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაციის დაწყებამ და ეკონომიკური აქტივობების მიმართ დაწესებული შეზღუდვების შერბილებამ განაპირობა. წლის მეორე ნახევარში ექსპორტის მატება დაჩქარდა, რაც უმეტესად შეზღუდვების გაუქმებასა და მოსალოდნელზე მეტად სწრაფ ეკონომიკურ გაჯანსაღებას უკავშირდებოდა. მთლიანობაში, საქონლის ექსპორტი წლიურად 27.4 პროცენტით გაიზარდა. რაც შეეხება იმპორტს, საწარმოო პროცესების აღდგენისა და გაზრდილი შიდა მოთხოვნის გამო ის 2021 წლის მეორე კვარტლიდან ეტაპობრივად გაიზარდა და მთლიანობაში წლიური 23.8 პროცენტიანი მატება აჩვენა. შედეგად, სავაჭრო დეფიციტის ნომინალური მოცულობა გაიზარდა და მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის გაღრმავებაში, წინა წელთან შედარებით, მეტი წვლილი შეიტანა (იხ. დიაგრამა N 1.5).

დიაგრამა N 1.5 საქონლის ექსპორტისა და იმპორტის წლიური ცვლილება (2019-2021 წელი)[12]



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

12. საგადასახდელო ბალანსის საქონლის ექსპორტი და საქონლის იმპორტი. საგარეო ვაჭრობა და საგადასახდელო ბალანსის საქონლით ვაჭრობა განსხვავებული ცნებებია, რომლებიც განსხვავებულ კონცეფციებს ეყრდნობა. თუ საგარეო ვაჭრობისათვის განმსაზღვრელია საზღვრის გადაკვეთის პრინციპი, საგადასახდელო ბალანსის საქონლით ვაჭრობისათვის განმსაზღვრელი პრინციპია რეზიდენტსა და არარეზიდენტს შორის საკუთრების უფლების ცვლილება. გარდა ამისა, საგარეო ვაჭრობის სტატისტიკაში ექსპორტი მოცემულია FOB ფასებში, ხოლო იმპორტი CIF ფასებში მაშინ, როდესაც საგადასახდელო ბალანსის საქონლით ვაჭრობაში როგორც ექსპორტი, ისე იმპორტი, FOB ფასებშია მოცემული.

საქართველოდან საქონლის ექსპორტი თითქმის ყველა სავაჭრო პარტნიორ ქვეყანაში გაიზარდა. კერძოდ, 2021 წელს როგორც რეგიონის, ასევე სხვა ქვეყნებში ექსპორტი მომატებულია. რეგიონის ქვეყნებში ექსპორტის მატება, ძირითადად, რუსეთში (38.3 პროცენტით), თურქეთსა (69.1 პროცენტით) და აზერბაიჯანში (20.5 პროცენტით) ექსპორტის ზრდით იყო განპირობებული. ევროკავშირის ქვეყნებში ექსპორტის მატების კუთხით გამოირჩეოდნენ: იტალია (68.4 პროცენტით) და რუმინეთი (64.1 პროცენტით), ხოლო ბულგარეთში (-18.8 პროცენტით) მნიშვნელოვანი კლება დაფიქსირდა. დანარჩენი ქვეყნებიდან მაღალი წვლილებით ჩინეთსა (29.0 პროცენტით) და აშშ-ში (143.2 პროცენტით) ექსპორტის ზრდა გამოირჩეოდა.

2021 წლის მონაცემებით, საქართველოს უმსხვილესი საექსპორტო პარტნიორი ევროკავშირის ეკონომიკაა, რომელზეც მთლიანი ექსპორტის 16.9 პროცენტი მოდის. დანარჩენი ქვეყნებიდან აღსანიშნავია: რუსეთი (14.4 პროცენტი), აზერბაიჯანი (12.5 პროცენტი), თურქეთი (7.6 პროცენტი) და უკრაინა (7.2 პროცენტი). გარდა ამისა, მთლიან ექსპორტში 14.5 პროცენტიანი წილით ჩინეთში ექსპორტი გამოირჩეოდა, რომელიც წლიურად 29 პროცენტით გაიზარდა. ამ ექსპორტის უდიდესი ნაწილი (88 პროცენტი) კვლავ ძვირფასი ლითონების, ასევე სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების რეექსპორტს უკავშირდება.

დიაგრამა N 1.6 ექსპორტის სტრუქტურა ქვეყნების მიხედვით 2021 წ.



წყარო: საქსტატი

2021 წელს საქონლის ექსპორტში მნიშვნელოვანი წილი ჰქონდა სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების რეექსპორტს, რომელიც წინა წელთან შედარებით 4.7 პროცენტით გაიზარდა და მთლიანი ექსპორტის 19.2 პროცენტი შეადგინა. გარდა ამისა, მაღალი წილი ჰქონდა მსუბუქი ავტომობილების ექსპორტს, რომელიც წლიურად 13.0 პროცენტით გაიზარდა, თუმცა პანდემიამდელ დონესთან შედარებით მანქანების ექსპორტი კვლავ დაბალი იყო. ადგილობრივი წარმოების საქონლის ჯგუფიდან წამყვან პოზიციებს ფეროშენადნობების, ყურძნის ნატურალური ღვინოების, სპირტიანი სასმელებისა და მინერალური წყლების ექსპორტი ინარჩუნებდა, რომელთა მოცულობები, შესაბამისად, 93.0, 13.8, 17.7 და 21.6 პროცენტით გაიზარდა. ასევე, არსებითად გაზრდილია

ქიმიური სასუქების, კაკლისა და სამკურნალო საშუალებების ექსპორტი. ამის საპირისპიროდ, დაუმუშავებელი ოქროს ექსპორტმა მცირედით დაიკლო. მთლიანობაში, 2021 წელს, საქონლის ექსპორტი 26.9 პროცენტით გაიზარდა, ხოლო რეექსპორტის კატეგორიების გარეშე მატება 29.9 პროცენტი იყო. აღსანიშნავია ისიც, რომ საქონლის ექსპორტის ასეთი შთამბეჭდავი ზრდის მიუხედავად, 2019 წელთან შედარებით რეალური ექსპორტი მცირედით შემცირდა, ხოლო საქონლის მიხედვით ექსპორტი კი უფრო მეტად დივერსიფიცირებული გახდა.

დიაგრამა N 1.7 უმსხვილესი საექსპორტო ჯგუფების ათეული 2019-2021 წწ.



წყარო: საქსტატი

2021 წელს ყველაზე მეტი წვლილი საქონლის იმპორტის ზრდაში სამომხმარებლო საქონლის ჯგუფმა დაიკავა, რაც მძლავრ შიდა მოთხოვნასა და რეექსპორტის გააქტიურებას უკავშირდება. კერძოდ, მნიშვნელოვნად გაიზარდა მსუბუქი ავტომობილების რეექსპორტი. გარდა ამისა, არსებითად მოიმატა სამომხმარებლო კატეგორიის ერთ-ერთმა უმსხვილესმა საიმპორტო საქონელმა - ნავთობი და ნავთობპროდუქტები (მთლიანი იმპორტის 8.2 პროცენტი). ამ უკანასკნელზე მნიშვნელოვანი გავლენა წლის განმავლობაში ნავთობის საერთაშორისო ფასების ზრდამ მოახდინა. კერძოდ, 2021 წლის განმავლობაში ნავთობისა და ნავთობპროდუქტების იმპორტზე დანახარჯებმა 65.0 პროცენტით მოიმატა, აქედან ფასის ეფექტი 58.2 პროცენტული პუნქტია, ხოლო რეალური მოხმარება 6.7 პროცენტით გაიზარდა. შუალედური მოხმარების საქონლის იმპორტის ზრდა უმეტესწილად სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების, ასევე იმუნური შრატებისა და ნავთობაირების შემოტანის მატებამ განაპირობა. გასულ წელთან შედარებით, მსუბუქმა ავტომობილებმა, სპილენძის მადნებმა და კონცენტრატებმა და სამკურნალო საშუალებებმა, როგორც რეექსპორტის წამყვანმა სასაქონლო ჯგუფებმა, საქონლის მთლიანი იმპორტის მატებაში მნიშვნელოვანი წვლილი (4.0 პპ) შეიტანა. საინვესტიციო საქონლის ჯგუფებიდან იმპორტის ზრდაში მაღალი წვლილებით გამომთვლელი მანქანებისა და მათი ბლოკების, ასევე მსხვილი

სამშენებლო ტექნიკისა და სპეციალური დანიშნულების ავტომობილების ჯგუფები გამოირჩეოდა.

აღსანიშნავია, რომ 2021 წელს საქონლის იმპორტის მაღალ ზრდას იმპორტული საქონლის აშშ დოლარში გამოხატული ფასების ზრდამაც შეუწყო ხელი. ნომინალურ გამოსახულებაში, საქონლის იმპორტი 2019 წელთან შედარებითაც მომატებულია (11.7 პროცენტით), თუმცა რეალური იმპორტი პანდემიამდელი პერიოდის მაჩვენებელს ჯერ კიდევ ჩამორჩება. გარდა ამისა, 2021 წელს საქონელთა მიხედვით იმპორტი უფრო მეტად დივერსიფიცირებული გახდა.

იმპორტის რეგიონული ანალიზი გვიჩვენებს, რომ 2021 წელს როგორც ევროკავშირიდან (24.7 პროცენტით), ისე დანარჩენი ქვეყნების კატეგორიიდან (25.2 პროცენტით) იმპორტი გაიზარდა. რეგისტრირებული საქონლის იმპორტის მატებამ წლიურად 25.1 პროცენტი შეადგინა. ამ ზრდაში მაღალი წვლილებით თურქეთი (5.2 პპ), ჩინეთი (1.9 პპ) და რუსეთი (1.7 პპ) გამოირჩეოდნენ. ევროკავშირის ქვეყნებიდან მთლიანი იმპორტის ზრდაში დიდი წვლილები გერმანიიდან (1.0 პპ) და ბულგარეთიდან (0.8 პპ) იმპორტის მატებამ შეიტანა. ხოლო თურქმენეთიდან იმპორტის არსებითი ზრდა ნავთობისა და ნავთობპროდუქტების შესყიდვებმა გამოიწვია.

წინა წლების მსგავსად, იმპორტიორ ქვეყნებს შორის, ევროკავშირის შემდეგ, კვლავ თურქეთი ლიდერობდა, საიდანაც 2021 წელს იმპორტი წლიურად 29.6 პროცენტით გაიზარდა. რუსეთიდან იმპორტმა 15.8 პროცენტით მოიმატა და მთლიანი იმპორტის 10.2 პროცენტი შეადგინა. იმპორტი ასევე ჩინეთიდან ძირითადად სამშენებლო ტექნიკისა და იმუნური შრატების, ხოლო აშშ-დან მსუბუქი ავტომობილების შესყიდვების მატების გავლენით გაიზარდა (იხ. დიაგრამა N 1.8).

დიაგრამა N 1.8 იმპორტის სტრუქტურა ქვეყნების მიხედვით 2021 წ.



წყარო: საქსტატი

2021 წელს მომსახურებით ვაჭრობის ბალანსმა მიმდინარე ანგარიშზე დადებითად იმოქმედა. კერძოდ, მომსახურების პროფიციტის ფარდობამ მშპ-თან 3.9 პროცენტი შეადგინა, რაც წინა წლის მაჩვენებელზე მთლიანი შიდა პროდუქტის 3.1 პროცენტული პუნქტით მეტია. აბსოლუტურ გამოსახულებაში, მომსახურებით ვაჭრობის დადებითი სალდო 2021 წელს, წინა წელთან შედარებით, 600 მლნ აშშ დოლარით მეტი იყო და 724 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაციის დაწყებამ და გლობალური შეზღუდვების (საერთაშორისო საჰაერო და სახმელეთო მიმოსვლის აღდგენა) ეტაპობრივმა შემსუბუქებამ, როგორც მოსალოდნელი იყო, მომსახურების ექსპორტზე, განსაკუთრებით ტურიზმსა და მასთან დაკავშირებულ ბიზნესსაქმიანობებზე, დადებითად იმოქმედა. შედეგად, საერთაშორისო მოგზაურებიდან მიღებულმა შემოსავლებმა, რომლებიც მომსახურების ექსპორტის ძირითად ნაწილს წარმოადგენს, 2021 წელს 1,245 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის მაჩვენებელს 129.8 პროცენტით აღემატება (იხ. დიაგრამა N 1.9). თუმცა, შემოსავლები 2019 წელთან შედარებით ჯერ კიდევ დაბალი იყო (61.9 პროცენტით). აღსანიშნავია, რომ პანდემიამდე საერთაშორისო მოგზაურებიდან მიღებული შემოსავლები საქონლით ვაჭრობის დეფიციტის დაფინანსების ერთერთი მნიშვნელოვანი წყარო იყო.

დიაგრამა N 1.9 ტურიზმის ექსპორტიდან მიღებული შემოსავლები (2019-2021)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2021 წელს, საერთაშორისო გადაადგილების აღდგენისა და ტურიზმის შედარებითი გამოცოცხლების ფონზე, საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობა წლიურად 13.7 პროცენტით გაიზარდა, თუმცა პანდემიამდელ დონესთან შედარებით კვლავ მცირე იყო (-77.7 პროცენტი). მატება უმეტესწილად უკრაინიდან (241.6 პროცენტით), ისრაელიდან (291.3 პროცენტით), საუდის არაბეთიდან (1,179.0 პროცენტით) და ყაზახეთიდან (384.7 პროცენტით) შემოსული ვიზიტორების ზრდამ განაპირობა. აღსანიშნავია, რომ ასევე გაიზარდა ქართველი რეზიდენტების მიერ საზღვარგარეთ განხორციელებული ვიზიტების რაოდენობაც.

დიაგრამა N 1.10 საერთაშორისო ვიზიტორთა რაოდენობა ქვეყნების მიხედვით



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

პანდემიამდელი წლებისაგან განსხვავებით, ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები საქონლის ექსპორტიდან მიღებულ შემოსავლებს არსებითად ჩამორჩა (იხ. დიაგრამა N 1.11), რამაც, თავის მხრივ, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის მაღალ დონეზე შენარჩუნება განაპირობა.

დიაგრამა N 1.11 საქონლისა და მომსახურების ექსპორტიდან მიღებული შემოსავლების ფარდობა მშპ-თან



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

პირველადი შემოსავლის ანგარიშის დეფიციტი 2021 წელს, წინა წელთან შედარებით, 368 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა და 1,103 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ამ მაღალი დეფიციტის მთავარ მიზეზად საინვესტიციო შემოსავლის უარყოფითი ბალანსი რჩება, რომელიც 2021 წელს 387 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა და 1.6 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა. საინვესტიციო შემოსავლის დეფიციტის

მაღალი დონე პირდაპირი და სხვა უცხოური ინვესტიციების ნაწილში შემოსავლის ანგარიშის (როგორც გაცემული დივიდენდების, ასევე რეინვესტიციების) ზრდითაა განპირობებული. ეს უკანასკნელი, ერთი მხრივ, მიმდინარე ანგარიშის ბალანსზე უარყოფითად მოქმედებს, თუმცა, მეორე მხრივ, ფინანსური ანგარიშის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინებაში აღირიცხება; შედეგად, ამ ოპერაციას ქვეყნიდან კაპიტალის გადინებაზე გავლენა არ აქვს. რაც შეეხება მუშაკთა შრომის ანაზღაურების ბალანსს, 2021 წელს ეს კომპონენტი მხოლოდ 3 მლნ აშშ დოლარით შემცირდა და 486 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. შრომის ანაზღაურების ასეთი დაბალი დონე, გარკვეულწილად, ჩვენი რეგიონის ქვეყნებში ჯერ კიდევ არასრული დატვირთვით მომუშავე ეკონომიკებისა და პანდემიის სხვა უარყოფითი შედეგებით არის განპირობებული.

დიაგრამა N 1.12 პირადი გზავნილების წლიური ცვლილება



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2021 წელს მეორადი შემოსავალი[13], ძირითადად, საზღვარგარეთიდან მუშაკთა გზავნილების მატების გავლენით, მნიშვნელოვნად - 20.2 პროცენტით - გაიზარდა. პირადი გზავნილები, რომლებიც, როგორც წესი, მეორადი შემოსავლის ყველაზე მსხვილი ნაწილია, წლიურად 24.8 პროცენტით გაიზარდა (იხ. დიაგრამა N 1.12). აღსანიშნავია, რომ მთელი წლის მანძილზე სწრაფი ფულადი გზავნილები განუხრელად იზრდებოდა, რაც ნაწილობრივ ციფრულ არხებზე გადართვას უკავშირდება. 2021 წლის განმავლობაში ფულადი გზავნილების მატებაში დიდი წვლილი იტალიიდან, აშშ-დან, რუსეთიდან და გერმანიიდან გაზრდილმა გზავნილებმა შეიტანა (იხ. დიაგრამა N 1.13).

13. მეორადი შემოსავალი მიმდინარე ანგარიშის მუხლია, სადაც აღირიცხება რეზიდენტებსა და არარეზიდენტებს შორის მიმდინარე ტრანსფერები (გარდა კაპიტალური ტრანსფერებისა), როგორიცაა პირადი ტრანსფერები, საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში ჩარიცხული დახმარებები და გრანტები, სოციალური დახმარებები და ა.შ.

აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებში რუსეთის წილი ფულად გზავნილებში მცირდებოდა და წამყვანი ადგილი მთლიან გზავნილებში ევროკავშირიდან მიღებულმა თანხებმა დაიკავა. სწრაფი ფულადი გზავნილების მოცულობა თურქეთიდან მაისის შემდეგ თანდათანობით იკლებდა და წლიურად ფულადი გზავნილების ზრდაში უარყოფითი წვლილი შეიტანა.

დიაგრამა N 1.13 ფულადი გზავნილები ქვეყნების მიხედვით



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2021 წელს, წინა წლების მსგავსად, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის დაფინანსების მნიშვნელოვანი წყარო კვლავ წმინდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციები იყო (იხ. დიაგრამა N 1.14). საქართველოში განხორციელებულმა პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა 1.15 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის მაჩვენებელზე 101.6 პროცენტით მეტია, ხოლო წმინდა უცხოური ინვესტიციების მოცულობა 128 მლნ აშშ დოლარით (23.3 პროცენტით) გაიზარდა. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდა უმეტესად რეინვესტიციების მატებამ განაპირობა. ინვესტიციების უდიდესი ნაწილი საფინანსო, ენერგეტიკისა და დამამუშავებელი მრეწველობის დარგებში განხორციელდა, ხოლო წინა წელთან შედარებით ინვესტიციები უმეტესად სასტუმროები-რესტორნების, ენერგეტიკისა და დამამუშავებელი მრეწველობის მიმართულებით გაიზარდა.

დიაგრამა N 1.14 მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის დაფინანსების წყაროები (პროცენტულად მშპ-თან)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2021 წელს მიმდინარე ანგარიშის გაზრდილი დეფიციტისა და ფინანსურ ანგარიშში კერძო სექტორის შემცირებული შემოდინებების ფონზე, ამ დანაკლისის შესავსებად მნიშვნელოვანი იყო მთავრობის მიერ საერთაშორისო ორგანიზაციებიდან საგარეო დაფინანსების მიღების გაგრძელება. კერძოდ, 2021 წლის განმავლობაში სახელმწიფო სექტორის წმინდა შემოდინებები (სესხებისა და გრანტების სახით) 1,532 მლნ დოლარი იყო, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი ეროვნული ბანკის ანგარიშებში აისახა. გარდა ამისა, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა საერთაშორისო სავალუტო ფონდის გაფართოებული მექანიზმის პროგრამის დასკვნით ნაწილში 78 მლნ SDR[14] (112.5 მლნ აშშ დოლარი) მიიღო. ასევე აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდის ნასესხობის სპეციალური უფლების განაწილების ახალი წესის ფარგლებში, რაც ქვეყნების საგარეო ბუფერების გაძლიერებას ემსახურებოდა, საქართველომ 202 მლნ SDR (286 მლნ აშშ დოლარი) მიიღო. რაც შეეხება ფინანსურ ანგარიშში პორტფელურ ინვესტიციებს, კლება უმეტესად არასაბანკო სექტორს უკავშირდება.

2021 წელს ოფიციალური სარეზერვო აქტივები 361.4 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა და 4.27 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა. რეზერვებზე ზრდის მიმართულებით მეტწილად საერთაშორისო სავალუტო ფონდიდან მიღებული თანხები და მთავრობის მიერ სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მოზიდული სახსრები, რომელთა უმეტესი ნაწილი ეროვნულ ბანკში მთავრობის ანგარიშებზე ხვდება, და ასევე სავალუტო სვოპები მოქმედებდა. საერთაშორისო რეზერვებზე კლების მიმართულებით კი საგარეო ვალის მომსახურებას, მთავრობის სხვა სავალუტო ხარჯებს და სავალუტო ინტერვენციებს ჰქონდა გავლენა. 2021 წელს მთავრობის ვალის უცხოური ვალუტით

14. Special Drawing Rights - ნასესხობის სპეციალური უფლებები, რაც სსფ-ს მიერ განსაზღვრულ დამატებით საერთაშორისო სარეზერვო აქტივს წარმოადგენს.

მომსახურებამ და საქონელსა და მომსახურებაზე მთავრობის სავალუტო დანახარჯებმა ჯამურად დაახლოებით 856 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. სავალუტო ინტერვენციების გზით ეროვნულმა ბანკმა სავალუტო ბაზარს 354.9 მლნ აშშ დოლარი მიაწოდა.

სსფ-ს ARA მეთოდოლოგიით[15] რეზერვების ადეკვატურობის შეფასების მიხედვით, 2021 წლის ბოლოსათვის საქართველოს საერთაშორისო რეზერვების დონე დაახლოებით 108 პროცენტს შეადგენს, რაც, აღნიშნული მეთოდოლოგიით, საგარეო და ლიკვიდობის შოკებისაგან დასაზღვევად საჭირო დონის (100-დან 150 პროცენტამდე) ფარგლებშია. ამასთანავე, 2021 წლის ბოლოსათვის საერთაშორისო რეზერვებით 2022 წლის საპროგნოზო იმპორტის გადაფარვის კოეფიციენტმა 5.0 თვე შეადგინა.

დიაგრამა N 1.15 ოფიციალური საერთაშორისო რეზერვების ადეკვატურობის შეფასება საერთაშორისო სავალუტო ფონდის მეთოდოლოგიით (ARA METRIC)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

15. დაწვრილებით იხილეთ https://www.imf.org/external/np/spr/ara/

ცხრილი N 1.1 საგადახდელო ბალანსი 2017-2021 წლებში (მლნ აშშ დოლარი)[16]

	2017	2018	2019	2020	2021
მიმდინარე ანგარიში	**-1,306**	**-1,191**	**-960**	**-1,966**	**-1,834**
საქონელი	-3,809	-4,116	-3,736	-3,165	-3,758
ექსპორტი	3,570	4,407	4,944	4,347	5,539
იმპორტი	7,379	8,522	8,681	7,512	9,297
მომსახურება	2,024	2,244	2,176	124	724
კრედიტი	3,990	4,490	4,600	1,580	2,547
აქედან: საერთაშორისო მოგზაურებიდან შემოსავლები	2,704	3,222	3,269	542	1,245
დებეტი	1,966	2,246	2,425	1,456	1,823
პირველადი შემოსავალი (წმინდა)	-794	-683	-774	-734	-1,103
აქედან: საინვესტიციო შემოსავალი	-1,416	-1,381	-1,581	-1,223	-1,565
აქედან: შრომის ანაზღაურება	623	697	807	488	463
მეორადი შემოსავალი (წმინდა)	1,273	1,364	1,375	1,810	2,302
აქედან: სახელმწიფო სექტორი	233	173	133	256	199
აქედან: დანარჩენი სექტორები	1,040	1,190	1,242	1,553	2,104
კაპიტალის ანგარიში	**83**	**76**	**47**	**41**	**38**
ფინანსური ანგარიში	**-1,255**	**-1,218**	**-958**	**-2,005**	**-1,773**
პირდაპირი ინვესტიციები (წმინდა)	1,711	977	1,054	549	831
აქედან: პირდაპირი ინვესტიციები საქართველოში	1,921	1,270	1,366	534	1,178
პორტფელის ინვესტიცია (წმინდა)	76	48	-698	-75	387
ფინანსური წარმოებულები (გარდა რეზერვებისა) და თანამშრომელთა ოფციონები აქციებზე	0	1	-4	-27	-1
სხვა ინვესტიციები (წმინდა)	-138	569	-595	1,659	1,781
აქედან: სახელმწიფო სექტორი	432	351	346	1,445	1,333
აქედან: კერძო სექტორი	-570	218	-941	214	448
სარეზერვო აქტივები	-242	-278	-202	-305	-453
წმინდა შეცდომები და გამოტოვებები	**-29**	**-92**	**-45**	**-77**	**94**
მნიშვნელოვანი კოეფიციენტები					
სარეზერვო აქტივები მომავალი წლის იმპორტის თვეებში (თვე)	3.6	3.5	3.5	5.1	5.0
ექსპორტი/იმპორტი (საქონელი და მომსახურება)	-81%	-83%	-86%	-66%	-73%
მიმდინარე ანგარიში / მშპ	-8.0%	-6.8%	-5.5%	-12.4%	-9.8%
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები/მშპ	11.8%	7.2%	7.8%	3.4%	6.3%
მოგზაურობიდან შემოსავალი/მშპ	16.6%	18.3%	18.7%	3.4%	6.7%
პირადი გზავნილები/მშპ	9.5%	9.9%	10.7%	12.4%	13.4%

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ქვეყნის საგარეო კონკურენტუნარიანობის მნიშვნელოვანი ინდიკატორი რეალური ეფექტური გაცვლითი კურსია (იხ. დიაგრამა N1.16). 2021 წელს ეს მაჩვენებელი 20.4 პროცენტით, ხოლო ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი კი 17.9 პროცენტით გამყარდა, რაც საგარეო კონკურენტიანობის შემცირებას გულისხმობს. 2021 წელს რეალური ეფექტური გაცვლითი კურსის გამყარებაში მაღალი წვლილი სავაჭრო პარტნიორებიდან თურქეთისა და ევროზონის ვალუტებმა შეიტანა (იხ. ცხრილი N 1.2).

16. საგადასახდელო ბალანსის სტატისტიკის სახელმძღვანელოს მე-6 რედაქციის შესაბამისად.

დიაგრამა N 1.16 ლარის რეალური და ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსების ინდექსები (დეკ. 2012=100)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ცხრილი N 1.2 ეფექტური გაცვლითი კურსების წლიური ცვლილება 2021 წელს

	ნომინალური გაცვლითი კურსის ცვლილება, პროცენტი	რეალური გაცვლითი კურსის ცვლილება, პროცენტი	წვლილი რეალურ ეფექტურ გაცვლით კურსში
ეფექტური გაცვლითი კურსი	**17.9**	**20.4**	**20.4**
ევროზონა	14.1	23.8	4.3
თურქეთი	85.3	55.2	9.7
უკრაინა	2.5	6.1	0.4
სომხეთი	-0.6	5.2	0.3
აშშ	6.1	12.9	0.9
რუსეთი	5.6	11.0	1.6
აზერბაიჯანი	6.1	7.9	0.8
ჩინეთი	3.3	15.9	2.1
დანარჩენი	15.1	21.4	0.3

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2021 წელს, ჯერ კიდევ მიმდინარე გლობალური პანდემიის უარყოფითი შედეგების გამკლავების დროს, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მაკროეკონომიკური პოლიტიკის ეფექტური რეაგირება საერთაშორისო სარეიტინგო კომპანიების მიერ საქართველოს საკრედიტო რეიტინგების შენარჩუნებაში აისახა. თებერვალში საერთაშორისო სარეიტინგო კომპანიამ “Standard&Poor's”-მა (S&P) საქართველოს სუვერენული რეიტინგი უარყოფითი პერსპექტივით "BB" დონეზე დაადასტურა. აგვისტოში „Fitch Ratings“-მა საქართველოს პერსპექტივა უარყოფითიდან სტაბილურამდე გააუმჯობესა, ხოლო სუვერენული რეიტინგი BB დონეზე შეინარჩუნა. ასევე სექტემბერში საერთაშორისო სარეიტინგო კომპანია Moody's-მა საქართველოს რეიტინგი Ba2-ზე, ხოლო პერსპექტივა - სტაბილურზე დაადასტურა. რეიტინგის შენარჩუნებას საერთაშორისო სა-

ვალუტო ფონდის ოთხწლიანი გაფართოებული დაფინანსების მექანიზმის პროგრამის ფარგლებში განხორციელებულმა სტრუქტურულმა რეფორმებმა და შოკების მიმართ ეკონომიკის მოქნილობამ განაპირობა. „საქართველოს მცირე და მაღალი დოლარიზებული ეკონომიკა საგარეო შოკების მიმართ მოწყვლადია, თუმცა პანდემიის პირობებში ეს რისკები კარგად იმართებოდა, რაც აისახა დონორთა ძლიერი მხარდაჭერით მთავრობის საგარეო დაფინანსების საჭიროებისთვის. ასევე სანდო მაკროპრუდენციულმა და მონეტარული პოლიტიკის ჩარჩომ საბანკო სექტორის სტაბილურობასა და ლარის მერყეობის შეკავებას შეუწყო ხელი“- აღნიშნულია Fitch-ის 2021 წლის აგვისტოს ანგარიშში[17].

1.3 ეკონომიკური ზრდა

2021 წელს საქართველოს ეკონომიკა, წინასწარი მონაცემებით, 10.4 პროცენტით გაიზარდა. მაღალი ზრდის მთავარი მიზეზები იყო: პანდემიის დროს მკაცრი შეზღუდვების განმავლობაში დაგროვილი მოთხოვნის შემდგომი გააქტიურება, საგარეო სექტორის ეტაპობრივი გაუმჯობესება, რაც გულისხმობს საქონლის ექსპორტისა და ფულადი გზავნილების ზრდას და უცხოეთიდან ტურისტული შემოსავლების ნაწილობრივ აღდგენას, ფისკალური სტიმული და მაღალი საკრედიტო აქტივობის შენარჩუნება. აღსანიშნავია, რომ 2021 წელს მთლიანმა შიდა პროდუქტმა 2019 წლის დონეს რეალურად 2.9 პროცენტით გადააჭარბა.

2021 წლის განმავლობაში ეკონომიკის ზრდის ტემპი არათანაბარი იყო. პირველ კვარტალში მნიშვნელოვანი შეზღუდვები ჯერ ისევ ძალაში რჩებოდა, რის გამოც მთლიანი შიდა პროდუქტი წლიურად 4.1 პროცენტით შემცირდა. 2021 წლის II-IV კვარტლებში მაღალი ეკონომიკური ზრდის მთავარი მიზეზი საბაზო ეფექტი იყო, რადგან პანდემიის გავრცელების წინააღმდეგ მიმართული შეზღუდვები თავდაპირველად 2020 წლის მეორე კვარტალში დაწესდა და სხვადასხვა ინტენსივობით 2021 წლის ბოლომდე მოქმედებდა. თუმცა 2021 წლის მეორე კვარტლის დასაწყისიდან შეზღუდვები თანდათან შემსუბუქდა, რამაც ეკონომიკური სურათი საგრძნობლად შეცვალა. საგარეო ტურიზმის თვალსაზრისით, ქვეყნის საზღვრების თანდათან გახსნა მნიშვნელოვანი იყო. ერთწლიანი პაუზის შემდეგ საქართველოს უცხოელი ტურისტები ესტუმრნენ და მათი რიცხვი მეორე კვარტლის დასაწყისიდან მზარდი იყო. ამ ფაქტმა განსაკუთრებით პოზიტიურად ტურიზმთან დაკავშირებულ სფეროებზე იმოქმედა, რომლებიც, თავის მხრივ, პანდემიის შედეგად ყველაზე მეტად დაზარალდა. განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობებს (რაც ძირითადად რესტორნებსა და სასტუმროებს მოიცავს), ტრანსპორტს (სადაც დიდია ტურისტული აქტივობების წილი), უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ საქმიანობებს და ხელოვნებას, გართობას და დასვენებას (სადაც მაღალია უცხოელთა მონაწილეობა) ჯამში მშპ-ს ზრდაში 3.6 პპ-იანი წვლილი ჰქონდა. ეკონომიკის აღდგენასთან ერთად, უმსხვილესი დარგი, ვაჭრობა, 19.9 პროცენტით გაიზარდა, ხოლო წვლილმა მთლიან ზრდაში 2.6 პპ შეადგინა.

ინდუსტრიული დარგებიდან გამოსარჩევია დამამუშავებელი მრეწველობა, სადაც საექსპორტო პროდუქციის დამამზადებელ საწარმოთა წონა მაღალია (9.0 პროცენტი ზრდა, 0.8 პპ წვლილი ზრდაში). მშენებლობაში მნიშვნელოვანი ვარდნა დაფიქსირდა (21.8 პროცენტი კლება, -1.7 პპ წვლილი ზრდაში). სოფლის მეურნეობა 1.4 პროცენტით შემცირდა, ხოლო წვლილმა ზრდაში უარყოფითი 0.1 პპ შეადგინა (იხ. ცხრილი N 1.3).

17. https://www.fitchratings.com/research/sovereigns/fitch-revises-georgia-outlook-to-stable-affirms-at-bb-06-08-2021

ცხრილი N 1.3 მთლიანი შიდა პროდუქტი დარგობრივ ჭრილში

	2021Q1		2021Q2		2021Q3		2021Q4		2021	
	რეალური ზრდა	წვლილი ზრდაში	რეალური ზრდა	წვლილი ზრდაში	რეალური ზრდა	წვლილი ზრდაში	რეალური ზრდა	წვლილი ზრდაში	რეალური ზრდა	წვლილი ზრდაში
სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა	0.2%	0.0%	-3.4%	-0.3%	-2.9%	-0.2%	1.9%	0.1%	-1.4%	-0.1%
სამთომოპოვებითი მრეწველობა	48.3%	0.6%	15.9%	0.3%	2.2%	0.0%	1.6%	0.0%	13.5%	0.2%
დამამუშავებელი მრეწველობა	-3.0%	-0.2%	36.2%	3.2%	7.3%	0.7%	0.2%	0.0%	9.0%	0.8%
ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება	-9.4%	-0.2%	16.1%	0.4%	78.8%	1.3%	56.5%	1.1%	33.5%	0.7%
წყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები	24.3%	0.2%	43.4%	0.3%	35.1%	0.2%	54.5%	0.2%	38.9%	0.2%
მშენებლობა	-22.1%	-1.4%	17.2%	1.0%	-29.7%	-2.5%	-33.4%	-3.1%	-21.8%	-1.7%
საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი	6.2%	0.8%	58.9%	6.9%	12.3%	1.7%	11.2%	1.6%	19.9%	2.6%
ტრანსპორტი და დასაწყობება	-5.9%	-0.3%	45.5%	2.5%	29.0%	1.4%	40.6%	2.2%	27.6%	1.5%
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები	-50.1%	-1.8%	99.4%	2.0%	49.8%	1.3%	72.8%	1.3%	29.8%	0.7%
ინფორმაცია და კომუნიკაცია	18.1%	0.5%	51.0%	1.4%	18.4%	0.5%	14.4%	0.4%	23.9%	0.7%
საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები	23.8%	1.1%	45.0%	2.0%	20.3%	0.9%	10.1%	0.5%	23.5%	1.0%
უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები	-4.1%	-0.5%	19.7%	2.2%	6.6%	0.6%	15.0%	1.4%	9.2%	0.9%
პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები	-0.1%	0.0%	24.8%	0.5%	9.4%	0.2%	6.3%	0.1%	9.8%	0.2%
ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები	-36.3%	-0.4%	7.4%	0.1%	40.8%	0.3%	27.9%	0.2%	5.6%	0.0%
სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა; სავალდებულო სოციალური უსაფრთხოება	1.6%	0.1%	0.4%	0.0%	-3.9%	-0.2%	-1.5%	-0.1%	-0.9%	-0.1%
განათლება	-4.9%	-0.2%	-1.2%	-0.1%	-7.8%	-0.3%	4.4%	0.2%	-2.3%	-0.1%
ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები	12.2%	0.5%	43.7%	1.9%	23.8%	0.9%	34.4%	1.2%	28.7%	1.1%
ხელოვნება, გართობა და დასვენება	-24.1%	-0.9%	181.0%	3.6%	48.1%	1.2%	31.0%	0.8%	43.1%	1.1%
სხვა სახის მომსახურება	-39.7%	-0.3%	29.6%	0.2%	27.3%	0.2%	29.4%	0.2%	10.3%	0.1%
შინამეურნეობების, როგორც დამქირავებლის, საქმიანობები; არადიფერენცირებული საქონლის და მომსახურების წარმოება შინამეურნეობების მიერ საკუთარი მოხმარებისათვის	-11.0%	0.0%	-0.7%	0.0%	-29.3%	0.0%	-36.1%	0.0%	-20.1%	0.0%
(+) გადასახადები პროდუქციაზე	-12.6%	-1.6%	8.1%	1.0%	8.4%	1.1%	4.3%	0.6%	2.6%	0.3%
(-) სუბსიდიები პროდუქციაზე	1.0%	0.0%	5.0%	0.0%	0.9%	0.0%	-2.7%	0.0%	1.3%	0.0%
მშპ		-4.1%		28.9%		9.1%		8.8%		10.4%

წყარო: საქსტატი

მოთხოვნა

2021 წელს მაღალი ეკონომიკური ზრდის მთავარ ფაქტორებად, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პანდემიის დროს მკაცრი შეზღუდვების თვეების განმავლობაში დაგროვილი მოთხოვნის გააქტიურება და საგარეო სექტორის გაუმჯობესება მოიაზრება. აქედან გამომდინარე, 10.4 პროცენტიანი ზრდიდან მოხმარებაზე 8.9 პპ მოდიოდა, ხოლო წმინდა ექსპორტის კონტრიბუციამ ზრდაში 4.5 პპ შეადგინა. მოხმარების მაღალი ზრდა, როგორც შინამეურნეობებიდან, ისე სახელმწიფოს მხრიდან დაფიქსირდა. ტურიზმის ნაწილობრივი აღდგენის შედეგად, წმინდა ექსპორტში გამოსარჩევი იყო მომსახურების ექსპორტის წლიურად 57.1 პროცენტიანი რეალური ზრდა.

ინვესტიციების წვლილმა მშპ-ს ზრდაში უარყოფითი 3.1 პპ შეადგინა (იხ. დიაგრამა N 1.17).

დიაგრამა N 1.17 მშპ-ს ზრდა დანახარჯების მიხედვით



წყარო: საქსტატი

2021 წელს ინვესტიციების ფარდობამ მთლიან შიდა პროდუქტთან 22 პროცენტი იყო. ბოლო წლების მანძილზე ეს მაჩვენებელი სტაბილურია და საქართველოს ეკონომიკის განვითარებისთვის ადეკვატურ დონედ შესაძლებელია მივიჩნიოთ (იხ. დიაგრამა N 1.18).

დიაგრამა N 1.18 ინვესტიციების ფარდობა მშპ-თან



წყარო: საქსტატი

1.4 ინფლაცია

2021 წლის განმავლობაში საქართველოში, ისევე როგორც გლობალურად, ინფლაციური წნეხი გაძლიერდა. მაღალი ინფლაციის მიზეზი COVID-19-ის გამო შექმნილი არაორდინარული ვითარება იყო, რა დროსაც ინფლაციაზე ზრდის მიმართულებით ერთბაშად რამდენიმე ფაქტორმა იმოქმედა. საქართველოში ინფლაციის მატება მჭიდროდ უკავშირდებოდა მსოფლიოში ფართო მოხმარების პროდუქტებზე ფასების ზრდას. საერთაშორისო სავალუტო ფონდის, მსოფლიო ბანკისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიმოხილვებში გლობალური ინფლაცია ერთერთი მთავარი თემა იყო[18].

2021 წელს ინფლაციას მზარდი ტენდენცია ჰქონდა. იანვარში კომუნალური გადასახადების სუბსიდირების გამო, რომელიც ჯერ კიდევ 2020 წლის დეკემბერში დაიწყო, ინფლაცია შედარებით შემცირებული იყო და 2.8 პროცენტს შეადგენდა, თუმცა შემდეგ თვეებში ის თანდათან იზრდებოდა და უმაღლეს ნიშნულს, 13.9 პროცენტს, დეკემბერში მიაღწია.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ინფლაცია არა მხოლოდ განვითარებადი, არამედ განვითარებული ქვეყნების პრობლემაცაა. გასული წლის დეკემბერში ინფლაციამ აშშ-ში 7.0 პროცენტი შეადგინა, ხოლო ევროზონის ინფლაციამ - 5.0 პროცენტი. მაღალი ინფლაცია დაფიქსირდა ბალტიისპირეთის ქვეყნებშიც, კერძოდ 2021 წლის დეკემბერში ინფლაციამ ესტონეთში 12.2 პროცენტი, ლიეტუვაში 10.6 პროცენტი, ხოლო ლატვიაში 7.9 პროცენტი შეადგინა. აღსანიშნავია, რომ 2022 წლის დასაწყისში ფასების ზრდის ტემპი კიდევ უფრო დაჩქარდა და მარტში ინფლაციამ აშშ-ში 8.5 პროცენტს მიაღწია, რაც ბოლო 40 წლის მაქსიმუმია. ხოლო ევროზონის ინფლაცია 7.5 პროცენტი იყო - ეს კი მისთვის რეკორდული მაჩვენებელია. ინფლაცია ასევე გაიზარდა ბალტიისპირეთის ქვეყნებში. კერძოდ, 2022 წლის მარტში მან ესტონეთში - 12.0 პროცენტი, ლიეტუვაში - 15.7 პროცენტი, ხოლო ლატვიაში 11.5 პროცენტი შეადგინა.

18. https://blogs.imf.org/2021/06/24/four-facts-about-soaring-consumer-food-prices/

საქართველოში 2021 წელს ინფლაციამ საშუალოდ 9.6 პროცენტი შეადგინა. საბაზო ინფლაცია კი, რომელიც სამომხმარებლო კალათიდან მაღალი მერყეობით გამორჩეულ სურსათის, ენერგომატარებლების და თამბაქოს ფასების ცვლილებებს გამორიცხავს, მთლიან ინფლაციასთან შედარებით დაბალი - საშუალოდ 6.3 პროცენტი - იყო (იხ. დიაგრამა N 1.19). საბაზო ინფლაციაზე დაკვირვება მნიშვნელოვანია ინფლაციის გრძელვადიანი დინამიკის შესაფასებლად.

დიაგრამა N 1.19 მთლიანი და საბაზო (სურსათისა, ენერგომატარებლების და თამბაქოს გარეშე) ინფლაციები



წყარო: საქსტატი

როგორც აღვნიშნეთ, მაღალი ინფლაციის მიზეზი მსოფლიოში ფართო მოხმარების პროდუქტებზე ფასების ზრდა იყო, რაშიც სურსათის გაძვირება გამოირჩეოდა. პანდემიასთან დაკავშირებული შეფერხებების, ცუდი მოსავლისა და გაზრდილი სატრანსპორტო ხარჯების გამო, მსოფლიოში 2021 წელს სურსათის საშუალო ფასები ბოლო ათი წლის მანძილზე უმაღლეს ნიშნულზე იყო. მსოფლიოში სურსათის გაძვირებამ განსაკუთრებით იმოქმედა განვითარებად ქვეყნებზე, სადაც სურსათის წონა სამომხმარებლო კალათაში განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით მაღალია. საქართველოს სამომხმარებლო კალათაშიც სურსათის წონა მაღალია, 28.9 პროცენტია. აქედან გამომდინარე, სურსათის ფასის ცვლილება ინფლაციის მაჩვენებელზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს. გასული წლის საშუალო 9.6 პროცენტიანი ინფლაციიდან 3.1 პპ სურსათის ინფლაციაზე მოდიოდა, სადაც იმპორტირებული და იმპორტირებულ ნედლეულზე დამოკიდებული სურსათის ინფლაცია ჭარბობდა. განსაკუთრებით გამოსარჩევია მზესუმზირის ზეთი, პური, შაქარი, შოკოლადი, რძის პროდუქტები.

ამასთან, COVID-19-ის გავრცელების წინააღმდეგ მიმართულმა შეზღუდვებმა, შემდგომ კი, ეკონომიკის აღდგენითი პროცესის და მისი თანმდევი მოთხოვნის გააქტიურებამ, სატრანსპორტო არხების გადატვირთვა გამოიწვია, რამაც მსოფლიოში სატრანსპორტო და სხვა საოპერაციო ხარჯები მკვეთრად გაზარდა. მაგალითად, 2021 წლის დეკემბერში 40 ფუტიანი კონტეინერით ტრანსპორტირების ინდექსი ბოლოს ხუთი წლის საშუალო ფასს დაახლოებით სამჯერ აღე-

მატებოდა[19]. სატრანსპორტო და სხვა საოპერაციო ხარჯების ამგვარი ზრდა თითქმის ყველა სახის პროდუქტის საბოლოო ფასზეც აისახება.

მობილობის აღდგენასთან ერთად, საერთაშორისო ბაზრებზე ნავთობზე მოთხოვნა და ფასები გაიზარდა. მსოფლიოში ნავთობის ფასები წლის განმავლობაში თანდათან მატულობდა, რაც ადგილობრივ ბაზარზე საწვავის ფასებზეც აისახებოდა. წლის დასაწყისში საწვავის ფასების წვლილი ინფლაციაში უარყოფითი იყო, თუმცა წლის მეორე ნახევარში მათ წვლილმა ინფლაციაში 2.0 პპ-ს მიაღწია. საბოლოოდ, საწვავის წვლილი ინფლაციაში წლის განმავლობაში საშუალოდ 1.4 პპ-ს გაუტოლდა.

გასულ წელს ინფლაციის მაჩვენებელზე მნიშვნელოვან გავლენას კომუნალური გადასახადების ფასები ახდენდა, რომლებიც როგორც კომუნალური გადასახადების გაძვირებას, ასევე სტატისტიკურ ეფექტს მოიცავდა. კერძოდ, მთავრობის მიერ კომუნალური გადასახადების სუბსიდირების გამო, 2020 წლის დეკემბერში კომუნალური გადასახადების ინდექსები ნოემბერთან შედარებით შემცირდა, ხოლო 2021 მარტში ეს ინდექსები ნოემბრის დონესთან შედარებით მხოლოდ მცირედით გაიზარდა. თუმცა, პროცენტულად ზრდა გაცილებით მეტი გამოვიდა, ვიდრე შემცირება. კომუნალური გადასახადების უცვლელი წონის პირობებში, აღნიშნულმა სხვაობამ წლიური ინფლაციის დონე, მხოლოდ სტატისტიკური მეთოდოლოგიის ეფექტის შედეგად, მომდევნო ერთი წლის მანძილზე დაახლოებით 1.2 პპ-ით გაზარდა. ივნისიდან კი ეს ეფექტი, ბუნებრივის გაზის ტარიფის მატებასთან ერთად, დამატებით 0.1 პპ-ით, 1.3 პპ-მდე გაიზარდა. საბოლოოდ, დეკემბერში, საბაზო ეფექტის გამო კომუნალური გადასახადების წლიურმა წვლილმა დამატებით 2.0 პპ-ით 3.6 პპ-მდე მოიმატა. (იხ. დიაგრამა N 1.20).

დიაგრამა N 1.20 ძირითადი კომპონენტების წვლილი ინფლაციაში



წყარო: საქსტატი და საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშებები

19. https://www.drewry.co.uk/supply-chain-advisors/supply-chain-expertise/world-container-index-assessed-by-drewry#:~:text=The%20average%20composite%20index%20of,of%20%242%2C982%20per%2040ft%20container

წლის განმავლობაში ადგილობრივმა, შერეულმა და იმპორტირებული პროდუქტების ინფლაციამ საშუალოდ, შესაბამისად, 6.7, 10.7 და 14.5 პროცენტი შეადგინა. მიუხედავად იმისა, რომ 2021 წლის მაისიდან ლარს გამყარების ტენდენცია ჰქონდა და ის ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების თითქმის ყველა ვალუტასთან გამყარდა, იმპორტირებული პროდუქტების ინფლაცია ადგილობრივად წარმოებული პროდუქტების ინფლაციას მნიშვნელოვნად აჭარბებდა, რაც ნათლად მიუთითებდა იმაზე, რომ საქართველოში მაღალი ინფლაცია პირველ რიგში მსოფლიო ბაზარზე საქონლის ფასების უცხოურ ვალუტაში გაძვირებიდან მომდინარეობდა (იხ. დიაგრამა N 1.21).

დიაგრამა N 1.21 იმპორტირებული და ადგილობრივი საქონლის ინფლაცია[20]



წყარო: საქსტატი

ცხრილი N 1.4 ინფლაციის (სფი) მაჩვენებლები ცალკეული კომპონენტების მიხედვით (პროცენტი), მათი წონა სამომხმარებლო კალათაში (პროცენტი) და ზეგავლენა სფი-ზე (პროცენტული პუნქტი)

	2021 წლის წონები	დეკ21/დეკ20		იან21-დეკ21/იან20-დეკ20	
		ინფლაცია	წვლილი	ინფლაცია	წვლილი
სულ	100.0%	13.9%	13.9%	9.6%	9.6%
სურსათი და უალკოჰოლო სასმელები	32.2%	15.6%	5.0%	10.8%	3.4%
სურსათი	28.9%	16.1%	4.7%	11.0%	3.1%
პური და პურპროდუქტები	5.6%	20.2%	1.1%	11.7%	0.6%
ხორცი და ხორცპროდუქტები	6.8%	10.2%	0.7%	6.5%	0.4%
თევზეული	0.5%	16.5%	0.1%	12.1%	0.1%
რძე, ყველი და კვერცხი	6.3%	15.3%	1.0%	12.5%	0.7%
ზეთი და ცხიმი	1.9%	24.5%	0.5%	36.8%	0.6%
ხილი, ყურძენი	1.6%	10.5%	0.2%	-4.8%	-0.1%
ბოსტნეული, ბაღჩეული, კარტოფილის და სხვა ბოლქვოვანების ჩათვლით	3.3%	20.7%	0.7%	9.4%	0.3%

20. მთლიანი ინფლაციის მაჩვენებელი, ადგილობრივი და იმპორტული საქონლის გარდა, ასევე შერეული ტიპის საქონელს მოიცავს, ამიტომ შესაძლოა, ის ადგილობრივი და იმპორტული საქონლის ინფლაციების შუალედის გარეთ იყოს.

(გაგრძელება)

	2021 წლის წონები	დეკ21/დეკ20		იან21-დეკ21/იან20-დეკ20	
		ინფლაცია	წვლილი	ინფლაცია	წვლილი
კვების სხვა პროდუქტები	0.6%	4.4%	0.0%	6.0%	0.0%
უალკოჰოლო სასმელები	3.3%	11.2%	0.4%	9.0%	0.3%
ალკოჰოლური სასმელები და თამბაქო	6.4%	5.2%	0.3%	7.1%	0.4%
ტანსაცმელი და ფეხსაცმელი	3.8%	2.8%	0.1%	2.0%	0.1%
საცხოვრებელი სახლი, წყალი, ელექტრო-ენერგია, აირი და სათბობის სხვა სახეები	9.0%	43.5%	3.9%	6.9%	0.8%
ავეჯი, საოჯახო ნივთები და მორთულობა, სახლის მოვლა-შეკეთება	5.3%	11.8%	0.6%	11.5%	0.6%
ჯანმრთელობის დაცვა	7.8%	7.9%	0.6%	10.6%	0.8%
ტრანსპორტი	13.0%	17.3%	2.3%	14.9%	1.9%
კავშირგაბმულობა	3.6%	-0.7%	0.0%	-0.3%	0.0%
დასვენება, გართობა და კულტურა	3.7%	2.5%	0.1%	3.1%	0.1%
განათლება	4.6%	4.8%	0.2%	2.7%	0.1%
სასტუმროები, კაფეები და რესტორნები	5.4%	14.0%	0.8%	10.0%	0.5%
სხვადასხვა საქონელი და მომსახურება	5.3%	6.0%	0.3%	7.0%	0.4%

წყარო: საქსტატი

ადგილობრივად ნაწარმოებ როგორც სურსათს, ასევე სხვა პროდუქტებს, პანდემიის გავლენა, ძირითადად, მათ საწარმოებლად გაზრდილი შუალედური ხარჯების არხით გადმოეცემოდა, რაც, მეტნაკლებად, იმპორტირებულ ნედლეულსაც უკავშირდებოდა. ამ მხრივ, საინტერესოა მომსახურების ფასებზე დაკვირვება, რადგან მომსახურება ვაჭრობად პროდუქტებთან შედარებით ნაკლებად არის დაკავშირებული მსოფლიო ბაზართან. მომსახურების ინფლაცია გასული წლის განმავლობაში საშუალოდ 4.0 პროცენტს უტოლდებოდა, რაც მნიშვნელოვნად ნაკლებია ხანმოკლე, საშუალო და ხანგრძლივი მოხმარების პროდუქტების ინფლაციებზე (შესაბამისად, 12.9, 7.3 და 7.0 პროცენტი).

დიაგრამა N 1.22 წლიური ინფლაციის მაჩვენებლების ცვლილება სხვადასხვა ხანგრძლივობის მოხმარების საქონლისა და მომსახურებისათვის



წყარო: საქსტატი

02

ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკა

2.1 ფულად-საკრედიტო პოლიტიკა

ეროვნული ბანკის ძირითად ამოცანას ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფა წარმოადგენს[21]. ფასების სტაბილურობა გულისხმობს საშუალოვადიან პერიოდში ინფლაციის ისეთი დონის არსებობას, რაც გრძელვადიან პერიოდში სტაბილური ეკონომიკური ზრდისათვის ოპტიმალურია.

ფასების სტაბილურობის უზრუნველსაყოფად საქართველოს ეროვნული ბანკი მონეტარულ (ფულად-საკრედიტო) პოლიტიკას ინფლაციის თარგეთირების რეჟიმში წარმართავს. აღნიშნული რეჟიმი, რომელიც დღესდღეობით მსოფლიოში ყველაზე თანამედროვე და ეფექტიან მოდელად ითვლება, ინფლაციის სამიზნე მაჩვენებლის წინასწარ გამოცხადებას და შემდგომ პოლიტიკის იმგვარად განხორციელებას გულისხმობს, რომ საშუალოვადიან პერიოდში ინფლაცია მიზნობრივ დონესთან ახლოს იყოს. საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის ძირითადი ინსტრუმენტი მონეტარული პოლიტიკის განაკვეთია, რომელიც ინფლაციის პროგნოზის შესაბამისად იცვლება. თუ ინფლაციის პროგნოზირებული მაჩვენებელი მიზნობრივ დონეზე მაღალი იქნება, საქართველოს ეროვნული ბანკი მონეტარულ პოლიტიკას გაამკაცრებს და პირიქით, თუ ინფლაციის პროგნოზირებული მაჩვენებელი მიზნობრივ დონეზე დაბალი იქნება, ეროვნული ბანკი მონეტარულ პოლიტიკას შეარბილებს. ეს მიდგომა ფასების სტაბილურობას და, სხვა ალტერნატივებთან შედარებით, ყველაზე დაბალ გრძელვადიან საპროცენტო განაკვეთებს უზრუნველყოფს. ამასთანავე, მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტების და მისი გადაცემის მექანიზმის განვითარებასთან ერთად, მცირდება საზოგადოებრივი დანახარჯიც ფასების სტაბილურობის უზრუნველსაყოფად. სწორედ ამიტომ, ეროვნული ბანკი მუდმივად ზრუნავს ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ინსტრუმენტების დახვეწასა და მონეტარული პოლიტიკის გადაცემის მექანიზმის ეფექტიანობის ზრდაზე.

ეროვნული ბანკი მონეტარულ პოლიტიკას მის მიერ შემუშავებული და საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებული ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შესაბამისად[22] ახორციელებს, რომლის თანახმადაც, 2018 წლიდან მიზნობრივი ინფლაცია 3 პროცენტია. აღსანიშნავია, რომ განვითარებულ ეკონომიკებთან შედარებით, გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისთვის დამახასიათებელია შედარებით მაღალი ინფლაცია, რაც ამ ქვეყნებში, განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით, პროდუქტიულობის ზრდის უფრო სწრაფ ტემპს უკავშირდება (Balassa, 1964; Samuelson, 1964)[23,24].

საქართველოში ისევე, როგორც ღია ეკონომიკის მქონე სხვა ქვეყნებში, გარდაუვალია ეგზოგენური (მონეტარული პოლიტიკისგან დამოუკიდებელი) შოკები, რომელთა გავლენითაც შესაძლებელია ინფლაცია მიზნობრივი მაჩვენებლიდან გადაიხაროს. აღსანიშნავია, რომ მონეტარული პოლიტიკა მოთხოვნაზე ზემოქმედების ინსტრუმენტია. სწორედ ამიტომ, ცენტრალური ბანკები, ძირითადად, მოთხოვნის შოკებზე რეაგირებენ, რადგან მიწოდების შოკებზე (მაგალითად აქციზის გადასახადის, გლობალურ ბაზრებზე ნედლეული პროდუქტების ფასებისა და საერთაშორისო ტრანსპორტირების ხარჯების ზრდა) რეაგირება ეკონომიკისთვის დიდ დანახარჯებთან არის დაკავშირებული და ეკონომიკური ზრდის მერყეობას და, გრძელვადიან პერიოდში, დასაქმების შემცირებას გამოიწვევს. მაგალითად, როგორც Clinton, Hlédik, Holub, Laxton, & Wang (2017) კვლევაშია აღნიშნული: „ინფლაციის პროგნოზზე ორიენტირებული თარგეთირების ჩარჩოს პირობებში, ძლიერმა ეგზოგენურმა შოკებმა ინფლაციის მისი მიზნობრივი დონიდან

22. საქართველოს პარლამენტის დადგენილება „საქართველოს 2020-2022 წლების ფულად საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შესახებ", 1-ლი პუნქტი.
23. Balassa, B. (1964), "The Purchasing Power Parity Doctrine: A Reappraisal", Journal of Political Economy, 72, 584-96.
24. Samuelson, P (1964), "Theoretical Notes on Trade Problems", Review of Economics and Statistics, 23, 1-60.

და გამოშვების მისი პოტენციური დონიდან მნიშვნელოვანი გადახრები გამოიწვია.“ თუმცა მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტების თანმიმდევრული ცვლილებების შედეგად ინფლაცია მიზნობრივ მაჩვენებელს ეტაპობრივად უბრუნდებოდა[25]. ასევე გასათვალისწინებელია, რომ როგორც Bernanke & Blinder (1992) და Bernanke & Gertler (1995) კვლევებიც აჩვენებს, მონეტარული პოლიტიკის ცვლილების გადაცემას ეკონომიკაზე გარკვეული დრო სჭირდება[26]. ამგვარად, ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებლიდან გადახრა დასაშვებია, თუ, პროგნოზით, საშუალოვადიან პერიოდში ინფლაცია მის მიზნობრივ მაჩვენებელს დაუბრუნდება. თუმცა საყურადღებოა ისეთი ვითარება, როდესაც მსგავსი გადახრა ინფლაციის მოლოდინებს ზრდის, რაც მომავალში, შესაძლოა, ინფლაციის მატებაში აისახოს. ასეთ დროს ეროვნული ბანკი პოლიტიკას შესაბამისად გაამკაცრებს.

2021 წელი მიზნობრივ მაჩვენებელზე დაბალი ინფლაციით დაიწყო, კერძოდ, იანვარში ინფლაციამ 2.8 პროცენტი შეადგინა. ინფლაციის შემცირება დროებითი ხასიათის იყო და კომუნალური გადასახადების სუბსიდირებას უკავშირდებოდა. სუბსიდირების პერიოდის დასრულების შემდეგ, ინფლაცია კვლავ გაიზარდა და მარტში წლიურად 7.2 პროცენტი შეადგინა. ფასების ზრდის ტენდენცია შემდგომ პერიოდებშიც გამოიკვეთა. 2021 წლის დასაწყისიდან საერთაშორისო სასაქონლო ბაზრებზე ფასებს მკვეთრი ზრდის დინამიკა ჰქონდა. მაგალითად, საერთაშორისო ბაზრებზე ბრენტის ნავთობის ფასები 2021 წელს, საშუალოდ, წლიურად 66 პროცენტით გაძვირდა. ასევე, გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის (FAO) ორგანიზაციის მონაცემების მიხედვით, სურსათის ინდექსის ზრდამ საშუალოდ 28 პროცენტი შეადგინა. შედეგად, სურსათისა და ნავთობის გაზრდილი ფასები ადგილობრივ ბაზარს იმპორტირებული ნედლეულისა და პროდუქციის გავლენით გადმოეცა. ამასთან, გლობალურად, საერთაშორისო გადაზიდვების პორტებში გამოცხადებულმა ლოქდაუნი და ლოჯისტიკური ტიპის სხვა შეფერხებებმა ტრანსპორტირების ხარჯები მკვეთრად გააძვირა, რაც, ბუნებრივია, პროდუქტების ფასებზე აისახა. ამავდროულად, ინფლაციურ წნეხს, საგარეო შემოდინებების მკვეთრი შემცირების ფონზე, ლარის გაცვლითი კურსის გაუფასურებაც ქმნიდა. ამასთან, პანდემიასთან დაკავშირებული შეზღუდვების შენარჩუნების ფონზე, მიწოდების ჯაჭვების შეფერხებებისგან და ერთეულ პროდუქციაზე პერსონალის ხარჯის ზრდისგან მომდინარე ინფლაციური წნეხი კვლავ სახეზე იყო.

აღსანიშნავია, რომ 2021 წლის მეორე კვარტლიდან ეკონომიკური აქტივობის მკვეთრი გაუმჯობესების პროცესები დაიწყო, რასაც ფისკალური სტიმული და დაკრედიტების ზრდა ხელს უწყობდა. შედეგად, ერთობლივი მოთხოვნა, 2020 წლისგან განსხვავებით, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა და რეალური ზრდა 2019 წელთან შედარებითაც დაფიქსირდა. ეკონომიკურ აქტივობაზე მოქმედ ფაქტორთაგან, ასევე აღსანიშნავია ლოქდაუნების გამო დაგროვილი მოთხოვნის მოსალოდნელზე სწრაფი რეალიზება. შედეგად, წინა წლისგან განსხვავებით, ერთობლივი მოთხოვნა ინფლაციური წნეხს ნაკლებად ანეიტრალებდა, ხოლო მიწოდების ფაქტორები ჯერ კიდევ ძლიერი იყო. მიზნობრივ მაჩვენებელთან შედარებით, ინფლაციის მაღალ ნიშნულზე შენარჩუნება კი ინფლაციური მოლოდინების გააქტიურების რისკს წარმოადგენდა. აღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით, 2021 წლის განმავლობაში მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი, ეტაპობრივად, 8.0 პროცენტიდან 10.5 პროცენტამდე გაიზარდა. (იხ. დიაგრამა N 2.1).

25. „Under the flexible IFT framework, strong exogenous macroeconomic shocks did lead to significant deviations of inflation from the target, and of economic activity from potential. But monetary policy instruments were systematically adjusted to bring inflation back to target over time.“ - Clinton, Hlédik, Holub, Laxton, & Wang (2017) „Czech Magic: Implementing Inflation-Forecast Targeting at the CNB“, IMF Working Paper, pp. 30

26. Bernanke & Blinder (1992) „The Federal Funds Rate and the Channels of Monetary Transmission”, American Economic Review; vol. 82, issue 4, 901-21.

Bernanke & Gertler (1995) „Inside the Black Box: The Credit Channel of Monetary Policy Transmission “, the Journal of Economic Perspectives, Vol. 9, No. 4 (Autumn, 1995), pp. 27-48.

დიაგრამა N 2.1 მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მთლიანობაში, ინფლაცია მარტიდან მზარდი ტენდენციით ხასიათდებოდა და 2021 წლის დეკემბერში 13.9 პროცენტამდე, გაიზარდა, რაც, როგორც აღინიშნა, ძირითადად, მიწოდების მხრიდან მოქმედმა, ერთჯერადმა შოკებმა განაპირობა, კერძოდ, საერთაშორისო ბაზარზე მკვეთრად მომატებულმა სასაქონლო პროდუქტების ფასებმა და საერთაშორისო გადაზიდვების გართულების შედეგად ტრანსპორტირების ხარჯების გაძვირებამ. ამასთან, დეკემბერში გაზრდილი იყო კომუნალური გადასახადების ჯამური გავლენა (3.6 პპ), რომელიც ერთი მხრივ, სუბსიდიის დასრულების არითმეტიკულ ეფექტსა, ხოლო მეორე მხრივ, წინა წლის საბაზო ეფექტს მოიცავდა[27]. აღსანიშნავია, რომ საბაზო ინფლაცია, რომელიც სამომხმარებლო კალათიდან მაღალი მერყეობით გამორჩეულ სურსათის, ენერგომატარებლებისა და თამბაქოს ფასებს გამორიცხავს, 2021 წლის მეორე ნახევრიდან შემცირების ტენდენციით ხასიათდებოდა და წლის ბოლოს 6 პროცენტი იყო. ხოლო წლის განმავლობაში მთლიანმა ინფლაციამ საშუალოდ 9.6 პროცენტი შეადგინა.

2020 წლის 6.8 პროცენტიანი კლების შემდეგ, სუსტი აქტივობა 2021 წლის პირველ კვარტალშიც გაგრძელდა, თუმცა მეორე კვარტლიდან პანდემიის გავრცელების წინააღმდეგ მიმართული შეზღუდვები თანდათან შემსუბუქდა, რამაც ეკონომიკური სურათი საგრძნობლად შეცვალა. 2021 წლის მეორე კვარტალში მთლიანი შიდა პროდუქტი წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით რეალურად 29.9 პროცენტით გაიზარდა. მაღალი ზრდის ერთ-ერთი მიზეზი საბაზო ეფექტი იყო, რადგან მკაცრი შეზღუდვები თავდაპირველად სწორედ 2020 წლის მეორე კვარტალში დაწესდა, რამაც ამ პერიოდში მნიშვნელოვანი ეკონომიკური ვარდნა გამოიწვია. თუმცა ზრდა გაგრძელდა შემდეგ პერიოდებშიც და, წინასწარი მონაცემებით, რეალური მშპ 2021

27. მთავრობის მიერ კომუნალური გადასახადების სუბსიდირების გამო 2020 წლის დეკემბერში კომუნალური გადასახადების ინდექსები ნოემბერთან შედარებით შემცირდა, ხოლო 2021 მარტში ეს ინდექსები ნოემბრის დონესთან შედარებით მცირედით გაიზარდა. თუმცა, პროცენტულად ზრდა გაცილებით მეტი გამოვიდა, ვიდრე შემცირება. დეკემბრიდან ამ ფაქტორებს საბაზო ეფექტი დაემატა. კერძოდ, კომუნალური გადასახადების სუბსიდირების ეფექტი ინფლაციაზე 2020 დეკემბრიდან 2021 თებერვლის ჩათვლით აისახა, რის გამოც ინფლაციამ ამ პერიოდში იკლო. ჯამურად, დეკემბერში კომუნალური გადასახადების გავლენამ წლიურ ინფლაციაზე 3.6 პპ წვლილი შეიტანა.

წელს 10.4 პროცენტით გაიზარდა. აღსანიშნავია, რომ 2021 წლის მშპ-ს მოცულობამ 2019 წლის დონეს რეალურად 2.9 პროცენტით გადააჭარბა. მაღალი ზრდის კიდევ ერთი მიზეზი, ფისკალურ სტიმულსა და დაკრედიტებასთან ერთად, შეზღუდვების გამო თვეების განმავლობაში დაგროვილი მოთხოვნის გააქტიურება იყო. აღსანიშნავია, რომ ეკონომიკური ზრდის მთავარი მამოძრავებელი ადგილობრივი მოთხოვნა იყო. რაც შეეხება საგარეო სექტორს, 2021 წელს, ქვეყნის საზღვრების თანდათან გახსნასთან ერთად, საქართველოში საერთაშორისო ტურიზმი გააქტიურდა, უცხოელი ვიზიტორებიდან მიღებული შემოსავლები ეტაპობრივად გაიზარდა და ამ ფაქტმა განსაკუთრებით პოზიტიურად ტურიზმთან დაკავშირებულ სფეროებზე იმოქმედა. როგორც აღინიშნა, წლის განმავლობაში, მიუხედავად მკაცრი მონეტარული პოლიტიკისა, საკრედიტო აქტივობა მაღალი იყო. რაც შეეხება საპროცენტო განაკვეთებს, მონეტარული პოლიტიკის გამკაცრების ფონზე, როგორც შინამეურნეობებზე, ასევე იურიდიულ პირებზე ეროვნული ვალუტით გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთები გაიზარდა. მთლიანობაში, საპროცენტო განაკვეთები იპოთეკურ სესხებზე წლიურად 1.6 პროცენტული პუნქტით, ხოლო იურიდიულ პირებზე ლარით გაცემულ სესხებზე 1.8 პროცენტული პუნქტით გაიზარდა (იხ. დიაგრამა N 2.2).

დიაგრამა N 2.2 მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი და საპროცენტო განაკვეთი ლარის სესხებზე



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

როგორც აღვნიშნეთ, ინფლაციის თარგეთირების პირობებში, ფასების სტაბილურობის უზრუნველსაყოფად ეროვნული ბანკის მთავარ ინსტრუმენტს მოკლევადიანი საპროცენტო განაკვეთი წარმოადგენს. მონეტარული პოლიტიკის ეფექტიანობისათვის მნიშვნელოვანია, რომ პოლიტიკის განაკვეთის ცვლილება ბანკთაშორის საპროცენტო განაკვეთზე აისახოს და, საბოლოოდ, რეალურ ეკონომიკაზე მოახდინოს გავლენა. საპროცენტო განაკვეთების მართვა, თავის მხრივ, ლიკვიდობის მართვის ჩარჩოს გამოყენებით ხდება.

საქართველოს ეროვნული ბანკის ლიკვიდობის მართვის ჩარჩო, როგორც ლიკვიდობის მიწოდების, ასევე ლიკვიდობის ამოღების ინსტრუმენტებს მოიცავს. ესენია ღია ბაზრის ოპერაციები (რეფინანსირების სესხები და სადეპოზიტო სერტიფიკატები), მინიმალური სარეზერვო მოთხოვნები და მუდმივმოქმედი ინსტრუმენტები.

გარდა ამისა, პანდემიის დაწყების შემდეგ ამუშავდა ლიკვიდობის მიწოდების დროებითი ინსტრუმენტები, რომლებიც 2021 წლის განმავლობაშიც ხელმისაწვდომი იყო. კერძოდ, სავალუტო სვოპი, მუდმივმოქმედი სავალუტო სვოპი და მცირე და საშუალო ბიზნესის ლიკვიდობის მხარდამჭერი ინსტრუმენტი. ეროვნული ბანკი წლის განმავლობაში აგრძელებდა 3-თვიანი სადეპოზიტო სერტიფიკატების გამოშვებას, რომელთა მიზანსაც შემოსავლიანობის მრუდის მოკლევადიანი ნაწილის ფორმირება წარმოადგენს. შედეგად, ამ ოპერაციებით ეროვნული ბანკი სადეპოზიტო სერტიფიკატების ნაშთს მინიმალურ დონეზე, 60-80 მლნ ლარის ფარგლებში ინარჩუნებდა.

2021 წელს, ლიკვიდობის სამართავად და ლიკვიდობის მიწოდების სხვა წყაროებიდან წარმოქმნილი მერყეობის დასაბალანსებლად, ბანკები აქტიურად იყენებდნენ რეფინანსირების სესხებს. თუმცა 2020 წელთან შედარებით რეფინანსირების სესხების მოცულობა შემცირდა. წლის მანძილზე რეფინანსირების სესხების მოცულობაზე გავლენას რამდენიმე ფაქტორი ახდენდა (იხ. დიაგრამა N 2.3). რეფინანსირების სესხებზე სამთავრობო სექტორის ოპერაციებმა შემცირების მიმართულებით იმოქმედა. გარდა ამისა, ნაღდ ფულზე მოთხოვნის შემცირება, ეროვნული ბანკის მიერ მეორად ბაზარზე მთავრობის ფასიანი ქაღალდების შეძენა და ლიკვიდობის დროებითი მიწოდების ინსტრუმენტების გამოყენება, ასევე, რეფინანსიების სესხების შემცირებას განაპირობებდა, მეორე მხრივ კი, მათზე ზრდის მიმართულებით ეროვნული ბანკის სავალუტო ინტერვენციები მოქმედებდა.

დიაგრამა N 2.3 რეფინანსირების სესხების წლიურ ცვლილებაზე მოქმედი ფაქტორები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ზემოაღწერილი ინსტრუმენტების საშუალებით, ეროვნული ბანკი ფინანსურ სექტორს მოკლევადიან ლიკვიდობას საჭიროების შესაბამისად აწვდიდა. შედეგად, როგორც დიაგრამა N 2.4-ზე ჩანს ბანკთაშორის ფულად ბაზარზე საპროცენტო განაკვეთები პოლიტიკის განაკვეთთან ახლოს ნარჩუნდებოდა, რაც საუკეთესო ინდიკატორია იმის განსასაზღვრად, რომ ეროვნული ბანკი

ფინანსურ სისტემას ლიკვიდობის სათანადო მოცულობით უზრუნველყოფდა[28]. კერძოდ, თუ სისტემას საჭიროზე ნაკლები ლიკვიდობა მიეწოდება, მაშინ ბანკთაშორისი საპროცენტო განაკვეთი პოლიტიკის განაკვეთთან შედარებით გაიზრდება და, პირიქით, ჭარბი ლიკვიდობის შემთხვევაში - შემცირდება, ეს კი საპროცენტო განაკვეთების მერყეობას ზრდის და მონეტარული პოლიტიკის ეფექტურობას ამცირებს. საბანკო სისტემისთვის ლარის საკმარისი რესურსის ხელმისაწვდომობა და, ამავდროულად, ეფექტიანი მართვა, მნიშვნელოვანია ლარის დაკრედიტების წახალისებისა და დედოლარიზაციის ხელშეწყობისთვის, რაც, თავის მხრივ, ფინანსური სტაბილურობის რისკებს ამცირებს.

დიაგრამა N 2.4 ბანკთაშორისი ფულადი ბაზარი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

28. IMF Country Report No. 17/97 (April 2017) https://www.imf.org/en/Publications/CR/Issues/2017/04/13/Georgia-Request-for-Extended-Arrangement-Under-the-Extended-Fund-Facility-and-Cancellation-44834

ჩანართი 1 ლიკვიდობაზე მოქმედი ფაქტორები

საფინანსო სექტორის ხელთ არსებული ლიკვიდობის მოცულობაზე გავლენას ბევრი სხვადასხვა ფაქტორი ახდენს, როგორებიცაა მთავრობის ოპერაციები, ნაღდ ფულზე მოთხოვნა თუ სავალუტო ინტერვენციები. საქართველოს ეროვნულ ბანკს საფინანსო სექტორის ლიკვიდობის სამართავად და მონეტარული პოლიტიკის გადაცემის მექანიზმის მხარდასაჭერად როგორც ლიკვიდობის მიწოდების, ასევე ლიკვიდობის ამოღების ინსტრუმენტები აქვს. თითქმის ბოლო ათი წლის მანძილზე საფინანსო სექტორს ლიკვიდობის სტრუქტურული დეფიციტი აქვს[29]. შესაბამისად, მონეტარული პოლიტიკის მთავარ ინსტრუმენტს ლიკვიდობის მიწოდების ინსტრუმენტი - რეფინანსირების სესხები -წარმოადგენს.

ზოგადად, მოკლევადიან პერიოდში საბანკო ლიკვიდობა დიდი მერყეობით ხასიათდება. იმისათვის, რომ ეს მერყეობა საპროცენტო განაკვეთების რყევებში არ აისახოს, საჭიროა ლიკვიდობის მიწოდება ლიკვიდობაზე მოთხოვნას შეესაბამებოდეს. ეროვნული ბანკი ბაზარს იმდენ ლიკვიდობას აწვდის, რამდენზეც არის მოთხოვნა არსებული საპროცენტო განაკვეთის პირობებში. ამასთან აღსანიშნავია, რომ რეფინანსირების სესხები შესაბამისი გირაოს (მთავრობის ფასიანი ქაღალდები და სხვა) სანაცვლოდ გაიცემა.

უფრო გრძელვადიანი კუთხით კი, 2014 წლამდე საფინანსო სისტემა სტრუქტურული პროფიციტის პირობებში ოპერირებდა. ამდენად, ვინაიდან მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი რეფინანსირების განაკვეთია, 2014 წლამდე ეროვნული ბანკი სადეპოზიტო სერტიფიკატებით სისტემიდან ლიკვიდობას იღებდა, რათა რეფინანსირების ინსტრუმენტზე მოთხოვნა და, შესაბამისად, მონეტარული პოლიტიკის ეფექტიანობა გაეზარდა. თუმცა, ჯერ კიდევ 2013 წლიდან ლიკვიდობის სტრუქტურული პროფიციტის შემცირება დაიწყო და 2014 წლიდან ეტაპობრივად სტრუქტურულ დეფიციტში გადავიდა. შესაბამისად, ამან რეფინანსირების სესხებზე, როგორც ლიკვიდობაზე საფინანსო სისტემის მოთხოვნის დაკმაყოფილების ინსტრუმენტზე, მოთხოვნა ბუნებრივად - სისტემიდან სადეპოზიტო სერტიფიკატებით ლიკვიდობის ამოღების გარეშე - გაზარდა.

2014 წლიდან ფინანსური სისტემის ლიკვიდობის სტრუქტურული დეფიციტის პირობებში გადასვლას და, შესაბამისად, რეფინანსირების სესხებზე მოთხოვნის ბუნებრივად მატებას ორი ძირითადი ფაქტორი განაპირობებდა - ეროვნული ბანკის მიერ განხორციელებული სავალუტო ინტერვენციები და ნაღდ ფულზე მზარდი მოთხოვნა:

1. მაშინ, როდესაც ეროვნული ბანკი სავალუტო აუქციონებზე უცხოურ ვალუტას ლარის სანაცვლოდ ყიდის, საფინანსო სისტემის ხელთ არსებული ლარის ლიკვიდობა მცირდება და პირიქით. მაგალითად, 2006-2007 წლებში ეროვნული ბანკი სავალუტო ინტერვენციების საშუალებით უცხოურ ვალუტას აქტიურად ყიდულობდა, რაც ლარის ლიკვიდობის მიწოდების

29. ლიკვიდობის სტრუქტურული დეფიციტი ნიშნავს, რომ ცენტრალური ბანკის მოკლევადიანი საბაზრო ოპერაციების (მაგალითად, რეფინანსირების სესხების) გარეშე საფინანსო სისტემას იმაზე ნაკლები ლიკვიდური ნაშთები ექნებოდა, ვიდრე მათზე მოთხოვნაა. ლიკვიდობის სტრუქტურული დეფიციტი ფინანსური სისტემის ნორმალური მდგომარეობაა და ლიკვიდობის ასეთ პოზიციაშია ბევრი ქვეყანა, გარდა, მაგალითად, იმ ქვეყნებისა, სადაც რაოდენობრივი შერბილების პოლიტიკაა (რაც ცენტრალური ბანკების მიერ გრძელვადიანი აქტივების შესყიდვას და ამით ადგილობრივი ვალუტის ლიკვიდობის მიწოდებას გულისხმობს) ან უცხოური ვალუტის რეზერვების აქტიური დაგროვება ხდება (რაც ასევე ადგილობრივი ვალუტის ლიკვიდობის მიწოდებას მოიაზრებს).

მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენდა. შესაბამისად, ამ დროს ლიკვიდობის ამოღება უფრო აქტუალური იყო, რაც ეროვნული ბანკის სადეპოზიტო სერტიფიკატების გაყიდვით ხორციელდებოდა. მეორე მხრივ, გაცვლითი კურსის გაუფასურების ფონზე, 2014 წლიდან, საშუალოდ, ეროვნულმა ბანკმა მნიშვნელოვანი მოცულობის უცხოური ვალუტა გაყიდა, რამაც ლარის ლიკვიდობა შეამცირა (ლიკვიდობის სტრუქტურული დეფიციტი გაზარდა). საპასუხოდ, საბანკო სისტემის შეუფერხებელი ფუნქციონირების მიზნით, ბანკები ლიკვიდობის დანაკლისს რეფინანსირების სესხებით ივსებენ (იხ. დიაგრამა N 2.5).

2. გარდა ამისა, შემოსავლების მატებასთან ერთად, მოსახლეობა მოხმარებას ზრდის და თავისთავად ნაღდ ფულზე შედარებით მაღალი მოთხოვნა ჩნდება. ეს კი გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის თანმდევი მოვლენაა. ნაღდ ფულზე მოთხოვნას ასევე ზრდის ფინანსური სექტორის გაღრმავება და ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომის ზრდა. ამასთან, ლარის ნაღდ ფულზე მოთხოვნის ზრდა, ნაწილობრივ, სუბიექტების მიერ უცხოური ვალუტიდან ლარზე გადასვლის (ნაღდი ფულის ლარიზაციის) მანიშნებელიცაა. მიმოქცევაში არსებულ ნაღდ ფულზე მოთხოვნის ზრდა კი კომერციულ ბანკებს ლიკვიდურ სახსრებს უმცირებს და, შესაბამისად, ამით რეფინანსირების სესხებზე მოთხოვნაც ბუნებრივად მატულობს.

დიაგრამა N 2.5 რეფინანსირების სესხების ცვლილება და მისი დეკომპოზიცია (გამომწვევი მიზეზების მიხედვით)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ლიკვიდობაზე მოთხოვნის კუთხით, გარკვეულ პერიოდებში, გასათვალისწინებელია მთავრობის ოპერაციების გავლენაც, რომლებიც საფინანსო სექტორის ლიკვიდობას ზოგ პერიოდში ზრდიდა, ზოგ პერიოდში კი ამცირებდა. მაგალითად, 2010-2013 წლებში ბიუჯეტის დეფიციტის ძირითადი ნაწილის დაფინანსება საგარეო ვალით ხორციელდებოდა, რაც ფულის მასას ზრდიდა. შემდეგ წლებში კი, მთავრობის სტრატეგიის შესაბამისად, ბიუჯეტის დეფიციტის საშინაო ვალით დაფინანსება გაიზარდა. ამ შემთხვევაში მთავრობა სახაზინო ობლიგაციებს ყიდულობდა, რითიც ლარის ლიკვიდობა მცირდებოდა. 2014-2017 წლებში კი, შემცირებული ლარის ლიკვიდური სახსრების ფონზე, რეფინანსირების სესხებზე მოთხოვნა გაიზარდა.

რომ შევაჯამოთ, ლიკვიდობაზე მოთხოვნისა და, შესაბამისად, რეფინანსირების სესხების გააქტიურება, განსაკუთრებით 2014 წლიდან, ძირითადად სავალუტო ინტერვენციების გზით ეროვნული ბანკის მიერ უცხოური ვალუტის გაყიდვებმა და ლარის ნაღდ ფულზე მოთხოვნის ზრდამ გამოიწვია. მართლაც, როგორც დიაგრამა N 2.5-დან ჩანს, ამ წლებში სავალუტო ინტერვენციებისა და ნაღდ ფულზე მოთხოვნის ზრდამ (რაც ლიკვიდობაზე მოთხოვნას ზრდის) ლიკვიდობის მიწოდების სხვა ინსტრუმენტებს გადააჭარბა, რამაც რეფინანსირების სესხების ინსტრუმენტის გამოყენების ზრდა გამოიწვია (დიაგრამაზე მსხვილი წითელი წერტილი). შედეგად, ეროვნული ბანკის მიერ სადეპოზიტო სერტიფიკატებით ლიკვიდობის ამოღების საჭიროება, 2014 წლიდან, რეფინანსირების სესხებით ლიკვიდობის მიწოდების საჭიროებით ჩანაცვლდა, რათა საფინანსო სისტემის ხელთ არსებული ლიკვიდობის მოცულობა ამ ლიკვიდობაზე მოთხოვნის ტოლი დარჩენილიყო. როგორც დასაწყისშიც აღინიშნა, ლიკვიდობაზე მოთხოვნისა და მისი მიწოდების თანაბრობა მოკლევადიანი საბაზრო საპროცენტო განაკვეთების სტაბილურობისა და, შესაბამისად, მონეტარული პოლიტიკის ეფექტიანობის მნიშვნელოვანი პირობაა.

აღსანიშნავია, რომ 2021 წლის აპრილში საერთაშორისო სავალუტო ფონდმა (სსფ) „გაფართოებული დაფინანსების მექანიზმით“ (EFF) მხარდაჭერილი პროგრამის ბოლო მიმოხილვა წარმატებით ჩატარდა, რითაც პროგრამაც დასრულდა. აღნიშნული პროგრამის ბოლო ორი მიმოხილვა მიზნად ისახავდა COVID-19 პანდემიით გამოწვეული უარყოფითი გავლენის შემსუბუქებას, კერძოდ, საგადასახდელო ბალანსის მყისიერი საჭიროებების მოგვარებაში ხელშეწყობას. მნიშვნელოვანია, რომ სსფ-ს მისიამ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ პროგრამით გათვალისწინებული ყველა კრიტერიუმის შესრულება ცალსახად დადებითად შეაფასა.

ლარიზაციის ხელშეწყობა ეროვნული ბანკის გრძელვადიანი ამოცანაა. ლარიზაციის წახალისება ქვეყანაში მაკრო-ფინანსური რისკების შემცირებისა და საგარეო მოწყვლადობების მიმართ მდგრადობის გაზრდის წინაპირობაა. შესაბამისად, ლარიზაციის ზრდა საქართველოს ეროვნული ბანკის ერთ-ერთი პრიორიტეტია და მისი წამახალისებელი რეფორმები ეტაპობრივად ხორციელდება.

2021 წლის მეორე ნახევრიდან, მონეტარული პოლიტიკის გამკაცრების კვალდაკვალ, ლარის რესურსის გაძვირების ფონზე, საკრედიტო პორტფელში უცხოური ვალუტით გაცემული სესხების წილი გაიზარდა, რაც სესხების დოლარიზაციაზე ზრდის მიმართულებით მოქმედებს. მიუხედავად საგრძნობი შემცირებისა, დოლარიზაცია ფინანსური სექტორისთვის მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება და, მონეტარული პოლიტიკის ეფექტიანობის შეზღუდვასთან ერთად, ფინანსური სტაბილურობის რისკებს შეიცავს. საქართველოს ეროვნული ბანკი დოლარიზაციის დინამიკას მუდმივად აანალიზებს და საჭიროების შემთხვევაში შესაბამის ღონისძიებებს ატარებს. 2021 წლის ივლისიდან დეპოზიტების დედოლარიზაციის წახალისების მიზნით, ძალაში შევიდა ცვლილება, რომლის მიხედვით უცხოური ვალუტით მოზიდული სახსრებისთვის მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების ნორმა ინდივიდუალურად, ცალკეული კომერციული ბანკისთვის, დეპოზიტების დოლარიზაციის მიხედვით განისაზღვრა, რაც 40-70 პროცენტის ფარგლებში დეპოზიტების დოლარიზაციის მქონე ბანკებისთვის სარეზერვო მოთხოვნის შემცირებას წარმოადგენს. კერძოდ, ერთ წლამდე ნარჩენ უცხოური ვალუტით ნასესხებ სახსრებზე სარეზერვო ნორმა 10-25 პროცენტით განისაზღვრა და დამოკიდებული გახდა თითოეული კომერციული ბანკის დეპოზიტების დოლარიზაციის კოეფიციენტზე. ამასთან, უცხოური ვალუტით 1-დან 2 წლამდე ნარჩენი ვადიანობის ნასესხები სახსრებისათვის სარეზერვო ნორმა

10-15 პროცენტი გახდა (ის ასევე დამოკიდებულია თითოეული კომერციული ბანკის დეპოზიტების დოლარიზაციის კოეფიციენტზე).

მთლიანობაში, წლის განმავლობაში მთლიანი დეპოზიტების დოლარიზაცია, გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით, პრაქტიკულად არ შეცვლილა (გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვის გარეშე კი 1.4 პპ-ით შემცირდა) და 60.2 პროცენტს გაუტოლდა. ხოლო, სესხების დოლარიზაცია, გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით, 3.3 პპ-ით შემცირდა (გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვის გარეშე კი 4.7 პპ-ით შემცირდა) და დეკემბერში 50.6 პროცენტი შეადგინა. რაც შეეხება ფიზიკური პირების სესხების დოლარიზაციის მაჩვენებელს, ის 2021 წლის განმავლობაში გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით 40.2 პროცენტიდან 36.6 პროცენტამდე შემცირდა (გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვის გარეშე კი 4.9 პპ-ით შემცირდა).

დიაგრამა N 2.6 ბანკთაშორისი ფულადი ბაზარი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

კაპიტალის ბაზრის განვითარების ხელშეწყობა ეროვნული ბანკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტად რჩება. კაპიტალის ბაზრის განვითარება გაზრდის ლარის გრძელვადიანი რესურსის ხელმისაწვდომობას და, ამასთანავე, ხელს შეუწყობს ლარიზაციას. აღსანიშნავია, რომ 2021 წლის განმავლობაში ბაზარზე ლარით დენომინირებული ახალი კორპორატიული ფასიანი ქაღალდები გაჩნდა, რაც კაპიტალის ბაზრის გააქტიურების სიგნალია (იხ. დიაგრამა N 2.7). გასათვალისწინებელია, რომ 2016 წელს გირაოს ბაზაში შესული ცვლილებების საფუძველზე, აღნიშნული ფასიანი ქაღალდები ეროვნულ ბანკთან მონეტარულ ოპერაციებშიც დაიშვება, რამაც, საინვესტიციო მიზნების გარდა, მათი ლიკვიდობის სამართავად ფლობის დამატებითი სტიმული შექმნა. რაც შეეხება არარეზიდენტების მოთხოვნას, წლის ბოლოსკენ მოთხოვნა გაიზარდა, თუმცა ჯამურად წლის განმავლობაში კლება დაფიქსირდა.

დიაგრამა N 2.7 ლარით დენომინირებული ფასიანი ქაღალდების დინამიკა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ჩანართი 2 კორელაცია ფულის მასის ზრდასა და ინფლაციას შორის

ინფლაციის მაჩვენებლის მერყეობის ზრდის კვალდაკვალ, როგორც წესი, ეკონომიკურ წრეებში ძლიერდება დისკუსია მისი გამომწვევი მიზეზების ირგვლივ. მიზეზთა შორის ზოგჯერ ფულის მასის ცვლილება სახელდება. კერძოდ, ხშირად გამოითქმის მოსაზრება, რომ ფულის მასის მოცულობის ზრდა ინფლაციაზე ერთმნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს, რაც გარკვეულ პერიოდებში მონაცემებში აღმოჩენილი თითქოსდა დადებითი კორელაციის არგუმენტით მყარდება. იმის გათვალისწინების გარეშეც, რომ ასეთ კავშირებს, საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული ჩარჩოს პირობებში, თეორიული საფუძველი არ გააჩნია, ქვემოთ წარმოდგენილი რაოდენობრივი ფაქტები და ცვლადების დინამიკა ცხადყოფს, რომ აღნიშნული მოსაზრებები ემპირიულ საფუძველსაც კი მოკლებულია (იხ. დიაგრამა N 2.8 და ცხრილი N 2.1).

როგორც მონაცემები აჩვენებს, 2010 წლის შემდეგ, როდესაც ეროვნული ბანკი ინფლაციის თარგეთირების რეჟიმზე გადავიდა, ფულის მასის ცვლილება და ინფლაცია ხშირად ერთმანეთს აცდენილია. ეს კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმას, რომ როდესაც ცენტრალური ბანკი საოპერაციო ორიენტირად საპროცენტო განაკვეთს იყენებს, როგორც ეს ინფლაციის თარგეთირების დროს ხდება, ფულის მასის ცვლილებისა და ინფლაციის პირდაპირი დაკავშირება არასწორი დასკვნების მომცემია.

დიაგრამა N 2.8 M2 ფულის მასის წლიური ცვლილება და წლიური ინფლაცია



წყარო: საქსტატი, საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშება.

კერძოდ, დიაგრამიდან რამდენიმე მარტივი მიგნება იკვეთება: (1) ფულის მასის ცვლილება ინფლაციაზე თითქმის ყოველთვის მაღალია, რაც ფულის, როგორც დაზოგვის საშუალების ფუნქციის გაძლიერებას ასახავს. ეს განსაკუთრებით ცხადად 2004-2008 წლებში ჩანდა, როდესაც ფულის მასა ძალზედ სწრაფად იზრდებოდა, მაგრამ ამ დროს ინფლაცია ამ ზრდის ტემპის თანაზომიერი ნამდვილად არ ყოფილა (მეტიც, ამ პერიოდში გაცვლითი კურსიც მყარდებოდა); (2) 2010 წლიდან მოყოლებული ფულის მასის ცვლილებასა და ინფლაციას შორის კორელაცია, პრაქტიკულად, საერთოდ გაქრა. ამდენად, არსებული რეჟიმის პირობებში, ინფლაციის ასახსნელად მხოლოდ ფულის მასის გამოყენება არასწორია; (3) შეგვიძლია ვნახოთ პერიოდები, როდესაც ფულის მასა შემცირდა, მაგრამ ინფლაცია გაიზარდა (და კურსიც გაუფასურდა). მაგალითად, 2015 წელს, მწვავე საგარეო შოკისა და სხვა ფაქტორების პირობებში ლარზე მოთხოვნამ იკლო, რამაც ლარის დეპოზიტები და, შედეგად, ლარის მასა M2 შეამცირა. ლარზე მოთხოვნის შემცირებამ, თავის მხრივ, კურსი დამატებით გააუფასურა და ინფლაცია გაზარდა. ეს მაგალითი კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმას, რომ ფულის მასის ცვლილება არასაკმარისი ინფორმაციაა, თუ არ ვიცით, რა ფაქტორები დგას ამ ცვლილების უკან - არის ეს მოთხოვნის, თუ მიწოდების ცვლილების ასახვა. სწორედ ამიტომ გვესაჭიროება ფულის ფასიც - საპროცენტო განაკვეთი. ამდენად, თუ ფულის მასა იზრდება, მაგრამ ფულის ფასი (მოკლევადიანი საბაზრო საპროცენტო განაკვეთი) არ მცირდება, ესე იგი ფულზე მოთხოვნა გაზრდილა, რაც ინფლაციის მიზეზი ვერ იქნება. ეს განსაკუთრებით ასეა 2016 წლის შემდეგ, როდესაც ლარიზაციის მიმართულება კიდევ უფრო გააქტიურდა.

ბოლოს, შეგვიძლია ასევე შევხედოთ, ფულის მასის ცვლილებასა და ინფლაციას შორის კავშირი დროითი პერიოდების წანაცვლებაში ხომ არ იმალება. მაგალითად, შესაძლოა, მიმდინარე პერიოდში ფულის მასის ზრდა ინფლაციას არა იმავე, არამედ დაგვიანებით (ე.წ. ლაგით), შემდეგ პერიოდებში იწვევდეს. თუმცა, მონაცემებში არც ასეთი დაყოვნებითი კავშირი ჩანს (იხ. ცხრილი N 2.1). მეტიც, მონაცემების მიხედვით, ფულის მასის ზრდა დაკავშირებულია ინფლაციის შემცირებასთან. ეს უკანასკნელი თავისთავად ასევე მიზეზ-შედეგობრივ კავშირს არ ნიშნავს, თუმცა იმ არგუმენტს უსვამს ხაზს, რასაც ზემოთ ვახსენებთ - თუკი ფულის მასის ზრდა, განაკვეთის უცვლელობის პირობებში, მასზე მოთხოვნის ზრდის ასახვაა, ეს ინფლაციის ზრდის მიზეზი ვერ იქნება. ამიტომაც, ცარიელ, შინაარსს მოკლებულ კორელაციებზე ანალიზის დაფუძნება, დიდი ალბათობით, შეცდომაში შემყვანია.

ცხრილი N 2.1 კორელაციები M2 ფულის მასის წლიურ ცვლილებასა და წლიურ ინფლაციას შორის.

	1997-2021	2000-2010	2011 -2021	2011-2016	2017-2021	2017-2021 (1 თვის ლაგით)	2017-2021 (2 თვის ლაგით)	2017-2021 (3 თვის ლაგით)	2017-2021 (6 თვის ლაგით)	2017-2021 (9 თვის ლაგით)	2017-2021 (12 თვის ლაგით)
2021 წლის დეკემბრის ჩათვლით	21.4%	67.1%	-0.1%	-12.2%	-9.4%	-6.9%	-5.3%	-4.1%	-6.7%	-16.7%	-27.5%

ზოგადად, ეს ყოველივე არ ნიშნავს, რომ ფულის მასის ზრდა არასდროსაა ინფლაციასთან კავშირში. კერძოდ, როდესაც ფულის მასის ზრდის მიღმა დგას ერთობლივი მოთხოვნის ჭარბი ზრდა, მაშინ ეს, ბუნებრივად, ინფლაციის ზრდის მიზეზიც შეიძლება გახდეს. ერთობლივი მოთხოვნის ზრდის ორი მთავარი გამომწვევი კი საკრედიტო აქტივობა და სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტია, რომელთაგან ორივე არის როგორც საქონელსა და მომსახურებაზე მოთხოვნის შემქმნელი (რაც ინფლაციას ზრდის), ასევე ფულის მასის ზრდის წყარო. ინფლაციისთვის ერთობლივი მოთხოვნის მნიშვნელობას ეროვნული ბანკი მუდმივად ხაზს უსვამს. სწორედ ჭარბი ერთობლივი მოთხოვნიდან წამოსული ინფლაციის განეიტრალებაა ცენტრალური ბანკების მთავარი დანიშნულება.

2.2 ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ინსტრუმენტები

მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის გადაწყვეტილებების (გამკაცრება, შერბილება, უცვლელად დატოვება) განხორციელება მონეტარული ოპერაციებით ხდება. მონეტარული ოპერაციების მიზანი ბანკთაშორისი ფულადი ბაზრის მოკლევადიანი საპროცენტო განაკვეთის პოლიტიკის განაკვეთთან ახლოს შენარჩუნებაა. ამ მიზნის მისაღწევად ეროვნული ბანკი შემდეგ ინსტრუმენტებს იყენებს: რეფინანსირების სესხები, ღია ბაზრის ერთთვიანი ინსტრუმენტი, სადეპოზიტო სერტიფიკატები, ღია ბაზრის ოპერაციები მთავრობის ფასიანი ქაღალდებით, ერთდღიანი სესხები და დეპოზიტები, მინიმალური სარეზერვო მოთხოვნები და სხვა.

ბანკთაშორისი სადეპოზიტო/საკრედიტო ბაზარი წარმოადგენს ფულად ბაზარს, სადაც ბანკები მოკლევადიანი ლიკვიდობით ვაჭრობენ. ეს ბაზარი საქართველოს ეროვნული ბანკისათვის დიდ ინტერესს წარმოადგენს, რადგანაც ის მონეტარული პოლიტიკის გადაცემის მექანიზმის ფუნქციონირებაში გადამწყვეტ როლს ასრულებს. საქართველოს ეროვნული ბანკი საპროცენტო განაკვეთებზე ზეგავლენას მონეტარული პოლიტიკის განაკვეთით და მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტების გამოყენებით ახდენს.

ფულადი ბაზრის TIBR ინდექსი ერთდღიანი საპროცენტო განაკვეთის „ბენჩმარკს“ წარმოადგენს. იგი ბანკთაშორის ფულად ბაზარზე განხორციელებულ ფაქტობრივ გარიგებებს ეფუძნება, რაც, იმავდროულად, ინდექსის მიმართ სანდოობას ზრდის. ასევე, ინდექსის საიმედოობას განაპირობებს ეროვნული ბანკის ჩართულობა ინფორმაციის შეგროვების და ინდექსის გაანგარიშების პროცესში. ბაზარზე საშუალოვადიანი და გრძელვადიანი ინსტრუმენტების „ბენჩმარკად“ (განსაკუთრებით ლარის ცვლადგანაკვეთიან ინსტრუმენტებში) გამოყენებისათვის 2019 წლის 14 მარტიდან საქართველოს ეროვნულმა ბანკმა TIBR ინდექსზე დაფუძნებული ფულადი ბაზრის TIBR ვადიანი ინდექსების (Term Rates) გამოქვეყნება დაიწყო, რომელიც საპროცენტო რისკების მართვის უფრო ეფექტური საშუალებაა. საბაზრო ეკონომიკის

პირობებში ფინანსური ინსტრუმენტების საპროცენტო განაკვეთები (კუპონები, პროცენტები) სხვადასხვა ვადიანობისაა (თვე, კვარტალი, 6 თვე, წელი). განაკვეთების ცვალებადობით წარმოშობილი ფინანსური რისკების მართვისათვის კი შესაბამისი ვადიანობის დაზღვევის მექანიზმებია საჭირო და ფასწარმოქმნისათვის შესაბამისი ვადიანობის ინდექსებს საჭიროებს. ასეთი ინდექსები, თავის მხრივ, გამჭვირვალე მეთოდოლოგიას ეყრდნობა და ბაზრის მონაწილეები აღნიშნულ ინდექსებს, როგორც დამოუკიდებელ წყაროს, ენდობიან.

თბილისის ბანკთაშორისი საპროცენტო განაკვეთის (TIBR) ინდექსის და TIBR ვადიანი ინდექსების (Term Rates) გაანგარიშების მეთოდოლოგია ინდექსების გაანგარიშებისა და გამოქვეყნების წესებს მოიცავს, რომელიც ფულადი ბაზრების მონაწილეებთან მჭიდრო თანამშრომლობით და EBRD-ის დახმარებით შემუშავდა. აღნიშნული მეთოდოლოგია მონაცემების კონტროლისა და მეთოდოლოგიის გადახედვის პროცედურასაც ითვალისწინებს. TIBR ინდექსები საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალურ ვებგვერდზე ყოველდღიურად, დილის 9 საათზე ქვეყნდება.

2021 წელს ბანკთაშორის ბაზარზე ეროვნული ვალუტით შესრულებული გარიგებების მოცულობა წინა წლის ანალოგიური მაჩვენებლის 154.9 პროცენტი იყო და 31.1 მლრდ ლარი შეადგინა. საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის ცვლილებების ფონზე, 2021 წელს იცვლებოდა ბანკთაშორისი საპროცენტო განაკვეთებიც, რომლებიც მონეტარული პოლიტიკის საპროცენტო განაკვეთთან ახლოს მოძრაობდა. მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის გადაწყვეტილებების ფარგლებში და საბანკო სისტემაში ლიკვიდობის მოკლევადიანი პროგნოზის საფუძველზე, საქართველოს ეროვნული ბანკი რეფინანსირების სესხების ყოველკვირეულ და ღია ბაზრის ერთთვიანი ინსტრუმენტების მოცულობებს განსაზღვრავდა. ეროვნული ბანკი ამ პროცესებს ისე მართავდა, რომ აუქციონზე დაფიქსირებული საშუალო საპროცენტო განაკვეთი მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის სიახლოვეს შენარჩუნებულიყო.

2.2.1 რეფინანსირების სესხი

საბანკო სისტემის მოკლევადიანი ლიკვიდობით უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს ეროვნული ბანკი 2021 წლის განმავლობაში ყოველკვირეულად რეფინანსირების სესხის ინსტრუმენტს იყენებდა. რეფინანსირების ინსტრუმენტის მიზანი საბანკო სისტემისთვის ადეკვატური ლიკვიდობის მიწოდებაა. რეფინანსირების სესხების საშუალებით საბანკო სექტორისათვის ხელმისაწვდომია მოკლევადიან ლიკვიდობაზე საიმედო და დაბალრისკიანი წვდომა, რაც ფულად ბაზარსა და ფინანსურ სტაბილურობაზე დადებითად მოქმედებს. კერძოდ, ფულად ბაზარზე ლარის ლიკვიდობის რისკები და საბაზრო საპროცენტო განაკვეთების მერყეობა მცირდება, რაც ბოლო ათწლეულის განმავლობაში TIBR საპროცენტო განაკვეთების დინამიკიდან თვალნათლივ ჩანს. (დიაგრამა N 2.4). ვინაიდან ეროვნული ბანკი ლარის ბაზარზე მოკლევადიანი ლიკვიდობის ერთადერთი მიმწოდებელია, მას რეფინანსირების ინსტრუმენტით ბანკთაშორის ბაზარზე შესაბამის საპროცენტო განაკვეთის მიღწევის საშუალება აქვს. აუქციონის მეშვეობით გაცემული რეფინანსირების სესხების საპროცენტო განაკვეთი საქართველოს ეროვნული ბანკის პოლიტიკის განაკვეთს ეფუძნებოდა.

2021 წელს მონეტარული ოპერაციების გირაოს ბაზაში შედიოდა: საქართველოს ეროვნული ბანკის სადეპოზიტო სერტიფიკატები, საქართველოს მთავრობის ფასიანი ქაღალდები, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ გამოშვებული ლარით დენომინირებული სასესხო ფასიანი ქაღალდები, იურიდიული პირების მიერ გამოშვებული ლარით დენომინირებული სასესხო ფასიანი ქაღალდები და კომერციული ბანკების სასესხო აქტივები. სესხის უზრუნველყოფის თითოეული სახეობის აქტივებზე ეროვნული ბანკის მიერ შესაბამისი კრიტერიუმები (მაგ. მინიმალური მოცულობა, ნარჩენი ვადიანობა, ვალუტა და სხვა) იყო განსაზღვრული. 2021 წლის განმავლობაში საქართველოს ეროვნულ ბანკთან მონეტარული ოპერაციების წარმოებისათვის კომერციული ბანკები გირაოს ყველა ჩამოთვლილ სახეობას იყენებდნენ.

2.2.2 ღია ბაზრის ერთთვიანი ინსტრუმენტი

სხვა მონეტარული ინსტრუმენტების მსგავსად, ერთთვიანი ინსტრუმენტის მიზანიც ბანკთაშორის ბაზარზე მოკლევადიანი საპროცენტო განაკვეთების მართვაა, რაც საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკაა და შესაბამისობაშია საერთაშორისო სავალუტო ფონდის ტექნიკური დახმარების მისიის რეკომენდაციებთან. ლიკვიდობის პროგნოზირების ჯგუფი საბანკო სისტემაში მოკლევადიანი ლიკვიდობის დეფიციტს ყოველკვირეულად და ყოველთვიურად აფასებს, რომლის საფუძველზეც ღია ბაზრის ერთთვიანი ინსტრუმენტის კონკრეტულ მოცულობაზე აუქციონი ცხადდება. აუქციონზე ამ ინსტრუმენტის მინიმალური საპროცენტო განაკვეთი მონეტარული პოლიტიკის განაკვეთს უტოლდება. გირაოდ კი იგივე ტიპის აქტივები გამოყენება, რაც რეფინანსირების სესხების შემთხვევაში.

2.2.3 ერთდღიანი სესხები და ერთდღიანი დეპოზიტები

ფულადი ბაზრის განვითარების ხელშეწყობის, ბანკთაშორისი საპროცენტო განაკვეთის მერყეობის შემცირებისა და ფულადი ბაზრის აქტივობის გაზრდის მიზნით, 2021 წელს ბანკთაშორის ბაზარზე, მსოფლიოში მიღებული საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად, საქართველოს ეროვნული ბანკი საპროცენტო განაკვეთის დერეფნის გამოყენებას აგრძელებდა, რაც ბანკთაშორისი ბაზრის საპროცენტო განაკვეთის სტაბილურ ჩარჩოებში მოქცევას უწყობდა ხელს. საპროცენტო განაკვეთის დერეფანი განისაზღვრა როგორც მონეტარული პოლიტიკის განაკვეთიდან გადახრები საპროცენტო განაკვეთების ზედა და ქვედა ზღვრის ფორმირებისათვის. ზედა საპროცენტო განაკვეთი საქართველოს ეროვნული ბანკის ერთდღიანი სესხებისათვის, ხოლო ქვედა საპროცენტო განაკვეთი საქართველოს ეროვნული ბანკის ერთდღიანი დეპოზიტისთვის გამოიყენებოდა. 2021 წელს მონეტარული პოლიტიკის საპროცენტო განაკვეთის დერეფანი 1.5 პროცენტულ პუნქტს შეადგენდა – მონეტარული პოლიტიკის საპროცენტო განაკვეთს პლუს/მინუს 0.75 პროცენტული პუნქტი, ხოლო 2021 წლის აგვისტოდან ერთდღიან დეპოზიტზე საპროცენტო განაკვეთი განისაზღვრა როგორც მონეტარული პოლიტიკის განაკვეთს მინუს 1.75 პროცენტული პუნქტი, რათა შენარჩუნებული იყოს ბანკთაშორისი დეპოზიტების უპირატესობა საქართველოს ეროვნული ბანკის ერთდღიან დეპოზიტებთან შედარებით. საპროცენტო განაკვეთის დერეფნის გამოყენება ამცირებს ბანკთაშორის ბაზარზე საპროცენტო განაკვეთების ჭარბ მერყეობას და, თავის მხრივ, ხელს უწყობს ბანკთაშორისი საპროცენტო განაკვეთის დაახლოებას მონეტარული პოლიტიკის განაკვეთთან.

საქართველოს ეროვნული ბანკის ერთდღიანი სესხები საბანკო სექტორისათვის ლიკვიდობის ყველაზე სწრაფ, თუმცა, საბაზრო საპროცენტო განაკვეთთან შედარებით უფრო მაღალი ფასით მიღების საშუალებას წარმოადგენდა. ერთდღიანი სესხებისათვის მოქმედებდა გირაოს იგივე ბაზა, რაც რეფინანსირების სესხებისათვის.

ერთდღიანი დეპოზიტების ინსტრუმენტით კომერციულ ბანკებს შეუძლიათ საკორესპონდენტო ანგარიშზე ეროვნული ვალუტით არსებული ჭარბი ლიკვიდობა დღის ბოლოს განათავსონ საქართველოს ეროვნულ ბანკში ერთდღიან დეპოზიტზე, რომელიც საკორესპონდენტო ანგარიშზე შემდგომი სამუშაო დღის დასაწყისშივე უბრუნდებათ. აღნიშნული ინსტრუმენტს მნიშვნელოვანი როლი აქვს ბანკთაშორის ბაზარზე საპროცენტო განაკვეთების სტაბილიზაციისათვის.

2.2.4 ლიკვიდობის მიწოდების დამატებითი ინსტრუმენტები

პანდემიის პირობებში, 2020 წელს საფინანსო სექტორში ლიკვიდობის შესაძლო რისკების მინიმიზირების მიზნით, ეროვნულმა ბანკმა ლიკვიდობის დროებითი ინსტრუმენტები აამოქმედა: სავალუტო სვოპი, მუდმივმოქმედი სავალუტო სვოპი და მცირე და საშუალო ბიზნესის ლიკვიდობის მიწოდების ინსტრუმენტი.

სვოპ ოპერაციები

2021 წელს საბანკო სექტორისათვის დამატებითი ლიკვიდობის მხარდაჭერის ერთერთ ინსტრუმენტად ეროვნული ბანკი სავალუტო სვოპ ოპერაციებს იყენებდა. მისი საჭიროება განპირობებული იქნა პანდემიის შედეგად ქვეყნისა და მსოფლიოს ეკონომიკურ გარემოში წარმოქმნილი პრობლემებითა და გაურკვევლობებით, რომლებსაც, თავის მხრივ, საფინანსო სექტორში ლიკვიდობის რისკების ზრდა შეეძლო. აღნიშნული ინსტრუმენტი, კომერციული ბანკების გარდა, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისათვისაც იყო ხელმისაწვდომი. სვოპ ოპერაციებით ეროვნული ბანკი უცხოურ ვალუტას ეროვნული ვალუტით ერთი თვის ვადით და სპოტ კურსით, მისი ფორვარდული კურსით უკან გაყიდვის პირობით ყიდულობდა. სავალუტო სვოპ ოპერაციები თვეში ერთხელ იმართებოდა და 2021 წლის განმავლობაში სულ თორმეტჯერ ჩატარდა. მასში, სხვადასხვა სიხშირით, მონაწილეობა 11 კომერციულმა ბანკმა და, ბანკების მეშვეობით, 2 მიკროსაფინანსო ორგანიზაციამ მიიღო. სავალუტო სვოპ ოპერაციის თანხა თვეების მიხედვით განსხვავდებოდა და 12.9-138.0 მლნ აშშ დოლარის ფარგლებში მერყეობდა, რაც გამოყოფილი რესურსის 3.23-34.5 პროცენტს შეადგენდა. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სვოპ ოპერაციებით გამოყენებული თანხა შეადგენდა 138.0 მლნ აშშ დოლარის შესაბამის ოდენობის 427.8 მლნ ლარს.

მუდმივმოქმედი სვოპის ინსტრუმენტი

2020 წლის მაისიდან საბანკო სექტორისათვის დამატებითი ლიკვიდობის მხარდაჭერის მეორე ინსტრუმენტად ეროვნულმა ბანკმა ბაზარს შესთავაზა და აამოქმედა მუდმივმოქმედი სვოპის ინსტრუმენტი, რომელიც ლიკვიდობის რისკის დაზღვევის ფუნქციას ასრულებდა და რომლითაც კომერციულ ბანკებს საშუალება ჰქონდათ ნებისმიერ დღეს ლარის დამატებითი ლიკვიდობა საჯარიმო საპროცენტო განაკვეთით მიეღოთ. შედარებით მაღალი საპროცენტო განაკვეთის გამო, აღნიშნული ინსტრუმენტი მხოლოდ იშვიათ შემთხვევებში გამოიყენებოდა. 2021 წელს კომერციულმა ბანკებმა აღნიშნული ინსტრუმენტი მხოლოდ სამჯერ გამოიყენეს და თანხობრივად 345.8 მლნ ლარი შეადგინა.

ლიკვიდობის ინსტრუმენტი მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდასაჭერად

2020 წლის ივნისიდან, ეკონომიკაზე პანდემიის უარყოფითი გავლენის შემცირების მიზნით და მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდასაჭერად, ეროვნულმა ბანკმა ლიკვიდობის დამატებითი მესამე ინსტრუმენტი აამოქმედა. მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდასაჭერად შექმნილი ლიკვიდობის ინსტრუმენტის ვადიანობა ერთთვიანი იყო, ყოველთვიური განახლების შესაძლებლობით. 2021 წელს აღნიშნული ინსტრუმენტი 8 კომერციულმა ბანკმა გამოიყენა. ლიკვიდობის საჭიროებიდან გამომდინარე, ინსტრუმენტის მოცულობა თვეების განმავლობაში იცვლებოდა და მისმა მინიმალურმა მაჩვენებელმა 473.7 მლნ ლარი, ხოლო მაქსიმალურმა მაჩვენებელმა, წლის ბოლოს 632.0 მლნ ლარი შეადგინა.

2.2.5 ფასიანი ქაღალდები

2021 წელს საქართველოს ეროვნული ბანკი 3 თვის ვადიანობის სადეპოზიტო სერტიფიკატებს, ხოლო საქართველოს მთავრობა 6 თვის, 1, 2, 5 და 10 წლის ვადიანობის სახაზინო ფასიან ქაღალდებს უშვებდა. აღნიშნული ფასიანი ქაღალდები კომერციული ბანკების მხრიდან მაღალი მოთხოვნით სარგებლობდა და მათ ხელი შეუწყეს შემოსავლიანობის სტაბილური მრუდის ჩამოყალიბებას. ეს მრუდი მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევა სხვადასხვა ვადიანობის საპროცენტო განაკვეთებისა და ფინანსური ბაზრის მონაწილეთა მოლოდინების შესახებ.

სადეპოზიტო სერტიფიკატები

2021 წელს საქართველოს ეროვნული ბანკი უშვებდა 3-თვიანი ვადიანობის სადეპოზიტო სერტიფიკატებს, რომლებიც საბანკო სექტორმა გამოიყენა როგორც ლიკვიდობის მართვის მიმზიდველი და ეფექტიანი მოკლევადიანი ინსტრუმენტი.

2021 წლის განმავლობაში გამოცხადებული 13 აუქციონიდან კომერციულმა ბანკებმა ყველა აუქციონზე სრული ოდენობით შეიძინეს გამოტანილი სადეპოზიტო სერტიფიკატები. მთლიანობაში 260 მლნ ლარის ნომინალური

ღირებულების სადეპოზიტო სერტიფიკატები განთავსდა და 260 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სადეპოზიტო სერტიფიკატები დაიფარა. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მიმოქცევაში არსებულ 60 მლნ ლარის სადეპოზიტო სერტიფიკატებს 3 კომერციული ბანკი ფლობდა.

დიაგრამა N 2.9 სადეპოზიტო სერტიფიკატების პორტფელის მოცულობა 2016-2021 წლებში



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სახელმწიფო ობლიგაციები

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საქართველოს ეროვნული ბანკი 152 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სახელმწიფო ობლიგაციებს ფლობდა, რომელიც წლის განმავლობაში ღია ბაზრის ოპერაციებისათვის არ გამოყენებულა.

სახაზინო ვალდებულებები და სახაზინო ობლიგაციები

ლარის ფულადი ბაზრის განვითარების ხელშეწყობისთვის მნიშვნელოვანი იყო საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოშვებული სახაზინო ვალდებულებებისა და სახაზინო ობლიგაციების მოცულობის ზრდა. 2021 წელს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო 6 თვიანი და 1 წლიანი ვადიანობების დისკონტური ფასიანი ქაღალდების - სახაზინო ვალდებულებებისა და 2 წლიანი, 5 წლიანი და 10 წლიანი კუპონური ფასიანი ქაღალდების - სახაზინო ობლიგაციების ემისიას ახდენდა. ფასიანი ქაღალდების ემისია ეროვნული ვალუტით, დემატერიალიზებული ფორმით ხდებოდა. ერთი ფასიანი ქაღალდის ნომინალური ღირებულება 1000 ლარია. სახაზინო ვალდებულებებისა და სახაზინო ობლიგაციების გაყიდვა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ორგანიზებული აუქციონის მეშვეობით, მრავალი ფასის მეთოდით, „ბლუმბერგის“ სისტემის აუქციონის პლატფორმის გამოყენებით ხორციელდება. აუქციონში მონაწილეობა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებულ კომერციულ ბანკებს, ხოლო მათი მეშვეობით კი, ნებისმიერ იურიდიულ და ფიზიკურ პირს შეუძლია.

2021 წელს სახაზინო ფასიანი ქაღალდების 46 აუქციონი ჩატარდა, რომელთა მეშვეობით 1.35 მლრდ ლარის ნომინალური ღირებულების ფასიანი ქაღალდები განთავსდა. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მიმოქცევაში არსებული 5.5 მლრდ ლარის ნომინალური ღირებულების სახაზინო ფასიანი ქაღალდების მფლობელი 14 კომერციული ბანკი, ეროვნული ბანკი, ასევე არასაბანკო ინვესტორები იყვნენ.

არასაბანკო ინვესტორთა მფლობელობაში 619.3 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სახაზინო ფასიანი ქაღალდები იყო.

აღსანიშნავია, რომ ბაზარზე მიმოქცევაში მყოფი სახაზინო ფასიანი ქაღალდების მოცულობა, ეკონომიკის ზომასთან შედარებით, ჯერ კიდევ მცირეა. ბაზრის ლიკვიდობის გასაზრდელად საქართველოს მთავრობამ 2 წლიანი, 5 წლიანი და 10 წლიანი „ბენჩმარკ“ ობლიგაციების გამოშვება 2018 წლიდან დაიწყო. ამან სახაზინო ფასიანი ქაღალდების ემისიის გაზრდა განაპირობა, რაც დეფიციტის დაფინანსებისთვის აღებული საგარეო ვალისას წარმოშობილი სავალუტო რისკების შემცირებას უწყობს ხელს.

დიაგრამა N 2.10 სახაზინო ვალდებულებებისა და სახაზინო ობლიგაციების პორტფელის დინამიკა 2017-2021 წლებში



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სტაბილური მაკროეკონომიკური გარემოს, ლარის ფინანსურ ინსტრუმენტებზე მიმზიდველი საპროცენტო განაკვეთების, ფინანსური ბაზრის განვითარების მისაღები დონისა და თანამედროვე ინფრასტრუქტურის ერთობლიობის გამო, გაიზარდა არარეზიდენტი ინვესტორების დაინტერესება სახაზინო ქაღალდების ბაზრით. ინვესტორების აქტიურობა მათ მიერ პირველად და მეორად ბაზარზე ჩართულობაში გამოიხატება, რომლის შედეგად, მათ მფლობელობაში არსებული სახაზინო ფასიანი ქაღალდების პორტფელმა 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 525.8 მლნ ლარი შეადგინა.

დიაგრამა N 2.11 სახაზინო ვალდებულებებისა და სახაზინო ობლიგაციების პორტფელის დინამიკა 2017-2021 წლებში



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ფასიანი ქაღალდების მეორადი ბაზრის გააქტიურების ხელშეწყობისათვის საქართველოს ეროვნული ბანკი საკუთარი მატერიალური და ინტელექტუალური ინვესტიციებით შექმნილი თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი „საქართველოს ფასიანი ქაღალდების ანგარიშსწორების სისტემისა (GSSS)“ და სხვადასხვა ურთიერთინტეგრირებული სისტემების სრულყოფილი ფუნქციონირების მხარდაჭერასა და უზრუნველყოფას აგრძელებდა. ამ მიმართულებით, აღსანიშნავია ბანკთაშორისი რეპო ბაზარი, რომელიც საქართველოს ეროვნული ბანკის ინიციატივით და კომერციული ბანკების თანხმობით შექმნილ საერთაშორისო პრაქტიკაში აპრობირებულ რეპო გარიგებების ჩარჩო ხელშეკრულებას ეფუძნება. რეპო გარიგება არის ფასიანი ქაღალდების გაყიდვა, შემდგომში იმავე ან ეკვივალენტური ფასიანი ქაღალდების წინასწარ შეთანხმებული პირობებით უკან მიყიდვის ვალდებულებით. რეპო გარიგებების დადებისათვის ბანკები „ბლუმბერგის“ სავაჭრო სისტემას და „საქართველოს ფასიანი ქაღალდების ანგარიშსწორების (GSSS) სისტემას“ იყენებდნენ. აღნიშნული სისტემების მეშვეობით, 2021 წელს კომერციულ ბანკებს შორის 616.9 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სახაზინო ფასიანი ქაღალდებით 10 რეპო გარიგება განხორციელდა.

ფასიანი ქაღალდების ბაზარზე არსებული პრაქტიკა და ინფრასტრუქტურა ფასიანი ქაღალდების მეორადი ბაზრის შემდგომი გააქტიურების კარგ საფუძველს იძლევა, რასაც ფასიანი ქაღალდების ბაზრის ლიკვიდობის ზრდა უნდა მოჰყვეს.

ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარებისთვის პირველადი დილერების სისტემის საპილოტე პროგრამის მიმდინარეობა

სახაზინო ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარება საქართველოს ფინანსური ბაზრის განვითარების და მთავრობის ვალის მართვის ერთ-ერთი სტრატეგიული მიმართულებაა. ბოლო წლებში, ფასიანი ქაღალდების ბაზრის მოცულობა ეტაპობრივად იზრდება. 2018 წლიდან ე.წ. „ბენჩმარკ“ ბონდების გამოშვება და მოცულობების ეტაპობრივი ზრდა დაიწყო.

ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების ახალ ეტაპზე გადასასვლელად, ინვესტორთა ბაზის გაფართოებისა და მეორადი ბაზრის გააქტიურების ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა და საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ მიზანშეწონილად მიიჩნიეს საერთაშორისო პრაქტიკაში აპრობირებული პირველადი დილერის ინსტიტუტის ჩამოყალიბება. პირველადი დილერის ინსტიტუტს შეუძლია მნიშვნელოვანი

შუამავლის როლი შეასრულოს ფასიანი ქაღალდების ბაზარზე, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, როგორც სახაზინო ფასიანი ქაღალდების ემიტენტსა, და ინვესტორებს შორის. თავის მხრივ, მთავრობის ფასიანი ქაღალდების განვითარებული ბაზარი ხელს შეუწყობს ქვეყანაში კაპიტალის ბაზრის განვითარებას. პირველადი დილერები ინვესტორთა ბაზის დივერსიფიკაციასა და მეორადი ბაზრის ლიკვიდურობის ზრდაზე ფასების რეგულარული განახლებით და შესაბამისი სავაჭრო და საანგარიშსწორებო ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფით იზრუნებენ.

საქართველოს ეროვნული ბანკი და საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, საერთაშორისო სავალუტო ფონდის და მსოფლიო ბანკის ტექნიკური დახმარებით, ბოლო წლებში აქტიურად იყვნენ ჩართულები პირველადი დილერების საპილოტე პროგრამის შემუშავებაში. ერთობლივად მომზადდა და ბაზრის მონაწილეებთან განხილულ იქნა ურთიერთგაგების მემორანდუმი. საბოლოოდ, საქართველოში მოქმედმა ექვსმა კომერციულმა ბანკმა გამოთქვა სურვილი მონაწილეობა მიეღო პირველადი დილერის საპილოტე პროგრამაში და მათთან ურთიერთგაგების მემორანდუმები გაფორმდა. საპილოტე პროგრამა 2020 წლის ნოემბერში დაიწყო და საწყის ეტაპზე მისი მოქმედების საორიენტაციო ვადა 1-1.5 წლით განისაზღვრა. ამ პერიოდის გასვლის შემდეგ საპილოტე პროგრამის შედეგები შეჯამდება და განვითარების სამომავლო გეგმები დაისახება.

ეროვნული ბანკის ოპერაციები მეორად ბაზარზე

საქართველოს ეროვნული ბანკი მუდმივად მუშაობს მონეტარული ინსტრუმენტებისა და ლიკვიდობის მართვის ჩარჩოს დახვეწასა და განვითარებაზე. ღია ბაზრის ოპერაციების მეშვეობით ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვა ცენტრალური ბანკების მონეტარული პოლიტიკის ერთ-ერთი ინსტრუმენტია და ის ლიკვიდობის მართვის ამოცანას ემსახურება.

2021 წლის განმავლობაში ეროვნული ბანკი ღია ბაზრის ოპერაციების ფარგლებში ფასიანი ქაღალდების მეორად ბაზარზე შესყიდვას აგრძელებდა. აღნიშნული ოპერაციების მიზანი ლარის ლიკვიდობის მართვის გაუმჯობესება და ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების ხელშეწყობა იყო.

2021 წლის განმავლობაში ეროვნულმა ბანკმა 12 აუქციონი ჩაატარა და ჯამში 1.2 მლრდ ლარის ნომინალური ღირებულების სახაზინო ფასიანი ქაღალდები იყიდა. აქედან, 2021 წლის განმავლობაში დაფარული, აგრეთვე 2020 წელს შეძენილი ფასიანი ქაღალდების ნაშთების გათვალისწინებით, 2021 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით, ეროვნული ბანკის მფლობელობაში არსებულმა ფასიანი ქაღალდების პორტფელმა 1477.0 მლნ ლარი შეადგინა. 2020 წლის ბოლოს აღნიშნული პორტფელის მოცულობა 984.96 მლნ ლარი იყო.

2.2.6 მინიმალური სარეზერვო მოთხოვნები

მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების ინსტრუმენტით საქართველოს ეროვნული ბანკი დანარჩენი მონეტარული ინსტრუმენტების ეფექტური გამოყენების წინაპირობას ქმნის. 2021 წლის პირველ ნახევარში, ეროვნული ვალუტით 1 წლამდე ნარჩენი ვადიანობის მოზიდული სახსრებისათვის მინიმალური სარეზერვო ნორმა 5 პროცენტს შეადგენდა, უცხოური ვალუტით მოზიდული სახსრებისათვის - 25 პროცენტს, უცხოური ვალუტით 1 წლიდან 2 წლამდე ნარჩენი ვადიანობის ნასესხები სახსრებისათვის - 15 პროცენტს. 2021 წლის მეორე ნახევრიდან შეიცვალა მინიმალური სარეზერვო მოთხოვნები უცხოური ვალუტით მოზიდული სახსრებისათვის და ამჟამად იგი 10-25 პროცენტს შეადგენს, რაც დამოკიდებულია თითოეული კომერციული ბანკის დეპოზიტების დოლარიზაციის კოეფიციენტზე. ამასთან, ნარჩენი ვადიანობების მიხედვით, ეროვნული ვალუტით 1 წელზე მეტი ვადიანობის და უცხოური ვალუტით 2 წელზე მეტი ვადიანობის ნასესხები სახსრები სარეზერვო მოთხოვნებისაგან გათავისუფლებულია.

2021 წლის განმავლობაში საქართველოს ეროვნულ ბანკში კომერციული ბანკების მიერ ეროვ-

ნულ ვალუტაში განთავსებულ მინიმალურ რეზერვებს ეროვნული ბანკი შესაბამის პერიოდში არსებულ მონეტარული პოლიტიკის განაკვეთს[30] არიცხავდა. აშშ დოლარით ფორმირებულ მინიმალურ რეზერვებს აშშ ფედერალური სარეზერვო სისტემის პოლიტიკის განაკვეთის ზედა ზღვრის შესაბამის განაკვეთზე 50 საბაზისო პუნქტით ნაკლებს, ხოლო ევროთი ფორმირებულ მინიმალურ რეზერვებს - ევროპის ცენტრალური ბანკის სადეპოზიტო განაკვეთზე 20 საბაზისო პუნქტით ნაკლებს არიცხავდა.

2.2.7 საქართველოში ფასიანი ქაღალდებით ანგარიშსწორების სისტემის განვითარება

საქართველოს ეროვნულ ბანკში ფასიანი ქაღალდების ანგარიშსწორების სისტემა 2010 წლიდან მოქმედებს. სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების მართვის და ოპერაციების თანამედროვე, მაღალტექნოლოგიური, სწრაფი და დაცული ელექტრონული სისტემა საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და ეროვნული ბანკის მიერ ემიტირებული ფასიანი ქაღალდების ოპერაციებს უზრუნველყოფდა.

2018 წლის 3 დეკემბრიდან ამოქმედდა და 2020 წლის განმავლობაში წარმატებით ფუნქციონირებდა საქართველოს ფასიანი ქაღალდების ანგარიშსწორების განახლებული სისტემა (Georgian Securities Settlement System – GSSS). ახალი სისტემით ფინანსური ბაზრის როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო მონაწილეებს მაღალი სტანდარტების სრულფასოვანი მომსახურება მიეწოდება. ამ სისტემით როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო ფასიანი ქაღალდებით ანგარიშსწორება სრულდება. ფასიანი ქაღალდებით ტრანზაქციები უფრო სწრაფი, იაფი, მოსახერხებელი და სრულად დაცული გახდა. პროექტი ეროვნული ბანკის და კერძო საფინანსო სექტორის წარმატებული თანამშრომლობის თვალსაჩინო მაგალითია. GSSS სისტემა თავისი ფუნქციებით ინოვაციურია და ისეთ თანამედროვე მიდგომებს მოიცავს, როგორიცაა ლიკვიდობის მართვის ეფექტიანი მექანიზმები, ნაწილობრივი გადახდები, საპირისპირო ტრანზაქციების გაქვითვა (ნეტ ანგარიშსწორების პრინციპით), ავტომატური დაგირავების და დღის შიდა სესხების მოქნილი მექანიზმები. GSSS სისტემაში კომერციულ ბანკებთან ერთად ჩართულები არიან საბროკერო კომპანიები, რაც მათ სრულიად ახალ შესაძლებლობებს სთავაზობს. სისტემა ინტეგრირებულია როგორც საფონდო ბირჟის, ასევე ბლუმბერგის სავაჭრო პლატფორმებთან, რაც ვაჭრობის და ანგარიშსწორების მთლიანი ციკლის ავტომატიზაციას უზრუნველყოფს. შედეგად, გარიგების დადებიდან მის ანგარიშსწორებამდე მხოლოდ რამდენიმე წუთი გადის. ახალი სისტემის დანერგვით განახლდა მოქმედი პროცედურები და ანგარიშსწორების წესები, რომელიც საერთაშორისო პრაქტიკაში აღიარებულ პრინციპებს ეფუძნება. ინვესტორების ფასიანი ქაღალდები უფრო საიმედოდ იქნება დაცული და საჭიროებისამებრ მათი ფულად გადაქცევა (გაყიდვის, დაგირავების ან რეპო ოპერაციების გზით) უფრო ადვილი და მოსახერხებელი ხდება. ეს კი უდავოდ ზრდის ქართული კაპიტალის ბაზრის მიმზიდველობას როგორც ქართველი, ისე უცხოელი ინვესტორებისთვის.

ანგარიშსწორების განახლებული GSSS სისტემით ასევე შესაძლებელი გახდა მასში საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარის ჩართვა, საქართველოს ფასიანი ქაღალდების ბაზრის ყველა მონაწილისათვის მომსახურების გაწევა, ამ სისტემაში საქართველოში ყველა ტიპის ფასიანი ქაღალდის (კერძო კომპანიების მიერ გამოშვებული ობლიგაციების და აქციების ჩათვლით) რეგისტრაცია და ანგარიშსწორება. სრულად ავტომატიზებული ხდება ამ სისტემაში რეგისტრირებული კერძო ფასიანი ქაღალდის გამოშვების, დაფარვის, ყიდვა-გაყიდვის, რეპოს, კუპონისა და დივიდენდის ანგარიშსწორების ოპერაციები, ასევე მათი ეროვნულ ბანკში და/ან ბაზრის პროფესიონალ მონაწილეებს შორის დაგირავება.

30. დეტალები შეგიძლიათ იხილოთ ეროვნული ბანკის ვებგვერდზე: https://www.nbg.gov.ge/index.php?m=558

განახლებული GSSS სისტემა ხელს შეუწყობს უცხოური საფინანსო ინსტიტუტების და ინვესტორების საქართველოს ფინანსურ ბაზრებით დაინტერესებას, ვინაიდან ადგილობრივი ფასიანი ქაღალდების ბაზრის ინფრასტრუქტურა უფრო საიმედო და თანამედროვე გახდა.

2.3 სავალუტო პოლიტიკა და საერთაშორისო რეზერვების მართვა

სავალუტო პოლიტიკა

საქართველოში მცურავი გაცვლითი კურსის რეჟიმი მოქმედებს, რომელსაც, წინა წლების მსგავსად, 2021 წლის განმავლობაში გატარებული სავალუტო პოლიტიკა ემყარება. შესაბამისად, ეროვნულ ვალუტაზე ფასწარმოქმნა საბაზრო პრინციპებს ეფუძნება და მცურავი გაცვლითი კურსის რეჟიმის უპირატესობას საქართველოსათვის, როგორც მცირე ზომის, ღია ეკონომიკის მქონე ქვეყნისათვის, აღიარებს. ასეთი ტიპის ეკონომიკისათვის მცურავი გაცვლითი კურსის მექანიზმი ოპტიმალურ სავალუტო რეჟიმად მიიჩნევა. ეკონომიკისათვის ამ რეჟიმის უმთავრესი ძლიერი მხარე გაცვლითი კურსის, როგორც ავტომატური სტაბილიზატორის ფუნქციის შესრულება და საგარეო შოკების ზემოქმედების დროს ნეგატიური გავლენის შემცირებაა.

საანგარიშო პერიოდშიც, მსოფლიო პანდემიით გამოწვეული კრიზისული პერიოდი გაგრძელდა, რაც წინა წლის მსგავსი, ადაპტირებული სავალუტო პოლიტიკის წარმოებას მოითხოვდა.

2020 წლის ანალოგიურად, გაგრძელებული კრიზისის ფონზე, მეტწილად შენარჩუნებული იყო ვითარება, როდესაც კერძო სექტორი საგარეო უარყოფითი სალდოს პირობებში ოპერირებდა, ხოლო სამთავრობო სექტორში უცხოური სახელმწიფო შემოდინებების უმეტესი ნაწილი ეროვნულ ბანკში მთავრობის ანგარიშებზე დაგროვდა. ვინაიდან მაკროეკონომიკური სტაბილურობის უზრუნველყოფისათვის მნიშვნელოვანი იყო აღნიშნული რესურსების საბაზრო პრინციპების გათვალისწინებით სავალუტო ბაზრისკენ მიმართვა, შენარჩუნდა ეროვნული ბანკის მიერ 2020 წელს გაცხადებული აქტიური სავალუტო ინტერვენციების პოლიტიკა სავალუტო გაყიდვების მიმართულებით.

საანგარიშო პერიოდში, ეროვნული ბანკი სავალუტო ბაზარზე ინტერვენციისათვის ძირითად ინსტრუმენტად კვლავ სავალუტო აუქციონებს იყენებდა. მისი მეშვეობით, ეროვნული ბანკის მიერ ინტერვენციები უმთავრესად წლის დასაწყისში განხორციელდა და აპრილის ჩათვლით 242.9 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო საანგარიშო წლის შემდგომ პერიოდში ამ ინსტრუმენტით ბაზარზე ინტერვენციების აუცილებლობა მხოლოდ ორ ეპიზოდში წარმოიქმნა, 90 მლნ აშშ დოლარის ჯამური მოცულობით. მთლიანად, გასული წლის განმავლობაში, სავალუტო აუქციონების ინსტრუმენტით მიწოდებული უცხოური ვალუტის ოდენობამ 332.9 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

თუმცა, ქვეყნის ეკონომიკის სწრაფმა აღდგენამ, ამასთან, ტურიზმის სექტორის ამოქმედებამ, მართალია არასრული პოტენციალით, მაგრამ წინა წელთან შედარებით მნიშვნელოვანმა ზრდამ, ასევე, მიღებული ფულადი გზავნილების არსებითმა მატებამ, შეამცირა სავალუტო ბაზრის დისბალანსი და, შესაბამისად, უცხოური ვალუტის უფრო მეტი ოდენობით მიწოდების აუცილებლობა აღარ იყო. აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში, აუქციონით განხორციელებული სავალუტო ინტერვენცია, 2020 წლის განმავლობაში მიწოდებული უცხოური ვალუტის დაახლოებით 38.1პროცენტს შეადგენდა.

საანგარიშო პერიოდში, ეროვნული ბანკი ასევე 2020 წელს ამოქმედებულ BMatch პლატფორმას იყენებდა, რომელზეც ვაჭრობაში მონაწილეობა კომერციულ ბანკებთან ერთად კომპანიებსაც შეუძლიათ. BMatch პლატფორმაზე ეროვნული ბანკის ინტერვენციები წესებზე დაფუძნებულია და წინასწარ განსაზღვრული ოდენობის და პირობის ფარგლებში ხორციელდება. ეს იძლეოდა შესაძლებლობას, რომ მცირე ოდენობებით ინტერვენციების მეშვეობით სავალუტო ბაზარზე ჭარბი მერყეობა შემცირებულიყო მაშინ, რო-

დესაც კურსის მერყეობა სავალუტო ბაზარზე დაბალი ლიკვიდურობით (დაბალი აქტივობით) იყო გამოწვეული. ეროვნული ბანკის მიერ BMatch პლატფორმის მეშვეობით სავალუტო ბაზრისთვის უცხოური ვალუტის ლიკვიდობის მიწოდების წმინდა მოცულობამ 22.0 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

ამდენად, საანგარიშო წელს, ეროვნულმა ბანკმა სავალუტო ბაზარს წმინდა მოცულობით მთლიანობაში 354.9 მლნ აშშ დოლარი მიაწოდა.

ლარის ნომინალური გაცვლითი კურსი საანგარიშო წლის შუა პერიოდისათვის მნიშვნელოვნად გამყარდა და შემდგომ თვეებში სტაბილურად, მცირე დიაპაზონში მოძრაობდა. 2021 წლის ბოლოს, ლარის ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი, წინა წელთან შედარებით, წლიურად 18.1 პროცენტით, ხოლო რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი კი, წლიურად 20.5 პროცენტით გამყარდა.

ჩანართი 3 სავალუტო ბაზრის რეფორმები

BMatch პლატფორმა

2021 წელს ბანკთაშორისი ბაზრის მონაწილეები აქტიურად იყენებდნენ 2020 წელს ამოქმედებულ ბლუმბერგის სისტემის სავალუტო ვაჭრობის ახალ BMatch პლატფორმას. უცხოური ვალუტით ვაჭრობის ახალი სისტემა BMatch არის კომპანია ბლუმბერგის უცხოური ვალუტის სავაჭრო პლატფორმა, რომელიც გარიგებების ავტომატური „დამთხვევის" (Matching) პრინციპს ეფუძნება. ბაზრის მონაწილეები უცხოური ვალუტის ყიდვისა და გაყიდვის განაცხადებს BMatch პლატფორმაზე განათავსებენ და იმ შემთხვევაში, თუ ვალუტის მყიდველისა და გამყიდველის გაცვლითი კურსები ერთმანეთს დაემთხვევა, მაშინ მხარეებს შორის სავალუტო გარიგებები ავტომატურად დაიდება. ბლუმბერგის BMatch პლატფორმაზე კომერციულ ბანკებთან ერთად მონაწილეობის მიღება კომპანიებსაც შეუძლიათ. ახალი სისტემის ამოქმედება ხელს უწყობს სავალუტო ბაზარზე კონკურენციის გაძლიერებას და აუმჯობესებს ბაზრის ფუნქციონირების პროცესის გამჭვირვალობას. განვლილი პერიოდის ანალიზმა აჩვენა, რომ BMatch პლატფორმაზე შექმნილმა კონკურენტულმა და მონაწილეთათვის სამართლიანი ვაჭრობის კიდევ უფრო გამჭვირვალე გარემომ სპრედები მნიშვნელოვნად შეავიწროვა.

BMatch პლატფორმის ამოქმედებამ ეროვნულ ბანკს დამატებითი ქმედითი ინსტრუმენტის - წესებზე დაფუძნებული ინტერვენციების - შემოღების შესაძლებლობა მისცა, რომლითაც, საჭიროებისამებრ, უფრო აქტიურად შეუძლია სავალუტო ბაზარზე ინტერვენციები განახორციელოს ისე, რომ ბაზარზე კონკურენტული ფასწარმოქმნის პროცესს ხელი არ შეუშალოს. BMatch პლატფორმაზე ეროვნული ბანკის ინტერვენციები წესებზე დაფუძნებულია და წინასწარ განსაზღვრული ოდენობის ფარგლებში ხორციელდება. მცირე ოდენობებით ინტერვენციებით ეროვნული ბანკი შეძლებს სავალუტო ბაზარზე ჭარბი მერყეობის შემცირებას მაშინ, როდესაც კურსის მერყეობა სავალუტო ბაზარზე დაბალი ლიკვიდურობით (დაბალი აქტივობით) არის გამოწვეული.

გლობალური სავალუტო კოდექსი

ქვეყნის სავალუტო ბაზრის ეფექტური ფუნქციონირების ხელშეწყობის მიზნით, ეროვნულმა ბანკმა გლობალური სავალუტო კოდექსის მოთხოვნებთან დაახლოების პროცესი დაიწყო. გლობალური სავალუტო კოდექსი 2017 წელს მსოფლიო წამყვანი ქვეყნების ცენტრალური ბანკების მონაწილეობით შეიქმნა. სავალუტო კოდექსით განსაზღვრული პირობების შესრულების საჭიროებას საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკი, ევროპის ცენტრალური ბანკი და 48 ქვეყნის

ცენტრალური ბანკები, ასევე 1100-ზე მეტი ფინანსური ინსტიტუტი და კომპანია აღიარებენ[31]. მათ შორისაა აშშ-ის, ინგლისის, ევროპის, იაპონიის, კანადისა და ავსტრალიის ცენტრალური ბანკები და წამყვანი საბანკო დაწესებულებები. ეროვნული ბანკის ინიციატივით ახალი რეგულაცია - სავალუტო ბაზრის მონაწილეთა საქმიანობის წესი - შემუშავდა, რომელიც საერთაშორისო კოდექსის ძირითად მოთხოვნებს ეფუძნება, თუმცა, ამავდროულად, ადგილობრივი ბაზრის სპეციფიკასაც ითვალისწინებს. როგორც გლობალური კოდექსის, ისე სავალუტო ბაზრის მონაწილეთა საქმიანობის წესის მიზანია გამჭვირვალობის და კონკურენციის გაზრდა, ბაზრის მონაწილეებისათვის სამართლიანი და თანაბარი პირობების დადგენა და მათი კლიენტების ინტერესების უკეთ დაცვა.

საერთაშორისო რეზერვების მართვა

2021 წელს საქართველოს ეროვნული ბანკის საერთაშორისო რეზერვების მოცულობა, გასულ წელთან შედარებით, 361 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 4.3 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა (იხ. დიაგრამა N 2.12). როგორც აღინიშნა, ეროვნული ბანკი მთავრობის მიერ საერთაშორისო დონორებიდან მოზიდულ სახსრებს სავალუტო ბაზარს ინტერვენციების საშუალებით აქტიურად აწვდიდა. წლის განმავლობაში სავალდებულო რეზერვის ზემოთნახსენები მოთხოვნის ცვლილებამ საერთაშორისო რეზერვების მოცულობა 142 მლნ აშშ დოლარით (3.6%-ით) შეამცირა.

დიაგრამა N 2.12 ოფიციალური სარეზერვო აქტივები 1997-2020 (მლნ აშშ დოლარი, წლის ბოლოს მაჩვენებელი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საქართველოს ეროვნული ბანკის საერთაშორისო რეზერვების დინამიკაზე 2021 წელსაც, ტრადიციულად, რამდენიმე ძირითადი ფაქტორი მოქმედებდა: საქართველოს ეროვნული ბანკის სავალუტო ინტერვენციები, საქართველოს მთავრობის ვალის მომსახურება და სავალუტო ხარჯები, საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული კრედიტები და გრანტები. 2021 წლის განმავლობაში სავალუტო აუქციონებით ეროვნული ბანკის წმინდა გაყიდვები სავალუტო

31. იხილეთ: https://www.bis.org/about/factmktc/cbregister.htm

აუქციონებისა და Bloomberg-ის Bmatch პლატფორმის მეშვეობით 354.9 მლნ აშშ დოლარს გაუტოლდა. 2021 წლის განმავლობაში საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებიდან და დონორი სახელმწიფოებიდან სხვადასხვა პროგრამების და პროექტების დასაფინანსებლად სახელმწიფოს მიერ უცხოური ვალუტით ეროვნულ ბანკში მიღებული გრანტებისა და სესხების ოდენობა დაახლოებით 1.1 მლრდ აშშ დოლარი იყო. გარდა ამისა, ეროვნული ბანკმა და ფინანსთა სამინისტრომ საერთაშორისო სავალუტო ფონდიდან ჯამში დაახლოებით 398 მლნ აშშ დოლარის მოცულობის რესურსი (სესხი და ნასესხობის სპეციალური უფლების განაწილება SDR) მიიღო. თუმცა გასათვალისწინებელია, რომ, ამავდროულად, სახელმწიფო საგარეო ვალის მომსახურებასა და სხვა სავალუტო ხარჯებში დაახლოებით 870 მლნ აშშ დოლარი დაიხარჯა.

2021 წლის განმავლობაში საქართველოს ეროვნული ბანკის საინვესტიციო პოლიტიკა კვლავინდებურად კონსერვატიული და საკრედიტო რისკების შემცირებაზე ორიენტირებული იყო. საქართველოს ეროვნული ბანკის საერთაშორისო რეზერვები განთავსებული იყო აშშ–ს, ევროზონის ქვეყნების, ავსტრალიისა და კანადის სახელმწიფო სააგენტოებისა და სუპრანაციონალური საფინანსო ინსტიტუტების მაღალი ლიკვიდურობის მქონე ფასიან ქაღალდებსა და მაღალი საკრედიტო რეიტინგის მქონე საერთაშორისო საბანკო დაწესებულებებში. 2021 წლის განმავლობაში საქართველოს ეროვნული ბანკის საერთაშორისო რეზერვების მართვიდან მიღებულმა შემოსავლებმა 95 მლნ ლარი შეადგინა. რეზერვების შემოსავლიანობის დინამიკაზე მნიშვნელოვანი გავლენა 2021 წლის მეორე ნახევარში გლობალური მასშტაბით განაკვეთების მკვეთრი ზრდით იყო განპირობებული.

2021 წელს საქართველოს ეროვნული ბანკი განაგრძობდა თანამშრომლობას მსოფლიო ბანკთან სუვერენული ინვესტიციების პარტნიორობის პროგრამის ფარგლებში. ეროვნული ბანკი ამ პროგრამის წევრი 2009 წელს გახდა და ის ითვალისწინებს ტექნიკურ მხარდაჭერას ეროვნულ ბანკში საერთაშორისო რეზერვების მართვის სფეროს შემდგომი განვითარების, შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნისა და ცოდნის დაგროვების მიზნით და ასევე მოიცავს პორტფელისა და რისკების მართვის, ანგარიშსწორების, ბუღალტრული აღრიცხვის, სამართლებრივ და საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროებში მსოფლიო ბანკის მიერ გამოცდილების გაზიარებას.

2021 წლის განმავლობაში კვლავ გრძელდებოდა საქართველოს ეროვნული ბანკის და საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკის (BIS) თანამშრომლობა, რომლის საინვესტიციო პროგრამაში BIS Investment Pool (BISIP) საქართველოს ეროვნული ბანკი 2014 წლის ბოლოს ჩაერთო. აღნიშნული პროგრამა სხვადასხვა ცენტრალური ბანკებისა და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების ერთ პორტფელში გაერთიანებული სახსრების მართვას გულისხმობს. BISIP-ის პროგრამა ასევე რეზერვების მართვის სფეროში დახმარებას და გამოცდილების გაზიარებას მოიცავს.

03

ფინანსური სტაბილურობა

3.1 ფინანსური სტაბილურობის პოლიტიკა

ფინანსური სტაბილურობის, როგორც მდგრადი ეკონომიკური ზრდის წინაპირობის ხელშეწყობა ეროვნული ბანკის ერთ-ერთი ფუნდამენტური მიზანია. „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, ქვეყანაში ფინანსური სტაბილურობის ხელშეწყობა ეროვნული ბანკის მანდატს წარმოადგენს, თუკი ეს უკანასკნელი წინააღმდეგობაში არ მოდის ეროვნული ბანკის ძირითადი მანდატის, ფასების სტაბილურობის, შესრულებასთან. ფინანსური სტაბილურობა გულისხმობს ისეთ მდგომარეობას, როდესაც ფინანსურ სისტემას შესწევს უნარი ბაზრის მონაწილეებს შეუფერხებლად მიაწოდოს მომსახურება როგორც კარგ, ასევე სტრესის პირობებში.

ფინანსური სტაბილურობის უზრუნველსაყოფად ეროვნული ბანკი მაკროპრუდენციულ პოლიტიკასა და საფინანსო სექტორის ზედამხედველობას ახორციელებს. სისტემური რისკების გამოვლენის, შეფასებისა და მონიტორინგის გზით ეროვნული ბანკი ამ რისკების შემცირებისთვის საპასუხო პოლიტიკას შეიმუშავებს, რითაც ფინანსური სისტემის მდგრადობის ზრდას უწყობს ხელს. ეროვნული ბანკის ფინანსური სტაბილურობის კომიტეტი, რომელსაც სებ-ის პრეზიდენტი ხელმძღვანელობს, ეროვნული ბანკის მანდატის ფარგლებში მაკროპრუდენციულ პოლიტიკას უწევს კოორდინაციას. ფინანსური სტაბილურობის კომიტეტი სისტემურ რისკებსა და მათი შემცირების გზებს აფასებს და აანალიზებს, შესაბამისი მაკროპრუდენციული ზომების გატარების შესახებ გასცემს რეკომენდაციებს და ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფად საჭირო ღონისძიებებს უწევს კოორდინაციას.

ეროვნული ბანკის მაკროპრუდენციული პოლიტიკის ძირითად ინსტრუმენტად კაპიტალის კონტრციკლური ბუფერი გამოიყენება. მისი მიზანია, საჭიროების შემთხვევაში ეკონომიკის ისეთი ჭარბი დაკრედიტება შეზღუდოს, რომელიც სისტემური რისკების ზრდას იწვევს. ბუფერის კონტრციკლურობა ხელს უწყობს მაკროპრუდენციული პოლიტიკის ძირითად მიზანს, შეამციროს ფინანსური სტაბილურობის სისტემური რისკები. უარყოფითი შოკების დროს კონტრციკლური ბუფერი ფინანსურ სისტემას უნდა დაეხმაროს, რომ ეკონომიკის დაკრედიტება მკვეთრად არ შეიზღუდოს და ამით როგორც ფინანსური სექტორის, ისე მთლიანად ეკონომიკის მდგომარეობა დამატებით არ გაუარესდეს. კაპიტალის კონტრციკლური ბუფერის დადგენისას ისეთი ფაქტორების ანალიზი გაითვალისწინება, როგორებიცაა მთლიან შიდა პროდუქტთან სესხების ფარდობის და მისი გრძელვადიანი ტრენდიდან გადახრის შესაბამისი ინდიკატორები, საკრედიტო ტენდენციები, ფინანსური სექტორის ციკლური პოზიციის სხვადასხვა მაჩვენებლები, ქვეყნის შიდა და საგარეო მაკროფინანსური გარემოს მახასიათებლები და სხვა.

გარდა კონტრციკლური ბუფერისა, მაკროპრუდენციული პოლიტიკის გასატარებლად საქართველოს ეროვნული ბანკი ასევე კაპიტალის სხვა ბუფერებსაც იყენებს, რომლებიც დანერგილია ბაზელ III-ის ჩარჩოსთან დაახლოების ფარგლებში. მაკროპრუდენციული პოლიტიკის ინსტრუმენტებია, ასევე, სესხის მომსახურებისა და სესხის უზრუნველყოფის კოეფიციენტები, სექტორული რისკის წონები და სხვა ინსტრუმენტები.

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გატარებული ფინანსური სტაბილურობის პოლიტიკის შედეგად ფინანსურმა სექტორმა პანდემიით გამოწვეული შოკის საკმაოდ მძიმე ფაზა წარმატებით განვლო და ეკონომიკის შეუფერხებლად დაკრედიტება პანდემიის პირობებშიც განაგრძო. პანდემიამდე ეროვნული ბანკის მიერ დამატებითი კაპიტალის დაწესებულმა მოთხოვნებმა, პასუხისმგებლიანი დაკრედიტების რეგულაციის ამოქმედებამ და სესხების დოლარიზაციის შემცირების მიზნით რიგი მაკროპრუდენციული ზომების გატარებამ ხელი შეუწყო აქტივების მდგრად ხარისხსა და კაპიტალის საკმარისი ბუფერების დაგროვებას. გარდა ამისა, გასულ წლებში ლიკვიდობის გადაფარვისა (LCR) და

წმინდა სტაბილური დაფინანსების (NSFR) კოეფიციენტების დაწესებამ ბანკების დაფინანსების წყაროების სტაბილურობა და ლიკვიდობის ბუფერის გაუმჯობესება განაპირობა. შედეგად 2021 წლის დეკემბრის მონაცემებით, ბანკებმა კაპიტალის და ლიკვიდობის ჯანსაღი მაჩვენებლები შეინარჩუნეს, ხოლო აქტივების ხარისხი, წინა წელთან შედარებით, გაუმჯობესდა.

ბანკებმა 2021 წელი სოლიდური მოგებით დაასრულეს, რასაც ხელი შეუწყო მაღალმა საკრედიტო აქტივობამ და საკრედიტო დანაკარგების შემცირებამ, რაც, თავის მხრივ, 2020 წელს სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვების წინასწარ შექმნით იყო განპირობებული. მოსალოდნელზე უკეთესმა ეკონომიკურმა ზრდამ, მათ შორის, ფინანსური პრობლემების მქონე მსესხებლების მდგომარეობაც გამოასწორა, რამაც, შესაბამისად, პანდემიის შემდეგ შექმნილი რეზერვი შეამცირა. აღსანიშნავია, რომ ფინანსური სტაბილურობის კომიტეტის გადაწყვეტილებით ბანკებს არაჰეჯირებული სავალუტო საკრედიტო რისკის (CICR) ბუფერის აღსადგენად დრო 2023 წლის 1 იანვრამდე, ხოლო კაპიტალის კონსერვაციის ბუფერის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად კი 2024 წლის 1 იანვრამდე მიეცათ. თუმცა, გაუმჯობესებული ფინანსური მაჩვენებლების მეშვეობით, ბანკების მნიშვნელოვანმა ნაწილმა კაპიტალის გამოთავისუფლებული ბუფერები უკვე აღიდგინა. ფინანსური სტაბილურობის კომიტეტის შეფასებით, 2022 წელს, მიუხედავად რუსეთის უკრაინაში შეჭრის შედეგად რეგიონში გაუარესებული ეკონომიკური სიტუაციისა, საბანკო სექტორი მდგრადობას ინარჩუნებს და ეკონომიკის შეუფერხებლად დაკრედიტებას აგრძელებს.

2021 წლის დეკემბერში სესხების წლიურმა ზრდამ, გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით, 18.2 პროცენტი შეადგინა, რაც, მნიშვნელოვანწილად, ბიზნეს სესხების ზრდით, ხოლო ვალუტების ჭრილში, ეროვნული ვალუტით გაცემული სესხებით იყო განპირობებული. თუმცა, აღსანიშნავია, უცხოური ვალუტის სესხების მზარდი დინამიკა. სესხების ფარდობა მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით გრძელვადიან ტრენდს კვლავ აჭარბებს, თუმცა, წლის დასაწყისთან შედარებით, სესხების მშპ-თან ფარდობის გაპი მნიშვნელოვნად შემცირდა, რაც მაღალი ეკონომიკური ზრდისა და გაცვლითი კურსის გამყარების ეფექტს ასახავს. აღსანიშნავია, რომ წინასწარი შეფასებით, 2021 წელს მშპ-ის რეალური ზრდა მაღალი იყო და 10 პროცენტს გადააჭარბა, რაც ვალის ტვირთის მდგრად დონეზე შენარჩუნებას უწყობს ხელს. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ კრიზისის დასაწყისში კაპიტალის გამოთავისუფლებული ბუფერების აღდგენის პროცესი და კრიზისამდე დაგეგმილი კაპიტალის დონის და ხარისხის გაუმჯობესება („პილარ 2-ის ფარგლებში კომერციული ბანკებისათვის კაპიტალის ბუფერების განსაზღვრის წესის" მიხედვით) მომდევნო პერიოდში გარკვეულწილად კონტრციკლური ბუფერის როლს შეასრულებს. ამასთან, გამკაცრებული მონეტარული პოლიტიკა ლარში საკრედიტო აქტივობას დამატებით ამცირებს და ამით ინფლაციის შემცირებას უწყობს ხელს.

დიაგრამა N 3.1 სესხებისა და ნომინალური მშპ-ის ზრდის ტემპების შედარება



**სესხები მოიცავს ბანკების და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ გაცემულ სესხებსა და ასევე, კომპანიების მიერ ადგილობრივად გამოშვებულ ობლიგაციებს.*
***სესხების მშპ-თან ფარდობის გაპი წარმოადგენს სესხების მშპ-თან ფარდობის სხვაობას მისი გრძელვადიანი ტრენდიდან. ტრენდის შესაფასებლად, ბაზელის რეკომენდაციის შესაბამისად, გამოყენებულია HP ფილტრი.*

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსური სტაბილურობის კომიტეტის გადაწყვეტილებით, შეიცვალა სავალუტო საკრედიტო რისკის ბუფერის (CICR) დათვლის მეთოდი და ის დამოკიდებული გახდა კომერციული ბანკის საკრედიტო პორტფელის დოლარიზაციის დონეზე, რაც ბანკებისთვის სესხების ლარიზაციის მოტივაციას გაზრდის. როგორც წინა წლის წლიურ ანგარიშშიც იყო აღნიშნული, მიუხედავად საგრძნობი შემცირებისა, დოლარიზაცია ფინანსური სექტორისთვის კვლავ ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად რჩება. კრიზისამდელ პერიოდში ეროვნულმა ბანკმა სესხების დოლარიზაციის შემცირების მიზნით რიგი მაკროპრუდენციული ზომები გაატარა, რამაც ხელი შეუწყო არსებული მოწყვლადობის მნიშვნელოვან შემცირებას. თუმცა, საკრედიტო პორტფელში უცხოური ვალუტის სესხების კვლავ მაღალი წილის ფონზე, დოლარიზაცია არაჰეჯირებული მსესხებლებისა და, ჯამურად, ფინანსური სისტემის მდგრადობის ძირითად რისკად რჩება. ლარიზაციის მხარდასაჭერად, სავალუტო საკრედიტო რისკის ბუფერი არსებული 75 პროცენტი რისკის წონის მოთხოვნის ნაცვლად სესხების დოლარიზაციის მიხედვით განისაზღვრება. 40 პროცენტი ან ნაკლები დოლარიზაციის შემთხვევაში, რისკის წონა 40 პროცენტის ტოლი იქნება და ყოველი 1 პროცენტული პუნქტით (პპ-ით) დოლარიზაციის ზრდა რისკის წონას 3 პპ-ით გაზრდის, მაქსიმუმ 100 პროცენტამდე. გადასვლის ეტაპზე სისტემის დონეზე CICR-ის დათვლის აღნიშნული სქემა კაპიტალის მოთხოვნის მატერიალურ ცვლილებას არ გამოიწვევს, თუმცა ცალკეული ბანკებისთვის ბუფერის მოთხოვნა მათი დოლარიზაციის დონიდან გამომდინარე შეიცვლება. იმისათვის, რომ განახლებულ სქემაზე გადასვლა ადვილად მოხდეს, ბანკებს, რომლებსაც ბუფერის შევსება სჭირდებათ, მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად ერთი წელი მიეცათ, ხოლო დანარჩენებისთვის ბუფერის შემცირება დაუყოვნებლივ ამოქმედდა. აღნიშნული ინსტრუმენტი ლარიზაციას წაახალისებს და, დროთა განმავლობაში, ლარიზაციის ზრდასთან ერთად, კაპიტალის ბუ-

ფერის მოთხოვნა შერბილდება, თუმცა, ასევე, შემცირდება გაცვლითი კურსიდან მომდინარე სისტემური რისკი. თავისი ხასიათით, ეს ცვლილება 2021 წლის ივნისში განხორციელებული ინიციატივის[32] მსგავსია, როდესაც მინიმალური სარეზერვო მოთხოვნები ბანკის დეპოზიტების დოლარიზაციას მიება.

კომიტეტის გადაწყვეტილებით, 2022 წლიდან უცხოური ვალუტის იპოთეკური სესხების მაქსიმალური ვადა 15-დან 10 წლამდე შემცირდა. 2021 წლის აპრილიდან, ეკონომიკის აღდგენისა და მონეტარული პოლიტიკის გამკაცრების პარალელურად, უცხოური ვალუტის იპოთეკური სესხების ზრდა დაჩქარდა. არსებული ტენდენციის შენარჩუნების შემთხვევაში, ასეთი სესხების წლიური ზრდის ტემპი 2022 წელს 10 პროცენტს მიაღწევდა. აღსანიშნავია, რომ მსესხებლების უმეტესობა არაჰეჯირებულია, რაც მათ მაღალ მოწყვლადობაზე მიანიშნებს და, პორტფელის ზომიდან გამომდინარე, ხელს უწყობს ფინანსურ სექტორში სისტემური რისკების დაგროვებას. ეს, ასევე, საფრთხეს უქმნის უძრავი ქონების ბაზრის მდგრადობას. იპოთეკური სესხების ძირითადი ნაწილი ცვლადგანაკვეთიანია, შესაბამისად, სესხებს გაცვლითი კურსის რისკთან ერთად



თან ახლავს საპროცენტო რისკი, რომელიც განსაკუთრებით საგულისხმოა მსოფლიო ბაზრებზე აშშ დოლარსა და ევროზე ისტორიულად დაბალი საპროცენტო განაკვეთების პირობებში საპროცენტო განაკვეთების შესაძლო ზრდის წინაპირობების გათვალისწინებით. უცხოური ვალუტის იპოთეკური სესხების მაქსიმალური ვადის შემცირება აღნიშნულ მოწყვლადობებს შეამსუბუქებს და მსესხებლებისთვის სტრესის შთანთქმის უნარს სესხების დაგრძელვადიანების შესაძლებლობით გაზრდის, რაც ეფექტიანად იქნა გამოყენებული 2014-2015 წლებში და მიმდინარე პანდემიის დროსაც. ასევე, ვადიანობის შემცირება სესხების ამორტიზაციას დააჩქარებს, რაც საკრედიტო რისკებს შეამცირებს და ხელს შეუწყობს დედოლარიზაციას.

3.2 ფინანსური სტაბილურობის ჩარჩოს განვითარება

ფინანსური სტაბილურობის ჩარჩოს განვითარება ფინანსური სტაბილურობის მანდატის ნაწილია, ფინანსური სტაბილურობა კი ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთი ფუნდამენტური ფაქტორია. აღსანიშნავია, რომ ფინანსური სტაბილურობის საკითხების და მაკროპრუდენციული პოლიტიკის აქტუალობა მსოფლიოში, განსაკუთრებით ბოლო წლებში, გაიზარდა. 2020 წელს განვითარებულმა პანდემიამ და შედეგად წარმოქმნილმა გლობალურმა ეკონომიკურმა კრიზისმა კიდევ ერთხელ

32. იხილეთ: https://nbg.gov.ge/en/media/news/changes-in-the-minimum-reserve-requirement-for-commercial-banks-to-take-effect-on-july-6

დაადასტურა ფინანსური სტაბილურობის მნიშვნელობა. ფინანსური სტაბილურობის გამართული და ქმედითი ჩარჩო ეკონომიკური დაღმასვლის პერიოდშიც კი ფინანსური რესურსების შეუფერხებლად მიწოდებას უზრუნველყოფს და ეკონომიკის სწრაფ გაჯანსაღებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს. საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკით, საჭიროა ფინანსური სტაბილურობის კომპლექსური და სიღრმისეული ანალიზი, რაც გულისხმობს არა მხოლოდ საბანკო სექტორის რისკების შეფასებას, არამედ ის ყურადღებას აქცევს საგარეო ფაქტორებსაც, რომლებიც, როგორც ბოლო წლებმა დაგვანახა, მნიშვნელოვანი რისკების წყარო აღმოჩნდა. ფინანსური სტაბილურობა, ასევე, ითვალისწინებს მაკროფინანასურ გარემოს, შინამეურნეობებს, კომპანიებს და არასაბანკო ინსტიტუტებს.

ფინანსური სტაბილურობის პოლიტიკის ჩარჩოს ჩამოყალიბებას და განვითარებას ეროვნული ბანკი სხვა ცენტრალური ბანკების საუკეთესო გამოცდილების გათვალისწინებით ახორციელებს, რისთვისაც ანალიტიკური შესაძლებლობების განვითარება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ამ თვალსაზრისით, პირველ ეტაპს, საქართველოს სპეციფიკიდან გამომდინარე, ფინანსური სტაბილურობის კომპლექსური ინდიკატორების შემუშავება და განვითარება წარმოადგენდა. აღნიშნული ინდიკატორები გამოიყენება ციკლური მაკროპრუდენციული პოლიტიკის შესამუშავებლად. შემდგომ ეტაპზე კი ეროვნულმა ბანკმა მაკროპრუდენციული პოლიტიკის სტრატეგია[33] გამოაქვეყნა. აღნიშნული სტრატეგია ეროვნული ბანკის მაკროპრუდენციული პოლიტიკის განხორციელების ძირითად პრინციპებს ასახავს და მიზნად გადაწყვეტილების მიღების პროცესის, კომუნიკაციისა და საზოგადოების მიმართ ანგარიშვალდებულების გაუმჯობესებას ისახავს. გარდა ამისა, ეროვნული ბანკი მუდმივ რეჟიმში მუშაობს ანალიტიკური ინსტრუმენტების განვითარებაზე. აღნიშნული ინსტრუმენტები როგორც საერთაშორისო გამოცდილებას, ასევე ქვეყნის სპეციფიკურ მახასიათებლებს ეფუძნება. ამ მხრივ, აღსანიშნავია 2020 წელს ფინანსური სტაბილურობის დეპარტამენტში მომზადებული კვლევითი ნაშრომი,[34] რომელმაც სისტემური რისკების დროულად გამოვლენის უზრუნველსაყოფად და, ამგვარად, მაკროპრუდენციული პოლიტიკის სანდო სახელმძღვანელოს ჩამოსაყალიბებლად, ანალიტიკური ინსტრუმენტები შეიმუშავა.

ფინანსური სტაბილურობის ანალიზის ჩარჩოს მნიშვნელოვანი ნაწილია მაკროფინანსური მოდელირება. ეროვნული ბანკი აქტიურად მუშაობს მაკროფინანსური მოდელის განვითარებაზე, რომლის მიზანია ფინანსური და მაკროეკონომიკური სტაბილურობის რისკების ანალიზი; მაკროფინანსური სცენარების გენერირება და ანალიზი; მაკროეკონომიკური სტრესტესტების ჩატარება; ეს ყველაფერი შესაბამისი მაკროპრუდენციული პოლიტიკის შემუშავების ძირითადი ქვაკუთხედია. ფინანსური სისტემის განვითარება და ამ განვითარების თანმდევი გამოწვევები მაკროფინანსური მოდელის გამოყენების არეალს აფართოებს და მის მიმართ მზარდ მოთხოვნებს წარმოშობს. შესაბამისად, მაკროფინანსური მოდელის განვითარება და დახვეწა უწყვეტი პროცესია, რომელშიც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს პარტნიორი საერთაშორისო ორგანიზაციების ტექნიკურ დახმარებას.

ფინანსური სტაბილურობის ჩარჩოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი გამჭვირვალობის ზრდა და კომუნიკაციის გაუმჯობესებაა. ფინანსური სტაბილურობის პოლიტიკის შესახებ საზოგადოების ინფორმირების ზრდის მიზნით, საქართველოს ეროვნული ბანკის ვებგვერდზე ფინანსურ სტაბილურობასთან დაკავშირებული საკითხები მუდმივად განახლების რეჟიმშია. კერძოდ, მოცემულია ინფორმაცია ფინანსური სტაბილურობის კომიტეტის ამოცანებისა და

33. იხილეთ: https://www.nbg.gov.ge/index.php?m=738
34. „საკრედიტო გეპის შეფასება საქართველოში მაკროპრუდენციული პოლიტიკის სახელმძღვანელოდ“ იხილეთ: bit.ly/36me1EE

მაკროპრუდენციული პოლიტიკის ინსტრუმენტების შესახებ; ფინანსური სტაბილურობის კომიტეტის სხდომების კალენდარი, კომიტეტის განცხადებები და გადაწყვეტილებები; *ფასს 9*-სთან[35] დაკავშირებული საკითხები, მდგრადი დაფინანსების ჩარჩოს შესახებ ინფორმაცია და სხვა.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ეროვნული ბანკი ფინანსური ინსტიტუტების ფინანსური ანგარიშგების *ფასს 9* სტანდარტზე ეფექტურ გადასვლას უწყობს ხელს. ფინანსური კომპანიების მიერ ფინანსური ანგარიშგების გამჭვირვალედ, თანმიმდევრულად და ეფექტიანად წარმოების, ასევე ურთიერთშედარებითობის უზრუნველყოფის მიზნით, ეროვნული ბანკი *ფასს 9*-ის მიზნებისთვის მაკროეკონომიკური და ფინანსური გარემოს რისკ-სცენარების დამუშავებას ახორციელებს და მაკროეკონომიკური ტენდენციების რაოდენობრივ შეფასებას[36] რეგულარულად აქვეყნებს, რომელიც შემდგომ, შესაძლოა, ფინანსური ინსტიტუტების მიერ მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების შეფასებისას იქნეს გამოყენებული. *ფასს 9*-ის მიზნებისთვის მაკროეკონომიკური საპროგნოზო სცენარები მაკრო-ფინანსურ მოდელს ეფუძნება და, ასევე, დამატებით ანალიზსა და ექსპერტულ შეფასებებს ითვალისწინებს. უნდა აღინიშნოს, რომ წარმოდგენილი სცენარები თავისი შინაარსით კონტრციკლურია, რაც შესაძლო ფინანსური ციკლების შერბილებას უწყობს ხელს. 2021 წლის განმავლობაში, პანდემიით გამოწვეული მაღალი გაურკვევლობისა და გაზრდილი რისკების გათვალისწინებით, ეროვნულმა ბანკმა საპროგნოზო სცენარების სამი განახლება გამოაქვეყნა. აღნიშნულმა ფინანსურ კომპანიებს შესაძლებლობა მისცა, დროულად აესახათ მაკროეკონომიკური საპროგნოზო ინფორმაცია მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების შეფასებებში.

ფინანსური სტაბილურობისთვის მნიშვნელოვანია მდგრადი ფინანსური სისტემა, რომელიც გულისხმობს სოციალური და გარემოსდაცვითი რისკების მართვას და, ამასთანავე, მდგრადი განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ხელშემწყობი ფაქტორია. საქართველოს ეროვნული ბანკი 2017 წლის სექტემბრიდან მდგრადი საბანკო ქსელის (Sustainable Banking and Finance Network, SBFN) წევრია და მდგრადი დაფინანსების ჩარჩოს განვითარებაზე აქტიურად მუშაობს.

საქართველოს ეროვნული ბანკი განაგრძობს მდგრადი დაფინანსების გზამკვლევით[37] განსაზღვრული ღონისძიებების განხორციელებას. მდგრადი დაფინანსების გზამკვლევი საქართველოსთვის ყველა იმ შესაძლო ღონისძიებას აერთიანებს, რომელთა გატარებაც ეროვნული ბანკის მიერ 2022 წლის ბოლომდე არის დაგეგმილი. გზამკვლევის მთავარი მიზანია, შექმნას სანდო, პროგნოზირებადი და სტაბილური რეგულატორული ჩარჩო, რომელიც ბაზარს მდგრად დაფინანსებაზე გადასვლისთვის მოამზადებს. შემუშავებული სამოქმედო გეგმა რამდენიმე ძირითად მიმართულებას მოიცავს. კერძოდ, მდგრადი დაფინანსების შესახებ ბაზრის მონაწილეების ცნობიერების ამაღლება და კვალიფიკაციის ზრდა; რისკების მართვასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში სოციალური, გარემოსდაცვითი და მმართველობითი საკითხების გათვალისწინება; გამჭვირვალობის ზრდა და საბაზრო დისციპლინა, რაც, თავის მხრივ, კაპიტალის მდგრადი სექტორებისკენ წარმართვას შეუწყობს ხელს.

მდგრადი დაფინანსების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილს გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი (Environmental, Social, and Governance; ESG) საკითხების კორპორაციული მართვის კოდექსში ინტეგრირება წარმოადგენს. ეს საკითხები კორპორაციული მართვის კომერციული ბანკებისათვის განკუთვნილ კოდექსში ჯერ კიდევ 2018 წელს აისახა. თუმცა, მდგრადი დაფინანსების განვითარებისა და ეროვნული

35. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (*ფასს 9*).
36. იხილეთ: https://www.nbg.gov.ge/index.php?m=694
37. https://nbg.gov.ge/en/page/sustainable-finance-roadmap

ბანკის მიერ ამ მიმართულებით გადადგმული ნაბიჯების კვალდაკვალ, საჭირო გახდა ESG საკითხების კორპორაციული მართვის კოდექსში უფრო სრულყოფილად და დეტალურად ინტეგრირება. 2021 წლის ივნისში კომერციული ბანკების კორპორაციული მართვის კოდექსში შეტანილი ცვლილებებით ESG საკითხები და მათთან დაკავშირებული მოთხოვნები დაზუსტდა და უფრო ცხადად ჩაიწერა. კერძოდ, განისაზღვრა სამეთვალყურეო საბჭოს პასუხისმგებლობა ESG საკითხების ბანკის სტრატეგიასა და რისკების მართვის ჩარჩოში ინტეგრირებასთან და მათ ეფექტიან განხორციელებასთან დაკავშირებით. ასევე, დაზუსტდა ESG საკითხების ანგარიშგების ფორმა და სახელმძღვანელო პრინციპებად ეროვნული ბანკის მიერ შემუშავებული ESG საკითხების ანგარიშგებისა და გამჟღავნების პრინციპები[38] განისაზღვრა. გარდა ამისა, ანგარიშგების ეს ფორმა პილარ 3-ის წლიურ ანგარიშგებას დაემატა.

2021 წელს ბანკებმა პირველად, კორპორაციული მართვის კოდექსით დაწესებული მოთხოვნის შესაბამისად, ESG ინფორმაცია ეროვნული ბანკის შაბლონის გამოყენებით გაამჟღავნეს. ფინანსური ინსტიტუტების მიერ შევსებული შაბლონები ეროვნული ბანკის ვებგვერდზე[39] გამოქვეყნდა. მსგავს ანგარიშგებას ბანკები ყოველწლიურად გააკეთებენ, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ESG საკითხების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას ინვესტორებისთვის და სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის.

ESG საკითხები ასევე ინტეგრირებული იქნა კორპორაციული მართვის კოდექსში საჯარო ფასიანი ქაღალდები ემიტენტებისათვის, რომელიც 2021 წლის დეკემბერში იქნა მიღებული.

2021 წლიდან ეროვნულმა ბანკმა ასევე დაიწყო მდგრადი დაფინანსების ანგარიშის გამოქვეყნება. ეს უკანასკნელი ყოველწლიური გამოცემაა და მასში წარმოდგენილია მდგრადი დაფინანსების მიმართულებით საქართველოში არსებული ტენდენციების, გატარებული პოლიტიკისა და სამომავლო გეგმების მიმოხილვა. აღნიშნულის ფარგლებში გაანალიზებულია ეროვნული ბანკის მიერ გადადგმული ნაბიჯები, აღწერილია მიმდინარე და უახლოეს პერიოდში დაგეგმილი პროექტები და შეჯამებულია კომერციული ბანკების მიერ ESG ფორმებში წარმოდგენილი ინფორმაცია. ანგარიშში ასევე წარმოდგენილია საქართველოში მწვანე და მდგრადი ობლიგაციების გამოშვებისა და ზოგადად, კაპიტალის ბაზრის ტენდენციები ამ მიმართულებით.

მდგრადი დაფინანსების ჩარჩოს განვითარების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ეტაპს მდგრადი დაფინანსების ტაქსონომიის[40] შემუშავება წარმოადგენს, რაც ეროვნული ბანკისთვის მდგრადი დაფინანსების გზამკვლევით განსაზღვრული შემდეგი ნაბიჯია. ამ მიმართულებით საერთო განმარტებებისა და კლასიფიკაციის სისტემების ნაკლებობა მდგრადი დაფინანსების განვითარების ერთ-ერთ მთავარ გამოწვევადაა აღიარებული. სწორედ ამ გამოწვევასთან გასამკლავებლად ეროვნული ბანკი აქტიურად მუშაობს მდგრადი დაფინანსების ტაქსონომიის შემუშავებაზე.

საქართველოსთვის ტაქსონომიის შემუშავების აუცილებლობა სხვადასხვა მიზეზიდან გამომდინარეობს. მათ შორისაა საქართველოს ფინანსური სისტემის თავისებურების, მდგრადი დაფინანსების განვითარების ეტაპისა და არსებული მდგრადობის საკითხების აქტუალურობის გათვალისწინების აუცილებლობა. სწორედ ამ გამოწვევების საპასუხოდ ეროვნული ბანკი მდგრადი დაფინანსების ტაქსონომიას შეიმუშავებს. აღნიშნული დოკუმენტი ეფუძნება და შეესაბამება

38. https://nbg.gov.ge/en/financial-stability/esg-reporting-and-disclosure
39. https://nbg.gov.ge/en/financial-stability/esg-reporting-and-disclosure
40. მდგრადი დაფინანსების ტაქსონომია წარმოადგეს დოკუმენტს, რომელიც განსაზღვრავს და აკლასიფიცირებს იმ საქმიანობებსა და ეკონომიკურ აქტივობებს, რომელთაც გააჩნია დადებითი გარემოსდაცვითი ან/და სოციალური ზეგავლენა.

საქართველოს მდგრადი განვითარების პრიორიტეტებს, ითავსებს და შეესაბამა საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას, მოიცავს მწვანე და სოციალურ ტაქსონომიებს და მუშავდება სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით. კერძოდ, ტაქსონომიის ტექნიკური სტანდარტების განსაზღვრა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დარგობრივი ექსპერტების ჩართულობით ხორციელდება. საერთაშორისო ექსპერტებთან და სხვა რელევანტურ დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციები და ადგილობრივი ფინანსური ინსტიტუტების უკუკავშირი აღნიშნული პროცესის ნაწილია. ამასთან, ეროვნული ბანკი კონსულტაციებით, ტრენინგებითა და ტექნიკური მხარდაჭერით ფინანსურ ინსტიტუტებს ტაქსონომიის დანერგვაში შეუწყობს ხელს. ამ მიზნით ეროვნულმა ბანკმა მწვანე ზრდის ფონდის (GGF) ტექნიკური მხარდაჭერის პროგრამის დახმარებით ახალი პროექტი დაიწყო, რომელსაც PwC-ის საქართველოსა და ჩეხეთის ოფისები ახორციელებენ. ამ პროექტის მთავარი მიზანი ტაქსონომიის ეფექტიანად და თანმიმდევრულად დასანერგად სქრინინგისა და ანგარიშგების ინსტრუმენტების შემუშავება, ფინანსურ ინსტიტუტებთან კონსულტაციების ჩატარება და კომერციული ბანკების წარმომადგენლებისთვის ტრენინგების ჩატარებაა.

მდგრადი დაფინანსების გზამკვლევის ფარგლებში განსაზღვრული ღონისძიებების ფარგლებში საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2021 წლის ნოემბერში მდგრადი დაფინანსების ონლაინ ფორუმს უმასპინძლა. ღონისძიება საერთაშორისო საფინანსო კორპორაციასთან (IFC, მსოფლიო ბანკის ჯგუფის წევრი) და IFC-თან არსებულ მდგრად საბანკო და საფინანსო ქსელთან (SBFN) თანამშრომლობით და შვეიცარიის ეკონომიკურ საკითხთა სახელმწიფო სამდივნოს (SECO) მხარდაჭერით გაიმართა. ონლაინ ფორუმში მონაწილეობდნენ ევროპისა და ცენტრალური აზიის ცენტრალური ბანკები და ფინანსური ბაზრის მარეგულირებლები, SBFN-ის წევრი ქვეყნების წარმომადგენლები, IFC-ის ექსპერტები, და სხვა დაინტერესებული მხარეები. მდგრადი დაფინანსების საკითხებისადმი მიძღვნილი ეს ფორუმი ეროვნული ბანკის მასპინძლობით, IFC/SBFN-სთან ერთად გამართული მესამე ღონისძიებაა. პირველი შეხვედრა 2018 წელს გაიმართა და მას შემდეგ ის ყოველწლიურ ღონისძიებად იქცა, რომელიც სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებს შორის, საქართველოსა და რეგიონის სხვა ქვეყნებში მდგრადი დაფინანსების განვითარების შესახებ, ნაყოფიერი დისკუსიების პლატფორმას წარმოადგენს.

მდგრადი დაფინანსების ჩარჩოს განვითარებას ემსახურება საქართველოს ეროვნული ბანკის ცენტრალური ბანკებისა და ზედამხედველთა ქსელის ფინანსური სისტემის "გამწვანებისთვის" (Network for Greening the Financial System, NGFS)' წევრობაც, რომელსაც ეროვნული ბანკი 2020 წლის თებერვალში შეუერთდა. NGFS ცენტრალური ბანკებისა და ზედამხედველების ნებაყოფლობითი გაერთიანებაა. როგორც NGFS-ის წევრმა, ეროვნულმა ბანკმა 2021 წლის გაეროს კლიმატის ცვლილების კონფერენციის (COP26) ფარგლებში ინდივიდუალური წვლილი განსაზღვრა, რომელიც NGFS-ის საერთო წვლილის (NGFS Glasgow Declaration) ნაწილია. ინდივიდუალური წვლილის დოკუმენტი[41] იმ ძირითადი ქმედებების ჩამონათვალს წარმოადგენს, რომელთა განხორციელებასაც ეროვნული ბანკი გეგმავს, რათა NGFS-ის ანგარიშში - A Call for Action - წარმოდგენილი რეკომენდაციები გაითვალისწინოს.

ეროვნულმა ბანკმა 2021 წელს კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული რისკების ანალიზზე დაიწყო მუშაობა. ეს კვლევა რამდენიმე ეტაპად განხორციელდება. პირველ ეტაპზე, საქართველოში კლიმატის ცვლილების ფიზი-

41. https://nbg.gov.ge/en/page/nbg-pledge-for-cop26

კური და გარდამავლობის რისკების მიმართ ყველაზე მოწყვლადი ეკონომიკური სექტორების გამოვლენა მოხდება. შემდეგ ეტაპზე, აღნიშნულ სექტორებში კომერციული ბანკების მოწყვლადობა შეფასდება. ამის შემდეგ, სცენარების ანალიზისთვის ეროვნული ბანკი NGFS-ის კლიმატის ცვლილების სცენარებით იხელმძღვანელებს და საქართველოს ფინანსური სექტორისთვის კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ რისკებს გააანალიზებს. ამ კვლევის პირველი ეტაპი German Sparkassenstiftung for International Cooperation-თან თანამშრომლობით ხორციელდება.

მდგრადი დაფინანსების ჩარჩოს განვითარების მიმართულებით ამ და სხვა მნიშვნელოვანი ნაბიჯების შედეგია საქართველოს პროგრესის საერთაშორისო აღიარება. 2021 წლის მანძილზე საქართველოს ეროვნული ბანკი მისი წარმატებული გამოცდილების გასაზიარებლად მიწვეულ იქნა სხვადასხვა მდგრადი დაფინანსების კონფერენციებსა და სამუშაო შეხვედრებზე. მათ შორის აღსანიშნავია, 2021 წლის ნოემბერში გლაზგოს უნივერსიტეტის ადამ სმიტის ბიზნესის სკოლისა და „ბრეტონ ვუდსის კომიტეტის განახლების“ ორგანიზებით გაეროს კლიმატის ცვლილების კონფერენცია, სადაც ეროვნული ბანკი გლაზგოს უნივერსიტეტის, კერძო სექტორის, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სხვა ცენტრალური ბანკების წარმომადგენლებთან ერთად კლიმატის ცვლილებებისა და მდგრადი დაფინანსების საკითხებზე სამსჯელოდ იყო მიწვეული. მდგრადი დაფინანსების მიმართულებით გადადგმული ნაბიჯებისა და მიღწეული პროგრესის გასაზიარებლად ეროვნული ბანკის პრეზიდენტი ასევე მიწვეული იყო გაეროს გლობალური შეთანხმების (UN Global Compact) საერთაშორისო კონფერენციაზე. აღნიშნულ გლობალურ კონფერენციაში, რომელსაც საქართველომ პირველად უმასპინძლა, საქართველოს მთავრობის, პარლამენტის, საფინანსო და ბიზნესსექტორის წარმომადგენლებთან ერთად, უკრაინის, პოლონეთის, თურქეთისა და ბელარუსის საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების, ბიზნესსექტორისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა მიიღეს მონაწილეობა. ეროვნული ბანკის გუნდი ასევე წარმოდგენილი იყო მდგრადი საბანკო და საფინანსო ქსელის (SBFN) მიერ ჩატარებულ ვებინარზე, სადაც SBFN-ის გლობალური პროგრესის მესამე ანგარიში - AcceleratingSustainableFinanceTogether - იქნა წარდგენილი. ეროვნული ბანკის წარმომადგენელმა ერთ-ერთ პანელზე ტაქსონომიის, გამჟღავნების, კლიმატის რისკების მართვისა და მდგრადი დაფინანსების ინსტრუმენტების კუთხით ეროვნული ბანკის გამოცდილებაზე ისაუბრა და ამ პროცესში როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნებს შორის თანამშრომლობისა და კოორდინაციის მნიშვნელობას გაუსვა ხაზი. მიღწეული პროგრესისა და დაგროვილი გამოცდილების კვალდაკვალ ეროვნული ბანკი SBFN-ის მონაცემთა და გამჟღავნების სამუშაო ჯგუფის თანახელმძღვანელი გახდა. ეროვნული ბანკის მდგრადი დაფინანსების ჩარჩოს წარმატებულ განვითარებაზე მიუთითებს საქართველოს SBFN-ის შეფასების 6-საფეხურიან სისტემაში[42] მორიგი დაწინაურება, სადაც მან მოწინავე საფეხურზე გადაინაცვლა (იხ. დიაგრამა N 3.2).

42. იხილეთ: bit.ly/3uq6lcl

დიაგრამა N 3.2 SBFN-ის შეფასების სისტემა (ივნისი, 2021)

წყარო: SBFN[43]

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2021 წელს ფინანსური სტაბილურობის წლიური ანგარიშის[44] მორიგი გამოცემა გამოაქვეყნა. ფინანსური სტაბილურობის ანგარიშის განახლებული ვერსია, რომელიც საერთაშორისო სავალუტო ფონდთან (სსფ) მჭიდრო თანამშრომლობით შეიქმნა, 2019 წლიდან ქვეყნდება. ანგარიში მომავალზე ორიენტირებულ მაკროფინანსურ ანალიზზეა დაფუძნებული და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას ითვალისწინებს. ანგარიშში წარმოდგენილია ფინანსურ სისტემაში არსებული მოწყვლადობისა და რისკების შეფასება, სადაც ძირითადი აქცენტი გაკეთებულია საშუალო და გრძელვადიან პერიოდზე, ფინანსური სექტორის სტრუქტურულ მახასიათებლებსა და საქართველოს ეკონომიკის იმ ასპექტებზე, რომლებიც ფინანსური სტაბილურობისთვის არის მნიშვნელოვანი. ფინანსური სტაბილურობის ანგარიში ასევე მოიცავს ადგილობრივი ფინანსური სისტემის მდგრადობის ანალიზს. გარდა ამისა, ანგარიშში ვრცლად არის წარმოდგენილი ეროვნული ბანკის მიერ ფინანსური სტაბილურობის უზრუნველსაყოფად გატარებული ღონისძიებები. კერძოდ, დეტალურადაა მიმოხილული მთლიან საბანკო სისტემაზე ორიენტირებული მაკროპრუდენციული ღონისძიებები და ცალკეული ფინანსური ინსტიტუტების მდგრადობის ზრდისკენ მიმართული მიკროპრუდენციული ზომები. ფინანსური სტაბილურობის ანგარიშის 2021 წლის გამოცემაში დეტალურადაა გაანალიზებული

43. https://sbfnetwork.org/wp-content/uploads/pdfs/2021_Global_Progress_Report_Downloads/SBFN_D003_GLOBAL_Progress_Report_02_Nov_2021.pdf
44. იხილეთ: https://nbg.gov.ge/publications/financial-stability-reports

COVID-19 პანდემიით გამოწვეული ფინანსური სტაბილურობის რისკები და აღწერილია ეროვნული ბანკის მიერ გატარებული საპასუხო ღონისძიებები საქართველოს ფინანსური სისტემის მდგრადობის უზრუნველსაყოფად.

ფინანსური სტაბილურობის ანალიზის ჩარჩოს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია სტრეს-ტესტები. საქართველოს ეროვნულმა ბანკმა, 2019-2020 წლებში სსფ-ს ტექნიკური მისიის მხარდაჭერით, მნიშვნელოვნად განავითარა სტრეს-ტესტის მოდელი. სტრეს-ტესტის ძირითადი მახასიათებლების შესახებ დეტალური ინფორმაცია განთავსებულია ეროვნული ბანკის ვებგვერდზე[45]. სტრეს-ტესტის მთავარი მიზანი ბანკების უარყოფითი შოკების მიმართ მდგრადობის შეფასებაა. აღნიშნული ინსტრუმენტი ცენტრალურ ბანკებს საშუალებას აძლევს განსაზღვრონ შოკის მიტიგაციის გზები და შეიმუშაონ პოლიტიკა, რომელიც სტრესულ პირობებში ფინანსური შუამავლების შეუფერხებელ ფუნქციონირებას ისახავს მიზნად, რაც სტრესის ხანგრძლივობის შემცირებასა და ეკონომიკის სწრაფად აღდგენას უწყობს ხელს.

2021 წელს, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა, კომერციული ბანკების ფინანსური მდგრადობის შეფასების მიზნით, სტრეს-ტესტის ინტერაქტიული ვებპლატფორმა[46] აამოქმედა. ინტერაქტიული პლატფორმის მეშვეობით, დაინტერესებული საზოგადოება თავად შეძლებს თითოეული მაკროეკონომიკური ცვლადისთვის ჰიპოთეტური სტრესული სცენარის არჩევასა და კომერციული ბანკის კაპიტალის კოეფიციენტის დინამიკაზე დაკვირვებას. სტრეს-ტესტის შედეგების მიხედვით, ზომიერი და მკაცრი სტრეს სცენარის შემთხვევაში ყველა ბანკი მდგრადობას მაინც ინარჩუნებს, ხოლო ექსტრემალური სტრეს სცენარის დროს ზოგიერთი ბანკი მინიმალური მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად დამატებით კაპიტალს საჭიროებს. აღსანიშნავია ისიც, რომ სტრეს-ტესტი არ განიხილავს ბანკების მხრიდან შოკების საპასუხოდ აქტიურ რეაგირებას ან ბიზნეს მოდელის ცვლილებას, რამაც შესაძლოა შოკის გავლენა შეარბილოს. თუმცა, მიმდინარე შეფასებით, მფლობელობის არსებული სტრუქტურიდან გამომდინარე, ბანკებს კაპიტალის შევსების კარგი შესაძლებლობა აქვთ. შესაბამისად, კაპიტალის ჰიპოთეტური დანაკარგები სისტემის სტაბილურობას და მდგრადობას საფრთხეს არ უქმნის. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ექსტრემალურ სტრეს სცენარში კაპიტალის კოეფიციენტი აღდგენას მეორე წლიდან იწყებს, რასაც აქტივების ხარისხის გაუმჯობესებასთან ერთად, მდგრადი საოპერაციო მომგებიანობაც უწყობს ხელს.

ჩანართი 4 პანდემიის შესაძლო გავლენის შეფასება ფინანსურ სტაბილურობაზე რეგულაციების გატარების გარეშე

ბოლო წლებში გატარებული ფინანსური სტაბილურობის პოლიტიკის შედეგად, საქართველოს ფინანსური სისტემა COVID-19 პანდემიით გამოწვეულ შოკს მომზადებული შეხვდა და მდგრადობას ინარჩუნებს. COVID-19-ის პანდემიის შედეგად გაიზარდა შინამეურნეობებისა და კომპანიების მოწყვლადობა და ფინანსური სტაბილურობის რისკები მთელ მსოფლიოში. თუმცა, 2017 წლიდან დამატებითი კაპიტალის მოთხოვნების დაწესებამ ბანკებს საშუალება მისცა მსგავსი სტრესული სიტუაციის გასამკლავებლად კაპიტალის საკმარისი მოცულობის ბუფერი შეექმნათ. გარდა ამისა, ეროვნული ბანკის მიერ მიღებულმა მაკროპრუდენციულმა ზომებმა ხელი შეუწყო არასაფინანსო სექტორის მოწყვლადობის შემცირებას, მათ შორის, სესხების დოლარიზაციისა

45. იხილეთ: https://nbg.gov.ge/page/-top-down-stress-test
46. იხილეთ: https://nbg.gov.ge/page/interactive-stress-test

და შინამეურნეობის ჭარბვალიანობის კლების გამო. პასუხისმგებლიანი დაკრედიტების პრაქტიკის დამკვიდრებას, ასევე, ხელი შეუწყო მთავრობის მიერ დაწესებულმა მაქსიმალური ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ზღვარმა და უცხოური ვალუტით სესხის გაცემის შეზღუდვამ. შედეგად, 2021 წლის დეკემბერში, 2016 წლის იმავე პერიოდთან შედარებით, მთლიანი პორტფელის ლარიზაცია კურსის ეფექტის გამორიცხვით 18 პპ-ით გაიზარდა და 49 პროცენტი შეადგინა. ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხების ლარიზაციამ კი 64 პროცენტს მიაღწია. ასევე, პანდემიის დაწყებამდე სესხების ხარისხი უმჯობესდება, რასაც ხელი შეუწყო მაღალი საკრედიტო ტვირთის მქონე სესხების გაცემის შეზღუდვამ. შედეგად, მნიშვნელოვნად შემცირდა რისკიანი სესხები და იმ მსესხებელთა წილი, რომელთა სესხის მომსახურების კოეფიციენტი ლარში 50 პროცენტს, ხოლო უცხოურ ვალუტაში 30 პროცენტს აჭარბებდა. აღსანიშნავია, რომ 2019 წლის დეკემბერში, 2016 წლის იმავე პერიოდთან შედარებით, უმოქმედო სესხების წილი მთლიან სესხებში 2.9 პპ-ით შემცირდა და 4.4 პროცენტი შეადგინა. ამავდროულად, აღნიშნულ პერიოდში გაიზარდა კაპიტალის მოთხოვნა და გაუმჯობესდა კაპიტალის ხარისხი. პირველადი კაპიტალის კოეფიციენტის მოთხოვნა 1.5 პპ-ით, ხოლო საზედამხედველო კაპიტალი მოთხოვნა კი 3.4 პპ-ით გაიზარდა.

აღნიშნული რეგულაციების გატარების გარეშე, პანდემიის დროს სესხის მომსახურების სირთულეები მეტ ადამიანს შეექმნებოდა, რის შედეგადაც გაზრდილი საკრედიტო დანაკარგების ფონზე საბანკო სექტორი დაკრედიტების ტემპს შეამცირებდა, რაც, თავის მხრივ, ეკონომიკის აღდგენას შეასუსტებდა. პანდემიის დროს ფინანსური სირთულეები ყველაზე მეტად უცხოური ვალუტისა და მაღალი ვალის ტვირთის მქონე მსესხებლებს შეექმნათ. ამ დაკვირვებით, თუ დავუშვებთ, რომ წინა აბზაცში აღნიშნული რეგულაციების ამოქმედების გარეშე, კაპიტალის ხარისხი და ოდენობა, მსესხებლების სესხის მომსახურებისა და უზრუნველყოფის კოეფიციენტების განაწილება და პორტფელის დოლარიზაცია იგივე დარჩებოდა, როგორიც რეგულაციების ამოქმედებამდე იყო, მაშინ პანდემიით გამოწვეული შოკის პიკში უმოქმედო სესხების წილი მთლიან პორტფელში 8.5 პროცენტის ნაცვლად 15 პროცენტამდე გაიზრდებოდა. უფრო მეტად ფიზიკური პირები იზარალებდნენ, რომელთა უმოქმედო სესხების მაჩვენებელი მაქსიმალური 8.5%-ის ნაცვლად 20 პროცენტს გადააჭარბებდა. შედეგად, საბანკო სექტორის კაპიტალის ადეკვატურობა დამატებით დაახლოებით 2.5 პპ-ით მოიკლებდა. მიუხედავად იმისა, რომ მინიმალური მოთხოვნები კვლავ დაცული იქნებოდა, მსგავს ნეგატიურ მაჩვენებლებს შესაძლოა გაეჩინა ფინანსური სტაბილურობის მიმართ ნდობის შერყევა, რეიტინგების გაუარესება და დეპოზიტების გადინება, ხოლო იპოთეკური სესხების დეფოლტების ზრდა უძრავი ქონების ბაზარზე უარყოფითად იმოქმედებდა. ასევე, ბანკებს კაპიტალის მოთხოვნის სრულად აღდგენისას მისი დაკმაყოფილება გაუჭირდებოდათ. შესაბამისად, გაზრდილი რისკისა და კაპიტალის დაგროვების საჭიროებიდან გამომდინარე, ბანკები საკრედიტო ზრდას შეამცირებდნენ, რაც ეკონომიკის აღდგენას შეასუსტებდა.

პასუხისმგებლიანი დაკრედიტების სტანდარტის დანერგვისა და დოლარიზაციის შემცირების სარგებელი განსაკუთრებით ცხადად იპოთეკური მსესხებლების შემთხვევაში ჩანს. პანდემიის შედეგად, სესხის მომსახურება განსაკუთრებით 50%-ზე მაღალი სესხის მომსახურების კოეფიციენტის მქონე მსესხებლებს და უცხოური ვალუტით მსესხებლებს გაუჭირდათ. რესტრუქტურიზებული სესხების წილი უცხოური ვალუტით გაცემულ იპოთეკურ სესხებში 24 პროცენტამდე გაიზარდა, ხოლო ლარით მხოლოდ 9 პროცენტამდე. აღსანიშნავია, რომ 2016 წლის ბოლოს იპოთეკური სესხების პორტფელის მხოლოდ 10 პროცენტამდე იყო დენომინირებული ეროვნული ვალუტით, ხოლო 2021 წლის ბოლოს იპოთეკური პორტფელის 45 პროცენტი ლარით იყო გაცემული. შესაბამისად, რეგულაციამდე არსებული დოლარიზაციის მაჩვენებლის შენარჩუნების შემთხვევაში,

სესხის მომსახურების სირთულე მნიშვნელოვნად მეტ ადამიანს შეექმნებოდა და მხოლოდ დოლარიზაციის ეფექტის გამო რესტრუქტურიზებული სესხების წილი დაახლოებით 5 პპ-ით მეტი იქნებოდა. ასევე გასათვალისწინებელია, რომ პასუხისმგებლიანი დაკრედიტების სტანდარტის დანერგვამდე, იპოთეკური მსესხებლების დაახლოებით 20 პროცენტის სესხის მომსახურების კოეფიციენტი 50 პროცენტს აღემატებოდა. დაკრედიტების აღნიშნული პირობების შენარჩუნების შემთხვევაში, პანდემიის შედეგად რესტრუქტურიზებული სესხების წილი 10 პპ-ით მეტი იქნებოდა. მთლიანობაში, რეგულაციების ამოქმედების გარეშე, რესტრუქტურიზაციების წილი იპოთეკურ სესხებში დაახლოებით 15 პპ-ით მეტი იქნებოდა.

რომ შევაჯამოთ, განხორციელებულმა რეგულაციებმა შეამცირა შინამეურნეობების ვალის ტვირთის ჭარბი ზრდა და უკეთესად დაიცვა მსესხებლები ფინანსური მოწყვლადობის რისკებისგან, რამაც ხელი შეუწყო როგორც ფინანსური, ისე არაფინანსური სექტორის მდგრადობას. როგორც რეგულაციების ამოქმედებისას იყო აღნიშნული, რეგულაციებს შესაძლოა მოკლევადიან პერიოდში ეკონომიკურ ზრდაზე მცირე უარყოფითი გავლენა ჰქონდეს, თუმცა საშუალოვადიან პერიოდში მოწყვლადობების შემცირებასა და, შესაბამისად, ეკონომიკის მდგრად ზრდას უწყობენ ხელს. პანდემიამ კიდევ ერთხელ წარმოაჩინა აღნიშნული მიდგომის სისწორე. მიუხედავად პანდემიის მიერ გამოწვეული დიდი დანაკარგებისა, ეკონომიკის სწრაფი აღდგენის ერთ-ერთი ძირითადი მხარდამჭერი სწორედ ფინანსური სექტორი იყო.

04

საბანკო ზედამხედველობა

4.1 საზედამხედველო ჩარჩოს განვითარება

2021 წლის განმავლობაში საქართველოს ეროვნული ბანკი საზედამხედველო ჩარჩოს დახვეწის, მოწინავე საერთაშორისო პრაქტიკასთან დაახლოებისა და რიგი საზედამხედველო მიმართულებების გაძლიერების კუთხით აქტიურ მუშაობას განაგრძობდა.

2021 წელი მნიშვნელოვანი იყო ეროვნული ბანკის მიერ რეგულირებად სფეროში კონკურენციის საკითხების მარეგულირებელი სპეციალური კანონმდებლობის შემუშავებისა და ამ კუთხით ზედამხედველობის გაძლიერების კუთხით. კონკურენციის პოლიტიკის განხორციელების პროცესში ეროვნული ბანკის უფლებამოსილებები, „კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონსა და „ეროვნული ბანკის შესახებ" ორგანულ კანონში 2020 წელს განხორციელებული ცვლილებებით დაზუსტდა. სწორედ ამ ცვლილებებით განსაზღვრული ვალდებულებების შესაბამისად, 2021 წელს ეროვნულმა ბანკმა რეგულირებას დაქვემდებარებული სუბიექტებისათვის კონკურენციის პოლიტიკის მომწესრიგებელი კანონქვემდებარე აქტები დაამტკიცა. წესები „კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონს, კონკურენციის სააგენტოს მეორად კანონმდებლობასა და ამ მიმართულებით არსებულ მოწინავე საერთაშორისო პრაქტიკებს, მათ შორის, ევროკავშირის[47], დიდი ბრიტანეთის[48], კანადის[49], ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) სტანდარტებს[50] დაეფუძნა. წესების მომზადების პროცესში ეროვნულ ბანკს ექსპერტულ დახმარებას მსოფლიო ბანკის წარმომადგენლები უწევდნენ, ამასთან, წესების შემუშავების პროცესი კონკურენციის სააგენტოსა და ფინანსურ სექტორთან ინტენსიური ჩართულობითა და მათთან კონსულტაციების ფონზე წარიმართა.

გარდა სპეციალური კანონმდებლობის შემუშავებისა, 2021 წლის განმავლობაში ეროვნული ბანკი კვლავ აქტიურად მუშაობდა ბაზარზე ჯანსაღი სუბიექტების გამოჩენის წამახალისებელი და ხელშემწყობი ფაქტორების განვითარებაზე. ეროვნული ბანკი აქტიურად განაგრძობს კონკურენციის განხორციელებისა და ხელშეწყობის პოლიტიკის დახვეწასა და განვითარებას, მათ შორის, მდგრადი ფინანსური ტექნოლოგიების ეკოსისტემის ელემენტების დახვეწისა და განვითარების გზით. აღნიშნული, მათ შორის, ბანკებთან დაკავშირებული ეკოსისტემებისა და პლატფორმების რეგულირების ჩარჩოს დანერგვასა და აღსრულებასაც მოიცავს. კონკურენციის პოლიტიკის მომწესრიგებელი სპეციალური კანონმდებლობისა და კონკურენციის ხელშემწყობი სხვა ფაქტორების შესახებ დეტალები იხ. ჩანართ 5-ში.

47. დაწვრილებითი ინფორმაციისთვის იხილეთ:
https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/ALL/?uri=CELEX%3A52004XC0205%2802%29
48. დაწვრილებითი ინფორმაციისთვის იხილეთ:
https://assets.publishing.service.gov.uk/government/uploads/system/uploads/attachment_data/file/1051823/MAGs_for_publication_2021_--_.pdf
49. დაწვრილებითი ინფორმაციისთვის იხილეთ:
https://www.competitionbureau.gc.ca/eic/site/cb-bc.nsf/eng/03420.html
50. დაწვრილებითი ინფორმაციისთვის იხილეთ:
https://www.oecd.org/daf/competition/sectors/47836843.pdf

ჩანართი 5 კონკურენციის პოლიტიკის მომწესრიგებელი ჩარჩოს გაძლიერება და კონკურენციის ხელშემწყობი სხვა ღონისძიებები

„კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონსა და „ეროვნული ბანკის შესახებ" ორგანულ კანონში 2020 წელს განხორციელებული ცვლილებების საფუძველზე, 2020 წლის მეორე ნახევარში, ეროვნულმა ბანკმა, მის მიერ რეგულირებულ სექტორში კონკურენციის პოლიტიკის მომწესრიგებელი ჩარჩოს გაძლიერებაზე აქტიური მუშაობა დაიწყო. შედეგად, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასა და კონკურენციის სააგენტოს მიერ დადგენილ სტანდარტებზე დაყრდნობით, 2021 წლის ივნისში, კონკურენციის პოლიტიკის მომწესრიგებელი შემდეგი კანონქვემდებარე აქტები დამტკიცდა:

- **ბაზრის ანალიზისა და კონცენტრაციის შესახებ შეტყობინების წარდგენისა და მისი განხილვის შესახებ წესი** - წესის შემუშავების მიზანი ეროვნული ბანკის მიერ რეგულირებად სფეროში კონკურენციის პოლიტიკის ეფექტური განხორციელების, ბაზარზე კონკურენტული გარემოს შეფასებისა და შენარჩუნების უზრუნველყოფაა. იგი ბაზრის ანალიზის მეთოდებს, კონკურენტული გარემოს შეფასების კრიტერიუმებსა და პარამეტრებს ადგენს. მასში ასევე განსაზღვრულია, თუ როგორ მოხდება კონცენტრაციის (ერთი სუბიექტის მიერ მეორე სუბიექტზე კონტროლის მოპოვება ან ორი სუბიექტის შერწყმა) თაობაზე ეროვნულ ბანკთან შეტყობინების წარდგენა და შემდგომ ეროვნული ბანკის მიერ დაგეგმილი ტრანზაქციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შეფასება.
- **კონკურენციის შესაძლო დარღვევასთან დაკავშირებული საქმის მოკვლევის, საჩივრის/განცხადების წარდგენისა და განხილვის წესი** დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებისა და კონკურენციის შეზღუდვასთან დაკავშირებული სხვა საკითხების შესახებ საქმის მოკვლევის, შესაძლო დარღვევაზე საჩივრისა და განცხადების განხილვის წესებს ადგენს, მათ შორის, მხარეთა უფლებების დაცვის გარანტიებს და საქმის მოკვლევის ფარგლებში განსახორციელებელი მოქმედებებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცედურებს. წესი, ასევე, მოპასუხე ეკონომიკური აგენტის მიერ პირობითი ვალდებულებების აღების საკითხებს, ფულადი ჯარიმების დაკისრების პრინციპებს, თანამშრომლობის პროგრამაში ჩართვის დეტალებსა და უწყებათაშორისი თანამშრომლობის თემებს არეგულირებს.

კონკურენციის ახალი წესების თანახმად, მნიშვნელოვნად გაიზრდება ეროვნული ბანკის მიერ კონკურენციასთან დაკავშირებული საქმიანობის და გადაწყვეტილებების გამჭვირვალობა. კერძოდ, კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის თაობაზე, ასევე, კონკურენციის შესაძლო დარღვევასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები საჯარო იქნება და ეროვნული ბანკის ოფიციალურ ვებგვერდზე, ინფორმაციის კონფიდენციალური ნაწილის დაცვით, გამოქვეყნდება.

აღსანიშნავია, რომ რეგულირებულ სექტორში კონკურენციის პოლიტიკის განხორციელების უფლებამოსილება ეროვნულ ბანკს 2020 წლის საკანონმდებლო ცვლილებებამდეც ჰქონდა, თუმცა სპეციალური კანონმდებლობის შემუშავებით მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა კონკურენციის პოლიტიკის ეფექტურად აღსრულების მექანიზმები.

ჩარჩოს სრულყოფისა და იმპლემენტაციის სტატუსი

ზემოაღნიშნული კანონქვემდებარე აქტების შემუშავება კონკურენციის პოლიტიკის მომწესრიგებელი ჩარჩოს გაძლიერების პირველი ეტაპია. ეროვნული ბანკი როგორც სხვადასხვა მიმარ-

თულებით აქტების დახვეწის (მაგ. საბანკო ჯგუფებში ჯვარედინი გაყიდვების, ჯგუფის წევრებს შორის ტრანზაქციების მონიტორინგის, ბანკებსა და პლატფორმებს შორის თანამშრომლობის გამჭვირვალობის გაძლიერება), ისე ჩარჩოს პრაქტიკაში აღსრულების გაუმჯობესების კუთხით მუშაობას აგრძელებს. 2021 წელს, ეროვნულ ბანკში მსოფლიო ბანკის ექსპერტებმა გამართეს 1-კვირიანი ვორქშოფ სესიები კონკურენციასთან დაკავშირებულ თემებზე როგორც საფინანსო სექტორის წარმომადგენლებისთვის, ისე ეროვნული ბანკის თანამშრომლებისთვის. ამ პროცესში ეროვნულ ბანკს მსოფლიო ბანკის ტექნიკური დახმარების პროგრამა 2022 წლის განმავლობაშიც გაუწევს თანადგომას.

2021 წელს ეროვნული ბანკის მანდატის ქვეშ არსებული კონკურენციის საკითხებისა და ფაქტების შესწავლა სამუშაო ჯგუფების ფორმატში წარიმართა. იქიდან გამომდინარე, რომ ამ ფორმატის სამუშაოები უმეტესწილად მაღალ ეფექტურობას აჩვენებს, ეროვნული ბანკი მომავალშიც განაგრძობს სხვადასხვა მიმართულებებისა და საკითხების სამუშაო ჯგუფის ფორმატში განხილვებს. აღსანიშნავია, რომ კონკურენციის პოლიტიკის ეფექტიანად აღსრულების უზრუნველსაყოფად, ეროვნულ ბანკში შესაბამისი ერთეულის შექმნა იგეგმება.

კონკურენციის ხელშემწყობი სხვა ღონისძიებები

გარდა კონკურენციის მეორადი კანონმდებლობის განსაზღვრისა, 2021 წლის განმავლობაში ეროვნული ბანკი აქტიურად მუშაობდა კონკურენციის ხელშემწყობ და წამახალისებელ რეფორმებზე, რომლებიც ხელს შეუწყობს ბაზარზე ჯანსაღი სუბიექტების გამოჩენასა და მათ ჯანსაღ განვითარებას. აღნიშნული მიმართულებები, მოიცავს შემდეგ რეფორმებს:

- **პროექტები რეგულირების ლაბორატორიის ჩარჩოს ფარგლებში** - 2021 წლის განმავლობაში, რეგულირების ლაბორატორიის საბოლოო, მესამე, "რეალურ გარემოში ტესტირების" ეტაპი საქართველოს ეროვნული ბანკის დაკვირვების ქვეშ 14-მა პროექტმა გაიარა. პროექტების უმრავლესობა შეეხებოდა დისტანციური იდენტიფიკაცია/ვერიფიკაციის სერვისს და ხორციელდებოდა როგორც ბანკების, ასევე მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და სხვა რეგულირებული სუბიექტების მიერ, სხვადასხვა FinTech კომპანიებთან თანამშრომლობით. შედეგად, 2021 წელს, რეგულირების ლაბორატორიის ფარგლებში, დისტანციური იდენტიფიკაციის პროცესზე მუშაობა დასრულდა და შესაბამისი დებულება დამტკიცდა.
- **ღია ბანკინგის პროექტის მიმდინარეობა** - 2021 წლის განმავლობაში ეროვნული ბანკი ღია ბანკინგის საკითხებზე აქტიურ მუშაობას კვლავ აგრძელებდა. ღია ბანკინგის იმპლემენტაციის პირველი ეტაპის წარმატებით განხორციელების შემდეგ, 2021 წლის 31 მარტიდან ღია ბანკინგით ხელმისაწვდომია ინფორმაციის მიმოცვლა კომერციულ ბანკებს შორის, რაც ანგარიშებზე ნაშთების და ანგარიშის ამონაწერის დეტალური ინფორმაციის გაცვლას გულისხმობს. 2021 წლის 1 დეკემბრიდან ბანკებმა ხელმისაწვდომი გახადეს გადახდის API ფიზიკური პირებისთვის. 2022 წელს დაგეგმილია იურიდიული პირების ჩართვა გადახდების ინიცირების ნაწილში, დისტანციური იდენტიფიკაციის პროცესის დანერგვა და სტანდარტულ პროდუქტებზე ინფორმაციის გაცვლა. საკანონმდებლო ცვლილებების ძალაში შესვლის შემდეგ კი აღნიშნული მომსახურებების გამოყენება არასაბანკო ინსტიტუტებსაც შეეძლებათ.
- **Fintech ფორუმი** - საქართველოში ფინტექის ეკოსისტემის განვითარების თემას მიეძღვნა ფორუმი, რომელსაც 2021 წელს, USAID-ის ეკონომიკური უსაფრთხოების პროგრამამ საქართველოს ეროვნულ ბანკთან და ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოსთან პარტნი-

ორობით უმასპინძლა. ღონისძიების ფარგლებში გაიმართა პრეზენტაციები და დისკუსია პროგრამის მიგნებებსა და საქართველოს ეროვნული ბანკის გეგმებზე, ფინტექის სექტორის განვითარების შესაძლებლობებსა და პოტენციური თანამშრომლობის პლატფორმების შეთავაზებებზე. ფორუმის მიზანი ქვეყანაში ადგილობრივი ბაზრის ზრდის ხელშეწყობის მიზნით ფინტექის შესაძლებლობების გამოვლენა იყო.

ეროვნული ბანკი აქტიურად აგრძელებს ზედამხედველობასთან დაკავშირებული კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოებას, როგორც ეს საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმებითაა გათვალისწინებული. აღნიშნულის ფარგლებში, ეროვნულმა ბანკმა საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურთან ერთად ფინანსური კონგლომერატების დამატებითი ზედამხედველობის ჩარჩო მოამზადა. აღნიშნული საზედამხედველო ჩარჩო ფინანსურ კონგლომერატში შემავალ სუბიექტთა დამატებით პრუდენციულ ზედამხედველობაში კაპიტალის ადეკვატურობის, რისკის კონცენტრაციის, ჯგუფის შიდა ტრანზაქციების, შიდა კონტროლის მექანიზმებისა და რისკის მართვის პროცესების მიმართ რიგი მოთხოვნების დაწესებას გულისხმობს.

2021 წელს, ეროვნულმა ბანკმა „ფინანსური სექტორის შეფასების პროგრამის“ (FSAP) ფარგლებში საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის ერთობლივ მისიას უმასპინძლა, რომლისთვისაც ეროვნული ბანკი 2020 წლის მეორე ნახევრიდან ინტენსიურად ემზადებოდა. FSAP-ის ფარგლებში ფინანსური სექტორის სტაბილურობა, სიჯანსაღე, ეროვნული ბანკის მიერ გატარებული რეფორმები, განვითარებისა და ზრდის პერსპექტივები შეფასდა. აღსანიშნავია, რომ FSAP მისიამ ცალსახად დადებითად შეაფასა ეროვნული ბანკის მიერ გატარებული პრუდენციული პოლიტიკა და რეფორმები.

შეფასების შედეგად, მისიამ ეროვნული ბანკის საზედამხედველო ჩარჩოს განვითარებისა და დახვეწის კუთხით რიგი რეკომენდაციები შეიმუშავა. მისიის მიერ შედგენილი ანგარიშები გამოქვეყნებულია სსფ-ის ვებგვერდზე.[51] FSAP-ის ფარგლებში შემუშავებული რეკომენდაციები, როგორც წესი, მნიშვნელოვანწილად ეროვნული ბანკის მიმდინარე და სამომავლო საზედამხედველო პრიორიტეტებსა და გეგმებს განსაზღვრავს და მათი გათვალისწინება აქტიურად მოხდება. FSAP მისიის ფარგლებში მიღებული ძირითადი რეკომენდაციების შესახებ დეტალები იხ. ჩანართ 6-ში.

51. დეტალები იხილეთ საერთაშორისო სავალუტო ფონდის ვებგვერდზე
https://www.imf.org/en/Publications/fssa

ჩანართი 6 ფინანსური სექტორის შეფასების პროგრამის (FSAP) ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები

FSAP მისიამ, რომელიც 2021 წლის იანვარ-თებერვლის და მაის-ივნისის პერიოდში განხორციელდა, საქართველოს ფინანსური სექტორი ყველა მნიშვნელოვანი მიმართულებით შეაფასა. შედეგად, მისიამ შემდეგი ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები შეიმუშავა:

ფინანსური სტაბილურობა

აღინიშნა, რომ პანდემიას საბანკო სისტემაზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს, რომელიც სრულად მატერიალიზებული ჯერ კიდევ არ არის. თუმცა სტრეს-ტესტები აჩვენებს, რომ საბანკო სისტემა მზად არის საბაზისო სცენარით პანდემიით გამოწვეული საკრედიტო ზარალის გასანეიტრალებლად ფინანსური სტაბილურობისათვის საფრთხის შექმნის გარეშე.

მისიის რეკომენდაციაა, რომ რისკებთან გამკლავებისთვის მნიშვნელოვანია დივიდენდების არგაცემის მიდგომის შენარჩუნება, ვიდრე პანდემიასთან დაკავშირებული გაურკვევლობები და სირთულეები არ აღმოიფხვრება, საკრედიტო დანაკარგები არ შეიწოვება და კაპიტალის ბუფერების აღდგენა სრულად არ განხორციელდება. მისიამ ასევე რეკომენდაცია გასცა „რისკის პოზიციების კონცენტრაციისა და მსხვილი რისკების შესახებ დებულების" იმპლემენტაციასთან დაკავშირებით, რაც ეროვნული ბანკის გეგმაშია.

მაკროპრუდენციული პოლიტიკა და დოლარიზაცია

მაკროპრუდენციული პოლიტიკის ინსტიტუციური ჩარჩო ფართოდ და ყოვლისმომცველად იქნა შეფასებული, რომელიც მოიცავს საკმარის ზომებს მაღალი დოლარიზაციის ძირითადი რისკის აღმოსაფხვრელად.

მისიის რეკომენდაციაა დე-დოლარიზაციის ღონისძიებების ეტაპობრივი შერჩევა და მათი პერიოდული კალიბრაცია გავლენის შეფასების საფუძველზე. რეკომენდაციის თანახმად, ასევე, მნიშვნელოვანია მაკროპრუდენციული პოლიტიკის გადაწყვეტილებებისა და სავალუტო ინტერვენციების მიზნების შესახებ საჯარო კომუნიკაციის გაძლიერება.

ფინანსური სექტორის ზედამხედველობა

მისიის აღნიშვნით, წინა FSAP-ის შემდგომ, ეროვნულმა ბანკმა საზედამხედველო რეჟიმის გასაუმჯობესებლად მნიშვნელოვანი ძალისხმევა გაიღო და პროგრესს მიაღწია საზედამხედველო ჩარჩოს გაძლიერების კუთხით, რომელიც რისკზე დაფუძნებულ ზედამხედველობად ყალიბდება.
მისიის რეკომენდაციები შემდეგ მიმართულებებისაა:

- საზედამხედველო მოქმედებებისა და გადაწყვეტილებების ძირითადი შიდა პროცესების მართვის ფორმალიზება და გაძლიერება;
- GRAPE-ის ქულებისა და შეწონვის შიდა მეთოდოლოგიის გადახედვა;
- ბანკების მმართველობისა და რისკების მართვის პრაქტიკის რეგულარული სიღრმისეული შეფასებების ჩატარება.

კაპიტალის ბაზრების ზედამხედველობა

მისიის აღნიშვნით, ეროვნულმა ბანკმა კაპიტალის ბაზრების ზედამხედველობა საერთაშორისო სტანდარტებს დაუახლოვა, თუმცა საზედამხედველო მიდგომის გაუმჯობესების სივრცე, რასაკვირველია, კვლავ არსებობს.

მისიის მხრიდან რეკომენდებულია, გაგრძელდეს რისკზე დაფუძნებული ზედამხედველობის შემუშავება და განხორციელება და ბაზრის მანიპულაციისათვის გათვალისწინებული სანქციების სათანადო სიმკაცრის უზრუნველყოფა ბაზრის ყველა მონაწილისთვის.

ფინანსური უსაფრთხოების ჩარჩო

მისიის მხრიდან დადებითად შეფასდა პროგრესი ბანკების რეზოლუციის ჩარჩოსა და კრიზისების მართვის ჩარჩოს განახლების მიმართულებით.

მისიის რეკომენდაციებია:

- ბანკებისთვის ადრეული მაკორექტირებელი ქმედებების ჩარჩოს დანერგვა;
- საჭიროების შემთხვევაში, დროებითი ბანკის სარეზოლუციო ინსტრუმენტის სწრაფად და ეფექტურად გამოყენების მიზნებისთვის შესაბამისი მექანიზმების შემუშავება;
- სისტემური ბანკებისათვის სარეზოლუციო გეგმების მომზადების პროცესის გაგრძელება, ასევე სხვა ბანკების პრიორიტეტიზაციის საკითხის განხილვა.

კიბერუსაფრთხოების ზედამხედველობა

მისიის შეფასებით, ეროვნულმა ბანკმა, ფინანსური სექტორის კიბერუსაფრთხოების რეგულირებისა და ზედამხედველობის გასაძლიერებლად ბოლო წლებში გარკვეული ნაბიჯები გადადგა, თუმცა, რამდენიმე მიმართულებით შემდგომი ნაბიჯები კიბერუსაფრთხოების ზედამხედველობის ჩარჩოს შემდგომ გაძლიერებას კვლავ დაეხმარება;

მისიის რეკომენდაციის თანახმად, ბანკის ან ფინანსური ბაზრის ინფრასტრუქტურის სხვა წარმომადგენლების კრიტიკული ინფორმაციის სისტემად აღიარებისას ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ კანონის ცვლილებებში მკაფიოდ უნდა აისახოს ეროვნული ბანკის როლი. ასევე, რეკომენდებულია კიბერრისკების დისტანციური ზედამხედველობის ჩარჩოს გაძლიერება და შესაბამისობის მონიტორინგის პროცესის ავტომატიზაცია.

AML/CFT ზედამხედველობა

მისიის შეფასებით, ბოლო FSAP-ის შემდგომ, საქართველომ AML/CFT ჩარჩოს გაძლიერების კუთხით გარკვეულ პროგრესს მიაღწია, თუმცა, რეკომენდებულია რეგულირების/ზედამხედველობის გაძლიერება სათამაშო ბიზნესის სექტორის, ვირტუალური აქტივების მომსახურების პროვაიდერებისა და უძრავი ქონების აგენტებისათვის. ასევე, რეკომენდებულია ნაღდი ფულის გამოყენების ზედა ზღვრების დადგენა გარკვეული ტრანზაქციებისთვის.

ფინანსური ბაზრის ინფრასტრუქტურა

ფინანსური ბაზრის ინფრასტრუქტურის განვითარების მიმართულებით, მისიის რეკომენდაცია ეხება საგადახდო სისტემების ზედამხედველობის დეტალური პროცედურების შემუშავებას. ასევე რეკომენდირებულია ფასიანი ქაღალდების ორი ცენტრალური დეპოზიტარის (ეროვნული ბანკი, GCSD) თვითშეფასების დასრულება.

კონკურენცია ფინანსურ სექტორში:

მისიამ განსაკუთრებით მნიშვნელოვნად შეაფასა კონკურენციის მეორადი კანონმდებლობის შემუშავება და კონკურენციის ხელშემწყობ რეფორმებზე მუშაობა. რეკომენდაციები შემდეგი ხასიათისაა:

- კონკურენციის პოლიტიკის აღსრულებისა და ადვოკატირების ინსტიტუციური შესაძლებლობის, როგორც ეროვნული ბანკის ფარგლებში ცალკე ფუნქციის, განვითარება;

- ფინანსურ სექტორში მოქმედი საკანონმდებლო აქტებისა და რეგულაციების ზეგავლენის შეფასება კონკურენციის პერსპექტივიდან საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის ერთობლივი მისიის ფარგლებში (FSAP) მიღებულ რეკომენდაციებზე დაყრდნობით და პრაქტიკაში გამოვლენილი საჭიროებებიდან გამომდინარე, ეროვნული ბანკი აგრძელებს მუშაობას სამართლებრივი ჩარჩოს და სხვა ტექნიკურ-პროცედურული ნაწილის სრულყოფა-განვითარებაზე. გარკვეულ პრიორიტეტულ რეკომენდაციებზე მუშაობა დაწყებულია და განსაზღვრული ვადების შესაბამისად გაგრძელდება მომავალ პერიოდებშიც, რა პროცესებშიც საერთაშორისო ექსპერტებიც აქტიურად იქნებიან ჩართულები ტექნიკური დახმარების ფარგლებში.

2021 წელს, ეროვნულმა ბანკმა იმ რეგულაციებსა და საკანონმდებლო ცვლილებებზე მუშაობა განაახლა, რომელთა დამტკიცება COVID-19 პანდემიის გამოწვევებზე საპასუხოდ ახალი საზედამხედველო მოთხოვნების შემუშავებასა და დაწესებაზე ეროვნულმა ბანკის მიერ 2020 წელს დროებითი მორატორიუმის გამოცხადების გამო იყო შეჩერებული. მათ შორის არის ადმინისტრატორთა და აქციონერთა შესაფერისობის კრიტერიუმების ჩარჩოს, ასევე, ლიცენზირებისა და მნიშვნელოვანი წილის შეძენის ჩარჩოს დახვეწა საუკეთესო საერთაშორისო სტანდარტებთან სრული შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. ამ ეტაპზე უკვე შემუშავებულია ადმინისტრატორთა და აქციონერთა შესაფერისობის კრიტერიუმების შესახებ საკანონმდებლო ცვლილებების პროექტი, რომლის შესახებაც უკვე განხორციელდა კონსულტაციები საბანკო სექტორის წარმომადგენლებთან და პროექტი პარლამენტს უახლოეს მომავალში წარედგინება. გარდა ამისა, შემუშავებულია ადმინისტრატორთა შესაფერისობის შესახებ ეროვნული ბანკის დებულებასა და კომერციული ბანკის ლიცენზირების წესში განსახორციელებელი შესაბამისი ცვლილებები და მნიშვნელოვანი წილის შეძენის შესახებ ახალი დებულება, რომელთა პროექტებიც საკანონმდებლო ცვლილებების დასრულების შემდგომ გამოქვეყნდება და გაიმართება კონსულტაციები საბანკო სექტორის წარმომადგენლებთან.

2021 წლის მეორე ნახევრიდან, ეროვნული ბანკი საზედამხედველო პრაქტიკის ინსტიტუციონალიზაციაზე აქტიურად მუშაობდა, რის ფარგლებშიც რიგი შიდა პოლიტიკა-პროცედურები შეიმუშავა, ხოლო ნაწილის შემუშავებასა და გაუმჯობესებაზე მუშაობა კვლავ მიმდინარეობს. შემუშავდა რისკების შეფასების საერთო პროგრამის (GRAPE) შიდა პროცედურა, რომელიც დეტალურად განსაზღვრავს პროცესის მიმდინარეობას, ჩართულ სტრუქტურულ ერთეულებსა და ვადებს და გადაწყვეტილებების მიღების პროცესებს. ამასთან, რისკზე დაფუძნებული ზედამხედველობისა და პრინციპებზე დაფუძნებული რეგულირების შესაბამისად განახლდება რისკების შეფასების საერთო პროგრამის (GRAPE) სახელმძღვანელოც, რომელიც შესაბამისობაში მოვა საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკებთან და გათვალისწინებული იქნება FSAP შეფასებით განსაზღვრული რეკომენდაციები, რომლებიც რისკების შეფასების პროცესებს უფრო ეფექტურსა და გამჭვირვალეს გახდის.

აღსანიშნავია, რომ 2021 წელს ეროვნულმა ბანკმა 2020-2022 წლების საზედამხედველო სტრატეგიის 2021 წლის გამოცემა გამოაქვეყნა.[52] ეროვნული ბანკის საზედამხედველო პრიორიტეტები სტრატეგიის 2021 გამოცემაში უცვლელი დარჩა. სტრატეგიის ყოველწლიური დოკუმენტი განსაკუთრებულ აქცენტს მომდევნო 12-18 თვის პერიოდში დაგეგმილ საზედამხედველო პრიორიტეტების ძირითად ამოცანებსა და ცვლილებებზე აკეთებს.

52. დაწვრილებით იხილეთ - საზედამხედველო სტრატეგიის 2021 წლის გამოცემა.
https://nbg.gov.ge/page/საზედამხედველო-სტრატეგია

აღსანიშნავია, რომ ეროვნული ბანკი, შესაძლებლობის ფარგლებში, მაქსიმალური გამჭვირვალობის უზრუნველყოფის პრინციპის ერთგული რჩება. ამ კუთხით მნიშვნელოვანია, რომ ეროვნულმა ბანკმა 2021 წელს გამოქვეყნებული სტრატეგიის დოკუმენტი საფინანსო სექტორის წარმომადგენლებთან, საბანკო ასოციაციის წარმომადგენლებსა და ეკონომიკის დარგის ექსპერტებთან წარადგინა და მათი მოსაზრებები და შეფასებები მოისმინა[53]. გარდა სტრატეგიის დოკუმენტის გამოქვეყნებისა, ეროვნული ბანკის გადაწყვეტილებით, სტრატეგიის დოკუმენტის გაცნობას ყოველწლიური ხასიათი ექნება. ასევე, სამომავლოდ გაიზრდება ფინანსური სექტორისა და დარგის ექსპერტების ჩართულობა სტრატეგიის შემუშავების ეტაპზეც, რაც ხელს შეუწყობს ეროვნული ბანკის საზედამხედველო პრიორიტეტებსა და გეგმებზე ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, ეროვნული ბანკის სამომავლო გეგმებზე სექტორისთვის პროგნოზირებადობის ზრდასა და მის ჩართულობას. მნიშვნელოვანია, რომ 2021 წელს გაიზარდა თანამშრომლობა ქვეყნის შიგნით სხვადასხვა საჯარო ინსტიტუტებთან. 2021 წელს საქართველოს საზედამხედველო და მარეგულირებელ უწყებებს შორის უწყებათაშორისი ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა, რომლის მიზანი ანგარიშგებასთან დაკავშირებულ საკითხებზე თანამშრომლობაა.

4.2 კორპორაციული მართვისა და ჯგუფის სტრუქტურის რისკი

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 26 სექტემბრის N215/04 ბრძანებით დამტკიცდა „კომერციული ბანკების კორპორაციული მართვის კოდექსი“, რომელიც არეგულირებს ისეთ საკითხებს, როგორებიცაა სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორატის შემადგენლობა, სამეთვალყურეო საბჭოს კომიტეტების პასუხისმგებლობა, რისკების მართვა, შიდა კონტროლის ფუნქციების ეფექტიანი მუშაობა და ანაზღაურების პრინციპები უმაღლესი მენეჯმენტისა და მატერიალური რისკის ამღები პირებისათვის.

საბანკო სექტორის კორპორაციული მართვის გაჯანსაღებისა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასთან დაახლოების მიზნით, 2021 წელს კორპორაციული მართვის კოდექსში მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა. კერძოდ, დაზუსტდა მატერიალური რისკის ამღები პირის განსაზღვრის კრიტერიუმები; სამეთვალყურეო საბჭოს გაძლიერების მიზნით, დაემატა მასზე დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობების ჩამონათვალი; სამეთვალყურეო საბჭოს და მისი წევრების დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის მიზნით, შეიცვალა საბჭოს წევრის დამოუკიდებელ წევრად მიჩნევის ხანგრძლივობა, ხოლო სისტემური მნიშვნელობის მქონე ბანკებში საბჭოს დამოუკიდებელი თავმჯდომარის დანიშვნა მოეთხოვა; სისტემურად მნიშვნელოვანი ბანკებისთვის ნომინაციის კომიტეტის[54] შექმნის მოთხოვნა დაემატა; სამეთვალყურეო საბჭოს კომიტეტებისთვის შემადგენლობასთან დაკავშირებული მოთხოვნები დაზუსტდა; ანაზღაურების ჯანსაღი სისტემის უზრუნველსაყოფად, გაფართოვდა და დაკონკრეტდა ანაზღაურების მოთხოვნები. საბანკო სექტორის გრძელვადიანი მდგრადობის ხელშესაწყობად, გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი (ESG) მიმართულებით ბანკების ვალდებულება დაზუსტდა გენდერული და კლიმატის ცვლილებების და შესაბამისი გამჟღავნების წესის საკითხებით. ბანკებს აღნიშნულ ცვლილებებთან შესაბამისობაში მოსვლა დაევალათ 2021 წლის 31 დეკემბრამდე. კიდევ უფრო დაწვრილებით აღნიშნულ ცვლილებებთან დაკავშირებით იხ. ჩანართი 7.

53. ღონისძიების შესახებ დეტალები იხილეთ სებ-ის ვებგვერდზე
https://nbg.gov.ge/media/news/პაპუნა-ლეჟავამ-საფინანსო-სექტორს-ეროვნული-ბანკის-საზედამხედველო-სტრატეგია-წარუდგინა
54. კომიტეტი, რომელიც პასუხისმგებელია სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორატის დაკომპლექტებასა და საქმიანობის შეფასებაზე.

კომერციული ბანკების კორპორაციული მართვისა და ჯგუფის სტრუქტურის რისკის შეფასება საქართველოს ეროვნული ბანკის რისკების შეფასების საერთო პროგრამის (GRAPE - General Risk Assessment Program) ნაწილია. ჯგუფის სტრუქტურის შეფასება მოიცავს როგორც ბანკის მფლობელობის სტრუქტურასა და ინვესტიციებთან დაკავშირებული რისკებისა და საბანკო ჯგუფის წევრებთან განხორციელებული ტრანზაქციების, ისე ბანკების ინვესტიციებისა და საინვესტიციო საქმიანობის რისკების შეფასებას. შეფასების ფარგლებში, საქართველოს ეროვნული ბანკი აქტიურად ახორციელებს საქართველოში წარმოდგენილი საერთაშორისო საბანკო ჯგუფების მშობელ ქვეყნებში განვითარებული პროცესების მონიტორინგსა და მნიშვნელოვანი წილის მფლობელი ინვესტორების შეფასებას.

2021 წლის ოქტომბერში მოხდა სს „კრედო ბანკის“ მიერ სს „ფინკა ბანკი საქართველოს“ სრულად შერწყმა, რითიც წარმატებით დასრულდა ამავე წლის ივლისში ამ უკანასკნელის 100 პროცენტიანი წილის შესყიდვის პროცესი. შესაბამისად, 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საბანკო სექტორში 14 კომერციული ბანკი ფუნქციონირებს. ამავე პერიოდში არარეზიდენტი მესაკუთრეების მონაწილეობა ბანკების აქტივებში, საბოლოო მფლობელობის მიხედვით, 86.7 პროცენტს, ხოლო სააქციო კაპიტალში - 86.2 პროცენტს შეადგენს.

ეროვნული ბანკი აქტიურად განაგრძობს კონსოლიდირებული ზედამხედველობის ჩარჩოზე მუშაობას, რომლის დასრულება 2022 წლის ბოლომდეა დაგეგმილი. ზედამხედველობის საბანკო ჯგუფის დონეზე (ე.წ. კონსოლიდირებული ზედამხედველობა) განხორციელების მანდატი ეროვნულ ბანკს 2017 წლის ბოლოს „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებებით მიენიჭა.

აღსანიშნავია, რომ მსოფლიოში არსებული ტენდენციის კვალდაკვალ, საქართველოში არსებულმა საბანკო ჯგუფებმა აქტიურად დაიწყეს ელექტრონული ვაჭრობის პლატფორმებისა და შესაბამისი ეკოსისტემების განვითარება. ეროვნულმა ბანკმა, ეკოსისტემებთან დაკავშირებული რისკების მართვის მიზნით, სისტემურად მნიშვნელოვან კომერციულ ბანკებს ეკოსისტემების ფუნქციონირების ძირითადი პრინციპები გაუზიარა, რაც მოიცავს პლატფორმების ღიაობას, ხელმისაწვდომობას და გაშლილი მკლავის პრინციპით ფუნქციონირებას, ეკოსისტემის მიერ სათანადო რესურსების ფლობას, რათა თავიდან იქნას აცილებული ბანკის რესურსის გამოყენება, ასევე, გადაწყვეტილების მიღების პროცესებში, ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვას. ეკოსისტემების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ საკითხებზე ეროვნული ბანკი აქტიურად თანამშრომლობს კონკურენციის სააგენტოსთან. გარდა ამისა, საჭიროებისამებრ, ეკოსისტემების რეგულირების ჩარჩოს დახვეწა იგეგმება.

ჩანართი 7 კორპორაციული მართვის კოდექსის განახლებული მოთხოვნები

კომერციულ ბანკებში კორპორაციული მართვის სტანდარტების გაუმჯობესებისა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასთან, საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტის „კომერციული ბანკების კორპორაციული მართვის ძირითადი პრინციპების სახელმძღვანელოსთან“, ევრო-კავშირში მოქმედი საკრედიტო ინსტიტუტების საქმიანობისა და პრუდენციული რეგულირების შესახებ დირექტივის (CRD IV - 2013/36/EU) მოთხოვნებთან და ევროპის საბანკო უწყების (EBA - European Banking Authority) რეკომენდაციებთან დაახლოების მიზნით, 2021 წელს ცვლილებები შევიდა „კომერციული ბანკების კორპორაციული მართვის კოდექსში“. ცვლილებები შეეხო შემდეგ საკითხებს:

დამოუკიდებლობა - მნიშვნელოვანია, რომ სამეთვალყურეო საბჭო დამოუკიდებლად და მიუკერძოებლად ასრულებდეს დაკისრებულ მოვალეობებს. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად კორპორაციული მართვის კოდექსი განსაზღვრავს წევრების დამოუკიდებლად მიჩნევის კრიტერიუმებსა და საბჭოსა და მასთან არსებული კომიტეტების დაკომპლექტების პრინციპს. 2021 წელს კოდექსში შესული ცვლილებებით კიდევ უფრო გაძლიერდა აღნიშნული დამოუკიდებელი წევრების როლი და განსაზღვრის კრიტერიუმები. კერძოდ, შეიცვალა სამეთვალყურეო საბჭოს წევრის დამოუკიდებელ წევრად მიჩნევის ხანგრძლივობა, რომელიც შვიდ წლამდე შემცირდა. ხოლო, სისტემურად მნიშვნელოვან კომერციულ ბანკებს თავმჯდომარედ საბჭოს დამოუკიდებელი წევრის დანიშვნა მოეთხოვათ.

ანაზღაურების სტანდარტები - ანაზღაურების სისტემა შესაბამისობაში უნდა იყოს ბანკის რისკის აპეტიტთან და არც ერთ რგოლზე არ უნდა აჩენდეს გადაჭარბებული რისკების აღების მოტივაციას. ამასთან, ვინაიდან რისკები უფრო გრძელვადიან პერიოდში შეიძლება რეალიზდეს, ვიდრე ანაზღაურების მიღების პერიოდი, აუცილებელია ცვალებადი ანაზღაურების ნაწილი დროში გადავადებული იყოს და ექვემდებარებოდეს რისკის მიხედვით კორექტირებას (მათ შორის, სრულად გაუქმებას). აღნიშნულის უზრუნველსაყოფად, კოდექსში დაზუსტდა ანაზღაურების სისტემის მიმართ მოთხოვნები, დაკონკრეტდა ფიქსირებული და ცვალებადი ანაზღაურების განსაზღვრის კრიტერიუმები, ცვალებადი ანაზღაურების გადავადების ხანგრძლივობა, რისკებზე დაფუძნებული კორექტირებების საფუძვლები და ა. შ.

მატერიალური რისკის ამღები პირები - მნიშვნელოვანია ბანკებს განსაზღვრული ჰყავდეთ ის პირები, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ბანკის რისკის პროფილზე. აღნიშნული პირების იდენტიფიცირების მიზნით, კოდექსში განისაზღვრა შესაბამისი ხარისხობრივი და რაოდენობრივი კრიტერიუმები. მატერიალური რისკის ამღები პირების მიმართ ბანკებმა ანაზღაურების უფრო მაღალი სტანდარტები უნდა გაავრცელონ.

გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი (Environmental, Social and Governance – ESG) სტანდარტები - ბანკის გრძელვადიანი მდგრადობის ხელშეწყობის მიზნით, ბანკი ვალდებულია, სტრატეგიაში ESG საკითხები გაითვალისწინოს. ESG სტანდარტები მოიცავს ისეთ საკითხებს, რომლებმაც შესაძლოა, არსებითი გავლენა მოახდინოს ბანკის საოპერაციო საქმიანობაზე, მათ შორის - თანამშრომელთა გენდერულ მრავალფეროვნებას. ESG საკითხები ასევე მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა კლიმატის ცვლილების რისკი, თუ მათ შესაძლოა არსებითი გავლენა ჰქონდეთ ბანკის ინვესტიციებზე, სესხებსა და სხვა საბანკო საქმიანობის ხარისხზე.

4.3 კაპიტალის ადეკვატურობა

საქართველოს საბანკო სისტემა 2021 წლის ბოლოსათვის, ბაზელ III-ზე დაფუძნებული კაპიტალის ადეკვატურობის ჩარჩოს ფარგლებში, COVID-19-თან დაკავშირებული საზედამხედველო ღონისძიებების გათვალისწინებით (იხ. ჩანართი 8), კაპიტალის ადეკვატურ დონეს კვლავაც ინარჩუნებდა.

2018 წლის 31 დეკემბერს სისტემურობის ბუფერი ამოქმედდა, რომელიც, როგორც საზედამხედველო, ისე პირველად და ძირითად პირველად კაპიტალზე დაწესდა. ვინაიდან COVID-19-თან დაკავშირებული საზედამხედველო გეგმის ფარგლებში სისტემურობის ბუფერთან მიმართებით შეღავათები არ დაწესებულა, 2021 წლის დეკემბერში, სისტემურად მნიშვნელოვან ბანკებს აღნიშნული ბუფერის მოთხოვნები წინასწარ განსაზღვრული გრაფიკის შესაბამისად გაეზარდათ (ცხრილი N 4.1).

ცხრილი N 4.1 სისტემური ბუფერების დაწესების ვადები

ბანკი	2017	2018	2019	2020	2021
სს „თიბისი ბანკი”	0.0%	1.0%	1.5%	2.0%	2.5%
სს „საქართველოს ბანკი”	0.0%	1.0%	1.5%	2.0%	2.5%
სს „ლიბერთი ბანკი”	0.0%	0.6%	0.9%	1.2%	1.5%

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კაპიტალის ადეკვატურობის ჩარჩოს ფარგლებში დათვლილი პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი 15.58 პროცენტს, ხოლო საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი - 19.57 პროცენტს შეადგენს, რაც კაპიტალის ადეკვატურობის ჯამურ მოთხოვნებზე (COVID-19-თან დაკავშირებული საზედამხედველო გეგმის ფარგლებში განხორციელებული ქმედებების გათვალისწინებით), შესაბამისად, 2.62 და 2.09 პროცენტული პუნქტით მეტია. COVID-19-თან დაკავშირებული საზედამხედველო ღონისძიებების ფარგლებში შემსუბუქებული კაპიტალის მოთხოვნების გარეშე, პირველადი კაპიტალისა და საზედამხედველო კაპიტალის ჯამური მოთხოვნა, შესაბამისად, 13.33 პროცენტი და 17.87 პროცენტი იქნებოდა.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასევე მაღალია ლევერიჯის კოეფიციენტიც[55], რომელიც 12.76 პროცენტს უტოლდება და ლევერიჯის კოეფიციენტის მინიმალურ მოთხოვნას 7.76 პროცენტული პუნქტით აღემატება.

55. კაპიტალის შეფარდება აქტივებთან.

დიაგრამა N 4.1 კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტები ბაზელ III-ის შესაბამისად



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

COVID-19-თან დაკავშირებული საზედამხედველო ღონისძიებების პარალელურად, 2021 წლის მანძილზე ბანკები პილარ 2-ში შემავალი კაპიტალის ბუფერების კალკულაციებს კვლავ ახორციელებდნენ. პილარ 2-ის ჩარჩო განსაზღვრავს კაპიტალის ბუფერის მოთხოვნას საკრედიტო პორტფელის კონცენტრაციის რისკისათვის (როგორც სახელობითი კონცენტრაციის, ასევე სექტორული კონცენტრაციის რისკებისათვის), არაჰეჯირებული სავალუტო საკრედიტო რისკის ბუფერს, საზედამხედველო სტრეს-ტესტებზე დაყრდნობით განსაზღვრულ წმინდა სტრეს-ტესტების ბუფერს და ეროვნული ბანკის მიერ რისკების შეფასების საერთო პროგრამის ფარგლებში დაწესებულ წმინდა GRAPE ბუფერის განსაზღვრის წესს.

მნიშვნელოვანია, რომ პილარ 2-ის ფარგლებში დაწესებული კაპიტალის ბუფერები კომერციულმა ბანკებმა საზედამხედველო კაპიტალის ელემენტების იმავე პროპორციით უნდა დააკმაყოფილონ, როგორც ეს მინიმალურ მოთხოვნებშია მოცემული (ძირითადი პირველადი კაპიტალი - 4.5 პროცენტი, პირველადი კაპიტალი - 6 პროცენტი და მთლიანი საზედამხედველო კაპიტალი - 8 პროცენტი). შესაბამისად, პილარ 2-ის ფარგლებში მოთხოვნილი კაპიტალის 56 პროცენტი დაცული უნდა იყოს ძირითადი პირველადი კაპიტალის ელემენტებით, ხოლო 75 პროცენტი პირველადი კაპიტალის ელემენტებით. აღნიშნულ მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოსვლის მიზნით, კომერციულ ბანკებს შესაბამისი ვადები მიეცათ (ცხრილი N 4.2).

ცხრილი N 4.2 კონცენტრაციისა და წმინდა GRAPE ბუფერების დაწესების ვადები COVID-19-თან დაკავშირებული საზედამხედველო ღონისძიებების გატარებამდე

კონცენტრაციის (სახელობითი და სექტორული) ბუფერისა და წმინდა GRAPE ბუფერის განაკვეთები	ამოქმედებიდან 30/12/2018-მდე	31/12/2018	31/03/2020	31/03/2021	31/03/2022 და შემდგომ
ძირითადი პირველადი კაპიტალი	0%	15%	30%	45%	56%
პირველადი კაპიტალი	0%	20%	40%	60%	75%
მთლიანი საზედამხედველო კაპიტალი	100%	100%	100%	100%	100%

COVID-19-თან დაკავშირებული საზედამხედველო ღონისძიებების ფარგლებში, ეროვნულმა ბანკმა ძირითად პირველად კაპიტალსა და პირველად კაპიტალზე პილარ 2-ის მოთხოვნების ზრდა დროებით შეაჩერა. შესაბამისად, 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კონცენტრაციისა და წმინდა GRAPE ბუფერები საზედამხედველო კაპიტალზე 100 პროცენტით არის დაწესებული, პირველად კაპიტალზე - 40 პროცენტით და ძირითად პირველად კაპიტალზე - 30 პროცენტით. COVID-19-თან დაკავშირებული საზედამხედველო ღონისძიებების ფარგლებში კონცენტრაციისა (HHI) და წმინდა GRAPE ბუფერების გადანაწილების განახლებული ვადები განისაზღვრა ცხრილ N4.3-ში მოცემული გრაფიკის შესაბამისად, რაც აღნიშნული ბუფერების ძირითად პირველად და პირველად კაპიტალზე გადანაწილების ვადების ერთი წლით გახანგრძლივებას გულისხმობს.

ცხრილი N 4.3 კონცენტრაციისა და წმინდა GRAPE ბუფერების დაწესების ვადები COVID-19-თან დაკავშირებული საზედამხედველო ღონისძიებების ფარგლებში

კონცენტრაციის (სახელობითი და სექტორული) ბუფერისა და წმინდა GRAPE ბუფერის განაკვეთები	31/03/2021	31/03/2022	31/03/2023 და შემდგომ
ძირითადი პირველადი კაპიტალი	30%	45%	56%
პირველადი კაპიტალი	40%	60%	75%
მთლიანი საზედამხედველო კაპიტალი	100%	100%	100%

2021 წელს გაგრძელდა წმინდა სტრეს-ტესტების ბუფერის კალიბრაციის პროცესი. 2020 წელს, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა, კომერციულ ბანკებთან ერთად, აღნიშნული ბუფერის განსაზღვრისა და დაანგარიშების ჩარჩოს დამატებით ფორმალიზება მოახდინა. მთლიანი ბანკის დონეზე (Enterprise-level stress) ჩატარებული სტრეს-ტესტი ეკონომიკური ხასიათის სისტემური და სექტორული მნიშვნელობის შოკებისა და იდიოსინკრატული მოვლენების ბანკზე გავლენის შეფასებისა და აღნიშნული სცენარისათვის საჭირო კაპიტალის მოცულობის განსაზღვრის შესაძლებლობას იძლევა. საზედამხედველო სტრეს-ტესტების პილარ 2-ში ინტეგრირებასთან ერთად, აუცილებელია ერთსა და იმავე რისკისათვის კაპიტალის ორმაგად მოთხოვნის გამორიცხვა. შესაბამისად, საზედამხედველო სტრეს-ტესტების ფარგლებში დათვლილი კაპიტალის მოთხოვნა განისაზღვრება იმ ოდენობით, რომელიც კონსერვაციისა და კონტრციკლური ბუფერების ჯამურ მოთხოვნას აჭარბებს. გარდა ამისა, საჭიროებისამებრ, ეროვნულმა ბანკმა შესაძლოა გამოსცეს დამატებითი მითითება კაპიტალის იმ ბუფერებთან დაკავშირებით, რომლებიც ერთი და იგივე რისკისთვის კაპიტალის ორმაგად მოთხოვნის თავიდან ასაცილებლად შეიძლება სტრეს-ტესტის ბუფერიდან გაქვითვად ელემენტებს დაემატოს.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ 2020 წლის მსგავსად, 2021 წელსაც ეროვნულ ბანკს არ დაუწესებია წმინდა სტრეს-ტესტების ბუფერი, ვინაიდან კაპიტალის ადეკვატურობის ჩარჩოს მიმართ ეროვნული ბანკის მიდგომა მოთხოვნების კონტრციკლურად გავრცელებას გულისხმობს - კაპიტალის ბუფერების დაგროვებას ეკონომიკური ზრდის პერიოდში და მათ გამოთავისუფლებას სტრესულ პერიოდში, ხოლო აღნიშნული წელი, COVID-19 პანდემიიდან გამომდინარე, საბანკო სექტორისთვის კვლავაც გარკვეულწილად სტრესული იყო.

2018 წელს წმინდა GRAPE ბუფერი ამოქმედდა, რომელიც რისკებზე დაფუძნებული ზედამხედველობის უწყვეტი ციკლის ფარგლებში განისაზღვრება და რომლის მიზანიც კომერციული ბანკების რისკების შეფასებაა. GRAPE-ის საფუძველზე თითოეული კომერციული ბანკის რისკის პროფილი ფასდება. 2020 წლის განმავლობაში არ მომხდარა წმინდა GRAPE ბუფერების გადახედვა, რაც გამოწვეული იყო COVID-19 პანდემიის გამო საზედამხედველო პრიორიტეტების ცვლილებით.

თუმცა, უკვე 2021 წლის ივლისში ეროვნულმა ბანკმა განაახლა წმინდა GRAPE ბუფერები, რის შემდეგაც ინდივიდუალური GRAPE ბუფერების მოცულობა რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების 1.5-9.2 პროცენტის შუალედში განისაზღვრა.

დიაგრამა N 4.2 პილარ 2-ის ჯამური მოთხოვნები ბანკების მიხედვით 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით[56]



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

COVID-19-თან დაკავშირებული საზედამხედველო გეგმის ფარგლებში, ეროვნულმა ბანკმა ახალი საზედამხედველო მოთხოვნების შემუშავებასა და დაწესებაზე დროებითი მორატორიუმი გამოაცხადა თუმცა 2022 წელს ეროვნული ბანკი კვლავ გააგრძელებს კაპიტალის ადეკვატურობის სტანდარტების უფრო მეტად დაახლოებას ევროკავშირის მიერ განსაზღვრულ რეგულაციებთან.

56. პილარ 2-ის მოთხოვნები მოცემულია COVID-19-თან დაკავშირებული საზედამხედველო ღონისძიებების ფარგლებში არაჰეჯირებული სავალუტო საკრედიტო რისკის (CICR) ბუფერის მოთხოვნის შემცირების გათვალისწინებით.

ჩანართი 8 COVID-19-თან დაკავშირებული საზედამხედველო ზომები და კაპიტალის აღდგენის გეგმა

COVID-19-ის პანდემიის ქვეყნის საფინანსო სექტორზე უარყოფითი ზეგავლენის შერბილებისა და ქვეყნის ეკონომიკის წახალისების მიზნით, 2020 წელს საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მნიშვნელოვანი საზედამხედველო ღონისძიებები გაატარა. აღნიშნული საზედამხედველო გეგმის ფარგლებში, კომერციულ ბანკებს კაპიტალის მოთხოვნები შეუმსუბუქდათ, რაც კაპიტალის კონსერვაციის ბუფერისა (რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების 2.5 პროცენტის ოდენობით) და პილარ 2-ის ბუფერის ნაწილის - არაჰეჯირებული სავალუტო საკრედიტო რისკის ბუფერის ორი მესამედის (რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების 1.6 პროცენტის ოდენობით) დროებით შემცირებას გულისხმობს.

კაპიტალის ადეკვატურობის არსებული ჩარჩოს მიხედვით, კომერციული ბანკისათვის დაწესებული ჯამური კაპიტალის დარღვევისას, პირველი კაპიტალის კომბინირებული ბუფერები ირღვევა. „კომერციული ბანკების კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების შესახებ დებულების“ თანახმად, აღნიშნული ბუფერების დარღვევისას, კომერციულ ბანკს კაპიტალის განაწილება, მათ შორის, დივიდენდის გაცემა, ეკრძალება. COVID-19-თან დაკავშირებული საზედამხედველო ღონისძიებების ფარგლებში, კომერციულ ბანკებს მიეცათ მითითება, რომ კაპიტალის მოთხოვნების შემსუბუქების შედეგად გამოთავისუფლებული ბუფერები არ უნდა გამოეყენებინათ დივიდენდის, აქციების გამოსყიდვის, წილობრივი ინვესტიციების, მენეჯმენტის ბონუსების ან სხვა ისეთი გადახდების განსახორციელებლად, რომელიც ბანკის კაპიტალს ამცირებს[57].

2021 წლის განმავლობაში, ეროვნული ბანკი პოზიტიურად აფასებდა კაპიტალის ზრდის რესურსებს, როგორც აქციონერთა სიძლიერის, ისე მომგებიანობის კუთხით. ფინანსური სისტემის მდგრადობის შენარჩუნებისა და ეკონომიკის შეუფერხებლად დაკრედიტების ფონზე, ეროვნულმა ბანკმა კაპიტალის ბუფერების აღდგენის გეგმა და მათი ეტაპობრივად შევსების თარიღები 2021 წლის 16 ივნისს გამოაცხადა და ბუფერების თავიდან დასაგროვებლად საბანკო სექტორს საკმარისი დრო მისცა. კერძოდ, ფინანსური სტაბილურობის კომიტეტის გადაწყვეტილებით, COVID 19-ით გამოწვეული კრიზისის დასაწყისში გამოთავისუფლებული ბუფერების აღდგენა 2022 წლის 1 იანვარს დაიწყება და 2 წელი გაგრძელდება. ბანკებს არაჰეჯირებული სავალუტო საკრედიტო რისკის (CICR) ბუფერის აღსადგენად დრო 2023 წლის 1 იანვრამდე, ხოლო კაპიტალის კონსერვაციის ბუფერის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად კი 2024 წლის 1 იანვრამდე მიეცათ.

უნდა აღინიშნოს, რომ ბანკებს აქვთ შესაძლებლობა, უარი თქვან ეროვნული ბანკის მიერ შეთავაზებულ საზედამხედველო შეღავათებზე და, საკუთარი გადაწყვეტილებით, წინასწარ აღიდგინონ კაპიტალის ადეკვატურობის ის მოთხოვნები, რომლებიც COVID-19-თან დაკავშირებული საზედამხედველო ღონისძიებების ფარგლებში შეუმსუბუქდათ. ასეთ შემთხვევაში, ბანკს კაპიტალის განაწილებაზე შეზღუდვები აღარ ექნება. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საბანკო სისტემის 14 ბანკიდან 7 ბანკს კაპიტალის მოთხოვნები უკვე აღდგენილი ჰქონდა.

57. დამატებითი ინფორმაცია იხილეთ: საქართველოს ეროვნული ბანკის საგანგებო ღონისძიებები COVID-19-თან დაკავშირებით - https://nbg.gov.ge/page/covid-19

4.4 ფინანსური ანგარიშგება და გამჭვირვალობა

4.4.1 2020-2022 წლების საქართველოს ეროვნული ბანკის საზედამხედველო სტრატეგიის ფინანსური ანგარიშგება და გამჭვირვალობა

2020-2022 წლების საქართველოს ეროვნული ბანკის საზედამხედველო სტრატეგიის მიხედვით, საზედამხედველო ანგარიშგებების საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოება ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტს წარმოადგენს.

პროექტი მსოფლიო ბანკის ჩართულობით მიმდინარეობს და მისი მხარდაჭერით, პროექტში ჩართული არიან მრავალმხრივი გამოცდილების მქონე ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტები, რომლებიც პროექტზე მომუშავე ჯგუფებს კონსულტაციას უწევენ და მათთან მოწინავე ქვეყნების მიერ დანერგილ საუკეთესო პრაქტიკებს განიხილავენ. აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით დამატებითი დეტალები იხ. ჩანართ 9-ში.

ჩანართი 9 ადგილობრივი ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების საერთაშორისო ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების სტანდარტებზე (IFRS) გადაყვანის რეფორმა

ფასს-ზე გადასვლის პროექტი ეროვნული ბანკის საზედამხედველო ანგარიშგებების სრულად ფასს სტანდარტებზე მორგებას, საზედამხედველო მაჩვენებლების ფასს-ის შესაბამისი რიცხვებით დაანგარიშებასა და საზედამხედველო მიზნებისთვის ფასს 9-ზე დაფუძნებულ დარეზერვების მიდგომის წესის დანერგვას ითვალისწინებს.

პროექტის ფარგლებში ბანკები ვალდებული არიან, 2022 წელს პარალელური ანგარიშგება აწარმოონ, რაც საანგარიშგებო ფორმების როგორც ადგილობრივი (მიმდინარე), ასევე ფასს-ის შესაბამისი მოთხოვნებით წარდგენას მოიაზრებს. აღნიშნული პროცესი დროებითია და მიზნად ისახავს მყარი ნიადაგის მომზადებას ადგილობრივი საანგარიშგებო სტანდარტების სრულად ფასს -ით ჩასანაცვლებლად. 2023 წლიდან ბანკებს მხოლოდ ფასს-ზე დაფუძნებული საანგარიშგებო ფორმების წარდგენა მოეთხოვებათ.

ფასს-ზე გადასვლის პროექტის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნაწილს განახლებული დარეზერვების მეთოდოლოგიის შემოღება წარმოადგენს, რომელიც საბანკო სექტორთან, აუდიტორებთან და მსოფლიო ბანკის კონსულტანტებთან მჭიდრო თანამშრომლობით მიმდინარეობს. ფასს 9-სთან დაახლოების მიზნით, ეროვნულმა ბანკმა „ფინანსური ინსტრუმენტების რისკის კატეგორიებისა და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განსაზღვრის წესის“ პროექტი შეიმუშავა. აღნიშნული წესი ფასს 9-ის სტანდარტს შეესაბამება, თუმცა, ამავდროულად, ის აკონკრეტებს ზოგიერთ ისეთ მიდგომას, რომელიც ბანკმა რეზერვების დათვლისას უნდა გამოიყენოს. 2022 წელს კომერციული ბანკები ეროვნულ ბანკს აღნიშნული წესის ეფექტს აქტივების დარეზერვების დონეზე წარმოუდგენენ, რომლის გათვალისწინებითაც გაგრძელდება მუშაობა კაპიტალთან დაკავშირებული მიდგომების ცვლილებაზე ფასს-ზე გადასვლასთან დაკავშირებით.

2021 წელს დასრულდა მუშაობა ფასს-ის მოთხოვნების შესაბამისი ეროვნულ ბანკთან წარსადგენი ანგარიშგების ფორმების განახლებაზე, შემუშავდა ფასს 9-ზე დაფუძნებული აქტივების დარეზერვების წესის პროექტი და ჩამოყალიბდა კაპიტალთან დაკავშირებული მიდგომების პირველადი ვერსია.

2021 წელს გაგრძელდა მუშაობა FINREP ანგარიშგების ფორმების დანერგვაზე, რომელიც ფასს-ზე გადასვლის პროექტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია. აღნიშნული ფორმები კომერციული ბანკების მიერ სატესტო რეჟიმში 2018 წლიდან ივსება, თუმცა, ფასს-ზე სრულად გადასვლის შემდეგ, FINREP ანგარიშგების ფორმების წარდგენის პერიოდულობა ყოველთვიური იქნება.

2021 წელს მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა აუდიტორებთან ეფექტური კომუნიკაციის გაუმჯობესების კუთხით. კერძოდ, 2020 წელს გამოქვეყნებული „აუდიტორულ ფირმებსა და ეროვნულ ბანკს შორის ეფექტური კომუნიკაციის სახელმძღვანელოს“ შესაბამისად, შედგა შეხვედრები ეროვნული ბანკისა და აუდიტორული ფირმების წარმომადგენლებს შორის, რის ფარგლებშიც განიხილებოდა აუდიტირებულ ანგარიშგებებსა და სარეკომენდაციო წერილებში მოცემული კომპლექსური საკითხები. ასევე, 2021 წლის განმავლობაში, საჭიროების მიხედვით, ხდებოდა შეხვედრების ორგანიზება მიმდინარე პრობლემური საკითხების განსახილველად. აღსანიშნავია, რომ სახელმძღვანელო უფრო მეტ მნიშვნელობას შეიძენს ფასს-ზე გადასვლის პროექტის დასრულებასთან ერთად.

4.5 საკრედიტო რისკი

2021 წლის 31 დეკემბრისთვის საბანკო სისტემის მთლიანმა საკრედიტო პორტფელმა 43 მილიარდ ლარს მიაღწია და მისი წლიური ზრდა, გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე, 18.2 პროცენტი იყო. საკრედიტო პორტფელის (ბანკთაშორისი სესხების გარდა) შედგენილობა, სეგმენტების ჭრილში მნიშვნელოვნად არ შეცვლილა. 2021 წელს, 2020 წელთან შედარებით, საბანკო სექტორის სესხების მშპ-თან ფარდობა შემცირდა და წლის ბოლო მდგომარეობით 71.4 პროცენტი შეადგინა.

დიაგრამა N 4.3 მთლიანი სასესხო პორტფელის ცვლილება წინა წელთან შედარებით



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა N 4.4 საბანკო სექტორის სესხების მშპ-თან ფარდობა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ცხრილი N 4.4 საკრედიტო პორტფელის (ბანკთაშორისი სესხების გარდა) კომპოზიცია სეგმენტების მიხედვით (გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე, 2020 წლის ბოლოს არსებული კურსით))

	დეკ-20		დეკ-21		ცვლილება %	ცვლილება რეკლასიფიკაციის ეფექტის გარეშე %
	მლნ ლარი	წილი %	მლნ ლარი	წილი %		
კორპორატიული სესხები	10,950	34%	11,728	34%	7.1%	15.8%
მცირე და საშუალო ბიზნესის სესხები	8,121	25%	9,012	26%	11.0%	24.3%
საცალო სესხები	12,844	40%	14,075	40%	9.6%	16.3%
სულ:	31,915	100%	34,815	100%	9.1%	18.2%

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2021 წლის მანძილზე გაიზარდა კომერციული ბანკების მიერ შესყიდული სხვადასხვა კორპორატიული კლიენტების ფასიანი ქაღალდების მოცულობა, ასევე დაფინანსდა ფაქტორინგული ოპერაციები. ამ ეფექტების გათვალისწინებით, კორპორატიული სეგმენტის პორტფელის ზრდა 16 პროცენტს შეადგენს, ხოლო მთლიანი სასესხო პორტფელის ზრდა 18.3 პროცენტია.

2021 წელს, 2020 წელთან შედარებით, საცალო და მცირე და საშუალო სეგმენტის თვის შიგნით გაცემულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთები მნიშვნელოვნად არ შეცვლილა, ხოლო კორპორატიული სეგმენტის სესხები 2021 წელს, საშუალოდ, 1 პროცენტით მაღალი განაკვეთით გაიცემოდა ვიდრე 2020 წელს, რაც თავის მხრივ, ლარის სესხებზე საპროცენტო განაკვეთის ზრდით იყო გამოწვეული.

დიაგრამა N 4.5 სესხების ნაკადებზე არსებული საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთები სეგმენტების მიხედვით



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა N 4.6 სესხების ნაკადებზე არსებული საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთები კორპორატიულ პორტფელში



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა N 4.7 სესხების ნაკადებზე არსებული საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთები მცირე და საშუალო საკრედიტო პორტფელში



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა N 4.8 სესხების ნაკადებზე არსებული საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთები საცალო საკრედიტო პორტფელში



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საკრედიტო პორტფელი სექტორულად დივერსიფიცირებულია. აღსანიშნავია, რომ 2021 წლის დეკემბრის ბოლოს, ეკონომიკურად მოწყვლადი სექტორების (უძრავი ქონების დეველოპმენტი, უძრავი ქონების მენეჯმენტი, სასტუმროები და ტურიზმი, რესტორნები და კვების ობიექტები, ავტოდილერები) ჯამურმა წილმა პორტფელში 18.1 პროცენტი შეადგინა, რაც წინა წლის დეკემბრის თვის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 1.1 პროცენტით ნაკლებია. ზოგიერთ სექტორში შესაძლო დანაკარგების რეზერვის მაღალი მოცულობა, უმთავრესად, COVID-19-ის მიზეზით შექმნილი დამატებითი რეზერვით არის გამოწვეული.

ცხრილი N 4.5 საკრედიტო პორტფელის სექტორული განაწილება

სექტორი ბანკთაშორისი სესხების გარდა (მილიონი ლარი)	წილი მთლიან პორტფელში	სესხის ნაშთი	სესხის რეზერვი	სესხის რეზერვი / პორტფელი
სახელმწიფო ორგანიზაციები	0.3%	133	3	2.2%
საფინანსო ინსტიტუტები	1.2%	524	14	2.7%
ლომბარდული სესხები	1.0%	441	11	2.4%
უძრავი ქონების დეველოპმენტი	3.5%	1,510	95	6.3%
უძრავი ქონების მენეჯმენტი	5.9%	2,542	133	5.2%
სამშენებლო კომპანიები (არა დეველოპერები)	1.9%	817	47	5.7%
სამშენებლო მასალების მოპოვება, წარმოება და ვაჭრობა	2.6%	1,125	40	3.6%
სამომხმარებლო საქონლის ვაჭრობა	3.4%	1,486	71	4.8%
სამომხმარებლო საქონლის წარმოება	3.7%	1,594	102	6.4%
ხანგრძლივი მოხმარების სამომხმარებლო პროდუქციის წარმოება და ვაჭრობა	0.7%	312	11	3.6%
ფეხსაცმლის, ტანსაცმლის და ტექსტილის წარმოება და ვაჭრობა	0.5%	202	10	4.7%
ვაჭრობა (სხვა)	4.7%	2,004	85	4.3%
წარმოება (სხვა)	1.6%	709	24	3.3%
სასტუმროები და ტურიზმი	6.7%	2,905	183	6.3%
რესტორნები, ბარები, კაფეები და სწრაფი კვების ობიექტები	1.3%	580	46	7.9%
მძიმე მრეწველობა	1.9%	803	47	5.9%
ბენზინგასამართ სადგურებსა და ბენზინის იმპორტიორებზე გაცემული სესხები	0.8%	360	19	5.2%
ენერგეტიკა	3.8%	1,619	39	2.4%
ავტომობილების დილერები	0.6%	270	21	7.9%
ჯანდაცვა	1.9%	804	27	3.4%
ფარმაცევტიკა	0.4%	154	5	3.3%
ტელეკომუნიკაცია	0.7%	322	13	4.0%
სერვისი	5.0%	2,135	97	4.5%
სოფლის მეურნეობის სექტორი	5.4%	2,335	103	4.4%
სხვა (ჯართის ბიზნესის ჩართვით)	2.0%	855	30	3.5%
საცალო პროდუქტები	**38.4%**	**16,540**	**718**	**4.3%**
ავტო–სესხები	0.3%	145	7	5.0%
სამომხმარებლო სესხები	14.5%	6,260	311	5.0%
მომენტალური განვადება	0.8%	359	24	6.6%
ოვერდრაფტები	0.1%	54	7	12.2%
საკრედიტო ბარათები	0.9%	380	22	5.7%
სესხები ბინის რემონტისათვის	1.8%	761	26	3.4%
იპოთეკური სესხები	19.9%	8,581	321	3.7%
საკრედიტო პორტფელი (ბანკთაშორისი სესხების გარეშე)	**100.0%**	**43,082**	2,003	**4.6%**

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა N 4.9 ეკონომიკურად მოწყვლადი სექტორების წილი ჯამურ საკრედიტო პორტფელში



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2021 წელს, საცალო პროდუქტების ზრდის ტემპმა, 2020 წელთან შედარებით, მოიმატა. ზრდა დაფიქსირდა ყველა პროდუქტში, გარდა საკრედიტო ბარათებისა. ამასთან, ფიქსირებული კურსის გათვალისწინებით, საცალო პროდუქტების ზრდის ძირითადი განმაპირობებელი ფაქტორი იპოთეკური და სამომხმარებლო სესხების დაკრედიტების ზრდა იყო, თუმცა ეს უკანასკნელი უფრო მეტად გაიზარდა, ვიდრე იპოთეკური სესხები.

ცხრილი N 4.6 საცალო პროდუქტების ზრდა (გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე, 2020 წლის ბოლოს არსებული კურსით)

პროდუქტი	დეკ-20		დეკ-21		ცვლილება, % ფიქსირებული კურსით	ცვლილება, მლნ ლარი	ცვლილება, % ფიქსირებული კურსით და რეკლასიფიკაციით
	მლნ ლარი	წილი, %	მლნ ლარი	წილი, %			
საცალო პროდუქტები	**14,488**	**100%**	**17,073**	**100%**	**17.8%**	**2,585**	**17.1%**
ავტო–სესხები	135	1%	150	1%	11.2%	15	11.2%
სამომხმარებლო სესხები	4,903	34%	6,321	37%	28.9%	1,417	26.6%
მომენტალური განვადება	300	2%	359	2%	19.6%	59	19.6%
ოვერდრაფტები	50	0%	55	0%	10.2%	5	10.2%
საკრედიტო ბარათები	412	3%	381	2%	-7.6%	-31	-7.6%
სესხები ბინის რემონტისათვის	620	4%	783	5%	26.2%	163	26.2%
იპოთეკური სესხები	8,067	56%	9,025	53%	11.9%	958	11.9%

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

წინა წელთან შედარებით, საცალო პროდუქტების პორტფელის სტრუქტურა მცირედით შეიცვალა, რაც სამომხმარებლო სესხების წილის ზრდით და იპოთეკური სესხების წილის შემცირებით გამოიხატება. იპოთეკური სესხების წილის შემცირება, ძირითადად, გამოწვეულია სამომხმარებლო სესხების უფრო მაღალი ზრდის ტემპითა და, ასევე, ლარის გაცვლითი კურსის გამყარებით წინა წლის დეკემბერთან შედარებით, რადგან იპოთეკურ სესხებში დოლარიზაცია უფრო მაღალია.

დიაგრამა N 4.10 საცალო პროდუქტების ნაშთების განაწილება 2020 და 2021 წლის ბოლო მდგომარეობით



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა N 4.11 სეგმენტების ნაშთები ვალუტების ჭრილში 2021 წლის ბოლო მდგომარეობით (ბანკთაშორისი სესხების გარდა)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა N 4.12 საცალო პორტფელის კომპოზიცია ვალუტების ჭრილში



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ცხრილი N 4.7 საკრედიტო პორტფელის კლასიფიკაცია ხარისხის მიხედვით

კატეგორია (ბანკთაშორისი სესხების გარდა)	თანხა მლნ ლარი	წილი	რეზერვი
სტანდარტული	38,358	89.0%	2%
ნეგატიური სესხები	4,725	11.0%	25%
საყურადღებო	2,470	5.7%	10%
უმოქმედო სესხები	2,255	5.2%	42%
არასტანდარტული	1,314	3.0%	30%
საეჭვო	422	1.0%	47%
უიმედო	520	1.2%	68%
სულ:	**43,083**	**100%**	**5%**

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ცხრილი N 4.8 პორტფელის ხარისხი სეგმენტების მიხედვით

სეგმენტი	ნეგატიური სესხები	უმოქმედო სესხები	საშუალო რეზერვი
კორპორატიული	13.81%	5.58%	4.70%
მცირე და საშუალო	12.94%	6.51%	4.98%
საცალო	7.17%	4.07%	4.33%

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

COVID-19-ის პანდემიიდან გამომდინარე, ეროვნული ბანკების მოთხოვნით ბანკებმა შეაფასეს და პანდემიის დასაწყისშივე სრულად ასახეს კრიზისის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები. შესაბამისად, 2020 წელს COVID-19-ის ნეგატიური ეფექტი მნიშვნელოვნად აისახა საკრედიტო პორტფელის ხარისხზე. რაც შეეხება 2021 წელს, ამ კუთხით დამატებითი დანაკარგები არ დამდგარა. ზოგ შემთხვევაში პირიქით, მოხდა სასესხო პორტფელის გაჯანსაღებაც, რასაც პირველ რიგში ხელი შეუწყო ეკონომიკის მოსალოდნელზე უფრო სწრაფმა ზრდამ. შესაბამისად, 2021 წელს 2020 წელთან შედარებით მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა პორტფელის ხარისხობრივი მაჩვენებლები - ნეგატიური/უმოქმედო სესხების და სესხების შესაძლო დანაკარგების წილი.

რაც შეეხება, საცალო საკრედიტო პორტფელის ხარისხს, 2021 წელს წინა წელთან შედარებით შემცირდა როგორც უმოქმედო სესხების, ისე რეზერვის პროცენტული წილი პორტფელში ყველა საცალო პროდუქტისთვის.

დიაგრამა N 4.13 საცალო პორტფელის ხარისხი და რისკის ხარჯი პროდუქტების მიხედვით



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2020 წელთან შედარებით 2021 წელს ძირითადი საცალო პროდუქტების პორტფელისთვის შემცირდა რისკის ხარჯიც, თუმცა ავტო-სესხებისთვის და საკრედიტო ბარათებისთვის წინა წელთან შედარებით რისკის ხარჯის ზრდა აღნიშნული პროდუქტების შენელებულმა ზრდამ/პორტფელის შემცირებამ გამოიწვია.

დიაგრამა N 4.14 რისკის ხარჯის ცვლილება (დეკ-2021 - დეკ-2020)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა N 4.15 საკრედიტო პორტფელი ხარისხობრივი მაჩვენებლების მიხედვით (ბანკთაშორისი სესხების გარდა)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა N 4.16 რეზიდენტებისა და არარეზიდენტების ნაღდი ვალუტების მიხედვით მთლიან სასესხო პორტფელში



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა N 4.17 უმოქმედო სესხების წილი ვალუტების მიხედვით ბიზნეს სესხებში



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა N 4.18 უმოქმედო სესხების წილი ვალუტების მიხედვით იპოთეკურ სესხებში



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა N 4.19 სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვის მთლიან პორტფელთან თანაფარდობა[58]



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

58. მოიცავს საერთო რეზერვს.

დიაგრამა N 4.20 ცვლადგანაკვეთიანი სესხების მოცულობა და თანაფარდობა (წმინდა სესხებთან)[59]



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2021 წელს წმინდა ჩამოწერილი სესხების მოცულობა 2020 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 95.5 პროცენტით გაიზარდა. წმინდა ჩამოწერილი სესხების დიდი წილი მოდის საცალო სეგმენტზე, რაც გამოწვეული იყო 2020 წლის და 2021 წლის პირველი ნახევრის განმავლობაში COVID-19-თან დაკავშირებული საშეღავათო პერიოდების არსებობით. შესაბამისად, აღნიშნული სესხების ჩამოწერა კომერციულმა ბანკებმა 2021 წელს განახორციელეს. ზრდა ფიქსირდება როგორც ჩამოწერილ აქტივებში, ისე ჩამოწერილი აქტივების ამოღებაში, თუმცა ეს უკანასკნელი ნაკლებადაა გაზრდილი, ვიდრე აქტივების ჩამოწერა.

დიაგრამა N 4.21 სესხების ჩამოწერა და ამოღება



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

59. წმინდა სესხები - სესხის მოცულობა შესაძლო დანაკარგების რეზერვების გამოკლების შემდეგ.

დიაგრამა N 4.22 პრობლემური აქტივები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2021 წელს, 2020 წელთან შედარებით, დასაკუთრებული ქონების წილის მოცულობა მთლიან დაბანდებებში (სესხებს დამატებული დასაკუთრებული ქონება) მნიშვნელოვნად არ შეცვლილა.

დიაგრამა N 4.23 დასაკუთრებული აქტივები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ფასს 9 დარეზერვებაზე გადასვლა

სებ-ის 2020-2022 წლების საზედამხედველო სტრატეგიის მიხედვით, საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოება ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს. საზედამხედველო მიზნით არსებული ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების პრინციპების ფასს-თან სხვაობის მნიშვნელოვან განმაპირობებელ ფაქტორს სასესხო აქტივების დარეზერვების მიმართ არსებული პრაქტიკა წარმოადგენს. აღნიშნული სხვაობის აღმოფხვრის მიზნით, შემუშავდა „ფინანსური ინსტრუმენტების რისკის კატეგორიებისა და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განსაზღვრის წესის“ წინასწარი ვარიანტი, რომელიც ეფუძნება *ფასს 9*-ს და ამასთანავე აკონკრეტებს ზოგიერთ მიდგომას, რომელიც კომერციულმა ბანკებმა ფინანსური ინსტრუმენტების დარეზერვების მიზნებისათვის უნდა გამოიყენონ. თუმცა 2022 წლის ბოლომდე, პარალელურად ძალაში იქნება არსებული „კომერციული ბანკების მიერ აქტივების კლასიფიკაციისა და შესაძლო დანაკარგების რეზერვების შექმნისა და გამოყენების წესი“.

ფასს-ზე გადასვლის პროექტის მიზანი კომერციული ბანკების მიერ ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი ზარალების გამოთვლისათვის გამოყენებული მიდგომების ერთმანეთთან შესადარისობისა და ფინანსური ანგარიშგების გაუმჯობესების ხელშეწყობაა. ამასთან, ახალი წესის საფუძველზე, კომერციულ ბანკებს მოუწევთ ფინანსური ანგარიშგების რეპორტის მხოლოდ ფასს-ის მიხედვით წარმოება, რაც საბანკო სისტემას რესურსების დაზოგვის საშუალებას მისცემს.

დარეზერვების განახლებული მიდგომები დაინტერესებულ მხარეებთან მჭიდრო თანამშრომლობით შემუშავდა. „ფინანსური ინსტრუმენტების რისკის კატეგორიებისა და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განსაზღვრის წესი“ საკონსულტაციოდ გაეგზავნა ჩართულ მხარეებს და დამატებითი უკუკავშირის მიღების, საჯარო კონსულტაციებისა და დაინტერესებული პირებისთვის მასზე ხელმისაწვდომობის ზრდის მიზნით წესი საქართველოს ეროვნული ბანკის ვებგვერდზეც გამოქვეყნდა.

ხსენებული წესით განისაზღვრა ფინანსური ინსტრუმენტების სამი დონის საკრედიტო რისკის კატეგორია (ე.წ Stage-ის) და შესაბამისი კატეგორიის განსაზღვრის სავალდებულო კრიტერიუმები:

1. მე-2 დონის საკრედიტო რისკის კატეგორია:
   - საკრედიტო რისკის მნიშვნელოვნად ზრდა;
   - 30 დღეზე მეტი ვადაგადაცილება;
   - ფინანსური ინსტრუმენტის რესტრუქტურიზაცია.
2. მე-3 დონის საკრედიტო რისკის კატეგორია:
   - ფინანსური ინსტრუმენტის გადახდის ძირითადი წყაროები, მათ შორის, კაპიტალი, მოგება ან/და ფულადი სახსრების გენერირების უნარი, არ არის საკმარისი ვალის გადასახდელად. შესაბამისად, კომერციულმა ბანკმა უნდა გამოიყენოს გადახდის სხვა წყაროები, როგორებიცაა: გირავნობის ან იპოთეკის რეალიზაცია ან მსესხებლის სხვა აქტივების გაყიდვა;
   - ძირის ან/და დარიცხული პროცენტის ნაწილობრივი პატიება/ჩამოწერა;
   - 90 დღეზე მეტი ვადაგადაცილება.

აღნიშნული სავალდებულო კრიტერიუმების გარდა, საზედამხედველო მიზნობრიობით, კომერციულმა ბანკებმა ფინანსური ინსტრუმენტის საკრედიტო რისკის კატეგორიის განსაზღვრის მიზნით სავალდებულო კრიტერიუმის სახით უნდა გაითვალისწინონ გადამხდელუნარიანობის შემდეგი მაჩვენებელები:

ბიზნეს მსესხებლებზე გაცემული ფინანსური ინსტრუმენტები

ყველა ეკონომიკური სექტორი		
რისკის კატეგორია	Debt/EBITDA	DSCR 10 წელზე
მე-3 დონის საკრედიტო რისკი	> 6.00	< 1.0
სასტუმროები, ენერგეტიკა, უძრავი ქონების მენეჯმენტი		
რისკის კატეგორია	Debt/EBITDA	DSCR 15 წელზე
მე-3 დონის საკრედიტო რისკი	> 7.50	< 1.0

ფიზიკური პირებზე გაცემული ფინანსური ინსტრუმენტები:

ყოველთვიური წმინდა შემოსავალი (ლარი ან მისი ეკვივალენტი უცხოური ვალუტით)	მე-3 დონის საკრედიტო რისკი
< 1,000	> 55 %
>= 1,000	> 70 %

„ფინანსური ინსტრუმენტების რისკის კატეგორიებისა და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განსაზღვრის წესში“ ასევე მოცემულია საკრედიტო რისკის კატეგორიის განსაზღვრის მიზნით გასათვალისწინებელი სარეკომენდაციო ხარისხობრივი და რაოდენობრივი ინდიკატორები. ფინანსური ინსტრუმენტის საკრედიტო რისკის კატეგორიის გაუმჯობესება შესაძლებელია შემდეგი კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში:

	ფინანსური ანალიზით	ფინანსური ანალიზის გარეშე
Stage 2 ➡ Stage 1	3 თანმიმდევრული დემონსტრაციული გადახდა	6 თანმიმდევრული დემონსტრაციული გადახდა
Stage 3 ➡ Stage 2		6 თანმიმდევრული დემონსტრაციული გადახდა
Stage 3 ➡ Stage 1	6 თანმიმდევრული დემონსტრაციული გადახდა	

ფიზიკურ პირებზე გაცემული ფინანსური ინსტრუმენტების საკრედიტო რისკის კატეგორიის ცვლილებისას, იმ შემთხვევაში, თუ PTI კოეფიციენტი აღემატება „ფიზიკური პირის დაკრედიტების შესახებ დებულებით“ მოთხოვნილ კოეფიციენტებს, ბანკმა უნდა გაითვალისწინოს კოეფიციენტის 10 პროცენტული პუნქტით ცვლილება. ბიზნეს მსესხებლებზე გაცემული ფინანსური ინსტრუმენტების საკრედიტო რისკის კატეგორიის ცვლილებისას კი, თუ Debt/EBITDA კოეფიციენტი აღემატება 4.5-ს ან DSCR ნაკლებია 1.2-ზე, ბანკმა უნდა გაითვალისწინოს კოეფიციენტის 10 პროცენტიანი ცვლილება.

კომერციულმა ბანკმა უნდა უზრუნველყოს კონტამინაციის პრინციპის დაცვა, რაც საცალო და მიკრო პორტფელებისთვის მსესხებლის შემთხვევაში გულისხმობს ერთი ფინანსური ინსტრუმენტის საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან გაზრდას/გაუფასურებას, იწვევს ამავე მსესხებლის სხვა ფინანსური ინსტრუმენტების საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან გაზრდას/გაუფასურებას. მცირე და საშუალო და კორპორატიული პორტფელების შემთხვევაში, დამატებით უნდა განხორციელდეს შესაბამისი შეფასება იმის დასადგენად, ხომ არ არის სხვა მსესხებლების ფინანსური ინსტრუმენტები გაუფასურებული ან საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაზრდილი.

„ფინანსური ინსტრუმენტების რისკის კატეგორიებისა და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განსაზღვრის წესში“ ასევე განისაზღვრა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის კოლექტიური შეფასებისას გასათვალისწინებელი ფაქტორები, რომლებიც მოიცავს სარეკომენდაციო მოთხოვნებს მონაცემთა ხარისხის, საპროგნოზო ინფორმაციის გათვალისწინების, ჰომოგენური ჯგუფების ფორმირების, გაუფასურების მოდელების (PD, LGD, EAD) აგების ჩარჩოს, რობასტული მოდელის ასაგებად რეკომენდებულ

მიდგომებს, საკრედიტო რისკის რეიტინგის მინიჭების პროცესის აღწერას და მოთხოვნებს, როგორც შიდა, ასევე გარე რეიტინგების გამოყენების შემთხვევაში.

მოდელის შეფასებისას გაითვალისწინება „მონაცემებზე დაფუძნებული სტატისტიკური, ხელოვნური ინტელექტის და მანქანური სწავლების მოდელების რისკების მართვის დებულებით“ განსაზღვრული პრინციპები.

დამატებით, ეროვნულმა ბანკმა შეიმუშავა შედეგების ტესტირების სახელმძღვანელო, რომელშიც გაწერილია ძირითადი პრინციპები, მიდგომები, შეფასების პროცესი და შედეგებზე რეაგირების გზები.

სებ-ის წარმომადგენლების მიერ, ახალ მეთოდოლოგიასთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, დეტალურად გაანალიზდა კომერციული ბანკების, *ფასს 9*-ის შესაბამისი, ფინანსური ინსტრუმენტების დარეზერვების არსებული პრაქტიკები. ანალიზის შედეგად, თითოეულმა კომერციულმა ბანკმა ინდივიდუალურად მიიღო უკუკავშირი და რეკომენდაციები. მიღებული უკუკავშირის განხილვის შემდგომ, სებ-ის და კომერციული ბანკის ერთობლივი ძალისხმევით, კომერციულმა ბანკებმა სებ-ის *ფასს 9* მიდგომებთან დაახლოების მიზნით არსებული მიდგომების მოდიფიკაცია დაიწყეს. კომერციულ ბანკებთან კონსულტაციები და სებ-ის აღნიშნულ პროცესში ჩართულობა 2022 წლის ბოლომდე, ანუ ძველი წესის გაუქმებამდე, გაგრძელდება.

როდესაც „ფინანსური ინსტრუმენტების რისკის კატეგორიებისა და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განსაზღვრის წესის“ რომელიმე მოთხოვნის არშესრულება თავის მხრივ არ იწვევს *ფასს 9* დაწესებულ მოთხოვნების დარღვევას, კომერციულ ბანკს აქვს უფლება, აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ამ წესისაგან განსხვავებული მიდგომით დაითვალოს. ამ შემთხვევაში, კომერციული ბანკი ვალდებულია გაამჟღავნოს კაპიტალის ადეკვატურობაზე ამ წესსა და ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის შემუშავებულ დარეზერვების მიდგომას შორის სხვაობის ეფექტი. აგრეთვე, ბანკებს აქვთ შესაძლებლობა საზედამხედველო მიზნებისთვისაც გამოიყენონ „ფინანსური ინსტრუმენტების რისკის კატეგორიებისა და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განსაზღვრის წესისგან“ განსხვავებული მიდგომები, იმ შემთხვევაში თუ მოხდება აღნიშნული მიდგომების დასაბუთება და ეროვნულ ბანკთან შეთანხმება.

აღსანიშნავია, რომ „ფინანსური ინსტრუმენტების რისკის კატეგორიებისა და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განსაზღვრის წესის“ შესაბამისად დათვლილ რეზერვებსა და სებ-ის დარეზერვების არსებული მიდგომებით განსაზღვრულ რეზერვებს შორის განსხვავება მნიშვნელოვანია, რაც არ შეესაბამება ფასს-ზე გადასვლის პროექტის მთავარ პრინციპს - არ უნდა დაფიქსირდეს მნიშვნელოვანი ზეგავლენა საზედამხედველო მაჩვენებლებსა და მოთხოვნებზე. აღნიშნული საკითხის დასაბალანსებლად, რეზერვებს შორის არსებული განსხვავებები აისახება პილარ 2-ში. კერძოდ, „ფინანსური ინსტრუმენტების რისკის კატეგორიებისა და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განსაზღვრის წესით“ განსაზღვრული მოთხოვნების გარდა, კომერციული ბანკები მოთხოვნის შესაბამისად, შექმნიან, პილარ 2-ის ახალ ელემენტს - საკრედიტო რისკის კორექტირების ბუფერს (Credit Risk Adjustment buffer). CRA ბუფერი გამოითვლება განახლებული წესის შესაბამისად განსაზღვრულ სამივე დონის საკრედიტო რისკის კატეგორიის ფინანსურ ინსტრუმენტებზე, შესაბამისი სცენარით განსაზღვრულ ჯამურ რეზერვებსა და კომერციული ბანკის მიერ ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის გამოყენებულ დარეზერვების მეთოდოლოგიით განსაზღვრულ ჯამური რეზერვების სხვაობით.

ფასს 9-ის მიხედვით, აქტივების დარეზერვების მიდგომების ცვლილების შესაბამისად, განახლდა შესაბამისი საკრედიტო ფორმები, რომლებიც კომერციულმა ბანკებმა სებ-ს შესაბამისი პერიოდულობით უნდა წარუდგინონ.

ჩანართი 10 სასტუმროებისა და ტურიზმის სექტორის საკრედიტო რისკების შეფასება

2019 წელს, სექტორის მიერ ქვეყანაში შექმნილი ჯამური დამატებული ღირებულების 8.4% შეიქმნა, 2016 წელს კი 6.2%[60]. სხვა სექტორებთან შედარებით განვითარების მაღალი დონისა და კაპიტალინტენსიურობის გათვალისწინებით, სასტუმრო და ტურიზმის სექტორი ქართული საბანკო სისტემის საკრედიტო პორტფელში უმსხვილესია. შესაბამისად, სექტორში შექმნილ საკრედიტო რისკებს მთლიანი პორტფელის ხარისხზე მატერიალური გავლენის მოხდენა შეუძლია. საკრედიტო რისკის შეფასების კუთხით კიდევ უფრო მეტად გაიზარდა ინტერესი COVID-19-ის პერიოდში, რადგან პანდემიით გამოწვეული მობილობის შეზღუდვა პირდაპირ და უარყოფითად მოქმედებს ტურიზმის სექტორის კომპანიებზე და მათ შორის მსესხებელ სასტუმროებზე.

ამ გარემოებების გათვალისწინებით, საქართველოს ეროვნული ბანკის სპეციალიზებული რისკების დეპარტამენტმა, კომერციული ბანკების მსხვილ მსესხებელ და შემთხვევითობის პრინციპით შერჩეულ შედარებით მცირე ზომის მსესხებელ სასტუმროებზე დაკვირვებით, სასტუმროებისა და ტურიზმის სექტორული კვლევა ჩაატარა. კვლევის შედეგებით დადასტურდა, რომ პანდემიის პირველი წელი სექტორისთვის განსაკუთრებით მძიმე იყო. 2020 წელს საერთაშორისო მოგზაურობის გარდა, ხშირად იზღუდებოდა ქვეყნის შიგნით მობილობაც, რის გამოც გამყვანი ტურიზმი ჯეროვნად ვერ გადმოერთო შიდა ტურიზმზე და შიდა ვიზიტების მაჩვენებლებიც შემცირდა. 2021 წელს, შემსუბუქებული რეგულაციების ფონზე, შიდა ტურიზმის პარამეტრები გაიზარდა, 2019 წელთან შედარებითაც კი, რამაც სექტორის აღდგენის დაჩქარებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. შიდა ვიზიტების განსაკუთრებული ზრდა დაფიქსირდა მცხეთა-მთიანეთში, ქართლსა და კახეთში,[61] ხოლო საქართველოს რეზიდენტების მიერ ადგილობრივ განთავსების საშუალებებში გაწეული დანახარჯები 2019 წელთან შედარებით 60%-ით გაიზარდა.[62] გამყვანმა ტურიზმმა 2021-შიც კლება განაგრძო.[63]

კვლევისთვის შერჩეული მსესხებელი სასტუმროების მონაცემებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ პანდემიამ სასტუმროების დატვირთულობის კოეფიციენტები უფრო მეტად შეამცირა, ვიდრე საშუალო დღიური ფასი (ADR) და აღდგენაც ამ ტენდენციის მსგავსად ხდება. ყველაზე დიდი უარყოფითი ცვლილებები ფიქსირდება თბილისის სასტუმროებში, რაც უცხოელ ვიზიტორებზე მათი შედარებით მაღალი დამოკიდებულებით აიხსნება. აღდგენაც უფრო მეტად თბილისში ჭიანურდება, რადგან დედაქალაქის სასტუმროები შიდა ტურიზმით ნაკლებად იტვირთება, რეგიონში კი შიდა ვიზიტების რაოდენობისა და ხარისხის გაზრდის წყალობით აღდგენის უფრო სწრაფი ტემპია. მაგალითად, 2021 წელს კახეთის მაღალი კლასის სასტუმროებში (ე.წ. Destination Hotels) 2019 წლის რამდენიმე პარამეტრებიც კი გაუმჯობესდა (EBITDA მარჟა, სეზონური ADR).[64]

60. https://gnta.ge/wp-content/uploads/2021/12/2019_GEO_PRINT.pdf
61. https://geostat.ge/media/42152/vizitebi-monaxulebuli-regionebiT.XLSX
62. https://geostat.ge/media/42156/xarjebi.xls
63. https://geostat.ge/media/41811/vizitebis-raodenoba.xlsx
64. სებ-ის კვლევა.

ᲨᲔᲠᲩᲔᲣᲚᲘ ᲡᲐᲡᲢᲣᲛᲠᲝᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲪᲘᲠᲔᲑᲐ ᲞᲐᲜᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ



რეგიონის სასტუმროები უფრო მეტად დივერსიფიცირებული შემოსავლებით გამოირჩევა, ვიდრე თბილისის. კერძოდ, ჩატარებული კვლევის მიხედვით, თუ ნომრების გაქირავებიდან მიღებული შემოსავლის წილი მთლიან შემოსავლებში თბილისის მაღალი კლასის სასტუმროებში საშუალოდ 74%-ია, კახეთის მაღალი კლასის სასტუმროებში (ე.წ. Destination Hotels) მასზე მხოლოდ შემოსავლის ნახევარი მოდის, მეორე ნახევარი კი დამატებითი სერვისიდან მიღებული შემოსავალია. დამატებითი სერვისის მიწოდებას დამატებითი ინფრასტრუქტურაც სჭირდება, რაც ხშირად მატერიალური მოცულობის ინვესტიციას მოითხოვს. სწორედ ამიტომ, ზემოთ ხსენებული Destination Hotels ტიპის სასტუმროს მშენებლობა მთლიანი ინვესტიციის ერთ ნომერზე დაანგარიშებით ყველაზე ძვირი ჯდება, ვიდრე სხვა დანარჩენი რეგიონებისთვის.[65]

საქართველოს ყველაზე სეზონური პერიოდი მესამე კვარტალია (პიკი - აგვისტოს თვე), თუმცა მსოფლიო მასშტაბით სეზონურ, ე.წ. “Holiday destination” ქვეყნად არ ვითვლებით და შედარებით დაბალანსებული ტურიზმი გვაქვს.[66] ზოგადად, მაღალი კლასის სასტუმროები, საშუალო და დაბალი კლასის სასტუმროებთან შედარებით, ნაკლებად სეზონური შემოსავლებით ხასიათდება, თუმცა მათ უცხოელ ვიზიტორებზე მაღალი დამოკიდებულება აქვთ, რაც პანდემიის პირობებში ძირითადი რისკ-ფაქტორი აღმოჩნდა. მათი დატვირთულობა ყველაზე მეტად შემცირდა 2020 წელს, თუმცა 2021-ში უფრო სწრაფი აღდგენა აქვთ როგორც დატვირთულობის, ისე ADR მაჩვენებლით. ამასთან, მათი საოპერაციო ხარჯები ნაკლებად მოქნილი აღმოჩნდა, რამაც საოპერაციო მოგების მარჟა სხვა კლასის სასტუმროებთან შედარებით ძალიან შეამცირა. მაგალითისთვის, ეს დამოკიდებულება შეგვიძლია დავინახოთ თბილისისა და ზღვისპირეთის შემთხვევაშიც:

65. სებ-ის კვლევა.
66. მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის სტატისტიკური მონაცემები.





ჩამოთვლილი რისკ-ფაქტორების რეალიზების გამო, გაუარესდა საკრედიტო პორტფელის ხარისხიც, რასაც სექტორში გაცემული სესხების მაღალმა ვალუტიზაციამ შეუწყო ხელი. პორტფელის 87% უცხოურ ვალუტაშია დენომინირებული და სტატისტიკა აჩვენებს, რომ პანდემიის დროს უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხების რესტრუქტურიზაცია უფრო მეტი მოცულობით მოხდა, ვიდრე ლარში გაცემული სესხებისა (იხ. გრაფიკები).





პანდემიის ფონზე უმოქმედო (NPL) და საყურადღებო სესხების წილი პორტფელში გაზრდილია, თუმცა კომერციულ ბანკებში კრიზისისადმი მოწყვლად სექტორებზე საწყის ეტაპზევე შეიქმნა საკმარისი მოცულობის სესხის შესაძლო დანაკარგების რეზერვები, სასტუმროებისთვის შეთავაზებულ იქნა საშეღავათო პერიოდები და სესხის გადახდის გრაფიკები ახალ რეალობას მოერგო. მათ, ასევე, მიიღეს გარკვეული სახელმწიფო მხარდაჭერა და საგადასახადო შეღავათები, რის შედეგადაც, პანდემიით გამოწვეული დროებითი წნეხი შედარებით შემსუბუქდა და საფუძველი

მისცა 2021 წლის აღდგენის მაჩვენებლებს. აღნიშნულის კონტრიბუციით გაიზარდა 2021 წლის NPL Coverage Ratio, რომელიც NPL (არასტანდარტული, საეჭვო და უიმედო) სესხებისთვის სექტორში შექმნილი შესაძლო დანაკარგების რეზერვების საკმარისობას აჩვენებს. ასევე საინტერესოა, რომ პორტფელი საკმაოდ კონცენტრირებულია და TOP10 მსესხებელს მთლიანი პორტფელის მოცულობის 43% უჭირავს (იხ. გრაფიკები).





რაც შეეხება ტურიზმისა და, შესაბამისად, სასტუმროების სექტორის მონაცემების სრული აღდგენის მოსალოდნელ ტემპს, ის, ფაქტობრივად, სრულადაა დამოკიდებული ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის მართვაზე მსოფლიო მასშტაბით. საქართველოსთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, დავაკვირდეთ ჩვენს ტოპ ვიზიტორ ქვეყნებში მიმდინარე ეპიდ-ვითარებას, რათა შევიქმნათ წარმოდგენა თუ რამდენად სწრაფად შეიძლება ამ ქვეყნებიდან მინიმუმ იმავე რაოდენობის ვიზიტორების მიღება რაც ადრე იყო. ამავდროულად, ვიზიტორების ქვეყნების მონაცემებს საქართველოს მონაცემებიც უნდა შედარდეს, რადგან უსაფრთხო სტუმრებს ასევე უსაფრთხო მასპინძელი ქვეყნის მიმართ ექნებათ ინტერესი:

კოვიდ პანდემიის ვითარება საქართველოს ტოპ ვიზიტორ ქვეყნებში (31/01/2022)



გრაფიკიდან ვხედავთ, რომ 2022 წლის 31 იანვრის მდგომარეობით საქართველო ვაქცინაციის დონით ტოპ ვიზიტორ ქვეყნებს ჩამორჩება, ასევე მაღალია ინფიცირების საშუალო მაჩვენებელიც, რაც ვიზიტორების სწრაფად აღდგენის მოლოდინებს ვერ შექმნის.[67]

მსესხებელთა ჯგუფების დაკავშირების პოლიტიკის შემუშავება

2022 წლის 1-ლი იანვრიდან ძალაში შედის „კომერციულ ბანკებში რისკის პოზიციების კონცენტრაციისა და მსხვილი რისკების შესახებ დებულების“ განახლებული ვარიანტი, რომელიც შესაბამისობაშია ბაზელის მსხვილი რისკების ჩარჩოსთან და არეგულირებს კომერციული ბანკების საკრედიტო პორტფელში არსებულ გამოწვევებს კონცენტრაციის კუთხით. დოკუმენტის თანახმად, საქართველოს ეროვნული ბანკი იღებს ვალდებულებას, შეიმუშაოს ურთიერთდაკავშირებულ მსესხებელთა ჯგუფის განსაზღვრის ინსტრუქცია, რომელიც შესაბამისობაში იქნება საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასთან და, ამასთანავე, გაითვალისწინებს ქვეყნის სპეციფიკურ ასპექტებს. აღნიშნული მნიშვნელოვანია, რამდენადაც უშუალოდ მსხვილი რისკების რეგულაცია ითვალისწინებს გარკვეულ ლიმიტებსა და შეზღუდვებს კომერციული ბანკების მხრიდან ურთიერთდაკავშირებულ მსესხებელთა ჯგუფების დაკრედიტების მიმართულებით.

2021 წლის მანძილზე სებ-ის გუნდმა აქტიურად იმუშავა ამ საკითხზე - მოძიებული და გაანალიზებული იქნა ადგილობრივი და საერთაშორისო პრაქტიკები, როგორიცაა EBA-ს დოკუმენტი “Guidelines on Connected Clients” და ბაზელის კომიტეტის მიერ მომზადებული „Supervisory framework for measuring and controlling large exposures“), გაიმართა არაერთი დისკუსია სხვადასხვა მონაწილე მხარეების ჩართულობით და მომზადდა ინსტრუქციის შიდა ვერსია. ამ ეტაპზე მიმდინარეობს დოკუმენტის განხილვა კომერციულ ბანკებთან, რომლის დასრულების შემდგომ დოკუმენტს საბოლოო სახე მიეცემა და შესაბამისი ფორმით დამტკიცდება.

დოკუმენტში გაწერილია ის ძირითადი პრინციპები, რომლებზე დაყრდნობითაც უნდა იხელმძღვანელონ კომერციულმა ბანკებმა დაკავშირებული კლიენტების ერთ ჯგუფად აღრიცხვის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას. ინსტრუქციის მიზანია სრულად გამოვლინდნენ ის კლიენტები, რომლებიც კონკრეტული კომერციული ბანკისთვის ერთ ჯგუფს წარმოადგენენ. მნიშვნელოვანია თითოეულ ბანკს იდენტიფიცირებული ჰქონდეს კონკრეტული კლიენტიდან მომდინარე რისკის პოტენციური გავრცელების არეალი, რაც შემდგომში საბანკო სისტემის დონეზე კონცენტრაციის რისკის უკეთ მართვას უზრუნველყოფს. ერთ ჯგუფში შემა-

67. ourworldindata.org

ვალი კლიენტების გამოსავლენად საჭიროა შეფასდეს ორი ძირითადი საკითხი: კლიენტებს შორის კონტროლის ტიპის ურთიერთობა და ეკონომიკური დამოკიდებულების არსებობა. დოკუმენტში დეტალურადაა აღწერილი, თუ რას გულისხმობს თითოეული მათგანი და ჩამოთვლილია ის ფაქტორები (მაგალითად წილობრივი მფლობელობა, კომპანიის მენეჯმენტსა და მის საქმიანობაზე გავლენის მოხდენის შესაძლებლობა, შემოსავლების/ხარჯების კონცენტრაცია, ურთიერთ თავდებობა და ა.შ), რომლებიც საკითხის შეფასებისას უნდა გაანალიზდეს. აღსანიშნავია, რომ დაკავშირებული კლიენტების ჯგუფად აღრიცხვის პროცესი საკმაოდ კომპლექსური საკითხია და თითოეული შემთხვევა ინდივიდუალურია, შესაბამისად, არაა რეკომენდებული დოკუმენტურად გაიწეროს მკაცრად განსაზღვრული წესები, რომლითაც ყველა პოტენციური შემთხვევა დარეგულირდება. აქედან გამომდინარე, დოკუმენტი მოიცავს როგორც წესებს, ასევე ზოგადი ხასიათის პრინციპებს, რაც უფრო მნიშვნელოვანს ხდის კომერციული ბანკების მხრიდან საკითხის შინაარსობრივ შეფასებას და სპეციფიკური ნიუანსების გათვალისწინების შესაძლებლობას აჩენს.

პილარ 3-ის ცხრილების განახლება და გამჭვირვალობის გაზრდა

საქართველოს ეროვნული ბანკის მიზანია ხელი შეუწყოს კომერციული ბანკების ფინანსური მდგომარეობისა და აქტივების ხარისხის გამჭვირვალობის ზრდას, რაც ფინანსური სტაბილურობის მნიშვნელოვანი კომპონენტია. ამ მიზნით მოქმედებს „კომერციული ბანკების მიერ პილარ 3-ის ფარგლებში ინფორმაციის გამჟღავნების წესი“, რომელიც თითოეულ კომერციულ ბანკს ავალდებულებს საანგარიშგებო კვარტლის დასრულებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში გაამჟღავნოს ამ წესის მიხედვით მოთხოვნილი ინფორმაცია. საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასთან დაახლოებისა და საფინანსო სექტორის მიმართ გაზრდილი ინტერესის დაკმაყოფილების მიზნით, 2021 წლის მანძილზე განხორციელდა ცვლილებები პილარ 3-ის ფარგლებში ინფორმაციის გამჟღავნების წესში, რომლის მიხედვითაც, კომერციულ ბანკებს 2021 წლის მე-2 კვარტლიდან დამატებით დაევალათ ინფორმაციის გამჟღავნება შემდეგ მნიშვნელოვან საკითხებზე:

- სასესხო პორტფელის ხარისხობრივ მაჩვენებლებზე, მათ შორის, როგორებიცაა უმოქმედო სესხების წილი, სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვები, ვადაგადაცილებები და ჩამოწერები;
- სასესხო პორტფელის სხვა მახასიათებლებზე, მაგალითად, როგორებიცაა სესხების ნარჩენი ვადიანობა, უზრუნველყოფის კოეფიციენტი, ბიზნეს სექტორი და მსესხებლის ტიპი;
- სავალო ფასიანი ქაღალდების, გარესაბალანსო პროდუქტებისა და გარანტიებით უზრუნველყოფილი სესხების განაწილება ხარისხობრივი კლასიფიკაციისა და ვადაგადაცილების მიხედვით.

ამასთანავე, 2021 წლის მე-3 კვარტლიდან არსებულ წესს დაემატა ახალი მოთხოვნა საცალო პროდუქტების შესახებ ზოგადი და ხარისხობრივი ინფორმაციის გამჟღავნებაზე.

ასევე, მეორე კვარტლიდან ბანკებმა დაიწყეს წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტის გვერდის გამოქვეყნება, რომელიც მოიცავს ინფორმაციას ხელმისაწვდომი სტაბილური დაფინანსების, სტაბილური დაფინანსების საჭიროებისა და მათი მიხედვით დათვლილი კოეფიციენტის შესახებ.

4.6 საბაზრო რისკი

4.6.1 სავალუტო რისკი

2021 წლის განმავლობაში, სავალუტო კურსი, წინა წელთან შედარებით, ნაკლები მერყეობით ხასიათდებოდა და წლის ჭრილში გამყარდა, ხოლო ბანკები სტაბილური სავალუტო პოზიციებით განაგრძობდნენ საქმიანობას. წლის ბოლოს კრებსითი სავალუტო პოზიცია 2.6 პროცენტის ფარგლებშია. თუმცა, რადგან აღნიშნული პოზიციის დათვლისას აქტივებში მიმდინარე პერიოდში ნაწილობრივ კვლავ გაითვალისწინება მთლიანი (და არა სრულად წმინდა) სესხები,

ბანკების რეალური პოზიცია შედარებით მოკლეა[68]. შედეგად, ლარის კურსის გაუფასურება, რეზერვების გადაფასების გათვალისწინებით, ზარალს იწვევს. დამატებით, რადგან სააქციო კაპიტალი ლარით არის დენომინირებული, ლარის გაუფასურების დროს რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების გადაფასება მნიშვნელოვნად ამცირებს ბანკის კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტებს და ამ რისკის მიმართ ბანკებს კიდევ უფრო დაუცველს ხდის.

საქართველოს საბანკო სისტემაში უცხოური ვალუტის აქტივ-ვალდებულებების წილი კვლავ მაღალია, რის შედეგადაც, სავალუტო რისკის ფაქტორი ქართული ბანკებისთვის მნიშვნელოვნად საყურადღებო რჩება. საქართველოს ეროვნული ბანკი აგრძელებს საზედამხედველო მუშაობას სავალუტო რისკის მართვის არსებული მიდგომების სრულყოფის მიმართულებით, მათ შორის, ღია სავალუტო პოზიციაში უცხოური ვალუტის აქტივების რეზერვის ასახვის მიდგომების დახვეწასთან დაკავშირებით და აღნიშნულთან დაკავშირებით სებ-ის მიერ განსაზღვრული გრაფიკი გრძელდება. ასევე, მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა სტრუქტურულ პოზიციასთან დაკავშირებული რისკების შეფასებას და ბანკებში სავალუტო რისკის შიდა მოდელების განვითარებას.

დიაგრამა N 4.24 კომერციული ბანკების საბალანსო და კრებსითი სავალუტო პოზიციები საზედამხედველო კაპიტალთან



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

4.6.2 საპროცენტო რისკი

2021 წელს რეფინანსირების განაკვეთის ზრდასთან ერთად, გაიზარდა ლარის საპროცენტო განაკვეთებიც. თუმცა შემცირდა საპროცენტო განაკვეთები უცხოური ვალუტის დეპოზიტებზე. საპროცენტო განაკვეთების მსგავსი მერყეობა კიდევ ერთხელ ადასტურებს ბანკებში საპროცენტო რისკის და მისი რეგულარული მონიტორინგის და ადეკვატური შეფასების მნიშვნელობას.

საქართველოში მოქმედ ბანკებს სავაჭროდ განკუთვნილი ფასიანი ქაღალდები თითქმის არ გააჩნიათ. თუმცა, ის ბანკები, რომელთაც სავაჭ-

68. მოკლე სავალუტო პოზიციისას, უცხოური ვალუტის ვალდებულებები აჭარბებს უცხოური ვალუტის აქტივებს.

რო წიგნი[69] აქვთ, ვალდებული არიან შესაბამისი პროცედურები შეიმუშაონ და ეროვნულ ბანკთან ანგარიშგება აწარმოონ. იმ შემთხვევაში, თუ მონიტორინგის შედეგად, პორტფელის მნიშვნელოვანი ზრდის შესაძლებლობა გამოვლინდება, სავაჭრო წიგნის რისკის მართვისათვის განკუთვნილი რეგულაცია ამოქმედდება.

მიმდინარე ეტაპზე, მთლიანი ბალანსისთვის საბანკო წიგნის საპროცენტო რისკისთვის განკუთვნილი რეგულაცია და მიდგომები გამოიყენება. საბანკო წიგნის საპროცენტო რისკის მართვის შესახებ ჩარჩოს მიზანია საბანკო წიგნში წარმოშობილი საპროცენტო რისკის იდენტიფიცირება, შეფასება, მართვა და მასთან დაკავშირებული მოთხოვნების დაწესებით, კომერციული ბანკებისა და საფინანსო სექტორის სტაბილურობისა და ჯანსაღად ფუნქციონირების ხელშეწყობა. საპროცენტო რისკი საპროცენტო განაკვეთების ცვლილების მიმართ ბანკის მგრძნობელობას გამოხატავს. იგი ეხება ბანკის კაპიტალსა და შემოსავლებზე მოქმედ ახლანდელ ან სამომავლო რისკს, რომელიც საპროცენტო განაკვეთების ცვლილების შედეგად წარმოიშვება და საბანკო წიგნის პოზიციებზე ახდენს გავლენას. საპროცენტო განაკვეთების ცვლილების შედეგად იცვლება მომავალი ფულადი ნაკადების წმინდა ახლანდელი ღირებულება და ნარჩენი ვადიანობები, რაც ცვლის შესაბამის აქტივებს, ვალდებულებებს, გარესაბალანსო მუხლებსა და მათ ეკონომიკურ ღირებულებას (EVE). ცვლილებები საპროცენტო განაკვეთებში ბანკის წმინდა საპროცენტო შემოსავალზეც (NII) აისახება, რაც საპროცენტო რისკის მიმართ მგრძნობიარე შემოსავლებისა და ხარჯების ცვლილების შედეგია. აღნიშნული რისკის მართვა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ბანკის მომგებიანობასა და კაპიტალზე.

2021 წლის დეკემბრის მდგომარეობით, საპროცენტო რისკის არსებული მიდგომის საფუძველზე, სისტემის ეკონომიკურ ღირებულებისა (EVE) და წმინდა საპროცენტო შემოსავლის (NII) ცვლილების პირველად კაპიტალთან ფარდობა, შესაბამისად, 5.2% და 3.4% პროცენტს შეადგენს. 2021 წლის განმავლობაში არსებული მაჩვენებლები მაქსიმალურ საზედამხედველო ლიმიტზე მნიშვნელოვნად ნაკლები რჩება.

დიაგრამა N 4.25 კაპიტალის ეკონომიკური ღირებულების (EVE) ცვლილების შეფარდება პირველად კაპიტალთან



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

69. სავაჭრო წიგნი მოიცავს ფინანსურ ინსტრუმენტებს, რომლებსაც კომერციული ბანკი ფლობს:
ა) მოკლევადიან პერიოდში გაყიდვის მიზნით;
ბ) ფასის მოსალოდნელი ცვლილების გამო გადაფასებით მიღებული მოგების მოლოდინით;
გ) მისი გამოყენებით არბიტრაჟის გზით შემოსავლების მისაღებად;
დ) „ა“-„გ“ ქვეპუნქტების მიზნებისთვის შეძენილი ინსტრუმენტების რისკის პოზიციების დასაზღვევად.

4.7 მომგებიანობის რისკი

2021 წელს უკუგებამ საშუალო აქტივებსა და კაპიტალზე,[70] შესაბამისად, 3.6 და 30.7 პროცენტი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებლებს, რომლებიც 0.2 და 1.8 პროცენტი იყო, მნიშვნელოვნად აღემატება. ამის ძირითადი განმაპირობებელი ფაქტორი პორტფელის გაუმჯობესებული ხარისხი გახდა. პანდემიასთან დაკავშირებით წინასწარ, 2020 წლის მარტში, გატარებული 1.1 მლრდ ლარამდე საერთო რეზერვი ადეკვატურად ასახავდა პანდემიასთან დაკავშირებულ გაზრდილ საკრედიტო რისკებს. შესაბამისად, 2021 წელს საბანკო სექტორს დამატებითი რეზერვის ხარჯი არ ჰქონია, პირიქით, ეკონომიკის მოსალოდნელზე მეტად გაჯანსაღების გამო, მოხდა საკრედიტო პორტფელის გაჯანსაღება და სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვის შემცირება.

დიაგრამა N 4.26 უკუგება კაპიტალსა და აქტივებზე



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2021 წლის მოგების დეკომპოზიციის კუთხით, დამატებით აღსანიშნავია საბანკო სისტემის მომგებიანობაზე მოქმედი რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორი. წლის განმავლობაში წმინდა საპროცენტო შემოსავალი და არასაპროცენტო შემოსავლები შესაბამისად 34.4 და 36.6 პროცენტით გაიზარდა, რაც, ძირითადად, გაზრდილ საკრედიტო აქტივობას უკავშირდება. ხოლო საოპერაციო ხარჯები მხოლოდ 15.8 პროცენტით, რის შედეგადაც ხარჯების შემოსავლებთან თანაფარდობის კოეფიციენტი 48.3 პროცენტიდან 41.4 პროცენტამდე შემცირდა. ხარჯების აქტივებთან თანაფარდობის კოეფიციენტი სტაბილურად 2.6 პროცენტის ფარგლებშია.

70. ROE - წმინდა მოგება შეფარდებული წლის საშუალო სააქციო კაპიტალთან, ხოლო ROA - წმინდა მოგება შეფარდებული წლის საშუალო აქტივებთან. ამ გაანგარიშებებში წმინდა მოგება დათვლილია როგორც წმინდა საპროცენტო შემოსავლისა და წმინდა არასაპროცენტო შემოსავლის ჯამს გამოკლებული სესხებისა და სხვა ფინანსური აქტივების შესაძლო დანაკარგების რეზერვის თანხა, გაუთვალისწინებელი შემოსავლებისა და გადასახადების გადახდის შემდეგ.

დიაგრამა N 4.27 მოგების დეკომპოზიცია



**ლევერიჯი წარმოადგენს 2016 წლის დეკემბრიდან ინდექსირებულ მონაცემს*

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა N 4.28 ხარჯების შემოსავალსა და აქტივებთან თანაფარდობა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საქართველოს ეროვნული ბანკი აგრძელებს ბანკების მომგებიანობის საპროგნოზო მაჩვენებლების განხილვას, ცალკეული ინსტიტუტების ბიზნეს მოდელისა და სტრატეგიის ანალიზს, მომგებიანობის რისკის შესაბამისი შემარბილებლების შეფასებას. მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა მასშტაბის ეფექტის, ბაზრის ნიშის ან/და სხვა კონკურენტული უპირატესობის და საპროგნოზო საკრედიტო დანაკარგების ფაქტორებს. გრძელდება ბანკების პროდუქტების ფასდადების მოდელების შემუშავება და მათი დახვეწის მონიტორინგი.

4.8 ლიკვიდობის რისკი

4.8.1 ლიკვიდური აქტივების სტრუქტურა

2021 წლის განმავლობაში ლიკვიდური აქტივების მოცულობა მაღალ დონეზე ნარჩუნდებოდა. შედეგად, ლიკვიდური აქტივები მთლიანი აქტივების 21 პროცენტს აღწევს, რაც საკმარისია არასაბანკო დეპოზიტების 34 პროცენტამდე დასაფარად.

დიაგრამა N 4.29 ლიკვიდური აქტივების დონე



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2021 წლის განმავლობაში ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი (LCR) ჯამურად სტაბილურობით ხასიათდებოდა. ლარისა და უცხოური ვალუტის კოეფიციენტებს შორის მერყეობა სავალუტო დერივატივებთან დაკავშირებული ოპერაციებით იყო გამოწვეული.

2020 წელს COVID-19-ის პანდემიასთან დაკავშირებული რისკების წარმოშობის შემდეგ, საქართველოს ეროვნული ბანკის მხრიდან მყისიერად გატარდა ლარის ლიკვიდობის მხარდამჭერი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელი გახდა ლარის დამატებითი ლიკვიდობის მოზიდვა და არსებული რისკების მნიშვნელოვნად შემცირება. ღონისძიებების ნაწილი აქტიური იყო 2021 წლის განმავლობაშიც:

- 1 წლით, 2022 წლის 15 აპრილამდე, გახანგრძლივდა ფინანსური სექტორისთვის შემუშავებული დაბალპროცენტიანი და ხელმისაწვდომი ლარი/აშშ დოლარის სებ-თან სვოპ ოპერაციების ვადა, ხოლო მუდმივმოქმედი სვოპ ოპერაციების ინსტრუ-

მენტის გამოყენება გაგრძელდა;

- 2021 წლის 1 მაისიდან აღდგა ლარის ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტის მოთხოვნა, რომლისგანაც ბანკები ერთი წლით იყვნენ გათავისუფლებულები;
- გაფართოებული რჩება ლარის გირაოს ბაზა, რაც კომერციულ ბანკებს საშუალებას აძლევს ეროვნული ბანკიდან, მცირე და საშუალო სეგმენტზე გაცემული სესხების უზრუნველყოფით, ლარის დამატებითი რესურსი მოიზიდონ, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს კი სასესხო პორტფელის მოცულობის მიხედვით, კომერციული ბანკებიდან დამატებით რესურსი მოიზიდონ. 2022 წლიდან გირაოს ბაზაში ახალი სასესხო აქტივების დამატება აღარ მოხდება და ყოველ 6 თვეში ერთხელ გირაოს ბაზა 2022 წლის 1 იანვარს არსებული მოცულობის 25 პროცენტით შემცირდება.

ბოლო კვარტალში ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტის შემცირება ძირითადად სესხებზე მოთხოვნის ზრდას უკავშირდება, რამაც დაგროვილი ლიკვიდობის ათვისებას შეუწყო ხელი. წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტი (NSFR) ასევე მაღალ დონეს ინარჩუნებდა და წლის განმავლობაში 130 პროცენტის ფარგლებში იყო.

დიაგრამა N 4.30 ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტის (LCR) დინამიკა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა N 4.31 წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტი*



*ბრძანება ამოქმედდა 2019 წლის 1 სექტემბრიდან

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2021 წლის განმავლობაში ლიკვიდური აქტივების გეპის სტრუქტურა სტაბილურობას ინარჩუნებდა როგორც 1 წლამდე, ისე 1 წელზე მეტ დროის კალათებში.

დიაგრამა N 4.32 ლიკვიდობის გეპი - აქტივების თანაფარდობა ვალდებულებებთან



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა N 4.33 ლიკვიდური აქტივების მოცულობა და სტრუქტურა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

4.8.2 ვალდებულებების სტრუქტურა

ვალდებულების სტრუქტურაში წინა წელთან შედარებით გაზრდილია მიმდინარე და მოთხოვნამდე ანგარიშების წილი. სტაბილურობას ინარჩუნებს როგორც ჯამურად ვადიანი დეპოზიტების, ასევე სადეპოზიტო სერტიფიკატების წილი. მცირედით შემცირებულია ნასესხები სახსრების წილი. ამასთან, ბანკები ვალდებულების სტრუქტურის რისკების შესაბამისი ლიკვიდური აქტივების საკმაოდ კომფორტულ დონეს ინარჩუნებენ.

დიაგრამა N 4.34 ვალდებულებების სტრუქტურა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საბანკო სისტემის დაფინანსების სტრუქტურაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს გამოუთხოვადი სადეპოზიტო სერტიფიკატების პროდუქტის განვითარება და ზრდა. აღნიშნული პროდუქტი სტაბილურ დაფინანსებას წარმოადგენს, რაც, ერთი მხრივ, ბანკს ლიკვიდობის დაბალი რისკის მქონე რესურსით უზრუნველყოფს, მეორე მხრივ კი, დეპოზიტორს საშუალებას აძლევს, უფრო მაღალი საპროცენტო სარგებელი მიიღოს. სადეპოზიტო სერტიფიკატების ზრდა 2021 წლის განმავლობაშიც გაგრძელდა და წლის ბოლოს 6 მლრდ ლარს გადააჭარბა, რაც 2020 წლის ბოლოს არსებული ანალოგიურ მაჩვენებელზე 261 მლნ-ით მეტია და ჯამურად მთლიანი არასაბანკო დეპოზიტების 16.4 პროცენტი შეადგინა.

დიაგრამა N 4.35 სადეპოზიტო სერტიფიკატები და მათი წილი არასაბანკო დეპოზიტებში



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

4.8.3 საცალო დაფინანსება

2021 წლის განმავლობაში დეპოზიტები 2.6 მლრდ ლარით (7.6 პროცენტი, გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე 11.3 პროცენტი) გაიზარდა და დეკემბრისათვის 37.2 მლრდ ლარი (მშპ-ს 61.8 პროცენტი) შეადგინა, რაც მშპ-ს 62 პროცენტია. დეპოზიტარების სტრუქტურის მიხედვით, ფიზიკური და იურიდიული პირების ანაბრების ზრდა, შესაბამისად, 9.7 პროცენტი და 5.2 პროცენტი (გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე, შესაბამისად, 14.4 და 7.8 პროცენტი) იყო. 2021 წლის განმავლობაში გაიზარდა დეპოზიტების ლარიზაციაც და დეკემბრის ბოლოსთვის 39.9 პროცენტი შეადგინა.

დიაგრამა N 4.36 არასაბანკო დეპოზიტების წლიური ზრდა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა N 4.37 საბანკო სექტორის დეპოზიტების მშპ-თან ფარდობა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

არარეზიდენტი კლიენტების დეპოზიტების წილი მთლიან არასაბანკო დეპოზიტებში 2021 წლის განმავლობაში უმნიშვნელოდ შეიცვალა და დეკემბრის ბოლოსთვის 14.2 პროცენტი შეადგინა. წარმოშობის ქვეყნების მიხედვით ეს დეპოზიტები კვლავ დივერსიფიცირებულია, რაც, რისკიანობის კუთხით, დადებითი ფაქტორია. ამასთან, ვადიანი დეპოზიტების წილი მაღალია, რაც გადინების რისკს მნიშვნელოვნად ამცირებს. ამ ტიპის დაფინანსებაზე ჭარბი დამოკიდებულების პრევენციის მიზნით, საქართველოს ეროვნული ბანკი არარეზიდენტებისგან მოზიდული დეპოზიტებისთვის[71] დამატებითი ლიკვიდობის მოთხოვნას ინარჩუნებს. არარეზიდენტების დეპოზიტების მაღალი წილის მქონე ბანკებში დამატებითი ლიკვიდობის საჭიროება ამ ტიპის დეპოზიტების პორტფელის მოზიდვის სტიმულს ამცირებს, რაც, შესაბამისად, ბოლო წლებში არარეზიდენტების დეპოზიტების წილის დასტაბილურებაში გამოიხატა.

71. ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტის კალკულაციის მიზნით, არარეზიდენტების დეპოზიტებს რეზიდენტებთან შედარებით უფრო მაღალი გადინების განაკვეთები მიეყენებათ.

დიაგრამა N 4.38 არარეზიდენტი კლიენტების დეპოზიტების წილი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა N 4.39 არარეზიდენტების დეპოზიტების სტრუქტურა (2021 წლის დეკემბერი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა N 4.40 არარეზიდენტების დეპოზიტები ქვეყნების ჭრილში (2021 წლის დეკემბერი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

4.8.4 საბითუმო დაფინანსება

2021 წლის განმავლობაში სესხების დეპოზიტებთან თანაფარდობა სტაბილურია და მაღალ დონეზე ნარჩუნდება. აღსანიშნავია, რომ ლარის სესხებისა და დეპოზიტებისთვის დათვლილი იგივე კოეფიციენტი კვლავ აჭარბებს უცხოური ვალუტით სესხებისა და დეპოზიტებისთვის დათვლილ მაჩვენებელს, რასაც, გარკვეულწილად, სავალუტო რისკებისა და ლარიზაციის ღონისძიებების გამო ლარის სესხების მაღალი ზრდის ტემპიც განაპირობებს.

დიაგრამა N 4.41 მთლიანი სესხების შეფარდება არასაბანკო დეპოზიტებთან ვალუტების მიხედვით



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საბითუმო დაფინანსების გარე წყაროებიდან მიღებული თანხები საკმაოდ დივერსიფიცირებულია როგორც კრედიტორების ტიპის, ისე დაფარვის ნარჩენი ვადიანობის მიხედვით. აღნიშნული დაფინანსების 60 პროცენტამდე წილის ნარჩენი ვადიანობა 2 წელს აჭარბებს, რაც სისტემის ფონდირების რისკებს ამცირებს.

საბითუმო დაფინანსების 56 პროცენტი საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებზე მოდის, 10 პროცენტი – მშობელ/დაკავშირებულ კომპანიებზე, ხოლო 34 პროცენტი – სხვა კერძო ინსტიტუტებზე. დაბალ რისკად შეიძლება შეფასდეს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მაღალი წილი და დაფარვის გრძელვადიანი გრაფიკი. ფონდირების რისკების მართვის მიზნებისთვის, ეროვნული ბანკი რეგულარულად ახორციელებს კოვენანტების[72] მონიტორინგს.

ცხრილი N 4.9 საბითუმო დაფინანსების გარე წყაროები და მათი დაფარვის გრაფიკი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თვე	<1	1–3	3–6	6–12	12–24	24–36	36–60	>60	ჯამი
ჯამი	**5.5%**	**2.2%**	**4.0%**	**11.1%**	**17.5%**	**28.5%**	**15.2%**	**16.0%**	**100.0%**
საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები	2.1%	2.0%	2.1%	6.5%	11.2%	9.3%	12.9%	10.4%	56.2%
დაკავშირებული/მშობელი ფინანსური ინსტიტუტები	0.5%	0.0%	0.2%	0.6%	3.7%	2.0%	0.9%	2.2%	10.0%
სხვა კერძო დაფინანსება	3.0%	0.2%	1.8%	4.1%	2.7%	17.2%	1.5%	3.3%	33.8%

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

72. სასესხო ხელშეკრულებით დაწესებული შეზღუდვები.

საქართველოს ეროვნული ბანკი კვლავ აგრძელებს კომერციული ბანკების დაფინანსების სტრუქტურის სტაბილურობის მონიტორინგს და შეფასებას. ამ პროცესში მნიშვნელოვანია დაფინანსების წყაროების კონცენტრაციის ანალიზი სხვადასხვა ჭრილში და დივერსიფიცირებული სტრუქტურის შენარჩუნება. 2021 წელს განისაზღვრა სახელმწიფო და სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული ორგანიზაციებიდან არაუზრუნველყოფილი სახსრების მოზიდვის ლიმიტი, არაუმეტეს კომერციული ბანკის სააქციო კაპიტალის 200 პროცენტის ოდენობით, რაც უზრუნველყოფს სახელმწიფო დეპოზიტებზე ჭარბი დამოკიდებულების პრევენციას და მეტად დივერსიფიცირებული დაფინანსების წყაროების წახალისებას.

4.9 მაკროპრუდენციული რისკები

საქართველოს ეროვნული ბანკი აგრძელებს სისტემური რისკების ისეთ მაჩვენებლებზე დაკვირვებას, რომლებმაც, შესაძლოა, საბანკო სექტორზე მატერიალური გავლენა იქონიოს. აღნიშნული რისკების შესახებ ინფორმაცია წინამდებარე ანგარიშის სხვადასხვა თავშიც არის მოცემული. ამ მიმართულებით გასული წლის მთავარ გამოწვევას კვლავ COVID-19 პანდემიის შედეგად წარმოქმნილი ფინანსური სექტორის სტაბილურობის რისკების შეფასება და შესაბამისი მაკროპრუდენციული და საზედამხედველო პოლიტიკების შემუშავება და განხორციელება წარმოადგენდა.

საქართველოს ეროვნული ბანკი ახორციელებს მაკროპრუდენციულ ზედამხედველობას შემდეგი ძირითადი მიმართულებებით: უცხოური ვალუტით გაცემული სესხების გამო არაჰეჯირებული მსესხებლებისათვის ვალის გაზრდილი ტვირთი; მოსახლეობის მოწყვლადი ნაწილის ჭარბვალიანობა; მძაფრი კონკურენცია ბიზნეს და იპოთეკურ დაკრედიტებაში პროდუქტებზე ფასდადების არასრულყოფილი მოდელების ფონზე; კიბერრისკები და თაღლითობები სისტემის მასშტაბით; ფინანსურ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული არარეგულირებადი ფინანსური შუამავლობის პოტენციური ზრდა; რეგიონში არსებული საფრთხეები და ა.შ.

2021 წლის განმავლობაში მიღებულ იქნა რამდენიმე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება COVID-19-თან დაკავშირებით გამოთავისუფლებული კაპიტალის ბუფერების აღდგენის გრაფიკის განსაზღვრის და მაკროპრუდენციული პოლიტიკის დახვეწის მიმართულებით:

- კრიზისის დასაწყისში გამოთავისუფლებული ბუფერების აღდგენა 2022 წლის 1 იანვარს დაიწყება და 2 წელი გაგრძელდება;
- ბანკებს არაჰეჯირებული სავალუტო საკრედიტო რისკის (CICR) ბუფერის აღსადგენად დრო 2023 წლის 1 იანვრამდე, ხოლო კაპიტალის კონსერვაციის ბუფერის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად კი 2024 წლის 1 იანვრამდე მიეცათ;
- შეიცვლება სავალუტო საკრედიტო რისკის ბუფერის (CICR) დათვლის მეთოდი და ის დამოკიდებული იქნება კომერციული ბანკის საკრედიტო პორტფელის დოლარიზაციის დონეზე, რაც ბანკებისთვის სესხის ლარიზაციას მოტივაციას გაზრდის;
- უცხოური ვალუტის იპოთეკური სესხების მაქსიმალური ვადა 15-დან 10 წლამდე შემცირდება;

წლის განმავლობაში, კონტრციკლური ბუფერი კვლავ უცვლელად, 0 პროცენტზე დარჩა.

ფინანსური სექტორისთვის გამოწვევად რჩება დეპოზიტების დოლარიზაცია, რომელიც, ბოლო წლებში მნიშვნელოვანი შემცირების მიუხედავად, კვლავ მაღალ დონეზე ნარჩუნდება. ეს პარამეტრი განსხვავდება კლიენტების და დეპოზიტების ტიპების მიხედვით. დოლარიზაცია ფიზიკური პირების დეპოზიტებში უფრო მაღალია; შედარებით დაბალი კი, იურიდიული პირების ანგარიშებზე, რაც კომპანიების საოპერაციო საქმიანობაში ლარის საჭიროებიდან გამომდინარეობს. განსაკუთრებით საყურადღებოა ფიზიკური პირების ვადიანი დეპოზიტების 73 პროცენტიანი დოლარიზაცია. დეპოზიტების აღნიშნული ტიპი მთ-

ლიანი პორტფელის ყველაზე მსხვილი მუხლია და რადგანაც მისი დოლარიზაციის ტრენდი მთლიანი დეპოზიტების დოლარიზაციაზე დიდ გავლენას ახდენს, ის ფიზიკური პირების მხრიდან სავალუტო კურსის მიმართ მოლოდინების კარგი საზომია.

დიაგრამა N 4.42 დეპოზიტების დოლარიზაციის დინამიკა (ფიქსირებული გაცვლითი კურსით)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ვალუტების შეუსაბამობით გამოწვეული საკრედიტო რისკისთვის ეროვნული ბანკი პრუდენციულ მიდგომას ინარჩუნებს. კერძოდ, არაჰეჯირებულ მსესხებლებზე გაცემული უცხოური ვალუტის სესხებისთვის დამატებითი კაპიტალის მოთხოვნა მოქმედებს, ხოლო ფიზიკური პირების შემთხვევაში, დამატებით, უფრო კონსერვატული საკრედიტო სტანდარტებია დაწესებული. ვალდებულებების ლარიზაციის მხარდასაჭერად კი, ეროვნული ბანკი ეროვნული ვალუტისთვის ლიკვიდობის და მინიმალური რეზერვების უფრო შეღავათიან მოთხოვნებს იყენებს. მაღალი დოლარიზაციის თანმდევი რისკების მაკროპრუდენციული ინსტრუმენტებით შერბილებისათვის გასათვალისწინებელია, რომ ბანკების ლიკვიდობის საგანგებო გეგმის, შერბილების სხვა ღონისძიებების ან ეროვნული ბანკის მხრიდან მხარდაჭერის ინსტრუმენტების გამოყენების შესაძლებლობა უცხოური ვალუტით შეზღუდულია, რაც გლობალური ტენდენციებისა და რეგიონის რისკებთან ერთად, ასევე უცხოური ვალუტის მინიმალური რეზერვებისა და ლიკვიდობის მაღალი მოთხოვნების აუცილებლობას ადასტურებს.

4.10 საოპერაციო რისკი

საოპერაციო რისკი წარმოადგენს დანაკარგის რისკს, რომელიც გამომდინარეობს გაუმართავი/არაეფექტიანი შიდა პროცესებიდან, ადამიანებისგან, სისტემებიდან ან გარეშე მოვლენებიდან. ამ გარეშე ფაქტორების კატეგორიას მიეკუთვნება გლობალური პანდემია ახალი COVID-19-ის სახით, რომელმაც დიდი და ფართომასშტაბიანი ზეგავლენა იქონია მსოფლიოზე. პანდემიამ ფინანსური სექტორი საოპერაციო რისკის თვალსაზრისით ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია საოპერაციო რისკის როლი თანამედროვე ორგანიზაციებში, სადაც ელექტრონულ საინფორმაციო სისტემებზე დამოკიდებულება დიდი ტემპით იზრდება. მოცემული პროცესი განპირობებულია ფინანსური ინსტიტუტების ციფრული ტრანსფორმაციით, ახალი ფინანსური ტექნოლოგიების დანერგვითა და უფრო რთული ოპერაციებისა და კომპლექსური ფინანსური მომსახურების დამკვიდრებით. გლობალურმა პანდემიამ ფინანსური დაწესებულებების ციფრული გარდაქმნის პროცესი დააჩქარა. ზემოთქმულიდან გამომდინარე, საოპერაციო რისკების მართვის თვალსაზრისით, ერთ-ერთ მთავარ რისკს წარმოადგენს კიბერრისკი და კიბერუსაფრთხოების მართვასთან დაკავშირებული თანამედროვე გამოწვევები.

საქართველოს ეროვნული ბანკი დიდ ყურადღებას უთმობს საქართველოს საფინანსო სექტორში საოპერაციო რისკების ცნობიერების ამაღლებას, საოპერაციო რისკების მართვის გაფართოებასა და საზედამხედველო პრინციპების განვითარებას.

წლის მანძილზე, საქართველოს ფინანსური სექტორის საოპერაციო რისკების მართვის ხელშეწყობისთვის, ხორციელდებოდა საოპერაციო რისკებთან დაკავშირებულ საკითხებზე სახელმძღვანელოების, მითითებებისა და რეკომენდაციების შემუშავება. ამ მხრივ, დამუშავდა „საოპერაციო რისკების დანაკარგების აღრიცხვის სახელმძღვანელო“, „აუთსორსინგული მომსახურების სახელმძღვანელო“, რეკომენდაციები ბანკომატების დაცვასთან დაკავშირებით“, „რეკომენდაციები ერთჯერად კოდებთან და დაკავშირებულ საინფორმაციო სისტემებთან (პროცესებთან) მიმართებაში“.

მოცემულ პერიოდში, საქართველოს ეროვნული ბანკი, კომერციულ ბანკებთან ერთად, მუშაობას განაგრძობდა იმისათვის, რომ ბანკებს გააჩნდეთ სათანადო და მოქნილი კონტროლის მექანიზმები, განავითარონ და დანერგონ თაღლითობის მონიტორინგის გაუმჯობესებული მართვის ინსტრუმენტები და საინფორმაციო სისტემები. საქართველოს ეროვნული ბანკისთვის საგადახდო ბარათებთან დაკავშირებული სხვადასხვა სახის თაღლითობის მოვლენების აღმოჩენისა და აღკვეთის პროცესების განვითარება ერთ-ერთი პრიორიტეტია.

გასული წლის მანძილზე საოპერაციო რისკების ზედამხედველობა აქტიურად იყო ჩართული საბანკო სექტორში ღია ბანკინგის, ციფრული ბანკინგის, პირის დისტანციური იდენტიფიკაციის პროცესებთან დაკავშირებული საოპერაციო და კიბერ რისკების შესწავლასა და შეფასებაზე.

სებ-ი განაგრძობს კომერციული ბანკების ბიზნეს უწყვეტობის გეგმის ტესტირების განხორციელების მონიტორინგს, რაშიც აქტუალურია პანდემიის სცენარის პირობებში თანამშრომელთა უწყვეტობისა და კრიტიკული პროცესების შეუფერხებლად მუშაობის შენარჩუნების მზადყოფნა.

პანდემიური და მაკრო-ეკონომიკური სიტუაციებიდან გამომდინარე, უფრო აქტუალური გახდა საოპერაციო რისკის პროგნოზირების ინსტრუმენტების გაფართოება. ამ მხრივ, მიმდინარეობს საოპერაციო რისკების სტრეს-ტესტების შესწავლა და კვლევა, რაც ნეგატიური სცენარის დადგომის შემთხვევაში ორგანიზაციის კაპიტალსა და ფინანსურ მდგომარეობაზე მოვლენის მოსალოდნელი ზეგავლენის განსაზღვრის შესაძლებლობას იძლევა. გამომდინარე აქედან, მეტი მნიშვნელობა ენიჭება პოტენციური თუ რეალური საოპერაციო რისკების დანაკარგების ისტორიული მონაცემების აღრიცხვის სიზუსტესა და სრულყოფას, საოპერაციო რისკების მოვლენების მიზეზ-შედეგობრივ ანალიზსა და სისტემური ზეგავლენის შეფასებას.

4.10.1 საოპერაციო რისკი საქართველოს საბანკო სექტორში

საქართველოს საბანკო სექტორი ქვეყნის ეკონომიკის ხერხემალს წარმოადგენს. ადგილობრივი საბანკო სისტემა გამოირჩევა საბანკო პროდუქტებისა და მომსახურების შედარებით დაბალი სირთულით და კომპლექსურობით, მაგრამ საბანკო სექტორის მუდმივი განვითარებისა და

გარდაქმნის პირობებში, სწრაფი ტემპით ინერგება ახალი საბანკო პროდუქტები და მომსახურებები, რომლებიც უფრო მეტად ეფუძნება საინფორმაციო სისტემებს. ზემოაღნიშნული გარემოება ფინანსური სექტორის თანმდევ საოპერაციო რისკსაც ზრდის. ამავდროულად, 2020 წლის მსგავსად, 2021 წლის მანძილზეც გაიზარდა ციფრული მომსახურების რაოდენობა, რომელიც ნაწილობრივ განპირობებული იყო ახალ COVID-19-თან დაკავშირებული პანდემიით და სხვადასხვა სახის ბიზნეს პროცესისა და მომსახურების დისტანციურ რეჟიმში განხორციელებით.

2021 წელს, საქართველოს კომერციული ბანკების მთლიანმა საოპერაციო დანაკარგმა 27.7 მილიონი ლარი შეადგინა. ზემოაღნიშნული მაჩვენებელი 2020 წლის მთლიან დანაკარგზე 6.5 პროცენტით ნაკლებია. მთლიანი დანაკარგი იმ სახის დანაკარგს წარმოადგენს, რომელიც საოპერაციო მოვლენასთან დაკავშირებულ თავდაპირველ თანხობრივ მაჩვენებელს უკავშირდება, საოპერაციო დანაკარგის ყოველგვარ ანაზღაურება/დაბრუნებამდე.

2021 წელს დაფიქსირდა საოპერაციო დანაკარგის 18 269 მოვლენა, რაც 2020 წლის მაჩვენებელთან შედარებით 0.4 პროცენტით მეტია. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ეროვნული ბანკის საოპერაციო რისკების ანგარიშგების ფარგლებში, კომერციული ბანკი ვალდებულია აღრიცხოს ყველა საოპერაციო დანაკარგის მოვლენა, რომლის მთლიანი დანაკარგი უდრის ან აღემატება 10 ლარს. დიაგრამა N 4.43 2021 წლის მთლიანი საოპერაციო დანაკარგის დინამიკას ასახავს.

დიაგრამა N 4.43 2021 წლის მთლიანი დანაკარგის დინამიკა საბანკო სექტორისთვის



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა N 4.44 ასახავს მთლიანი საოპერაციო დანაკარგის დინამიკას ბოლო ხუთი წლის მანძილზე (2017-2021წწ.). ბოლო ერთი წლის მანძილზე, მსხვილი საოპერაციო რისკის მოვლენა დაფიქსირდა მაისში, რამაც მოცემული თვის საოპერაციო რისკის დანაკარგის წინა წლის იგივე პერიოდთან შედარებით ზრდა განაპირობა. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ დეკემბერში ისტორიულად უფრო მეტი საოპერაციო მოვლენები აღირიცხება, ვიდრე წლის სხვა დროს, რაც დიდწილად საანგარიშგებო წლის დასრულებასთან არის დაკავშირებული.

დიაგრამა N 4.44 ბოლო ხუთი წლის მთლიანი დანაკარგის დინამიკა (2017-2021 წწ.)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა N 4.45-ში წარმოდგენილია მთლიანი საოპერაციო რისკის თანხობრივი მაჩვენებლის პროპორციული განაწილება ბოლო ხუთი წლის მანძილზე (2017-2021წწ.). 2021 წლის მთლიანი საოპერაციო დანაკარგი 2017-21 წლებში დაფიქსირებული საერთო დანაკარგის 23 პროცენტს შეადგენდა. პროპორციულად ყველაზე მეტი საოპერაციო დანაკარგი ბოლო ხუთი წლის მანძილზე 2020 წელს დაფიქსირდა და მოცემული პერიოდის საერთო დანაკარგის 25 პროცენტი შეადგინა.

დიაგრამა N 4.45 ბოლო ხუთი წლის (2017-2021 წწ.) მთლიანი საოპერაციო დანაკარგის პროპორციული განაწილება



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსური სისტემის საოპერაციო რისკის განსასაზღვრად, ერთ-ერთ ყველაზე კარგ საზომს საოპერაციო რისკის დანაკარგის ინდიკატორი წარმოადგენს. მოცემული მაჩვენებელი გამოითვლება ფინანსური სისტემის მთლიანი საოპერაციო დანაკარგის მთლიან შემოსავალთან შეფარდებით. 2021 წელს, ჯამური წლიური მთლიანი დანაკარგების შეფარდება ბაზელ 2-ის მიხედვით დათვლილ მთლიან შემოსავალთან 0.74 პროცენტს შეადგენდა. დიაგრამა N 4.46-ში წარმოდგენილია საქართველოს საბანკო სექტორის საოპერაციო დანაკარგის ინდიკატორის დინამიკა თვეების მიხედვით.

დიაგრამა N 4.46 2020 წლის საოპერაციო დანაკარგის ინდიკატორის დინამიკა (მთლიანი დანაკარგი შეფარდებული მთლიან შემოსავალთან)



საოპერაციო რისკების ინდიკატორი კუმულატიური - 0.74% (დანაკარგი/მთლიან შემოსავალთან)
2021 წლის საოპერაციო დანაკარგი -27,688,143 ლარი
შემოსავალი - 3,680,926,672 ლარი

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2021 წელს, 2020 წლის მსგავსად, საოპერაციო დანაკარგები, ძირითადად, საცალო საბანკო მომსახურებისა და ასევე, გარკვეულწილად, კომერციულ საბანკო მომსახურების ბიზნეს ხაზებში ფიქსირდებოდა. საცალო საბანკო მომსახურების ბიზნეს ხაზი, უშუალოდ საცალო საბანკო მომსახურებასთან ერთად, ასევე მოიცავს საგადახდო ბარათებთან დაკავშირებულ საოპერაციო დანაკარგებსაც. ის ფაქტი, რომ საქართველოს საბანკო სექტორში საოპერაციო დანაკარგები უმეტესწილად საცალო და კომერციულ საბანკო საქმიანობის ბიზნეს ხაზებში გხვდება, განპირობებულია იმით, რომ მოცემული ორი ბიზნეს ხაზი საბანკო სექტორის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს. ბაზელის პრინციპებით განსაზღვრული დანარჩენი ექვსი ბიზნეს ხაზი საქართველოში აქტიურად განვითარებული არ არის[73].

თუ საოპერაციო დანაკარგებს მოვლენათა კატეგორიების მიხედვით დავყოფთ, დანაკარგების ყველაზე დიდი წილი თანხობრივად (მთლიანი დანაკარგების 51 პროცენტი), პროცესების მართვის კატეგორიაში დაფიქსირდა, ხოლო სიდიდით მეორე კატეგორია (20 პროცენტი ხვედრითი წილით) შიდა თაღლითობაზე მოდიოდა. მესამე ყველაზე მსხვილ კატეგორიას, მთლიანი დანაკარგის 17 პროცენტის საერთო დანაკარგით, გარე თაღლითობა წარმოადგენდა. აღსანიშნავია, რომ შიდა თაღლითობის პროპორციული ზრდა წინა წელთან შედარებით განპირობებულია შიდა თაღლითობის ერთი მსხვილი მოვლენით, რომელიც ფინანსურ სექტორში 2021 წლის მაისში დაფიქსირდა. 2021 წლის საოპერაციო დანაკარგების სტრუქტურა ასახულია დიაგრამა N 4.47-ზე.

73. ბაზელის ბიზნეს ხაზების დეტალური აღწერა მოყვანილია საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკის ბაზელ II–ის დოკუმენტის მე–8 დანართში (ბმული: http://www.bis.org/publ/bcbs128.pdf). ბაზელის კლასიფიკაციის მიხედვით, საქართველოში, კორპორატიული ფინანსების, საფინანსო ინსტრუმენტებით ვაჭრობისა და გაყიდვების, გადახდებისა და ანგარიშსწორების, სამეურვეო/სააგენტო მომსახურების, აქტივების მართვისა და საცალო საბროკერო მომსახურების ბიზნეს ხაზები აქტიურად არ არის განვითარებული.

დიაგრამა N 4.47 საბანკო სისტემის 2021 წლის მთლიანი დანაკარგის განაწილება მოვლენათა კატეგორიების მიხედვით



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

4.11 კიბერუსაფრთხოება

პანდემიიდან გამომდინარე, დისტანციური მომსახურების არხების განვითარება-დანერგვის პირობებში და, ასევე, გაზრდილი გეოპოლიტიკური რისკების ფონზე, კიბერუსაფრთხოება საფინანსო სექტორისთვის კვლავ ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს. საქართველოს ეროვნული ბანკი მუდმივმოქმედ რეჟიმში აკვირდება საბანკო სექტორში მიმდინარე მოვლენებს და ახორციელებს კიბერრისკის მონიტორინგს, რათა კიბერ შეტევების იდენტიფიცირების შემთხვევაში, დროულად განხორციელდეს აღმოფხვრითი ღონისძიებები, შეტევის ანალიზი და, მასზე დროული რეაგირების მიზნით, მთლიან საბანკო სექტორთან აღნიშნული ინფორმაციის მყისიერი შეტყობინება. აღსანიშნავია, რომ 2019 წელს საბანკო სექტორში დაინერგა კიბერუსაფრთხოების საზედამხედველო მოთხოვნები, რომელთა საფუძველზეც საქართველოს ეროვნული ბანკი საბანკო სექტორში კიბერუსაფრთხოების მართვის ჩარჩოს დანერგვის, გამართვისა და მუდმივი გაუმჯობესების მონიტორინგსა და ზედამხედველობას უზრუნველყოფს. ზემოაღნიშნული საზედამხედველო მოთხოვნების გარდა, კომერციულ ბანკებს დამატებით ევალებათ ინფორმაციული სისტემების აუდიტისა და აღნიშნულ სისტემებზე შეღწევადობის ტესტირებების განხორციელება, რაც სხვადასხვა სისუსტეების აღმოფხვრას და კიბერ რისკების შემცირებას ემსახურება. შესაბამისად, საქართველოს ეროვნული ბანკი ზემოაღნიშნული ტესტირებების/აუდიტების ჩატარებასა და ხარისხის კონტროლს დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. ასევე, საყურადღებოა ბიზნეს უწყვეტობისა და მზადყოფნის გეგმების არსებობა და მათი ეფექტიანობა პოტენციურად მასშტაბური კიბერ ინციდენტის დადგომისას.

2021 წლის ფარგლებში საბანკო სექტორში ძირითადად ფიქსირდებოდა ე.წ. ფიშინგისა და მომსახურების შეფერხების განაწილებული (DDos) შეტევები, რომლის შედეგადაც ჰაკერები ახორციელებდნენ მომხმარებლების კონფიდენციალური და სენსიტიური ინფორმაციის მოპარვას და შემდგომ სათავისოდ გამოყენებას (ფიშინგის შემთხვევაში) ან გარკვეული დროის მანძილზე კომერციული ბანკების სერვისების შეფერხებას (DDos შეტევების შემთხვევაში). საქართველოს ეროვნული ბანკი კომერციულ ბანკებთან ერთად აქტიურად მუშაობდა მსგავსი სახის მოვლენების აღსაკვეთად სათანადო

კონტროლის მექანიზმების გაუმჯობესებაზე, ინციდენტების დროულ იდენტიფიცირება/აღმოფხვრასა და დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაციაზე.

მსოფლიოში არსებული პანდემიური მდგომარეობის გათვალისწინებით, 2021 წელს ფინანსური სექტორის ძირითადი ნაწილი კვლავ განაგრძობდა დისტანციურ ან/და ჰიბრიდულ სამუშაო რეჟიმში მუშაობას, რის საფუძველზეც კვლავ აქტუალური რჩება კიბერ რისკები და მათი ზეგავლენის შემცირებისაკენ მიმართული ქმედებების განხორციელება. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ეროვნული ბანკი კომერციულ ბანკებთან ერთად აქტიურად მუშაობდა ბანკებში უსაფრთხოების სათანადო ზომებისა და კონტროლების მექანიზმის დანერგვაზე, თანამშრომელთა ცნობიერების ამაღლების, შიდა კორპორატიული ქსელის უსაფრთხოების, თანამშრომელთა პერსონალური კომპიუტერების უსაფრთხოებისა და სხვა მიმართულებებით.

2021 წლის განმავლობაში, კვლავ აქტიურად ხორციელდებოდა კიბერუსაფრთხოების მიმართულებით ცნობიერების ამაღლების სამუშაოები, როგორც საფინანსო სექტორისთვის, ასევე მისი მომხმარებლებისთვის. ამ მიმართულებით აღსანიშნავია, რომ საქართველოს ეროვნული ბანკის ორგანიზებით საფინანსო სექტორი ჩაერთო საერთაშორისო კამპანიაში და 2021 წელს, საქართველოში პირველად, კიბერუსაფრთხოების ცნობიერების ამაღლების თვე მოეწყო. აღნიშნული კამპანიის ფარგლებში ეროვნული ბანკისა და კომერციული ბანკების ორგანიზებით განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიებები, მათ შორის კონკურსები, კონფერენციები, შემეცნებითი ვიდეო რგოლები და სხვა, რამაც ხელი შეუწყო მოსახლეობაში კიბერუსაფრთხოების ცნობიერების ამაღლების პროცესს.

2021 წელს ასევე განახლდა საქართველოს ინფორმაციული უსაფრთხოების კანონი, რომლის ფარგლებშიც მოხდა კრიტიკული ინფრასტრუქტურის მქონე სუბიექტების განსაზღვრა სამ კატეგორიად. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული სიის მესამე კატეგორიაში განისაზღვრა 3 სისტემური მნიშვნელობის ბანკი, რომელზეც ინფორმაციული უსაფრთხოების კანონი და ციფრული მმართველობის სააგენტოს მიერ შემუშავებული ნორმატიული აქტებით/წესებით განსაზღვრული უსაფრთხოების სხვა მინიმალური მოთხოვნები გავრცელდება. საქართველოს ეროვნული ბანკი ზემოაღნიშნული სამი სისტემური მნიშვნელობის ბანკის ჭრილში აქტიურად მუშაობდა აღნიშნული კანონის ჩამოყალიბებასა და ამ მიმართულებით საზედამხედველო პროცესების განსაზღვრაში.

საქართველოს ეროვნული ბანკის, საბანკო ასოციაციისა და კომერციული ბანკების ჩართულობით, 2021 წელს მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა ღია ბანკინგის დანერგვისა და განვითარების მიმართულებით, რაც, მომხმარებლის მოთხოვნისა და ნებართვის საფუძველზე მესამე მხარის ფინანსური სერვისის პროვაიდერებს მათ საბანკო და ფინანსურ მონაცემებზე აპლიკაციის პროგრამირების ინტერფეისების (APIs) მეშვეობით წვდომის საშუალებას აძლევს. ღია ბანკინგში საგადახდო მომსახურების პროვაიდერების ჩართვას, რომელთა მიერაც მოხდება სენსიტიური ფინანსური ინფორმაციის ფლობა, დამუშავება და გაზიარება, ახლავს მონაცემთა გაჟონვის, ადამიანური შეცდომის, მესამე მხარის ინფორმაციულ სისტემებში არსებული სისუსტეების, აუთსორსინგულ მომსახურებასთან და სხვა კიბერუსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები, რაც კიბერ თავდამსხმელებს სენსიტიურ ინფორმაციაზე წვდომის მოპოვების და თაღლითური ფინანსური ოპერაციების განხორციელების შესაძლებლობას აძლევს. შესაბამისად, ღია ბანკინგთან დაკავშირებული კიბერ რისკებისა და მათი რეალიზაციის შედეგად გამოწვეული უარყოფითი შედეგების მაქსიმალურად შემცირების მიზნით, საქართველოს ეროვნული ბანკის კიბერ-რისკის ზედამხედველობის განყოფილებამ კიბერ უსაფრთხოების მოთხოვნები შეიმუშავა, რასაც საგადახდო მომსახურების ის პროვაიდერი უნდა აკმაყოფილებდეს, რომელსაც ღია ბანკინგში ჩართვა სურს.

4.11.1 კიბერრისკის მიმართულებით გადადგმული საზედამხედველო ნაბიჯები

საზედამხედველო ფუნქციისა და ინსტრუმენტების განვითარების ჭრილში, გარდა ზემოხსენებული მოთხოვნებისა, საქართველოს ეროვნული ბანკის კიბერ-რისკის ზედამხედველობის განყოფილებამ შეიმუშავა „კომერციულ ბანკებში საინფორმაციო სისტემებისა და კიბერუსაფრთხოების მართვის ჩარჩოს აუდიტის სახელმძღვანელო“. აღნიშნული დოკუმენტი განსაზღვრავს საინფორმაციო სისტემებისა და კიბერუსაფრთხოების მართვის ჩარჩოს აუდიტის პროცესის, აუდიტის ანგარიშისა და აუდიტის პროცესში მონაწილე აუდიტორთა გუნდის კომპეტენციის, მიუკერძოებლობისა და ოპერირების მოთხოვნებს, რაც, საბოლოოდ, საინფორმაციო სისტემებისა და კიბერუსაფრთხოების მართვის ჩარჩოს შეფასების ეფექტურობისა და ხარისხის გაზრდას და საზედამხედველო მითითებებთან შესაბამისობის უკეთ განსაზღვრას უზრუნველყოფს.

4.11.2 აუთსორსინგი და მესამე მხარის რისკი

დღეს, აუთსორსინგულ მომსახურებასთან დაკავშირებული რისკები საოპერაციო რისკების მიმართულებით ერთ-ერთი საყურადღებო გამოწვევაა. საფინანსო სექტორში სულ უფრო აქტიურ ფაზაში შედის ფინანსური ტექნოლოგიების დანერგვა, რაც, დიდწილად, აუთსორსინგული მომსახურებით ხორციელდება და, შესაბამისად, იზრდება მესამე მხარეზე დამოკიდებულებისა და კონცენტრაციის რისკი. საოპერაციო რისკის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია ფინანსურ დაწესებულებებს გააჩნდეს აუთსორსინგულ მომსახურებასთან დაკავშირებული ისეთი პოლიტიკა/პროცედურები, რომლებიც რისკების შეფასების, მონიტორინგის, გამოსვლის გეგმისა და ბიზნესუწყვეტობის მართვას ითვალისწინებენ.

ეროვნული ბანკი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს აუთსორსინგული მომსახურების მართვისა და მონიტორინგის საკითხებს. ამჟამად, ევროპის საბანკო უწყების (EBA - European Banking Authority) რეკომენდაციებთან დაახლოებისა და ფინანსური დაწესებულებებისთვის აუთსორსინგულ მომსახურებებთან დაკავშირებული რისკების მინიმიზაციის მიზნით, გრძელდება მუშაობა შესაბამისი მარეგულირებელი აქტებისა და სახელმძღვანელოების შესწავლასა და საქართველოს ბაზარზე მორგებაზე.

4.11.3 საბანკო სისტემის სხვა სექტორებზე დამოკიდებულება

საქართველოს საბანკო სისტემა, მსოფლიოს მრავალი სხვა საბანკო სისტემის მსგავსად, კრიტიკულად არის დამოკიდებული ეკონომიკის სხვა სექტორებზე. მნიშვნელოვანია მჭიდრო ურთიერთობები კრიტიკული სექტორების წარმომადგენლებთან იმისათვის, რომ მოცემულ სექტორებზე დამოკიდებულებიდან გამომდინარე რისკების სათანადო მართვა განხორციელდეს. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ ფინანსური სექტორი მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და კომუნიკაციის სფეროზე ისევე, როგორც ენერგეტიკისა და, ნაწილობრივ, ტრანსპორტის სფეროებზე.

4.11.4 ინფორმაციის გაზიარებისა და ანალიზის ცენტრი

მსხვილი საოპერაციო მოვლენების, მათ შორის კიბერრისკის სისტემური გავრცელების პრევენციისა და საბანკო სექტორისთვის დროული ინფორმირების უზრუნველსაყოფად, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ საცდელ რეჟიმში ინფორმაციის გაზიარებისა და ანალიზის ცენტრი შეიქმნა, რომელიც კომერციულ ბანკებთან დახურული საკომუნიკაციო პლატფორმის სახით ფუნქციონირებს. აღნიშნული ცენტრის შექმნის მიზანია ეროვნულ ბანკსა და კომერციულ ბანკებს შორის საოპერაციო რისკების მოვლენების შესახებ ინფორმაციის დროულად და ცენტრალიზებულად გაცვლის უზრუნველყოფა, მათ შორის ეროვნული ბანკის მიერ ადგილობრივი და საერთაშორისო საოპერაციო რისკების მოვლენების გაზიარება.

ინფორმაციის გაზიარებისა და ანალიზის ცენტრის პრაქტიკა რეკომენდებულია რისკების მარ-

თვის წამყვანი საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ, მათ შორის, ევროკავშირის საინფორმაციო სისტემებისა და ქსელების უსაფრთხოების დირექტივის მიხედვით, რომელიც ევროპის წევრ ქვეყნებს კიბერ-ინციდენტების გაცვლის და კოოპერაციის უზრუნველყოფას ავალდებულებს.

4.11.5 მონაცემთა ხარისხი და სიზუსტის რისკი

საქართველოს ეროვნული ბანკი საბანკო სექტორში განგრძობითად ახორციელებს ფინანსური მონაცემების სიზუსტის, მთლიანობისა და ხარისხის შეფასებას. მონაცემთა ხარისხის მართვის ფარგლებში, ყურადღება ეთმობა ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული ბიზნეს პროცესების გამართულობას, ანალიტიკური ინსტრუმენტების გაუმჯობესებას, ანგარიშგების პროცესების ავტომატიზაციის დონის ზრდას და დაკავშირებული საინფორმაციო სისტემების კომპლექსურობის შემცირებას.

მონაცემთა ხარისხის გაუმჯობესების მიზნით გრძელდება მუშაობა ბაზელის საბანკო ზედამხედველობის კომიტეტის რისკების შესახებ მონაცემთა ეფექტიანი აგრეგაციისა და რისკების ანგარიშგების პრინციპების დოკუმენტზე (ბაზელის კომიტეტის სტანდარტი, BCBS 239).

4.12 ფინანსური და საზედამხედველო ტექნოლოგიების განვითარება

4.12.1 ფინანსური ინოვაციების ხელშეწყობა

საფინანსო სექტორში ინოვაციების და ინოვაციური ორგანიზაციების წილი მზარდია, რასაც, როგორც ახალი შესაძლებლობები, ასევე ახალი რისკებიც მოაქვს. პარალელურად, საფინანსო სექტორი მთელს მსოფლიოში ეკონომიკის ყველაზე მეტად რეგულირებად სექტორად რჩება. უფრო მეტიც, ამ რეგულირებას მზარდი ტენდენცია აქვს. შედეგად, თანამედროვე საზედამხედველო ჩარჩო საკმაოდ მოცულობითი, ტექნიკური და კომპლექსურია, განსაკუთრებით ახალი საფინანსო სტარტაპებისთვის. აღნიშნულის ფონზე, საფინანსო სექტორის მარეგულირებლებისათვის ფინტექ იდეების მქონე ინოვატორების წახალისება და ამ იდეების მდგრად ფინანსურ მოდელად გარდაქმნის ხელშეწყობა მნიშვნელოვანი გამოწვევაა. ამ გამოწვევის საპასუხოდ, საქართველოს ეროვნული ბანკი სხვადასხვა საზედამხედველო მიდგომას ავითარებს და ფინტექ საქმიანობისათვის საბაზისო ინფრასტრუქტურის შექმნას უწყობს ხელს.

ფინანსური ინოვაციის ოფისი[74]

ფინანსური ინოვაციების ოფისი საქართველოს ეროვნულ ბანკსა და ფინანსური ტექნოლოგიების ინოვატორთა საზოგადოებას შორის კომუნიკაციის საშუალებაა. ფინანსური ინოვაციების ოფისის მისია პასუხისმგებლიანი ინოვაციების ხელშეწყობა და ფინტექ ორგანიზაციებს/სტარტაპებისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის რეგულაციების საზედამხედველო მიდგომის გაცნობაა.

2021 წლის განმავლობაში ფინანსური ინოვაციების ოფისის ფარგლებში 200-მდე საინტერესო ინოვაციური იდეის მქონე პირთან და საფინანსო სექტორში შემოსვლის მსურველთან ჩატარდა შეხვედრა. ბევრმა მათგანმა ფინანსურ სექტორთან წარმატებული თანამშრომლობა დაიწყო ან აქტიურად მუშაობს ფინანსურ სექტორში ახალი ფინანსური ტექნოლოგიების შემოტანის საკითხზე.

ღია ბანკინგის ტექნოლოგიის გამოყენების პოპულარიზაციის მხრივ აღსანიშნავია 2021 წლის აპრილში USAID-ის ეკონომიკური უსაფრთხოების პროგრამის ხელისშეწყობით ჩატარებული ღონისძიება, რომელიც ფინტექ კომპანიებისათვის ღია ბანკინგის მნიშვნელობას ეხებოდა. ასევე, მაისში საბანკო ასოციაციასთან ერთად ჩატარდა პანელური დისკუსია ღია ბანკინგზე. დისკუსიის მიზანი სექტორის ინფორმირება და აქტიურად ჩართვა იყო.

74. ინფორმაცია ფინანსური ინოვაციების ოფისის შესახებ იხილეთ ჩვენს ვებგვერდზე, ფინანსური სტაბილურობის სექციაში https://www.nbg.gov.ge/index.php?m=742

საფინანსო სექტორში არსებულ ინოვაციებთან არსებული სიახლეების და საზედამხედველო მიდგომების გასაცნობად ინოვაციების ოფისი წლის მანძილზე მჭიდრო კონტაქტს ინარჩუნებდა USAID, გერმანიის ეკონომიკურ ჯგუფს (GET), BaFin, GFin და სხვა ორგანიზაციებთან.

რეგულირების ლაბორატორია

რეგულირების ლაბორატორია ფინანსური ინოვაციების ხელშეწყობის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია და ინოვაციური პროდუქტის ან სერვისის რეალურ რეჟიმში გამოცდის და ტესტირების საშუალებას იძლევა. 2021 წლის მანძილზე რეგულირების ლაბორატორიაში მონაწილეობა მიიღო 40-ზე მეტმა სუბიექტმა, რომელთა ძირითადი ნაწილიც დისტანციური იდენტიფიკაციის პროცესს უკავშირდებოდა.

2021 წელს, რეგულირების ლაბორატორიის ფარგლებში ბიომეტრიული ტექნოლოგიების ტესტირების საფუძველზე, „ანგარიშვალდებული პირის მიერ პრევენციული ღონისძიებების ელექტრონულად განხორციელების წესში“ ცვლილება შევიდა.

ციფრული ლარი

ცენტრალური ბანკის ციფრული ვალუტა მიმდინარე ეტაპზე ცენტრალური ბანკების უმრავლესობისათვის საკმაოდ აქტუალურია. ციფრული ვალუტების მახასიათებლები და ტექნოლოგიური მხარე განსხვავდება ქვეყნებში იმის მიხედვით, თუ რა მიზნის მისაღწევად იგეგმება მისი გამოყენება. საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ციფრული ვალუტის ინტერესის შესახებ საჯაროდ 2021 წლის აპრილში განაცხადა და ფინტექ კომპანიები თანამშრომლობისთვის მოიწვია.

ეროვნულ ბანკს 2021 წლის მანძილზე კომუნიკაცია ჰქონდა 100-ზე მეტ ტექნოლოგიურ კომპანიასთან, რომლებმაც ციფრული ლარის პროექტში ჩართვის სურვილი გამოხატეს. ციფრული ლარის პროექტი კვლავ განხილვის ეტაპზეა, თუმცა იდენტიფიცირებულია ის ზოგადი მახასიათებლები, რასაც ციფრული ლარი უნდა აკმაყოფილებდეს: ის უნდა იყოს გადახდების იაფი და სწრაფი ალტერნატივა, რომელსაც ახალი ფინანსური პროდუქტების შექმნის შესაძლებლობა ექნება, როგორიცაა, მაგალითად ჭკვიანი კონტრაქტები.

2022 წლის 4-5 მაისს თბილისში, USAID-ის პარტნიორობით, ციფრული ვალუტის კონფერენციის ჩატარება იგეგმება. ღონისძიებაში მონაწილეობას მიიღებენ წამყვანი ტექნოლოგიური კომპანიები, რიპლი, კარდანო, სტელარი და ა.შ. კონფერენციის შემდეგ დაზუსტდება ის ტექნოლოგიური მოთხოვნები, რასაც საპილოტე რეჟიმში ციფრული ლარის ტექნოლოგია უნდა აკმაყოფილებდეს.

საკრედიტო რეესტრი

2021 წელს ეროვნულმა ბანკმა საკრედიტო რეესტრის მონაცემების სატესტო რეჟიმში შეგროვება დაიწყო. საკრედიტო რეესტრი, რომელიც მსოფლიო ბანკის სამუშაო ჯგუფთან კონსულტაციების საფუძველზე შეიქმნა, არის მონაცემთა ბაზა, რომელიც საკრედიტო რისკის შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის შეგროვების საშუალებას იძლევა. ეროვნულ ბანკში მონაცემების მოწოდება ყოველთვიურად ხდება და შემდეგ მონაცემთა ჯგუფებს მოიცავს:

- საკრედიტო ვალდებულების დეტალები,
- საკრედიტო ვალდებულების უზრუნველყოფის მონაცემები,
- ინფორმაცია რეფინანსირებულ სესხებზე,
- ინფორმაცია ინვესტიციების შესახებ,
- ინფორმაცია უარყოფილი საკრედიტო განაცხადების შესახებ,
- ინფორმაცია საანგარიშგებო თვის განმავლობაში დახურული სესხების შესახებ.

2022 წელს დაგეგმილია ინფორმაციის სრულყოფა, პარალელური რეპორტინგის დაწყება და მოლოდინი გვაქვს, რომ 2022 წლის ბოლოსთვის მონაცემთა სიზუსტესთან დაკავშირებული ხარვეზები აღმოფხვრილი იქნება.

4.12.2 მოდელის რისკი

მოდელის რისკი

საფინანსო სექტორში გადაწყვეტილებების მიღების პროცესში სხვადასხვა სტატისტიკური მოდელების გამოყენება სულ უფრო ფართო სახეს იძენს. ასეთი მოდელები სესხის გაცემის, ფინანსუ-

რი აღრიცხვის და რისკების მართვისას ფართოდ გამოიყენება. მათემატიკურ-სტატისტიკური მოდელების გამოყენება, განსაკუთრებით საცალო სექტორის დაკრედიტებისას, გაიზარდა. ბოლო დროს გახშირდა ისეთი მოდელების დანერგვა, რომლებიც მანქანური სწავლების და ხელოვნური ინტელექტის ალგორითმებს ეფუძნება. ეს, ერთი მხრივ, მოდელის ეფექტიანობას ზრდის, მაგრამ მეორე მხრივ, შედეგების ინტერპრეტაციას, ანალიზს და რისკის შეფასებას ართულებს.

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა „მონაცემებზე დაფუძნებული სტატისტიკური, ხელოვნური ინტელექტის და მანქანური სწავლების მოდელების რისკების მართვის დებულება“ უკვე ერთ წელიწადზე მეტია დაამტკიცა. მიმდინარე წელს კი დებულების განახლებული ვერსია გამოქვეყნდება.

დებულებას სამი ახალი მიმართულება დაემატა და ასევე გათვალისწინებულ იქნა საფინანსო სექტორიდან მიღებული შენიშვნები და რეკომენდაციები. დებულებაში განხორციელებული ცვლილებები ითვალისწინებს საქართველოს ფინანსურ სექტორში არსებულ პრაქტიკას, გამოწვევებს და თანამედროვე საერთაშორისო საზედამხედველო გამოცდილებას. აღნიშნული ჩარჩო ხელს შეუწყობს ფინანსურ სექტორში მოდელების უფრო ფართოდ და ეფექტურად გამოყენებას.

სექტორში მიმდინარე ტენდენციების გათვალისწინებით, დღის წესრიგში მოდელის ეთიკური გამოყენების ჩარჩოს შემუშავების აუცილებლობა დადგა. საპასუხოდ, დებულებაში მოდელის განვითარების, დანერგვისა და გამოყენების პროცესში გასათვალისწინებელი ეთიკის პრინციპები და მოდელის შესაძლო არაეთიკური გამოყენების მიტიგაციის გზები განისაზღვრა. ეს ცვლილება ძირითადად მომხმარებელზეა გამიზნული. ეთიკის პრინციპების გარეშე აგებულმა მოდელმა შესაძლოა მომხმარებელთა გარკვეული ჯგუფი უსამართლოდ დააკლასიფიციროს და მისი უფლებები შეზღუდოს; მეორე ცვლილება რისკზე დაფუძნებული მიდგომის გაფართოებას ეხება – დებულების ცვლილების ფარგლებში, შემუშავდა რისკიანობის მიხედვით მოდელების რანჟირების/დაჯგუფების მეთოდოლოგია; ხაზი გაესვა მოდელის გამომყენებელი სუბიექტების მიერ სტატისტიკური მეთოდის საშუალებით მოდელის გამჭვირვალობისა და ინტერპრეტირებადობის უზრუნველყოფას. ამ ცვლილებით მოდელების გამომყენებლებს შეეზღუდებათ „შავი ყუთების“ გამოყენება და მოდელის შედეგებზე პასუხისგებლობის მოდელის შემქმნელზე გადატანა.

ეროვნულ ბანკში IFRS 9 სტანდარტის შემოღებასთან დაკავშირებით საფინანსო ინსტიტუტებში მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების აღრიცხვის მოდელები ინერგება. მოდელის სირთულიდან და ბანკის ფინანსურ მდგომარეობაზე ზეგავლენიდან გამომდინარე, ეს მოდელები მაღალი რისკის მატარებლებია. მათი ანალიზისთვის ეროვნული ბანკის რესურსებით საორიენტაციო მოდელის შექმნაზე სამუშაოები მიმდინარეობს. საორიენტაციო მოდელი საფინანსო ინსტიტუტების მოდელის შეფასების ერთერთი საშუალება იქნება. ასევე, აღნიშნული მოდელის შედეგების და პროგრამული კოდის გაზიარება მოხდება იმ საფინანსო ინსტიტუტებისათვის, რომლებიც სტატისტიკური მოდელების განვითარების საწყის ეტაპზე იმყოფებიან.

TechSprint კონკურსი

საქართველოს ეროვნული ბანკი ფინანსური ტექნოლოგიებით ახალგაზრდების დაინტერესებისა და ჩართულობის პროექტებს აგრძელებს. სებ-ის ინიციატივით საზედამხედველო ტექნოლოგიების თემებზე TechSprint ჩატარდა, სადაც საკუთარი ძალების გამოცდის შესაძლებლობა მონაცემთა მეცნიერებით დაინტერესებულ ნებისმიერ პირს ჰქონდა. კონკურსმა განსაკუთრებული ინტერესი სტუდენტებში გამოიწვია. კონკურსის ძირითად თემას ქართული ტექსტის მანქანური კითხვა წარმოადგენდა. გამარჯვებულების გამოვლენისას უპირატესობა მიენიჭა პრობლემის გადაწყვეტისათვის შერჩეული მიდგომის ადეკვატურობას და პროგნოზირების სიზუსტეს.

საქართველოს ეროვნული ბანკი მომავალშიც გააგრძელებს მსგავსი კონკურსების ორგანიზებას, ვინაიდან ასეთი ღონისძიებები ზრდის ეროვნული ბანკის ცნობადობას ფინანსური ტექნოლოგიების სფეროში, თავის მხრივ კი, ეროვნული ბანკი ახალისებს და ხელს უწყობს ნიჭიერ ადამიანებს.

ჩანართი 11 ხელოვნური მიკრო მონაცემების გენერირება

საქართველოს ეროვნულ ბანკში საფინანსო სექტორიდან მოსული უამრავი ინფორმაცია იყრის თავს. ამ ინფორმაციას, გარდა იმისა რომ საზედამხედველო დატვირთვა აქვს, ასევე დიდი კვლევითი ღირებულებაც შეიძლება გააჩნდეს. თუმცა ეს ინფორმაცია კონფიდენციალურია და მასზე წვდომა ეროვნული ბანკის თანამშრომლების მხოლოდ გარკვეულ ნაწილს აქვს. ამავე დროს, მნიშვნელოვანია ასეთ ინფორმაციაზე წვდომა და მისი დამუშავების საშუალება ჰქონდეს არა მხოლოდ ეროვნული ბანკის თანამშრომელს, არამედ ნებისმიერ დაინტერესებულ პირს, რომელსაც კვლევის ჩატარება სურს. მათ შორის არიან მკვლევარები და სტუდენტები, ასევე ფინანსური ინსტიტუტები, რომლებიც მოდელის მეშვეობით რისკების მართვის გაუმჯობესებას ცდილობენ.

საქართველოს ეროვნულ ბანკს აქვს გამოცდილი პრაქტიკა, როდესაც მკვლევარებს ეროვნული ბანკის შენობაში სპეციალური კომპიუტერის საშუალებით ჰქონდათ წვდომა მონაცემებზე, შეეძლოთ მისი დამუშავება მხოლოდ აგრეგირებული სახით და შედეგების გამოყენება კვლევისათვის. თუმცა, ეს გადაწყვეტა ნაკლებად მოსახერხებელია, რადგან რესურსების შეზღუდულობის გათვალისწინებით, მხოლოდ ლიმიტირებული რაოდენობის ადამიანებს შეუძლიათ ამ ფორმით მონაცემებზე წვდომა, საჭიროა მკვლევართან იურიდიულ ურთიერთობაში შესვლა, პასუხისმგებლობის და კონტროლის მექანიზმების განსაზღვრა. აღნიშნული პრობლემის გადასაწყვეტად, 2021 წელს ეროვნულმა ბანკმა დაიწყო ისეთი მექანიზმის განხილვა, რომელიც კონფიდენციალურ მონაცემებს იმგვარად გარდაქმნიდა, რომ იგი ხელმისაწვდომი ყოფილიყო ყველა დაინტერესებული პირისათვის. გარდაქმნას მაიდენტიფიცირებელი და სენსიტიური ინფორმაციის მოდიფიცირება ისე უნდა მოეხდინა, რომ მას კვლევითი ღირებულება არ დაეკარგა და ამავე დროს შეუძლებელი ყოფილიყო მაიდენტიფიცირებელი მონაცემების აღდგენა, მათ შორის დამატებითი მონაცემთა ბაზების გამოყენების შემთხვევაშიც კი.

ამჟამად, მონაცემების შენიღბვისათვის ეროვნული ბანკი ორ ფართოდ გავრცელებულ მეთოდს განიხილავს: პირველი არის დიფერენციალური კონფიდენციალურობა (Differential Privacy), რაც გულისხმობს არსებულ მონაცემებზე გარკვეული ხმაურის დამატებას, რის შემდეგაც შეუძლებელია თავდაპირველი მონაცემების აღდგენა და, ამგვარად, სენსიტიური ინფორმაცია დაფარულია. შეგვიძლია ასევე განვიხილოთ ლაპლასის მექანიზმის გამოყენება (Dwork, McSherry, Nissim, & Smith, 2006), რომლის დროსაც მონაცემებს ხმაური ემატება ლაპლასის განაწილებიდან.

მეორე მიდგომა, რომლის პილოტირებაც 2021 წელს მიმდინარეობდა, ხელოვნური მიკრო მონაცემების დაგენერირებაა, რაც გულისხმობს შემდეგს: თავდაპირველად ხელოვნური ინტელექტის მოდელი (გენერაციული მოწინააღმდეგე ქსელები GAN) სწავლობს მონაცემების განაწილებას, რის შემდეგაც შესაძლებელია ნასწავლი განაწილებიდან ხელოვნური მონაცემების დაგენერირება, რომელიც თავდაპირველი მონაცემების მიახლოებას წარმოადგენს.

4.12.3 საკრედიტო საინფორმაციო ბიურო

საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს (შემდგომში „ბიურო“) საქმიანობის რეგულირებასა და ზედამხედველობას საქართველოს ეროვნული ბანკის 2018 წლიდან ახორციელებს.

წლების განმავლობაში ზედამხედველობა ეწევა როგორც ბიუროს საქმიანობის, ისე მასთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში მყოფი პირების, ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანებით დამტკიცებულ წესებთან შესაბამისობას.

2021 წლის დეკემბრის მდგომარეობით, საკრედიტო ბიუროსთან 224 სესხის გამცემი ორგანიზაცია და არასავალდებულო წესით ჩართული 29 ორგანიზაცია თანამშრომლობს. ბუნებრივია, ეს მაჩვენებელი წლების მიხედვით ცვალებადია, ვინაიდან სესხის გამცემი ორგანიზაციების რეგისტრაციის და ლიკვიდაციის პროცესი ბიუროს მონაცემთა ბაზის მათ მიერ სარგებლობაზეც ახდენს გავლენას.

სფეროს საქმიანობის გაუმჯობესებისა და ასევე, პრაქტიკაში სექტორის გამოცდილების გათვალისწინებით, ბიუროს ზედამხედველობასთან დაკავშირებული წესები პერიოდულად იცვლება. 2021 წლის მეორე ნახევრიდან დაიწყო ცვლილებების ახალი პაკეტის მომზადება. ცვლილების მთავარი საკითხებია: ბაზარზე ბიუროს საქმიანობისგან განსხვავებული, თუმცა მსგავსი სუბიექტის შემოყვანა; მონაცემთა სუბიექტისგან თანხმობის დისტანციურად აღებისას ძლიერი ავთენტიფიკაციის წესის დაცვა; ფულადი გზავნილებიდან მიღებული შემოსავლების შესახებ ანგარიშგების მომზადება და სხვა. ცვლილება მომხმარებელთა უფლებების დაცვის კუთხით არსებულ ჩანაწერებსაც შეეხო. აღნიშნული ცვლილებების პროექტის საბოლოო ვერსიის დამტკიცება 2022 წლის პირველ ნახევარშია დაგეგმილი.

მომხმარებელთა მიერ დაფიქსირებული პრეტენზიების შესწავლას და რეაგირებას სებ დიდი ყურადღებას აქცევს მონაცემების გამართული ასახვის მიზნით. 2021 წლის განმავლობაში თვეების მიხედვით დაფიქსირებული პრეტენზიების რაოდენობა წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ დიაგრამაში.

დიაგრამა N 4.48 მომხმარებელთა პრეტენზიების რაოდენობა (2021)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

4.12.4 ღია ბანკინგი

2021 წლიდან საქართველოში ღია ბანკინგის მომსახურება ხელმისაწვდომია. როგორც უკვე აღინიშნა, ღია ბანკინგი ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით სხვადასხვა საფინანსო ორგანიზაციას შორის, მომხმარებლის სურვილის და თანხმობის საფუძველზე, ფინანსურ ინსტიტუტებში არსებული ინფორმაციის დაუყოვნებლივ გაცვლას გულისხმობს. ღია ბანკინგის პროექტზე მუშაობა საქართველოს ეროვნული ბანკში 2019 წელს დაიწყო. 2020 წლის დასაწყისში საქართველოს საბანკო ასოციაციის ფარგლებში შეიქმნა ღია ბანკინგის კომიტეტი, რომლის მიზანია საქართველოში ღია ბანკინგის დანერგვისთვის საჭირო საერთო სტანდარტის შემუშავება და პროექტის შემდგომი განვითარების ხელშეწყობა.

2021 წლის 31 მარტიდან, კომერციულ ბანკებს შორის უკვე შესაძლებელია მომხმარებლის სურვილის შემთხვევაში ისეთი მონაცემების გაცვლა, როგორიცაა საბანკო ანგარიშებზე არსებული ნაშთები და ინფორმაცია ტრანზაქციების შესახებ. აღნიშნული მონაცემების გაცვლა ღია აპლიკაციის ინტერფეისების (API) გამოყენებით ონლაინ რეჟიმში უნდა განხორციელდეს.

2021 წლის 30 ნოემბრიდან ასევე ხელმისაწვდომი გახდა კომერციული ბანკებისთვის გადახდის ინიცირების სერვისი ფიზიკური პირებისთვის. ღია ბანკინგის შემდეგ ეტაპებზე სისტემაში კომერციულ ბანკებთან ერთად საფინანსო სექტორის სხვა წარმომადგენლების და ლიცენზირებული ფინტექ კომპანიების ჩართვა განიხილება. ამან კი, თავის მხრივ, მომხმარებლებისათვის საბანკო მომსახურებებზე ხელმისაწვდომობის და საბანკო მომსახურებების მრავალფეროვნების გაზრდას უნდა შეუწყოს ხელი.

2022 წელს იურიდიული პირებისათვის ღია ბანკინგის სერვისი სრულად ხელმისაწვდომი გახდება. ასევე, ადგილობრივი ბაზრის სპეციფიკიდან გამომდინარე, ღია ბანკინგს დისტანციური იდენტიფიკაციის ნაწილი და სტანდარტულ პროდუქტებზე ინფორმაციის გაცვლა დაემატება.

ღია ბანკინგის განვითარება მხოლოდ აღნიშნული სერვისებით არ შემოიფარგლება. შემდეგი ეტაპი ღია ფინანსებზე გადასვლაა, რაც მეტად ფართო ინფორმაციის მიმოცვლას მოიაზრებს.

4.13 ინფორმაციის დამუშავება და საზედამხედველო ტექნოლოგიები

საზედამხედველო ანგარიშგებების მიმოცვლის და მონაცემთა ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა, წამყვან ბრიტანულ კომპანია Corefiling-თან თანამშრომლობით, დანერგა საერთაშორისო სტანდარტ XBRL-ის (Extensible Business Reporting Language - ბიზნეს ანგარიშგების გაფართოებადი ენა) საინფორმაციო სისტემა, საიდანაც გამოვყოფთ ორ მნიშვნელოვან კომპონენტს: საანგარიშგებო პორტალს და ტაქსონომიის მართვის სისტემას (Taxonomy Management System- TMS).

საანგარიშგებო პორტალის საშუალებით ბანკებს მოთხოვნილი საზედამხედველო ანგარიშგების წარმოდგენა შეუძლიათ, მათ შორის XBRL ფორმატშიც. XBRL ფორმატში წარმოდგენილი ანგარიშგების ვალიდურობა შესაბამისი ტაქსონომიით მოწმდება. პორტალის დახმარებით ბანკებს ვალიდაციის შედეგების ნახვა მონაცემების ეროვნულ ბანკში გამოგზავნამდე შეუძლიათ. მონაცემთა ვალიდურობის დადასტურების შემდეგ მოწოდებული ინფორმაცია მონაცემთა ბაზაში იწერება და საბანკო საზედამხედველო საქმიანობისათვის საჭირო ანალიტიკის ჩასატარებლად არის ხელმისაწვდომი.

ტაქსონომიის მართვის სისტემა (TMS) ეროვნულ ბანკს ტაქსონომიის შექმნის საშუალებას აძლევს, რაც ინფორმაციის ნაკრებია, რომელშიც ანგარიშგებების შესახებ მეტა მონაცემებია წარმოდგენილი. ტაქსონომიაში წარმოდგენილი ინფორმაცია მოიცავს განსაზღვრებებს, ელემენტებს შორის კავშირებს, იერარქიებსა და სხვა წესებს, რითიც განსაზღვრულია, თუ როგორ უნდა იყოს წარმოდგენილი ინფორმაცია იმისათვის,

რომ სებ-ის საანგარიშგებო მოთხოვნებს აკმაყოფილებდეს. საბოლოოდ, კარგად დაწერილი ტაქსონომია მონაცემთა ხარისხის მნიშვნელოვან გაუმჯობესებას უზრუნველყოფს.

ტაქსონომიის შესაქმნელად, TMS პროგრამული უზრუნველყოფის გარდა, ეროვნული ბანკის ინფორმაციის დამუშავებისა და საზედამხედველო ტექნოლოგიების განყოფილების თანამშრომლებმა XBRL საინფორმაციო სისტემის დანერგვის ინტენსიური ტრენინგი გაიარეს. შედეგად, 2021 წლიდან დაიწყო მუშაობა ეროვნული ბანკის საზედამხედველო ტაქსონომიაზე, რომელიც EBA-ს მიერ შემუშავებული Data Point Model (DPM) მეთოდოლოგიით მზადდება. ეროვნული ბანკის ტაქსონომიაზე მუშაობა მომდევნო წლებშიც გაგრძელდება. ჩვენი საბოლოო მიზანია, რომ Spreadsheet-ზე დაფუძნებული ანგარიშგებები XBRL-ზე დაფუძნებული ანგარიშგებებით ჩანაცვლდეს.

გარდა XBRL საინფორმაციო სისტემისა, მონაცემთა დამუშავებისთვის ეროვნული ბანკი მსოფლიოში აღიარებულ Business Inteligence სისტემა Tableau-ს იყენებს, რომლის საშუალებითაც 2021 წელს სხვადასხვა ანგარიშგებების საზედამხედველო მიზნებისათვის ვიზუალიზაცია და დეშბორდების შექმნა გაგრძელდა.

2021 წელს, საქართველოს ეროვნული ბანკი, კომერციული ბანკების საზედამხედველო მიზნებისთვის, ანგარიშგების სრულად ფასს-ზე (IFRS) გადაყვანის პროექტზე მუშაობას აგრძელებდა. აღნიშნული პროექტის მხარდასაჭერად, EBA-ს Reporting framework 2.8-ს შესაბამისად ევროკავშირში დამკვიდრებული ინდივიდუალური FinRep ფინანსური ანგარიშგების მიღება XBRL სტანდარტით დაიწყო. მომდევნო წლებში გაგრძელდება ბანკებიდან FinRep ანგარიშგების შესაბამისი განახლებებით მიღება, რისი შესაძლებლობაც XBRL საინფორმაციო სისტემას ავტომატურ რეჟიმში აქვს.

საზედამხედველო ტექნოლოგიების შემდგომი განვითარებისათვის, საზედამხედველო ანალიტიკური საინფორმაციო პროგრამული უზრუნველყოფის შემდგომი დახვეწა იგეგმება. აღნიშნული ინსტრუმენტის საშუალებით, საბანკო სექტორის ზედამხედველი მანდატით განსაზღვრული საქმიანობისათვის საჭირო ინფორმაციას ამუშავებს. ეს ცვლილებები საზედამხედველო ინფორმაციის სიზუსტეს გაზრდის, რეპორტინგის პროცესს გაამარტივებს და ეფექტიანი საზედამხედველო ანალიტიკის განხორციელებას შეუწყობს ხელს.

გარდა ამისა, 2021 წელს აქტიურად ვაზიარებდით ცოდნას როგორც ეროვნული ბანკის შიგნით, ისე პარტნიორებთან. მიმდინარე პროექტების წარმატებით დანერგვის მიზნით, ევროკავშირის „ტვინინგ“ მისიის ფარგლებში, ეროვნულ ბანკთან ინტენსიურად თანამშრომლობენ პოლონეთის ეროვნული ბანკის წარმომადგენლები. ნიდერლანდების ცენტრალური ბანკთან ერთად მიმდინარეობს მუშაობა მონაცემთა სტრატეგიის შემუშავების მიმართულებით, რომელიც სხვა საკითხებთან ერთად მოიცავს ისეთ თემებს, როგორიცაა გრანულარული მონაცემების დამუშავება, დიდი მონაცემების დამუშავება და მონაცემთა სანახის DPM არქიტექტურაზე მორგებული სტრუქტურის შემუშავება.

რაც შეეხება ცოდნის ეროვნული ბანკის ფარგლებში გაზიარებას, 2021 წელს, ინფორმაციის დამუშავების მიმართულებით დაგროვილი ცოდნის გასაზიარებლად, საქართველოს ეროვნული ბანკის, ინფორმაციის დამუშავებისა და საზედამხედველო ტექნოლოგიების განყოფილების თანამშრომლებისთვის ჩატარდა ტრენინგები ინფორმაციის დამუშავებისა და მონაცემთა ვიზუალიზაციის მიმართულებით. დაგროვილი ცოდნის და გამოცდილების გაზიარება მომდევნო წლებშიც გაგრძელდება.

4.14 რეზოლუცია და ლიკვიდაცია

გაჯანსაღების და რეზოლუციის ჩარჩო

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2021 წლიდან კომერციული ბანკების გაჯანსაღებისა და რეზოლუციის ჩარჩოს (შემდგომში - რეზოლუციის ჩარჩო) იმპლემენტაციაზე მუშაობა დაიწყო.

რეზოლუციის ჩარჩოში შემავალი ე.წ. დაგეგმვის კომპონენტი უწყვეტად მოქმედებაშია და საჭიროების დადგომისას პროცესების უკეთესად ორგანიზებისა და მართვისათვის კრიზისამდელი მომზადების ერთგვარი სავარჯიშოს ფუნქციას ასრულებს. 2021 წელს გაჯანსაღების პირველი გეგმები საბანკო სექტორის ყველა მონაწილემ მოამზადა, რომელიც მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულეების შექმნისას ან კრიტიკული ფუნქციების შეფერხებისას, კომერციული ბანკის მიერ ფინანსური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, კრიტიკული ფუნქციების აღსადგენად და შესანარჩუნებლად განსახორციელებელ ღონისძიებებს მოიცავს. პროცესი რეგულატორთან ინტენსიური კომუნიკაციის ფორმატში მიმდინარეობდა. ეროვნულმა ბანკმა დოკუმენტები თითოეული ბანკის ჭრილში შეისწავლა და შესაბამისი უკუკავშირი მარეგულირებელი წესის და საერთაშორისო კარგი პრაქტიკის გათვალისწინებით განახორციელა.

კომერციული ბანკის მხრიდან შემუშავებული გაჯანსაღების გეგმის მნიშვნელოვანი ელემენტი არის კრიტიკული ეკონომიკური (საბანკო) ფუნქციებისა და ქვეფუნქციების თვითშეფასება და მათი შეწყვეტის შემთხვევაში ბაზრის სხვა მონაწილეების მხრიდან დროის ფაქტორის მოაზრებით ჩანაცვლებადობის შეფასება, კონტრაჰენტებსა და რეალურ ეკონომიკაზე ზეგავლენის გათვალისწინებით.

ძირითადი ეკონომიკური ფუნქციები / კრიტიკულობის ფაქტორები	ფუნქციის შეწყვეტის გავლენა	ფუნქციის ჩანაცვლებადობა
დეპოზიტების მიღება	**კრიტიკულობის შეფასება**	
სესხების გაცემა		
საგადახდო მომსახურება, ნაღდი ფულის მომსახურება, კლირინგი, საანგარიშსწორებო მომსახურება, შემნახველი მომსახურება		
ფასიანი ქაღალდების ბაზარზე საქმიანობა		
საბითუმო დაფინანსება		

ზემოაღნიშნული გეგმის მიმართ მოთხოვნებს რეზოლუციის ჩარჩოს შემადგენელი შესაბამისი წესი არეგულირებს. დოკუმენტის ფოკუსში ექცევა: გაჯანსაღების მიზნებისთვის ინდიკატორების მონიშვნა და მათი ზღვრების კალიბრაცია, გაჯანსაღების ზომების განსაზღვრა, ბანკისათვის რელევანტური მკაცრი სტრეს სცენარების გამოყენებით ფინანსური ზიანის მასშტაბისა და გაჯანსაღების ზომ(ებ)ის ეფექტურობის ტესტირება, მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება. დოკუმენტში ასევე ყურადღება ექცევა მმართველობითი საკითხების მოწესრიგებას, რომლის მიზანია ბანკის მხრიდან ფინანსური მდგომარეობის გაუარესების ადრეული გამოვლენა და შემდგომი ორგანიზებული მართვა.

გაჯანსაღების გეგმის ინდიკატორების სავალდებულო კატეგორიები			
კაპიტალი	ლიკვიდობა	მომგებიანობა	აქტივების ხარისხი

კომერციული ბანკების მხრიდან გაჯანსაღების გეგმების განახლება, ხოლო ეროვნული ბანკის მიერ მათი შეფასება ყოველწლიურად მოხდება და შეფასების დოკუმენტი ბანკების რისკების მართვის საერთო ჩარჩოში ინტეგრირდება.

რეზოლუციის მექანიზმი, რომელიც შესაბამისი სარეზოლუციო ინსტრუმენტებითაა წარმოდგენილი, მძიმე ფინანსურ კრიზისში მყოფი ბანკის რეაბილიტაციის შესაძლებლობას წარმოადგენს. ის გამოიყენება მაშინ, როდესაც

გაჯანსაღების ზომების გონივრულ ვადაში განხორციელება ნაკლებად მოსალოდნელია და ფინანსური სექტორის სტაბილურობაზე მნიშვნელოვანი უარყოფითი ეფექტის ასარიდებლად მიზანშეწონილია ფინანსური ინსტიტუტის ფუნქციონირების (კრიტიკული ფუნქციების) შენარჩუნება, ამასთან გადასახადის გადამხდელთა სახსრების გამოყენების შეზღუდვა.

ეროვნული ბანკის სარეზოლუციო უფლებამოსილება აქციონერების ან/და კრედიტორების თანხმობის და წინასწარი შეტყობინების გარეშე შემდეგი სარეზოლუციო ინსტრუმენტების ინდივიდუალურ ან კომბინირებულ გამოყენებას მოიცავს:

- კომერციული ბანკის შერწყმა;
- კომერციული ბანკის აქციების, აქტივების ან/და ვალდებულებების გასხვისება;
- კომერციული ბანკის აქციების, აქტივების ან/და ვალდებულებების დროებითი ბანკისთვის გადაცემა;
- კომერციული ბანკის რეკაპიტალიზაცია ახალი აქციების გამოშვებით;
- კომერციული ბანკის რეკაპიტალიზაცია მისი ვალდებულებების ჩამოწერით ან კონვერტაციით (bail-in).

დიაგრამა N 4.49 სისტემური ბანკების კონცენტრაცია საბანკო ბაზარზე (2021 წლის 31 დეკემბრის მიხედვით)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საბანკო სექტორის კონიუნქტურა და საბანკო ბაზარზე სისტემური მნიშვნელობის მქონე (სისტემური) ბანკების მაღალი კონცენტრაცია მათი ეკონომიკური ფუნქციების კრიტიკულობას და რეზოლუციის გეგმების არსებობის საჭიროებას ცხადყოფს. ეროვნულმა ბანკმა სისტემური ბანკებისათვის რეზოლუციის პირველადი (შიდა) გეგმები მოამზადა, რომელთა საკვანძო ელემენტებად მიჩნეულია რეზოლუციის განხორციელების შესაძლებლობის (resolvability) შეფასება და უპირატესი სარეზოლუციო სტრატეგიის განსაზღვრა, შემდეგი ასპექტების მოცვით: გეგმის ტრიგერები, ინსტრუმენტების ხარისხობრივი და რაოდენობრივი ანალიზი, რეზოლუციის ფაზები, ძირითადი პროცესები და სხვა. საერთაშორისო მოცემულობის მიხედვით, რეზოლუციის შესაძლებლობის გაფართოება და ინსტრუმენტების ოპერაციული გამართვა განვითარების გზას გადის და, მათ შორის მოწინავე ქვეყნებშიც, კვლავ აქტუალურ საკითხს წარმოადგენს. მომავალ პერიოდებში ეროვნული ბანკი რეზოლუციის ჩარჩოს ოპერაციული გამართვის მიმართულებით იმუშავებს.

2021 წელს გეგმიური გრაფიკის მიხედვით და თემატური საკითხების განსახილველად რე-

ზოლუციის ჩარჩოს ფარგლებში შექმნილი რეზოლუციის კომიტეტის სხდომა ჩატარდა. 2021 წლის მანძილზე საბანკო სექტორში რეზოლუციის საჭიროება ან მისი ადრეული გამაფრთხილებელი ნიშნები არ გამოვლენილა, ასევე არ შეინიშნებოდა გაჯანსაღების ზომების ამოქმედების საფუძვლები.

გასულ წელს ყოველწლიურად განსაზღვრული ფინანსური სტაბილურობის უწყებათაშორისი საბჭოს სხდომა ჩატარდა. საბჭოს ფინანსთა მინისტრი თავმჯდომარეობდა და მონაწილეობდნენ ეროვნული ბანკის, დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს და დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის ხელმძღვანელი პირები. შეხვედრაზე საუბარი შეეხო რეზოლუციის ჩარჩოს საკვანძო ელემენტებსა და ასპექტებს, დაგეგმვის კომპონენტის იმპლემენტაციის მიმდინარეობას, საბანკო სექტორთან ურთიერთქმედებასა და უწყებათაშორისი თანამშრომლობის გააქტიურების საჭიროებას. გარდა ამისა, საბჭოს წევრებს გაუზიარდათ ინფორმაცია საბანკო სექტორში ფინანსური სტაბილურობის ინდიკატორების დინამიკის, საკრედიტო ციკლის მიმდინარე შეფასების და სტრეს-ტესტის შედეგების შესახებ.

საფინანსო ორგანიზაციების ლიკვიდაცია

ამჟამად, საქართველოში 14 კომერციული ბანკი ფუნქციონირებს. 2021 წლის განმავლობაში ბანკის ლიკვიდაცია არ დაწყებულა და ბოლო ლიკვიდაცია საბანკო სექტორში 2019 წელს დასრულდა.

ეროვნული ბანკი საზედამხედველო სუბიექტების ლიკვიდაციის პროცესში და მისი დასრულების შემდგომ ახორციელებს კრედიტორებისგან მოუკითხავი ფულადი სახსრების სპეციალურ ანგარიშზე აღრიცხვას, მათ ადმინისტრირებას და, მფლობელის გამოვლენის შესაბამისად, ამ თანხების მესაკუთრისთვის დაბრუნებას უზრუნველყოფს. ამ მხრივ არც 2021 წელი იყო გამონაკლისი და ეროვნული ბანკის მიერ შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე, მოუკითხავი თანხების ანგარიშიდან მფლობელის ანგარიშზე კუთვნილი ფულადი სახსრების გადარიცხვის 4 მოთხოვნა დაკმაყოფილდა. მათ შორის, ლიკვიდირებული კომერციული ბანკის 3 კრედიტორის და ლიკვიდირებული მიკროსაფინანსო ორგანიზაციის 1 კრედიტორის განაცხადები.

გარდა ამისა, ეროვნული ბანკი განკარგავს კომერციული ბანკის ლიკვიდაციის შემდგომ აღმოჩენილ აქტივებს (ასეთ თავისებურებას ადგილი ჰქონდა ადრეულ წლებში წარმოებული სალიკვიდაციო პროცესის დასრულების შემდგომ), რომლის რეალიზებიდან მიღებული ფულადი სახსრები, წესისამებრ, ლიკვიდირებული ბანკის დარჩენილ კრედიტორებს შორის, შესაბამისი რიგითობის დაცვით ნაწილდება[75]. 2021 წელს ეროვნული ბანკის წარმოებაში ლიკვიდირებული კომერციული ბანკების ოთხი ახლად აღმოჩენილი აქტივის განკარგვის საქმისწარმოება მიმდინარეობდა, რომელთაგან ერთის შემთხვევაში, ნაწილობრივ ამოღებული და კრედიტორებზე განაწილებული თანხები წინა წლებშიც გაიცემოდა. 2021 წლის განმავლობაში 2 ასეთი აქტივის განკარგვა თანხის ამოღების გარეშე დასრულდა, ხოლო დანარჩენი ორი აქტივის საქმისწარმოება 2022 წელსაც გრძელდება.

სალიკვიდაციო ფუნქციების განხორციელებისას ქვემოთ მოცემულ საზედამხედველო სუბიექტებთან მიმართებაში, ეროვნული ბანკი შესაბამისი კანონებითა და ბრძანებებით ხელმძღვანელობს. გარდა არსებული სამართლებრივი აქტებისა, ეროვნული ბანკი შეიმუშავებს პროცედურებს და შიდა კონტროლის სხვა ტექნიკურ დოკუმენტებს, რომელიც ლიკვიდაციების მიმდინარეობისას მმართველობითი საკითხების გაუმჯობესებას უწყობს ხელს და პროცესებს უფრო ორგანიზებულს და სტანდარტიზებულს ხდის.

75. იმ აქტივის ამოღების შემთხვევაში, რომელიც კომერციული ბანკის ლიკვიდაციის პროცესის დასრულების შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემამდე ამ კომერციული ბანკის აქტივი იყო, იგი ავტომატურად ჩაითვლება ლიკვიდირებული კომერციული ბანკის აქტივად და მისი განკარგვის უფლებას იძენს ეროვნული ბანკი („კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 3712 მუხლის მე-15 პუნქტი).

დიაგრამა N 4.50 ფინანსური ორგანიზაციების ლიკვიდაციის მიმდინარეობა 2021 წელს



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ეროვნული ბანკის თანაავტორობით, 2020 წელს საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი შემუშავდა, რომელიც დასამტკიცებლად პარლამენტს წარედგინება. საკანონმდებლო ცვლილებები იგეგმება „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში, „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ“ საქართველოს კანონში და სხვა რამდენიმე ნორმატიულ აქტში. საკანონმდებლო ცვლილებების ამოცანას ეროვნული ბანკის უფლებამოსილების გაფართოება წარმოადგენს, რათა სამართლებრივი აქტით განსაზღვროს მიკროსაფინანსო ორგანიზაციის როგორც ლიკვიდაციის, ასევე გადახდისუუნარობის/გაკოტრებისა და დროებითი ადმინისტრაციის რეჟიმის შემოღებისა და მოქმედების საკითხი. აღნიშნული ცვლილებები ეროვნულ ბანკს მიკროსაფინანსო ორგანიზაციის გადახდისუუნაროდ ან/და გაკოტრებულად გამოცხადების ერთპიროვნულ უფლებამოსილებას ანიჭებს, რაც ხელს შეუწყობს მიკროსაფინანსო ორგანიზაციის კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილების პროცესის დროულ და ეფექტიან წარმართვას. მიკროსაფინანსო ორგანიზაციის დროებით ადმინისტრატორს და ლიკვიდატორს ეროვნული ბანკი დანიშნავს და ისინი ანგარიშვალდებულნი ეროვნული ბანკის წინაშე იქნებიან. კანონპროექტის დამტკიცების შედეგად განმტკიცდება ეროვნული ბანკის საზედამხედველო ჩარჩო მიკროსაფინანსო ორგანიზაციების რეგულირებისა და ზედამხედველობის მიმართულებით. ასევე, აღმოიფხვრება ის საკანონმდებლო ხარვეზი, რომელიც სასამართლო პრაქტიკამ გამოავლინა და რის გამოც, ამ ეტაპზე, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების გადახდისუუნარობის/გაკოტრების სამართლებრივი ნორმები არ არსებობს, რაც შესაბამის საქმეთა მსვლელობას აფერხებს.



05

მომხმარებელთა უფლებების დაცვა და ფინანსური განათლება

5.1 მომხმარებელთა უფლებების დაცვა

ნორმატიული ბაზის სრულყოფა

მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესი

2021 წელს საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2017 წლის 1 ივნისს ამოქმედებული „ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესის“ განახლებული რედაქცია შეიმუშავა, რომელიც საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2021 წლის 9 მარტის #32/04 ბრძანების შესაბამისად 2021 წლის პირველი აპრილიდან ამოქმედდა. ახალი წესის შემუშავებისა და ფინანსურ სექტორში მომხმარებელთა უფლებების დაცვის მოთხოვნების გაფართოების მიზანს, ერთი მხრივ, საქართველოსა და ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების ფარგლებში გათვალისწინებული მოთხოვნით, ევროკავშირის კანონმდებლობასთან მიახლოება და მეორე მხრივ, ბაზარზე არსებული გამოწვევების საპასუხო ქმედებები წარმოადგენდა.

ამასთან, ფინანსური სექტორის მომხმარებელთა უფლებების დაცვის ახალმა მოთხოვნებმა სექტორში კონკურენციის ხელშეწყობა და უფრო მეტად სამართლიანი პრაქტიკის დანერგვა უნდა უზრუნველყოს.

ზემოაღნიშნული ცვლილებები მოიცავს შემდეგ მნიშვნელოვან საკითხებს:

- ფინანსური ორგანიზაციების მიერ საკრედიტო და სადეპოზიტო ხელშეკრულებების მნიშვნელოვანი პირობების ცალმხრივი ცვლილების შემთხვევაში ფინანსური ორგანიზაციების მხრიდან მომხმარებლის წინასწარი ინფორმირების ვადები გაიზარდა;
- დადგინდა თავდებებისა და უზრუნველყოფის საგნის მესაკუთრეების ინფორმირების ვალდებულებები ე. წ. „გენერალური ხელშეკრულების“ ფარგლებში სესხის გაცემისა და უკვე გაცემული სესხის პირობების ცვლილების შემთხვევაში;
- კრედიტის წინსწრებით დაფარვისთვის დაკისრებული საკომისიოს ოდენობები კრედიტის საპროცენტო განაკვეთის ტიპისა და კრედიტის დარჩენილი ვადის მიხედვით განისაზღვრა;
- კონკურენციის ხელშეწყობისა და მომხმარებლისთვის არჩევანის შესაძლებლობების ზრდის მიზნით, დადგინდა მოთხოვნები სპეციფიკურ საფინანსო პროდუქტთან დაკავშირებული სადაზღვევო პროდუქტის შეთავაზების შესახებ. კერძოდ, ფინანსური ორგანიზაციების მიერ სესხთან დაკავშირებული დაზღვევის მოთხოვნის შემთხვევაში, გამსესხებელმა მომხმარებელს სამი სადაზღვევო კომპანიის სადაზღვევო პროდუქტის ალტერნატივა უნდა შესთავაზოს. ამასთან, მომხმარებელს უნდა მიეწოდოს ინფორმაცია, რომ მას თავადაც - დამოუკიდებლად - შეუძლია ალტერნატიული პოლისის მოძიება და წარდგენა. ფინანსური ორგანიზაცია ვალდებულია მომხმარებელს ის მინიმალური პირობები გააცნოს, რასაც აღნიშნული პოლისი უნდა აკმაყოფილებდეს. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს დაზღვევასთან დაკავშირებული შესაბამისი ინფორმაციაც.
- განისაზღვრა მომხმარებლისთვის სხვადასხვა ინფორმაციის მიწოდების დამატებითი მოთხოვნები. მათ შორის, ხელშეკრულების ცალმხრივად ცვლილების, ასევე, ე.წ. გენერალური ხელშეკრულების ფარგლებში დამატებითი სესხის გაცემისას, აღნიშნულის შესახებ მომხმარებლის გარდა, ინფორმაცია ასევე უნდა მიეწოდოს თავდებსა და უზრუნველყოფის საგნის მესაკუთრესაც. ასევე, სესხის გაცემისას, სესხთან დაკავშირებული სამართლებრივი რისკების შესახებ მსესხებლის/თავდებისა და უზრუნველყოფის საგნის მესაკუთრის ინფორმირება უნდა მოხდეს. შესაბამისი გაფრთხილების ტექსტი თავდებობისა და გირავნობის ხელშეკრულებებშიც უნდა განთავსდეს.
- ცვლილებების მიხედვით, მიმდინარე ანგარიშის, სადეპოზიტო და საკრედიტო პროდუქტების ამონაწერები გარკვეული პერიოდულობით უფასო უნდა იყოს. ამასთან,

ინფორმირებულობისა და გამჭვირვალობის ამაღლების მიზნით, დაზუსტდა იმ ინფორმაციის ჩამონათვალი, რომელსაც აღნიშნული ამონაწერი უნდა მოიცავდეს. ასევე, გაფართოვდა და დაზუსტდა რეკლამასა და შეთავაზებაში მისათითებელი ინფორმაციის ჩამონათვალიც.

- განისაზღვრა ფიქსირებული და ცვლადი საპროცენტო განაკვეთის ცნება და დაზუსტდა წინსწრებით დაფარვის პირობები სხვადასხვა განაკვეთიანი სესხებისთვის.

გარდა ზემოაღნიშნულისა, 2021 წლის ბოლოს წესის დამატებით ცვლილებებზე მუშაობაც დაიწყო, რომელიც 2022 წელს ეტაპობრივად ამოქმედდება.

კრედიტის ამოღებასთან დაკავშირებული ეთიკის კოდექსი

2021 წელსაც გაგრძელდა „ფინანსური ორგანიზაციების მიერ კრედიტის ამოღებასთან დაკავშირებული ეთიკის კოდექსის“ პროექტზე მუშაობა, რომელიც განვითარებულ ეკონომიკებში არსებულ მოთხოვნებსა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას ეფუძნება და მისი დამტკიცება 2022 წლის დასაწყისში იგეგმება. აღსანიშნავია, რომ სექტორის მონაწილე მხარეები სამუშაო პროცესში მაქსიმალურად იყვნენ ჩართული.

აღნიშნული კოდექსის ამოქმედება ხელს შეუწყობს მომხმარებლებში საფინანსო ორგანიზაციების მიმართ სანდო პარტნიორის რეპუტაციის გამყარებას და კრედიტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე კრედიტის ამოღების პროცესში მათი უფლებებისა და ინტერესების მაქსიმალურად დაცვას. ფინანსური ორგანიზაციისა და მომხმარებლის ურთიერთობა უნდა ემყარებოდეს სანდოობის, გამჭვირვალობის, ურთიერთპატივისცემის, ზუსტი და უტყუარი ინფორმაციის მიწოდებისა და მხარეთა პასუხისმგებლობის საზოგადოდ მიღებულ პრინციპებსა და ნორმებს.

კოდექსის პროექტით, მათ შორის, გათვალისწინებულია შემდეგი მნიშვნელოვანი საკითხები:

კრედიტის ამოღების პროცესში ფინანსური ორგანიზაცია ვალდებულია როგორც მომხმარებელთან, ასევე, საკონტაქტო და მესამე პირებთან, მათ შორის იპოთეკის/გირავნობის საგნის მესაკუთრეებთან და თავდებებთან კომუნიკაციისას, დაიცვას მიმართვის საქმიანი და ზრდილობიანი ფორმა. ფინანსურმა ორგანიზაციამ აღნიშნულ პირებს არ უნდა მიაწოდოს შეცდომაში შემყვანი ან/და არასწორი ინფორმაცია, რათა მათ არ უბიძგოს ისეთი გადაწყვეტილების მიღებისაკენ, რომელსაც ისინი არ მიიღებდნენ უტყუარი, სწორი და სრული ინფორმაციის ფლობის პირობებში.

ფინანსურ ორგანიზაციას ეკრძალება მომხმარებელს ან/და მის წარმომადგენელს მიაწოდოს არასწორი ინფორმაცია მათ შორის ვალდებულების მოცულობაზე, ვადასა და სტატუსზე, მოთხოვნის ხანდაზმულობაზე; არასწორად წარუდგინოს თავი, მათ შორის, მოჩვენებითად წარუდგინოს თავი სსიპ - აღსრულების ეროვნული ბიუროს წარმომადგენლად ან სხვა ორგანოსთან დაკავშირებულ პირად; მიაწოდოს ინფორმაცია, რომ ფინანსური ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს მომხმარებლის თავისუფლების აღკვეთას და ა.შ.

კოდექსის მიხედვით დაუშვებელია მომხმარებლებთან და მათთან დაკავშირებულ პირებთან ურთიერთობისას მათი სიტყვიერი ან ფიზიკური შეურაცხყოფა და მათ მიმართ დამამცირებელი, უხამსი, არაჰუმანური, დისკრიმინაციული ტერმინების გამოყენება; ასევე, ამ პირების შევიწროება, ზეწოლა, დაშინება, მათ მიმართ რეპუტაციის შემლახავი ან კანონსაწინააღმდეგო ქმედებების განხორციელება.

ფინანსურ ორგანიზაციას ასევე ეკრძალება მომხმარებლის ან მისი ოჯახის წევრების საცხოვრებელ სახლში ვიზიტი მათ საკუთრებაში არსებული ქონების აღწერის ან/და რეალიზაციის მიზნით, თუ აღნიშნული ქმედების უფლებამოსილება ფინანსურ ორგანიზაციას კანონმდებლობით არ აქვს მინიჭებული.

ფინანსური ორგანიზაცია ვალდებულია შექმნას მომხმარებელთან და სხვა პირებთან ადგილზე

ვიზიტის გარდა ნებისმიერი არხით კომუნიკაციის ამსახველი/დამადასტურებელი ინფორმაცია და შეინახოს ის ამ ინფორმაციის მიღებიდან მინიმუმ ორი თვის განმავლობაში. აღნიშნული ჩანაწერები, მომხმარებლის მიერ პრეტენზიის გამოთქმის შემთხვევაში, საკითხის სათანადოდ მოკვლევას, შესწავლასა და შეფასებას მნიშვნელოვნად დაეხმარება. ამასთან, მომხმარებელს და მესამე პირებს უფლება აქვთ უარი განაცხადონ აღნიშნული ჩანაწერის წარმოებაზე. კომუნიკაციის ამსახველი ინფორმაციის შენახვის მოთხოვნა ფინანსურმა ორგანიზაციებმა უნდა დააკმაყოფილონ არაუგვიანეს 2022 წლის 1 ივნისისა.

ფინანსური ორგანიზაცია უფლებამოსილია მომხმარებელს და მასთან დაკავშირებულ პირებს დაუკავშირდეს მხოლოდ უშუალოდ ამ პირების მიერ მისთვის გადაცემულ ან საჯარო წყაროებიდან მოპოვებულ რეკვიზიტებზე. ამასთან, მომხმარებელთან და სხვა პირებთან დაკავშირება ან ადგილზე ვიზიტი უნდა განხორციელდეს მხოლოდ დღის 09:00 საათიდან 20:00 საათამდე პერიოდში.

ხშირია შემთხვევა, როცა ფინანსური ორგანიზაცია ვერ ახერხებს უშუალოდ მომხმარებელთან დაკავშირებას. ასეთ შემთხვევაში, დღეს მოქმედი კანონმდებლობით, ის უფლებამოსილია დაუკავშირდეს მომხმარებელთან დაკავშირებულ მესამე პირებსაც, თუმცა, კოდექსის მიხედვით, ასეთი კავშირის მიზანი მხოლოდ მომხმარებლის ადგილმდებარეობის დადგენა ან მომხმარებელთან დაკავშირება უნდა იყოს. ამასთან, საკონტაქტო პირი ან/და მომხმარებელთან დაკავშირებული მესამე პირი უფლებამოსილია მოითხოვოს მასთან კომუნიკაციის შეწყვეტა. ასეთ შემთხვევაში, კოდექსის ვალდებულების ფარგლებში, ფინანსურ ორგანიზაციას უფლება არ აქვს დაუკავშირდეს აღნიშნულ პირს.

კოდექსის მიხედვით, გარკვეული გამონაკლისების გარდა, საკრედიტო პორტფელის ან ცალკეული კრედიტის გაყიდვა შესაძლებელი იქნება მხოლოდ საქართველოს ეროვნული ბანკის ზედამხედველობას დაქვემდებარებულ სუბიექტზე. ამ სუბიექტებს პორტფელი ან ცალკეული კრედიტი შესაძლოა სამართავადაც გადაეცეთ. ასეთ შემთხვევაში, კოდექსის მოთხოვნების დარღვევაზე პასუხისმგებლობა ამ უკანასკნელს, ანუ საკრედიტო პორტფელის ან კრედიტის შემძენ ან მმართველ ფინანსურ ორგანიზაციას დაეკისრება. ხოლო, საკრედიტო პორტფელის ან კრედიტის სამართავად მესამე პირისთვის გადაცემის შემთხვევაში, როცა ეს პირი ეროვნული ბანკის ზედამხედველობას დაქვემდებარებულ სუბიექტს არ წარმოადგენს, ამ კოდექსის მოთხოვნების დარღვევაზე პასუხისმგებლობა უშუალოდ გამსესხებელს დაეკისრება.

ფინანსური ორგანიზაციის მხრიდან ამ კოდექსით დადგენილი მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში, საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილი იქნება გამოიყენოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული საზედამხედველო ზომები ან/და სანქციები.

საკრედიტო საინფორმაციო ბიურო

2019 წლიდან ხორციელდება საკრედიტო საინფორმაციო ბიუროში მომხმარებელთა მიერ მიმართვების დაფიქსირება, რის შესახებაც სებ-ში ყოველთვიურად იგზავნება შესაბამისი ანგარიშგება. მიღებული ანგარიშგებისა და მომხმარებლების მხრიდან უშუალოდ სებ-ში დაფიქსირებული მომართვების საფუძველზე, დეტალურად ხდება საკითხების შესწავლა და ანალიზი, რაც თავის მხრივ, კონკრეტული საკითხების გადაჭრისა და სისტემურ დონეზე გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრის საშუალებას იძლევა.

2021 წელს ეროვნულმა ბანკმა “საქართველოს ტერიტორიაზე საკრედიტო საინფორმაციო ბიუროსათვის ინფორმაციის მიწოდების, საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს ბაზაში ინფორმაციის აღრიცხვის და ხელმისაწვდომობის წესში” განსახორციელებელ ცვლილებებზე დაიწყო მუშაობა, რომლის დამტკიცებაც 2022 წელს იგეგმება. კერძოდ, წესით განისაზღვრება საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს ვალდებულება შეიმუშაოს მომხმარებლებთან ურთიერთობის ეთიკის კოდექსი. ცვლილებები ასევე მოიცავს მომხმარებლის მიერ დაფიქსირებულ

პრეტენზიაზე რეაგირების დამატებით მოთხოვნებსაც. აღსანიშნავია, რომ სექტორის მონაწილე მხარეების მაქსიმალური ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით, ცვლილებების პროექტი საჯაროდ გამოქვეყნდა.

კონსულტაციები მომხმარებელთა უფლებების დაცვასთან დაკავშირებულ საკანონმდებლო ცვლილებების თაობაზე

გასული წლების მსგავსად, 2021 წელს საქართველოს ეროვნული ბანკი საფინანსო სექტორის წარმომადგენლებისა და სხვა დაინტერესებული მხარეებისათვის საფინანსო სექტორის მომხმარებელთა უფლებების დაცვის სფეროში არსებულ საკანონმდებლო მოთხოვნებთან დაკავშირებულ საკითხებზე კონსულტაციებისა და რეკომენდაციების გაწევას ისევ დისტანციურად განაგრძობდა.

ამასთან, დისტანციურ რეჟიმში მიმდინარეობდა საკანონმდებლო ჩარჩოსთან დაკავშირებული ცვლილებების პროექტებზე მუშაობის პროცესი.

საქართველოს ეროვნული ბანკის ინიციატივითა და საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის ჩართულობით, მოქმედი მოსამართლეებისა და მათი თანაშემწეებისთვის ონლაინ ტრენინგი ჩატარდა. პროექტი იუსტიციის უმაღლეს სკოლასთან თანამშრომლობით განხორციელდა და მიზნად ისახავდა საფინანსო სექტორის მარეგულირებელთა მიერ, მათ შორის მომხმარებელთა უფლებების დაცვის მიმართულებით, მიღებული ნორმატიული აქტებისა და პრინციპების პრაქტიკოსი მოსამართლეებისთვის გაცნობას. ორდღიან ონლაინ შეხვედრას ეროვნული ბანკისა და დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის თანამშრომლები უძღვებოდნენ. სპეციალურად სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლებისთვის შემუშავებული სასწავლო მოდული ფოკუსირებული იყო მომხმარებელთა უფლებების დაცვის, ასევე, საგადახდო სისტემების კანონმდებლობისა და მომხმარებელთა გადახდისუნარიანობის შეფასების საკითხებზე.

მოცემული პროექტი ხელს შეუწყობს მომხმარებელთა უფლებების დაცვის მიმართულებით მოქმედი სამართლებრივი აქტების შესახებ მოსამართლეთა ცნობიერების ამაღლებას, და მათ, ასევე, საფინანსო სექტორის მომხმარებელთა დაცვის მექანიზმების სპეციფიკის უკეთ გაცნობაში დაეხმარება.

საფინანსო სექტორში მომხმარებელთა უფლებების დაცვის სტანდარტების დისტანციური და ადგილზე შემოწმება

საზედამხედველო მოთხოვნების შესაბამისობის მონიტორინგის მიზნით, 2021 წელს ფინანსური ინსტიტუტების შემოწმება, COVID-19 პანდემიასთან დაკავშირებული ვითარებიდან გამომდინარე, დისტანციურად ხორციელდებოდა. საკანონმდებლო ჩარჩოს მოთხოვნების გამოვლენილი დარღვევების საპასუხოდ, ეროვნულმა ბანკმა რიგი საზედამხედველო ღონისძიებები გაატარა. მათ შორის, წერილობითი მითითება გაეგზავნა 4 კომერციულ ბანკს, 2 მიკროსაფინანსო ორგანიზაციასა და 78 სესხის გამცემ სუბიექტს, ხოლო გამოვლენილი დარღვევებისთვის 2 კომერციული ბანკი 12,000 (თორმეტი ათასი) ლარის და 9 სესხის გამცემი სუბიექტი 9,000 (ცხრა ათასი) ლარის ოდენობით დაჯარიმდა.

მომხმარებლების მომართვიანობა

2021 წელს საქართველოს ეროვნულ ბანკის მომხმარებელთა უფლებების დაცვის განყოფილებაში წინა წელთან შედარებით მომხმარებელთა მომართვიანობა დაახლოებით 32 პროცენტით შემცირდა და სულ 6,644 მომართვა დაფიქსირდა.

მომართვების უმრავლესობა დაფიქსირდა ტელეფონით - 5,160 (77.66 პროცენტი), ელექტრონული ფოსტით - 693 (10.43 პროცენტი), წერილობით - 404 (6.08 პროცენტი); სოციალური ქსელით - 384 (5.78 პროცენტი), ხოლო ყველაზე ნაკლები, პანდემიიდან გამომდინარე, პირადი ვიზიტის სახით - 3 (0.4 პროცენტი).

წინა წელთან შედარებით, საქართველოს ეროვნულ ბანკში მომართვიანობის შემცირება ძირითადად განპირობებული იყო ე. წ. „სესხების

გადავადებების“ პროგრამის დასრულებით და, შესაბამისად, აღნიშნულთან დაკავშირებით მომხმარებელთა მხრიდან შეკითხვებისა და მოთხოვნების კლებით.

შინაარსის მიხედვით, ყველაზე მეტი მომართვა ადმინისტრაცია/მომსახურებასთან დაკავშირებით დაფიქსირდა, ასევე, აქტუალური იყო რესტრუქტურიზაციასა და საპროცენტო განაკვეთთან დაკავშირებული პრეტენზიები, ისევე, როგორც ზოგადი სახის ინფორმაციის მოთხოვნასთან დაკავშირებული მომართვები.

პროდუქტების მიხედვით კი, ყველაზე ხშირი მომართვები სამომხმარებლო, იპოთეკურ და პრობლემურ სესხებს ეხებოდა.

ფინანსურ ორგანიზაციებში დაფიქსირებული პრეტენზიები

მომხმარებლები პრეტენზიის დასაფიქსირებლად ფინანსურ ორგანიზაციებს (კომერციული ბანკები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები და სესხის გამცემი სუბიექტები) და საკრედიტო საინფორმაციო ბიუროსაც მიმართავდნენ, რომელთაც, თავის მხრივ, აღნიშნული ინფორმაციის აღრიცხვისა და სებ-ისთვის ყოველთვიურად მოწოდების ვალდებულება აქვთ.

კომერციულ ბანკებში დაფიქსირებული პრეტენზიები

ფინანსური ორგანიზაციების მიერ სებ-ისთვის მიწოდებული ანგარიშგებების მიხედვით, 2021 წლის განმავლობაში კომერციულ ბანკებში 24,537 პრეტენზია დაფიქსირდა, რაც წინა წლის მაჩვენებელს 25 პროცენტით აღემატება. აღსანიშნავია, რომ 2012 წლიდან კომერციულ ბანკებში დაფიქსირებული მიმართვების დინამიკა მუდმივად მზარდია, რაც მისასალმებელია, რადგანაც ის მომხმარებელთა უფლებების დაცვის მექანიზმების შესახებ მომხმარებლების ინფორმირებულობის ზრდაზე მიუთითებს. ასევე, კვლავ აქტუალური იყო ტრანზაქციებთან, ადმინისტრაცია/მომსახურებასთან და ხელშეკრულების პირობებთან დაკავშირებული მიმართვები.

საბანკო პროდუქტებიდან ყველაზე ხშირად პრეტენზიები შემდეგ პროდუქტებზე ფიქსირდებოდა: 1) მიმდინარე ანგარიშები/სადებეტო ბარათები; 2) სამომხმარებლო სესხები; 3) სხვა ტიპის პრეტენზიები და 4) საკრედიტო ბარათები. ამასთან, ტრანზაქციებზე დაუთანხმებლობა ძირითადად მიმდინარე ანგარიშს/სადებეტო ბარათს, ხოლო ხელშეკრულების პირობების შესახებ პრეტენზიები სამომხმარებლო სესხებსა და საკრედიტო ბარათებს უკავშირდება.

დიაგრამა N 5.1 კომერციულ ბანკებში პრეტენზიების გადანაწილება სტატუსის მიხედვით



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა N 5.2 კომერციულ ბანკებში პრეტენზიების გადანაწილება პროდუქტების მიხედვით



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მიკროსაფინანსო ორგანიზაციებში დაფიქსირებული პრეტენზიები:

2021 წლის განმავლობაში, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებში 1,229 პრეტენზია დაფიქსირდა, რაც, წინა წელთან შედარებით, დაახლოებით 33 პროცენტით მეტია. ამასთან, როგორც კომერციულ ბანკებში, ასევე, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებშიც, პრეტენზიების მატება მომხმარებელთა ინფორმირებულობის ზრდითა და უშუალოდ მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მხრიდან პრეტენზიების აღრიცხვის დახვეწით არის განპირობებული.

2021 წელს პრეტენზიების დაახლოებით 78 პროცენტი სამომხმარებლო სესხებს ეხება, რაც ბუნებრივია, რადგანაც მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ძირითად პროდუქტს სწორედ აღნიშნული წარმოადგენს. აქვე აღსანიშნავია, რომ 2021 წლის აპრილიდან პრეტენზიების აღრიცხვის მეთოდოლოგია მცირედით შეიცვალა და ანგარიშგებებში დამატებით გამოიყო სამი პროდუქტი - სადებეტო ბარათი, საკრედიტო საინფორმაციო ბიურო და სალომბარდე სესხები. მიუხედავად მეთოდოლოგიის ცვლილებისა, სამომხმარებლო სესხების ხვედრითი წილი, დაფიქსირებული პრეტენზიების ფარგლებში, მაინც მზარდი იყო.

რაც შეეხება პრეტენზიების ხასიათს, ყველაზე დიდი ხვედრითი წილი ჯარიმებსა და ვადაგადაცილებასთან დაკავშირებულ პრეტენზიებს და ადმინისტრაცია/მომსახურებასთან დაკავშირებულ საკითხებს უჭირავს.

დიაგრამა N 5.3 მიკროსაფინანსო ორგანიზაციებში პრეტენზიების გადანაწილება სტატუსის მიხედვით



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა N 5.4 მიკროსაფინანსო ორგანიზაციებში პრეტენზიების გადანაწილება პროდუქტების მიხედვით



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

5.2 ფინანსური განათლება

ეროვნული ბანკი 2021 წელსაც განაგრძობდა ფინანსური განათლების ამაღლებაზე მუშაობას. 2020 წელს შექმნილი ფინანსური განათლების პორტალის - „ფინედუს" (www.finedu.gov.ge) საშუალებით აქტიური კომუნიკაცია მიმდინარეობდა საზოგადოებასთან და მომხმარებლებს ფულთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მისაღებად საჭირო სანდო, მიუკერძოებელი და უტყუარი ინფორმაცია მიეწოდებოდათ. განხორციელდა არაერთი პროექტი, ჩატარდა ვებინარები, ონლაინ შეხვედრები და კონკურსები სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებისთვის, მათ შორის, ბავშვებისთვის, ახალგაზრდებისთ-

ვის, მასწავლებლებისთვის, მეწარმეებისა და ზრდასრული მოსახლეობისთვის. შემუშავდა ანიმაციური ვიდეორგოლები ფინანსური განათლების საკვანძო საკითხებზე. ტრადიციულად, სხვადასხვა პარტნიორი ორგანიზაციების ჩართულობით აღინიშნა ცნობიერების ასამაღლებელი ყოველწლიური ღონისძიებები - გლობალური ფულის კვირეული, ინოვაციების ბანაკი, მსოფლიო დაზოგვის დღე და საფუძველი ჩაეყარა ორი ახალი თარიღის - მომხმარებელთა უფლებების დაცვის დღისა და ახალგაზრდობის საერთაშორისო დღის აღნიშვნას. გაგრძელდა თანამშრომლობა ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ფინანსური განათლების საერთაშორისო ქსელთან (OECD/INFE), რომლის ფარგლებშიც საქართველოში პირველად ჩატარდა მიკრო, მცირე და საშუალო მეწარმეების ფინანსური განათლების კვლევა.

ფინანსური განათლების პორტალი - "FinEdu.gov.ge"

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ 2020 წლის სექტემბერში გაშვებული ფინანსური განათლების პორტალი, finedu.gov.ge (ფინედუ) და მისი სოციალური არხები (Facebook, Instagram, LinkedIn და YouTube) 2021 წლის განმავლობაში, პანდემიური გარემოს გათვალისწინებით, ფინანსური განათლების გავრცელების ერთ-ერთ ძირითად არხს წარმოადგენდა.

ფინედუს ვებგვერდზე თავმოყრილია ფინანსური განათლების თემაზე არსებული საჭირო ინფორმაცია, მათ შორის: სასარგებლო რჩევები, კალკულატორები, ტესტები, პუბლიკაციები, ბროშურები, თემატური სახელმძღვანელოები, ვიდეორგოლები და ბლოგი. აღსანიშნავია, რომ „ფინედუ" მომხმარებელს ობიექტურ, მიუკერძოებელ, მოქმედი კანონმდებლობისა და საუკეთესო პრაქტიკის შესაბამის ინფორმაციას მარტივ ენაზე აწვდის. ვებგვერდზე გამოქვეყნებული მასალის (გარდა საავტორო ბლოგებისა) ნებისმიერი დაინტერესებული მხარის მიერ გამოყენება თავისუფლად არის შესაძლებელი. 2021 წლის განმავლობაში ფინედუს პორტალი ახალი თემატური მასალებით შეივსო. კერძოდ, ვებგვერდს დაემატა ქვეკატეგორია „რჩევები კიბერუსაფრთხოებისთვის", ბლოგები, ტესტები, პუბლიკაციები; განახლდა ინფორმაცია საკანონმდებლო ცვლილებების შესაბამისად - მაგალითად, განახლდა ინფორმაცია მომხმარებელთა უფლებების დაცვის კატეგორიაში; გვერდზე აისახა ყველა ის ღონისძიება თუ სიახლე, რომელიც 2021 წლის განმავლობაში განხორციელდა და დაემატა შესაბამისი ტექსტური თუ ვიდეომასალა, ასევე, ვებინარებზე გამოყენებული სასწავლო მასალები. ფინედუს სოციალური არხების საშუალებით 2021 წლის განმავლობაში ვრცელდებოდა ვებგვერდზე არსებული მასალები, ფინანსური განათლების მიმართულებით განხორციელებული ღონისძიებების, კონკურსებისა და საინფორმაციო კამპანიების შესახებ ინფორმაცია, განხორციელდა სპეციალურად ფეისბუქგვერდზე დაორგანიზებული ღონისძიებებიც. ყოველივე აღნიშნულის საშუალებით შესაძლებელი გახდა ფინანსური განათლების აქტივობები და მასალები ხელმისაწვდომი ყოფილიყო საქართველოს ნებისმიერ რეგიონში მცხოვრები მოსახლეობისათვის.

2021 წლის სექტემბერში განხორციელდა საინფორმაციო კამპანია ფინედუს 1 წლის იუბილესთან დაკავშირებით. აღნიშნული კამპანიის ფარგლებში, ეროვნული ბანკისა და მისი პარტნიორი ორგანიზაციების ჩართულობით, მომზადებული ვიდეომასალების საშუალებით საზოგადოებას კიდევ ერთხელ მიეწოდა ინფორმაცია ფინანსური განათლების პორტალის არსებობისა და მის მიერ განხორციელებული აქტივობების შესახებ.

2021 წლის ბოლოს მდგომარეობით, ფინანსური განათლების პორტალს 95 ათასზე მეტი მომხმარებელი ესტუმრა. უშუალოდ 2021 წლის განმავლობაში ვებგვერდმა 81 ათასზე მეტი ახალი უნიკალური მომხმარებელი მოიზიდა, რომლებმაც 130,000-ზე მეტი სესიის განმავლობაში სულ 277,000-მდე გვერდი მოინახულეს. რაც შეეხება ფინედუს ფეისბუქგვერდს - https://www.facebook.com/finedu.gov.ge/, ის 2021 წელს 800 ათასამდე უნიკალურ მომხმარებელს მისწვდა და 9.8 ათასი გამომწერი მოაგროვა. ინსტაგრამისა და ლინკდინის გვერდები შედარებით გვიან, 2021

წლის მეორე ნახევარში ამოქმედდა, შესაბამისად, მათი გამომწერების რაოდენობა შედარებით მოკრძალებული, 1.1 ათასი, იყო.

ფინანსური განათლების პროექტები

პირადი ფინანსების მართვის ონლაინ კურსი

ეროვნულმა ბანკმა ზრდასრული მოსახლეობის ფინანსური განათლების ამაღლების მიზნით, პირადი ფინანსების მართვის ონლაინ კურსი შეიმუშავა. კურსის მიზანი იყო მსმენელებისთვის ისეთი ინფორმაციის მიწოდება, რომელიც მათ ინფორმირებული ფინანსური გადაწყვეტილებების მიღებასა და ფინანსურ ორგანიზაციებთან ურთიერთობაში დაეხმარება. ონლაინ შეხვედრებზე დასწრება ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეეძლო.

შეხვედრები 5 სესიად ჩატარდა, სადაც მონაწილეებს ინტერაქტიული სავარჯიშოებისა და ჯგუფური აქტივობების სახით მიეწოდათ მნიშვნელოვანი ინფორმაცია ბიუჯეტირების, დაზოგვის, სესხების, ფინანსური უსაფრთხოებისა და ფინანსური ორგანიზაციების მომხმარებელთა უფლებების შესახებ. კურსის ბოლოს მონაწილეებს ელექტრონული სერტიფიკატები გადაეცათ.

ონლაინ კურსის ჩანაწერები, გამოყენებულ საპრეზენტაციო მასალებთან ერთად ფინანსური განათლების პორტალსა (www.finedu.gov.ge)[76] და მის YouTube არხზე (www.YouTube.com/FineduGeorgia)[77] განთავსდა და ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის ხელმისაწვდომია.

საგანმანათლებლო ვიდეორგოლები

ეროვნულმა ბანკმა German Sparkassenstiftung (DSIK)-ის მხარდაჭერით, ფინანსური განათლების თემაზე 9 ანიმაციური ვიდეორგოლი[78] მოამზადა. ვიდეორგოლებში მარტივი ენით არის ახსნილი ფინანსური განათლების საკვანძო საკითხები, რომლებიც მოსახლეობას ფულთან დაკავშირებული გონივრული გადაწყვეტილებების მიღებაში დაეხმარება. მათ შორისაა ინფორმაცია სესხის ძირითადი პირობების, გადახდისუნარიანობის, ეფექტური და ნომინალური საპროცენტო განაკვეთის, დაზღვევის, დაგროვებითი საპენსიო სქემის, სავალუტო რისკისა და კიბერთაღლითობის ერთ-ერთი ფორმის, ე.წ. „ფიშინგის" შესახებ.

ფეისბუქის პირდაპირი ჩართვების სერია - „Finოსოფიური დღიურები“

ეროვნულმა ბანკმა ფინანსური განათლების პორტალ „ფინედუს" ფეისბუქგვერდზე (www.facebook.com/finedu.gov.ge) ახალი პროექტი „Finოსოფიური დღიურები“ დაიწყო, რომელიც ფეისბუქის პირდაპირი ჩართვის (Live) ფორმატში საუბრების სერიას წარმოადგენს. პროექტის მიზანი ამა თუ იმ ფინანსური საკითხის განსხვავებული, საინტერესო კუთხით წარმოჩენა და ფართო საზოგადოებაში ფინანსების მიმართ გონივრული დამოკიდებულებების ფორმირების ხელშეწყობაა.

2021 წლის განმავლობაში „Finოსოფიური დღიურების“ რვა სესია გაიმართა, სადაც მოწვეული სპიკერები ფინანსურ საკითხებთან დაკავშირებით არასტანდარტული, ორიგინალური და საინტერესო კუთხით საუბრობდნენ. საუბრების მოსმენა ნებისმიერ დაინტერესებულ ადამიანს წინასწარი რეგისტრაციის გარეშე შეეძლო. მსმენელებს შესაძლებლობა ჰქონდათ შეხვედრის მსვლელობისას კომენტარებში საკუთარი შეკითხვები დაეწერათ და სპიკერის პასუხები მოესმინათ.

ჩანაწერების ნახვა დაინტერესებულ პირებს ფეისბუქგვერდის გარდა როგორც ფინანსური განათლების პორტალზე[79], ისე, მის YouTube[80] არხზე შეუძლიათ.

76. https://finedu.gov.ge/ge/ghonisdziebebi-2/piradi-finansebis-martvis-onlain-kursi-tsarmatebit-chatarda-1
77. https://www.youtube.com/watch?v=khVRMGGmzUA&list=PLhi_8_nnsD1OyMl23Q8VMYzWMFSFoa_Cr
78. https://www.youtube.com/watch?v=eWvqJvTxCRw&list=PLhi_8_nnsD1OLJZYwLvS7czDNtmRYer9U

კონკურსები

მოსახლეობაში ფინანსური განათლების მიმართ დაინტერესების გაზრდის მიზნით, ეროვნული ბანკი ფინანსური განათლების პორტალ - ფინედუს ფეისბუქგვერდის საშუალებით, პერიოდულად სხვადასხვა კონკურსს აცხადებდა. მათ შორისაა წიგნის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი კონკურსი და კონკურსი - „11 თავსატეხი“, რომელიც 11 კვირის განმავლობაში მიმდინარეობდა. ორივე კონკურსის ფარგლებში გამოქვეყნებული სხვადასხვა ტიპის თავსატეხები ფინანსური განათლების თემებსა და ფინანსური განათლების პორტალ - www.finedu.gov.ge-ს უკავშირდებოდა. კონკურსებში მონაწილეობის მიღება ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეეძლო. კონკურსების გამარჯვებულები საგანმანათლებლო მასალებითა და ფინედუს ბრენდირებული სამახსოვრო პრიზებით დაჯილდოვდნენ.

საგანმანათლებლო ვებინარები და ფეისბუქჩართვები სხვადასხვა სამიზნე სეგმენტისათვის

ეროვნული ბანკი 2021 წლის განმავლობაში სხვადასხვა სამიზნე სეგმენტისთვის პერიოდულად ვებინარებსა და ფეისბუქის პირდაპირ ჩართვებს (Live) ატარებდა.

ფინანსური განათლებისა და პირადი ფინანსების მართვის თემაზე Live ლექცია[81] ჩატარდა ფეისბუქ ჯგუფისთვის - W4W (განათლება და კარიერული განვითარება). ვებინარზე განხილული საკითხებით ეროვნული ბანკი გამოეხმაურა ჯგუფის მიზანს, განხორციელდეს ახალგაზრდა ქალების გაძლიერება და მათთვის განათლებისა და კარიერული განვითარების მიმართულებით ინფორმაციის მიწოდება.

სამოქალაქო განათლების აღმოსავლეთ პარტნიორობის ქსელის მიერ ორგანიზებული სამოქალაქო განათლების კვირეულის ფარგლებში, მასწავლებლებისთვის ჩატარდა ვებინარი, რომელიც სამოქალაქო განათლების საგანში ფინანსური განათლების საკითხების ინტეგრირების მიმართულებით ეროვნული ბანკის გამოცდილების გაზიარებას დაეთმო.

ეროვნულმა ბანკმა ვებინარი გამართა ასევე მეწარმეებისა და სამეწარმეო საქმიანობით დაინტერესებული პირებისთვისაც[82]. ვებინარის მონაწილეებს შესაძლებლობა ჰქონდათ, რეალურთან მიახლოებული, პრაქტიკული მაგალითებით გასცნობოდნენ და შეესწავლათ ის ძირითადი საკითხები, რომლებიც ბიზნესის ფინანსური მდგომარეობის ანალიზისთვის არის საჭირო, მათ შორის, ფინანსური ორგანიზაციების მიერ სესხის გასაცემად მოთხოვნილი ინფორმაცია, საფინანსო უწყისები და კოეფიციენტები.

2021 წელს ფინანსური განათლების პორტალის ფეისბუქგვერდზე დაიწყო კიდევ ერთი პირდაპირი (Live) ჩართვების სერია - „ექსპერტის საათი“. აღნიშნული პროექტის ფარგლებში ფინანსური განათლების მიმართულებით საზოგადოებისათვის აქტუალურ სხვადასხვა თემას შესაბამისი დარგის ექსპერტები განიხილავდნენ. ერთ-ერთი პირდაპირი ჩართვა ფიზიკური პირების ქონების გადასახადთან დაკავშირებული საკითხების განხილვას დაეთმო.[83] Live-ზე ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის წარმომადგენელმა ქონების გადასახადზე, დეკლარაციის შევსების ნიუანსებსა და ვადებზე ისაუბრა და აუდიტორიის მიერ დასმულ კითხვებს უპასუხა.

ცნობიერების ასამაღლებელი ღონისძიებები

ეროვნული ბანკი 2021 წელსაც ტრადიციულად განაგრძობდა ცნობიერების ასამაღლებელი ყოველწლიური ღონისძიებების - გლობალური ფულის კვირეულის, ინოვაციების ბანაკისა და მსოფლიო დაზოგვის დღის აღნიშვნას. ამასთან, საფუძველი ჩაეყარა ახალ ინიციატივებს - მომხმარებელთა უფლებების დაცვის საერთაშორისო დღის, ახალგაზრდობის საერთაშორისო დღისა

79. https://finedu.gov.ge/ge/video-galerea-2/finosofiuri-dghiurebi-1
80. https://www.youtube.com/watch?v=ySAglFW6yI4&list=PLhi_8_nnsD1NHDtf_DKNkdp6M5D-wHkbp
81. https://finedu.gov.ge/ge/ghonisdziebebi-2/vebinari-finansuri-ganatleba-da-piradi-finansebis-martva-1
82. https://www.youtube.com/watch?v=pUbdeTcCGl8&t=167s
83. https://www.youtube.com/watch?v=YBkxWjcxDh8&t=160s

და კიბერუსაფრთხოების შესახებ ცნობიერების ამაღლების თვის აღნიშვნას.

ფულის გლობალური კვირეული

2021 წელს, ეროვნული ბანკისა და ფინანსური განათლების პორტალის - finedu.gov.ge-ს ორგანიზებით „ფულის გლობალური კვირეული" (კვირეული) საქართველოში მეშვიდედ, 22-28 მარტს აღინიშნა. ღონისძიებაში კომერციული ბანკები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საქართველოს საბანკო ასოციაცია, მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე, არასამთავრობო ორგანიზაცია „ჯუნიორ ეჩივმენტ საქართველო", ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი და საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი იყო ჩართული.

ფულის გლობალური კვირეული მსოფლიოს 170-ზე მეტ ქვეყანაში ყოველწლიურად იმართება და მისი მთავარი ამოცანაა, ხელი შეუწყოს ბავშვებსა და ახალგაზრდებში ფინანსური, ეკონომიკური და სამეწარმეო ცნობიერების ამაღლებას. 2021 წლის კვირეულის საერთაშორისო დევიზს (Take care of yourself, take care of your money!) საქართველოც შესაბამისი ქართულენოვანი ვერსიით შეუერთდა „გაუფრთხილდი საკუთარ თავს, გაუფრთხილდი საკუთარ ფულს!"

კვირეულის ფარგლებში, ეროვნულმა ბანკმა ვიდეოშეკითხვების[84] კონკურსი - „ფული და ფულის სამყარო" ჩაატარა. სწორი პასუხების მიხედვით, სულ 15 გამარჯვებული გამოვლინდა, რომელთაც ეროვნული ბანკისგან ბრენდირებული საჩუქრები, წიგნი-ალბომი „ფული საქართველოში" და სერტიფიკატები გადაეცათ. კონკურსის მონაწილეებს შესაძლებლობა ჰქონდათ, გაეღრმავებინათ ცოდნა ფულისა და საბანკო სისტემის ისტორიის შესახებ. გარდა ამისა, ფინედუს ვებგვერდსა და ფეისბუქგვერდზე გამოქვეყნდა პოსტები, ბლოგები და სტატიები ფულის ისტორიაზე, დაზოგვასა და ბიუჯეტირებაზე.

საფინანსო სექტორის წარმომადგენლებმა კვირეულის ფარგლებში არაერთი საგანმანათლებლო ღონისძიება გამართეს. ფონდ „კრისტალისა" და ფინანსური ჩართულობის ორგანიზაცია „კრისტალის" მიერ შემუშავდა საგანმანათლებლო ვიდეორგოლები მომხმარებელთა უფლებების დაცვის თემაზე. მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრისტალის" ლიბერთი ბანკისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „მიკრო ბიზნეს კაპიტალის" მიერ ახალგაზრდებისათვის ვებინარები ჩატარდა, რომლებიც პირადი ბიუჯეტის, დაზოგვის, სესხების, დაზღვევისა და ფინანსური უსაფრთხოების საკითხებს დაეთმო. ასევე, ფინანსური განათლების საკვანძო საკითხებზე ვებინარი ჩატარდა საქართველოს საბანკო ასოციაციის ორგანიზებითაც, რომელშიც ეროვნული ბანკის, თიბისი ბანკის, ფინკა ბანკი საქართველოსა და ლიბერთი ბანკის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. საქართველოს ბანკმა და თიბისი ბანკმა თავიანთ სოციალურ ქსელებში დაზოგვის, ხარჯვისა და ფულის თემაზე სხვადასხვა საგანმანათლებლო მასალა, მათ შორის - ვიდეორგოლები, ბლოგები, პოსტები და ქვიზები გამოაქვეყნეს. ფინკა ბანკმა, კრედო ბანკმა, ტერაბანკმა და ბაზისბანკმა კი კვირეულისა და მისი მნიშვნელობის შესახებ გაავრცელეს ინფორმაცია.

მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნულმა სასახლემ კვირეულის ფარგლებში, ტრადიციულად, აფლატუნის საერთაშორისო დღე აღნიშნა, რომლის მიზანსაც მოსახლეობაში სოციალური და ფინანსური განათლების შესახებ ცნობიერების ამაღლება წარმოადგენს. კვირეულის ფარგლებში ახალგაზრდებისთვის გაიმართა ვებინარები ფულის ისტორიისა და ფინანსური უსაფრთხოების შესახებ.

კვირეულის ფარგლებში ახალგაზრდებისთვის ვებინარები და ტრენინგები ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიების და განათლების ფაკულტეტმა, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტმა და „ჯუნიორ ეჩივმენტ საქართველომაც" ჩაატარეს. შეხვედრები სხვადასხვა თემას, მათ შორის ფულის ტრანსფორმაციას, საბანკო პროდუქტებს, დაზოგვას, სესხებასა და ინვესტირებას დაეთმო.

84. https://www.youtube.com/watch?v=Xw0gMIQsS08&list=PLhi_8_nnsD1Ml5OqoglUPK-ujrUeWhuI9

ჯამში, კვირეულის ფარგლებში სხვადასხვა ორგანიზაციის ჩართულობით 40-ზე მეტი სხვადასხვა ტიპის აქტივობა განხორციელდა და კვირეულის შესახებ ინფორმაცია ქვეყნის მასშტაბით 1 230 000-ზე მეტ მომხმარებელს მისწვდა[85].

ინოვაციების ბანაკი ფინანსური განათლების თემაზე

ეროვნული ბანკი „ჯუნიორ ეჩივმენტ საქართველოსთან" ერთად, ინოვაციების ბანაკის ორგანიზებაში 2021 წელს მეოთხედ ჩაერთო. ღონისძიება აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) პროექტის - "სამეწარმეო განათლების მხარდაჭერა ევროპასა და ევრაზიაში" ფარგლებში, ხუთი კომერციული ბანკის - თიბისი ბანკის, საქართველოს ბანკის, ლიბერთი ბანკის, ბაზისბანკის, კრედო ბანკისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაცია მიკრო ბიზნეს კაპიტალის თანადაფინანსებითა და ჩართულობით განხორციელდა.

ინოვაციების ბანაკი იდეების ინტენსიური გენერირების ღონისძიებაა, სადაც მოსწავლეები კონკრეტულ ბიზნესგამოწვევაზე გუნდურად მუშაობენ და მის გადაჭრას ეფექტური და ინოვაციური მეთოდების გამოყენებით ცდილობენ.

2021 წლის ღონისძიება გაიმართა სახელწოდებით „ინოვაციების ბანაკი: ინოვაციები ფინანსურ განათლებაში", რომელიც ფინანსური განათლების კუთხით არსებულ გამოწვევებს მიეძღვნა. ორდღიანი ღონისძიება ონლაინ ფორმატში წარიმართა[86] და მასში მონაწილეობა საქართველოს რეგიონებიდან 15-დან 18 წლამდე ასაკის 100-ზე მეტმა ახალგაზრდამ მიიღო.

ღონისძიების დასაწყისში, მონაწილეებმა ეროვნული ბანკისგან ფინანსური განათლების შესახებ ლექცია მოისმინეს. შემდგომ, მათ მიეცათ სიტუაციური დავალება, რომლის გადაჭრის გზებზეც დღის განმავლობაში გუნდურად იმუშავეს. მუშაობის პროცესში გუნდებს ყველა საჭირო ინფორმაციასა და რესურსთან ჰქონდათ წვდომა. ამასთან, საბანკო-საფინანსო სექტორის მოწვეული ექსპერტებისგან საჭირო რჩევები და კონსულტაციებიც მიიღეს.

ღონისძიების დასასრულს, მონაწილე გუნდებმა თავიანთი იდეების შესახებ პრეზენტაციები წარადგინეს, რის საფუძველზეც კომპეტენტურმა ჟიურიმ გამარჯვებული გუნდი გამოავლინა. გამარჯვებულებსა და ღონისძიების სხვა მონაწილეებს სიმბოლური საჩუქრები და სერტიფიკატები გადაეცათ.

ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე

ეროვნულმა ბანკმა, საფინანსო სექტორის წარმომადგენლების ჩართულობით, ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე 2021 წელს პირველად აღნიშნა.

12 აგვისტო ახალგაზრდობის საერთაშორისო დღედ გაერთიანებული ერების გენერალურმა ასამბლეამ 1999 წელს გამოაცხადა. მსოფლიო მასშტაბით ეს დღე ახალგაზრდების პრობლემების, მათი იდეებისა და ინიციატივების განხილვას ეძღვნება.

ღონისძიების ფარგლებში გამოცხადდა იდეების კონკურსი, სადაც მონაწილეებს ახალგაზრდებში ფინანსური განათლების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით ინოვაციური პროექტები უნდა წარედგინათ.

კონკურსის ფინალი 12 აგვისტოს, ახალგაზრდობის საერთაშორისო დღეს, ონლაინ ფორმატში გაიმართა[87], სადაც ექვსმა ფინალისტმა ჟიურის საკუთარი იდეები წარუდგინა და მათ კითხვებსაც უპასუხა. თითოეული გამომსვლელი ჟიურიმ კონკურსის პირობებით დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით შეაფასა და სამი გამარჯვებული გამოავლინა.

85. https://globalmoneyweek.org/countries/142-georgia.html
86. https://finedu.gov.ge/ge/ghonisdziebebi-2/tslevandeli-inovatsiebis-banaki-finansuri-ganatlebis-kutkhit-arsebul-gamotsvevebs-miedzghvna-1
87. https://www.facebook.com/finedu.gov.ge/videos/990574931767972

გამარჯვებულებს პარტნიორი ორგანიზაციებისგან - მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სვისკაპიტალის, კრედო ბანკისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ევროკრედიტისგან – 1000-ლარიანი ვაუჩერი, ხოლო ფინანსური ჩართულობის ორგანიზაცია კრისტალისგან - ახალგაზრდა მეწარმეთა სკოლის - YES Georgia-ს ვაუჩერი გადაეცათ. ფინალისტებს ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა, კობა გვენეტაძემ უმასპინძლა და სამახსოვრო პრიზები და სერტიფიკატები გადასცა.

დაზოგვის მსოფლიო დღე

2021 წელს ეროვნულმა ბანკმა დაზოგვის მსოფლიო დღე კომერციული ბანკების ჩართულობით მეათედ აღნიშნა. ღონისძიებას ფინანსური სექტორის წარმომადგენლებიდან მხარდაჭერას უწევდა ბაზისბანკი, თიბისი ბანკი, კრედო ბანკი, ლიბერთი ბანკი და საქართველოს ბანკი.

დაზოგვის მსოფლიო დღის მიზანი ბავშვებსა და ახალგაზრდებში დაზოგვის სარგებლიანობის შესახებ ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა და დაზოგვის წახალისებაა.

2021 წელს დაზოგვის მსოფლიო დღის აღსანიშნავად დაიგეგმა ღონისძიება-კონკურსი სლოგანით „ჩაერთე, ასწავლე, გაიმარჯვე!“. პროექტში მონაწილეობის შესაძლებლობა ფინანსური განათლების გავრცელებით დაინტერესებულ ნებისმიერ პირს, მათ შორის, სკოლის პედაგოგებსაც ჰქონდათ. ისინი ეროვნული ბანკის მიერ ორგანიზებულ სპეციალურ ვებინარს დაესწრნენ, სადაც მოსწავლეებთან დაზოგვის შესახებ გაკვეთილის ჩასატარებლად საჭირო ინსტრუქციები და შესაბამისი სასწავლო მასალა გადაეცათ. მოგვიანებით, შესაბამისი საგანმანათლებლო შეხვედრები მენტორებმა და მასწავლებლებმა 12-15 წლის ახალგაზრდებთან თავად ჩაატარეს, საბოლოო ეტაპზე კი კონკურსშიც ჩაერთნენ. დაზოგვის თემაზე ჩატარებულ გაკვეთილებზე მოსწავლეებმა მენტორებთან ერთად დაზოგვასთან დაკავშირებულ გამოწვევებსა და მათი გადაჭრის გზებზე იმსჯელეს და თავიანთი იდეები ჟიურის წარუდგინეს. წარმოდგენილი იდეების საფუძველზე ჟიურიმ 10 ფინალისტი გუნდი გამოავლინა, რომლებიც ერთმანეთს 31 ოქტომბერს, დაზოგვის მსოფლიო დღეს, ონლაინ ვიქტორინაში შეეჯიბრნენ. სწორი პასუხების მიხედვით 5 გამარჯვებული გუნდი პირდაპირ ეთერში, ფინანსური განათლების ფეისბუქგვერდზე გასული შეხვედრის ფარგლებში[88] გამოვლინდა. გამარჯვებული გუნდების თითოეული წევრი მხარდამჭერმა კომერციულმა ბანკებმა 300, ხოლო მენტორები 500 ლარის მოცულობის დეპოზიტით დააჯილდოვეს.

ჯამში, ღონისძიების ფარგლებში განხორციელებულ საგანმანათლებლო აქტივობებში 100-მდე მენტორი და 2,000-მდე ახალგაზრდა ჩაერთო.

ადგილობრივი და საერთაშორისო თანამშრომლობა

თანამშრომლობა ფინანსური განათლების ეროვნული სტრატეგიის მართვის კომიტეტის წევრებთან

ეროვნულმა ბანკმა 2021 წელს ფინანსური განათლების ეროვნული სტრატეგიის მართვის კომიტეტის გაფართოებული, რიგით მე-6 სხდომა გამართა, რომელსაც ეროვნული ბანკის პრეზიდენტი, კობა გვენეტაძე უძღვებოდა. სხდომა ონლაინ რეჟიმში ჩატარდა და მას კომიტეტის წევრების გარდა, საფინანსო სექტორისა და სხვა პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ.

სხდომის მონაწილეებს ფინანსური განათლების ეროვნული სტრატეგიის დამტკიცებიდან 5 წლის განმავლობაში ეროვნული ბანკის მიერ ინიცირებული და განხორციელებული ფინანსური განათლების აქტივობების შესახებ შემაჯამებელი ინფორმაცია მიეწოდათ.

შეხვედრის დასასრულს კი კომიტეტის წევრებმა და საფინანსო, საჯარო და საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა მიღწეულ შედეგებსა და არსებულ გამოწვევებზე იმსჯელეს და თანამშრომლობის სამომავლო ფორმატზე შეთანხმდნენ.

88. https://www.facebook.com/finedu.gov.ge/videos/252643680164271

ფინანსური განათლების საკითხების ინტეგრაცია ეროვნულ სასწავლო გეგმაში: თანამშრომლობა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან, German Sparkassenstiftung (DSIK) და სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ფორუმთან

ფინანსური და ეკონომიკური წიგნიერების საკითხების ეროვნულ სასწავლო გეგმაში ინტეგრაციასთან დაკავშირებით, ეროვნულმა ბანკმა, German Sparkassenstiftung (DSIK)-ის მხარდაჭერითა და სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ფორუმის ჩართულობით, 2020 წელს დაწყებული სამოქალაქო განათლების პედაგოგთა გადამზადების პროექტის განხორციელება 2021 წელსაც განაგრძო.

პროექტის მიზანი ეკონომიკურ-ფინანსური განათლების მიმართულებით პედაგოგთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა იყო, რამაც მასწავლებლებს საშუალება მისცა, მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, ინტერაქტიული გაკვეთილები დაეგეგმათ და განეხორციელებინათ.

პროექტის ფარგლებში 2020 წელს შემუშავებული ტრენინგ-მოდულისა და დამხმარე სასწავლო მასალის გამოყენებით, რომელიც „მოქალაქეობის“ მე-7 კლასის წლიურ პროგრამაში არსებულ ეკონომიურ და ფინანსურ საკითხებს მოიცავდა, 2021 წლის განმავლობაში საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან სამოქალაქო განათლების დამატებით 200-მდე პედაგოგი გადამზადდა.

ამასთან, ურთიერთთანამშრომლობის პროექტის ფარგლებში, სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ფორუმის ჩართულობით შემუშავდა დამხმარე სასწავლო მასალა მასწავლებლებისთვის, რომელიც მე-9 კლასის წლიურ პროგრამაში არსებულ და დამატებით ეკონომიკურ და ფინანსურ საკითხებს მოიცავს, მათ შორისაა: ფინანსური ორგანიზაციები და მომსახურებები, დაზღვევა, საერთაშორისო ვაჭრობა და ეკონომიკური ინტეგრაცია, ვალუტა და გაცვლითი კურსი, ინვესტირება, ეკონომიკა და სახელმწიფო, ბიუჯეტი და გადასახადები, მომხმარებელთა უფლებები და პასუხისმგებლობები. მასალების გადამუშავება და გამოქვეყნება 2022 წელს იგეგმება.

2021 წელს ფინანსური განათლების საკითხების ეროვნულ სასწავლო გეგმაში ინტეგრირების თემაზე ეროვნული ბანკისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენლებს შორის შეხვედრა გაიმართა, სადაც მე-7 და მე-9 კლასის დამტკიცებული გეგმა და მე-10-მე-11 კლასების სტანდარტი განიხილეს. ეროვნული ბანკი მზადყოფნას გამოთქვამს მომავალშიც ჩაერთოს იმ საკითხებთან დაკავშირებულ კონსულტაციებსა და დამხმარე მასალების შემუშავებაში, რომლებიც სკოლების პედაგოგებს საფინანსო და ეკონომიკური საკითხების შესახებ საჭირო ცოდნისა და ინფორმაციის მიღებასა და „მოსწავლე ახალგაზრდობის" განათლებაში „დაეხმარებათ".

თანამშრომლობა ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ფინანსური განათლების საერთაშორისო ქსელსა (OECD/INFE) და ნიდერლანდების სამეფოს ფინანსთა სამინისტროსთან

2021 წელს მუშაობა გრძელდებოდა ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ფინანსური განათლების საერთაშორისო ქსელისა და ნიდერლანდების სამეფოს ფინანსთა სამინისტროს (OECD/INFE) ტექნიკური მხარდაჭერის 5-წლიანი პროექტის ფარგლებში. აღნიშნული პროექტი საქართველოს გარდა აღმოსავლეთ ევროპის 6 სახელმწიფოს - ბულგარეთს, ჩრდილოეთ მაკედონიას, მოლდოვას, მონტენეგროს, რუმინეთსა და ხორვატიას - აერთიანებს და ის ფინანსური განათლების ამაღლების მიზნით ცენტრალური ბანკებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების მხარდაჭერას ისახავს მიზნად.

პროექტი, მათ შორის, ჩართული სახელმწიფოების ყოველწლიურ შეკრებასა და ერთმანეთისთვის გამოცდილების გაზიარებასაც ითვალისწინებს. აღნიშნული ინიციატივის ფარგლებში პირველი საერთაშორისო კონფერენცია 2019 წელს გაიმართა და მას საქართველოს ეროვნულმა ბანკმა უმასპინძლა, 2021 წლის შეხვედრის მასპინძელი კი ბულგარეთის ფინანსთა სამინისტრო იყო. აღნიშნულ კონფერენციას პროექტის მონაწილე ქვეყნების წარმომადგენლებთან ერთად

ბულგარეთის მაღალი დონის საჯარო პირები, ასევე, მოწვეული სპეციალისტები და სხვადასხვა ქვეყნის ექსპერტები ესწრებოდნენ.

ორდღიანი საერთაშორისო კონფერენცია სახელწოდებით „სამომხმარებლო ფინანსები და ფინანსური განათლება ციფრულ ერაში“ ონლაინ ფორმატში გაიმართა. მონაწილეებმა მომხმარებელთა მხრიდან ციფრულ ფინანსურ პროდუქტებზე წვდომისა და გამოყენების საკითხებზე იმსჯელეს.

საქართველოს ეროვნული ბანკის წარმომადგენელმა კონფერენციის მონაწილეებს ფინანსური განათლების პორტალ - ფინედუს (https://www.finedu.gov.ge/) მეშვეობით ფინანსური განათლების მიწოდების, მომხმარებელთა უფლებების დაცვისა და კიბერუსაფრთხოების შესახებ ცნობიერების ამაღლების ღონისძიებებთან დაკავშირებით საქართველოს გამოცდილება გაუზიარა.

მიკრო, მცირე და საშუალო მეწარმეების ფინანსური განათლების კვლევა

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ფინანსური განათლების საერთაშორისო ქსელთან (OECD/INFE) თანამშრომლობის ფარგლებში, საქართველომ მიკრო, მცირე და საშუალო მეწარმეების ფინანსური განათლების 2021 წლის საერთაშორისო კვლევაში მიიღო მონაწილეობა. კვლევა OECD/INFE-ს მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით ჩატარდა და მასში 14 ქვეყანა მონაწილეობდა.

საქართველოში კვლევა საქართველოს ეროვნული ბანკის ორგანიზებით, „ევროპული ფონდის სამხრეთ აღმოსავლეთ ევროპისათვის“ განვითარების პროგრამის (EFSE DF) ფინანსური მხარდაჭერით, კვლევისა და საკონსულტაციო კომპანია ACT-ის მიერ განხორციელდა. კვლევის ფარგლებში, ქვეყნის მასშტაბით, გამოიკითხა 1000 მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესის მფლობელი. გამოიკითხნენ პირები, რომლებიც უშუალოდ იყვნენ ჩართულნი კომპანიის ფინანსური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. კვლევის მიზნებისთვის შეირჩა ორგანიზაციები 1.5 მილიონ ლარამდე წლიური ბრუნვითა და 50-მდე თანამშრომლით.

კვლევის შედეგად მიკრო, მცირე და საშუალო მეწარმეების ფინანსური განათლების დონე სამი კომპონენტის - ცოდნის, ქცევისა და დამოკიდებულებების - მიხედვით შეფასდა. კვლევისას ისეთი საკითხების შესწავლა მოხდა, როგორებიცაა ბიზნესების მიერ საბანკო ანგარიშების ფლობა, ტრანზაქციების გაციფრულების დონე და COVID-19-ის პანდემიის გავლენა.

ფინანსური განათლების დონე

კვლევის შედეგების მიხედვით, საქართველოს ფინანსური განათლების ქულამ 17-ქულიანი შკალით 10.3 ქულა (60 პროცენტი) შეადგინა, რაც გამოკითხვაში მონაწილე ქვეყნების საშუალო მაჩვენებელზე დაბალია.

ცალკეული კომპონენტების მიხედვით კი, საქართველოს შედეგები ასე გადანაწილდა: ფინანსური ცოდნის მაჩვენებელი - 5 შესაძლოდან 3.1 ქულა, ფინანსური ქცევის მაჩვენებელი - 9 შესაძლოდან 5.6 ქულა, ფინანსური დამოკიდებულებების მაჩვენებელი - 3 შესაძლოდან 1.6 ქულა. აღსანიშნავია, რომ სამივე კომპონენტში, და, შესაბამისად, ფინანსური განათლების საერთო ქულის შემთხვევაში, დედაქალაქში არსებულმა ბიზნესებმა რეგიონებთან შედარებით უფრო მაღალი შედეგი აჩვენეს.

საბოლოო შედეგები გამოქვეყნებულ ანგარიშში ბიზნესების მიერ დასაქმებული თანამშრომლების რაოდენობრივ ჭრილში იქნა წარმოდგენილი.

დიაგრამა N 5.5 მიკრო, მცირე და საშუალო მეწარმეების ფინანსური განათლების კვლევა. ფინანსური განათლების ქულა



წყარო: OECD/INFE
**იტალიაში არ შეგროვებულა მონაცემები კომპანიებში 10-49 თანამშრომლით.*

ცოდნის კომპონენტი ძირითადად საბაზისო ფინანსური საკითხების ცოდნას ეფუძნებოდა. აღმოჩნდა, რომ საქართველოში მეწარმეების უმრავლესობას სწორად ესმის ინფლაციის, სესხზე გადასახადი პროცენტის, რისკისა და უკუგების, ინვესტირების არსი, თუმცა 41 პროცენტს არასწორად ესმის დივიდენდის შინაარსი.

რაც შეეხება ქცევის კომპონენტს, ის ეფუძნებოდა ბიზნესის კომპეტენციებს გადახდების, ფინანსების აღრიცხვის, რისკისა და დაზღვევის, ფინანსური უსაფრთხოების, ბიზნესის დაფინანსებისა და ფინანსური დაგეგმვის მიმართულებით. აღმოჩნდა, რომ მეწარმეების თითქმის ნახევარს ბიზნესის ანგარიშები და ფინანსები პირადი ანგარიშებისა და ფინანსებისგან მკაცრად აქვს გამიჯნული; 23 პროცენტს აქვს ცალკე ანგარიში ბიზნესისთვის, თუმცა, უჭირს ბიზნესის ფინანსებისა და საოჯახო ფინანსების გამიჯვნა; 28 პროცენტი ერთსა და იმავე ანგარიშს იყენებს ბიზნესისა და პირადი საჭიროებებისთვის; ბიზნესისთვის საჭირო ფინანსური პროდუქტის შერჩევისას ნახევარზე მეტი განიხილავს რამდენიმე მიმწოდებლის შეთავაზებას; გამო-

კითხულთა ნახევარმა იფიქრა იმაზე, თუ როგორ გაიტანს თავს პენსიაზე გასვლის შემდგომ. რაც შეეხება ბიზნესის მართვის ქცევებს, 80 პროცენტი ეთანხმება მოსაზრებას, რომ უზრუნველყოფილი აქვს საკუთარი კომპანიის მონაცემებისა და ინფორმაციის დაცულობა/უსაფრთხოება, 75 პროცენტი გადაწყვეტილების მიღებამდე ერთმანეთს ადარებს ბიზნესის დაფინანსების სხვადასხვა წყაროს ფასს, 79 პროცენტი კი რეგულარულად აკეთებს ბიზნესის მომგებიანობის პროგნოზს.

ფინანსური დამოკიდებულებების კომპონენტი ბიზნესის მართვასთან დაკავშირებულ გონივრულ ფინანსურ დამოკიდებულებებს ეფუძნებოდა. აღმოჩნდა, რომ 71 პროცენტი ისახავს გრძელვადიან ფინანსურ მიზნებს თავისი კომპანიისთვის და ცდილობს მიაღწიოს მათ, თუმცა 67 პროცენტი აღნიშნავს, რომ კომპანიის მართვისას ურჩევნია მიჰყვეს საკუთარ ინსტინქტს, ვიდრე შეიმუშაოს დეტალური ფინანსური გეგმები. მეწარმეების 59 პროცენტს გააჩნია რწმენა და თავდაჯერებულობა, რომ საკუთარი ბიზნესისთვის ფინანსების ბანკებიდან თუ გარე ინვესტორებისგან მოზიდვას შეძლებს.

ფინანსური პროდუქტების ცნობადობა და მოხმარება

კვლევის მიხედვით, გამოკითხული ბიზნესების 75 პროცენტს აქვს საბანკო ანგარიში თავისი კომპანიის საჭიროებებისთვის. რაც შეეხება სხვა ფინანსური პროდუქტების ცნობადობას, საკმაოდ მაღალი ცნობადობა აქვს შემდეგ ფინანსურ პროდუქტებს: ქონების დაზღვევა (94 პროცენტი), მიკრო კრედიტი (90 პროცენტი), მიკროსაფინანსო ორგანიზაციის სესხი (90 პროცენტი), საბანკო ბიზნეს სესხი (90 პროცენტი). ხოლო ყველაზე ხშირად გამოყენებული პროდუქტებიდან აღსანიშნავია სასაქონლო კრედიტი (33 პროცენტი) და საბანკო ბიზნეს სესხი (31 პროცენტი).

დიაგრამა N 5.6 ფინანსური პროდუქტების ცნობადობა



წყარო: ACT

დიაგრამა N 5.7 ფინანსური პროდუქტების გამოყენება



წყარო: ACT

ბიზნესის გაციფრულება

კვლევა, ასევე, აღწერს ბიზნესთან დაკავშირებული ტრანზაქციების გაციფრულების დონეს პანდემიამდე და პანდემიის შემდეგ. აღმოჩნდა, რომ პანდემიამდე, ანუ 2019 წლის ბოლოსთვის, საქართველოში ბიზნესების მხოლოდ 25 პროცენტს ჰქონდა სპეციალური ვებგვერდი, სადაც აღწერილი იყო კომპანიის პროდუქცია ან მომსახურება. პანდემიის შემდეგ კი ეს მაჩვენებელი მხოლოდ 5 პროცენტული პუნქტით გაიზარდა. ზოგადად, პანდემიის დაწყების შემდეგ ონლაინ აქტივობებთან მიმართებით მნიშვნელოვანი ცვლილებები არ ყოფილა. ეს, შესაძლოა იმის მანიშნებელიც იყოს, რომ მცირე ზომის კომპანიები პროდუქტის რეალიზაციისთვის ონლაინ არხებს ნაკლებად იყენებენ.

რაც შეეხება გაციფრულების ქულას, ის ეფუძნება ისეთ მაჩვენებლებს, როგორებიცაა: ა) ბიზნესის ფინანსურ პროდუქტებთან დაკავშირებული ონლაინ აქტივობები (მაგ., საბანკო ანგარიშის გახსნა დისტანციურად, ხელშეკრულებაზე დისტანციურად ხელმოწერა და ა.შ.), ბ) გაყიდვებსა და საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული ონლაინ აქტივობები (ვებგვერდის ფლობა, პროდუქციის გაყიდვები ვებგვერდიდან და ა.შ). გაციფრულების მაჩვენებელში საქართველოს 100 შესაძლოდან 13 ქულა აქვს იმ კომპანიების შემთხვევაში, რომელთაც 9 თანამშრომლამდე ჰყავთ და 32 ქულა ისეთი კომპანიების შემთხვევაში, რომელთა თანამშრომლების რაოდენობა 10-დან 50-მდეა. პირველ შემთხვევაში, გაციფრულების ქულა მნიშვნელოვნად ჩამორჩება ყველა ქვეყნის საშუალოს (26 ქულა), ხოლო 10-დან 50-მდე შემთხვევაში კი, თითქმის უტოლდება ქვეყნების საშუალო მაჩვენებელს (33 ქულა).

დიაგრამა N 5.8 მიკრო, მცირე და საშუალო მეწარმეების ფინანსური განათლების კვლევა. ბიზნესის გაციფრულების დონე



წყარო: OECD/INFE
**იტალიაში არ შეგროვებულა მონაცემები კომპანიებში 10-49 თანამშრომლით.*

COVID-19-ის პანდემიის გავლენა ბიზნესზე

კვლევა ასევე წარმოადგენს COVID-19-ის პანდემიის გავლენას ბიზნესის სხვადასხვა მაჩვენებელზე. კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ ყველაზე მეტად COVID-19-მა ზეგავლენა მოახდინა ბიზნესის ბრუნვასა და მომგებიანობაზე. კერძოდ, მეწარმეთა 79 პროცენტი ბრუნვის, ხოლო 81 პროცენტი - მომგებიანობის მნიშვნელოვან ან, ზოგადად, შემცირებაზე მიუთითებს. ყველაზე ნაკლებად პანდემიამ კომპანიის ვალდებულებებსა და თანამშრომელთა რაოდენობაზე მოახდინა გავლენა. მეწარმეთა 52

დიაგრამა N 5.9 მიკრო, მცირე და საშუალო მეწარმეების ფინანსური განათლების კვლევა. COVID-19-ის ზეგავლენა ბიზნესზე



წყარო: OECD/INFE
**იტალიაში არ შეგროვებულა მონაცემები კომპანიებში 10-49 თანამშრომლით.*

პროცენტი აღნიშნავს, რომ პანდემიის შედეგად მათი ვალდებულებები არ შეცვლილა, ხოლო 72 პროცენტი მიუთითებს, რომ მათი თანამშრომლების რაოდენობა უცვლელი დარჩა. აქვე გასათვალისწინებელია, რომ გამოკითხული ბიზნესების 38% თვითდასაქმებული მეწარმეა, ანუ მათ დაქირავებული თანამშრომლები არ ჰყავთ.

მეწარმეების თითქმის ნახევარი აღნიშნავდა, რომ პანდემიის დაწყების შემდეგ, მათი ბიზნესი აღმოჩენილა ისეთ სიტუაციაში, როცა ფულადი შემოსავლები არ იყო საკმარისი ფულადი ვალდებულებების დასაფარად ან ბიზნესის მოსალოდნელი ხარჯების ასანაზღაურებლად. აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად 46 პროცენტმა შეამცირა ბიზნესის საოპერაციო ხარჯები, 38 პროცენტმა გამოიყენა მფლობელის პირადი/საოჯახო თანხები ან კრედიტი, ხოლო 38 პროცენტმა დროებით შეაჩერა ბიზნეს საქმიანობა. რაც შეეხება ბიზნესისთვის სესხის საჭიროებას, პანდემიის დაწყების შემდეგ სესხის მოთხოვნა კომპანიების მეხუთედმა გააკეთა, საიდანაც 66

პროცენტმა სრულად მიიღო მოთხოვნილი თანხა. ხოლო იმათგან, ვისაც სესხზე განაცხადი არ გაუკეთებია, 64 პროცენტმა განაცხადა, რომ ამის საჭიროება არ ჰქონდათ.

მიმდინარე პროექტები

ფინანსური თამაში

2021 წელს ეროვნულმა ბანკმა „ევროპული ფონდი სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპისთვის“ განვითარების პროგრამის (EFSE DF) დაფინანსების ფარგლებში ფინანსური თამაშის პროექტზე მუშაობა დაიწყო. შემუშავდა იდეა, განხორციელდა ბაზრის მოკვლევის სამუშაოები, შეირჩა დეველოპერული კომპანია და წლის ბოლოდან შესაბამისი სამუშაოების განხორციელება დაიწყო.

პროექტის ფარგლებში დამზადდება ბიზნეს სიმულატორის ჟანრის თამაში როგორც ვებ პლატფორმაზე სათამაშოდ, ისე, მობილური ტელეფონის აპლიკაციების (iOS, Android) სახით. თამაშით ადამიანები შეძლებენ პარალელი გაავლონ საკუთარ რეალობასთან და მიიღონ ინფორმირებული ფინანსური გადაწყვეტილებები, რასაც გავლენა ექნება მათ კეთილდღეობაზე.

პროექტის მიზანია განსხვავებული, თამაშით სწავლების გზით მოსახლეობაში ფინანსური განათლების შესახებ ცნობიერების ამაღლება იმისათვის, რომ მათ შეძლონ პირადი ფინანსების უკეთ დაგეგმვა და მართვა რეალურ ცხოვრებაში. თამაშის მიზნობრივი სეგმენტი ფართოა და ის ნებისმიერი ასაკის მომხმარებლისთვის საინტერესო იქნება.

პროექტის დასრულება და საზოგადოებისათვის წარდგენა 2022 წლისთვის არის დაგეგმილი.

ფეისბუქის პირდაპირი ჩართვების სერია - „საუბრები ბიზნესზე“

2021 წელს ეროვნულმა ბანკმა მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლების ფინანსური განათლების ამაღლების მიზნით ფინედუს ფეისბუქგვერდზე პირდაპირი (Live) ჩართვების სერიის პროექტის იდეა შეიმუშავა. პროექტის ფარგლებში პირდაპირი ტრანსლაციისას განხილული თემები და მათი თანმიმდევრობა ზოგადი ბიზნესციკლის ლოგიკას (ბიზნესის იდეა, ბიზნესის დაწყება, ბიზნესის მართვა და ა.შ.) გაჰყვება. არჩეული თემები დაუკავშირდება იმ გადაწყვეტილებებს, რომელთა მიღებაც მეწარმეებს საქმიანობის სხვადასხვა ეტაპზე უწევთ და რომლებიც პირდაპირ თუ ირიბად საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე დიდ გავლენას ახდენენ. შეხვედრების ფარგლებში აქცენტირებული იქნება საკითხები, რომელთა შესახებ ცოდნაც 2021 წელს ჩატარებული მიკრო, მცირე და საშუალო მეწარმეების ფინანსური განათლების კვლევის შედეგების მიხედვით გაუმჯობესებას საჭიროებს.

შეხვედრებზე სპიკერებად მოწვეულნი იქნებიან შესაბამისი დარგის ექსპერტები. ჩართვის დასასრულს, სპიკერი აუდიტორიის მიერ დასმულ კითხვებსაც უპასუხებს.

პროექტის მიზანია დამწყებ მეწარმეებს, მიკრო და მცირე ბიზნესის მფლობელებს, ასევე, სხვა დაინტერესებულ პირებს დაანახოს, რომ ნებისმიერ ბიზნესაქტივობასა და გადაწყვეტილებას, იქნება ეს ბიზნესის დაწყება, გაფართოება, სესხის აღება, დეპოზიტის გახსნა თუ სხვა, თან ახლავს ფინანსური შედეგი, ნებისმიერმა აქტივობამ შეიძლება მოიტანოს სარგებელი ან ზარალი. პროექტი მიზნად ისახავს, ერთი შეხედვით რთული საკითხები დაინტერესებულ პირებს მსუბუქად მიაწოდოს, ხელი შეუწყოს მიზნობრივ სეგმენტში ფინანსების მიმართ გონივრული დამოკიდებულებების ფორმირებასა და ინტერესის გაღვივებას. ფინანსური საკითხები ცხოვრებისა და ბიზნესის განუყოფელი ნაწილია და მასზე ფიქრი, მსჯელობა და განხილვა საინტერესო და საჭიროა.

პროექტის განხორციელება 2022 წლის მეორე კვარტლიდან იგეგმება.

06

არასაბანკო ზედამხედველობა

6.1 არასაბანკო სექტორის რეგულირება და საზედამხედველო ჩარჩო

არასაბანკო სექტორი COVID-19-ის პანდემიის ნეგატიურ შედეგებს მომზადებული შეხვდა. 2020 წელს მიღებული გამოცდილება, 2021 წელსაც ეფექტური აღმოჩნდა. არსებული რისკებისა და გამოწვევების მიუხედავად, სექტორის ზრდა არ შენელებულა. თუ არასაბანკო საფინანსო სექტორის წილი მთლიან საფინანსო სექტორში 2020 წელს 3.3 პროცენტს შეადგენდა, 2021 წელს ის, თითქმის იგივე დონეზე (3.4 პროცენტი) შენარჩუნდა.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ გაზრდილია ნდობა და ინტერესი არასაბანკო სექტორის მიმართ, მათ შორის, არარეზიდენტი ინსტიტუციონალური კრედიტორების მხრიდან მიღებული მზარდი დაფინანსების თვალსაზრისითაც. მიკროსაფინანსო სექტორში უზრუნველყოფილი იყო კაპიტალისა და ლიკვიდობის დონის მაღალი ბუფერის შენარჩუნება.

მიკროსაფინანსო სექტორისთვის ლარის რესურსზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, 2021 წლის განმავლობაშიც, შენარჩუნდა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ 2020 წელს შემუშავებული ლიკვიდობის მხარდამჭერი ინსტრუმენტები: 200 მლნ აშშ დოლარის ოდენობის სვოპ ინსტრუმენტი და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ, დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისი სასესხო პორტფელის მოცულობის ფარგლებში, კომერციული ბანკების სესხები. მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნულმა ინსტრუმენტებმა ხელი შეუწყო სახსრების ღირებულების სტაბილურობას, რაც სექტორის მხრიდან დადებითად შეფასდა.

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ არასაბანკო დაწესებულებებისთვის დისტანციური ზედამხედველობის პორტალის ამოქმედებამ უზრუნველყო პანდემიის პერიოდში არასაბანკო სუბიექტებთან მყისიერი დისტანციური კომუნიკაცია და მათგან ინფორმაციის მიღება უფრო მოქნილი და საიმედო გახადა.

2021 წელს ცვლილება შევიდა „სესხის გამცემი სუბიექტის საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის, რეგისტრაციის გაუქმებისა და რეგულირების წესში“ სესხის გამცემი სუბიექტებისთვის საოპერაციო რისკებთან დაკავშირებით სტანდარტების და მოთხოვნების განსაზღვრის მიმართულებით. კერძოდ, განისაზღვრა მოთხოვნები საოპერაციო პროგრამისა და ბუღალტრული აღრიცხვის კუთხით და ასევე, უზრუნველყოფილი სესხების გაცემის შემთხვევაში, უზრუნველყოფის საგნის (ძვირფასეულობა, ტექნიკა თუ სხვა) მოპყრობისა და შენახვის სტანდარტები.

პანდემიის მიუხედავად, 2021 წლის განმავლობაში აქტიურად მიმდინარეობდა არასაბანკო დაწესებულებების ინსპექტირების პროცესი მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობისა და საქართველოს ეროვნულ ბანკში წარმოდგენილი საანგარიშგებო მონაცემების სისწორის დადგენის მიზნით.

პანდემიის გათვალისწინებით, წლის განმავლობაში ონლაინ ფორმატში იმართებოდა ინტენსიური შეხვედრები სექტორის წარმომადგენლებთან, როგორც სიახლეების გაზიარების, ისე სექტორში არსებული გამოწვევების შესახებ ინფორმაციის გაცვლის მიზნით.

6.2 არასაბანკო საფინანსო ინსტიტუტები

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არასაბანკო საფინანსო სექტორი წარმოდგენილია 38 მიკროსაფინანსო ორგანიზაციით (385 ფილიალი), 183 სესხის გამცემი სუბიექტით (345 ფილიალი), 561 ვალუტის გადამცვლელი პუნქტითა (732 ფილიალი) და ერთი საკრედიტო კავშირით.

არასაბანკო საფინანსო სექტორის მთლიანი აქტივები 2 მილიარდი ლარის ფარგლებშია, საიდანაც უდიდესი წილი - 1.6 მლრდ ლარი - მიკროსაფინანსო სექტორს ეკუთვნის.

6.2.1 მიკროსაფინანსო ორგანიზაციები

2021 წელს ორი მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ლიკვიდირდა, თუმცა ბაზარზე მათი არც თუ ისე მაღალი წილიდან გამომდინარე, აღნიშნულს სექტორის მაჩვენებლებზე მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია.

დიაგრამა N 6.1 მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ფილიალების რაოდენობა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

პანდემიის პირობებში, ხარჯების ოპტიმიზაციის მიზნით, ზოგიერთმა ორგანიზაციამ ფილიალების რაოდენობა შეამცირა, თუმცა გარკვეული მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ, ახალი ფილიალების გახსნის შემდეგ, მთლიანი ეფექტი მატერიალური არ იყო. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ ფილიალების შემცირების მიუხედავად, თანამშრომელთა საერთო რაოდენობა არ შემცირებულა.

დიაგრამა N 6.2 მიკროსაფინანსო ორგანიზაციების თანამშრომელთა რაოდენობა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მიკროსაფინანსო სექტორის წილი მთლიან საფინანსო სისტემაში მცირეა (2.6 პროცენტი), თუმცა მნიშვნელოვანია მისი როლი ფინანსებზე ხელმისაწვდომობის კუთხით. მაღალია რეგიონული დაფარვა, როგორც ფილიალების, ისე მსესხებელთა რაოდენობის მიხედვით (შესაბამისად, სისტემის 30 და 20 პროცენტი).

დიაგრამა N 6.3 მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ფილიალებისა და მსესხებლების განაწილება რეგიონების მიხედვით



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა N 6.4 მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და მსესხებელთა რაოდენობა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

COVID-19-ით გამოწვეული პანდემიისა და ორი მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ლიკვიდაციის დაწყების მიუხედავად, საკრედიტო პორტფელმა ზრდის ტენდენცია შეინარჩუნა (წლიური ზრდის ტემპი 15 პროცენტი) და 1.36 მილიარდი ლარი შეადგინა.

დიაგრამა N 6.5 მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საკრედიტო პორტფელის მოცულობა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მიკროსაფინანსო სექტორის დაკრედიტების ძირითად მიმართულებას ფიზიკურ პირებზე გაცემული სამომხმარებლო სესხები წარმოადგენს და სექტორის მთლიანი საკრედიტო პორტფელის 78 პროცენტს შეადგენს, თანხით - 1.06 მილიარდი ლარი. დანარჩენი 22 პროცენტი ბიზნეს და სოფლის მეურნეობის სექტორზე გაცემულ სესხებზე მოდის, თანხით 300 მილიონი ლარი.

დიაგრამა N 6.6 საკრედიტო პორტფელის სტრუქტურა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მნიშვნელოვანია, რომ სექტორში მატერიალური ზრდა სამომხმარებლო პორტფელის 26 პროცენტიანმა ზრდამ განაპირობა, ჯამური თანხით 216 მილიონი ლარი. ხოლო, ბიზნეს მიმართულების და სოფლის მეურნეობის სექტორებმა 11.8 პროცენტიანი კლება განიცადა, თანხით 40 მილიონი ლარი.

ეროვნული ბანკის მიერ ლიკვიდობის მხარდამჭერი ინსტრუმენტების ამოქმედებით, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებმა სახსრების ღირებულება პანდემიამდელ ნიშნულზე შეინარჩუნეს, რაც სესხებზე საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთების სტაბილურობის საფუძველი გახდა.

დიაგრამა N 6.7 პორტფელის საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთების და სახსრების ღირებულება



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

COVID-19-ით გამოწვეული პანდემიის მიუხედავად, საკრედიტო პორტფელის ხარისხი, გასული წლის მაჩვენებლებთან შედარებით, გაუმჯობესდა. კერძოდ, უმოქმედო სესხების წილი მთლიან პორტფელში 7.5-დან 5.9 პროცენტამდე, ხოლო ვადაგადაცილებული პორტფელის წილი კი 9.3-დან 8 პროცენტამდე შემცირდა. აღნიშნულზე გავლენა მოახდინა როგორც უმოქმედო სესხების შემცირებამ, ისე ახალი სესხების გაცემამ. მთლიანი პორტფელის რეზერვი 6 პროცენტის ფარგლებშია, რაც ზომიერი მაჩვენებელია.

დიაგრამა N 6.8 საკრედიტო პორტფელის ხარისხი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

პორტფელის სტრუქტურა უზრუნველყოფის მიხედვით არ შეცვლილა, კერძოდ, საბლანკო და თავდებობით გაცემული სესხების წილი მთლიან პორტფელში 25 პროცენტს შეადგენს.

ფიზიკურ პირზე 200 ათას ლარამდე სესხის უცხოური ვალუტით გაცემის აკრძალვის თაობაზე საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 625-ე მუხლში შეტანილი ცვლილებების შედეგად, მნიშვნელოვნად შემცირდა უცხოურ ვალუტაში დენომინირებული საკრედიტო პორტფელის წილი მთლიან პორტფელში.

დიაგრამა N 6.9 საკრედიტო პორტფელის დოლარიზაცია



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დაფინანსების სტრუქტურაში ცვლილებები უმნიშვნელოა. კაპიტალის ზრდის გამო, ვალდებულებების წილი მთლიან დაფინანსებაში 2 პროცენტული პუნქტით შემცირებულია და 65 პროცენტს შეადგენს.

დიაგრამა N 6.10 დაფინანსების წყარო



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2021 წელს ნასესხები სახსრები 57 მილიონი ლარით გაიზარდა და 975 მლნ ლარი შეადგინა. მნიშვნელოვანია, რომ წინა წლების მსგავსად, ფიზიკური პირებისგან ნასესხები სახსრები 2021 წელსაც არ გაზრდილა, ხოლო ბანკებიდან და საფინანსო ორგანიზაციებიდან მიღებული რესურსები მზარდია.

დიაგრამა N 6.11 ნასესხები სახსრების სტრუქტურა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა N 6.12 ფიზიკური პირებიდან მოზიდული სახსრები და კრედიტორი ფიზიკური პირების რაოდენობა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ნასესხებ სახსრებში არარეზიდენტი პირებისგან ნასესხები სახსრები 22 მილიონი ლარით არის გაზრდილი, თუმცა რეზიდენტი და არარეზიდენტი პირებისგან ნასესხები სახსრების თანაფარდობა წინა წლის მაჩვენებლების ანალოგიური პროპორციითაა შენარჩუნებული.

დიაგრამა N 6.13 არარეზიდენტების სახსრები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

რეგულირების ნაწილში განხორციელებული რეფორმების შედეგად, მიკროსაფინანსო სექტორი პანდემიას მაღალკაპიტალიზირებული შეხვდა. შედეგად, კაპიტალის ადეკვატურმა დონემ პანდემიით განპირობებული უარყოფითი ეფექტების განეიტრალება უზრუნველყო.

დიაგრამა N 6.14 საზედამხედველო კაპიტალი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მიუხედავად პანდემიის ეფექტისა და ორი მიკრო-საფინანსო ორგანიზაციის ლიკვიდაციისა, 2021 წლის მანძილზე, სექტორის საზედამხედველო კაპიტალი 17 პროცენტით გაიზარდა, თანხით 86 მილიონი ლარი, გაუნაწილებელი მოგებისა და სუბორდინირებული სესხების ზრდის ხარჯზე.

დიაგრამა N 6.15 საზედამხედველო კაპიტალის სტრუქტურა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საწესდებო კაპიტალში არარეზიდენტი აქციონერების წილის 33 პროცენტიდან 29 პროცენტამდე შემცირება, ძირითადად, ლიკვიდაციის ეფექტი იყო.

დიაგრამა N 6.16 კაპიტალის სტრუქტურა რეზიდენტობის მიხედვით



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

რეგულირების ცვლილებებმა სექტორში ლიკვიდობის ბუფერის დაგროვება განაპირობა. მნიშვნელოვანია, რომ მიუხედავად საკრედიტო პორტფელის ზრდით განპირობებული ლიკვიდური სახსრების კლებისა, სექტორი ლიკვიდობის მაღალ დონეს მაინც ინარჩუნებს.

დიაგრამა N 6.17 ლიკვიდური სახსრების სტრუქტურა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2021 წლის განმავლობაში, კვლავ აქტუალური იყო, მიკროსაფინანსო სექტორისთვის ლარის რესურსზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, ეროვნული ბანკის მიერ 2020 წელს შემუშავებული ლიკვიდობის მხარდამჭერი ინსტრუმენტები: 200 მლნ აშშ დოლარის ოდენობის სვოპ ინსტრუმენტი და, დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისი სასესხო პორტფელის მოცულობის ფარგლებში, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ აღებული კომერციული ბანკების სესხები. მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნულმა ინსტრუმენტებმა ხელი შეუწყო სახსრების ღირებულების სტაბილურობას, რაც სექტორის მხრიდან დადებითად შეფასდა.

მიკროსაფინანსო ორგანიზაციების უმრავლესობამ 2021 წელი მოგებით დაასრულა.

დიაგრამა N 6.18 წმინდა და საოპერაციო მოგების დინამიკა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საკრედიტო პორტფელის ზრდის მაღალმა ტემპმა 129.3 მილიონი ლარის ოდენობის საოპერაციო მოგება განაპირობა, რაც წინა წლის მაჩვენებელს 27 პროცენტით აღემატება. ხოლო წმინდა მოგებამ 98 მილიონი ლარი შეადგინა.

სექტორის მომგებიანობა კაპიტალის უკუგების ზრდაზე აისახა, რაც, წინა წელთან შედარებით, 8 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 18 პროცენტი შეადგინა, ასევე, გაიზარდა უკუგება აქტივებზე და 6 პროცენტით განისაზღვრა.

მომგებიანობის ზრდაზე გავლენა რამდენიმე ფაქტორმა მოახდინა: სახსრების ღირებულების სტაბილურობამ, საკრედიტო პორტფელის ზრდამ და ხარისხის გაუმჯობესებამ.

6.2.2 სესხის გამცემი სუბიექტები

2021 წლის განმავლობაში 10 ახალი სესხის გამცემი სუბიექტი დარეგისტრირდა, ხოლო 25-ს რეგისტრაცია გაუუქმდა. შესაბამისად, 31 დეკემბრის მდგომარეობით, რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტების რაოდენობამ 183 შეადგინა, რომლებიც ფილიალებთან ერთად, მთელი ქვეყნის მასშტაბით, 345 ლოკაციაზე არიან განთავსებულნი.

დიაგრამა N 6.19 სესხის გამცემი სუბიექტების ფილიალების განაწილება რეგიონების მიხედვით



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ არასაბანკო სექტორის მსესხებლების საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტი სესხის გამცემ სუბიექტებზე მოდის და, ძირითადად, ფიზიკური პირებითაა წარმოდგენილი, ვინაიდან ამ სექტორის სპეციფიკა უმეტესწილად გრანულარული/მცირე ზომის სამომხმარებლო და ლომბარდული პროდუქტების მიწოდებაა. გარდა ამისა, სესხის გამცემი ორგანიზაციები პრობლემური სამომხმარებლო სესხების ამოღების მიმართულებითაც ოპერირებენ.

დიაგრამა N 6.20 სესხის გამცემი სუბიექტები და მსესხებელთა რაოდენობა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სესხის გამცემი სუბიექტების რაოდენობის 15 ერთეულით შემცირებას ამ სექტორის მთლიანი აქტივებისა და წმინდა სესხების მოცულობაზე გავლენა არ მოუხდენია. უფრო მეტიც, წლის განმავლობაში მთლიანი აქტივების ზრდამ 12 პროცენტი, ხოლო წმინდა სესხების ზრდამ კი 14 პროცენტი შეადგინა.

დიაგრამა N 6.21 მთლიანი აქტივების და წმინდა სესხების დინამიკა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სესხის გამცემი სუბიექტების სექტორის დაფინანსების ძირითად წყაროს პარტნიორებისა და საფინანსო ინსტიტუტებიდან მიღებული თანხები შეადგენს. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ბოლო ერთი წლის განმავლობაში, კაპიტალის ზრდის დადებითი ტენდენცია იკვეთება.

დიაგრამა N 6.22 სესხის გამცემი სუბიექტების დაფინანსების წყარო



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2021 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით, კაპიტალსა და აქტივებზე უკუგებამ, შესაბამისად, 39 პროცენტი და 10 პროცენტი შეადგინა.

პანდემიასთან დაკავშირებული შეფერხებების მიუხედავად, წლის განმავლობაში სესხის გამცემი 19 სუბიექტი და 25 ფილიალი ადგილზე

შემოწმდა. შემოწმების შედეგებზე დაყრდნობით, განისაზღვრა კანონმდებლობით გათვალისწინებული ქმედებები, მათ შორის, რეგისტრაცია 7 ფილიალს გაუუქმდა.

2021 წელს „სესხის გამცემი სუბიექტის საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის, რეგისტრაციის გაუქმებისა და რეგულირების წესში“ შეტანილი ცვლილებები, სესხის გამცემი სუბიექტებისთვის საოპერაციო რისკებთან დაკავშირებით (მათ შორის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების და მოთხოვნების განსაზღვრის მიმართულებით), ხელს შეუწყობს როგორც სექტორის გაჯანსაღებას და არსებული საოპერაციო რისკების შემცირებას, ასევე გაზრდის ეროვნულ ბანკში წარმოდგენილი ფინანსური ინფორმაციის სანდოობის ხარისხს.

6.2.3 ვალუტის გადამცვლელი პუნქტები

2021 წლის განმავლობაში 33 ვალუტის გადამცვლელი პუნქტი დარეგისტრირდა, ხოლო 89-ს რეგისტრაცია გაუუქმდა, შესაბამისად, 31 დეკემბრის მდგომარეობით, რეგისტრირებული ვალუტის გადამცვლელი პუნქტების რაოდენობამ 561 შეადგინა, რომლებიც ფილიალებთან ერთად, მთელი ქვეყნის მასშტაბით, 732 ლოკაციაზე არიან განთავსებულნი.

დიაგრამა N 6.23 ვალუტის გადამცვლელი პუნქტების და ფილიალების რაოდენობა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა N 6.24 ვალუტის გადამცვლელი პუნქტების სტრუქტურული ერთეულების განაწილება რეგიონების მიხედვით



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

89 ვალუტის გადამცვლელი პუნქტიდან 58-ს რეგისტრაცია საკუთარი განცხადების საფუძველზე გაუუქმდა, რაც, ძირითადად, დიდ ქალაქებზე მოდის და პანდემიის გავლენით ტურისტული ნაკადების შემცირებას უკავშირდება. დანარჩენ პუნქტებს რეგისტრაცია კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან შეუსაბამობის გამო გაუუქმდა.

პანდემიის მიუხედავად, ვალუტის გადამცვლელი პუნქტების ადგილზე შემოწმება შეუფერხებლად წარიმართა. ვალუტის გადამცვლელი პუნქტების რეგისტრაციისა და რეგულირების წესით დადგენილი სარეგისტრაციო პირობების, მომხმარებელთა სათანადო ინფორმირების კუთხით განსაზღვრული ვალდებულებების და საქართველოს ეროვნულ ბანკში წარმოდგენილი საანგარიშგებო მონაცემების სისწორის დადგენის მიზნით, 2021 წელს 198 ერთეული ვალუტის გადამცვლელი პუნქტი (სათავო/ფილიალი) შემოწმდა.

6.2.4 საკრედიტო კავშირები

2017 წელს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებებით საკრედიტო კავშირის წევრთა რაოდენობის მაქსიმალური ლიმიტი დადგინდა და საკრედიტო კავშირის საქმიანობის პრინციპები განისაზღვრა, რაც ერთი და იმავე თვითმმართველი თემის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრებ ფიზიკურ პირთა საერთო ნიშნით გაერთიანებას გულისხმობდა. აღნიშნული ცვლილებები ამ სექტორში დამკვიდრებული არაჯანსაღი პრაქტიკის აღმოფხვრას ემსახურებოდა, რაც საკრედიტო კავშირების მიერ წევრებისგან დეპოზიტების მოზიდვის გზით კოოპერატივის მიზნებისათვის შეუსაბამო საკრედიტო საქმიანობის დაფინანსებას ითვალისწინებდა.

2021 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით, ბაზარზე ფუნქციონირებას მხოლოდ ერთი საკრედიტო კავშირი განაგრძობდა, რომლის აქტივების ოდენობა 0.54 მილიონ ლარს შეადგენს.

07

ფასიანი ქაღალდების ბაზარი

7.1 ფასიანი ქაღალდების ბაზრის საკანონმდებლო და მარეგულირებელი ჩარჩოს მასშტაბური რეფორმა

2021 წლის აგვისტოში საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ფასიანი ქაღალდების კომისიების საერთაშორისო ორგანიზაციის (IOSCO)[89] მუდმივი წევრის სტატუსი მოიპოვა. უნდა აღინიშნოს, რომ ეროვნულმა ბანკმა IOSCO-ს ასოცირებული წევრის სტატუსი 2018 წელს მიიღო, ხოლო მუდმივ წევრობაზე განაცხადი 2019 წლის შემოდგომაზე წარადგინა. IOSCO-ს მუდმივი წევრის სტატუსის მოპოვება იმის დადასტურებაა, რომ საქართველოს ფასიანი ქაღალდების ბაზრის მარეგულირებელი ჩარჩო, საქართველოს ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების დონის გათვალისწინებით, ამ სფეროში დამკვიდრებულ საერთაშორისო სტანდარტებს დაუახლოვდა. აღნიშნული ორგანიზაციის მუდმივი წევრობა, ერთი მხრივ, საქართველოს ფასიანი ქაღალდების ბაზრის მიმართ ინვესტორების ნდობისა და ინტერესის ზრდას შეუწყობს ხელს, მეორე მხრივ კი, საქართველოს საერთაშორისო ბაზრებთან ინტეგრაციის შესაძლებლობას გააფართოებს. ამასთან, ორგანიზაციის წევრობა აამაღლებს საქართველოს ეროვნული ბანკის, როგორც ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულატორის რეპუტაციას.

2021 წელს წარმატებით დასრულდა საერთაშორისო სავალუტო ფონდისა (IMF) და მსოფლიო ბანკის (World Bank) მიერ ფინანსური სექტორის შეფასების პროგრამაზე (FSAP) მუშაობა. FSAP-ის ფარგლებში მსოფლიო ბანკის ექსპერტებმა საქართველოში კაპიტალის ბაზრის საკანონმდებლო და მარეგულირებელი გარემო და საზედამხედველო მიდგომები შეისწავლეს და მათი საერთაშორისო სტანდარტებთან, მათ შორის IOSCO-ს პრინციპებთან შესაბამისობა შეაფასეს. საქართველოს ეროვნულმა ბანკმა საკმაოდ პოზიტიური გამოხმაურება მიიღო ფასიანი ქაღალდების მარეგულირებელი გარემოს კუთხით; შეფასების ანგარიშში აღნიშნულია, რომ 2017 წლის შემდეგ საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ფასიანი ქაღალდების ბაზრის მარეგულირებელი ჩარჩოს გამართვის მიზნითა და მისი საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოსაყვანად უმნიშვნელოვანესი ნაბიჯები გადადგა.

2021 წლის თებერვალში საბანკო და ფასიანი ქაღალდების ბაზრის მონაწილეთათვის საერთო ეთიკისა და პროფესიული ქცევის კოდექსი დამტკიცდა. კოდექსით განსაზღვრული პრინციპები და სტანდარტები სერტიფიცირებულ ფინანსურ ანალიტიკოსთა (CFA) ინსტიტუტის მიერ განსაზღვრულ ეთიკის პრინციპებსა და პროფესიული ქცევის სტანდარტების ჩარჩოს ეფუძნება, რომელიც ფინანსურ ბაზარზე საყოველთაოდ აღიარებული და მიღებული სახელმძღვანელო სტანდარტებია. კოდექსი მიზნად ისახავს, კომერციული ბანკების, საბროკერო კომპანიებისა და აქტივების მმართველი კომპანიების, აგრეთვე, მათ საქმიანობაში ჩართული პირების ეთიკური ქცევის უზრუნველყოფას, ასევე, ფინანსურ ბაზრებზე ეთიკისა და პროფესიონალიზმის საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტების დამკვიდრებას, რაც, თავის მხრივ, საბანკო სექტორისა და ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეპუტაციის ამაღლებას შეუწყობს ხელს, მომხმარებელთა ნდობას გაზრდის და საბანკო და ფასიანი ქაღალდების ბაზრების სტაბილურ და ეფექტიან ფუნქციონირებას უზრუნველყოფს.

2021 წლის დეკემბერში მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC) აქტიური ჩართულობითა და თანამშრომლობით „საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტებისათვის კორპორაციული მართვის კოდექსი" დამტკიცდა. კოდექსი საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას ასახავს და მისი მთავარი მიზანი საწარმოებისათვის პასუხისმგებლობის გაზრდის ხელშეწყობა, დაინტერესებულ მხარეებთან აქტიური კომუნიკაცია, გამჭვირვალობისა და ინვესტორთა უფლებების დაცვაა. ეს, ერთი მხრივ, საწარმოებს გრძელვადიანი მიზნების მიღწევაში დაეხმარება, ხოლო, მეორე მხრივ, გაზრდის ინვესტორთა ნდობას საწარმოსადმი და,

89. IOSCO საერთაშორისო ორგანიზაციაა, რომელიც ფასიანი ქაღალდების ბაზრებზე რეგულირებასა და ურთიერთთანამშრომლობას უწყობს ხელს და მსოფლიოს 130-ზე მეტი ქვეყნის ფასიანი ქაღალდების რეგულატორს აერთიანებს.

საბოლოოდ, მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ადგილობრივი და უცხოური ინვესტიციების მოზიდვაში. კოდექსი საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკაზე დაყრდნობითაა შემუშავებული. მასში გათვალისწინებულია სხვადასხვა ქვეყნის, საერთაშორისო ორგანიზაციისა და ევროკავშირის სტანდარტები, მათ შორის, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) კორპორაციული მართვის პრინციპები. ასევე, ევროკომისიის 2014 და 2015 წლის რეკომენდაციები.

7.2 ფასიანი ქაღალდების ბაზრის მაჩვენებლები

ადგილობრივი ობლიგაციების ბაზარი ბოლო წლების განმავლობაში მკვეთრად გაიზარდა, თუმცა ფასიანი ქაღალდების ბაზრის ზრდის სწრაფ დინამიკაზე 2021 წელს არაერთგვაროვანი გავლენა პანდემიამ და მისმა თანმდევმა ეკონომიკურმა ეფექტებმა მოახდინა.

ობლიგაციების ბაზარი

წინა წლების მსგავსად, 2021 წელს ობლიგაციების ბაზარზე ზრდადი ტენდენცია ფიქსირდება. ბაზრის ეს სეგმენტი 8.8 პროცენტით[90] გაიზარდა და მისმა ზომამ მთლიანი შიდა პროდუქტის 3.67 პროცენტი შეადგინა. გამოშვებული ობლიგაციების 68 პროცენტი კი საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ ლარით დენომინირებული ობლიგაციები იყო. აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ შეთავაზებები მნიშვნელოვნად გაიზარდა, ხოლო კორპორატიული ობლიგაციების სეგმენტი ოდნავ შემცირდა.

2019 წელს საერთაშორისო საფონდო ბირჟებზე სავაჭროდ დაშვებული 3 კორპორატიული ობლიგაციის ორმაგი ლისტინგი განხორციელდა, აქედან ერთ-ერთი ევროობლიგაციაა, რომლისთვისაც 2020 წლის ბოლოს საქართველოს ცენტრალური დეპოზიტარის ჩართულობით სასესხო დეპოზიტარული ხელწერილების გამოშვება განხორციელდა, ხოლო 2021 წელს მდგომარეობა არ შეცვლილა (იხ. დიაგრამა N 7.1).

დიაგრამა N 7.1 კომერციული ობლიგაციების ნაშთები პერიოდის ბოლოს (2014-2021)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი; საქართველოს საფონდო ბირჟა; Bloomberg; სხვა საჯარო წყაროები

90. მონაცემები არ შეიცავს საქართველოს საფონდო ბირჟაზე ორმაგად დალისტულ (“Dual Listing”) არასამთავრობო სასესხო ფასიან ქაღალდებსა და სადეპოზიტო სერტიფიკატებს.

2021 წლის ბოლოს, წინა წელთან შედარებით, საერთაშორისო საკრედიტო სარეიტინგო სააგენტოების (Fitch, Moodys, Scope) მიერ მინიჭებული რეიტინგი საჯარო კორპორაციული ობლიგაციების ემიტენტების 62 პროცენტს (2020: 67 პროცენტი) გააჩნდა, რაც ბაზარზე არსებული საჯარო ობლიგაციების ნაშთის 53 პროცენტს შეადგენს (2020: 48 პროცენტი). საკრედიტო რეიტინგის მქონე საჯარო ობლიგაციების ემიტენტებიდან, 2021 წელს ობლიგაციების ნაშთების 17 პროცენტს BB რეიტინგი (2020: 16 პროცენტი), ხოლო 64 პროცენტს BB/BB- (2020: 61 პროცენტი) რეიტინგი ჰქონდა მინიჭებული.

დიაგრამა N 7.2 კორპორაციული ობლიგაციების ნაშთები საერთაშორისო საკრედიტო რეიტინგების მიხედვით (2014-2021)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2021 წელს კორპორაციული ობლიგაციების ბაზარი ინდუსტრიების მიხედვით დივერსიფიცირებული იყო, კერძოდ, მოიცავდა ემიტენტებს ცხრა ინდუსტრიიდან. კორპორაციული ობლიგაციების ნაშთების მიხედვით, ბაზრის ყველაზე დიდი წილი - 24 პროცენტი (სალიზინგო კომპანიები) - ფინანსურ სექტორს ეკავა, ხოლო ბაზრის 50 პროცენტს სამშენებლო, ჯანდაცვის და საცალო ვაჭრობის სექტორის ემიტენტები წარმოადგენდნენ.

დიაგრამა N 7.3 კორპორაციული ობლიგაციების ნაშთების განაწილება ინდუსტრიების მიხედვით (2021)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2021 წელს, სახაზინო ობლიგაციების ბაზარზე 2020 წლის 54 პროცენტიანი ზრდის შემდეგ, 5.29 პროცენტიანი კლება დაფიქსირდა და მისმა მოცულობამ მთლიანი შიდა პროდუქტის 9.4 პროცენტი შეადგინა. (იხ. დიაგრამა N 7.4)

დიაგრამა N 7.4 სახაზინო ფასიანი ქაღალდების ნაშთები ვადიანობების მიხედვით (2009-2021)



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო; საქსტატი

2021 წელს ადგილობრივი ბაზრის ლიკვიდურობის მაჩვენებლების უმეტესწილად გაუმჯობესება შეინიშნება, თუმცა აღნიშნული მაჩვენებელი ობლიგაციების ბაზრის სხვადასხვა სეგმენტისთვის განსხვავებულია. კორპორაციული ფასიანი ქაღალდების ბაზარზე უცხოური ვალუტით დენომინირებული ობლიგაციების სეგმენტის მეორადი ბაზრის მაჩვენებელი 8 პროცენტული პუნქტით გაიზარდა. სახაზინო ობლიგაციებისათვის, 2021 წელს მეორადი ბაზრის გარიგებების მოცულობა მნიშვნელოვნად გაიზარდა და 33.2 პროცენტს მიაღწია, ხოლო კორპორაციული ფასიანი ქაღალდების ბაზარზე ლარით დენომინირებული ობლიგაციის სეგმენტი კვლავ დაბალი ლიკვიდურობით გამოირჩეოდა. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ სახაზინო ფასიანი ქაღალდების მეორადი ბაზრის გარიგებებში მნიშვნელოვანი წილი ეროვნული ბანკის მიერ განხორციელებულ ოპერაციებს უკავშირდება (იხ. დიაგრამა N 7.5 და 7.6).

დიაგრამა N 7.5 საქართველოში გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდების მეორადი ბაზრის აქტივობა[91] (2015-2021)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი; საქართველოს საფონდო ბირჟა

91. გრაფიკზე მეორადი ბაზრის აქტივობა გამოსახულია წლის განმავლობაში მეორადი ბაზრის გარიგებების მოცულობის ფასიანი ქაღალდების საშუალო წლიურ ნაშთებთან შეფარდებით.

დიაგრამა N 7.6 სახაზინო ფასიანი ქაღალდების განაწილება მფლობელობის მიხედვით (2014-2021)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი; საქართველოს საფონდო ბირჟა

7.3 ბაზრის მონაწილეების მიმოხილვა

2021 წლის ბოლოსთვის საქართველოს ფასიანი ქაღალდების ბაზარზე 2 საფონდო ბირჟა, 1 ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი, 9 საბროკერო კომპანია და ფასიანი ქაღალდების 3 დამოუკიდებელი რეგისტრატორი საქმიანობდა. 9 საბროკერო კომპანიიდან 2 საფონდო ბირჟის წევრი არ იყო.

საბროკერო კომპანიები

2021 წლის 31 დეკემბრისთვის მოქმედი საბროკერო კომპანიების აქტივების საერთო მოცულობამ 198 მილიონი ლარი შეადგინა.

დიაგრამა N 7.7 საბროკერო კომპანიების ჯამური აქტივების დინამიკა წლების მიხედვით (2010-2021)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, საბროკერო კომპანიების კვარტალური და წლიური ფინანსური ანგარიშგებები

საბროკერო კომპანიებისა და კომერციული ბანკების კლიენტების ფასიანი ქაღალდების ანგარიშებზე რიცხული კლიენტების ფასიანი ქაღალდების ჯამური ღირებულება 2021 წლის ბოლოს 6.6 მილიარდ ლარს შეადგენდა და, 2020 წელთან შედარებით, 13 პროცენტით გაიზარდა (გაცვლითი კურსის ეფექტის გათვალისწინების გარეშე). აღნიშნული ზრდა, უმეტესწილად, უცხოური ფასიანი ქაღალდების ანგარიშებს უკავშირდება. აღსანიშნავია, რომ კლიენტების ფასიანი ქაღალდების ნაშთის 37 პროცენტს არარეზიდენტი ინვესტორების ანგარიშები შეადგენს. 2021 წლის ბოლოს მდგომარეობით, საბროკერო კომპანიებისა და ბანკების საბროკერო მომსახურების მიმღები კლიენტების ჯამური რაოდენობა 11 371-ს შეადგენდა, საიდანაც ძირითადი წილი (86 პროცენტი) რეზიდენტ ფიზიკურ პირებზე მოდიოდა. 2021 წლის ბოლოს, 2020 წლის ბოლოსთან შედარებით, საბროკერო კომპანიების კლიენტთა რაოდენობა 64 პროცენტით გაიზარდა. კლიენტის ფასიანი ქაღალდების ნაშთის 89 პროცენტი და კლიენტების რაოდენობის 85 პროცენტი ორ უმსხვილეს საბროკერო კომპანიასა და მათთან დაკავშირებულ კომერციულ ბანკებშია კონცენტრირებული.

დიაგრამა N 7.8 საბროკერო კომპანიების და ბანკების ფასიანი ქაღალდების ანგარიშებზე რიცხული კლიენტების ფასიანი ქაღალდების ჯამური ღირებულება (მილიარდი ლარი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, საბროკერო კომპანიებისა და კომერციული ბანკების ყოველთვიური ანგარიშგებები

დიაგრამა N 7.9 საბროკერო კომპანიების და ბანკების ფასიანი ქაღალდების ანგარიშებზე რიცხული კლიენტების ფასიანი ქაღალდების პორტფელის განაწილება (უცხო ქვეყნებსა და საქართველოში გამოშვებული ფასიანი ქაღალდები)



წყარო: საბროკერო კომპანიებისა და კომერციული ბანკების ყოველთვიური ანგარიშები

საფონდო ბირჟა

2021 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით, საქართველოს საფონდო ბირჟის სავაჭრო სისტემაში 31 ემიტენტის ფასიანი ქაღალდები იყო დაშვებული. საანგარიშო პერიოდში სავაჭრო სესიებსა და ბირჟაზე დაფიქსირებულ გარიგებათა საერთო ღირებულებამ 59 მლნ ლარი შეადგინა (178.7 მლნ ცალი ფასიანი ქაღალდი). აქედან, ბირჟის სავაჭრო სესიებზე, ჯამურად, დაახლოებით 104 ათასი ლარის ღირებულების გარიგება დაიდო, ხოლო ბირჟაზე დაფიქსირებული გარიგებების ღირებულებამ 58.9 მლნ ლარი შეადგინა. დაფიქსირებულ გარიგებებში, გარდა საბროკერო კომპანიების მიერ განხორციელებული ტრანზაქციებისა, შესულია 2021 წლის განმავლობაში რეგისტრატორების მიერ განხორციელებული 1 გარიგება 97,040 ცალ ფასიან ქაღალდზე. გარიგებების საერთო ღირებულებამ 9.7 ათასი ლარი შეადგინა.

ცხრილი N 7.1 ჯამური ინფორმაცია სავაჭრო სესიებზე დადებული და ბირჟაზე დაფიქსირებული მაჩვენებლების მიხედვით (2020-2021)

	გარიგების რაოდენობა		ფასიანი ქაღალდების რაოდენობა		ფასიანი ქაღალდების ღირებულება (ლარი)	
წელი	**2021**	**2020**	**2021**	**2020**	**2021**	**2020**
საბირჟო	14	48	176,775	921,086	104,078	46,135
დაფიქსირებული	179	139	178,534,049	5,035,697	58,945,873	50,733,190
სულ	**193**	**187**	**178,710,824**	**5,956,783**	**59,049,951**	**50,779,326**

დიაგრამა N 7.10 ვაჭრობის ძირითადი მაჩვენებლები (სავაჭრო სესიებზე დადებული და ბირჟაზე დაფიქსირებული გარიგებები) 2010-2021 წწ.



წყარო: საქართველოს საფონდო ბირჟის წლიური ანგარიში საქმიანობის შესახებ

დიაგრამა N 7.11 სავაჭრო სესიებზე და ბირჟაზე დაფიქსირებული გარიგებების რაოდენობა წლების მიხედვით (2010–2021 წ)



	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021
საბირჟო გარიგეგები	2,372	860	339	283	131	120	127	277	133	56	48	14
დაფიქსირებული გარიგეგები	835	421	538	230	115	579	1,135	438	215	224	139	179

წყარო: საქართველოს საფონდო ბირჟის წლიური ანგარიში საქმიანობის შესახებ

ცენტრალური დეპოზიტარი

2021 წელს ცენტრალურ დეპოზიტარში 54.8 მლნ ფასიანი ქაღალდი და 0.26 მლნ ლარი იყო დეპონირებული. აქედან, ფულადი დეპონირების ტრანზაქციების 56 პროცენტი და საერთო თანხის 81 პროცენტი სს „თიბისი ბანკის“ მონაწილეობით განხორციელდა. წინა წლის ანალოგიურ მონაცემთან შედარებით, ცენტრალურ დეპოზიტარში დეპონირებულ ფასიან ქაღალდებზე ტრანზაქციების რაოდენობა 41.9 პროცენტით ნაკლებია, ხოლო რაოდენობა 49 მლნ ცალი ფასიანი ქაღალდითაა გაზრდილი. სულ 2021 წლის განმავლობაში ცენტრალურ დეპოზიტარში 22 ახალი ანგარიში გაიხსნა.

დიაგრამა N 7.12 ცენტრალურ დეპოზიტარში დეპონირებული ფასიანი ქაღალდები წლების მიხედვით (2010-2021)



წყარო: საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარის წლიური ანგარიში საქმიანობის შესახებ

საანგარიშო წელს ცენტრალურ დეპოზიტარში ფულადი სახსრების ბრუნვა 0.1 მლნ ლარით შემცირდა. რაც შეეხება ფულადი სახსრების ტრანზაქციების რაოდენობას, აღნიშნული მაჩვენებელი წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით 35 პროცენტით ნაკლებია.

დიაგრამა N 7.13 ცენტრალურ დეპოზიტარში დეპონირებული ფულადი სახსრები წლების მიხედვით (2010-2021)



წყარო: საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარის წლიური ანგარიში საქმიანობის შესახებ

7.4 საპენსიო სააგენტოს საინვესტიციო საქმიანობის მიმოხილვა

სპეციალიზებული დეპოზიტარის დანიშვნა

2021 წელს საპენსიო სააგენტომ სპეციალიზებული დეპოზიტარის შერჩევის პროცესი დაასრულა. სპეციალიზებულ დეპოზიტარად „საქართველოს ბანკი“ შეირჩა, რომელთანაც საპენსიო სააგენტომ სპეციალიზებული დეპოზიტარის მომსახურების ხელშეკრულება 3 წლის ვადით გააფორმა.

სპეციალიზებული დეპოზიტარი საპენსიო სქემის გამართულად ფუნქციონირებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს. „დაგროვებითი პენსიის შესახებ” საქართველოს კანონისა და საქართველოს ეროვნული ბანკის მარეგულირებელი მოთხოვნების შესაბამისად, სპეციალიზებულ დეპოზიტარს, როგორც დამოუკიდებელ მხარეს, ევალება საპენსიო სქემის აქტივების მიღება, შენახვა, აღრიცხვა და მათზე საკუთრების უფლების დადასტურება, საპენსიო სააგენტოს მიერ მიცემული ინსტრუქციების შესრულება, განხორციელებული საინვესტიციო გადაწყვეტილებების საინვესტიციო პოლიტიკის დოკუმენტთან შესაბამისობის დადგენა, საინვესტიციო პოლიტიკითა და კანონით დადგენილი მოთხოვნების მონიტორინგი. სპეციალიზებული დეპოზიტარის საქმიანობა რეგულირდება ეროვნული ბანკის მიერ და იგი ნდობითი ვალდებულების მქონე იურიდიულ პირს წარმოადგენს.

აღსანიშნავია, რომ სპეციალიზებული დეპოზიტარის დანიშვნით საპენსიო სააგენტოს ადგილობრივ თუ საერთაშორისო ფასიან ქაღალდებში ინვესტიციების განხორციელების საშუალება მიეცა.

განახლებული საინვესტიციო პოლიტიკის დოკუმენტი

2021 წელს დასრულდა აქტივების განთავსების სტრატეგიის (SAA) პირველადი პროცესი, რის მიხედვითაც ნაკლებად რისკიანი საინვესტიციო პორტფელისთვის ბენჩმარკ პორტფელი განისაზღვრა და საინვესტიციო პოლიტიკის დოკუმენტი განახლდა. ბენჩმარკ პორტფელი საინვესტიციო საბჭოს აქტივების განაწილების გრძელვადიან სტრატეგიას წარმოადგენს, რისკის აპეტიტის, საინვესტიციო მიზნებისა და საინვესტიციო ჰორიზონტის გათვალისწინებით. ასევე, საინვესტიციო საბჭომ, საინვესტიციო ჰორიზონტის განმავლობაში, ნაკლებად რისკიანი საინვესტიციო პორტფელისათვის, წლიური მიზნობრივი, მინიმუმ 2 პროცენტი დადებითი რეალური ამონაგები (თუმცა ეს არ უნდა ჩაითვალოს გარანტიად) განსაზღვრა. არსებული კანონმდებლობის მიხედვით, ინვესტირების მიზანს საინვესტიციო ჰორიზონტის ბოლოსთვის, ნაკლებად რისკიანი პორტფელისათვის მაღალი სანდოობით (95 პროცენტი) მხოლოდ დადებითი რეალური ამონაგების მიღება წარმოადგენდა.

განახლებული ბენჩმარკ პორტფელი სამი კლასის აქტივისგან შედგება: საქართველოს სახაზინო ობლიგაციები (20 პროცენტი), დეპოზიტები/სადეპოზიტო სერტიფიკატები ლარში (60 პროცენტი) და უცხოური აქციები (20 პროცენტი). ასევე, აქტივის კლასის მიხედვით, მიზნობრივი მაჩვენებლებიდან გადახრის დასაშვები ნორმები განისაზღვრა.

დიაგრამა N 7.14 ბენჩმარკ პორტფელის განაწილება



წყარო: საპენსიო სააგენტო, საინვესტიციო პოლიტიკის დოკუმენტი

ბენჩმარკ პორტფელის შემოსავლიანობის შეფასების მიზნით, შემდეგი ინდექსები გამოიყენება:

აქტივის კლასი	ინდექსი	წონა
საქართველოს სახაზინო ობლიგაციები	3-წლიანი ან მეტი ვადიანობის	20&
დეპოზიტები/სადეპოზიტო სერტიფიკატები ლარში	დისკონტური (უკუპონო) დეპოზიტები / სადეპოზიტო სერტიფიკატები, 1-დან 3- წლამდე ვადიანობით	30%
	დისკონტური (უკუპონო) დეპოზიტები / სადეპოზიტო სერტიფიკატები, 3 წელზე მეტი ვადით	30%
უცხოური აქციები	iShares MSCI World ETF (კოდი URTH)	20%

საპენსიო ფონდის შემოსავლიანობა

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საპენსიო ფონდის მოცულობამ 1.98 მილიარდი ლარი შეადგინა და აღნიშნული თანხა სრულად ლარში იყო დენომინირებული. საპენსიო აქტივების 67.3 პროცენტი სადეპოზიტო სერტიფიკატებსა და ვადიან დეპოზიტებში, ხოლო 32.7 პროცენტი სარგებლიან მიმდინარე ანგარიშებზე იყო განთავსებული.

დიაგრამა N 7.15 საპენსიო აქტივების პორტფელის განაწილება, 31 დეკემბერი 2021



წყარო: საპენსიო სააგენტო

2021 წლის განმავლობაში ჯამურად გამომუშავებულმა წმინდა სარგებელმა 161 მილიონი ლარი შეადგინა, რაც დაახლოებით 9.5 პროცენტი წლიური ამონაგების ტოლფასია.

ცხრილი N 7.2 საინვესტიციო პორტფელის შედეგები

	2021	2020	2019	დასაწყისიდან დღემდე*
წმინდა ამონაგები	**9.49%**	**12.90%**	**6.12%**	**33.44%**
რეალური ამონაგები (ინფლაციის გამოკლებით)	-3.9%	10.3%	-0.8%	4.78%
ჯამური ხარჯები, მლნ. ₾	6.0	4.5	3.8	
საპენსიო ფონდის ჯამური მოცულობა (NAV), მლნ. ₾	1980.3	1178.0	506.8	
ჯამური ხარჯების[92] წილი საპენსიო ფონდის მოცულობაში	0.30%	0.38%	0.75%	

წყარო: საპენსიო სააგენტო

**2022 წლის 28 თებერვლის მდგომარეობით.*

7.5 საინვესტიციო ფონდების საქმიანობის მიმოხილვა

2020 წელს საინვესტიციო ფონდების მარეგულირებელი ჩარჩო სრულად განახლდა. არსებულ საინვესტიციო ფონდებს და აქტივების მმართველ კომპანიებს საქმიანობის აღნიშნულ კანონთან შესაბამისობაში მოსაყვანად 1 წლიანი ვადა განესაზღვრათ.

2021 წლის მონაცემებით, სულ 2 კერძო საინვესტიციო ფონდი (შპს „გაზელ ფაინენს ჯორჯია“ და ერთობლივი საინვესტიციო ფონდი „რაშმორი“) დარეგისტრირდა. რაც შეეხება აქტივების მმართველ კომპანიებს, 2020 წელს რეგისტრაცია აქტივების მმართველმა ერთმა კომპანიამ (შპს „ნექსუს ასეტ მენეჯმენთ“) მოიპოვა, ხოლო ლიცენზია აქტივების მმართველმა ორმა კომპანიამ (შპს „ფორსაით ინვესტმენტ გრუპ“ და შპს „თიბისი კაპიტალ ესეთ მენეჯმენტ“) მიიღო.

92. 2021 წლის სექტემბრიდან საპენსიო სააგენტო გადავიდა თვითდაფინანსებაზე. დაარსებიდან პირველი 3 წლის მანძილზე საპენსიო სააგენტოს ბიუჯეტი 100 პროცენტით საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდებოდა. არსებული კანონმდებლობის მიხედვით, მომდევნო 10 წლის განმავლობაში საპენსიო სააგენტოს ხარჯებმა არ უნდა გადააჭარბოს საპენსიო აქტივების 0.5 პროცენტს, ხოლო ამ პერიოდის გასვლის შემდეგ კი – 0.25 პროცენტს.

08

ფულის გათეთრების ინსპექტირება და ზედამხედველობა

„საქართველოს ეროვნული ბანკის ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის საზედამხედველო ჩარჩოს“ შესაბამისად, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ 2021 წლის რისკზე დამყარებული საზედამხედველო სტრატეგიის ფარგლებში, დაიგეგმა საზედამხედველო რეაგირების დროული მექანიზმები, რომელსაც როგორც სექტორული, ისე თითოეული ფინანსური ინსტიტუტის რისკების დისტანციური ფორმით იდენტიფიცირებისა და შეფასების პროცესი დაედო საფუძვლად.

რისკების დისტანციური ფორმით იდენტიფიცირებისა და შეფასების მიზნით, 2021 წლის განმავლობაში, ეროვნულმა ბანკმა, ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის მიმართულებით ზედამხედველობას დაქვემდებარებული, ცხრილში მითითებული თითოეული სუბიექტისგან (დიაგრამა N8.1) ორჯერ მიიღო და დაამუშავა ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკის ზედამხედველობის ანგარიშგება. აღსანიშნავია, რომ 2021 წელს პირველად დამუშავდა სესხის გამცემი სუბიექტების ანგარიშგებები.

ცხრილი N 8.1 დისტანციური ზედამხედველობა, 2021წ.

საფინანსო სექტორი	რაოდენობა
კომერციული ბანკი	14
მიკროსაფინანსო ორგანიზაცია	38
საგადახდო მომსახურების პროვაიდერი	32
საბროკერო კომპანია	9
ვალუტის გადამცვლელი პუნქტი	553
ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორი	3
საკრედიტო კავშირი	1
სესხის გამცემი სუბიექტი	245

2021 წლის განმავლობაში განხორციელებული საზედამხედველო ღონისძიებები, როგორც კომპლექსურ, ისე თემატურ, სპეციალურ და საკონტროლო ტიპის ადგილზე შემოწმებებს მოიცავდა. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დანერგილმა დისტანციური ტიპის საკონტროლო (ე.წ. follow-up) შემოწმებებმა, საზედამხედველო პროცესის მიმდინარეობაზე, პანდემიით გამოწვეული ნეგატიური ზეგავლენის შემცირება მიმდინარე წელსაც მნიშვნელოვნად უზრუნველყო. პანდემიის განმავლობაში, ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის მიმართულებით განხორციელებული შემოწმებების შეუფერხებელ მიმდინარეობას ხაზი გაუსვა IMF-ისა და მსოფლიო ბანკის ერთობლივი ჯგუფის მიერ 2021 წელს საქართველოში ფინანსური სექტორის შეფასების პროგრამის (FSAP) განახლებულმა შეფასების ანგარიშმა. შეფასება, რომელიც, მათ შორის, ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა შეფასებას მოიცავს, ქვეყნის მასშტაბით იდენტიფიცირებული რისკების პარალელურად, ხაზს უსვამს წინა ვიზიტის (2014 წელი) შემდგომ მიღწეულ პროგრესს. ამასთან, რეპორტი იმეორებს ევროპის საბჭოს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა შემფასებელ რჩეულ ექსპერტთა კომიტეტის (MONEYVAL) დადებით შეფასებას, ეროვნული ბანკის მიერ რისკზე დამყარებული ზედამხედველობის შემუშავებისა და საზედამხედველო პროცესის გაძლიერების მიმართულებით.

საანგარიშგებო წელს, სექტორების მიხედვით იდენტიფიცირებული საფრთხეებისა და რისკების შესაბამისად, ადგილზე შემოწმებებისას, აქცენტი შემდეგი თემების შესწავლაზე გაკეთდა:

კომერციული ბანკების შემთხვევაში:

- კლიენტების (მათ შორის, დისტანციური არხებით იდენტიფიცირებული/ვერიფიცირებული) რისკის მიხედვით კლასიფიკაციის პროცესის, რისკის გადაფასებისა და რისკის შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ადეკვატურობა;
- რთული მფლობელობის სტრუქტურის მქონე კლიენტების ბენეფიციარი მესაკუთრეების იდენტიფიკაციისა და ვერიფიკაციის პროცესი;
- მმართველობისა და მფლობელობის სტრუქტურით თავისუფალ ინდუსტრიულ ზონებთან, ოფშორებთან და მაღალი რისკის იურისდიქციებთან დაკავშირებული კლიენტების, ასევე, ასეთ ზონებთან დაკავშირებული ტრანზაქციებისა და მონაწილე მხარეების შესახებ ბანკის ცოდნა;
- ინტერნეტ ექვაირინგთან ასოცირებული რისკების მართვის პროცესის ეფექტიანობა;
- ნაღდი ფულის წარმომავლობის დადგენის პროცესის ეფექტიანობა;
- საეჭვო/უჩვეულო გარიგებების გამოვლენის პროცესის ეფექტიანობა (მათ შორის, ფიქციური კომპანიების/ტრანზიტული დანიშნულებით კომპანიების გამოყენების გამოვლენის პროცესის ეფექტიანობა, გაეროს რეზოლუციების (TF/Proliferation) იმპლემენტაციის კუთხით გატარებული ზომები, პროგრამული უზრუნველყოფის ადეკვატურობა, საქველმოქმედო და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მიერ განხორციელებული ტრანზაქციების შესახებ ბანკის ცოდნა).

საგადახდო მომსახურების პროვაიდერების შემთხვევაში:

- კლიენტების რისკის მიხედვით კლასიფიკაციის პროცესის, რისკის გადაფასებისა და რისკის შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ადეკვატურობა;
- შეთავაზებულ პროდუქტებთან დაკავშირებული რისკები და მათი მიტიგაციის ზომების ეფექტიანობა;
- საეჭვო/უჩვეულო გარიგებების გამოვლენის პროცესის ეფექტიანობა (მათ შორის, გაეროს რეზოლუციების (TF/Proliferation) იმპლემენტაციის კუთხით გატარებული ზომები, პროგრამული უზრუნველყოფის ადეკვატურობა);
- საკორესპონდენტო ურთიერთობებთან დაკავშირებული რისკების მართვის პროცესის ეფექტიანობა;
- საქართველოს ეროვნული ბანკის მითითებებთან შესაბამისობის შემოწმება (საერთაშორისო P2P ტრანზაქციებთან და კრიპტო-აქტივებთან დაკავშირებული რისკების მართვის პროცესი);
- ანგარიშგების შევსების სიზუსტის შემოწმება.

საბროკერო კომპანიების შემთხვევაში:

- კლიენტების რისკის მიხედვით კლასიფიკაციის პროცესის, რისკის გადაფასებისა და რისკის შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების ადეკვატურობა;
- რთული მფლობელობის სტრუქტურის მქონე კლიენტების ბენეფიციარი მესაკუთრეების იდენტიფიკაციისა და ვერიფიკაციის პროცესი;
- საბროკერო კომპანიის ცოდნა შუამავლების შესახებ და მათი მეშვეობით განხორციელებული გარიგებების მონიტორინგის პროცესის ადეკვატურობა;
- საეჭვო/უჩვეულო გარიგებების გამოვლენის პროცესის ეფექტიანობა (მათ შორის, გაეროს რეზოლუციების (TF/Proliferation) იმპლემენტაციის კუთხით გატარებული ზომები, პროგრამული უზრუნველყოფის ადეკვატურობა);
- ფორექს საქმიანობასთან დაკავშირებული რისკების მართვის პროცესის ადეკვატურობა;
- ნაღდი ფულის წარმომავლობის დადგენის პროცესის ეფექტიანობა;
- ანგარიშგების შევსების სიზუსტის შემოწმება.

მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შემთხვევაში:

- კლიენტების რისკის მიხედვით კლასიფიკაციის პროცესის, რისკის გადაფასებისა და რისკის შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების ადეკვატურობა;
- საერთაშორისო ტრანზაქციების (მათ შო-

რის, ოფშორულ და მაღალი რისკის იურისდიქციებთან დაკავშირებული) შესახებ ორგანიზაციის ცოდნა;
- საეჭვო/უჩვეულო გარიგებების გამოვლენის პროცესის ეფექტიანობა (მათ შორის, გაეროს რეზოლუციების (TF/Proliferation) იმპლემენტაციის კუთხით გატარებული ზომები, პროგრამული უზრუნველყოფის ადეკვატურობა).
- ნაღდი ფულის წარმომავლობის დადგენის პროცესის ეფექტიანობა;
- ანგარიშგების შევსების სიზუსტის შემოწმება.

ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორები:
- კლიენტების რისკის მიხედვით კლასიფიკაციის პროცესის, რისკის გადაფასებისა და რისკის შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების ადეკვატურობა;
- რთული მფლობელობის სტრუქტურის მქონე კლიენტების ბენეფიციარი მესაკუთრეების იდენტიფიკაციისა და ვერიფიკაციის პროცესი;
- საეჭვო/უჩვეულო გარიგებების გამოვლენის პროცესის ეფექტიანობა (მათ შორის, გაეროს რეზოლუციების (TF/Proliferation) იმპლემენტაციის კუთხით გატარებული ზომები, პროგრამული უზრუნველყოფის ადეკვატურობა);
- ანგარიშგების შევსების სიზუსტის შემოწმება.

სესხის გამცემი სუბიექტების სექტორი ზედამხედველობას 2020 წელს დაექვემდებარა. შესაბამისად, აღნიშნული სექტორის წარმომადგენლების ადგილზე ინსპექტირება 2021 წელს პირველად განხორციელდა და საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 12 უმსხვილესი სესხის გამცემი სუბიექტის შემოწმება უზრუნველყო. აღსანიშნავია, რომ შემოწმების ტიპად კომპლექსური ინსპექტირება განისაზღვრა.

ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, 2021 წლის განმავლობაში, საფინანსო სექტორის 39 წარმომადგენელი შემოწმდა. მნიშვნელოვანია აქვე აღინიშნოს, რომ შემოწმებებისას გამოვლენილი ნაკლოვანებების გამოსწორების უზრუნველსაყოფად, საქართველოს ეროვნული ბანკის ფულის გათეთრების ინსპექტირებისა და ზედამხედველობის დეპარტამენტმა, 2021 წელს, ზედამხედველობას დაქვემდებარებული 41 სუბიექტის მიმართ დისტანციური ტიპის ე.წ. follow-up შემოწმება განახორციელა.

ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევისათვის დაკისრებული ფულადი ჯარიმის ოდენობამ ჯამურად 1,709,900 ლარი შეადგინა.

ცხრილი N 8.2 ჯარიმების მოცულობა, 2021წ.

საფინანსო სექტორი	ჯარიმის მოცულობა (ლარი)
კომერციული ბანკი	1,117,500
მიკროსაფინანსო ორგანიზაცია	386,700
საბროკერო კომპანია	112,500
საგადახდო მომსახურების პროვაიდერი	69,200
სესხის გამცემი სუბიექტი	15,000
ვალუტის გადამცვლელი პუნქტი	9,000

2021 წელს, ევროკავშირის ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე, ეროვნული ბანკის ზედამხედველობას დაქვემდებარებული არასაბანკო სექტორების ფულადი ჯარიმების განსაზღვრისა და დაკისრების წესებში ცვლილებები განხორციელდა, რამაც არასაბანკო სექტორის სანქციათა რეჟიმის ეფექტიანობის ამაღლება მნიშვნელოვნად განაპირობა. ცვლილებების თანახმად, დარღვევები დაიყო განსაკუთრებით მძიმე, მძიმე და ნაკლებად მძიმე კატეგორიებად და თითოეული კატეგორიის დარღვევისათვის განისაზღვრა დარღვევის სიმძიმის შესაბამისი სანქცია. ამასთან, განისაზღვრა ჯარიმები დარღვევის განმეორებითობისა და სისტემურობის შემთხვევებისთვის.

აღსანიშნავია, რომ „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის მოთხოვნების დარღვევის გამო" საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ საფინანსო სექტორის წარმომადგენლისათვის დაკისრებული სანქციების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნების წესის“ თანახმად, 2021 წლის 1 იანვრიდან, დარღვევის შესახებ ინფორმაცია საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებას ექვემდებარება დამრღვევი ფინანსური ინსტიტუტის სახელწოდების მითითებით.

ადგილზე ინსპექტირების შედეგად დაკისრებული ფულადი ჯარიმების გარდა, 2021 წლის განმავლობაში, საფინანსო სექტორის წარმომადგენლების მიმართ აქტიურად გამოიყენებოდა სხვადასხვა მაკორექტირებელი ღონისძიებები. იდენტიფიცირებული სისუსტეების დაუყოვნებლივი აღმოფხვრისა და საფინანსო სექტორის წარმომადგენლების შესაბამისობის დონის ამაღლების მიზნით, ადგილზე ინსპექტირების შედეგების გათვალისწინებით, 2021 წელს, არაერთი რეკომენდაცია გაიცა.

ცხრილი N 8.3 რეკომენდაციების რაოდენობა, 2021წ.

საფინანსო სექტორი	რეკომენდაციების რაოდენობა
კომერციული ბანკი	34
მიკროსაფინანსო ორგანიზაცია	98
საგადახდო მომსახურების პროვაიდერი	38
საბროკერო კომპანიები	27
სესხის გამცემი სუბიექტი	77
ვალუტის გადამცვლელი პუნქტი	5

აღსანიშნავია, რომ 2020 წელს პირველად განხორციელდა კომერციული ბანკებისგან ორგანიზაციული და ჯგუფის მასშტაბით რისკის შეფასების დოკუმენტის გამოთხოვა, ხოლო 2021 წელს, ფინანსური ინსტიტუტების მიერ საკუთარ ორგანიზაციაში არსებული რისკების აღქმისა და ამ რისკების მიტიგაციისათვის გატარებული ღონისძიებების დაგეგმვის პროცესის გაუმჯობესების მიზნით, ფულის გათეთრების ინსპექტირებისა და ზედამხედველობის დეპარტამენტმა, თითოეულ კომერციულ ბანკს, ორგანიზაციული და ჯგუფის მასშტაბით რისკის შეფასების დოკუმენტთან დაკავშირებული რეკომენდაციები გაუზიარა.

კომერციული ბანკების შესაბამისობის კონტროლის სისტემების ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის კანონმდებლობასთან, ასევე, ეროვნული ბანკის მიერ დაწესებულ მოთხოვნებსა და საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკასთან შესაბამისობის დისტანციურად შეფასების მიზნით, 2021 წელს პირველად განხორციელდა კომერციული ბანკის შესაბამისობის კონტრო-

ლის სისტემის ზედამხედველობის კითხვარის გამოთხოვა და შესაბამისი ანალიზის მომზადება. კომერციული ბანკების მიერ აღნიშნული ინფორმაციის წარმოდგენის მიზნით, ეროვნულმა ბანკმა 2021 წელს შეიმუშავა და დაამტკიცა „კომერციული ბანკების ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის შესაბამისობის კონტროლის სისტემის ზედამხედველობის კითხვარის შევსებისა და ინფორმაციის წარმოდგენის წესი“.

2021 წლის განმავლობაში, წინა წლის მსგავსად, საქართველოს ეროვნული ბანკის „რეგულირების ლაბორატორიის“ ფარგლებში, ფულის გათეთრების ინსპექტირებისა და ზედამხედველობის დეპარტამენტის ჩართულობით, ინდივიდუალურად განიხილებოდა ფინანსური ინსტიტუტების მიერ შემუშავებული და წარმოდგენილი პროდუქტები. ამასთან, 2021 წელს დამტკიცდა „პრევენციული ღონისძიებების ელექტრონულად განხორციელების წესი“, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს ანგარიშვალდებულ პირებს, განსაზღვრონ ელექტრონული იდენტიფიკაცია/ვერიფიკაციისთვის საჭირო პროცედურები და ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებები.

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პრევენციული საზედამხედველო ზომების განხორციელებას, რაც საზედამხედველო მოლოდინების შესახებ საფინანსო სექტორის წარმომადგენლების სისტემატურ ინფორმირებასა და მათი შესაბამისობის დონის ამაღლებას უზრუნველყოფს.

საქართველოს ეროვნული ბანკის ზედამხედველობას დაქვემდებარებულ სექტორებში შესაბამისობის კულტურის ამაღლების მიზნით, 2021 წელს შემდეგი სახელმძღვანელო დოკუმენტები შემუშავდა:

ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების საყურადღებო ნიშნების სახელმძღვანელო. სახელმძღვანელო მიზნად ისახავს ეროვნული ბანკის ზედამხედველობას დაქვემდებარებული სუბიექტების მიერ კლიენტებთან დამყარებული საქმიანი ურთიერთობის მონიტორინგის პროცესის ეფექტიანად წარმართვის ხელშეწყობას. სახელმძღვანელო განსაზღვრავს იმ საყურადღებო ნიშნების არაამომწურავ ჩამონათვალს, რომლებიც ანგარიშვალდებულმა პირმა საეჭვო/უჩვეულო გარიგებების გამოვლენის პროცესში უნდა გაითვალისწინოს.

ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების ტიპოლოგიების სახელმძღვანელო. დოკუმენტი მიზნად ისახავს ფინანსური ინსტიტუტების მიერ საქმიანი ურთიერთობის მონიტორინგის ეფექტიანად განხორციელების ხელშეწყობას. სახელმძღვანელოში მოცემულია ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების მეთოდების მიმოხილვა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ფინანსური ინსტიტუტების შემოწმების ფარგლებში გამოვლენილი, აგრეთვე, საერთაშორისოდ გავრცელებული შემთხვევებისა და საყურადღებო ნიშნების ანალიზის საფუძველზე.

პანდემიით გამოწვეული შეზღუდვების გათვალისწინებით, შემუშავებული და განახლებული მეთოდური სახელმძღვანელოებისა და საზედამხედველო დოკუმენტების გაცნობისა და პრაქტიკაში ეფექტიანად დანერგვის მიზნით, 2021 წლის განმავლობაში, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ონლაინ სასწავლო სემინარები ჩაატარა. ტრენინგებს საგადახდო მომსახურების პროვაიდერების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების, საკრედიტო კავშირების, ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორების, საბროკერო კომპანიებისა, სესხის გამცემი სუბიექტებისა და ვალუტის გადამცვლელი პუნქტების წარმომადგენლები დაესწრნენ. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სწავლების თემატიკა თითოეულ სექტორში იდენტიფიცირებულ სისუსტეებსა და საჭიროებებს შეესაბამებოდა.

ცხრილი N 8.4 სწავლების თემატიკა, 2021წ.

	მიკროსაფინანსო ორგანიზაცია	საგადახდო მომსახურების პროვაიდერი	ვალუტის გადამცვლელი პუნქტი	სესხის გამცემი სუბიექტი	საბროკერო კომპანია	ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორი
შესაბამისობის კონტროლის სისტემა	58	35	46	53	11	5
ორგანიზაციული რისკის შეფასება	58	35			11	5
საკორესპონდენტო ურთიერთობები		35			11	5
რისკის შეფასება, რისკის შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების გამოყენება			46	53		
AML/CFT საყურადღებო ნიშნები	52		11	36	5	7
AML/CFT ტიპოლოგიები	52		11	36	5	7

თემატური სწავლების პარალელურად, 2021 წლის განმავლობაში, საფინანსო სექტორის წარმომადგენლებთან კომუნიკაცია ინტენსიურ ხასიათს ატარებდა. საფინანსო სექტორის წარმომადგენლებთან აქტიურად იმართებოდა ონლაინ შეხვედრები ინფორმაციის გაზიარებისა და საზედამხედველო მოლოდინების გაცნობის მიზნით. ამასთან, საფინანსო სექტორის წარმომადგენლები ყოველდღიურ რეჟიმში იღებდნენ შესაბამის ინფორმაციას მათთვის აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით, საკანონმდებლო მოთხოვნებისა და მეთოდური სახელმძღვანელოების პრაქტიკაში ეფექტიანად დანერგვის შესახებ.

09

საგადახდო სისტემები

საგადახდო სისტემები საფინანსო სისტემის ინფრასტრუქტურის ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტია. მისი საშუალებით განხორციელებული ტრანზაქციების რაოდენობა და თანხა, როგორც მსოფლიოს მასშტაბით, ასევე საქართველოში, ზრდას განაგრძობს. შესაბამისად, საგადახდო სისტემების უსაფრთხო, მდგრადი და ეფექტიანი ფუნქციონირება საფინანსო სისტემის სტაბილურობისათვის, ასევე მოსახლეობისა და ბიზნესის მხრიდან ელექტრონული გადახდების მიმართ მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის უფრო და უფრო მეტად კრიტიკული ხდება. COVID-19 პანდემიით გამოწვეულმა ცვლილებებმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი მომსახურებების გაციფრულების მნიშვნელობას, როგორც მომხმარებლებისთვის, ასევე ზოგადად ქვეყნის ეკონომიკისთვის. საგადახდო სისტემების პოტენციური გაუმართაობის თავიდან ასაცილებლად, ფინანსური სისტემები, მათი დიზაინი და ფუნქციონირება საერთაშორისო დონეზე აღიარებულ და ფართოდ მიღებულ სტანდარტებს უნდა ეფუძნებოდეს. აქედან გამომდინარე, საქართველოს ეროვნული ბანკი თავისი ფუნქციის შესრულებისას ფინანსური ბაზრების ინფრასტრუქტურის პრინციპებს (CPMI-IOSCO Principles for financial market infrastructures), ევრო-დირექტივებს, საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებისა და საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკის პუბლიკაციებს ითვალისწინებს.

2021 წლის პირველ ნახევარში მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის ერთობლივი მისია „ფინანსური სექტორის შეფასების პროგრამის“ (FSAP) ფარგლებში, საქართველოს საგადახდო სისტემები და ფინანსური ბაზრის ინფრასტრუქტურაც შეფასდა. 2021 წლის FSAP-ის ანგარიშში[93] აღნიშნულია, რომ წინა მისიის შემდეგ საგადახდო სისტემების სფეროს პოზიტიური განვითარება თვალსაჩინოა, კერძოდ, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა სამართლებრივი და მარეგულირებელი ჩარჩო, გაძლიერდა საგადახდო სისტემების ოვერსაიტის და საგადახდო მომსახურების პროვაიდერების ზედამხედველობის ფუნქცია.

აღსანიშნავია, რომ საგადახდო სისტემების დეპარტამენტში მნიშვნელოვანი სტრუქტურული ცვლილება განხორციელდა. კერძოდ, საგადახდო სისტემების დეპარტამენტის სტრუქტურის ფარგლებში არსებული საგადახდო მომსახურების პროვაიდერების რეგულირების განყოფილების ნაცვლად ორი განყოფილება ჩამოყალიბდა: საგადახდო სისტემების ოვერსაიტის განყოფილება და საგადახდო მომსახურების პროვაიდერების ზედამხედველობის განყოფილება. აღნიშნული ცვლილებების მიზანს, ერთი მხრივ, საგადახდო სისტემებისა და ინსტრუმენტების ოვერსაიტის გაძლიერება, ხოლო, მეორე მხრივ, საგადახდო მომსახურების ბაზრის მონაწილეების პრუდენციული ზედამხედველობის ეფექტურობის ზრდა წარმოადგენს.

საგადახდო სისტემების ოვერსაიტი

სამართლებრივი ბაზა

გადახდების გაციფრულება, ახალი და ინოვაციური გადახდის და მომსახურების საშუალებები მომხმარებლებისთვის კომფორტისა და მრავალმხრივი გამოყენების შესაძლებლობის გაჩენასთან ერთად შესაბამის რისკებს წარმოშობს. ერთი მხრივ, ინოვაციების ხელშეწყობისთვის და, მეორე მხრივ, თანმხლები რისკების გაზრდის შესაკავებლად, მნიშვნელოვანია დამაბალანსებელი და მოქნილი სამართლებრივი და მარეგულირებელი ჩარჩოს ჩამოყალიბება/იმპლემენტაცია, რისთვისაც საქართველოს ეროვნული ბანკი სხვადასხვა მიმართულებით აქტიურად საქმიანობდა:

93. Georgia - Financial Sector Assessment Program : Technical Note on Payment Systems and Financial Market Infrastructure https://documents.worldbank.org/en/publication/documents-reports/documentdetail/099840003012220978/p175014029297107b08e920ba260ea108d4

საქართველოს ეროვნული ბანკი აგრძელებდა მუშაობას საგადახდო მომსახურების შესახებ განახლებული დირექტივის (Directive (EU) 2015/2366 on payment services) იმპლემენტაციაზე, რაც, ერთი მხრივ, მიზნად ისახავს კანონმდებლობის მნიშვნელოვნად განახლებას, ხოლო, მეორე მხრივ, საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან გამომდინარე, დაახლოებით. მიმდინარეობდა „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონში შესატან ცვლილებებზე კერძო სექტორის წარმომადგენლებთან აქტიური მსჯელობა და პოზიციების გაცვლა. კანონპროექტით გათვალისწინებული ცვლილებები, სხვა დადებით ეფექტთან ერთად, საგადახდო სისტემებზე საგადახდო მომსახურების პროვაიდერების წვდომას გაუმჯობესებს, რითაც ხელი შეეწყობა კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბებას, ასევე, გაძლიერდება მომხმარებელთა უფლებების დაცვა, კერძოდ, კანონით პროვაიდერისთვის მომხმარებლების საჩივრებზე დადგენილ ვადაში რეაგირების ვალდებულება, არაავტორიზებული ან/და არასწორად შესრულებული ოპერაციების თანხის უმოკლეს დროში ანაზღაურების საკითხი და სხვა მსგავსი საკითხები. კანონპროექტში ასევე გათვალისწინებულია ევროდირექტივის შესაბამისი დებულებები მომხმარებელთა დავების გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმის დანერგვის უზრუნველსაყოფად - საგადახდო მომსახურების სფეროში მომხმარებლების საჩივრების განმხილველი კომისიის შექმნა. აღსანიშნავია, რომ პროექტი ასევე აწესრიგებს კომისიის მიერ საჩივრის განხილვის ძირითად პრინციპებს და საკითხებს. დამოუკიდებელი „დავების განმხილველი კომისია“ მომხმარებლებს სასამართლოს ნაცვლად დავის განხილვის უშუალოდ საგადახდო მომსახურების სფეროზე ორიენტირებულ კომისიაში განხილვის შესაძლებლობას მისცემს, თან, პროცესის გაცილებით შემჭიდროებულ ვადებში და უსასყიდლოდ წარმართვით.

2021 წელს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ 2020 წელს მიღებული „მომხმარებლის ძლიერი ავთენტიფიკაციის წესის“ (Strong Customer Authentication) დანერგვაზე აქტიური მუშაობა მიმდინარეობდა. ისევე როგორც წესის შემუშავებისას, მისი იმპლემენტაციის პროცესშიც საქართველოს ეროვნული ბანკი პროვაიდერებთან აქტიურად თანამშრომლობდა: განმარტებების, მოსაზრებებისა და სხვა სახის უკუკავშირის მიწოდების, ასევე მათ ინდივიდუალურ და საერთო საჭიროებებზე რეაგირების გზით. წესის იმპლემენტაციის მიზანია მომხმარებლების, მათი ფინანსებისა და პერსონიფიცირებული ინფორმაციის დაცვის გაძლიერება, თაღლითობისა და სხვა უკანონო ქმედების რისკის შემცირება, საგადახდო მომსახურებებისა და უნაღდო გადახდების მიმართ მომხმარებლების ნდობის გაზრდა, ასევე, საფინანსო სექტორის სტაბილურობის, საგადახდო სისტემის ეფექტიანი და სანდო ფუნქციონირების ხელშეწყობა. აღსანიშნავია, რომ წესი ახალი მომსახურებების - ანგარიშის ინფორმაციაზე წვდომის და გადახდის ინიციირების მომსახურების - მიღების დროს მომხმარებლების დაცულობას უზრუნველყოფს.

2021 წელს სებ-მა, ბაზარზე მიმდინარე ტენდენციებიდან, მათ შორის, ტექნოლოგიური განვითარებიდან გამომდინარე, ასევე, კერძო სექტორიდან მოწოდებული საჭიროებების გათვალისწინებით, „საბარათე ინსტრუმენტების შესახებ დებულებაში“ ცვლილებების პროექტი შეიმუშავა. დოკუმენტი შეეხებოდა სავაჭრო-მომსახურების ობიექტის და სავაჭრო-პლატფორმის მიმართ სუბ-ექვაირერის და ექვაირერის უფლება-ვალდებულებების გადახედვას, შეიცვალა დებულებები მომხმარებელთა უფლებების დაცვის გაძლიერების მიმართულებით (ცხელი ხაზი, საბარათე ინსტრუმენტის დაბლოკვა და სხვა).

2021 წელს საგადახდო ანგარიშის შესახებ ევროდირექტივის (Payment account directive - Directive 2014/92/EU) ცალკეული მუხლების იმპლემენტაციაზე მუშაობა გაგრძელდა. კერძოდ, შემუშავდა „საგადახდო ანგარიშებთან დაკავ-

შირებული მომსახურების საკომისიოების ხელმისაწვდომობის შესახებ წესის“ პროექტი. საქართველოს ეროვნული ბანკის ვებგვერდზე საგადახდო ანგარიშისა და საგადახდო მომსახურების საკომისიოებთან დაკავშირებული განსათავსებელი ინფორმაციის ფორმატის დასაზუსტებლად შედგა კომუნიკაცია კომერციულ ბანკებთან. აღნიშნულის საფუძველზე შემუშავდა ტექნიკური დავალება იმ პროცესზე, რომლითაც მონაცემების მიღების და შემდგომი გამოქვეყნების ავტომატიზაცია უნდა იქნას უზრუნველყოფილი. პროცესის დასრულება და შესაბამისი წესის მიღება 2022 წელსაა დაგეგმილი. ზემოხსენებული პროექტების შემუშავებისას საქართველოს ეროვნულ ბანკს, ევროკავშირის „Twinning“-ის პროექტის ფარგლებში, მხარდაჭერას უწევდნენ საგადახდო მომსახურებებისა და სისტემების სფეროს ექსპერტები როგორც პოლონეთის ცენტრალური ბანკიდან და ფინანსური ზედამხედველობის ორგანოდან, ასევე, ლიეტუვას ცენტრალური ბანკიდან.

RTGS სისტემის შეფასება

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2020 წლის მიწურულს RTGS სისტემის რიგით მეორე თვითშეფასება ფინანსური ბაზრის ინფრასტრუქტურების პრინციპების (CPMI-IOSCO Principles for Financial Market Infrastructures) საფუძველზე განახორციელა. აღნიშნული დოკუმენტი ასევე FSAP-ის მისიის ფარგლებში მსოფლიო ბანკის ექსპერტის მიერ შეფასდა. შეფასების შედეგებით, RTGS სისტემას მყარი და საიმედო სამართლებრივი ბაზა გააჩნია, რომელიც საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას შეესაბამება. ხოლო სისტემის მმართველობითი სტრუქტურა გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების პრინციპებზეა დაფუძნებული. რაიმე სახის სამართლებრივი გაურკვევლობა RTGS სისტემის განხორციელებული ტრანსფერ-ორდერების ანგარიშსწორების საბოლოობასთან დაკავშირებით გამორიცხულია, რაც ასევე საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასთანაა შესაბამისობაში. სისტემის ეფექტიანობისა და ეფექტურობის მაჩვენებლების მონიტორინგი რეგულარულად ხორციელდება. ეროვნული ბანკის მიერ დანერგილია როგორც ფინანსური (ლიკვიდურობის და საკრედიტო რისკები), ასევე არაფინანსური რისკების (საოპერაციო, სამართლებრივი, ძირითადი ბიზნეს რისკი) იდენტიფიკაციის, მართვისა და მინიმიზაციის ადეკვატური ზომები. ამასთან, გამჭვირვალობისა და გამჟღავნების მიმართულებით ფინანსური ბაზრის ინფრასტრუქტურის პრინციპებთან ნაკლებად მნიშვნელოვანი შეუსაბამობები იქნა იდენტიფიცირებული და რისკების მართვის ყოვლისმომცველი ჩარჩოს დანერგვის დასრულების აუცილებლობა გამოიკვეთა. 2021 წლის განმავლობაში გადაიდგა ნაბიჯები ამ შეუსაბამობების აღმოსაფხვრელად, კერძოდ, RTGS სისტემაში მონაწილეობის კრიტერიუმები, სისტემის წესების ფუნქციონირების მატერიალური ასპექტების შესახებ ინფორმაცია (გამოუთხოვადობა და საბოლოობა, მონაწილის დაბლოკვის, შეჩერებისა და გასვლის წესები და სხვა) საჯაროდ გამოქვეყნდა. გარდა ამისა, მიმდინარეობდა მუშაობა RTGS სისტემის რისკების მართვის შესაბამისი ჩარჩოს ფორმალიზებაზე ასევე, მსოფლიო ბანკის ექსპერტების მხარდაჭერით, ეროვნული ბანკის და კერძო ცენტრალური დეპოზიტარის სისტემების თვითშეფასების პროცესი გაგრძელდა.

საცალო გადახდების სისტემები

დაგროვილი გამოცდილების გათვალისწინებით, საგადახდო სისტემისა და საგადახდო სისტემის ოპერატორის ოვერსაიტის წესის პროექტი გადამუშავდა. განახლებული პროექტის მიზანს სისტემური რისკების მინიმიზაცია და საგადახდო სისტემების ეფექტიანობის ზრდა წარმოადგენს. სამართლებრივი აქტი ფინანსური ბაზრის ინფრასტრუქტურის ორგანიზაციული მოწყობის, ფინანსური და არაფინანსური რისკების მართვის, ანგარიშსწორების, მონაწილის დეფოლტის მართვის, სისტემაზე წვდომის კრიტერიუმების, ეფექტიანობისა და გამჭვირვალობის მიმართ მოთხოვნებს მოიცავს. წესი ყველა ტიპის საგადახდო სისტემებზე, მათ შორის ფინანსური ინსტიტუტების შიდა სისტემებზეც

გავრცელდება. აღნიშნული პროექტი ოვერსაიტს დაქვემდებარებული სისტემების სამ კატეგორიას განსაზღვრავს: სისტემურად მნიშვნელოვანი, გამორჩეულად მნიშვნელოვანი და სხვა სისტემები. საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად, სისტემურად მნიშვნელოვან სისტემად მოიაზრება ისეთი სისტემები, რომელთა ჩავარდნამ შესაძლოა ფინანსურ სტაბილურობას შეუქმნას საფრთხე. გამორჩეულად მნიშვნელოვან სისტემაში მოიაზრება ისეთი საგადახდო სისტემები, რომლებიც საცალო გადახდების შესრულებისთვის მნიშვნელოვან როლს ასრულებენ და მათმა გაჩერებამ შესაძლოა მომხმარებლების ფართო წრე დააზარალოს. საგადახდო სისტემების კატეგორიზაციისათვის ეროვნულმა ბანკმა „მნიშვნელოვანი სისტემის ქვეკატეგორიების განსაზღვრისა და საგადახდო სისტემისათვის მნიშვნელოვანი სისტემის სტატუსის მინიჭების წესის“ პროექტი შეიმუშავა. ხსენებული წესები ფინანსური ბაზრის ინფრასტრუქტურის პრინციპებს და ევროპის ცენტრალური ბანკის საგადახდო სისტემების ოვერსაიტის სტანდარტებს ეყრდნობა და ითვალისწინებს. საგადახდო სისტემის ოვერსაიტის წესის პროექტი ბაზრის მონაწილეებთან არის გაზიარებული და მიმდინარეობს კონსულტაციები.

ბაზარზე არსებული მოთხოვნებისა და ტენდენციების მონიტორინგის საფუძველზე ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად საგადახდო სისტემაზე წვდომის ობიექტური, არადისკრიმინაციული და პროპორციული პირობების უზრუნველყოფა გამოიკვეთა, რაც მთლიანად ქვეყნის საგადახდო სფეროში კონკურენტული გარემოს შექმნისთვის კრიტიკულია. ასევე დაიდენტიფიცირდა სისტემების თავსებადობის ისეთი ნაკლოვანებები, რომელიც, პოტენციურად, შესაძლოა ქვეყნის საგადახდო სისტემის ეფექტიანობაზე ნეგატიურად აისახოს. ეროვნული ბანკი ამ მიმართულებებით მუშაობას 2022 წელსაც გააგრძელებს.

RTGS სისტემაში განხორციელებული ოპერაციები

ეროვნული ბანკის დროის რეალურ რეჟიმში ანგარიშსწორების სისტემა (RTGS სისტემა), ეროვნული ვალუტით ბანკთაშორისი ანგარიშსწორების ძირითად მექანიზმს წარმოადგენს. შესაბამისად, მისი გამართული მუშაობა ქვეყნის საფინანსო სექტორისა და ეკონომიკის შეუფერხებელი ფუნქციონირების მნიშვნელოვანი წინაპირობაა. ამასთანავე, ეროვნული ბანკის RTGS სისტემის გამართული ფუნქციონირება სხვა სისტემებისთვისაც (GSSS-ის და საბარათე სისტემების) მნიშვნელოვანია, რადგან მათი საშუალებით განხორციელებული ოპერაციების ანგარიშსწორებას RTGS სისტემა უზრუნველყოფს. 2021 წელს, წინა წლების მსგავსად, სისტემის მუშაობის უწყვეტობის მაღალი ხარისხი შენარჩუნდა. კერძოდ, მონაწილეებისათვის (ბანკებისთვის, სახელმწიფო ხაზინისთვის) სისტემაზე ხელმისაწვდომობა 99.9 პროცენტს აღემატებოდა. RTGS სისტემას გააჩნია საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად შექმნილი ბიზნეს უწყვეტობის გეგმა, რომლის ტესტირება წინასწარ დამუშავებული სცენარების მიხედვით რეგულარულად ხორციელდება. RTGS სისტემის მონაწილეები საქართველოში ლიცენზირებული 14 კომერციული ბანკი, საქართველოს ეროვნული ბანკი და ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური არიან.

2021 წელს RTGS სისტემით 34.7 მილიონი გადახდის ოპერაცია განხორციელდა, თანხობრივად 318 მილიარდი ლარი, რაც წინა წლის მაჩვენებლებზე რაოდენობრივად 22 პროცენტით და თანხობრივად 19 პროცენტით მეტია. საყურადღებოა, რომ კომერციულ ბანკებს შორის გადახდების თანხა 20.6 პროცენტით, ხოლო რაოდენობა 29.4 პროცენტით გაიზარდა.

RTGS სისტემით განხორციელებული გადახდების თანხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების დინამიკა ქვემოთ წარმოდგენილ დიაგრამა N 9.1-9.4-ზე იხილეთ.

დიაგრამა N 9.1 RTGS ოპერაციების დინამიკა (2002-2021 წწ.)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა N 9.2 RTGS ოპერაციები (2021 წ.)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა N 9.3 RTGS ოპერაციების თანხა მონაწილეების მიხედვით (2011-2021 წწ.)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა N 9.4 RTGS ოპერაციების რაოდენობა მონაწილეების მიხედვით (2011-2021 წწ.)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

წინა წლების მსგავსად, RTGS სისტემის, როგორც სხვა სისტემების ანგარიშსწორების მექანიზმის როლი, მნიშვნელოვანია. 2021 წელს, სხვა სისტემების საბოლოო ანგარიშსწორების ოპერაციების თანხა 16 პროცენტით გაიზარდა, ხოლო მისმა წილმა, სულ RTGS სისტემით შესრულებულ ოპერაციებში 28 პროცენტი (იხ. დიაგრამა N 9.5) შეადგინა, რაც, თავის მხრივ, 2020 წლის შესაბამის მაჩვენებელზე ერთი პროცენტული პუნქტით ნაკლებია. ასეთი შემცირება იმავე პერიოდში ბანკებს შორის განხორციელებული გადახდების 20 პროცენტით გაზრდამ განაპირობა.

დიაგრამა N 9.5 RTGS ოპერაციების თანხა ანგარიშსწორების მიხედვით (2011-2021 წწ.)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

RTGS სისტემა არა მარტო დიდი თანხობრივი მოცულობის (საბითუმო), არამედ საცალო გადახდების კუთხითაც უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს. 2021 წელს კომერციული ბანკების კლიენტების გადახდების წილმა, სულ RTGS გადახდებში, თანხობრივად 28.8 პროცენტი და რაოდენობრივად 79 პროცენტი შეადგინა. საყურადღებოა, რომ საცალო გადახდების რაოდენობის განაწილება თანხობრივი ინტერვალების მიხედვით 2011-2021 წლების პერიოდში შედარებით სტაბილურია და ბოლო 5 წლის პერიოდში მხოლოდ 10-დან 100 ლარამდე გადახდების რაოდენობის წილის სტაბილური ზრდა შეიმჩნევა (იხ. დიაგრამა N 9.6 და N 9.7). კერძოდ, 2016 წლიდან 10-დან 100 ლარამდე გადახდების რაოდენობის წილი 10 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 41 პროცენტი შეადგინა.

დიაგრამა N 9.6 ბანკის კლიენტების გადახდების რაოდენობა თანხობრივი ზღვრების მიხედვით (2011-2021 წწ.)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა N 9.7 ბანკის კლიენტების გადახდების განაწილება თანხების მიხედვით (2011-2021 წწ.)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

COVID-19 პანდემიის გავლენა RTGS სისტემის ოპერაციებზე

2020 წელს COVID-19-ის გავრცელებით გამოწვეულმა პანდემიამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ეკონომიკური საქმიანობის პრაქტიკულად ყველა სფეროზე. ეს, თავისთავად, RTGS სისტემით განხორციელებულ ოპერაციებზეც აისახა. კერძოდ, ხაზინასა და კომერციულ ბანკს შორის გადახდების რაოდენობა მნიშვნელოვნად შემცირდა, 2018 და 2019 წლის მონაცემებთან შედარებით ასევე დაიკლო კომერციულ ბანკებს შორის კლიენტების გადახდების რაოდენობის ზრდის ტემპმა. რაც შეეხება RTGS სისტემით განხორციელებული ოპერაციების თანხას, მისი ზრდის ტემპიც მნიშვნელოვნად შემცირდა, რაც, ძირითადად, კომერციულ ბანკებს შორის გადახდების ზრდის ტემპის შემცირების ხარჯზე მოხდა (2018 წელს 21.3 პროცენტი, 2019 წელს 41.1 პროცენტი, 2020 წელს 2 პროცენტი).

2021 წლის მონაცემების მიხედვით, მიუხედავად COVID-19-ის გავრცელების რამდენიმე ტალღისა და წლის განმავლობაში დაწესებული შეზღუდვებისა, RTGS სისტემაში განხორციელებული ოპერაციების დინამიკა მანამდე არსებულ ტენდენციებს დაუბრუნდა, რაც ნათლად ჩანს დიაგრამაზე N 9.8-9.9-ზე.

დიაგრამა N 9.8 კომერციულ ბანკებს შორის გადახდების წლიური მაჩვენებლების ცვლილება RTGS სისტემაში (2012-2021 წწ.)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა N 9.9 RTGS სისტემაში კომერციულ ბანკებს შორის გადახდების ცვლილება წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით (2012-2021 წწ.)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

აღნიშნული ტენდენცია შესაბამისობაშია 2020 წლის დინამიკასთან, კერძოდ, 2020 წლის აპრილ-ივლისის პერიოდისაგან განსხვავებით, ნოემბერ-დეკემბერში შემოღებულ შეზღუდვებს კომერციული ბანკების კლიენტის გადახდების არც თანხის და არც რაოდენობის შემცირება არ გამოუწვევია. სავარაუდოდ, ეს რამდენიმე ფაქტორით იყო განპირობებული: ერთის მხრივ, კომერციულმა ბანკებმა და მომხმარებლებმა შეცვლილ პირობებთან ადაპტაცია მოახერხეს, რის შემდეგაც პანდემიასთან ბრძოლისათვის გატარებული ღონისძიებები გადახდის ოპერაციების ინიცირებაზე შეზღუდულად ახდენდა გავლენას. მეორეს მხრივ, შეზღუდვების საწყის ეტაპზე მომხმარებელი ხარჯების გაწევისას უფრო მეტად თავშეკავებული იყო. ასევე, 2020 წლის გაზაფხულზე დაწესებული შეზღუდვების პერიოდში, ბანკის კლიენტების დიდი ნაწილისთვის სასესხო ვალდებულებების შესრულება გადავადდა. რამდენადაც 2021 წელს აღნიშნული ფაქტორების ზემოქმედება შეჩერდა ან მნიშვნელოვნად შესუსტდა, 2021 წელს RTGS სისტემაში განხორციელებული ტრანზაქციების დინამიკა პანდემიამდე პერიოდის ტენდენციებს დაუბრუნდა (იხ. დიაგრამა N 9.10).

დიაგრამა N 9.10 კომერციულ ბანკების კლიენტების გადახდების რაოდენობის ცვლილება თვეების მიხედვით (2020 და 2021 წელი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

გადახდის ელექტრონული საშუალებები

2021 წელს, ტრადიციულად, ყველაზე სწრაფად მობილური ბანკის გადახდების გამოყენება იზრდებოდა, რაც საგადახდო ბარათების შემდეგ ყველაზე უფრო ხშირად გამოყენებად გადახდის საშუალებას წარმოადგენს. წინა წელთან შედარებით, მობილური ბანკის გამოყენებით განხორციელებული გადახდების რაოდენობა 75 პროცენტით გაიზარდა და სულ უნაღდო გადახდების 10 პროცენტი შეადგინა, რაც 2020 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 3 პროცენტული პუნქტით მეტია. ტრადიციულად, რაოდენობრივი მაჩვენებლების მიხედვით ყველაზე ხშირად გამოყენებულ გადახდის ელექტრონულ საშუალებას საბარათე ინსტრუმენტი წარმოადგენს. 2021 წელს მისი მეშვეობით განხორციელებული გადახდების რაოდენობა 26 პროცენტით გაიზარდა და მთლიანი უნაღდო გადახდების 83 პროცენტი შეადგინა, რაც 1 პროცენტული პუნქტით ნაკლებია 2020 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე. რაც შეეხება ინტერნეტ-ბანკით გადახდებს, მისი რაოდენობა 2021 წელს 3 პროცენტით გაიზარდა და სულ უნაღდო გადახდების რაოდენობის 5 პროცენტი იყო.

თანხობრივი მაჩვენებლების მხრივ ბოლო 10 წლის განმავლობაში ინტერნეტბანკი უმნიშვნელოვანეს გადახდის ელექტრონულ საშუალებას წარმოადგენს. 2021 წელს ინტერნეტბანკის საშუალებით ინიცირებული საკრედიტო საგადახდო დავალებების წილმა მთლიან უნაღდო გადახდებში 64 პროცენტი შეადგინა, რაც 2 პროცენტული პუნქტით ნაკლებია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით. ამ მხრივ, საგადახდო ბარათებისა და მობილური ბანკის წილი შედარებით უმნიშვნელო, თუმცა უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში მუდმივად მზარდია. 2021 წლის ჯამური მაჩვენებლებით, საგადახდო ბარათით განხორციელებულმა გადახდებმა მთლიანად უნაღდო გადახდების თანხის 8 პროცენტი შეადგინა, რაც 2020 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 1 პროცენტული პუნქტით აღემატება. ანალოგიურად, 2 პროცენტული პუნქტით გაიზარდა მობილური ბანკით განხორციელებული გადახდების თანხის წილი და სულ უნაღდო გადახდებში 7 პროცენტი შეადგინა.

საყურადღებოა, რომ კლიენტის მიერ უშუალოდ კომერციული ბანკის სერვის-ცენტრში ინიციი-

რებული საკრედიტო საგადახდო დავალებების თანხა ბოლო 10 წლის განმავლობაში განუხრელად მცირდება და, 2021 წლის ჯამური მაჩვენებლებით, მთლიანი უნაღდო გადახდების თანხის 18 პროცენტს შეადგენს, რაც 2019 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 2 პროცენტული პუნქტით ნაკლებია. მიუხედავად ამისა, თანხობრივი მაჩვენებლების მიხედვით, ბანკის სერვის-ცენტრში ინიცირებული საკრედიტო დავალებები ჯერ კიდევ აღემატება მობილური ბანკით და საბარათე ინსტრუმენტით განხორციელებული გადახდების თანხას და მხოლოდ ინტერნეტ-ბანკით განხორციელებულ გადახდებს ჩამოუვარდება. სხვაგვარი სურათია რაოდენობრივი მაჩვენებლების მიხედვით. ამ მხრივ ბანკის სერვის-ცენტრში ინიცირებული საგადახდო დავალებების რაოდენობა მთლიანად უნაღდო გადახდების 2 პროცენტს შეადგენს და ჩამოუვარდება როგორც ინტერნეტ-ბანკით, ასევე მობილური ბანკით განხორციელებული გადახდების რაოდენობას.

უნაღდო გადახდების სტატისტიკური მონაცემები, მათი ინიციირების საშუალებების ჭრილში, ნაჩვენებია დიაგრამებზე N9.11 და N9.12.

დიაგრამა N 9.11 გადახდის ინიციირების საშუალებების გამოყენება 2012-2021 წლებში



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა N 9.12 უნაღდო გადახდების განაწილება საგადახდო დავალების ინიციირების საშუალებების მიხედვით (2021 წელი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

COVID-19 პანდემიის გავლენა გადახდის ელექტრონულ საშუალებებზე

2021 წელს ინტერნეტბანკით და მობილური ბანკით ჯამურად 134 მილიარდი ლარის 70 მილიონი გადახდის ოპერაცია განხორციელდა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებლებზე, შესაბამისად, 23 პროცენტით და 42 პროცენტით მეტია. ასეთი ზრდა, ძირითადად, 2020 წლის აპრილ-ივლისის პერიოდში არსებული შეზღუდვების გავლენითაა განპირობებული. კერძოდ, ისევე როგორც RTGS სისტემით შესრულებული კომერციული ბანკის კლიენტების ოპერაციების შემთხვევაში, ინტერნეტბანკითა და მობილური ბანკით განხორციელებული გადახდების თანხაც 2020 წელს მნიშვნელოვნად შემცირდა. თუმცა უკვე 2020 წლის ბოლო ორ თვეში გამოიკვეთა, რომ ინტერნეტბანკითა და მობილური ბანკით განხორციელებული გადახდების დინამიკა, რაოდენობრივი მაჩვენებლების მხრივ, პანდემიამდელ ზრდის ტემპებს უბრუნდებოდა. აღნიშნული ტენდენცია 2021 წელსაც გაგრძელდა.

დიაგრამა N 9.13 ინტერნეტბანკითა და მობილური ბანკით გადახდების ზრდა წინა წლის შესაბამისი პერიოდთან შედარებით (2020-2021 წელი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საბარათე ინსტრუმენტები

საბარათე ინსტრუმენტების ბიზნესი ბოლო წლებში მსოფლიოში განვითარებულმა პანდემიურმა მოვლენებმა სერიოზული გამოწვევების წინაშე დააყენა. ეს განსაკუთრებით თვალში საცემი იყო 2020 წლის გაზაფხულზე, როცა ინსტრუმენტების გამოშვებაც და მათი მეშვეობით შესრულებული ოპერაციებიც მნიშვნელოვნად შემცირდა. 2021 წლის განმავლობაში გამოშვებული საგადახდო ბარათების რაოდენობის ზრდის საშუალო თვიური მაჩვენებელი 9 პროცენტი იყო. 2021 წლის ბოლოს საქართველოს კომერციულმა ბანკებმა 6.9 მლნ საგადახდო ბარათები გამოუშვეს, რამაც 1 სულ მოსახლეზე 1.8 ერთეული შეადგინა. გამოშვებულ ბარათებში უმრავლესობა (93 პროცენტი) საერთაშორისო სქემის ბარათი იყო. აღსანიშნავია, რომ კომერციული ბანკები მხოლოდ საკრედიტო და სადებეტო ბარათებს უშვებენ. ელექტრონული ფულის საბარათე ინსტრუმენტის ემიტენტები კი ძირითადად არასაბანკო საგადახდო მომსახურების პროვაიდერები არიან.[94] გამოშვებული საგადახდო ბარათების სტატისტიკა წლების მიხედვით მოცემულია ცხრილში:

ცხრილი N 9.1 კომერციული ბანკების მიერ გამოშვებული ბარათები წლების მიხედვით

	2017	2018	2019	2020	2021
გამოშვებული ბარათები (მლნ ბარათი)	9.1	7.4	6.7	6.9	6.9
მათ შორის					
საკრედიტო (მლნ ბარათი)	0.7	0.7	0.6	0.6	0.6
სადებეტო (მლნ ბარათი)	8.3	6.7	6.1	6.3	6.3
ვიზას სქემის (მლნ ბარათი)	2.5	1.9	1.9	2.2	2.3
მასტერქარდის სქემის (მლნ ბარათი)	4.2	4.2	4.3	4.1	3.9
ლოკალური სქემის (მლნ ბარათი)	1.6	0.7	0.3	0.5	0.5
ერთ სულ მოსახლეზე გამოშვებული	2.4	2.0	1.8	1.9	1.8

94. იგულისხმება საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრირებული საგადახდო მომსახურების პროვაიდერები.

გამოშვებული ბარათების საერთო რაოდენობის დაახლოებით 80 პროცენტს EMV (Europay, Mastercard and Visa) ტექნოლოგიის ბარათები შეადგენს, დანარჩენი 20 პროცენტიდან უმრავლესობა სოციალური და/ან შეზღუდული გამოყენების ბარათებია.

2021 წლის განმავლობაში საქართველოში გამოშვებული საბარათე ინსტრუმენტებით სულ 507.4 მილიონი ოპერაცია განხორციელდა, თანხობრივად 45.3 მილიარდი ლარი. ოპერაციების 93 პროცენტი როგორც რაოდენობრივად, ისე თანხობრივად ქვეყნის შიგნით შესრულდა, ხოლო დანარჩენი - ქვეყნის გარეთ. ოპერაციების რაოდენობის 29 პროცენტი მობილური აპლიკაციით შესრულდა. საბარათე ოპერაციების დინამიკა წლების მიხედვით გამოსახულია შემდეგ დიაგრამაზე:

დიაგრამა N 9.14 ქართული საბარათე ინსტრუმენტებით განხორციელებული ოპერაციების დინამიკა წლების მიხედვით



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

აღსანიშნავია, რომ ოპერაციების თითქმის ნახევარი (48 პროცენტი) 50 ლარამდე ოპერაციებია, ხოლო ყველაზე ცოტა (2 პროცენტი) - 5000 ლარს ზემოთ ოპერაციები. საშუალოდ ერთი ბარათით 13.4 ოპერაცია შესრულდა, თანხობრივად 1400 ლარი. აღნიშნული მაჩვენებელი რაოდენობრივად ერთი ერთეულით და თანხობრივად 400 ლარით მეტია გასული წლის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით. საშუალოდ ერთი ბარათით შესრულებული ოპერაციების მონაცემები მოცემულია შემდეგ დიაგრამაზე:

დიაგრამა N 9.15 საშუალოდ ერთი ბარათით შესრულებული ოპერაციები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2021 წლის განმავლობაში შესრულებული ოპერაციების რაოდენობის 84 პროცენტი და თანხის 40 პროცენტი სავაჭრო ობიექტებში გადახდის ოპერაციები იყო, ხოლო დანარჩენი - ნაღდი თანხის გატანის ოპერაციები. ელექტრონული კომერციის ოპერაციების რაოდენობამ 90 მილიონი, თანხობრივად კი 6.5 მილიარდი ლარი შეადგინა. აღნიშნული ოპერაციების რაოდენობის 79 პროცენტი და თანხის 77 პროცენტი ქვეყნის შიგნით შესრულდა. ქვეყნის შიგნით ელექტრონული კომერციის ოპერაციების რაოდენობის დაახლოებით 58 პროცენტი და თანხის 66 პროცენტი აზარტული თამაშების გადახდებია.

2021 წლის განმავლობაში გადახდის პოს-ტერმინალების რაოდენობა 12.5 ათასით, ელექტრონული კომერციის (ვირტუალური) ტერმინალების რაოდენობა 1.5 ათასით და მობილური ტერმინალების რაოდენობა 4.9 ათასით გაიზარდა. საბარათე მოწყობილობების უმრავლესობა[95] განლაგებულია დედაქალაქში. საბარათე მოწყობილობების დინამიკა წლების მიხედვით გამოსახულია დიაგრამა N9.16-ზე:

დიაგრამა N 9.16 საბარათე მოწყობილობების დინამიკა წლების მიხედვით (დეკემბერი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

95. ბანკომატების 52%, გადახდის პოს-ტერმინალების - 69% და მობილური ტერმინალების - 30%.

საბარათე ოპერაციების 94 პროცენტი რაოდენობრივად და 89 პროცენტი თანხობრივად ორ ძირითად საპროცესინგო ცენტრში[96] - „ჯორჯიან ქარდი“ და სს „გაერთიანებული საფინანსო კორპორაცია“ - დამუშავდა. საპროცესინგო კომპანიების მიერ დამუშავებული საბარათე ოპერაციების უმეტესი წილი (რაოდენობის 97 და თანხის 95 პროცენტი) ქართულ საბარათე ინსტრუმენტებზე მოდის. უცხოური საბარათე ინსტრუმენტებით შესრულებული ოპერაციების რაოდენობა პანდემიის დაწყების შემდეგ მნიშვნელოვნად შემცირდა. სულ უცხოური საბარათე ინსტრუმენტებით ქვეყნის ტერიტორიაზე 14.2 მილიონი ოპერაცია შესრულდა, თანხობრივად 2.3 მილიარდი ლარი. ეს მაჩვენებელი რაოდენობრივად თითქმის უტოლდება 2019 წლის მაჩვენებელს, ხოლო თანხობრივად მასზე 16 პროცენტით[97] ნაკლებია.

2021 წლის განმავლობაში კომერციული ბანკები - ემიტენტები და ექვაირერები ახლად დანერგილი რეგულაციების მოთხოვნების შესრულებაზე აგრძელებდნენ მუშაობას. კერძოდ, ექვაირერმა ბანკებმა მაღალი რისკის სავაჭრო/მომსახურების ობიექტების სასარგებლოდ განხორციელებული ნებისმიერი გადახდა უფრო უსაფრთხო გახადეს და მომხმარებლის მიერ ასეთი ოპერაციების დასადასტურებლად ერთჯერადი კოდი დანერგეს; ბაზრის მონაწილეებმა მონიტორინგის თანამედროვე ონლაინ სისტემების დანერგვაზე დაიწყეს მუშაობა, რათა შემდგომ ოპერაციის შეფასება და მისი რისკის დონის განსაზღვრა შეძლონ; ექვაირერებმა განაახლეს ხელშეკრულებები სავაჭრო/მომსახურების ობიექტებთან და სავაჭრო პლატფორმებთან; ბაზრის მონაწილეებმა ელექტრონული კომერციის უსაფრთხოების 3D პროტოკოლის კანონმდებლობასთან შესაბამისი ახალი ვერსიები დანერგეს; ემიტენტებმა უცხოური ვალუტით გადახდის დროს მომხმარებლის ანგარიშზე თანხის ასახვის სქემები განაახლეს, რითაც მომხმარებელს საბარათე ინსტრუმენტის გააქტიურებამდე მისთვის სასურველი მაღალი რისკის სავაჭრო-მომსახურების ობიექტებში ამ ინსტრუმენტით ოპერაციების შეზღუდვის საშუალება მიეცა. ასევე ჩატარდა სხვა მნიშვნელოვანი სამუშაოები ინფორმაციის გამჭვირვალობისა და მომხმარებელთა დაცვის კუთხით.

2. საგადახდო მომსახურების პროვაიდერების ზედამხედველობა

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საქართველოს ეროვნულ ბანკში 32 საგადახდო მომსახურების პროვაიდერი იყო რეგისტრირებული, საიდანაც 3 პროვაიდერი ლიკვიდაციის პროცესში იმყოფება. 2021 წლის განმავლობაში ეროვნულ ბანკში საგადახდო მომსახურების პროვაიდერად სამი სუბიექტი დარეგისტრირდა, ხოლო 2 სუბიექტს რეგისტრაცია გაუუქმდა და ლიკვიდაციის პროცესი დაიწყო.

პანდემიური სიტუაციის მიუხედავად, სუბიექტების დისტანციური ზედამხედველობა ჩვეულ რეჟიმში გაგრძელდა. გარდა აღნიშნულისა, საგადახდო სისტემების და საგადახდო მომსახურების პროვაიდერების ზედამხედველობისა და რეგულირების კუთხით მნიშვნელოვანი სტრუქტურული ცვლილება განხორციელდა. კერძოდ, საგადახდო სისტემების დეპარტამენტის სტრუქტურის ფარგლებში არსებული საგადახდო მომსახურების პროვაიდერების რეგულირების განყოფილების ნაცვლად ორი ერთეული ჩამოყალიბდა: საგადახდო სისტემების ოვერსაიტის და საგადახდო მომსახურების პროვაიდერების ზედამხედველობის განყოფილება.

2021 წელს გაგრძელდა მუშაობა საგადახდო მომსახურების პროვაიდერების ზედამხედველობის კუთხით მარეგულირებელი ჩარჩოს და

96. რომლებიც ასევე სებ-ში რეგისტრირებული არიან როგორც საგადახდო სისტემები.
97. აღსანიშნავია, რომ 2020 წელს უცხოური ბარათებით საქართველოში შესრულებული ოპერაციების რაოდენობა შემცირდა 60%-ით, ხოლო თანხა 59%-ით.

ანგარიშგების გაუმჯობესებაზე. ევროდირექტივასთან დაახლოების მიზნით, მიმდინარეობდა მუშაობა „საგადახდო მომსახურების პროვაიდერების კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნის შესახებ წესის“ პროექტზე. ეროვნული ბანკის მიერ განხორციელებული სიმულაციის შედეგებზე დაყრდნობით, ასევე, პროვაიდერების ფინანსური ანგარიშგებების ანალიზიდან გამომდინარე, წესის პროექტი დაზუსტდა და დაიხვეწა. წესის მიღება 2022 წლის განმავლობაშია დაგეგმილი.

პროვაიდერების გადახდები (გარდა ელექტრონული ფულით ოპერაციებისა)

2021 წელს საგადახდო მომსახურების პროვაიდერების მიერ 8.1 მილიარდი ლარის მოცულობის 141 მილიონი ოპერაცია განხორციელდა. 2020 წელთან შედარებით გადახდების რაოდენობა 1.3 პროცენტით შემცირდა, ხოლო თანხა 34.8 პროცენტით გაიზარდა. პროვაიდერების გადახდების (გარდა ელექტრონული ფულისა) დინამიკა მოცემულია დიაგრამაზე N9.17.

გადახდის განსახორციელებლად ყველაზე ხშირად, ტრადიციულად, თვითმომსახურების კიოსკები იყო გამოყენებული, რომლებითაც ნაღდი ფულით ელექტრონული გადახდის ინიციირებაა შესაძლებელი. კიოსკების მეშვეობით გადახდების რაოდენობის 94.3 პროცენტი და თანხის 95.1 პროცენტი განხორციელდა, რაც 2020 წლის ანალოგიურ მაჩვენებლებზე, შესაბამისად, 1.4 და 0.3 პროცენტული პუნქტით ნაკლებია. გადახდების ინიცირებისთვის ასევე ხშირად გამოიყენება საგადახდო მომსახურების პროვაიდერის ვებგვერდი. მისი მეშვეობით 113 მილიონი ლარის 3.3 მილიონი გადახდა შესრულდა, რაც, წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებლებს, შესაბამისად, 45 და 50 პროცენტით აღემატება.

2021 წელს აგენტების გამოყენებით შესრულებული გადახდების წილი სულ პროვაიდერების მიერ შესრულებულ გადახდებში უმნიშვნელოდ შეიცვალა. კერძოდ, რეგისტრირებული საგადახდო მომსახურების პროვაიდერებმა აგენტების გამოყენებით გადახდების რაოდენობის 46.5 პროცენტი და თანხის 20 პროცენტი შეასრულეს, რაც, წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე, შესაბამისად, 0.3 და 1.3 პროცენტული პუნქტით ნაკლებია.

დიაგრამა N 9.17 საგადახდო მომსახურების პროვაიდერების მიერ განხორციელებული გადახდები (გარდა ელექტრონული ფულისა)

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

გადახდები ელექტრონული ფულით

ელექტრონული ფულით განხორციელებული გადახდების ბაზარზე 2021 წელს, ტრადიციულად, განსაკუთრებული ადგილი წინასწარი გადახდის სატრანსპორტო ბარათებს უკავია. მათი გამოყენებით განხორციელებული ერთი გადახდის საშუალო თანხა 0.37 ლარს შეადგენს, რაც რადიკალურად განსხვავდება სხვა ელექტრონული ფულით განხორციელებული გადახდებისაგან. საყურადღებოა, რომ სატრანსპორტო ბარათები აქტიურად გამოიყენება საქალაქო საზოგადოებრივ ტრანსპორტში მგზავრობის საფასურის გადასახდელად, რის გამოც, მათი მეშვეობით განხორციელებული გადახდების რაოდენობა, სხვა ელექტრონული ფულით განხორციელებულ გადახდების რაოდენობას მნიშვნელოვნად აღემატება და სულ ელექტრონული ფულით განხორციელებული გადახდების რაოდენობის 98.4 პროცენტს, ხოლო თანხის - 10.3 პროცენტს შეადგენს. აღნიშნული სპეციფიკის გათვალისწინებით, შემდგომში ელექტრონული ფულით გადახდების ბაზრის ანალიზი სატრანსპორტო ბარათების გათვალისწინების გარეშეა მოცემული.

2021 წელს ელექტრონული ფულის პროვაიდერების მიერ 257.6 მილიონი ლარის მოცულობის 1.25 მილიონი გადახდა განხორციელდა. აღნიშნული გადახდების რაოდენობის 43.4 პროცენტი და თანხის 71.5 პროცენტი ვებ-

გვერდიდან განხორციელებულ გადახდებზე მოდის. ელექტრონული ფულით გადახდების მნიშვნელოვანი ნაწილი (რაოდენობის 29.1 პროცენტი და თანხის 21.4 პროცენტი) მობილური ტელეფონის/პლანშეტის აპლიკაციის გამოყენებით იქნა ინიციირებული.

დიაგრამა N 9.18 ელექტრონული ფულით გადახდები (გარდა სატრანსპორტო საბარათე ინსტრუმენტით გადახდებისა) (2021 წ.)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

COVID-19 პანდემიის გავლენა საგადახდო მომსახურების პროვაიდერების ოპერაციებზე

2020 წელს COVID-19 პანდემიამ საგადახდო მომსახურების პროვაიდერების საქმიანობაზე დიდი გავლენა მოახდინა, განსაკუთრებით ყველაზე ხშირად გამოყენებული საშუალების - თვით-მომსახურების კიოსკის - შემთხვევაში. ამასთან, აღსანიშნავია, რომ, თუ 2020 წლის აპრილ-ივნისის პერიოდში შემცირდა როგორც თანხობრივი, ასევე რაოდენობრივი მაჩვენებლები, 2020 წლის ნოემბერ-დეკემბერში დაწესებული შეზღუდვების პერიოდში შემცირება მხოლოდ გადახდების რაოდენობას შეეხო. ასეთივე ტენდენცია გაგრძელდა 2021 წელს, რაც გამოიხატა თვით-მომსახურების კიოსკებით შესრულებული გადახდების რაოდენობის შემცირებასა და თანხობრივი მონაცემების ზრდაში (იხ დიაგრამა N9.19).[98]

98. წინა წელთან შედარებით თანხობრივი მაჩვენებლების განსაკუთრებით მაღალი ზრდა 2021 წლის აპრილ-მაისში გამოწვეულია 2020 წელს იგივე თვეებში დაწესებული მკაცრი შეზღუდვების გამო თანხობრივი მაჩვენებლების შემცირებით.

დიაგრამა N 9.19 თვითმომსახურების კიოსკებით შესრულებული გადახდების ცვლილება წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით (2020-2021 წწ.)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ელექტრონული ფულით განხორციელებული გადახდების შემთხვევაში 2020 წლის მეორე ნახევრიდან მნიშვნელოვნად დაჩქარდა როგორც რაოდენობრივი, ასევე თანხობრივი მაჩვენებლების ზრდა. აღნიშნული ტენდენცია 2021 წლის განმავლობაშიც შენარჩუნდა, რაც ნათლად ჩანს დიაგრამა N 9.20-ზე.

დიაგრამა N 9.20 ელექტრონული ფულით გადახდების ცვლილება წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით. (2020-2021 წწ.)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

პროვაიდერებს შორის გადახდები

საგადახდო მომსახურების განხორციელებისას, საქმიანობის უფრო ეფექტიანად წარმართვისთვის პროვაიდერები ხშირად შუამავალ პროვაიდერებს იყენებენ. 2021 წლის მონაცემებით, პროვაიდერის მიერ გადამხდელისაგან მიღებული დავალებების თანხის 34.7 პროცენტი შუამავალი პროვაიდერების გამოყენებით შესრულდა, რაც 2020 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 0.8 პუნქტით ნაკლებია. რაც შეეხება მიმღებისათვის ჩარიცხულ თანხებს, პროვაიდერების მიერ განხორციელებული გადახდების 99 პროცენტი, წინა წლის მსგავსად, საქართველოს რეზიდენტ კომერციულ ბანკებში განხორციელდა.

10

საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარება

2021 წელს საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის **ინფრასტრუქტურის მართვის განყოფილებამ** დაასრულა ეროვნული ბანკის მონაცემთა დამუშავების ცენტრების ძირითადი კომპონენტების განახლების პროცესი, რომელიც შემდეგ აქტივობებს მოიცავდა:

- მოძველებული გაგრილების სისტემის ჩილერებს, რომლებიც მრავალი წლის განმავლობაში უწყვეტ რეჟიმში მუშაობდნენ, ექსპლუატაციის პერიოდი და, შესაბამისად, - მწარმოებლის საგარანტიო მხარდაჭერის ვადაც ამოეწურათ. ამის გათვალისწინებით, არსებული ჩილერები სრულიად ახალი, თანამედროვე მოწყობილობებით შეიცვალა, რომლებიც უფრო ენერგოეფექტური და მოქნილია. განახლებული გაგრილების სისტემა ეროვნული ბანკის მონაცემთა დამუშავების ცენტრებს კიდევ მრავალი წლის განმავლობაში, უწყვეტ რეჟიმში მოემსახურება;
- უწყვეტი კვების წყაროს მოდულები და თანმდევი აკუმულატორები სრულად განახლდა, რაც შეზღუდვის შემთხვევაში ელექტროენერგიის მიწოდებას უფრო ეფექტურს და საიმედოს გახდის;
- სრულად შეიცვალა საკომუნიკაციო კარადებში (Rack) არსებული გაგრილების სისტემის წყლის საზომი სენსორები, ხანძარქრობის მოდულები, დაშვების, ტემპერატურის და ტენიანობის საზომი სენსორები;
- მონაცემთა დამუშავების ცენტრების მონიტორინგის პროგრამული უზრუნველყოფა განახლდა მწარმოებლის ბოლო რეკომენდირებულ ვერსიამდე, რომელიც დროის რეალურ რეჟიმში ახდენს მონაცემების კონტროლს და, ცდომილების დაფიქსირების შემთხვევაში, რეაგირებისთვის შესაბამის შეტყობინებას აგზავნის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ასეთი მასშტაბური განახლებით უზრუნველყოფილი მონაცემთა დამუშავების ცენტრები სრულფასოვნად და საიმედოდ კიდევ მრავალი წლის მანძილზე იმუშავებს.

2021 წელს ეროვნულმა ბანკმა **კიბერუსაფრთხოების მიმართულებით** მუშაობა ახალი პროდუქტების დანერგვით განაგრძო. ბანკში დაინერგა ინფორმაციული უსაფრთხოების ინციდენტების მონიტორინგისა და მართვის სისტემა, რომლის ძირითადი მიზნებია:

- ბანკში საინფორმაციო უსაფრთხოების მოვლენებისა და ინციდენტების ერთიანი სანახის შექმნა;
- საინფორმაციო უსაფრთხოების მოვლენების ნორმალიზაცია, აგრეგირება და კორელაცია;
- საინფორმაციო უსაფრთხოების მოვლენების დამუშავების ხარისხის ამაღლება;
- საინფორმაციო უსაფრთხოების ინციდენტების აღმოჩენისა და რეაგირების ავტომატიზაცია.

კიბერუსაფრთხოების განყოფილება, ტრადიციულად, აქტიურად იყო ჩართული თანამშრომელთა კიბერცნობიერების ამაღლებისა და სხვადასხვა პროაქტიულ ღონისძიებებში. 2021 წლის განმავლობაშიც ახალ თანამშრომლებს ჩაუტარდათ კიბერუსაფრთხოების ცნობიერების ამაღლების ტრენინგები, ხოლო არსებულ თანამშრომლებს რეგულარულად ეგზავნებოდათ ინფორმაცია არსებულ კიბერ საფრთხეებსა და მათი თავიდან არიდების გზების შესახებ.

კიბერუსაფრთხოების განყოფილების ორგანიზებით მთელი ბანკის მასშტაბით „ფიშინგ“ სიმულაცია განხორციელდა, რომლის მიზანიც ეროვნული ბანკის თანამშრომლების კიბერცნობიერების დონისა და ინციდენტზე რეაგირების დროის შემოწმება იყო. ეროვნული ბანკის თანამშრომლებს ელექტრონული საქმის წარმოების სისტემის ელექტრონული ფოსტის მსგავსი მისამართიდან არალეგიტიმური შეტყობინება დაეგზავნათ. ამ სიმულაციის შედეგების საფუძველზე, თანამშრომლებს კიბერცნობიერების ასამაღლებელი დამატებითი ტრენინგები ჩაუტარდათ.

კიბერუსაფრთხოების განყოფილების თანამშრომლებმა სხვადასხვა ონლაინ კონფერენციებსა და სემინარებში მიიღეს მონაწილეობა. აღნიშნულ ღონისძიებებში ეროვნული ბანკის ჩართულობა სასარგებლო იყო მთლიანად ეროვნული ბანკის საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და სერვისების განვითარებისათვის. ერთ-ერთი ასეთი გამორჩეული საქართველოსა და ესტონეთს შორის არსებული სტრატეგიული პარტნიორობის ფორმატის ფარგლებში გამართული კიბერუსაფრთხოების შესაძლებლობების ზრდაზე ორიენტირებული ტრენინგი იყო. სწავლება, რომელიც შედგებოდა „Hands-On Hacking Advanced", "OSINT[99]" სწავლებისა და ტექნიკური სავარჯიშო „CRX[100]"-ისაგან, მიზნად ისახავდა კიბერ ინციდენტების იდენტიფიცირებისა და მათზე ეფექტური რეაგირების მექანიზმების გაძლიერებას. ტრენინგის შედეგად, საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის შესაბამისმა თანამშრომლებმა სათანადო ცოდნა გაიღრმავეს და სწავლების დამადასტურებელი სერტიფიკატები მიიღეს.

2021 წელს **მონაცემთა მართვის** განყოფილებამ შემდეგი ვებ-აპლიკაციები შექმნა:

- **UserManager** - მომხმარებელთა მართვის სისტემა. ამ აპლიკაციის საშუალებით გამარტივდა როლების და უფლებების გაწერის პროცესი და ყველა სისტემისთვის მომხმარებელთა მართვის ერთიანი სტანდარტის არსებობა იქნა უზრუნველყოფილი. პროექტის ფარგლებში მოხდა ვიზიტორების მართვასთან დაკავშირებული პროცესების შესწავლა და გაანალიზება;
- **DsSetReport** - მაკროეკონომიკისა და სტატისტიკის დეპარტამენტის მოთხოვნის საფუძველზე, საქართველოს ეროვნული ბანკის ანალიტიკური ანგარიშგებების გენერაციის პროცესის ოპტიმიზაციისთვის შეიქმნა ვებ-აპლიკაცია, რომელიც არსებული რეპორტების მარტივად რედაქტირებას, სრულყოფას და ახალი ანგარიშების შექმნის შესაძლებლობას უზრუნველყოფს;
- **Providers** - შემუშავდა სტრუქტურიზებული მონაცემების ცენტრალიზირებული ვებ-აპლიკაციის მოდელი სებ-ის მიერ რეგისტრირებული პროვაიდერების შესახებ;
- **VMS ვიზიტორების მართვის სისტემა** - შეიქმნა ახალი ვებ-აპლიკაცია, რომელიც სებ-ის ოფისებში ვიზიტორების შესვლა/გასვლის აღრიცხვასთან დაკავშირებული პროცესების ელექტრონულ მართვას უზრუნველყოფს და სააღრიცხვო ჩანაწერების წარმოების, სტატისტიკური მონაცემების დამუშავების და არასანქცირებული დაშვებისგან თავის დაცვის შესაძლებლობას იძლევა.

აპლიკაციების ადმინისტრირების განყოფილების მიერ 2021 წელს სხვადასხვა ბიზნეს აპლიკაციებში შემდეგი ცვლილებები განხორციელდა:

- **ადამიანური რესურსების მართვის ავტომატიზებული სისტემა (HRMS)** - განახლებული ვერსია, გასული წლებისგან განსხვავებით, მნიშვნელოვან ტექნოლოგიურ ცვლილებებს მოიცავს. ძირითადი ცვლილებები HR-ის ადმინისტრირების და სახელფასო მოდულებს შეეხო;
- **საქმიანობის მართვის სისტემა (SAP Success Factors)** - დაინერგა თანამშრომელთა შეფასებისა და რეკრუტინგის სრულიად ახალი მართვის სისტემა. ამ სისტემის საშუალებით თანამშრომლებს მიზნების, კომპეტენციების, შეფასებების და განვითარების შესახებ ინფორმაცია შეაქვთ ცენტრალიზებულ ონლაინ სისტემაში, რამაც ექსელის ფაილებით მუშაობის პროცესი ჩაანაცვლა და შეფასების მართვა გააუმჯობესა;
- ISO-20022 სტანდარტის ფუნქციონალის მიხედვით **სავალუტო გადარიცხვების საერ-**

99. OSINT – Open Source Intelligence
100. Cyber Range Exercises

თაშორისო სისტემა SWIFT აპლიკაციების ვერსია მნიშვნელოვნად შეიცვალა, შეიქმნა შესაბამისი სატესტო გარემო და ლიკვიდირებული ობიექტების შეტყობინებების არქივისათვის ახალი, იზოლირებული გარემო მოეწყო;

- **Tableau** - განახლდა არსებული პროგრამული უზრუნველყოფის ვერსია, რამაც, გაუმჯობესებული შესაძლებლობებით, მონაცემებთან მუშაობა უფრო ეფექტური გახადა. ახალი კომპონენტი (Tableau Prep Conductor) მრავალჯერადი ნაკადების სამუშაოების ავტომატიზაციას უზრუნველყოფს. შესაძლებელი გახდა მონაცემებთან დაკავშირებული პოტენციური პრობლემების შესახებ შეტყობინების დაუყოვნებლივი მიღება.

COVID-19-ით გამოწვეული პანდემიის პირობებში 2021 წელსაც ბანკის თანამშრომელთა უმრავლესობა დისტანციურ სამუშაო რეჟიმზე იმყოფებოდა, რის უზრუნველსაყოფად მომსახურების განყოფილების ორგანიზებით პორტატული კომპიუტერების კიდევ ერთი შესყიდვა დაიგეგმა და განხორციელდა. დისტანციური მუშაობისთვის აუცილებელი მოთხოვნების გათვალისწინებით, ლეპტოპების ტექნიკური გამართვა და თანამშრომლებისთვის გადაცემა მაქსიმალურად შემჭიდროებულ ვადებში მოხდა.

2021 წლის განმავლობაშიც **მომსახურების განყოფილების** თანამშრომლები, ფაქტობრივად, ფორს-მაჟორულ სიტუაციებში განაგრძობდნენ თანამშრომელთა მხარდაჭერას 24/7 რეჟიმში. გასულ წელს სერვის დესკის პორტალზე სულ 4575 ინციდენტი/მოთხოვნა დარეგისტრირდა.

ბანკის თანამშრომლების მხრიდან, ყველაზე მაღალი მომართვიანობით სერვისული ტიპის მოთხოვნები გამოირჩეოდა. მოთხოვნის დაფიქსირების ყველაზე პოპულარული მეთოდი კვლავ შეტყობინების სერვის დესკის ელექტრონული ფოსტის მისამართზე გაგზავნა იყო.

რაოდენობები მოთხოვნის ტიპების მიხედვით



რაოდენობები რეგისტრაციის წყაროების მიხედვით



ინციდენტების უმრავლესობა პანდემიით განპირობებულ ყველაზე აქტუალურ შემდეგ სერვისებს უკავშირდებოდა:



ინციდენტების 23 პროცენტი სხვადასხვა ბიზნეს აპლიკაციების მიმართულებით დაფიქსირდა:



ინციდენტების 86 პროცენტი დადგენილ ვადებში მოგვარდა, ხოლო 41 ინციდენტის შემთხვევაში აღმოფხვრას მეტი დროითი რესურსი დასჭირდა, რაც ძირითადად მესამე მხარესთან კომუნიკაციით იყო განპირობებული.

სერვის დესკის წლის ანგარიშის მიხედვით, ყველაზე მოთხოვნადი IT სერვისების სტატისტიკა შემდეგნაირად გამოიყურება:



საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის განყოფილებებს შორის ინციდენტებისა და მოთხოვნების გადანაწილების მაჩვენებლები მოცემულია ცხრილში:

IT განყოფილება	ინფორმაციული მოთხოვნა	ინციდენტი	სერვისული მოთხოვნა
მომსახურების განყოფილება	36	175	2963
აპლიკაციების ადმინისტრირების განყოფილება	19	78	496
ინფრასტრუქტურის მართვის განყოფილება	4	21	374
კიბერუსაფრთხოების განყოფილება	2	6	198
მონაცემთა მართვის განყოფილება	0	14	168

საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის ძირითადი მიმართულებებით მუშაობა COVID-19-ით გამოწვეული პანდემიის პირობებშიც კი არ შენელებულა. 2021 წელი ნაყოფიერი იყო თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვისა და განვითარების მხრივ და მომავალ წელსაც არაერთი სარგებლის მომტანი აქტივობაა დაგეგმილი, რაც ბანკის ძირითადი მიზნებისა და ამოცანების შესრულების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია.

11

საკასო-საემისიო სამუშაოების ორგანიზაცია

ქვეყანაში COVID-19 პანდემიის გავრცელების მიუხედავად, საკასო ოპერაციებისა და ნაღდი ფულის მიმოქცევის დეპარტამენტი საქმიანობას აგრძელებდა და მასზე დაკისრებულ ფუნქციებს მაქსიმალური ძალისხმევით ასრულებდა. ქვეყნის ეკონომიკა ლარის ბანკნოტებითა და მონეტებით შეუფერხებლად მარაგდებოდა, ასევე აქტიურად მიმდინარეობდა მუშაობა საკოლექციო დანიშნულების მონეტების დამზადებასა და გამოშვებაზე.

დეპარტამენტი აგრძელებდა მუშაობას მიმოქცევაში არსებული ბანკნოტებისა და მონეტების ხარისხის ამაღლების, საემისიო ლარის ბანკნოტების/მონეტებისა და მიმოქცევიდან შემოსული ფულის ნიშნების დადგენილი წესით დამუშავების, ექსპერტიზის საქმიანობის გაუმჯობესებისა და სამართლებრივი ბაზის დახვეწის მიმართულებებით.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მიმოქცევაში არსებული ნაღდი ფულის ოდენობამ 4,589 მლნ ლარი შეადგინა. მათ შორის ბანკნოტები - 4,437.3 მლნ ლარი, ხოლო მონეტები - 151.7 მლნ ლარი იყო (2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მიმოქცევაში ბანკნოტების ცალკეული ნომინალის ხვედრით წილს თანხებისა და რაოდენობის მიხედვით აჩვენებს დიაგრამა N 11.1).

დიაგრამა N 11.1 მიმოქცევაში ბანკნოტების ხვედრითი წილები ნომინალების მიხედვით*



**მიმოქცევაში არსებული 1 და 2 ლარის ნომინალის ბანკნოტების ჩათვლით, რომელიც, ამავე ნომინალის მონეტების მიმოქცევაში დამკვიდრების შემდეგ, აღარ მზადდება.*

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საანგარიშო პერიოდში, მიმოქცევაში ნაღდი ფულის მოცულობა, წლის დასაწყისთან შედარებით 72.4 მლნ ლარით, ანუ 1.5 პროცენტით შემცირდა (2017-2021 წლებში ეროვნული ვალუტის - ლარის მიმოქცევის დინამიკას გვიჩვენებს დიაგრამა N 11.2).

დიაგრამა N 11.2 ნაღდი ფული მიმოქცევაში (2017-2021 წლები)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2021 წლის განმავლობაში მიმოქცევაში ბანკნოტების თანხობრივი რაოდენობა 89.3 მლნ ლარით შემცირდა და მიმოქცევაში არსებული ფულის მთლიან მოცულობაში მისმა ხვედრითმა წილმა 96.7 პროცენტი შეადგინა. ამ პერიოდში მოთხოვნა მხოლოდ 5 და 100 ლარის ნომინალის ბანკნოტებზე (შესაბამისად, 6 პროცენტი და 3.5 პროცენტი) გაიზარდა, ხოლო ყველა სხვა დანარჩენი ნომინალის ბანკნოტებზე მოთხოვნა შემცირდა. კერძოდ, მოთხოვნა შემცირდა 10 ლარიან ბანკნოტზე 4.9 პროცენტით, 20 ლარიანზე - 2.8 პროცენტით, 50 ლარიანზე -13.7 პროცენტით, ხოლო 200 ლარიანზე - 24.7 პროცენტით. აქვე აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში, მიმოქცევის მთლიანი მოცულობის კლების პირობებში, წინა წელთან შედარებით, მნიშვნელოვნად (12.5 პროცენტით) გაიზარდა მიმოქცევაში მონეტების თანხობრივი რაოდენობა და მისმა ხვედრითმა წილმა მთლიან მიმოქცევაში 3.3 პროცენტი შეადგინა (იხ. დიაგრამა N 11.3).

დიაგრამა N 11.3 მიმოქცევაში ბანკნოტების ცალკეული ნომინალისა და მონეტების ხვედრითი წილები (2017-2021 წლები)*



**მიმოქცევაში არსებული 1 და 2 ლარის ნომინალის ბანკნოტების ჩათვლით, რომელთა დამზადებაც აღარ ხდება ამავე ნომინალის მონეტების მიმოქცევაში დამკვიდრების შემდეგ.*

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2016 წლამდე ემისიის ბანკნოტების ახალი მოდიფიკაციის 5, 10, 20, 50 და 100 ლარის ნომინალის ბანკნოტებით ჩანაცვლებისა და მიმოქცევის განახლების პროცესი წარმატებით წარიმართა. კერძოდ, საანგარიშო პერიოდის ბოლოსათვის, განახლებული 5 ლარის ნომინალის ბანკნოტი მიმოქცევაში ამ ნომინალის ბანკნოტის 87.6 პროცენტს, 10 ლარიანი ბანკნოტი - 58.4 პროცენტს, 20 ლარიანი - 87.4 პროცენტს, 50 ლარიანი - 93.3 პროცენტს, ხოლო 100 ლარიანი - 92.8 პროცენტს შეადგენს (იხ. დიაგრამა N 11.4).

დიაგრამა N 11.4 5, 10, 20, 50 და 100 ლარის ნომინალის ბანკნოტები მიმოქცევაში, მოდიფიკაციების მიხედვით (პროცენტი).



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

1995-99 წლების ემისიის ბანკნოტების მიმოქცევის ვადა 2021 წლის ბოლოს ამოიწურა. 2022 წლიდან ამ ემისიის ბანკნოტების გადაცვლის ოპერაციები მხოლოდ საქართველოს ეროვნული ბანკის მეშვეობითაა შესაძლებელი.

საანგარიშო პერიოდის ბოლოსათვის, ძველი მოდიფიკაციის (2016 წლამდე) ბანკნოტების ფურცლობრივი რაოდენობის ხვედრითი წილი, მთლიანად მიმოქცევაში არსებულ იმავე ნომინალების ახალი მოდიფიკაციის ბანკნოტებთან მიმართებაში, მხოლოდ 12.3 პროცენტს შეადგენს.

საანგარიშო პერიოდში მიმოქცევაში 1 და 2 ლარის ნომინალის მონეტების თანხობრივი ოდენობა 14.6 პროცენტით გაიზარდა და წლის ბოლოს 101.9 მლნ ლარი შეადგინა. 2020 წელთან შედარებით, მიმოქცევაში ეროვნული ვალუტის - თეთრის მონეტების თანხობრივი რაოდენობა 8.8 პროცენტით გაიზარდა.

ქვეყნის ეკონომიკის ნაღდი ფულით შეუფერხებელი უზრუნველყოფისა და ეროვნული ბანკის სარეზერვო მარაგების შევსების მიზნით, საანგარიშო პერიოდში გრძელდებოდა სამუშაოები ლარის ბანკნოტებისა და მონეტების დამზადების, მათი მიმოქცევაში გაშვებისა და მათ დამზადებასთან დაკავშირებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად.

ქვეყნის ეკონომიკის ნაღდი ფულით შეუფერხებელი მომარაგების კუთხით, საანგარიშო პერიოდში შემდეგი მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა:

- დასრულდა 5 და 20 ლარის ნომინალის ბანკნოტების დამზადება მათი წინამორბედი ბანკნოტების იდენტური დიზაინისა და სხვა მახასიათებლების მიხედვით, გამოშვების წლით „2021“ და საქართველოს ეროვნული ბანკის მოქმედი პრეზიდენტის ხელმოწერით. ბანკნოტებზე, მათი ძირითადი ფერების შეუცვლელად, ნომინალების ერთმანეთში არევის რისკის შემცირების თვალსაზრისით, უმნიშვნელოდ შეიცვალა ფონური ბადეების

ტონალობები. აღნიშნული ბანკნოტების მიმოქცევაში გაშვება 2021 წლის პირველი ივლისიდან დაიწყო.

- 2020 წელს მიღებული 10 და 50 თეთრის ნომინალის მონეტების საკონტროლო გადათვლა-დახარისხების შედეგებისა და სახელშეკრულებო პირობების გათვალისწინებით, პარტნიორ ზარაფხანებთან საბოლოო ანგარიშსწორება მოხდა.
- დასრულდა 20 თეთრის ნომინალის მონეტების დამზადებისა და მოწოდების პროცესი. პარტნიორ ზარაფხანასთან საბოლოო ანგარიშსწორება მიღებული მონეტების საკონტროლო გადათვლა-დახარისხების პროცესის დასრულების შემდეგ მოხდება.

საანგარიშო პერიოდში მიმოქცევის დანიშნულების 3 სხვადასხვა ნომინალის მონეტების დამზადების სამუშაოები დაიწყო. ამ მიზნით, პარტნიორი საწარმოს შესარჩევად ცალკეულ ნომინალზე ტენდერი გამოცხადდა და ყველაზე კონკურენტული შემოთავაზების მქონე საწარმოები შეირჩა, რომლებთანაც შესაბამისი ხელშეკრულებები გაფორმდა.

საქართველოს ეროვნული ბანკი ეროვნული ვალუტისა და ქვეყნის პოპულარიზაციის მიზნით, საანგარიშო პერიოდში საკოლექციო დანიშნულების ფულის ნიშნების გამოშვებას განაგრძობდა (დაწვრილებითი ინფორმაცია იხილეთ ქვემოთ - „საკოლექციო დანიშნულების მონეტები“).

ქვეყანაში COVID-19 პანდემიის გავრცელებასთან დაკავშირებით საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ნაღდი ფულით ქვეყნის ეკონომიკის შეუფერხებელი დაკმაყოფილებისა და ამ საქმეში არსებული რისკების მინიმიზაციის მიზნით, გრძელდებოდა ისეთი პრევენციული ღონისძიებები, როგორიცაა:

- პანდემიის დაწყებისთანავე, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დაუყოვნებლივ, სამ სხვადასხვა ლოკაციაზე შექმნილ, დაცვის უსაფრთხოების ზომებითა და შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფით აღჭურვილ საკასო ცენტრის გარე საცავებში, ნაღდ ფულთან დაკავშირებული ოპერაციების მართვის, კონტროლისა და ხარისხის, ასევე პროგრამული უზრუნველყოფის ოპტიმიზაციის მიზნით, შემუშავდა და დამტკიცდა ახალი წესი და შესაბამისად განახლდა იმ კომერციულ ბანკებთან დადებული ხელშეკრულებები, რომელთა ტერიტორიებზეც აღნიშნული საცავებია რეგისტრირებული;
- საკასო ცენტრში, ნაღდ ფულთან მომუშავე თანამშრომლები სამუშაოზე წინასწარ განსაზღვრული გრაფიკით, მონაცვლეობით დადიოდნენ. სამუშაო პროცესი წარიმართებოდა კომპეტენტური უწყებების რეკომენდაციების შესაბამისად დადგენილი პროტოკოლის საფუძველზე.
- პანდემიის მიუხედავად, საკასო ცენტრი 2021 წლის განმავლობაში საოფისე სივრცეში ბიზნეს საქმიანობის უწყვეტობის შენარჩუნებით აგრძელებდა მუშაობას. შესაბამისად, არცერთ უბანზე ადგილი არ ჰქონია ჩამორჩენას, რაც დადებითად აისახა შესრულების რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებზე.

2021 წელს, წინა წელთან შედარებით, საქართველოს ეროვნულ ბანკში შემოსული ნაღდი ეროვნული ვალუტა გაიზარდა და თანხამ 8,132.9 მლნ ლარი შეადგინა, რაც 27.8 პროცენტით აღემატება 2020 წლის მაჩვენებელს, ხოლო საქართველოს ეროვნული ბანკიდან გასულმა ნაღდი ეროვნული ვალუტის თანხამ 8,062.2 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის მაჩვენებელზე 17.1 პროცენტით მეტია. საქართველოს ეროვნულ ბანკში შემოსულმა ეროვნული ვალუტის თანხამ გასულ თანხებს 70.7 მლნ ლარით გადააჭარბა. 2017-2021 წლებში საკასო ცენტრში შემოსული და საკასო ცენტრიდან გაცემული ლარის ბანკნოტების/მონეტების დინამიკას გვიჩვენებს დიაგრამა N 11.5.

დიაგრამა N 11.5 საკასო ცენტრის შემოსავალ-გასავლები 2017-2021 წლებში.



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საანგარიშო პერიოდში ეროვნულ ბანკში შემოსული უცხოური ვალუტიდან 32.9 მლნ აშშ დოლარი და 11.2 მლნ ევრო იყო, ხოლო გასული უცხოური ვალუტა 14.1მლნ აშშ დოლარი და 270 ათასი ევრო.

სასამართლოებიდან, საგამოძიებო და სხვა ადმინისტრაციული ორგანოებიდან დროებით შესანახად მიღებულ იქნა 164 და გაიცა 139 ერთეული ფასეულობა. ასევე დროებით შესანახად მიღებული და გაცემული იქნა 1 ერთეული შიდა ფასეულობა.

კომერციულ ბანკებზე ადაპტაციისათვის უკან დაბრუნების პირობით გაცემული იქნა 2021 წელს დამზადებული 5 და 20 ლარის ნომინალის ბანკნოტები - 725 ათასი ლარის ოდენობით.

2021 წლის განმავლობაში საკასო ცენტრის ფიზიკური პირების მომსახურების სალაროდან:

- გაიცვალა 16,177 ერთეული ფულის ნიშანი თანხით - 194.8 ათასი ლარი;
- რეალიზებული/გაცემული იქნა 76.8 ათასი ერთეული საკოლექციო, ნუმიზმატიკური და სხვა სახის სარეალიზაციო პროდუქცია, მათ შორის:
  - ნაღდი ფულით შეძენილი იქნა 2 მლნ ლარის პროდუქცია;
  - პლასტიკური ბარათის მეშვეობით - 1.9 მლნ ლარის პროდუქცია;
  - ინტერნეტ მაღაზიის მეშვეობით -2.6 მლნ ლარის პროდუქცია;
  - წინასწარი ანგარიშსწორებით - 270.4 ათასი ლარის პროდუქცია;
  - შემდგომი ანგარიშსწორებით -19.7 ათასი ლარის პროდუქცია.

ლარის ბანკნოტების ხარისხის მართვის მიზნით, საანგარიშო პერიოდში მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა. კერძოდ:

- Giesecke+Devrient Currency Technology GmbH ტექნიკური უზრუნველყოფის ჯგუფის მიერ, საკასო ცენტრის ინჟინრების მონაწილეობით, ექსპლუატაციაში არსებულ „BPS-M7“ ტიპის ლარის ბანკნოტების დამამუშავებელ 2 აგრეგატს ყოველწლიური გეგმიური შემოწმება და კაპიტალური შეკეთება ჩაუტარდა, ხოლო „BPS-1080“ ტიპის ლარის ბანკნოტების დამამუშავებელი ორი აგრეგატი განახლდა. კერძოდ, მოხდა მათი ბანკნოტების შემმოწმებელ-დამხარისხე-

ბელი მოწყობილობის „BPS-M7“-ის დონემდე მიყვანა, ხოლო დარჩენილ შესაფუთ მოწყობილობებს ყოველწლიური ტექნიკური მომსახურება ჩაუტარდათ.

- ოთხ „BPS-M7“ ტიპის (N M01000657, N M01000226, N M01111305 და N M01111051) ბანკნოტების დამამუშავებელ სისტემებზე, კომპანია „Giesecke+Devrient Currency Technology GmbH“-ის წარმომადგენლებთან ერთად ახალი მოდიფიკაციის 5 და 20 ლარიანი ბანკნოტების ადაპტირება და მოძველებულად გადარჩევის პარამეტრების საბოლოო კორექტირება განხორციელდა.

საქართველოს ეროვნული ბანკის სისტემაში ფულის ნიშნების გადათვლა-დამუშავების ტექნიკური საშუალებების გამართულად ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად, ლარის ბანკნოტების დახარისხების დონის განსაზღვრის წესით დადგენილი პერიოდულობით ხორციელდებოდა ბანკნოტების გადათვლა-დამუშავების ტექნიკური საშუალებების მიერ ფულის ნიშნების დახარისხების გამართულობის შემოწმება. ბანკნოტების განადგურების “BDS”-400 სისტემას ტექმომსახურება გაეწია.

დეფექტური და უხარისხო ფულადი ნიშნების მიმოქცევაში მოხვედრის თავიდან აცილების მიზნით, საემისიო ფულადი ნიშნების საკონტროლო გადათვლა-დახარისხების პროცესი წარიმართა.

საინკასაციო საქმიანობის შეუფერხებელი განხორციელების მიზნით:

- საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2013 წლის 12 აპრილის N32 განკარგულების საფუძველზე საკასო ცენტრის ინკასატორებს 2-ჯერ ჩაუტარდათ პრაქტიკული სწავლება სროლებში;
- საქართველოს ეროვნული ბანკის კუთვნილ ფასეულობათა გადასაზიდ ჯავშნიან ა/მ მერსედესს ყოველწლიური დიაგნოსტიკა ჩაუტარდა.

საანგარიშგებო წლის განმავლობაში, ინკასატორებმა ყოველდღიური მატერიალური ფასეულობის საუბნო გადაზიდვების გარდა, დამამზადებელი ორგანიზაციებიდან მოწოდებული ფასეულობის მიღება და საცავისთვის ჩაბარებაც უზრუნველყვეს. კერძოდ:

- ფასეულობის ორი ინკასაცია თბილისის აეროპორტიდან საკასო ცენტრში;
- ფოთის პორტიდან დამამზადებელი კომპანიის მიერ მოწოდებული ლარის მონეტების მიღება;
- საკასო ცენტრში მიღებულ იქნა სხვადასხვა თემაზე შექმნილი ოქროსა და ვერცხლის საკოლექციო მონეტები;
- საკასო ცენტრიდან გადამზიდავმა კომპანიამ საზღვარგარეთ უცხოური ვალუტის ინკასაცია განახორციელა.

გასული წლის განმავლობაში ფულის ნიშნების ექსპერტიზის სამუშაოები გრძელდებოდა. კერძოდ, ექსპერტიზა ჩატარდა საკასო ცენტრის სალაროებიდან, კომერციული ბანკებიდან, ვალუტის გადამცვლელი პუნქტებიდან, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებიდან, სამართალდამცავი ორგანოებიდან გამოგზავნილ და ფიზიკური პირების მიერ შემოტანილ 6,756 ცალ საეჭვო ფულის ნიშანზე, რომლის შედეგებიც ქვემოთ მოცემულ ცხრილშია ნაჩვენები.

ცხრილი N 11.1 2021 წელს შემოტანილი საეჭვო ფულის ნიშნების ექსპერტიზის შედეგები

	საეჭვო	ყალბი	ნამდვილი	არგადახდითი
ლარის ბანკნოტები	4,090	2,125	1,178	787
ლარის მონეტები	1,354	1,018	336	-
აშშ დოლარი	1,095	855	240	_
ევრო	129	50	79	_
სხვა უცხოური ვალუტა	88	74	14	_
სულ	**6,756**	**4,122**	**1,847**	**787**

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ლარის ყალბი ბანკნოტები/მონეტები ნომინალების მიხედვით პროცენტულად შემდეგნაირად აისახება:

დიაგრამა N 11.6 2021 წელს გამოვლენილი ლარის ყალბი ბანკნოტები და მონეტები (პროცენტი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2021 წელს გამოვლენილი ლარის ყალბი ბანკნოტების რაოდენობა გასულ პერიოდთან (2020 წელი) შედარებით 30.0 პროცენტით შემცირდა, ყალბი ევროს ბანკნოტების რაოდენობამ 46.2 პროცენტით დაიკლო, ხოლო ყალბი დოლარების ბანკნოტების რაოდენობა 2.2-ჯერ გაიზარდა. სხვა უცხოური ყალბი ვალუტა 46.0 პროცენტით შემცირდა. რაც შეეხება ყალბი ლარის მონეტების რაოდენობას, 2020 წელთან შედარებით 13.8-ჯერ შემცირდა. ნომინალების მიხედვით 2017-2021 წლების პერიოდში გამოვლენილი ყალბი ლარის ბანკნოტებისა და მონეტების რაოდენობას გვიჩვენებს დიაგრამა N 11.7 და დიაგრამა N 11.8.

დიაგრამა N 11.7 2017-2021 წლებში გამოვლენილი ლარის ყალბი ბანკნოტების რაოდენობა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა N 11.8 2017-2021 წლებში გამოვლენილი ლარის ყალბი მონეტების რაოდენობა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საანგარიშო პერიოდში როგორც საკოლექციო დანიშნულების ფასეულობის, ისე ოქროს ზოდების და ნუმიზმატიკური ფასეულობების რეალიზაცია მიმდინარეობდა.

კერძოდ, 2021 წლის განმავლობაში სხვადასხვა სახის 76.8 ათასი ერთეული ფასეულობა გაიყიდა, თანხით 6.7 მლნ ლარი. მათ შორის, საკოლექციო მონეტების რეალიზაციიდან მი-

ღებული შემოსავალი წინა, 2020 წელთან შედარებით, 2.1-ჯერაა გაზრდილი, ოქროს ზოდების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი 16.3 პროცენტით გაიზარდა, ხოლო ნუმიზმატიკური ფასეულობის რეალიზაციიდან მიღებულმა შემოსავალმა 7.1-ჯერ მოიმატა. ასევე, რეალიზებულია სხვა ნივთები (დისკი, წიგნი, ფასეულობის ჩასადები ყუთები) 74 ერთეული, თანხით 1.2 ათასი ლარი. სულ ამ პერიოდში მითითებული ფასეულობის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი 75.5 პროცენტით (2.9 მლნ ლარით) გაიზარდა.

2017-2021 წლებში რეალიზებული ფასეულობის დინამიკას სახეობების მიხედვით გვიჩვენებს დიაგრამა N 11.9.

დიაგრამა N 11.9 2017-2021 წლებში რეალიზებული ფასეულობა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ქართული ფულის ისტორიისა და საქართველოს ეროვნული ბანკის, როგორც ქვეყნის ცენტრალური ბანკის განვითარებისა და მისი ძირითადი საქმიანობის გაცნობის მიზნით, ეროვნული ბანკის ფულის მუზეუმი, ქვეყანაში მოქმედი პანდემიური რეგულაციების გათვალისწინებით, 2021 წლის 11 მარტიდან 22 ოქტომბრის ჩათვლით, საზოგადოებას საგანმანათლებლო კურსებს სთავაზობდა. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მუზეუმს 1348 ვიზიტორი (მათ შორის 1289 ადგილობრივი და 59 უცხოელი) ესტუმრა.

2021 წლის განმავლობაში ფულის მუზეუმში 16 საგანმანათლებლო ტური (ექსკურსია) ჩატარდა, რომელიც ქართული ნუმიზმატიკის მიმოხილვას და უშუალოდ ექსპონატების დათვალიერებას მოიცავდა. კურსი 98 მოსწავლემ და 18 პედაგოგმა მოისმინა.

2021 წლის მაისში, მუზეუმების საერთაშორისო დღისა და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის კვირეულისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ფარგლებში, ფულის მუზეუმმა გამოფენას „სახელმწიფო ბანკი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში“ უმასპინძლა.

ახალი საექსპონანტო საგანმანათლებლო რესურსები

როგორც ცნობილია, ქაღალდის ფული ქვეყნის ეკონომიკის, ქვეყანაში არსებული ტექნიკური შესაძლებლობების, ასევე კულტურისა და ხელოვნების მრავალმხრივ წარმოჩენის კარგი საშუალებაა.

სწორედ ამიტომ, საანგარიშო პერიოდში საქართველოს ეროვნულმა ბანკმა კერძო კოლექციაში დაცული 1918-1924 წლებში გამოშვებული ქართული და ამიერკავკასიური სახელმწიფო და კერძო ემისიის ბონები, XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის პირველი მეოთხედის ქართული საბანკო-საფინანსო ორგანიზაციების, სავაჭრო-სამრეწველო და სატრანსპორტო ორგანიზაციების აქციები და იმ პერიოდის სხვადასხვა ფასიანი ქაღალდები შეიძინა.

ბონისტიკური კოლექციის ყველა ექსპონატი იდეალურ საკოლექციო მდგომარეობაშია, კოლექციაში თავმოყრილი ქართული ქაღალდის ფულის ნიშნები და ფასიანი ქაღალდები ქართული ეკონომიკის, საბანკო საქმის ისტორიისა და საქართველოში ფულის დამზადების კულტურას ნათლად წარმოაჩენენ. კოლექციის შეძენამდე საქართველოს ეროვნული ბანკი ბონების ძალზე მცირე კოლექციას ფლობდა. ამასთან, არსებული ნიმუშები მეტწილად დაზიანებულია და საგამოფენო დანიშნულებით გამოყენებისას სრულად და ეფექტურად ვერ წარმოაჩენდა შესაბამისი პერიოდის ფულის ნიშნების მახასიათებლებსა და ვიზუალურ მხარეს. აღნიშნული კოლექციის შეძენის შედეგად კი, საქართველოს ეროვნული ბანკის ბონისტიკური კოლექცია ქვეყანაში ყველაზე მდიდარი და სრულყოფილი გახდა, რაც კარგი საშუალებაა დროებითი და მუდმივმოქმედი გამოფენების მოსაწყობად, კატალოგების გამოსაცემად. ეს, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ქვეყანაში ამ მიმართულების განვითარებას და ცნობიერების ამაღლებას.

საქართველოს ეროვნული ბანკი მადლობას უხდის „მოქალაქე მიხეილ გოგოტიშვილის კერძო კოლექციაში არსებული 1918-1924 წლებში გამოშვებული ქართული და ამიერკავკასიური ბონების ნამდვილობისა და მნიშვნელობის დამდგენი დროებითი კომისიის" მოწვეულ წევრებს: ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებულ პროფესორს, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის მთავარ მეცნიერ-თანამშრომელს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, ქართული ბონისტიკის ისტორიის მკვლევარს - ნიკოლოზ ჯავახიშვილს; საქართველოს ეროვნული მუზეუმის ნუმიზმატიკის კაბინეტის უფროს მეცნიერ-თანამშრომელს, ილიას უნივერსიტეტისა და კავკასიის უნივერსიტეტის მოწვეულ ლექტორს, ისტორიის დოქტორს - მაია პატარიძესა და საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორიის მკვლევარს, ილიას უნივერსიტეტის მოწვეულ ლექტორს, დოქტორანტ, 1918-1921 წლების საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიის მკვლევარს - ირაკლი ხვადაგიანს გაწეული უანგარო დახმარებისათვის.

საკოლექციო დანიშნულების მონეტები

საქართველოს ეროვნული ბანკი, ეროვნული ვალუტისა და ქვეყნის პოპულარიზაციის მიზნით, საანგარიშო პერიოდში საკოლექციო დანიშნულების ფულის ნიშნების გამოშვებაზე მუშაობას განაგრძობდა. გამოშვებულმა მონეტებმა საზოგადოების დიდი მოწონება დაიმსახურა, რაც მონეტების 100 პროცენტიანი რეალიზაციის შედეგებით დასტურდება. როგორც ცნობილია, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოშვებული საკოლექციო დანიშნულების მონეტების მიმართ ინტერესი სულ უფრო იზრდება. ნუმიზმატებისთვის, კოლექციონერებისა და ყველა სხვა დაინტერესებული პირისთვის საკოლექციო მონეტების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზ-

ნით, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა, საკოლექციო მონეტების წინასწარი შეკვეთების პრაქტიკა დანერგა, რომელიც ითვალისწინებს ეროვნული ბანკის ინტერნეტ მაღაზიის მეშვეობით, წინასწარი შეკვეთის განთავსების საფუძველზე, საკოლექციო ფასეულობის რეალიზაციას. შესაბამისად, მომავალში გამოშვებული საკოლექციო მონეტების რეალიზაცია წინასწარი შეკვეთების პრინციპით განხორციელდება.

ზაფხულის ოლიმპიური თამაშები.

გამოშვებულ იქნა ზაფხულის ოლიმპიური თამაშებისადმი მიძღვნილი 5 ლარის ნომინალის ვერცხლის მონეტები.

მონეტის დიზაინი: ივა ჯანეზაშვილი

მონეტის ავერსის მთავარ კომპოზიციას ტოკიოს მთავარი ოლიმპიური არენის არქიტექტურის სტილიზებული გრაფიკული გამოსახულება წარმოადგენს. არენის შიდა ნაწილში გამოსახულია საქართველოს მოფრიალე დროშა. მონეტის ცენტრალურ მარჯვენა ნაწილში განთავსებულია საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ლოგო. წრიულ რკალში კი დატანილია წარწერები „NATIONAL OLYMPIC TEAM OF GEORGIA" და „ზაფხულის ოლიმპიური თამაშები".

მონეტის რევერსის მთავარ კომპოზიციას სპორტული მარათონის სარბენი ბილიკის სტილიზებული გამოსახულება წარმოადგენს. დატანილია წარწერები: „5 ლარი", ოლიმპიადის სლოგანი „DISCOVER TOMORROW" და „SUMMER OLYMPIC GAMES IN JAPAN". ხოლო ქვედა არასტანდარტულ რკალში კი განთავსებულია ფარული გამოსახულება, რომელზეც მონეტის განსხვავებული კუთხით დახრისას მონაცვლეობით ჩნდება წლები „2020" და „2021", რაც ორიგინალური გზით ასახავს ოლიმპიური თამაშების 2021 წელს გადადებას.

სახელშეკრულებო პირობების გათვალისწინებით ზარაფხანასთან მოხდა შესაბამისი ანგარიშსწორება. პროექტი დასრულებულია.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი კონსტიტუციის მიღების 100 წელი.

2021 წელს წარიმართა სამუშაოები საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი კონსტიტუციის მიღების 100 წლისადმი მიძღვნილი ვერცხლის მონეტების დასამზადებლად პარტნიორად შერჩეულ სლოვაკეთის ზარაფხანასთან. საანგარიშო პერიოდში მოხდა აღნიშნული მონეტების დამზადება-მოწოდება, პრეზენტაცია (რაც სიმბოლურად ქალაქ ბათუმში, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში გაიმართა) და რეალიზაცია.

მონეტის დიზაინი: გიორგი აფხაზავა და მაია ძიძიგური

მონეტის ავერსის ცენტრალურ ნაწილში წარმოდგენილია მთავარი კომპოზიცია, ურთიერთგადაჯაჭვული ასოები „ს“, „დ“, „რ“, რაც წარმოადგენს 1921 წელს ქვეყნის სრული დასახელების (საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა) შემადგენელი სიტყვების ინიციალების ერთობლიობას. კომპოზიციის ქვეშ განთავსებულია 1921 წელს გამოქვეყნებული კონსტიტუციის პირველი გამოცემის პირველ და ბოლო გვერდებზე არსებული ორნამენტის ანალოგი. ავერსის კანტზე წრიულად დატანილია წარწერები „GEORGIAN CONSTITUTION”, „საქართველო“, „GEORGIA”, „საქართველოს კონსტიტუცია“, „1921-2021“.

მონეტის რევერსის მთავარ კომპოზიციას წარმოადგენს რომბის ფიგურის სახით წარმოდგენილი საქართველოს კონსტიტუციის სხვადასხვა მუხლიდან ამოღებული მნიშვნელოვანი სიტყვები და ფრაზები. რევერსზე, ასევე, დატანილია წარწერა „5 ლარი“.

სახელშეკრულებო პირობების გათვალისწინებით ზარაფხანასთან მოხდა შესაბამისი ანგარიშსწორება. პროექტი დასრულებულია.

დედამიწის დღე.

2021 წელს წარიმართა სამუშაოები დედამიწის დღისადმი მიძღვნილი ვერცხლის მონეტების დასამზადებლად პარტნიორად შერჩეულ სლოვაკეთის ზარაფხანასთან. საანგარიშო პერიოდში მოხდა აღნიშნული მონეტების დამზადება-მოწოდება, პრეზენტაცია და რეალიზაცია.

მონეტის დიზაინი: ონუკი ნაოჰიკო იაპონიის ზარაფხანის სახელით

მონეტის ავერსის ცენტრალურ ნაწილში დატანილია ზეთისხილის რტო, რომლის მარცხენა მხარეს წარმოდგენილია დედამიწის გამოსახულება, ხოლო მარჯვენა მხარე ასახავს კლიმატური ცვლილებების თანმდევ მოვლენებს, როგორებიცაა გვალვა, ხანძარი, ქარიშხალი და წყალდიდობა. რკალში დატანილია წარწერები

„დედამიწის დღე“, „5₾“ „Thank”, „Think”. გამოსახულებათა და წარწერათა ერთობლიობა მონეტის ავერსზე თვალნათლივ გადმოსცემს, რომ გვმართებს ვიყოთ მადლიერნი ყოველივე იმისთვის, რასაც ჩვენი პლანეტა გვაძლევს და დავფიქრდეთ, თუ რისი გაკეთება შეგვიძლია გლობალური დათბობით გამოწვეული კლიმატური ცვლილებების პრევენციისათვის.

მონეტის რევერსის მთავარ კომპოზიციას წარმოადგენს ცენტრალურ ნაწილში განთავსებული გამოსახულებების ერთობლიობა, რაც მოიცავს დედამიწის ნახევარსფეროს მოხაზულობაში განთავსებულ ქართულ ორნამენტებს, ყლორტს მწვანე ფოთლებით, ადამიანებისა და ცხოველის სილუეტს და წარწერას „Earth Day”. დატანილია, ასევე, წარწერები „5 ლარი“ და „2021“. წრიულ რკალზე გამოსახულია ქართული ორნამენტები და წარწერები „Georgia” და “საქართველო“.

სახელშეკრულებო პირობების გათვალისწინებით ზარაფხანასთან მოხდა შესაბამისი ანგარიშსწორება. პროექტი დასრულებულია.

„ევრობასკეტი 2022“.

საანგარიშო პერიოდში დაიწყო მოსამზადებელი სამუშაოები „ევრობასკეტი 2022“ თემაზე საკოლექციო დანიშნულების 5 ლარის ნომინალის ვერცხლის მონეტის გამოსაშვებად. ამ მიზნით გამოცხადდა ღია კონკურსი, შეირჩა შესაბამისი ესკიზები და მიღებული იქნა წინასწარი შეკვეთები მათი დასამზადებელი რაოდენობის განსაზღვრისათვის. აღნიშნული მონეტების დამზადება-მოწოდების მიზნით პარტნიორის შესარჩევად ტენდერი გამოცხადდა.

მონეტების სერია „საქართველოს მეფეები“

დავით აღმაშენებელი (სერიიდან „საქართველოს მეფეები“).

საანგარიშო პერიოდში დასრულდა დავით აღმაშენებლის თემაზე (სერიიდან „საქართველოს მეფეები“) ვერცხლისა და ოქროს მონეტების დიზაინის ესკიზების შესარჩევად წინა წელს გამოცხადებული ღია კონკურსი და შერჩეულ იქნა შესაბამისი დიზაინის ესკიზები, რის შემდგომაც, მათი დამზადება-მოწოდების მიზნით, ჩატარდა პარტნიორის შერჩევის პროცედურები და ტენდერის გზით პარტნიორად შეირჩა ლიეტუვის ზარაფხანა, რომელთანაც გაფორმდა შესაბამისი ხელშეკრულება.

2021 წელს მოხდა აღნიშნული მონეტების დამზადება-მოწოდება, პრეზენტაცია და რეალიზაცია.

მონეტის დიზაინი: ნიტა გონგაძე

მონეტის ავერსის მთავარ კომპოზიციას წარმოადგენს დავით აღმაშენებლის ბარელიეფი გელათის მონასტრის ფრესკიდან (დავითს მარცხენა ხელში უპყრია გელათის მონასტრის მაკეტი, მარჯვენაში - „კაპა“ (საიმპერატორო ინსიგნია)). მონეტაზე, დატანილია წარწერა „დავით აღმაშენებელი“ და მისი მეფობის წლები „1089 – 1125“. მარცხენა ნაწილში გამოსახულია მუხის ფოთოლი ორი ნაყოფით - რკო, როგორც სიმბოლო დავით მეფის მიერ განხორციელებული საეკლესიო რეფორმისა. ვერცხლის მონეტის შემთხვევაში, აღნიშნული დეტალი მოოქროვილია.

მონეტის რევერსის მთავარ კომპოზიციას წარმოადგენს დავით აღმაშენებლის გვირგვინის გამოსახულება (რეკონსტრუქცია გელათის მონასტრის ფრესკის მიხედვით) მონეტაზე დატანილია წარწერები: „5 ლარი“, „2021“, „საქართველო“, „GEORGIA”.

სახელშეკრულებო პირობების გათვალისწინებით ზარაფხანასთან მოხდა შესაბამისი ანგარიშსწორება.

თამარ მეფე (სერიიდან „საქართველოს მეფეები“).

საანგარიშო პერიოდში დასრულდა თამარ მეფის თემაზე (სერიიდან „საქართველოს მეფეები“) ვერცხლისა და ოქროს მონეტების დიზაინის ესკიზების შესარჩევად წინა წელს გამოცხადებული ღია კონკურსი და შერჩეულ იქნა შესაბამისი დიზაინის ესკიზები, რის შემდგომაც, მათი დამზადება-მოწოდების მიზნით ჩატარდა პარტნიორის შერჩევის პროცედურები და ტენდერის გზით პარტნიორად შეირჩა ლიეტუვის ზარაფხანა, რომელთანაც გაფორმდა შესაბამისი ხელშეკრულება.

2021 წელს მოხდა აღნიშნული მონეტების დამზადება-მოწოდება, პრეზენტაცია და რეალიზაცია.
მონეტის ავერსის მთავარ კომპოზიციას წარმოადგენს თამარ მეფის ბარელიეფი ბეთანიის მონასტერში არსებული ფრესკიდან. ბარელიეფის მარცხენა მხარეს დატანილია თამარ მეფის ხელრთვა, ხოლო მარჯვენა მხარეს დატანილია წარწერა „თამარ მეფე“, მისი მეფობის პერიოდი „XII ს.“ და თამარის სიმბოლო, რომელიც მეფის სახელით გამოშვებული მონეტის ავერსზე იყო დატანილი. ვერცხლის მონეტებზე აღნიშნული დეტალი მოოქროვილია.

მონეტის რევერსის მთავარ კომპოზიციას წარმოადგენს თამარ მეფის გვირგვინის გამოსახულება (რეკონსტრუქცია დავით-გარეჯის კომპლექსის, ბერთუბნის მონასტრის ფრესკის მიხედვით) მონეტაზე დატანილია წარწერები: „5 ლარი“, „2021“, „საქართველო“, „GEORGIA”.

მონეტის დიზაინი: ნიტა გონგაძე

სახელშეკრულებო პირობების გათვალისწინებით ზარაფხანასთან მოხდა შესაბამისი ანგარიშსწორება.

ვახტანგ გორგასალი (სერიიდან „საქართველოს მეფეები“).

საანგარიშო პერიოდში დაიწყო მოსამზადებელი სამუშაოები ვახტანგ გორგასალის თემაზე (სერიიდან „საქართველოს მეფეები“) საკოლექციო დანიშნულების 5 ლარის ნომინალის ვერცხლისა და ოქროს მონეტების გამოსაშვებად. ამ მიზნით, გამოცხადდა ღია კონკურსი, შეირჩა შესაბამისი ესკიზები და მიღებული იქნა წინასწარი შეკვეთები მათი დასამზადებელი რაოდენობის განსაზღვრის მიზნით.

გიორგი ბრწყინვალე (სერიიდან „საქართველოს მეფეები“).

საანგარიშო პერიოდში დაიწყო მოსამზადებელი სამუშაოები გიორგი ბრწყინვალეს თემაზე (სერიიდან „საქართველოს მეფეები“) საკოლექციო დანიშნულების 5 ლარის ნომინალის ვერცხლისა და ოქროს მონეტების გამოსაშვებად. ამ მიზნით, გამოცხადდა ღია კონკურსი, თუმცა ის უარყოფითი შედეგით დასრულებულად ჩაითვალა და ესკიზების შერჩევის მიზნით ახალი კონკურსი გამოცხადდა.

12

შიდა აუდიტი და რისკების ცენტრალიზებული მართვა

შიდა აუდიტი

შიდა აუდიტის სამსახური საქმიანობის წარმართვის პროცესში შიდა აუდიტორთა ინსტიტუტის მიერ გამოცემული „შიდა აუდიტის პროფესიული პრაქტიკის საერთაშორისო სტანდარტებით“ (The IIA's International Standards for the Professional Practice of Internal Auditing) და რისკზე დაფუძნებული შიდა აუდიტის (Risk Based Internal Auditing) თანამედროვე მიდგომით ხელმძღვანელობს. აღნიშნულის შესაბამისად, ორგანიზაციის „რისკის მომწიფებულობის“ შეფასების (Assessing the Organisation's Risk Maturity) შედეგებზე დაყრდნობით, შეირჩა შიდა აუდიტის საქმიანობის სტრატეგია, რომელიც ითვალისწინებს რწმუნების გაცემას რისკის მართვისა და კონტროლის პროცესებზე, კონსულტაციის გაწევას რისკის მართვის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით და დაგეგმვის პროცესში, რისკების თაობაზე არსებული მენეჯმენტის შეფასებების გამოყენებას. ამდენად, შიდა აუდიტის საქმიანობის გეგმა, ძირითადად, ორგანიზაციის რისკების რეესტრს დაეყრდნო. გარდა ამისა, დაგეგმვის პროცესში, აუდიტის ობიექტების პრიორიტეტიზაციის დროს, მხედველობაში იქნა მიღებული აუდიტის სამწლიანი ციკლი, ბოლო აუდიტის განხორციელების თარიღები, ასევე, აუდიტის შედეგად მინიჭებული შეფასებები და გაწეული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა. ამასთან, შიდა აუდიტის საქმიანობის ზემოაღნიშნული სტრატეგიული მიდგომის გათვალისწინებით, საკონსულტაციო მომსახურების გეგმაში შევიდა რისკის მართვის გაუმჯობესების ხელშეწყობაზე ორიენტირებული აქტივობები. ეროვნული ბანკის საბჭომ დაამტკიცა როგორც 2021 წლისათვის მარწმუნებელი მომსახურების დინამიური გეგმა, ასევე საკონსულტაციო მომსახურების გეგმა.

დაგეგმვის დინამიური პრინციპის გათვალისწინებით, რაც მაღალი რისკის შემცველ აუდიტის ობიექტებზე შიდა აუდიტის სამსახურის რესურსების კონცენტრირების შესაძლებლობას იძლევა, საანგარიშო წლის შუა პერიოდში, აუდიტის სამუშაო გეგმის გადახედვის მიზნით, აუდიტის უნივერსში შემავალ ობიექტებთან დაკავშირებული რისკების შეფასებები გაანალიზდა.

განხორციელდა საბჭოს მიერ დამტკიცებული სამუშაო გეგმით გათვალისწინებული 27 შიდა აუდიტი და მიმოხილვა.

ასევე გრძელდებოდა აუდიტის შედეგად გაწეული რეკომენდაციების მონიტორინგის პროცესი, რომელიც აუდიტის მართვის სისტემის მეშვეობით განხორციელდა და აუდიტის ობიექტის მესაკუთრეთა მიერ ინფორმაციის განახლების, შესაბამისი მტკიცებულებების ატვირთვის და სისტემაში განთავსებული ინფორმაციის კონსოლიდირების შესაძლებლობას იძლევა. Follow-up რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის პროცესში, ცალკეული სტრუქტურული ერთეულის რეკომენდაციების მონიტორინგზე პასუხისმგებელი შიდა აუდიტორების მიერ, გადამოწმდა აქტიური რეკომენდაციები და განახლდა სტატუსები.

დამკვიდრებული პრაქტიკის შესაბამისად, 2021 წლის მანძილზე, შიდა აუდიტის სამსახური, სების სტრუქტურული ერთეულების მომართვის კვალობაზე, სხვადასხვა საკითხებთან თუ პროცედურული დოკუმენტის პროექტთან მიმართებაში საკონსულტაციო მომსახურებასაც ეწეოდა.

ამასთან, შიდა აუდიტის სამსახურმა საანგარიშო წელს, SWIFT Customer Security Programmeით და Independent Assessment Framework (July 2020) გათვალისწინებით, SWIFT Customer Security Controls Framework-ით (v 2021) განსაზღვრული სავალდებულო და რეკომენდებული კონტროლების შესაბამისობა შეაფასა.

2021 წელს, საქართველოს ეროვნული ბანკის ISO 27001 სტანდარტთან შესაბამისობის თაობაზე სერტიფიცირებასთან დაკავშირებით, ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის გარე აუდიტი ჩატარდა. აღნიშნულ პროცესში,

როგორც დისტანციურად, ასევე, შეფასების ჯგუფის ადგილზე ვიზიტის ფარგლებში, აქტიურად იყო ჩართული შიდა აუდიტის სამსახური.

საანგარიშო პერიოდში, შიდა აუდიტის სამსახური სათანადო ყურადღებას უთმობდა შიდა აუდიტის მეთოდოლოგიური ბაზის სრულყოფას, ვინაიდან რელევანტური შიდა პროცედურული და სახელმძღვანელო დოკუმენტების არსებობა ხარისხის უზრუნველყოფის მნიშვნელოვანი ხელშემწყობი ფაქტორია. იმის გათვალისწინებით, რომ მნიშვნელოვანი გამოცდილება დაგროვდა როგორც დისტანციური შიდა აუდიტის განხორციელების, ასევე აუდიტის მართვის ავტომატიზებული სისტემის გამოყენების კუთხით, შემუშავდა შიდა აუდიტის სამსახურის ერთიანი სახელმძღვანელო. კრებულის პირველმა ნაწილმა სამსახურის საქმიანობის მარეგლამენტირებელი დოკუმენტები და შიდა აუდიტის მართვის ავტომატიზებული სისტემის პროცედურები მოიცვა, ხოლო მეორე ნაწილში „საქართველოს ეროვნული ბანკის ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის შიდა აუდიტის განახლებული სახელმძღვანელო“ შევიდა.

არაფინანსური რისკების მართვა

საქართველოს ეროვნული ბანკი რისკების მართვის „დაცვის სამ-ხაზიან მოდელს“ იყენებს, რომელიც ფუნქციების და პასუხისმგებლობების ბანკის სხვადასხვა რგოლებს შორის გადანაწილებას გულისხმობს. დაცვის პირველ ხაზს სტრუქტურული ერთეულები (რისკის მფლობელები) წარმოადგენენ, მეორე ხაზს - რისკების ცენტრალიზებული მართვის დეპარტამენტი, ხოლო მესამე ხაზს - შიდა აუდიტის სამსახური.

ეროვნულ ბანკს დანერგილი აქვს რისკების ცენტრალიზებული მართვის ჩარჩო, რომელიც არაფინანსური რისკების (საოპერაციო და რეპუტაციული) იდენტიფიცირების, ანალიზის, შეფასების, მონიტორინგის და საპასუხო ღონისძიებების განსაზღვრის ერთიან და თანმიმდევრულ მიდგომას აყალიბებს. ბანკში რისკების ცენტრალიზებული მართვის სისტემის ეფექტურ ფუნქციონირებასა და მუდმივ გაუმჯობესებაზე რისკების ცენტრალიზებული მართვის დეპარტამენტია პასუხისმგებელი.

რისკების შეფასების პროცესის ეფექტიანად წარმართვისთვის რისკების ცენტრალიზებული მართვის დეპარტამენტი ბანკის თითოეულ ფუნქციასთან მიმართებაში, რისკებისა და კონტროლების თვითშეფასებას (Risk and Control Self-Assessment) რეგულარულად ახორციელებს. თვითშეფასების სესიები, რისკების ალბათობის, ზეგავლენის, კონტროლების, გარე და შიდა მოვლენების ცვლილებების გათვალისწინებით, ბანკის რისკების რეესტრის მუდმივად განახლების საშუალებას იძლევა. რისკების შეფასების პროცესი იმ მატერიალური რისკების იდენტიფიცირებას ისახავს მიზნად, რომლის მიმართაც ბანკს მოწყვლადობა გააჩნია.

2021 წელს კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად დარჩა COVID-19-ით გამოწვეული რისკის მოვლენა, შესაბამისად, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა მისგან გამოწვეული რისკების შეფასებას, რაც თანამშრომელთა ჯანმრთელობას, უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნას, დისტანციური მუშაობის უზრუნველყოფას და ბიზნესის უწყვეტობასთან დაკავშირებულ რისკებს მოიცავდა.

საოპერაციო რისკების მართვის კიდევ ერთ ინსტრუმენტად ეროვნული ბანკი ინციდენტების მართვის სისტემას იყენებს. მისი მიზანია, ბიზნეს-პროცესებთან დაკავშირებული ინციდენტების იდენტიფიკაცია, დაფიქსირება, ანალიზი, სუსტი მხარეების გამოვლენა და გაუმჯობესების გზების პოვნა მისი ხელახალი მოხდენის შესამცირებლად. მიმდინარე წელს ინციდენტების მართვის ყოველთვიური ანგარიში დაიხვეწა, პროცედურა განახლდა და აღნიშნულის შესახებ თანამშრომელთა ცნობიერების ამაღლების მიზნით ტრენინგები ჩატარდა.

რისკების ცენტრალიზებული მართვის ჩარჩოს მხარდასაჭერად ეროვნული ბანკი შიდა პროცედურებს შეიმუშავებს, რათა ბანკის პროცესები ფორმალიზდეს და მიღწეულ იქნას მაქსიმალური გამჭვირვალობა. მიმდინარე წელს არსებული შიდა პროცედურების განახლებისა და ახალი პროცედურების შემუშავების პროცესი გრძელდებოდა.

რისკების ცენტრალიზებული მართვის ჩარჩო არაფინანსური რისკების მისაღები დონის (რისკის მადა) განსაზღვრას მოიცავს. რისკის მისაღებ დონეს ეროვნული ბანკის საბჭო ყოველწლიურად ადგენს. მთლიანობაში, ეროვნულ ბანკს არაფინანსური რისკების მიმართ კონსერვატიული მიდგომა აქვს და დადგენილი მისაღები დონე დაბალი რისკის ზონაშია მოქცეული. მისაღებ დონესთან შესაბამისობის და შენარჩუნების მიზნით, ეროვნული ბანკი ადეკვატური მოცულობის რესურსებს გამოყოფს და ბანკის შიდა კონტროლის გარემოს მუდმივ გაუმჯობესებაზე ზრუნავს.

ბიზნესის უწყვეტობის მართვა

საქართველოს ეროვნული ბანკი, როგორც ქვეყნის კრიტიკული ინფრასტრუქტურის წარმომადგენელი ორგანიზაცია, მისი სერვისების უწყვეტობას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს. კრიტიკული სერვისების ბიზნესის უწყვეტობის უზრუნველსაყოფად შეიმუშავებს და მუდმივად აახლებს ბიზნესის უწყვეტობის გეგმებს, ახორციელებს და მონიტორინგს უწევს სხვადასხვა ტიპის აქტივობებს. ბიზნესის უწყვეტობის უზრუნველყოფისთვის სათანადო ადამიანური, ტექნოლოგიური და ლოჯისტიკური რესურსის მზაობის შემოწმების მიზნით, სისტემატურად ტარდება ტრენინგები, გამოკითხვა, ტესტირებები და პრაქტიკული სავარჯიშოები. ამ აქტივობების საშუალებით, ბიზნესის უწყვეტობის მართვის პროცესი მუდმივად იხვეწება და უმჯობესდება, რაც, საბოლოო ჯამში, ეროვნული ბანკის კრიტიკული სერვისების უწყვეტად მიწოდებასა და ზოგადად, ბანკის რეზისტენტულობაზე აისახება.

2020 წელს ბანკში ტექნოლოგიურმა ცვლილებებმა და ახალი გადაწყვეტების გამოყენებამ, ეროვნულ ბანკს საშუალება მისცა, 2021 წელსაც საქმიანობა, მათ შორის კრიტიკული სერვისებიც, დისტანციურ სამუშაო რეჟიმში გაეგრძელებინა. ბანკში მოქმედი ბიზნესის უწყვეტობის მართვის კომიტეტი სისტემატურად იკრიბებოდა და განიხილავდა პანდემიით გამოწვეულ რისკებს, ქვეყანაში და ბანკში აღნიშნული კუთხით არსებულ მდგომარეობას და შესაბამის გადაწყვეტილებებს იღებდა, რაც, ერთი მხრივ, მიზნად ისახავდა თანამშრომელთა ჯანმრთელობის დაცვას, ხოლო, მეორე მხრივ, კრიტიკული სერვისების უწყვეტად და გამართულად წარმართვას.

2021 წელს ეროვნული ბანკის დისტანციური მუშობის პირობებში, ჯეროვანი ყურადღება ეთმობოდა ინფორმაციული უსაფრთხოების საკითხებში თანამშრომელთა ცნობიერების ამაღლებას და ბანკის მიერ დადგენილი მოთხოვნების გაცნობას და დანერგვას.

მთლიანობაში, ეროვნულ ბანკში მოქმედმა ბიზნესის უწყვეტობის მართვის სისტემამ და საანგარიშო წელს ამ მიმართულებით გადადგმულმა ნაბიჯებმა, ბანკს, პანდემიით გამოწვეული კრიზისის მიუხედავად, თავისი საქმიანობის ყოველგვარი შეფერხების გარეშე წარმართვის საშუალება მისცა.

13

საზოგადოებასთან ურთიერთობა და საერთაშორისო თანამშრომლობა

საზოგადოებასთან ურთიერთობა

COVID-19-ის პანდემიის გათვალისწინებით, 2021 წელსაც ძირითადი საკომუნიკაციო საშუალებები ელექტრონული და სოციალური მედია იყო. საზოგადოება, ციფრული არხების გამოყენებით, მთელი წლის განმავლობაში უწყვეტ რეჟიმში ეცნობოდა ინფორმაციას ეროვნული ბანკის მიერ გატარებული რეფორმებისა და ღონისძიებების შესახებ. მონეტარული პოლიტიკის ანგარიშის გამოქვეყნებასთან ერთად, დამზადდა მოკლე ვიდეო-რგოლები, სადაც ეროვნული ბანკის პრეზიდენტი ყურადღებას ამახვილებდა გამოქვეყნებული ანგარიშის მნიშვნელოვან ასპექტებზე. ასევე, ეროვნული ბანკის ოფიციალურ ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში რეგულარულად ქვეყნდებოდა ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის ანგარიშის პრეზენტაციის ვიდეო ჩანაწერი.

2005 წლის შემდეგ, პირველად განახლდა ეროვნული ბანკის ვებგვერდი, რომელსაც ყოველდღიურად უამრავი მომხმარებელი სტუმრობს, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარედან - უცხოელი პარტნიორები, ინვესტორები, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების წარმომადგენლები. ვიზიტორთა მზარდი სტატისტიკა მომხმარებელთა გაზრდილ ინტერესზე მიუთითებს.

ვებგვერდის ახალი ვერსია სრულად პასუხობს თანამედროვე ციფრულ მოთხოვნებს; დახვეწილი დიზაინი, ფუნქციურად გამართული ფორმატი მაქსიმალურად არის მორგებული მომხმარებელზე. ინტერაქციული ვებგვერდი ორმხრივი კომუნიკაციისა და ინფორმაციის სასურველ ფორმატში მიღების საშუალებას იძლევა. ეროვნული ბანკის სხვადასხვა სტრუქტურული დანაყოფების თანამშრომელთა ერთობლივი ძალისხმევით, ვებგვერდის განახლება წარმატებით დასრულდა.

ფინანსური განათლების ამაღლება ეროვნული ბანკის ერთ-ერთი პრიორიტეტია. ამ მიმართულებით ეროვნულმა ბანკმა, არაერთი პროექტი და აქტივობა წარმატებით განახორციელა. კერძოდ, გამოქვეყნდა 15-ზე მეტი საგანმანათლებლო ვიდეო, 2 პოდკასტი. მედიაპარტნიორებთან თანამშრომლობით, მომზადდა 30-ზე მეტი საგანმანათლებლო სტატია და 10-ზე მეტი საინტერესო, შემეცნებითი ტესტი.

საფინანსო სექტორთან თანამშრომლობით, საფუძველი ჩაეყარა კიდევ ერთ, ახალ ყოველწლიურ კამპანიას. აღინიშნა მომხმარებელთა უფლებების დაცვის საერთაშორისო დღე (15 მარტი) რომელიც, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, 1983 წლიდან აღინიშნება და მისი მიზანია სხვადასხვა სფეროს მომხმარებლებში საკუთარი უფლებების შესახებ ცნობიერების ამაღლება. მომხმარებელთა უფლებების დაცვის საერთაშორისო დღის წლევანდელი სლოგანი იყო - იცოდე შენი უფლებები - იყავი დაცული! ეროვნული ბანკის ეს ინიციატივა კი საფინანსო სექტორის მომხმარებლებს საკუთარი უფლებების შესახებ ინფორმირებულობის ამაღლებაში ეხმარება. მომხმარებელთა უფლებების დაცვის დღის ფარგლებში, სხვადასხვა ღონისძიება დაიგეგმა, რომელიც ეროვნული ბანკის, საგანმანათლებლო პლატფორმა FinEdu.gov.ge-ის, 7 კომერციული ბანკისა და 4 მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ჩართულობითა და მხარდაჭერით განხორციელდა.

მომხმარებელთა უფლებების დაცვის დღის ფარგლებში, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი კობა გვენეტაძე კომერციული

ბანკებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების აღმასრულებელ დირექტორებს შეხვდა. კობა გვენეტაძემ საფინანსო სექტორის წარმომადგენლებს დეტალურად გააცნო ეროვნული ბანკის ინიციატივა მომხმარებელთა უფლებების საერთაშორისო დღის აღნიშვნასთან დაკავშირებით. მისი თქმით, აღნიშნული ინიციატივა ხელს უწყობს საფინანსო სექტორის მომხმარებლების ინფორმირებულობას საკუთარი უფლებების შესახებ.

ასევე, გამოცხადდა მომხმარებელთა უფლებების დაცვის თემაზე შექმნილი ტექსტური და ვიდეო ფორმატის მასალების კონკურსი, რომელიც ეროვნული ბანკის, FinEdu.gov.ge-ს, 7 კომერციული ბანკისა და 4 მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ჩართულობითა და მხარდაჭერით განხორციელდა. კონკურსის ფარგლებში გამარჯვებულები ორ კატეგორიაში გამოვლინდა:

1. კატეგორია „ბლოგი" - ტექსტური ფორმატის ნამუშევრებისათვის;
2. კატეგორია „ვიდეო" - ვიდეო ფორმატის ("Vlog", "Motion Design") ნამუშევრებისათვის.

ციფრული ტექნოლოგიების თანამედროვე მიღწევებმა, სწრაფი და ეფექტიანი მომსახურება უზრუნველყო; ამავდროულად, გაიზარდა გარკვეული კიბერრისკებიც. საბანკო/საფინანსო ინფორმაციის უსაფრთხოების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება საქართველოს ეროვნული ბანკის ერთ-ერთი პრიორიტეტია და ამ მიმართულებით ქვეყნის მთავარმა ბანკმა არაერთი პროექტი უკვე განახორციელა. საერთაშორისო კიბერუსაფრთხოების კამპანიას ცნობიერების ამაღლების მიზნით, 2021 წელს პირველად, ეროვნული ბანკის ინიციატივით, საქართველოს საფინანსო სექტორი შეუერთდა და მასში მონაწილეობა ქვეყნის ცენტრალურ ბანკთან და ფინანსური განათლების პორტალ ფინედუსთან (www.finedu.gov.ge) ერთად, საბანკო ასოციაციამ და ექვსმა კომერციულმა ბანკმა - თიბისი ბანკმა, საქართველოს ბანკმა, ვითიბი ბანკმა, ლიბერთი ბანკმა, ბაზისბანკმა და პაშა ბანკმა - მიიღო. კიბერუსაფრთხოების ცნობიერების ამაღლების თვე, მსოფლიო მასშტაბით, ოქტომბერში აღინიშნება და წლევანდელი სლოგანი იყო - შეიტანე წვლილი - იყავი კიბერფრთხილი! კიბერუსაფრთხოების ცნობიერების ამაღლების კამპანია დატვირთული იყო საინტერესო საგანმანათლებლო მასალებით, ტესტებით, ვიდეოებით და კონკურსებით. ასევე, ჩატარდა ორი ვებინარი შემდეგ თემებზე: 1. კიბერუსაფრთხოება როგორც პროფესია; 2. კიბერუსაფრთხოება COVID-19-ის დროს. ვებინარებში მონაწილეობა 750-მდე დაინტერესებულმა პირმა მიიღო.

კიბერცნობიერების ამაღლების თვესთან დაკავშირებული საგანმანათლებლო მასალები მთელი თვის განმავლობაში ვრცელდებოდა, როგორც მონაწილე ორგანიზაციების საკომუნიკაციო პლატფორმებზე, ასევე ისეთ მედია პლატფორმებზე როგორებიცაა: marketer.ge, on.ge, myvideo, imovies, adjaranet, movement და სხვა.

ასევე, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა, საგანმანათლებლო პლატფორმა Finedu-ს, საქართველოს საბანკო ასოციაციისა და საქართველოში ლიცენზირებული ექვსი კომერციული ბანკის ჩართულობითა და მხარდაჭერით, კიბერცნობიერების ამაღლების მიზნით, კიბერუსაფრთხოების თემაზე შექმნილი პოსტერებისა და სლოგანების კონკურსი გამოაცხადა. შედეგების მიხედვით, პირველი ადგილი მოიპოვა გია სიჭინავამ ნამუშევრით: „პაროლი ჰგავს პირბადეს". მეორე ადგილის მფლობელი გახდა ლუკა კაცაძე - „არავის ენდო ბრმად". მესამე ადგილი კი ნოდარ კოპალეიშვილს ერგო - „დაფიქრდი სანამ გაქრება".

საქართველოს ეროვნული ბანკისა და საქართველოს საკომუნიკაციო სააგენტოების ასოციაციის [ACAG] მიერ ერთობლივი კიბერუსაფრთხოების თემაზე ჩატარებული პრინტ კონკურსის მთავარი მიზანიც საბანკო/საფინანსო ინფორმაციის უსაფრთხოების შესახებ მოქალაქეების ცნობიერების ამაღლება იყო. კონკურსის მონაწილეებმა შექმნეს საინფორმაციო პოსტერები, რომლებიც მოქალაქეებს



საკუთარი პერსონალური და საბანკო/საფინანსო ინფორმაციის გაცემისას სიფრთხილისაკენ მოუწოდებდა. ნამუშევრები თბილისის ქუჩებსა და პარტნიორ მედია არხებში განთავსდა.

ნიჭიერი სტუდენტების მხარდასაჭერად საქართველოს ეროვნულმა ბანკმა კვლევითი ნაშრომების კონკურსი - „ახალგაზრდა ეკონომისტები“ - გამოაცხადა. მისი მიზანი, ახალგაზრდების კვლევით საქმიანობაში ჩართვაა. საკვლევი თემატიკა ეროვნული ბანკისათვის განსაკუთრებით აქტუალურ სფეროებსა და მიმართულებებს შეეხება, მათ შორის ფინანსური სტაბილურობის, მონეტარული პოლიტიკისა და სტატისტიკის საკითხებს. კონკურსი მიზნად ისახავს, თავის მხრივ ხელი შეუწყოს ცენტრალური ბანკებისათვის მნიშვნელოვანი თემების სიღრმისეულ შესწავლის საქმეს. კონკურსი, სიმბოლურად, ბანკირის დღეს გამოცხადდა. ბანკირთა პროფესიული დღე პირველი ქართული ბანკის – „სათავადაზნაურო ბანკის“ დაარსების 125 წლისთავისა და 8 ნოემბერს, მისი დამაარსებლისა და პირველი ხელმძღვანელის, ილია ჭავჭავაძის დაბადების 163-ე წლისთავთან დაკავშირებით 2001 წლიდან აღინიშნება. გამარჯვებულ კანდიდატებს შესაძლებლობა მიეცემათ, საქართველოს ეროვნულ ბანკში 3-თვიანი ანაზღაურებადი სტაჟირება გაიარონ და ეროვნული ბანკის ექსპერტების დახმარებით მკაფიოდ ჩამოაყალიბონ საბაკალავრო/სამაგისტრო თემის მიზანი, ამოცანა, გადაჭრის გზები, მიიღონ და მოაგროვონ მონაცემები.

გაძლიერდა და გაღრმავდა თანამშრომლობა საერთაშორისო მედიასთან. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია ავტორიტეტული საერთაშორისო გამოცემა Central Banking-ი, სადაც პერიოდულად ქვეყნდება ინფორმაციები ეროვნული ბანკის მიერ გატარებული ღონისძიებების შესახებ. ასევე, აღსანიშნავია, მსოფლიოს ავტორიტეტული გამომცემლობის Financial Times-ის ფინანსური გამოცემა The Banker-ი, სადაც ეროვნული ბანკის პრეზიდენტის, კობა გვენეტაძის სტატია გამოქვეყნდა.

გამჭვირვალობა ეროვნული ბანკის ერთ-ერთი პრიორიტეტია. სწორედ ამ მიზნით, ეროვნული ბანკი პერიოდულ გამოცემებსა და თემატურ პუბლიკაციებს ამზადებს. ყოველთვიურად გამოიცემოდა - „თვის მიმოხილვა“, „მაკროეკონომიკური მიმოხილვა“ და „ყოველთვიური ბალანსები“, ასევე, ანალიტიკური ანგარიშები -„ფინანსური სექტორის ინდიკატორები“, „მიმდინარე მაკროეკონომიკური ინდიკატორები“, ყოველ კვარტალში - „მონეტარული პოლიტიკის ანგარიში“. ოპერატიულად ქვეყნდებოდა სტატისტიკური მონაცემები და მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის პრესრელიზები; გამოიცა წლიური ანგარიში (2020). გამოცემათა ელექტრონული ვერსიები ხელმისაწვდომია ბანკის ოფიციალურ ვებგვერდზე - https://nbg.gov.ge/publications.

საზოგადოებისთვის ეროვნული ბანკის თანამშრომლების გაცნობის მიზნით, სოციალურ მედიაში პერიოდულად ქვეყნდებოდა თანამშრომელთა პროფილები, სადაც მათი განათლებისა და პროფესიული გამოცდილების გარდა, ეროვნულ ბანკში მათი ინიციატივითა და

ჩართულობით განხორციელებული წარმატებული პროექტები იყო აღწერილი. ისტორიული და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის თარიღების აღსანიშნავად, რეგულარულად ქვეყნდებოდა შემეცნებითი და საინტერესო პოსტები - ქართული ფულის ისტორია, ნობელის ლაურეატები ეკონომიკაში და სხვა.

საერთაშორისო თანამშრომლობა

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გაწეულმა სამუშაომ, რაც ქვეყნის ეკონომიკის გრძელვადიან ზრდას უწყობს ხელს, საერთაშორისო აღიარება გასული წლების მსგავსად, 2021 წელსაც მოიპოვა. ამას არაერთი ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაცია ადასტურებს. კერძოდ, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკი, ევროპის საინვესტიციო ბანკი, აზიის განვითარების ბანკი, ევროპისა და რეკონსტრუქციის ბანკი, სარეიტინგო კომპანიები და სხვა.

აღსანიშნავია, რომ ავტორიტეტულმა საერთაშორისო გამოცემამ, Global Finance-მა, ეროვნული ბანკის პრეზიდენტი, ზედიზედ უკვე მეოთხედ, 2021 წლის ცენტრალური ბანკების საუკეთესო მმართველთა შორის დაასახელა. Global Finance-მა საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი თავის რეიტინგებში პირველად 2018 წელს ჩართო და ის, გასული სამი წლის მსგავსად, ცენტრალური ბანკის იმ მმართველთა სიაში მოხვდა, რომელთაც A და A- შეფასება მიიღეს. Global Finance-ის დაჯილდოება საერთაშორისო ფინანსურ საზოგადოებაში ფართოდაა აღიარებული და დაჯილდოებული პირებისა და ბანკების მაღალ რეპუტაციასა და წარმატებულ საქმიანობაზე მიუთითებს. ცენტრალური ბანკების მმართველების შეფასება ცენტრალური ბანკის მიერ გატარებული პოლიტიკის რამდენიმე მიმართულებას ეფუძნება.

საქართველოს ეროვნულ ბანკს ავტორიტეტული საერთაშორისო გამოცემა Central Banking-ის ორი ჯილდო გადაეცა - წლის საუკეთესო რისკ მენეჯერისა და ყველაზე გამჭვირვალე ცენტრალური ბანკის ნომინაციებში. გამჭვირვალობის ნომინაცია სამ მნიშვნელოვან კომპონენტს მოიცავს - განათლება, გამჭვირვალობა დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთობისას და კომუნიკაცია მრავალფეროვანი საკომუნიკაციო პლატფორმების მეშვეობით. დაჯილდოების ცერემონია, Central Banking-ის „საზაფხულო შეხვედრების" ღონისძიების ფარგლებში, ონლაინ ფორმატში, ივნისში გაიმართა, რომელშიც მონაწილეობას როგორც გამარჯვებული, საქართველოს ეროვნული ბანკიც იღებდა. Central Banking-ის დაჯილდოება საერთაშორისო ფინანსურ საზოგადოებაში ფართოდაა აღიარებული და მასში მონაწილე ბანკების მაღალ რეპუტაციასა და წარმატებულ საქმიანობაზე მიუთითებს.

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა საერთაშორისო ავტორიტეტული გამოცემა Central Banking-ის ასევე მეორე, Fintech & RegTech კონკურსშიც გაიმარჯვა და წლის საუკეთესო ფინტექ პოლიტიკის ჯილდო მოიპოვა, რომელიც ყოველწლიურად თანამედროვე ტექნოლოგიურ ინოვაციებზე ორიენტირებულ ცენტრალურ ბანკებს გადაეცემა. შესაბამისად, 2021 წელს ეროვნული ბანკისთვის Central Banking Awards-ის რიგით უკვე მესამე ჯილდოა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში BMatch პლატფორმის დანერგვისათვის Central Banking-მა ფინანსური ბაზრის ინფრასტრუქტურული მომსახურების ნომინაციაში გამარჯვება კომპანია Bloomberg-ს მიანიჭა. წამყვანი ფინანსური გამოცემის Central Banking-ის შეფასებით, Bloomberg-ისთვის ფინანსური ბაზრის ინფრასტრუქტურული მომსახურების ნომინაციაში გამარჯვების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობა სწორედ საქართველოს ეროვნული ბანკისა და აღნიშნული კომპანიის აქტიური და ნაყოფიერი თანამშრომლობაა.

2021 წელს საქართველოს ეროვნული ბანკი არაერთ საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობდა. კობა გვენეტაძე პრეზენტაციით

წარსდგა კოლუმბიის უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ კონფერენციაში, რომლის მთავარი თემა იყო - მონეტარული და ფისკალური პოლიტიკის გამოწვევები მცირე ზომის ღია ეკონომიკის მქონე ქვეყნებში. კონფერენციაში, რომელიც წელს ონლაინ ფორმატში წარიმართა, მონაწილეობდნენ ცენტრალური ბანკის მმართველები, ფინანსთა მინისტრები, ყოფილი ბანკირები, აკადემიური წრეებისა და ფინანსური სექტორის ლიდერები, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა სტამბოლის რიგით მეხუთე ეკონომიკურ სამიტზე მწვანე ეკონომიკისა და მდგრადი დაფინანსების მნიშვნელობასა და მისი განვითარების გზებზე დისკუსიაში მიიღო მონაწილეობა. სტამბოლის სამიტს ესწრებოდნენ მსოფლიო ბანკისა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მაღალი თანამდებობის პირები, ასევე, სხვადასხვა ქვეყნის ეკონომიკური პროფილის სამინისტროების ხელმძღვანელები, აკადემიური წრეების და კერძო სექტორის წარმომადგენლები. მსოფლიოში არსებული გამოწვევები და პერსპექტივები - ამ თემებზე სამსჯელოდ, სომხეთმა „მოაზროვნეთა სამიტს" (Summit of Minds) უმასპინძლა. ღონისძიებაში ერთ-ერთ მთავარ მომხსენებლად, სომხეთის პრეზიდენტის არმენ სარქისიანის მიწვევით, მონაწილეობა მიიღო საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა კობა გვენეტაძემ. შეხვედრას, რომელიც სომხეთის პრეზიდენტის უშუალო ჩართულობით გაიმართა, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

2021 წელს გაიმართა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) წლიური შეხვედრა და ბიზნეს ფორუმი. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი კობა გვენეტაძე ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა სესიაზე სპიკერად მიიწვია. ღონისძიება კაპიტალის ბაზრების განვითარების საკითხებს დაეთმო.

ეროვნული ბანკის ინიციატივითა და მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით გაიმართა სამუშაო შეხვედრა თემაზე: „როგორია გლობალური ეკონომიკური გამოწვევები და რა გავლენა აქვს ამ პროცესებს საქართველოს ეკონომიკაზე“. საქართველოს ეროვნული ბანკისა და მსოფლიო ბანკის ერთობლივ პრეზენტაციაზე მსოფლიო ბანკის 2021 წლის „გლობალური ეკონომიკური პერსპექტივების“ ანგარიში და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მომზადებული მიმოხილვა წარადგინეს. შეხვედრაზე მიწვეულმა ეკონომისტებმა, ფინანსისტებმა, დარგის ექსპერტებმა და მთავრობის, არასამთავრობო სექტორის და აკადემიური წრეების წარმომადგენლებმა გლობალურ ეკონომიკაში მიმდინარე მოვლენებსა და პერსპექტივებზე იმსჯელეს და ერთმანეთს გაუზიარეს შეხედულებები იმასთან დაკავშირებით, თუ რა გავლენა შეიძლება ჰქონდეს ამ პროცესებს საქართველოს ეკონომიკაზე. დისკუსიის დროს მსოფლიო ბანკის პერსპექტივების ჯგუფის დირექტორმა, აიჰან კოშემ მსოფლიო ბანკის „გლობალური ეკონომიკური პერსპექტივების“ 2021 წლის ივნისის ანგარიში წარადგინა. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ არასამთავრობო სექტორის, აკადემიური წრეებისა და საერთაშორისო ინსტიტუტების წარმომადგენლები.

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მდგრადი დაფინანსების ონლაინ ფორუმს უმასპინძლა. ღონისძიება საერთაშორისო საფინანსო კორპორაციასთან (IFC, მსოფლიო ბანკის ჯგუფის წევრი) და IFC-თან არსებულ მდგრად საბანკო და საფინანსო ქსელთან (SBFN) თანამშრომლობით და შვეიცარიის ეკონომიკურ საკითხთა სახელმწიფო სამდივნოს (SECO) მხარდაჭერით გაიმართა. ონლაინ ფორუმში მონაწილეობდნენ ევროპისა და ცენტრალური აზიის ცენტრალური ბანკები და ფინანსური ბაზრის მარეგულირებლები, SBFN-ის წევრი ქვეყნების წარმომადგენლები, IFC-ის ექსპერტები და სხვა დაინტერესებული მხარეები.

მოლდოვის ცენტრალური ბანკის 30 წლისთავისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე ეროვნული ბანკის პრეზიდენტი კობა გვენეტაძე სიტყვით გამოვიდა. საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, მოლდოვის ცენტრალური ბანკის ორგანიზებით, საერთაშორისო კონფერენცია - „პოსტპანდემიური ეკონომიკური გაჯანსაღება: რეალობა და პერსპექტივა“ - გაიმართა.

აღსანიშნავია, რომ წლის განმავლობაში საქართველოს ეროვნული ბანკის წარმომადგენლებმა მსოფლიოს მასშტაბით გამართულ არაერთ კონფერენციაში მიიღეს მონაწილეობა. შეხვედრების მთავარი თემა იყო COVID-19-ის პანდემიისას ცენტრალური ბანკების მიერ გატარებული ღონისძიებები, ფინანსური ინკლუზიურობა, მდგრადი დაფინანსება და სხვა.

მდგრადი განვითარება და სოციალური პასუხისმგებლობა

სოციალური პასუხისმგებლობის კონტექსტში, ეროვნული ბანკის მიზანია, პირადი მაგალითით და მაღალი სტანდარტების დაწესებით, დადებითი გავლენა მოახდინოს ფინანსურ სექტორსა და ეკონომიკაზე; წინ წამოწიოს ფართო საზოგადოებისთვის აქტუალური საკითხები; ბანკი ხელმძღვანელობს და ეყრდნობა გაეროს მდგრადი განვითარების დღის წესრიგს.

გლობალური ჩვიდმეტი მიზნიდან ეროვნული ბანკის ყურადღება მიმართულია შემდეგ მიზნებზე: 1. ხარისხიანი განათლება (#4), 2. გენდერული თანასწორობა (#5), 3. ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა (#8), 4. მრეწველობა ინოვაციები და ინფრასტრუქტურა (#9), 5. კლიმატის ცვლილების საწინააღმდეგო ქმედებები (#13), 6. მშვიდობა, სამართლიანობა, ძლიერი ინსტიტუტები (#16), 7. პარტნიორობა მიზნების მისაღწევად (#17).

2021 წელს საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მდგრადი განვითარების მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა. გაგრძელდა სოციალური პასუხისმგებლობის მოდელსა და სტრატეგიაზე მუშაობა, რომელიც შემდგომში სამწლიან სამოქმედო გეგმაში აისახება.

აღნიშნული CSR მოდელის მიხედვით, ბანკის საქმიანობა და აქტივობები ხუთ მიმართულებად არის დაჯგუფებული: 1) თანამშრომლები; 2) მართვა და კომუნიკაცია; 3) ბაზარი; 4) ფართო საზოგადოება; 5) გარემო.

1. თანამშრომლები

თანამშრომლები CSR-მოდელის შუაგულშია მოქცეული, როგორც ორგანიზაციის ცენტრალური, საყრდენი ძალა. თანამშრომელთა მიმართ ეროვნული ბანკის პასუხისმგებლობა და შესაბამისი ღონისძიებები ორად იყოფა:

- პროფესიული განვითარება - ადგილობრივი და საერთაშორისო ტრენინგები, კარიერული ზრდის, შეფასებისა და ანაზღაურების გამჭვირვალე სქემები.
- კეთილდღეობა - უსაფრთხო სამუშაო გარემო, დისტანციური მუშაობის შესაძლებლობა, ჯანმრთელობის დაზღვევა, სტრესის მართვისა და პიროვნული განვითარების სემინარები, თანამშრომელთა ფონდი, ეთიკის კომისია.

პროფესიული განვითარების კუთხით, წლის განმავლობაში თანამშრომლებისთვის ტარდებოდა ონლაინ ტრენინგები. ასევე ქოუჩინგ

სესიები, რომლებიც თანამშრომლების პროფესიულ განვითარებასა და მოტივაციის ამაღლებას ემსახურება.

ეროვნულ ბანკში 2019 წლიდან მოქმედებს თანამშრომელთა საქმიანობის მართვისა და შეფასების სისტემა, რომელიც თანამშრომელსა და მენეჯერს შორის გამჭვირვალე უკუკავშირს უწყობს ხელს. აღნიშნული სისტემა საშუალებას იძლევა თანამშრომლის საქმიანობა მიუკერძოებლად შეფასდეს და მისი შემდგომი წახალისების სამართლიანი საფუძველი გახდეს. 2021 წლის ბოლოს სისტემის ციფრული მოდული (Sap Success Factors) ამოქმედდა, რამაც პროცესი კიდევ უფრო მარტივი, ეფექტიანი და გამჭვირვალე გახადა.

რაც შეეხება თანამშრომელთა კეთილდღეობას, მათი ინტერესების დასაცავად ბანკში მუშაობს ეთიკის კომისია, რომელიც 2021 წლის მარტში ახალი შემადგენლობით დაკომპლექტდა. აღსანიშნავია, რომ კომისიის წევრები ბანკის ნდობით აღჭურვილი თანამშრომლებით არის დაკომპლექტებული. მათი არჩევა საყოველთაო ხმის მიცემით, ორი წლის ვადით მოხდა.

2021 წელს, პანდემიის პირობებში, ეროვნული ბანკის თანამშრომელთა უმეტესობა დისტანციურ სამუშაო რეჟიმში განაგრძობდა მუშაობას. ბიზნესის უწყვეტობის კომიტეტი, ეპიდვითარების სიმძიმის შესაბამისად, ადგენდა ბანკის ოფისებში ერთდროულად მომუშავე თანამშრომელთა მაქსიმალურ დონეს (15-30 პროცენტი). ბანკის ყველა ოფისი და საკასო ცენტრი მუდმივად აღჭურვილი იყო სადეზინფექციო და დამცავი საშუალებებით. თანამშრომლებს რეგულარულად უტარდებოდათ საგანგებო საინფორმაციო ტრენინგები უსაფრთხოების პროტოკოლის შესახებ. 2021 წლის ბოლოს სრულად ვაქცინირებულ თანამშრომელთა რაოდენობა 86 პროცენტს შეადგენდა.

2. მართვა და კომუნიკაცია

ეროვნული ბანკის საქმიანობა, ფინანსური სექტორის გარდა, სახელმწიფო და კერძო ინსტიტუტებსა და ორგანიზაციებს მოიცავს და საბოლოოდ, თითოეულ მოქალაქეს ეხება. გამომდინარე იქიდან, რომ ეროვნული ბანკის პოლიტიკა კომპლექსური, სპეციფიკური და, რიგ შემთხვევებში, წინააღმდეგობრივი და არაპოპულარულია, მით უფრო მნიშვნელოვანია მიღებული გადაწყვეტილებების ახსნა და საზოგადოებასთან ღია და უწყვეტი კომუნიკაცია. სწორედ ამას ემსახურება ეროვნული ბანკის რეგულარული, გამჭვირვალე ანგარიშგება (პირდაპირი ეთერები, პოსტები სოც.მედიით, პუბლიკაციები, კვლევითი ნაშრომები) და პროაქტიული, გეგმაზომიერი მედია-აქტივობა. ამასთან, მედიისა თუ საზოგადოების მხრიდან წამოჭრილ კითხვებზე ბანკი ოპერატიულად რეაგირებს.

2021 წლის განმავლობაში ეროვნულმა ბანკმა გამართა 4 მონეტარული პოლიტიკის ანგარიშის პირდაპირი ტრანსლაცია; ოპერატიულად აცნობდა საზოგადოებას ფინანსური სტაბილურობის კომიტეტის გადაწყვეტილებებს. ფართო საზოგადოებისთვის ინფორმაცია ხელმისაწვდომი იყო სოციალური მედიის საშუალებითაც.

ნიშანდობლივია, რომ ავტორიტეტულმა საერთაშორისო გამოცემა Central Banking-მა, ცენტრალურ ბანკებს შორის საქართველოს ეროვნულ ბანკი გამოარჩია და დააჯილდოვა, როგორც ყველაზე გამჭვირვალე ცენტრალური ბანკი.

მნიშვნელოვანი სიახლე იყო ეროვნული ბანკის ვებგვერდის სრული განახლება, რამაც დაინტერესებული მხარეებისთვის, მედიისა და ფართო საზოგადოებისთვის ინფორმაცია უფრო ხელმისაწვდომი და სტრუქტურირებული გახადა. აღსანიშნავია, რომ ვებგვერდი 2005 წლის შემდეგ პირველად განახლდა. ახალი ვერსია პასუხობს თანამედროვე ციფრულ მოთხოვნებს და მაქსიმალურად არის მორგებული მომხმარებელზე.

საზოგადოებასთან ანგარიშგების მიზნით, 2021 წელს საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მდგრადი განვითარების პირველი ანგარიში გამოაქვეყნა.

გარდა ამისა, წლიურ ანგარიშს დაემატა კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის (CSR) ბლოკი, სადაც თავმოყრილია ეროვნული ბანკის ნაბიჯები სოციალური პასუხისმგებლობის მიმართულებით.

დიდი ყურადღება ეთმობა ბანკის შიდა კომუნიკაციასაც. ეროვნული ბანკის თანამშრომლებს შორის მდგრადი განვითარებისა და სოციალური პასუხისმგებლობის თემების პოპულარიზაციისთვის შიდა საკომუნიკაციო ჟურნალს დაემატა საგანგებო რუბრიკა "ვისაუბროთ CSR-ზე", სადაც პერიოდულად ქვეყნდებოდა ინფორმაცია ბანკის მიერ განხორციელებულ ნაბიჯებსა და აქტუალურ საკითხებზე.

3. საზოგადოება

საზოგადოების მიმართ ეროვნული ბანკის პასუხისმგებლობა ორ მიმართულებად იყოფა: 1) პასუხისმგებლობა ფინანსური სექტორის მომხმარებელთა მიმართ; 2) პასუხისმგებლობა ფართო საზოგადოების მიმართ.

პასუხისმგებლობა მომხმარებელთა მიმართ გულისხმობს მომხმარებელთა უფლებების დაცვას, რომელსაც ეროვნული ბანკის ცალკე განყოფილება კურირებს. ასევე ეროვნული ბანკის საზრუნავია მომხმარებელთა ფინანსური განათლების ამაღლება და მათი ინფორმირება გახშირებულ კიბერსაფრთხეებზე.

კიბერუსაფრთხოების ცნობიერების ამაღლების მიზნით, 2021 წლის ოქტომბერში, ეროვნული ბანკის ინიციატივით, საქართველოში პირველად ჩატარდა ღონისძიება, რომელიც ერთი თვის მანძილზე გაგრძელდა და სხვადასხვა კონკურსითა და ვებინარებით საზოგადოების ფართო ნაწილი მოიცვა, სადაც 600-ზე მეტმა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა.

ეროვნულ ბანკში მოქმედებს სტაჟირების პროგრამა, რომელიც ეკონომიკური პროფილის სტუდენტებსა და დამწყებ სპეციალისტებს შესაძლებლობას აძლევს გაიღრმაონ ცოდნა და დარგის წამყვანი სპეციალისტებისგან მიიღონ რჩევები, რეკომენდაციები, რაც ფასდაუდებელი გამოცდილებაა მათთვის. სამთვიანი სტაჟირება ანაზღაურებადია, შერჩევის პროცესი კი - საჯარო და გამჭვირვალე. 2021 წელს სტაჟირების პროგრამაში 29 სტუდენტი ჩაერთო.

სხვადასხვა სამეცნიერო თუ შემოქმედებითი კონკურსები ფართო საზოგადოების ჩართულობას უწყობს ხელს. საკოლექციო მონეტებისათვის დიზაინის შერჩევა ღია კონკურსის წესით ტარდება. აღნიშნული მონეტები ღირსშესანიშნავ ეროვნულ და ისტორიული თემებს ეძღვნება. ეროვნულ ბანკს თავისი მოკრძალებული წვლილი შეაქვს ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და პოპულარიზაციის საქმეში. 2021 წელს ჯამში ხუთი საკოლექციო დანიშნულების მონეტა გამოიცა. თითოეული სხვადასხვა დარგში განსაკუთრებული დამსახურების მქონე ადამიანებს საჩუქრად გადაეცა. კონსტიტუციის 100 წლისთავს მიძღვნილი მონეტა პირველი კონსტიტუციის ხელმომწერთა შთამომავლებს გადაეცათ. დავით აღმაშენებლის ვერცხლის მონეტა დიდ ქართველ ენათმეცნიერს, მზექალა შანიძეს, ხოლო თამარ მეფის ოქროს მონეტა - ლეგენდარულ მოჭადრაკეს, ნონა გაფრინდაშვილს. აღსანიშნავია, რომ ნონა გაფრინდაშვილისთვის გადასაცემი მონეტის თანხა სრულად ეროვნული ბანკის თანამშრომლებმა შეაგროვეს.

წინასაახალწლოდ ეროვნული ბანკის თანამშრომლები სოციალურ აქციას შეუერთდნენ და მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს, მოხუცებს საახალწლო სურვილები აუსრულეს. თანამშრომლების საერთო ძალისხმევით, საახალწლო ნობათი და საჩუქრები ოცდაოთხმა ბავშვმა და თვრამეტმა ხანდაზმულმა ბენეფიციარმა მიიღო. თანხა გადაირიცხა ასევე ჰოსპისში „ფერიცვალება".

4. ბაზარი

ეროვნული ბანკი პასუხისმგებელია ფასებისა და საფინანსო სექტორის სტაბილურობაზე. უმაღლესი მარეგულირებელი ორგანოს რანგში ეროვნული ბანკი ზედამხედველობს საფინანსო სექტორს და აწესებს რეგულაციებს (ფინანსურ სერვისებზე

მისაწვდომობა, პასუხისმგებლიანი დაფინანსება). გარდა ამისა, ეროვნული ბანკი პასუხისმგებელია ფულადი ნიშნების ემისიასა და მიმოქცევაზე და ახალი ფინანსური ტექნოლოგიების განვითარებაზე.

2021 წელს, პანდემიის პირობებში, ეროვნული ბანკი შეუფერხებლად განაგრძობდა რეზერვების მართვას და ლიკვიდური ფულადი რესურსების მიწოდებას ბაზარზე; ლარის გადაჭარბებული მერყეობის შესარბილებლად პერიოდულად ახორციელებდა სავალუტო ინტერვენციებს. 2021 წელს ეროვნულმა ბანკმა საფინანსო სექტორს საზედამხედველო სტრატეგია წარუდგინა. ასევე ამოქმედდა სტრეს-ტესტის ინტერაქტიული ვებპლატფორმა, რომელიც კომერციული ბანკების ფინანსური მდგრადობის შეფასებას გაამარტივებს და ფინანსურ გამჭვირვალობას გააუმჯობესებს. ბაზარზე კონკურენციის დასარეგულირებლად ასევე შემუშავდა კონკურენციის პოლიტიკის მომწესრიგებელი აქტები.

ფინანსური ტექნოლოგიების განვითარების მიმართულებით 2021 წელს მნიშვნელოვანი იყო ღია ბანკინგის ამოქმედება; აქტიურ ფაზაში გადავიდა ციფრული ლარის პროექტზე მუშაობაც.

პრიორიტეტულ მიმართულებად რჩება მომხმარებელთა უფლებების დაცვა და საზოგადოების ფინანსურ განათლებაზე ზრუნვა. 2021 წელს ეროვნულმა ბანკმა დაამტკიცა მომხმარებელთა უფლებების დაცვის ახალი წესი, რომელიც ფინანსური სექტორის მომხმარებლის უფრო მეტ დაცულობას უზრუნველყოფს. წლის განმავლობაში ეროვნული ბანკი, საგანმანათლებლო პლატფორმა ფინედუსთან ერთად, ინტენსიურად მუშაობდა მომხმარებელთა ცნობიერების ამაღლებაზე. სებ-ის ინიციატივით, საქართველოში დაინერგა მომხმარებელთა უფლებების დაცვის დღე. ამ დღედ 15 მარტი დასახელდა; ინიციატივას ფინანსური სექტორიც შეუერთდა.

5. გარემო

2021 წელს პანდემიამ მსოფლიოში კლიმატისა და ეკოსისტემის ცვლილებისა და მდგრადი განვითარების თემები კიდევ უფრო აქტუალური გახადა და წინა ხაზზე წამოწია.

წლის დასაწყისში გაფორმდა რიგით მეორე ხელშეკრულება ეროვნულ ბანკსა და საერთაშორისო საფინანსო კორპორაციას (IFC) შორის, რომლის ფარგლებში IFC მხარს დაუჭერს ეროვნულ ბანკს მდგრადი დაფინანსების ჩარჩოს შემუშავებაში, მდგრადი ფინანსური პროდუქტების განვითარებასა და საქართველოში გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების მართვაში.

წლის განმავლობაში სებ-ი განაგრძობდა მდგრადი დაფინანსების მიმართულებით დაგროვილი გამოცდილების გაზიარებას როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ასპარეზზე.

2021 წელს ეროვნულმა ბანკმა მდგრადი საბანკო და საფინანსო ქსელის (SBFN) შეფასების სისტემის მოწინავე საფეხურზე გადაინაცვლა და სამუშაო ჯგუფის თანახელმძღვანელი გახდა.

სამომავლო ნაბიჯები

2021 წელს, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა, პანდემიის შეზღუდვების მიუხედავად, რამდენიმე მნიშვნელოვანი პროექტი განახორციელა CSR-ის მიმართულებით. მომდევნო წლებში ძალისხმევა მიმართული იქნება ამ ღონისძიებების მასშტაბის გაზრდასა და გაფართოებაზე. მათ შორის, თანამშრომელთა მოხალისეობის, ენერგოეფექტურობის ინიციატივების გააქტიურებასა და ექსპერტებთან თანამშრომლობის გაზრდაზე.

CSR სტრატეგიის განმტკიცების მიზნით, სამომავლოდ, კერძოდ, მომდევნო ორი წლის განმავლობაში განისაზღვრა შემდეგი: 2022-2024 წწ. სამოქმედო გეგმის დამტკიცება, საინფორმაციო კამპანია თანამშრომლების ცოდნის ასამაღლებლად, ფართო საზოგადოებისა და მედიისთვის ანგარიშგება სხვადასხვა პლატფორმაზე, მათ შორის, სოციალური მედიის, განახლებული ვებგვერდისა და წლიური ანგარიშის საშუალებით.

14

ადამიანური რესურსების მართვა და განვითარება

სტატისტიკური ინფორმაცია თანამშრომელთა რაოდენობის შესახებ

2021 წლის ბოლოს ეროვნულ ბანკში 552 თანამშრომელი იყო დასაქმებული, რომელთაგან 428 საჯარო მოხელეს წარმოადგენს. თანამშრომელთა საშუალო ასაკი 39 წელია. თანამშრომელთა მთლიანი რაოდენობის 52 პროცენტს ქალები შეადგენდნენ, ხოლო 48 პროცენტს - მამაკაცები. საგულისხმოა, რომ, სხვა ცენტრალურ ბანკებში დასაქმებულთა რაოდენობას თუ შევადარებთ, საქართველოს ეროვნული ბანკის თანამშრომელთა რაოდენობა (ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობის და რეგულატორის როლის და ფუნქციების გათვალისწინებით) ადეკვატურ დონეს ინარჩუნებს.

დიაგრამა N 14.1 ცენტრალურ ბანკებში დასაქმებულთა რაოდენობა[101]



წყარო: შესაბამისი ცენტრალური ბანკები და საქართველოს ეროვნული ბანკის გამოთვლები

თანამშრომელთა პროფესიული განვითარება

2021 წელი თანამშრომელთა პროფესიული განვითარების კუთხით საქართველოს ეროვნული ბანკისთვის არასტანდარტული იყო. ყველა სემინარი, რომელიც ევროპის ცენტრალური ბანკებისა და საფინანსო ორგანიზაციების მიერ იყო დაგეგმილი დისტანციურად ჩატარდა.

2021 წელს ეროვნული ბანკის 84-მა მოხელემ გაიარა სერტიფიცირებული „პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსი“. ასევე ბანკის 22 მენეჯერი დაესწრო „მენეჯერული უნარების კურსს“. ორივე ტრენინგი ჩატარდა დისტანციურად, „სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის“ ორგანიზებით და ტესტირების საფუძველზე შესაბამისი სერტიფიკატები გაიცა.

გარდა ზემოაღნიშნული ტრენინგებისა, ეროვნულ ბანკში სისტემატურად ხორციელდება სხვადასხვა დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ სასწავლო და გაცნობითი პრეზენტაციები,

101. დიაგრამაში ასახულია ცენტრალური ბანკები, რომლებიც, საქართველოს ეროვნული ბანკის მსგავსად, მონეტარული პოლიტიკის გატარებასთან ერთად, საბანკო სექტორს ზედამხედველობენ.

რაც ორგანიზაციის შიგნით ცოდნის გაზიარებას უწყობს ხელს.

ფინანსური სექტორის თანამშრომელთა პროფესიული განვითარება

საქართველოს ეროვნული ბანკი მუდმივად ზრუნავს არა მხოლოდ თავად ეროვნული ბანკის, არამედ მთლიანად საბანკო სექტორის თანამშრომელთა პროფესიულ განვითარებაზე. ამ მიზნით, ლუქსემბურგის საფინანსო ტექნოლოგიების გადაცემის კვლევითი სააგენტოს ექსპერტებმა, 2021 წელს დისტანციურად 3 ტრენინგი ჩაატარეს, რომელშიც მონაწილეობდნენ როგორც ეროვნული ბანკის, ასევე კომერციული ბანკების თანამშრომლები. ასევე აღნიშნული სააგენტოს ინიციატივით, საქართველოს ეროვნული ბანკისა და საფინანსო სექტორის წარმომადგენლები ელექტრონული სწავლების კურსებს დაესწრნენ.

დისტანციური სამუშაო რეჟიმი და HR პროცესების გაციფრულება

2021 წლის განმავლობაში ეროვნული ბანკი ნაწილობრივ დისტანციურად მუშაობდა.

დისტანციურ რეჟიმში მუშაობისას ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების მთავარი გამოწვევა გუნდური სულისკვეთების შენარჩუნება და შიდა კომუნიკაციების გაძლიერება იყო. შესაბამისად, ამ მიმართულებით დაიგეგმა და განხორციელდა არაერთი ონლაინ აქტივობა, როგორიცაა გუნდურობის ამაღლების ღონისძიებები, შეხვედრები ფსიქოლოგებთან და დარგის სპეციალისტებთან სამუშაო სტრესის შემცირების მიზნით და ა.შ.

გარდა ამისა, მოხდა განყოფილების ძირითადი საქმიანობის სრულად ადაპტირება დისტანციურ სამუშაო გარემოზე, როგორიცაა თანამშრომელთა შერჩევა, მათი ორიენტაცია-ადაპტაცია სამუშაო გარემოში, თანამშრომელთა ადმინისტრირება და საქმიანობის შეფასების სისტემა.

HR პროცესების გაციფრულების მიზნით, 2021 წელს ეროვნულ ბანკში დაინერგა SAP Success Factors-ის თანამშრომელთა საქმიანობის მართვის მოდული, რომლის მეშვეობით თანამშრომელთა საქმიანობის მართვა, მიზნების დასახვა და მისი შეფასება გაცილებით მოქნილი და ეფექტიანი გახდა.

აღნიშნული სისტემის მეშვეობით შეფასდა ეროვნული ბანკის 503 თანამშრომელი. გარდა ამისა, დაიწყო 360 გრადუსიანი უკუკავშირის სისტემის პილოტირება, რომელიც მენეჯერულ პოზიციაზე მყოფი თანამშრომლების კომპეტენციების შესაფასებლად გამოიყენება.



15

ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზის განვითარება

საქართველოს ეროვნული ბანკის იურიდიული დეპარტამენტი 2021 წელს საქმიანობას „საქართველოს ეროვნული ბანკის დებულებით“ განსაზღვრული ფუნქციებისა და საქმიანობის ძირითადი მიმართულებების შესაბამისად წარმართავდა. 2021 წელს საქართველოს ეროვნული ბანკის ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზის განვითარების და სრულყოფა-განახლების პროცესი აქტიურად გრძელდებოდა.

დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდების ფლობის მარეგულირებელი კანონმდებლობის რეფორმა

საქართველოს ეროვნული ბანკის ავტორობით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან თანამშრომლობით, შემუშავდა „დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდების ფლობის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი და მისგან გამომდინარე ცვლილებები. საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი 2021 წელს ინიციირებულ იქნა საქართველოს პარლამენტში და დაიწყო მისი საკომიტეტო განხილვები.

კანონპროექტი ითვალისწინებს დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდების ფლობასა და მიმოქცევასთან დაკავშირებული ურთიერთობების მოწესრიგებას. ამ ტიპის ფასიანი ქაღალდები არსებობს მხოლოდ ფასიანი ქაღალდების ანგარიშზე ჩანაწერის სახით. ისინი თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარების შედეგად გაჩნდა, რომლის დამსახურებითაც აღარაა საჭირო ფასიანი ქაღალდების მატერიალური ფორმით ფლობა ან მათი რეგისტრაცია. შესაბამისად, აუცილებელია, კანონმდებლობა გვთავაზობდეს მათ მომწესრიგებელ რეგულირებას და, პირველ რიგში, ნათლად იყოს დადგენილი მათზე საკუთრების უფლებების, მისი დადასტურების და გადაცემის საკითხები.

ამ სფეროს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად რეგულირება მნიშვნელოვანია შემდეგი მიზნების მისაღწევად:

- სამართლებრივი სიცხადის უზრუნველყოფა;
- საკუთრების უფლებების დაცვის უკეთესი გარანტიების შექმნა;
- ინვესტორთა დაცულობის ხარისხის გაზრდა;
- კანონმდებლობაში არსებული ხარვეზების აღმოფხვრა და დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდების (მათ შორის, სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების) ფლობასთან დაკავშირებული ყველა საკითხის ერთი აქტით მოწესრიგება;
- საერთო ჯამში, კაპიტალის ბაზრის განვითარებისთვის ხელშეწყობა.

კონკურენციის რეგულირება ფინანსურ სექტორში

2021 წელს „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე მნიშვნელოვანი სამართლებრივი აქტები გამოიცა. „ბაზრის ანალიზისა და კონცენტრაციის შესახებ შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2021 წლის 28 მაისის N68/04 და „კონკურენციის შესაძლო დარღვევასთან დაკავშირებული საქმის მოკვლევის, საჩივრის/განცხადების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2021 წლის 28 მაისის N67/04 ბრძანებების შემუშავების მიზანი საკანონმდებლო მოთხოვნებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება იყო. მითითებული ბრძანებებით დადგინდა ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებები, შეფასების კრიტერიუმები და პარამეტრები, ასევე, კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების წარდგენისა და განხილვის შესაბამისი პროცედურული წესები და ეროვნული ბანკის მიერ კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების განხილვის, საქმის მოკვლევის, ბაზრის მონიტორინგის და სხვა სახის პროცედურული საკითხები, რომელიც წარმოების პროცესებში გამოიყენება, აგრეთვე განისაზღვრება ეროვნული ბანკის საზედამხედველო უფლებამოსილების ფარგლებში, ზედამხედველობას დაქვემდებარებული შესაბამისი პირების მიერ კონკურენციის შესაძლო დარ-

ღვევის თაობაზე საქმის მოკვლევის, საჩივრისა და განცხადების განხილვის წესი. აღსანიშნავია, რომ ეროვნულმა ბანკმა „ბაზრის ანალიზისა და კონცენტრაციის შესახებ შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესი“ პრაქტიკაში მალევე გამოიყენა და სწორედ მის საფუძველზე სს „კრედო ბანკისა" (ს/ნ: 205232238) და სს „ფინკა ბანკი საქართველოს" (ს/ნ: 205235262) შორის განსახორციელებელი კონცეტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობა[102] შეაფასა.

მომხმარებელთა უფლებების დაცვის ახალი წესი

დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ ძალაში შევიდა „ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2021 წლის 9 მარტის №32/04 ბრძანება, რომლის მიზანია კანონმდებლობის ეტაპობრივი დაახლოება ევროკავშირის კანონმდებლობასა და საერთაშორისო სამართლებრივ ინსტრუმენტებთან, კერძოდ, სამომხმარებლო კრედიტის სფეროში - 2008 წლის 23 აპრილის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2008/48/EC დირექტივასთან მომხმარებელთა საკრედიტო შეთანხმებების შესახებ[103] და ფინანსური მომსახურების სფეროში - 2002 წლის 23 სექტემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2002/65/EC დირექტივასთან მომხმარებლის ფინანსური მომსახურების დისტანციური მარკეტინგის შესახებ[104]. აღნიშნული გამომდინარეობს ერთი მხრივ - საქართველოსა და მეორე მხრივ - ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების თანახმად, საქართველოს მიერ აღებული ვალდებულებიდან. ამასთან, საფინანსო სექტორის არსებული მდგომარეობის და საქართველოს ეროვნულ ბანკში მომხმარებელთა მიერ დაფიქსირებული მიმართვების შესწავლის და ანალიზის საფუძველზე, ბრძანება მიზნად ისახავს მომხმარებელთა უფლებების დაცვის დამატებითი გარანტიების შექმნას, ბაზარზე კონკურენციის ხელშეწყობასა და სამართლიანი პრაქტიკის დანერგვას.

საბანკო ზედამხედველობა

2021 წელს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ შემუშავდა და ძალაში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები კანონქვემდებარე აქტებში. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2021 წლის 19 მარტის №40/04 ბრძანებით ცვლილება შევიდა „კომერციული ბანკის ლიკვიდაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 16 მარტის №46/04 ბრძანებაში, კერძოდ, განისაზღვრა მოუკითხავი თანხების დაბრუნებასთან დაკავშირებული საკითხები. დამატებით, ლიკვიდაციასთან დაკავშირებული პროცესების ერთიან სამართლებრივ აქტში კონსოლიდირებისა და ეფექტიანად გამოყენებისთვის ლიკვიდაციის წესში ინტეგრირდა ლიკვიდაციის პროცესთან დაკავშირებული სამართლებრივი ნორმები და ძალადაკარგულად გამოცხადდა ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2003 წლის 23 მაისის №119 ბრძანებით დამტკიცებული „კომერციული ბანკის გადახდისუუნაროდ და გაკოტრებულად გამოცხადდეს წესი“.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2021 წლის 19 ოქტომბრის №147/04 ბრძანებით ცვლილება შევიდა „კომერციული ბანკების მიერ პილარ 3-ის ფარგლებში ინფორმაციის გამჟღავნების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2017 წლის 22 ივნისის №92/04 ბრძანებაში. განხორციელებული ცვლილება ითვალისწინებს

102. დეტალურად ეროვნული ბანკის გადაწყვეტილება იხილეთ შემდეგ ბმულზე: https://nbg.gov.ge/fm/uploads/sazedamxedvelo_politika/brdzaneba.pdf
103. Directive 2008/48/EC of the European Parliament and of the Council of 23 April 2008 on credit agreements for consumers and repealing Council Directive 87/102/EEC (https://eur-lex.europa.eu/legal-content/en/TXT/?uri=CELEX:32008L0048).
104. Directive 2002/65/EC of the European Parliament and of the Council of 23 September 2002 concerning the distance marketing of consumer financial services and amending Council Directive 90/619/EEC and Directives 97/7/EC and 98/27/EC (https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/ALL/?uri=celex%3A32002L0065).

კომერციული ბანკების მიერ საქმიანობის გამჭვირვალობის გაუმჯობესებისა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასთან დაახლოების მიზნით აღნიშნული ბრძანებით დამტკიცებულ წესში ახალი ცხრილის დამატებას, რომელიც საცალო პროდუქტებზე ზოგად და ხარისხობრივ ინფორმაციას მოიცავს.

ამასთან, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2021 წლის 1 ივნისის №70/04 ბრძანებით ამავე ბრძანებაში შევიდა ცვლილება, რის შედეგადაც დაზუსტდა გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი (ESG) საკითხების გამჟღავნების მოთხოვნა და აღნიშნული ინფორმაციის გამჟღავნების ფორმა. დამატებით, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2021 წლის 1 ივნისის №69/04 ბრძანებით ცვლილება შევიდა „კომერციული ბანკების კორპორაციული მართვის კოდექსის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 26 სექტემბრის №215/04 ბრძანებაში, რომლის მიზანიც ფინანსური სტაბილურობის უზრუნველსაყოფად კომერციული ბანკების საქმიანობაში გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი (ESG) საკითხების სათანადო ინტეგრირება, ESG რისკების ეფექტიანი მართვა და ESG საკითხების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნების გაუმჯობესების ხელშეწყობაა.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2021 წლის 9 თებერვლის №17/04 ბრძანებით ასევე შეიცვალა საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 26 სექტემბრის №215/04 ბრძანებით დამტკიცებული კომერციული ბანკების კორპორაციული მართვის კოდექსი. ცვლილებები ემსახურება სამეთვალყურეო საბჭოს, აუდიტის, რისკების და ანაზღაურების კომიტეტების გაძლიერებას და ითვალისწინებს ანაზღაურების პოლიტიკის მარეგულირებელ საკითხებს, სამეთვალყურეო საბჭოს უფლება-მოვალეობებს, საბჭოს დამოუკიდებელი წევრობის სტატუსის ვადას, კომიტეტების შემადგენლობასა და ფუნქციებთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს. ამასთან, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2021 წლის 21 ივნისის №80/04 ბრძანებით, კომერციული ბანკების ვალდებულებების მხარეს დედოლარიზაციის ღონისძიებების გააქტიურებისთვის დამატებითი სტიმულირების მექანიზმების შემოღების საჭიროებიდან გამომდინარე, ცვლილება შევიდა „კომერციული ბანკების მიერ მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების დაცვის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2011 წლის 11 თებერვლის №10/04 ბრძანებაში, რომლის თანახმად, უცხოური ვალუტით მოზიდული სახსრებისთვის მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების ნორმა ინდივიდუალურად, ცალკეული კომერციული ბანკისთვის, დეპოზიტების დოლარიზაციის მიხედვით განისაზღვრება.

ცვლილება ფიზიკური პირის დაკრედიტების შესახებ დებულებაში

ასევე მნიშვნელოვანია, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2021 წლის 17 დეკემბრის №176/04 ბრძანებით შესული ცვლილება „ფიზიკური პირის დაკრედიტების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 13 მარტის №44/04 ბრძანებაში. აღნიშნული ცვლილებით უცხოური ვალუტის იპოთეკური სესხების მაქსიმალური ვადა 15-დან 10 წლამდე შემცირდა, ვინაიდან 2021 წლის აპრილიდან, ეკონომიკის აღდგენისა და მონეტარული პოლიტიკის გამკაცრების პარალელურად, უცხოური ვალუტის იპოთეკური სესხების ზრდა დაჩქარდა. უცხოური ვალუტის იპოთეკური სესხების მაქსიმალური ვადის შემცირება აღნიშნულ მოწყვლადობებს შეამსუბუქებს და მსესხებლებისთვის სტრესის შთანთქმის უნარს სესხების დაგრძელვადიანების შესაძლებლობით გაზრდის, რაც ეფექტიანად იქნა გამოყენებული მიმდინარე პანდემიის დროსაც. ასევე, ვადიანობის შემცირება სესხების ამორტიზაციას დააჩქარებს, რაც საკრედიტო რისკებს შეამცირებს და ხელს შეუწყობს დედოლარიზაციას.

არასაბანკო ზედამხედველობა

2021 წელს ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზა დაიხვეწა არასაბანკო ზედამხედველობის კუთხითაც. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2021 წლის 14 ივლისის №98/04 ბრძანებით ცვლილება შევიდა „ვალუტის გადამცვლელი პუნქტების რეგისტრაციისა და რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 28 თებერვლის №37/04 ბრძანებაში, რომლის მიზანსაც საქართველოს ეროვნული ბანკის საზედამხედველო უფლებამოსილების უფრო მეტად ეფექტიანად განხორციელება წარმოადგენს. აღნიშნული ცვლილებით, ტერმინთა განმარტებას, მეტი სიცხადისათვის დაემატა „მნიშვნელოვანი წილის“ და „ერთობლივად მოქმედ პარტნიორთა/აქციონერთა ჯგუფის“ დეფინიციები, გადამუშავდა ვალუტის გადამცვლელი პუნქტის რეგისტრაციის/რეგისტრაციის გაუქმების მარეგულირებელი ნორმები, ასევე დადგინდა ვალუტის გადამცვლელი პუნქტის რეგისტრაციის მსურველი იურიდიული პირის შემთხვევაში - ამ პირის მიერ ნასამართლობის ცნობის წარდგენის ვალდებულება. დაზუსტდა ვალუტის გადამცვლელი პუნქტის ვიდეომეთვალყურეობის სისტემასთან დაკავშირებული მოთხოვნები და ა.შ.

ამასთან, „სესხის გამცემი სუბიექტის საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის, რეგისტრაციის გაუქმებისა და რეგულირების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 27 სექტემბრის №217/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2021 წლის 14 ივლისის №99/04 ბრძანებით ცვლილებები შევიდა სესხის გამცემი სუბიექტის რეგისტრაციის მარეგულირებელ დებულებებში, კერძოდ, სარეგისტრაციო მოთხოვნებს დაემატა საოპერაციო ფართის ინტერიერისა და ექსტერიერის ამსახველი ფოტომასალის წარდგენის ვალდებულება; სესხის გამცემი სუბიექტის რეგისტრაციის მსურველი იურიდიული პირის შემთხვევაში, განისაზღვრა ამ პირის ნასამართლობის ცნობის წარდგენის ვალდებულება. ხოლო, პასუხისმგებლობის გადანაწილების უზრუნველყოფის მიზნით, იმ დაინტერესებული იურიდიული პირებისათვის, რომელთაც ჰყავთ მხოლოდ ერთი აქციონერი/პარტნიორი, რომელიც ამავდროულად იურიდიული პირის დირექტორიცაა, სავალდებულო მოთხოვნად მეორე დირექტორის ყოლა განისაზღვრა. ზემოაღნიშნული ცვლილებებით, ასევე დაზუსტდა მოთხოვნები სარეგისტრაციო მონაცემების ცვლილებასთან დაკავშირებით. დაზუსტდა/გაფართოვდა სესხის გამცემ სუბიექტად რეგისტრაციაზე უარის თქმის, რეგისტრაციის გაუქმების საფუძვლები და სესხის გამცემი სუბიექტის ვიდეომეთვალყურეობის სისტემასთან დაკავშირებული მოთხოვნები, მათ შორის, ცალსახად განისაზღვრება სესხის გამცემი სუბიექტის ვალდებულება, რომ არ განახორციელოს საქმიანობა წესის მოთხოვნების შესაბამისად დამონტაჟებული დაცვის საგანგაშო ღილაკისა და ვიდეომეთვალყურეობის სისტემის გამართული ფუნქციონირების გარეშე. გარდა აღნიშნულისა, საქართველოს ეროვნული ბანკი სესხის გამცემი სუბიექტის შემოწმების ფარგლებში, უფლებამოსილი იქნება, განახორციელოს ვიდეომეთვალყურეობის სისტემით ვიდეოჩაწერის შედეგად მიღებული ელექტრონული ინფორმაციის შესაბამისი ჩანაწერის ამოღება. ბრძანებით გათვალისწინებული სიახლეა ნორმა, რომელიც არეგულირებს სესხის გამცემი სუბიექტის საოპერაციო რისკების მართვის საკითხებს, მათ შორის, ადგენს ვალდებულებებს და განსაზღვრავს მოთხოვნებს შესაბამისი რისკების მატერიალიზების თავიდან აცილების მიზნით.

საკრედიტო რეესტრი

საქართველოს ეროვნული ბანკის საზედამხედველო ფუნქციების ეფექტური განხორციელების, კომერციული ბანკებისთვის ანგარიშგების ტვირთის შემსუბუქებისა და საკრედიტო რეესტრის მონაწილე სხვა სესხის გამცემი ორგანიზაციებისთვის სავალდებულო ანგარიშგების ეფექტური და მარტივი გზით წარ-

მოდგენის შესაძლებლობის შექმნის მიზნით, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2021 წლის 6 ივლისის №88/04 ბრძანებით დამტკიცდა „საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ საკრედიტო რეესტრის შექმნისა და მისი გამოყენების წესი“.

ფასიანი ქაღალდების ბაზრის ზედამხედველობა და საინვესტიციო ფონდები

2021 წელს გამოიცა კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები და ცვლილებები შევიდა ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ კანონმდებლობის ჭრილშიც. ფასიანი ქაღალდების ბაზრის მონაწილეთათვის ეთიკისა და პროფესიული ქცევის სტანდარტების შემუშავების საჭიროებიდან გამომდინარე, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2021 წლის 2 თებერვლის №13/04 ბრძანებით დამტკიცდა „საბანკო და ფასიანი ქაღალდების ბაზრის მონაწილეების ეთიკის პრინციპებისა და პროფესიული ქცევის კოდექსი“, რომლითაც ჩანაცვლდა საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 9 ივლისის №154/04 ბრძანება „ეთიკის პრინციპებისა და პროფესიული ქცევის სტანდარტების კოდექსი კომერციული ბანკებისთვის“. კოდექსით განსაზღვრული პრინციპები და სტანდარტები ეფუძნება სერტიფიცირებულ ფინანსურ ანალიტიკოსთა (CFA) ინსტიტუტის მიერ განსაზღვრულ ეთიკის პრინციპებსა და პროფესიული ქცევის სტანდარტების ჩარჩოს, რომელიც ფინანსურ ბაზარზე საყოველთაოდ აღიარებული და მიღებული სახელმძღვანელო სტანდარტებია. კოდექსის მიღების მიზანია, უზრუნველყოს კომერციული ბანკების, საბროკერო კომპანიებისა და აქტივების მმართველი კომპანიების, აგრეთვე მათ საქმიანობაში ჩართული პირების ეთიკური ქცევა, ასევე, ფინანსურ ბაზრებზე ეთიკისა და პროფესიონალიზმის საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტების დამკვიდრება, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს საბანკო სექტორისა და ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეპუტაციის ამაღლებას, გაზრდის მომხმარებელთა ნდობას, უზრუნველყოფს ინვესტორთა ნდობის ამაღლებასა და საბანკო და ფასიანი ქაღალდების ბაზრების სტაბილურ და ეფექტიან ფუნქციონირებას.

„ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონში საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტების კუთხით განხორციელებულმა ცვლილებებმა ცხადყო, რომ აუცილებელი იყო კორპორაციული მართვის კოდექსის შემუშავება, რომელიც უფრო ნათლად და მკაფიოდ ასახავდა იმ ორგანიზაციულ მოთხოვნებს, რომლებსაც საწარმოები უნდა აკმაყოფილებდნენ. აღნიშნული მიზნიდან გამომდინარე, შემუშავდა „საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტებისათვის კორპორაციული მართვის კოდექსის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2021 წლის 7 დეკემბრის N172/04 ბრძანება.

ამასთან, ცვლილება შევიდა „აქტივების მმართველი კომპანიის ლიცენზირების, რეგისტრაციის, აღიარებისა და რეგულირების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 22 სექტემბრის №167/04 ბრძანებასა და „საინვესტიციო ფონდის ავტორიზაციის, რეგისტრაციის, აღიარებისა და რეგულირების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 22 სექტემბრის №170/04 ბრძანებაშიც და განისაზღვრა საგამონაკლისო რეგულირება. კერძოდ, რისკზე დაფუძნებული მიდგომის საფუძველზე, ეროვნულ ბანკს უფლება ექნება განახორციელოს აქტივების მმართველი კომპანიის ლიცენზირება/რეგისტრაცია/აღიარება და საინვესტიციო ფონდის ავტორიზაცია/რეგისტრაცია/აღიარება ბრძანებებით დადგენილი დოკუმენტების/ინფორმაციის სრულყოფილად წარმოდგენის გარეშე და საჭიროების შემთხვევაში, ის აღნიშნული ინფორმაციის/დოკუმენტების წარმოდგენის ვადას დაადგენს.

ცვლილება ასევე შევიდა „საბანკო დაწესებულებებში ანგარიშების გახსნის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს

ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2011 წლის 7 აპრილის №24/04 ბრძანებაში და „კომერციული ბანკების სტანდარტული სადეპოზიტო სერტიფიკატების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2012 წლის 3 მაისის №49/04 ბრძანებაში. ცვლილებები შეეხო სსიპ საპენსიო სააგენტოს მომსახურე სპეციალიზებული დეპოზიტარის მიერ ნომინალური მფლობელობის ანგარიშის გახსნასა და აღნიშნული ანგარიშის მეშვეობით სსიპ საპენსიო სააგენტოს ან აქტივების მმართველი კომპანიის მიერ გახსნილ ვადიან დეპოზიტთან დაკავშირებული ანგარიშსწორების შესაძლებლობას, ასევე, სსიპ საპენსიო სააგენტოს ან საპენსიო აქტივების მმართველი კომპანიის მიერ სადეპოზიტო სერტიფიკატის ფლობასა და მასთან დაკავშირებულ ანგარიშსწორებას.

ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის მარეგულირებელი კანონმდებლობა

2021 წელს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ საქართველოს ეროვნული ბანკის ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზის განვითარებისა და სრულყოფა-განახლების მიზნით მნიშვნელოვანი იყო „ანგარიშვალდებული პირის მიერ პრევენციული ღონისძიებების ელექტრონულად განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2021 წლის 30 მარტის N48/04 ბრძანება, რომლის საფუძველზეც განისაზღვრა კლიენტთან ან/და კლიენტის სახელით მოქმედ პირთან უშუალო კონტაქტის გარეშე, იდენტიფიკაციის/ვერიფიკაციის ელექტრონულად განხორციელების წესები საქართველოს ეროვნული ბანკის ზედამხედველობას დაქვემდებარებული ანგარიშვალდებული პირებისათვის. ბრძანებით დადგენილია ელექტრონულად განხორციელებული იდენტიფიკაციის/ვერიფიკაციის დროს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის მიზნით გასატარებელი მინიმალური ღონისძიებები. ბრძანება არეგულირებს საქართველოს ეროვნული ბანკის უფლებამოსილებას ანგარიშვალდებული პირის მიერ ელექტრონული იდენტიფიკაციის/ვერიფიკაციის პროცესის დანერგვის მიმართულებით, ასევე ანგარიშვალდებული პირის მიერ ინფორმაციის განახლებასთან, ელექტრონული იდენტიფიკაციის/ვერიფიკაციის პროცესის განხორციელებასა და შეწყვეტასთან დაკავშირებულ საკითხებს.

გარდა ამისა, განხორციელდა რიგი ცვლილები ეროვნული ბანკის სამართლებრივი აქტების „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონთან და მის საფუძველზე სსიპ - საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ გამოცემულ სამართლებრივ აქტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. ბრძანებებში ცვლილებებმა მოიცვა როგორც ტერმინოლოგიური შინაარსის ცვლილებები, ასევე, ცალკეული რეგულაციების გამოყენებით პრაქტიკაში არსებული ხარვეზების გასწორება. აღნიშნული ცვლილებები, თავის მხრივ, ემსახურება ეროვნული ბანკის მიერ ფინანსური ინსტიტუტების მიმართ ეფექტური AML/CFT ზედამხედველობის განხორციელებას.

ამასთან, შემუშავდა „კომერციული ბანკების ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის შესაბამისობის კონტროლის სისტემის ზედამხედველობის კითხვარის შევსებისა და ინფორმაციის წარმოდგენის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2021 წლის 23 ივნისის N83/04 ბრძანება, რომლის მიზანია კომერციული ბანკების მიერ შემუშავებული პოლიტიკა-პროცედურების ექსპერტიზის პროცესის ეფექტურობის ამაღლება. აღნიშნული ბრძანებით გათვალისწინებული კითხვარის შევსების შედეგად, კომერციული ბანკები წარმოადგენენ დეტალურ ინფორმაციას კონტროლის პროცედურების შესახებ, რომელიც ორგანიზაციის მასშტაბით ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების რისკების მართვას უზრუნველყოფს.

ცვლილებები ჯარიმების დაკისრების წესებში

ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების დარღვევისთვის, ისევე როგორც მომხმარებელთა უფლებების დაცვის მარეგულირებელი კანონმდებლობისა და ფიზიკური პირის დაკრედიტების შესახებ დებულებების დარღვევისათვის ფულადი ჯარიმის დაკისრების კუთხით, ცვლილებები შევიდა ჯარიმების დაკისრების მარეგულირებელ შესაბამის აქტებში.

ინფორმაციის კონფიდენციალურად მიჩნევისა და მისი გაცემის წესები

2021 წელს ასევე გამოქვეყნდა „ინფორმაციის კონფიდენციალურად მიჩნევის, მისი გაცემის წესისა და კონფიდენციალური ინფორმაციის ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს 2021 წლის 1 ნოემბრის N4 დადგენილება, რომელიც წინა დადგენილებასთან შედარებით რამდენიმე მნიშვნელოვან ცვლილებას ითვალისწინებს: დაზუსტდა კონფიდენციალური ინფორმაციის კატეგორიები და მათი საქმისწარმოების წესი, ცალკე გამოიყო კონფიდენციალურ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის მუხლი და დეტალურად გაიწერა, თუ ვისთვის არის ხელმისაწვდომი ამ თუ იმ კატეგორიის კონფიდენციალური ინფორმაცია და სხვ.

16

სტატისტიკური საქმიანობა

2021 წლის განმავლობაში, COVID-19 პანდემიის შედეგად გამოწვეული გლობალური შეფერხებების მიუხედავად, ეროვნული ბანკის სტატისტიკური საქმიანობა წარმატებით მიმდინარეობდა. მომხმარებლების ინტერესებზე მორგებული რამდენიმე პროექტი წარმატებით განხორციელდა და შემდგომი გეგმების ხორცშესხმის მიზნით ტექნიკური ბაზა მომზადდა.

სტატისტიკური მონაცემებისა და მეტამონაცემების გაცვლის (SDMX) თანამედროვე ფორმატის დანერგვასთან დაკავშირებით, 2020-2021 წლების განმავლობაში მოსამზადებელი სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობდა. საერთაშორისო სავალუტო ფონდის სტატისტიკის დეპარტამენტის რეკომენდაციით, აღნიშნული პროექტის ფარგლებში, ეროვნულ მონაცემთა ერთიანი გვერდი (NSDP) თანამედროვე სტანდარტების გათვალისწინებით მომზადდა და საქართველოს ეროვნული ბანკის ვებგვერდზე განთავსდა[105]. საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურთან და საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან მჭიდრო თანამშრომლობით, NSDP გვერდის თითოეული ინდიკატორისთვის, მონაცემების განზოგადების მიზნით დროითი მწკრივები მომზადდა. ასევე, შემუშავდა დროითი მწკრივების SDMX ფორმატში კონვერტირებისთვის საჭირო მექანიზმი და ამჟამად განახლებულ ვებგვერდზე მათი განთავსება პერიოდულად ხორციელდება.

2021 წლის განმავლობაში კომერციული ბანკებიდან, მიკროსაფინანსო და სადაზღვევო ორგანიზაციებიდან შეგროვებული ფინანსური და სტატისტიკური მონაცემების ანალიზი რეგულარულად მიმდინარეობდა, რაც ფინანსურ ინსტრუმენტებზე განხორციელებული ტრანზაქციების ხარისხის გაუმჯობესებას ისახავდა მიზნად. მონაცემთა ვიზუალიზაციისა და ანალიზის თანამედროვე პლატფორმის Tableau-BI გარემოში, ნაკადების და ნაშთების მონაცემებზე საბალანსო იგივეობის კონტროლის მექანიზმი მომზადდა. ზემოაღნიშნულმა გარემოებამ, ნაკადებზე ფინანსური ანგარიშის წარმოების მყარი საფუძველი შექმნა. შესაბამისად, Tableau-BI გარემოში ნაკადებზე ფინანსური ანგარიშის ინტერაქტიული საინფორმაციო დაფა მომზადდა და ამჟამად მონაცემებზე დაკვირვება სატესტო რეჟიმში ხორციელდება. 2022 წლის მიწურულს ნაკადებზე ფინანსური ანგარიშის ვებგვერდზე გამოქვეყნება იგეგმება.

2015 წელს, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა სტატისტიკური ბიზნეს პროცესის ეფექტურად წარმართვისთვის, ფინანსური და სტატისტიკური მონაცემების მოპოვების, დამუშავების, შენახვისა და გავრცელების სისტემა „სებსტატი“ დანერგა. საქართველოს ეროვნული ბანკი მუდმივად ზრუნავს „სებსტატის“ სისტემაში შეგროვებული მონაცემების ხარისხსა და უტყუარობაზე. სწორედ ამ მიზნით, 2021 წელს საქართველოში რეგისტრირებული მოქმედი იურიდიული პირების ერთიანი ბაზის წარმოება დაიგეგმა, რაც შეგროვებული ფინანსური მონაცემების სარწმუნოობის ხარისხის გაზრდის საშუალებას იძლევა. აღნიშნულ პროექტზე მუშაობა კვლავაც გრძელდება. ასევე, „სებსტატის“ სისტემაში ინსტიტუციური სექტორების არსებული კოდების გადახედვა და მოდერნიზება მიმდინარეობს და გარდა ამისა, ეკონომიკური საქმიანობის სახეების მე-2 რედაქციის სტანდარტის შესაბამისად კლასიფიკატორის ცვლილება და ფინანსური სექტორიდან უფრო დეტალური მონაცემების შეგროვება იგეგმება.

2021 წლის მე-4 კვარტალში, სებ-მა მონაცემთა ვიზუალიზაციისა და ანალიზის პლატფორმაზე მონაცემთა მართვის (Data Management) ფუნქციონალი დანერგა. აღნიშნული ფუნქციონალის გამოყენებით, შესაძლებელი გახდა მონაცემთა ვიზუალიზაციისა და ანალიზის თანამედროვე პლატფორმაში განსაკუთრებით დიდი მოცულობის მონაცემების დამუშავებისათვის და ტრანსფორმაციისათვის, ეგრეთ წოდებულ ETL[106]

105. განახლებული ეროვნულ მონაცემთა გავრცელების ერთიანი გვერდი (NSDP) ხელმისაწვდომია ბმულზე: https://nbg.gov.ge/en/page/nsdp

მექანიზმის ინსტრუმენტის აქტიური გამოიყენება. აღნიშნული მექანიზმის გამოყენებით ვებგვერდზე განთავსებული ანალიტიკური მიმოხილვების ცხრილების მოსამზადებელი პროცესი გამარტივდა და ავტომატიზებული გახდა.

ასევე, აქტიურად მზადდება და შიდა სერვერზე მოხმარებისთვის ქვეყნდება მონაცემთა ETL ნაკადების მზა პროდუქტები, რომელთა გამოყენებით სხვადასხვა დანიშნულების ანგარიშგებების მომზადების პროცესი დაჩქარდება. ასევე,

დიაგრამა N 16.1 დეპოზიტური კორპორაციების მიმოხილვის ETL ნაკადის შემოკლებული ილუსტრაცია



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მონაცემთა ერთიანი ბაზის (Big Data) შექმნის მიზნით მოსამზადებელი სამუშაოები დაიგეგმა.

2021 წელს, სებ-ის ვებგვერდზე, სტატისტიკის სექციაში რამდენიმე სტატისტიკური ანგარიში დაემატა. მათ შორის აღსანიშნავია, რომ 2021 წლამდე საქართველოს ეროვნული ბანკის ვებგვერდზე განთავსებულ სესხებისა და დეპოზიტების ინტერაქტიულ ანგარიშებში მოცემული სტატისტიკური მონაცემები მხოლოდ 2015 წლის ნოემბრიდან იყო ხელმისაწვდომი. მომხმარებლებიდან მიღებული თხოვნის საფუძველზე, 2021 წელს ჩატარდა სამუშაოები წინა წლების მონაცემების დამუშავების მიზნით, განახლდა ინტერაქტიული ანგარიშები და ამჟამად სესხებისა და დეპოზიტების ფინანსურ ინსტრუმენტებზე სტატისტიკური მონაცემები 2003 წლიდან არის ხელმისაწვდომი. სებ-მა საერთაშორისო მოგზაურობიდან მიღებული შემოსავალების შესახებ სტატისტიკური მონაცემების გამოქვეყნება დაიწყო, სადაც მონაცემები ქვეყნების მიხედვით არის ხელმისაწვდომი.

აგრეთვე, კომერციული ბანკების ანგარიშგების სამსახურის თხოვნის გათვალისწინებით მომზადდა ყოველთვიური (FIM) მონაცემების საბალანსო იგივეობის კონტროლის და ფულად გზავნილებზე მონაცემების ანალიზის მექანიზმები. შემუშავდა შესაბამისი ინტერაქტიული ანგარიშები, რომლებიც კომერციული ბანკების ანგარიშ-

106. ETL (Extract, Transform, Load) - ზოგადი პროცედურა სხვადასხვა წყაროდან (MS SQL, MS Excel და ა.შ.) მონაცემების შემოტანის, გარდაქმნის და საჭირო ფორმატში შენახვის შესახებ.

გების სამსახურის თანამშრომლებისთვის უკვე ხელმისაწვდომია.

2021 წელს ფულადი გზავნილების, სავალუტო ბაზრის და ვებგვერდზე გამოქვეყნებული სხვა ინტერაქტიული ანგარიშგებების გადახედვა განხორციელდა. რიგ ანგარიშგებებზე მონაცემთა ფილტრაციის მექანიზმი დაიხვეწა და წარმადობა გაუმჯობესდა. ასევე, წარმატებით მიმდინარეობს მონაცემთა ყოველდღიური მაჩვენებლების (FID) ოჯახის წარმოება, შემუშავდა მონაცემთა კონტროლის და ვალიდაციის ინსტრუმენტები. აღნიშნულ FID მონაცემებზე მომზადებულ ანგარიშებს საბანკო სისტემაში მიმდინარე ყოველდღიური დინამიკის შეფასებისა და ანალიზის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი დატვირთვა გააჩნია.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის სტატისტიკის დეპარტამენტის ინიციატივით, ფინანსური სტაბილურობის ინდიკატორების (FSI) შეგროვების პროცესის მიგრაცია დაიწყო, რომელიც 2019 წლის მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით ახალი ცხრილების დანერგვას გულისხმობს. აქამდე ჩვენ მიერ წარმოებული FSI ცხრილები 2006 წლის მეთოდოლოგიას ეფუძნებოდა. აღნიშნული ინიციატივის საპასუხოდ, ახალი მეთოდოლოგიის შესწავლისა და დანერგვის მიმართულებით მნიშვნელოვანი მოსამზადებელი სამუშაოები ტარდება, რომლის ფარგლებშიც ახალი ინდიკატორების დაანგარიშებისთვის საჭირო მონაცემები შეგროვდა და დამუშავდა. შეიცვალა არსებული მიდგომები და შემუშავდა FSI ახალი ცხრილების ინტერაქტიული სამუშაო ვერსიები. მეთოდოლოგიის ცვლილებასთან ერთად, საერთაშორისო სავალუტო ფონდის სტატისტიკის დეპარტამენტმა FSI მონაცემების შეგროვების, ვალიდაციისა და გავრცელების პროცედურები შეცვალა, რამაც საჭირო გახადა არსებული მონაცემთა მწკრივების ახალი ცხრილების შესაბამისად გადაანგარიშება. საერთაშორისო სავალუტო ფონდის ექსპერტებთან აქტიური თანამშრომლობით გადაანგარიშებული ისტორიული მონაცემები დაზუსტდა. სებ-ის ვებგვერდზე განახლებული FSI ცხრილების გამოქვეყნება 2022 წლის მე-2 კვარტალშია დაგეგმილი.

საქართველოს ეროვნული ბანკი მუდმივად ზრუნავს საკუთარ მომხმარებლებისთვის მაღალი სანდოობის სტატისტიკური მონაცემების მიწოდებაზე. პერიოდულად ამზადებს სხვადასხვა შინაარსისა და დატვირთვის თანამედროვე ინტერაქტიულ ანგარიშებს, რომელთა გამოყენებით მომხმარებელს შეუძლია საკუთარი შეხედულებით განახორციელოს მონაცემთა ფილტრაცია და მიიღოს მისთვის სასურველი შედეგი როგორც ვიზუალურ, ასევე ცხრილის ფორმატში. 2021 წელს მონეტარული სტატისტიკის განყოფილება ინფორმაციის დამუშავებისა და სტანდარტიზაციის თანამედროვე ტექნოლოგიების SDMX–ის დანერგვაში იყო ჩართული, რაც წარმატებით განხორციელდა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის მოწონება დაიმსახურა.



17

ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრით
დასრულებული წლისათვის

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში
2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე **297**

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა **298-300**

ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის:

მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 301-302
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 303-304
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 305-306
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 307-308
ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები 309-367

საქართველოს ეროვნული ბანკი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში
2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს საქართველოს ეროვნული ბანკის (,,ბანკი") ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი საოპერაციო საქმიანობის შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალში ცვლილებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (,,ფასს") შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამის, საიმედო, შესადარის და აღქმად ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა ბანკის ფინანსურ მდგომარეობასა და ფინანსურ შედეგებზე; და
- ბანკის მიერ საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით მუშაობის გაგრძელების უნარის შეფასებაზე.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ბანკში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომლებიც წარმოადგენენ და განმარტავენ ბანკის ოპერაციებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფენ ბანკის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ფინანსური ანგარიშგების ფასს-ის მოთხოვნებთან შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და საქართველოში მიღებული ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების (ფასს) შესაბამისად;
- ბანკის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების თავიდან აცილებასა და აღმოჩენაზე.

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს მიერ დამტკიცებულია გამოსაცემად 2022 წლის 18 აპრილს.

ბანკის საბჭოს სახელით:

საბჭოს თავმჯდომარე

კობა გვენეტაძე

ფინანსებისა და ბუღალტრული აღრიცხვის დეპარტამენტის უფროსი
ანდრია მანელაშვილი

შპს „KPMG Georgia“
ჯი ემ თი პლაზა, სართული 5
მთაწმინდის რაიონი, თავისუფლების მოედანი , N4, (ნაკვ.66/4)
თბილისი, საქართველო 0105
ს/კ 404437695
ტელეფონი: +995 322 93 5713
ინტერნეტი: www.kpmg.ge

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ საქართველოს ეროვნული ბანკის (შემდგომში „ბანკი“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების, კაპიტალში ცვლილებების და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე თანდართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ბანკის ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულად ნაკადებს იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის -„აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ ბანკისგან ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა (დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტების ჩათვლით) (ბესსს-ის ეთიკის კოდექსი) და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ საქართველოში ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისათვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სხვა ინფორმაციაზე. სხვა ინფორმაცია მოიცავს წლიური ანგარიშის შემადგენელ ინფორმაციას, თუმცა არ მოიცავს მასში შემავალ ფინანსურ ანგარიშგებას და აუდიტის დასკვნას.

ჩვენი დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს სხვა ინფორმაციას და ჩვენ არ გამოვთქვავთ არავითარ რწმუნებას მასზე.

ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით, ჩვენი პასუხისმგებლობა განისაზღვრება იმით, რომ გავეცნოთ სხვა ინფორმაციას, რათა, განვიხილოთ, არის თუ არა სხვა ინფორმაცია არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ცოდნასთან, ან არის თუ არა სხვაგვარად არსებითად უზუსტო.

შპს „KPMG Georgia“, კომპანია რეგისტრირებული საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, KPMG-ის დამოუკიდებელი წევრი ფირმების გლობალური ორგანიზაციის წევრი ფირმა, რომელიც ერთიანდება გარანტიით შეზღუდულ კერძო ინგლისურ კომპანიაში KPMG International Limited.

იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ მიერ ჩატარებული სამუშაოს საფუძველზე, სხვა ინფორმაციაში არსებით უზუსტობას აღმოვაჩენთ, ჩვენ გვაქვს ამ ფაქტის მოხსენების ვალდებულება. ამ თვალსაზრისით, ჩვენ არაფერი აღმოგვიჩენია.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებითი უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ბანკის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ბანკის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად ბანკის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა როდესაც ხელმძღვანელობას განსაზღვრული აქვს ბანკის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან ბანკის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორთა პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენს მიზანია მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, თანდართული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა შეცდომით ან თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებულებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ს შესაბამისად, აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

– ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ბანკის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

– ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

– დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად ბანკის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ბანკის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ბანკი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი სუბიექტი.

– ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

გარიგების პარტნიორი, რომლის შედეგადაც მოცემული დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა გაიცა, არის:

ვახტანგ კეჟერაძე

შპს „KPMG Georgia“
თბილისი, საქართველო
18 აპრილი, 2022 წელი

მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასი ლარი)

	შენიშვნები	დასრულებული წლისათვის 31 დეკემბერი 2021	დასრულებული წლისათვის 31 დეკემბერი 2020
საპროცენტო შემოსავალი საერთაშორისო რეზერვების მართვის ოპერაციებიდან			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები		1,014	1,663
ინვესტიციები რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით		65,088	123,329
სხვა		535	1,221
		66,637	**126,213**
საპროცენტო შემოსავალი მონეტარული პოლიტიკის ოპერაციებიდან			
მოთხოვნები რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტების მიმართ		275,850	230,220
ინვესტიციები რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით		110,004	75,496
უარყოფითი საპროცენტო ხარჯი ფინანსურ ვალდებულებებზე		17,478	4,617
		403,332	**310,333**
სხვა საპროცენტო შემოსავალი			
ინვესტიციები ამორტიზირებული ღირებულებით		13,906	17,290
უარყოფითი საპროცენტო ხარჯი ფინანსურ ვალდებულებებზე		300	19
სხვა		20	3
		14,226	**17,312**
სულ საპროცენტო შემოსავალი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით		**484,195**	**453,858**
საპროცენტო ხარჯი მონეტარული პოლიტიკის ოპერაციებიდან			
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები		(5,639)	(5,495)
ვალდებულებები რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტების მიმართ		(53,026)	(41,092)
		(58,665)	**(46,587)**
სხვა საპროცენტო ხარჯები			
ვალდებულებები საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიმართ		(19,857)	(12,602)
ვალდებულებები კლიენტების მიმართ		-	(5,212)
საპროცენტო ხარჯები საიჯარო ვალდებულებებზე		(58)	(112)
უარყოფითი საპროცენტო შემოსავალი ფინანსურ აქტივებზე (საერთაშორისო რეზერვები)		(4,240)	(2,802)
		(24,155)	**(20,728)**
სულ საპროცენტო ხარჯი		**(82,820)**	**(67,315)**
წმინდა საპროცენტო შემოსავალი		**401,375**	**386,543**
გაუფასურების აღდგენა/(ხარჯი)	28	202	(32)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი გაუფასურების შემდეგ		**401,577**	**386,511**
წმინდა მოგება/(ზარალი) უცხოური ვალუტით განხორციელებული ოპერაციებიდან:			
-საკურსო სხვაობებიდან		(259,086)	680,748
-სავაჭრო ოპერაციებიდან		68,336	(22,978)
გასამრჯელო და საკომისიო შემოსავლები	4	3,439	4,280
გასამრჯელო და საკომისიო ხარჯები	4	(3,067)	(3,836)

მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნეს თანდართულ შენიშვნებთან ერთად, რომლებიც ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (გაგრძელებული)
(ათასი ლარი)

	შენიშვნები	დასრულებული წლისათვის 31 დეკემბერი 2021	დასრულებული წლისათვის 31 დეკემბერი 2020
წმინდა რეალიზებული მოგება ფინანსური ინსტრუმენტებიდან, რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით		7,607	38,283
წმინდა რეალიზებული მოგება ფინანსური ინსტრუმენტებიდან, რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით		13,694	23,009
წმინდა არარეალიზებული მოგება/(ზარალი) ფინანსური ინსტრუმენტებიდან, რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით		14,036	(7,571)
სხვა შემოსავლები	5	2,406	1,890
არასაპროცენტო (ხარჯი)/შემოსავალი		**(152,635)**	**713,825**
თანამშრომლებზე გაწეული ხარჯები	6	(31,155)	(28,303)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	6	(12,580)	(10,640)
ფულის ბეჭდვის ხარჯი		(25,128)	(16,848)
ცვეთა და ამორტიზაცია	6	(7,657)	(6,240)
სხვა ხარჯები		(1,093)	(930)
არასაპროცენტო ხარჯი		**(77,613)**	**(62,961)**
წლის მოგება		**171,329**	**1,037,375**
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი)			
მუხლები, რომლებიც შეიძლება შემდგომში რეკლასიფიცირებულ იქნას მოგებაში ან ზარალში:			
წმინდა არარეალიზებული (ზარალი)/მოგება წლის განმავლობაში იმ ფინანსური ინსტრუმენტების გადაფასებიდან, რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით		(117,890)	69,591
წმინდა რეალიზებული ზარალი ფინანსური ინსტრუმენტებიდან, რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, რომლებიც რეკლასიფიცირდა მოგებაში ან ზარალში		(7,607)	(38,283)
სულ სხვა სრული (ზარალი)/შემოსავალი		**(125,497)**	**31,308**
სულ წლის სრული შემოსავალი		**45,832**	**1,068,683**

ფინანსური ანგარიშგება, რომელიც წარმოდგენილია 5-დან 71-ე გვერდებზე, დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2022 წლის 18 აპრილს და ხელმოწერილია ბანკის საბჭოს სახელით:

საბჭოს თავმჯდომარე

კობა გვენეტაძე

ფინანსებისა და ბუღალტრული აღრიცხვის
დეპარტამენტის უფროსი
ანდრია მანელაშვილი

მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნეს თანდართულ შენიშვნებთან ერთად, რომლებიც ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასი ლარი)

	შენიშვნები	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
აქტივები:			
აქტივები დენომინირებული უცხოურ ვალუტაში			
საერთაშორისო რეზერვები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	7	3,623,929	3,602,487
SDR-ის ანგარიში საერთაშორისო სავალუტო ფონდში	9	1,506,927	697,227
წარმოებულ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული აქტივები	10	14,235	13,989
ინვესტიციები შეფასებული რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით	11	329,975	177,163
ინვესტიციები შეფასებული რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით	12	7,759,488	8,323,015
სხვა აქტივები დენომინირებული უცხოურ ვალუტაში			
სხვა აქტივები	17	8	986
		13,234,562	**12,814,867**
აქტივები დენომინირებული ეროვნულ ვალუტაში			
მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტები			
მოთხოვნები რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტებისს მიმართ	8	3,147,015	3,214,170
წარმოებულ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული აქტივები	10	3,864	1,318
ინვესტიციები შეფასებული რეალურიღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით	12	1,649,777	1,168,338
სხვა აქტივები დენომინირებული ეროვნულ ვალუტაში			
ინვესტიციები შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით	13	161,461	201,661
გამოყენების უფლების სახით არსებული აქტივი იჯარის მიხედვით	14	387	1,232
ძირითადი საშუალებები	15	57,297	55,529
არამატერიალური აქტივები	16	5,446	4,856
სხვა აქტივები	17	4,586	11,380
		5,029,833	**4,658,484**
სულ აქტივები		**18,264,395**	**17,473,351**

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნეს თანდართულ შენიშვნებთან ერთად რომელიც განუყოფელი ნაწილია ფინანსური ანგარიშგებისა.

საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (გაგრძელებული)
(ათასი ლარი)

	შენიშვნები	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
ვალდებულებები და კაპიტალი:			
ვალდებულებები:			
უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ვალდებულებები			
მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტები			
ვალდებულებები რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	18	5,120,817	5,480,533
სხვა ვალდებულებები დენომინირებული უცხოურ ვალუტაში			
ვალდებულებები რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	18	224,018	103,071
ვალდებულებები საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართ	19	788,312	788,928
ვალდებულებები საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიმართ	9	2,945,597	1,898,473
სხვა ვალდებულებები	17	3,485	6,203
		9,082,229	**8,277,208**
ეროვნულ ვალუტაში დენომინირებული ვალდებულებები			
მიმოქცევაში გაშვებული ფული	21	4,589,034	4,661,427
მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტები			
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	22	59,124	59,273
ვალდებულებები რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	18	444,053	524,949
სხვა ვალდებულებები დენომინირებული ეროვნულ ვალუტაში			
ვალდებულებები საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართ	19	894,785	661,984
ვალდებულებები კლიენტების მიმართ	20	605	1,394
ვალდებულებები საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიმართ	9	2,620	2,315
სხვა ვალდებულებები	17	366,951	9,579
		6,357,172	**5,920,921**
სულ ვალდებულებები		**15,439,401**	**14,198,129**
კაპიტალი:			
საწესდებო კაპიტალი	23	15,000	15,000
სარეზერვო ფონდი	23	754,750	475,292
უცხოური ვალუტის გადაფასების რეზერვი	23	2,095,648	2,354,734
სხვა გადაფასების რეზერვი	23	14,036	-
რეალური ღირებულებით შეფასებული სხვა სრულ შემოსავალში ასახვით ინვესტიციების გადაფასების რეზერვი	23	(54,440)	71,057
გაუნაწილებელი მოგება	23	-	359,139
სულ კაპიტალი		**2,824,994**	**3,275,222**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		**18,264,395**	**17,473,351**

ფინანსური ანგარიშგება, რომელიც წარმოდგენილია 5-დან 71-ე გვერდებზე, დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2022 წლის 18 აპრილს და ხელმოწერილია ბანკის საბჭოს სახელით:

საბჭოს თავმჯდომარე

კობა გვენეტაძე

ფინანსებისა და ბუღალტრული აღრიცხვის დეპარტამენტის უფროსი
ანდრია მანელაშვილი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნეს თანდართულ შენიშვნებთან ერთად, რომლებიც ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასი ლარი)

	საწესდებო კაპიტალი	სარეზერვო ფონდი	უცხოური ვალუტის გადაფასების რეზერვი	სხვა გადაფასების რეზერვი	რეალ. ღირ. შეფ. სხვა სრულ შემოს. ასახ. ინვესტიციების გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
1 იანვარი 2020	**15,000**	**475,292**	**1,673,986**	**2,512**	**39,749**	**100,000**	**2,306,539**
სულ სრული შემოსავალი							
წლის მოგება	-	-	-	-	-	1,037,375	1,037,375
სხვა სრული შემოსავალი							
მუხლები, რომლებიც შეიძლება შემდგომში რეკლასიფიცირდეს მოგებაში ან ზარალში:							
წმინდა არარეალიზებული მოგება რეალური ღირებულებით შეფასებული სხვა სრულ შემოსავალში ასახვით ინვესტიციების გადაფასებიდან წლის განმავლობაში	-	-	-	-	69,591	-	69,591
წმინდა რეალიზებული ზარალი რეალური ღირებულებით შეფასებული სხვა სრულ შემოსავალში ასახვით ინვესტიციებიდან, რომლებიც რეკლასიფიცირდა მოგებაში ან ზარალში	-	-	-	-	(38,283)	-	(38,283)
სულ სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-	31,308	-	31,308
სულ წლის სრული შემოსავალი	**-**	**-**	**-**	**-**	**31,308**	**1,037,375**	**1,068,683**
კაპიტალში პირდაპირ ასახული ოპერაციები							
საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთვის გადარიცხვა 2019 წლის მოგებიდან კანონის* მოთხოვნების შესაბამისად (შენიშვნა 23)	-	-	-	-	-	(100,000)	(100,000)
უცხოური ვალუტის გადაფასების რეზერვში გადატანა კანონის* მოთხოვნების შესაბამისად (შენიშვნა 23)	-	-	680,748	-	-	(680,748)	-
სხვა გადაფასების რეზერვში გადატანა კანონის* მოთხოვნების შესაბამისად (შენიშვნა 23)	-	-	-	(2,512)	-	2,512	-
სულ კაპიტალში პირდაპირ ასახული ოპერაციები	**-**	**-**	**680,748**	**(2,512)**	**-**	**(778,236)**	**(100,000)**
31 დეკემბერი 2020	**15,000**	**475,292**	**2,354,734**	**-**	**71,057**	**359,139**	**3,275,222**

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნეს თანდართულ შენიშვნებთან ერთად, რომლებიც ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

საქართველოს ეროვნული ბანკი

კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (გაგრძელებული)
(ათასი ლარი)

	საწესდებო კაპიტალი	სარეზერვო ფონდი	უცხოური ვალუტის გადაფასების რეზერვი	სხვა გადაფასების რეზერვი	რეალ. ღირ. შეფ. სხვა სრულ შემოს. ასახ. ინვესტიციების გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
სულ სრული შემოსავალი							
წლის მოგება	-	-	-	-	-	171,329	171,329
სხვა სრული შემოსავალი							
მუხლები, რომლებიც შეიძლება შემდგომში რეკლასიფიცირდეს მოგებაში ან ზარალში:							
წმინდა არარეალიზებული ზარალი რეალური ღირებულებით შეფასებული სხვა სრულ შემოსავალში ასახვით ინვესტიციების გადაფასებიდან წლის განმავლობაში	-	-	-	-	(117,890)	-	(117,890)
წმინდა რეალიზებული ზარალი რეალური ღირებულებით შეფასებული სხვა სრულ შემოსავალში ასახვით ინვესტიციებიდან, რომლებიც რეკლასიფიცირდა მოგებაში ან ზარალში	-	-	-	-	(7,607)	-	(7,607)
სულ სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-	(125,497)	-	(125,497)
სულ წლის სრული შემოსავალი	**-**	**-**	**-**	**-**	**(125,497)**	**171,329**	**45,832**
კაპიტალში პირდაპირ ასახული ოპერაციები							
საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთვის გადარიცხვა 2020 წლის მოგებიდან, კანონის* მოთხოვნების შესაბამისად (შენიშვნა 23)	-	-	-	-	-	(140,000)	(140,000)
საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთვის განაწილება 2021 წლის მოგებიდან, კანონის* მოთხოვნების შესაბამისად (შენიშვნა 23)	-	-	-	-	-	(356,060)	(356,060)
გადატანა სარეზერვო ფონდში 2020 წლის მოგებიდან, კანონის* მოთხოვნების შესაბამისად (შენიშვნა 23)	-	219,139	-	-	-	(219,139)	-
გადატანა სარეზერვო ფონდში 2021 წლის მოგებიდან, კანონის* მოთხოვნების შესაბამისად (შენიშვნა 23)	-	60,319	-	-	-	(60,319)	-
უცხოური ვალუტის გადაფასების რეზერვში გადატანა, კანონის* მოთხოვნების შესაბამისად (შენიშვნა 23)	-	-	(259,086)	-	-	259,086	-
გადატანა სხვა გადაფასების რეზერვში, კანონის* მოთხოვნების შესაბამისად (შენიშვნა 23)	-	-	-	14,036	-	(14,046)	-
სულ კაპიტალში პირდაპირ ასახული ოპერაციები	**-**	**279,458**	**(259,086)**	**14,036**	**-**	**(530,469)**	**(496,060)**
31 დეკემბერი 2021	**15,000**	**754,750**	**2,095,648**	**14,036**	**(54,440)**	**-**	**2,824,994**

* საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ

ფინანსური ანგარიშგება, რომელიც წარმოდგენილია 5-დან 71-ე გვერდებზე, დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2022 წლის 18 აპრილს და ხელმოწერილია ბანკის საბჭოს სახელით:

საბჭოს თავმჯდომარე

კობა გვენეტაძე

ფინანსებისა და ბუღალტრული აღრიცხვის
დეპარტამენტის უფროსი
ანდრია მანელაშვილი

კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნეს თანდართულ შენიშვნებთან ერთად, რომლებიც ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასი ლარი)

	შენიშვნები	დასრულებული წლისათვის 31 დეკემბერი 2021	დასრულებული წლისათვის 31 დეკემბერი 2020
ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან:			
მიღებული პროცენტი		565,337	468,399
გადახდილი პროცენტი		(81,854)	(57,969)
მიღებული გასამრჯელო და საკომისიო		3,439	4,280
გადახდილი გასამრჯელო და საკომისიო		(3,067)	(3,836)
წმინდა მოგება რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივებისა, მოგებაში ან ზარალში ასახვით		13,694	23,009
წმინდა რეალიზებული მოგება/(ზარალი) უცხოური ვალუტით განხორციელებული სავაჭრო ოპერაციებიდან		68,336	(22,978)
სხვა მიღებული შემოსავალი		4,080	3,669
თანამშრომლებზე გადახდილი ხარჯები		(31,155)	(28,303)
ფულის ბეჭდვაზე გადახდილი ხარჯი		(25,128)	(16,848)
სხვა გადახდილი საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები		(12,803)	(11,569)
ფულადი სახსრების წმინდა შემოდინება საოპერაციო საქმიანობიდან, საოპერაციო აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებებამდე		**500,879**	**357,854**
წმინდა (ზრდა)/კლება საოპერაციო აქტივებში:			
მოთხოვნები რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტების მიმართ		68,929	(74,100)
SDR-ის ანგარიში საერთაშორისო სავალუტო ფონდში		(883,497)	(18,656)
წარმოებულ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული აქტივები		10,698	(15,379)
ინვესტიციები შეფასებული რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით		(174,052)	(2,805)
სხვა აქტივები		7,523	(5,966)
წმინდა ზრდა/(კლება) საოპერაციო ვალდებულებებში:			
მიმოქცევაში გაშვებული ფული		(72,394)	524,415
ვალდებულებები რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტების მიმართ		95,462	600,558
ვალდებულებები საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართ		316,291	(108,601)
ვალდებულებები კლიენტების მიმართ		(790)	(266,210)
სხვა ვალდებულებები		(469)	5,225
ფულადი სახსრების წმინდა (გადინება)/შემოდინება საოპერაციო საქმიანობიდან		**(131,420)**	**996,335**

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნეს თანდართულ შენიშვნებთან ერთად, რომლებიც ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

საქართველოს ეროვნული ბანკი

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (გაგრძელებული)
(ათასი ლარი)

	შენიშვნები	დასრულებული წლისათვის 31 დეკემბერი 2021	დასრულებული წლისათვის 31 დეკემბერი 2020
ფულადი სახსრების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობიდან:			
საინვესტიციო ქონების გაყიდვიდან მიღებული თანხები			
ძირითადი საშუალებების შესყიდვა		(7,208)	(4,659)
არამატერიალური აქტივების შესყიდვა		(2,557)	(1,472)
რეალური ღირებულებით შეფასებული სხვა სრულ შემოსავალში ასახვით ინვესტიციების შესყიდვა		(13,220,941)	(9,292,369)
რეალური ღირებულებით შეფასებული სხვა სრულ შემოსავალში ასახვით ინვესტიციების დაფარვით მიღებული შემოსავალი		12,630,788	9,481,094
ფულადი სახსრების წმინდა (გადინება)/შემოდინება საინვესტიციო საქმიანობიდან		**(599,918)**	**182,594**
ფულადი სახსრების მოძრაობა საფინანსო საქმიანობიდან:			
საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთვის თანხის გადარიცხვა	23	(140,000)	(100,000)
სავალო ფასიანი ქაღალდების გამოშვება		254,212	254,628
სავალო ფასიანი ქაღალდების დაფარვა		(254,912)	(274,961)
საერთაშორისო სავალუტო ფონდისგან თანხების მიღება	27	1,273,308	374,823
საერთაშორისო სავალუტო ფონდისთვის თანხების დაბრუნება		(10,962)	-
ფულადი სახსრების წმინდა მოძრაობა საფინანსო საქმიანობიდან		**1,121,646**	**254,490**
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტებისთვის უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი		(368,866)	455,520
წმინდა ზრდა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებში		21,442	1,888,939
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, წლის დასაწყისში	7	**3,602,487**	**1,713,548**
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტები, წლის ბოლოს	7	**3,623,929**	**3,602,487**

ფინანსური ანგარიშგება, რომელიც წარმოდგენილია 5-დან 71-ე გვერდებზე, დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2022 წლის 18 აპრილს და ხელმოწერილია ბანკის საბჭოს სახელით:

საბჭოს თავმჯდომარე

კობა გვენეტაძე

ფინანსებისა და ბუღალტრული აღრიცხვის დეპარტამენტის უფროსი
ანდრია მანელაშვილი

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნეს თანდართულ შენიშვნებთან ერთად, რომლებიც ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

1. ორგანიზაცია

საქართველოს ეროვნული ბანკი (შემდგომში ,,ბანკი") წარმოადგენს საქართველოს ცენტრალურ ბანკს და საქართველოს მთავრობის ბანკირსა და ფისკალურ აგენტს. იგი საკუთარ საქმიანობას ახორციელებს ,,საქართველოს ეროვნული ბანკის" შესახებ საქართველოს ორგანული კანონის საფუძველზე, რომელიც ძალაში შევიდა 2009 წლის 1 დეკემბერს (შემდგომში ,,კანონი").

ბანკის ძირითადი ამოცანა და პასუხისმგებლობა ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფა, ფინანსური სექტორის სტაბილურობა და ეფექტურობა, ეროვნული ვალუტის ემისია და საერთაშორისო რეზერვების მართვაა. ეს პასუხისმგებლობები განიხილება ქვემოთ აღწერილი ფუნქციების შემადგენელ ნაწილად.

მონეტარული პოლიტიკა

ბანკის მონეტარული პოლიტიკის ძირითადი მიზანია ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფა. ფასების სტაბილურობა გულისხმობს ზომიერი და პროგნოზირებადი ინფლაციის განაკვეთის არსებობას, რომელიც გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის აუცილებელი პირობაა. გარდა ამისა, ეროვნული ბანკი ახორციელებს ფინანსური სისტემის სტაბილურობის მხარდაჭერას და ხელს უწყობს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას, თუ ამ უკანასკნელი მიზნების განხორციელება თანხვედრაშია მთავარ მიზანთან - ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფასთან. მონეტარული და გაცვლითი კურსის პოლიტიკა მიზნად ისახავს ეროვნული ვალუტის მსყიდველობითი უნარის, მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის პოტენციალისა და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებას.

ზედამხედველობა და ფინანსური სტაბილურობა

ბანკის მთავარ მიზანს წარმოადგენს საქართველოს საფინანსო სისტემის სტაბილურობისა და ეფექტიანობის უზრუნველყოფა. ამ მიზნების განხორციელებისთვის ეროვნული ბანკს აქვს უფლებამოსილება ზედამხედველობა გაუწიოს ფინანსური და ფასიანი ქაღალდების ბაზრების სხვადასხვა წარმომადგენლების - კომერციული ბანკების, საბანკო ჯგუფების, არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების, ფასიანი ქაღალდების დამოუკიდებელი რეგისტრატორების, საბროკერო კომპანიების (გარდა სადაზღვევო ბროკერებისა), საფონდო ბირჟის, ცენტრალური დეპოზიტარის, სპეციალიზებული დეპოზიტარის, აქტივების მმართველი კომპანიების, ანგარიშვალდებული საწარმოების, ვალუტის გადამცვლელი პუნქტების, საინვესტიციო ფონდების, საგადახდო სისტემის ოპერატორების, საგადახდო მომსახურების პროვაიდერების, საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს, სესხის გამცემი სუბიექტების და საქართველოს საპენსიო სააგენტოს (საინვესტიციო საქმიანობასთან მიმართებით) - საქმიანობას.

საქართველოს ეროვნული ბანკი შესაბამისი საზედამხედველო ჩარჩოს ფარგლებში ხელს უწყობს მომხმარებელთა და ინვესტორთა უფლებების დაცვას. ამასთან ერთად, ფინანსური სტაბილურობისა და ფიზიკური პირების კეთილდღეობის ხედვით, სამთავრობო სტრუქტურებიდან, კერძო ფინანსური სექტორიდან და სამოქალაქო საზოგადოებიდან სხვადასხვა დაინტერესებული მხარის ჩართულობით, ბანკმა განავითარა ფინანსური განათლების ეროვნული სტრატეგია, როგორც მომხმარებელთა უფლებების დაცვის და ფინანსური ჩართულობის მიმართულებით გაწეული ძალისხმევის შემავსებელი ნაწილი.

ვალუტა

მხოლოდ ბანკს აქვს მიმოქცევისათვის განკუთვნილი ლარის ბანკნოტების და მონეტების დამზადებისა და საქართველოს ტერიტორიაზე მათი ემისიის უფლება. ბანკი განსაზღვრავს ლარის ბანკნოტებისა და მონეტების დიზაინს, მასალასა და სხვა მახასიათებლებს, ბანკნოტების ბეჭდვა და მონეტების დამზადება ხდება წამყვანი ევროპული დამამზადებელი კომპანიების მიერ.

საერთაშორისო რეზერვების მართვა

სავალუტო პოლიტიკისა და ოპერაციების მიზნებისთვის, ბანკი ფლობს უცხოურ ვალუტაში დენომინირებული რეზერვების პორტფელს, რაც განკუთვნილია, მაგალითად ფინანსური კრიზისის პერიოდში საგარეო შოკების ზეგავლენის თავიდან ასაცილებლად შესაბამისი ლიკვიდურობის უზრუნველყოფით, საქართველოს მთავრობისათვის და ასევე ბანკისთვის უცხოური ვალუტით გადახდების შეუფერხებლად განხორციელების ხელშეწყობისთვის.

საგადახდო სისტემები

ბანკი ახორციელებს ქვეყანაში უდიდესი საგადახდო სისტემის ,,დროის რეალურ რეჟიმში ანგარიშსწორების სისტემა“-ის (RTGS) საქმიანობას, რომელიც ახორციელებს ბანკთაშორის ანგარიშსწორებას და საქართველოს მთავრობის გადახდებს ეროვნულ ვალუტაში.

ხელმძღვანელობა

2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკის საბჭო შედგება შემდეგი წევრებისაგან:

თანამდებობა	სახელი, გვარი (2021)	სახელი, გვარი (2020)
თავმჯდომარე	კობა გვენეტაძე (პრეზიდენტი)	კობა გვენეტაძე (პრეზიდენტი)
წევრი	არჩილ მესტვირიშვილი (ვიცე-პრეზიდენტი)	არჩილ მესტვირიშვილი (ვიცე-პრეზიდენტი)
წევრი	პაპუნა ლეჟავა (ვიცე-პრეზიდენტი)	პაპუნა ლეჟავა (ვიცე-პრეზიდენტი)
წევრი	რობერტ ჰ. სინგლეტარი	რობერტ ჰ. სინგლეტარი
წევრი	ნიკოლოზ გაგუა (ვიცე-პრეზიდენტი)	ნიკოლოზ ყაველაშვილი
წევრი	ეკატერინე გალდავა	ვაკანტური
წევრი	ეკატერინე მიქაბაძე	ვაკანტური

„ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში („კანონი“) 2020 წელს შესული ცვლილებების შედეგად, ეროვნული ბანკის საბჭოს წევრების ოდენობად განისაზღვრა 9 წევრი (ცვლილებამდე: 7 წევრი). შესაბამისად, 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბჭოს 2 წევრის პოზიცია იყო ვაკანტური (2020 წელს - 4 პოზიცია).

ბანკის სათაო ოფისი მდებარეობს შემდეგ მისამართზე: სანაპიროს ქუჩა №2, 0114, თბილისი, საქართველო. 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკს აქვს სალარო მომსახურების ერთი ცენტრი. 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკში დასაქმებული იყო 552 და 523 თანამშრომელი, შესაბამისად.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

შესაბამისობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (,,ფასს”).

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ეკონომიკური და ბუღალტრული აღრიცხვის ფარგლებში, რომელიც სამართლიანად ასახავს ბანკის ფინანსურ პოზიციას და ამავდროულად ხელს უწყობს ბანკის ოპერაციების ეკონომიკურ ანალიზს. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აქტივები და ვალდებულებები გაყოფილია უცხოურ და ადგილობრივ ვალუტებად (წარმოდგენილია შესაბამისი სათაურების ქვეშ), რაც უკეთ ასახავს ბანკის ოპერაციების ეკონომიკურ შინაარსსა და რისკებს. ბანკის აქტივები უცხოურ ვალუტაში ძირითადად დაკავშირებულია ბანკის საერთაშორისო რეზერვების

მართვის ფუნქციასთან. ამავდროულად, ბანკის აქტივები და ვალდებულებები ადგილობრივ ვალუტაში აღიარებულია იმ ოპერაციების შედეგად, რომლებიც დაკავშირებულია მონეტარული პოლიტიკის გატარებასთან, ფულის მიმოქცევაში გაშვებასთან და კანონით განსაზღვრულ ბანკის სხვა ფუნქციებთან. აქედან გამომდინარე, საერთაშორისო რეზერვებისა და მონეტარული პოლიტიკის ეკონომიკური კონცეფცია დამატებით ნაჩვენებია საერთაშორისო რეზერვებისა და მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტების ქვე-სათაურების ქვეშ, შესაბამისად. მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება განცალკევებით წარმოადგენს საპროცენტო შემოსავლებს/ხარჯებს და არასაპროცენტო შემოსავლებს/ხარჯებს ბანკის ოპერაციების მიხედვით. ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება წარმოდგენილია პირდაპირი მეთოდის გამოყენებით.

შეფასების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გარდა რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტებისა და ასევე ინვესტიციებისა, რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით.

სამუშაო და ანგარიშგების წარდგენის ვალუტა

ვინაიდან ბანკის ძირითადი ამოცანაა ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფა, რომელიც გულისხმობს ღია ბაზრის ოპერაციების მნიშვნელოვან როლს მონეტარული პოლიტიკის განხორციელებაში, მისი ძირითადი საქმიანობა, შესაბამისად, არის ლარის ბანკნოტებისა და მონეტების გამოშვება, რომელიც საქართველოს ეროვნული ვალუტაა და რომელიც წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის სამუშაო და წარდგენის ვალუტას წარმოადგენს,. მაშასადამე, ყველა ნაშთი და ოპერაცია, რომელიც ასახულია ლარის გარდა სხვა ვალუტაში განიხილება როგორც „უცხოური ვალუტა“.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

ფინანსური ინფორმაცია წარმოდგენილი ლარში, დამრგვალებულია უახლოეს ათასამდე.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

ქვემოთ მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკა არის გამოყენებული ამ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ყველა პერიოდისათვის და ბანკი მას იყენებს თანამიმდევრულად.

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც წარმოშობს როგორც ერთი მხარის ფინანსურ აქტივს ასევე მეორე მხარის ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

ბანკის ფინანსურ ინსტრუმენტებში წარმოდგენილია ფასიანი ქაღალდები ეროვნულ ვალუტაში, უცხოური ქვეყნების მთავრობების, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების (სუპრა-ნაციონალური) და სახელმწიფო სააგენტოების მიერ ემიტირებული ფასიანი ქაღალდები, საპროცენტო განაკვეთების ფიუჩერსული კონტრაქტები და ოფციონები, საერთაშორისო სავალუტო ფონდთან (სსფ) ანგარიშები, ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, მოთხოვნები საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების მიმართ, ვალდებულებები ფინანსთა სამინისტროს, სსფ-სა და ადგილობრივი კომერციული ბანკების მიმართ და სხვა ფინანსური აქტივები და ვალდებულებები. ბანკი ფინანსურ ინსტრუმენტებს აღრიცხავს ფასს 9 – *„ფინანსური ინსტრუმენტები“* შესაბამისად და წარადგენს ამ ინსტრუმენტებს ფასს 7- *,,ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნები“* და ფასს 13 *,,რეალური ღირებულებით შეფასება“* შესაბამისად.

კლასიფიკაცია

ბანკი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას ახდენს შემდეგ კატეგორიებად: შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით (AC), შეფასებული რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით (FVOCI) და შეფასებული რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით (FVTPL). კლასიფიკაცია დამოკიდებულია ბიზნეს მოდელზე, რომლის მიხედვითაც იმართება ფინანსური აქტივები და მათი სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე. ბანკის ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირებულია, როგორც შემდგომში ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული, გარდა ვალდებულებებისა, რომლებიც წარმოადგენენ წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს, რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით. ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია განისაზღვრება მათი თავდაპირველი აღიარების მომენტში.

ფინანსური აქტივი ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, თუ ორივე შემდეგი პირობა დაკმაყოფილებულია და ის საკუთარი შეხედულებისამებრ არ არის კლასიფიცირებული როგორც შეფასებული რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით:

- საწარმო ფინანსურ აქტივს ფლობს ისეთი ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

სავალო ფინანსური ინსტრუმენტი ფასდება რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, თუ ორივე შემდეგი პირობა დაკმაყოფილებულია და ის საკუთარი შეხედულებისამებრ არ არის კლასიფიცირებული როგორც შეფასებული რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით:

- საწარმო ფინანსურ აქტივს ფლობს ისეთი ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანია როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება, ასევე ფინანსური აქტივების გაყიდვა; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

იმ სავალო ფინანსური ინსტრუმენტების შემოსულობა და ზარალი, რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში, გარდა შემდეგისა, რაც აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმავე სახით როგორც აქტივებისთვის, რომლებიც ფასდება ამორტიზებული ღირებულებით:

- საპროცენტო შემოსავალი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით;
- მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი და მისი ანულირება; და
- სავალუტო კურსების ცვლილებით განპირობებული შემოსულობა ან ზარალი

როდესაც ხდება იმ სავალო ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა, რომელიც შეფასებულია რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, ადრე სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული დაგროვილი შემოსულობა ან ზარალი საკუთარი კაპიტალიდან რეკლასიფიცირდება მოგებაში ან ზარალში.

ყველა სხვა ფინანსური აქტივი კლასიფიცირებულია, როგორც რეალური ღირებულებით შეფასებული მოგებაში ან ზარალში ასახვით.

თავდაპირველი აღიარების მომენტში, ბანკს შეუძლია იმ ფინანსურ აქტივს, რომელიც სხვა მხრივ აკმაყოფილებს მოთხოვნებს, რათა შეფასდეს ამორტიზებული ღირებულებით ან რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, საკუთარი ინიციატივით, მიანიჭოს კატეგორია „რეალური ღირებულებით შეფასებული მოგებაში ან ზარალში ასახვით“, თუ ამგვარი კლასიფიკაცია მთლიანად აღმოფხვრის, ან მნიშვნელოვნად ამცირებს სააღრიცხვო შეუსაბამობებს, რაც სხვა მხრივ წარმოიქმნებოდა.

ბიზნესმოდელის შეფასება

ბანკი პორტფელის დონეზე აფასებს იმ ბიზნესმოდელის მიზანს, რომლის პირობებშიც ის ფლობს აქტივს, რადგან ეს საუკეთესოდ ასახავს თუ როგორ იმართება საქმიანობა და თუ როგორ მიეწოდება ინფორმაცია ხელმძღვანელობას. გაითვალისწინება შემდეგი ინფორმაცია:

- პორტფელის ფლობის მიზანი;
- გაყიდვების (როგორც წარსული, ისე მომავალი) სიხშირე, მოცულობა და დრო;
- ის, თუ როგორ ხდება ბიზნესმოდელისა და ფინანსური აქტივების შედეგების შეფასება და ანგარიშგება ბანკის ხელმძღვანელობასთან;
- რისკები, რომლებიც გავლენას ახდენენ ბიზნესმოდელის შედეგებზე, კერძოდ, თუ როგორ იმართება ეს რისკები (რათა მიზანი მიღწეულ იქნას);
- თუ როგორ ხდება საქმიანობის მმართველების ანაზღაურება, მაგალითად, ანაზღაურება დამოკიდებულია მართული აქტივების რეალურ ღირებულებაზე, თუ მიღებულ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებზე;
- თუ რამდენად შეადგენს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება (მაგალითად, საპროცენტო შემოსავალი) პორტფელზე უკუგების მნიშვნელოვან ნაწილს;

შეფასება იმისა, თუ რამდენად წარმოადგენს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას

იმის შესაფასებლად, თუ რამდენად წარმოადგენს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას, ძირი თანხა განისაზღვრება, როგორც ფინანსური აქტივის რეალური ღირებულება თავდაპირველი აღიარებისას. პროცენტი განისაზღვრება, როგორც ფულის დროითი ღირებულების ანაზღაურება, გარკვეული პერიოდის განმავლობაში დაუფარავ ძირ თანხასთან დაკავშირებული საკრედიტო რისკისა და გასესხებასთან დაკავშირებული სხვა ტიპური რისკებისა და დანახარჯების (მაგალითად ლიკვიდურობის რისკი და ადმინისტრაციული ხარჯები) სანაცვლოდ, ასევე მოგების მარჟა.

იმის შეფასებისას, თუ რამდენად წარმოადგენს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას, ბანკი ითვალისწინებს ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობებს. აღნიშნული მოიცავს შეფასებას, თუ რამდენად შეიცავს ფინანსური აქტივი სახელშეკრულებო პირობას, რომელსაც შეუძლია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ვადის ან მოცულობის შეცვლა ისე, რომ აღარ კმაყოფილდებოდეს ეს მდგომარეობა. შეფასებისას ბანკი ითვალისწინებს:

- პირობით მოვლენებს, რომლებიც შეცვლიდა ფულადი ნაკადების მოცულობას და ვადას;
- ლევერიჯის მახასიათებლებს;
- წინასწარი გადახდის და ვადის გაგრძელების პირობებს;
- პირობებს, რომლებიც ზღუდავენ ბანკის მოთხოვნას ფულად ნაკადებზე კონკრეტული აქტივებიდან (მაგალითად, რეგრესის უფლების არმქონე შეთანხმებები), და
- მახასიათებლებს, რომლებიც ახდენენ ფულის დროითი ღირებულების ანაზღაურების მოდიფიცირებას - ანუ საპროცენტო განაკვეთების პერიოდული განახლება

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საწყისი აღიარება

ბანკი ფინანსურ აქტივებს და ვალდებულებებს აღიარებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როდესაც ის ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე. ფინანსური აქტივის და ვალდებულებების ჩვეულებრივი ყიდვის ან გაყიდვის აღიარება ხდება განაღდების დღის მდგომარეობით აღრიცხვის გამოყენებით.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით და, იმ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების შემთხვევაში, რომლებიც არ აღიარდება რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით, ემატება ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ მიეკუთვნება ფინანსური აქტივის შეძენას ან ფინანსური ვალდებულების ემისიას. გარიგების დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება მოგებაში ან ზარალში ასახვით რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების შესყიდვას, მაშინვე აღიარდება მოგებაში ან ზარალში. მათი შემდგომი შეფასების სააღრიცხვო პოლიტიკა გამჟღავნებულია ქვემოთ, შესაბამის სააღრიცხვო პოლიტიკებში.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივები

ბანკი ფინანსური აქტივების აღიარებას წყვეტს, როდესაც აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების უფლების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადა ამოიწურება, ან თუ ის სხვა საწარმოს გადასცემს ფინანსურ აქტივებს და შესაბამისად აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებს და სარგებელს, ან თუ ბანკი არ გადასცემს და არ ინარჩუნებს საკუთრებასთან დაკავშირებულ რისკებს და სარგებელს და არ ინარჩუნებს კონტროლს ფინანსურ აქტივზე. თუ ბანკი არც გადასცემს და არც ინარჩუნებს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და სარგებელს და აგრძელებს გადაცემული აქტივის კონტროლს, იგი აღიარებს აქტივში შენარჩუნებულ მონაწილეობას და მასთან დაკავშირებულ ვალდებულებას შესაძლო გადასახდელი თანხის ოდენობით. იმ შემთხვევაში თუ ბანკი იტოვებს გადაცემულ ფინანსურ აქტივთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და სარგებელს, იგი აგრძელებს ფინანსური აქტივის და ასევე მიღებული ფულადი სახსრებით უზრუნველყოფილი სესხების აღიარებას.

ფინანსური აქტივის აღიარების სრულიად შეწყვეტისას სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და მიღებული და მისაღები ანაზღაურების და სხვა სრულ შემოსავლებში აღიარებული და კაპიტალში დაგროვილი მოგებისა ან ზარალის ჯამს შორის, ექვემდებარება აღიარებას მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტისას, გარდა მთლიანი შეწყვეტისა (მაგალითად, როდესაც ბანკი ინარჩუნებს უფლებას გამოისყიდოს გადაცემული აქტივის ნაწილი), ბანკი ანაწილებს ფინანსური აქტივის ადრინდელ საბალანსო ღირებულებას იმ ნაწილზე, რომლის აღიარებაც გრძელდება მონაწილეობის პროპორციულად და იმ ნაწილზე, რომლის აღიარებაც უკვე შეწყდა, ამ ნაწილების გადაცემის განხორციელების დღისათვის არსებულ რეალურ ღირებულებაზე დაყრდნობით. მოგებაში ან ზარალში აღიარდება სხვაობა შეწყვეტილ ნაწილზე გადანაწილებულ საბალანსო ღირებულებასა და შეწყვეტილ ნაწილზე მიღებული კომპენსაციისა და ნებისმიერი აკუმულირებული შემოსულობის ან ზარალის ჯამს შორის, რომელიც გადანაწილებული იყო სხვა სრულ შემოსავალში აღიარებულ ნაწილზე. აკუმულირებული შემოსავალი ან ზარალი, რომელიც აღიარებული იყო სხვა სრულ შემოსავალში, გადანაწილდება იმ ნაწილებს შორის, რომელთა აღიარებაც გრძელდება და რომელთა აღიარებაც უკვე შეწყდა ამ ნაწილების შესაბამის რეალურ ღირებულებებზე დაყრდნობით.

ფინანსური ვალდებულებები

ბანკი ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ბანკის ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება, ან ვადა გაუვა. როდესაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება იმავე მსესხებლისაგან მიღებულ მეორე ვალდებულებას, არსებითად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები არსებითად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია განიხილება, როგორც თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების ანულირება და ახალი ფინანსური ვალდებულების აღიარება. სხვაობა ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და მიღებულ ან გადახდილ თანხას შორის აისახება მოგებაში ან ზარალში.

შეფასების პრინციპები

რეალური ღირებულება

რეალური ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვიდან ან გადაიხდება ვალდებულებების გადაცემისას ჩვეულებრივი გარიგებების ფარგლებში ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების თარიღისათვის ძირითად ბაზარზე ან მისი არარსებობის შემთხვევაში უფრო საიმედო ბაზარზე, რომელიც ბანკისათვის ხელმისაწვდომია მოცემული დღისათვის. ვალდებულების რეალური ღირებულება ასახავს მისი გადაუხდელობის რისკს.

ბანკი ინსტრუმენტის რეალურ ღირებულებას აფასებს ამ ინსტრუმენტისათვის აქტიურ ბაზარზე კოტირებული ფასების გამოყენებით იმ შემთხვევაში თუ ეს ინფორმაცია ხელმისაწვდომია. ბაზარი არის აქტიური, თუ გარიგებები წარმოებს საკმარისი სიხშირით და მოცულობით, რაც უზრუნველყოფს ფასების შესახებ ინფორმაციის რეგულარულად მიღებას.

იმ შემთხვევაში, თუ აქტიურ ბაზარზე არ არსებობს კოტირებული ფასები, ბანკი იყენებს შეფასების მეთოდებს, რომლებიც მაქსიმალურად იყენებენ შესაბამისი ბაზრის მონაცემებს და მინიმალურად ეყრდნობიან არადაკვირვებად მონაცემებს. შერჩეული შეფასების ტექნიკა ითვალისწინებს ყველა ფაქტორს, რომელსაც ბაზრის მონაწილეები გაითვალისწინებდნენ არსებულ პირობებში.

ფინანსური ინსტრუმენტის თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების საუკეთესო მაჩვენებელი არის გარიგების ღირებულება, ანუ მიღებული და გადახდილი თანხების რეალური ღირებულება. თუ ბანკი მიიჩნევს, რომ საწყისი აღიარებისას რეალური ღირებულება განსხვავდება გარიგების ღირებულებისაგან და რეალური ღირებულების დადგენა ვერ ხერხდება ვერც კოტირებული ფასების საშუალებით აქტიურ ბაზარზე იდენტური აქტივის ან ვალდებულებისათვის, ვერც შეფასების ტექნიკის გამოყენებით, რომელიც ეყრდნობა დაკვირვებადი ბაზრის მონაცემებს, ფინანსური ინსტრუმენტი თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით და სხვაობა გარიგების ღირებულებასა და რეალურ ღირებულებას შორის გადავადდება. შემდგომში ეს სხვაობა აღიარდება მოგებაში ან ზარალში ფინანსური ინსტრუმენტის სიცოცხლის ვადის განმავლობაში, მაგრამ არაუგვიანეს მომენტისა, როდესაც შესაძლებელი გახდება შეფასება ან ტრანზაქცია დაიხურება.

რეალური ღირებულების დასადგენად ბანკი იყენებს კოტირებულ საბაზრო ფასებს. კოტირებული საბაზრო ფასები საერთაშორისო ფასიანი ქაღალდებისათვის მიიღება ყოველდღიურად ბლუმბერგის სისტემიდან და ეფუძნება მიმდინარე მიწოდების ფასებს. ბანკის ხელმძღვანელობის აზრით, ეს ფასები საკმარისად ასახავს ფასიანი ქაღალდების ღირებულებას საერთაშორისო ბაზრებზე მიმდინარე მომენტისათვის არსებულ საბაზრო ინფორმაციაზე დაყრდნობით და სრულად შეესაბამება ბანკის ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრულ სააღრიცხვო პოლიტიკას.

თუ არ არსებობს აქტიური ბაზარი ინვესტიციებისთვის, ბანკი რეალურ ღირებულებას განსაზღვრავს წმინდა ფულადი ნაკადების დისკონტირებული ღირებულების ანალიზისა და შეფასების სხვა სათანადო მეთოდების საშუალებით. შეფასების ტექნიკები მოიცავს საფონდო ბირჟაზე გათვითცნობიერებულ და სურვილის მქონე მხარეებს შორის „გაშლილი ხელის მანძილის“ პრინციპით დადებული უკანასკნელი გარიგებების გამოყენებას, არსებითად ისეთივე სხვა ინსტრუმენტის მიმდინარე რეალური ღირებულების გამოყენებას და დისკონტირებული ფულადი სახსრების ანალიზს, რომელიც მაქსიმალურად იყენებს საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად ეყრდნობა საწარმოს სპეციფიკურ მონაცემებს.

ამორტიზებული ღირებულება

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ამორტიზებული ღირებულება არის ღირებულება, რომელიც მიიღება შემდეგნაირად: ფინანსური აქტივის ან ვალდებულების ღირებულებას თავდაპირველი აღიარების დროს, გამოკლებული ძირითადი გადასახდელი თანხები, დამატებული ან გამოკლებული აკუმულირებული ამორტიზაცია თავდაპირველ ღირებულებასა და დაფარვის დროინდელ ღირებულებას შორის ნებისმიერ სხვაობაზე ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით და გამოკლებული გაუფასურების ზარალი. პრემია და დისკონტი, საწყისი ხარჯების ჩათვლით, გათვალისწინებულია შესაბამისი ინსტრუმენტის საბალანსო ღირებულებაში და მისი ამორტიზაცია ხდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

ფინანსური აქტივები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში დენომინირებულს უცხოურ ვალუტაში, თავისუფალ სახსრებს საკორესპონდენტო ანგარიშებზე, გაცემის დღიდან ოთხმოცდაათ დღემდე დაფარვის საწყისი ვადის მქონე იმ ვადიან დეპოზიტებსა და იმ მოთხოვნებს ფინანსური ინსტიტუტების მიმართ, რომლებსაც არ გააჩნიათ საკონტრაქტო ვალდებულებები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შემდგომ შეფასებულნი არიან ამორტიზებული ღირებულებით.

საერთაშორისო სავალუტო ფონდისა (IMF) და სხვა საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების წევრობა

„კანონის“ მე-5 მუხლის შესაბამისად, ეროვნულ ბანკს, როგორც საქართველოს წარმომადგენელს, აქვს უფლება აიღოს ვალდებულებანი და აწარმოოს საერთაშორისო ორგანიზაციების (მაგალითად “IMF”, მსოფლიო ბანკი) მუშაობაში საქართველოს მონაწილეობასთან დაკავშირებული ოპერაციები, რაც ასევე მოიცავს ამ ორგანიზაციებისათვის საწევრო შენატანების გადახდას.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები

ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ბანკი ფლობს სესხებს, დეპოზიტებს, მიმდინარე ანგარიშებს და სხვა მოთხოვნებს ფინანსური ინსტიტუტების მიმართ სხვადასხვა პერიოდულობით. ბიზნესმოდელის მიზანი, რომლის პირობებშიც იმართება ეს ფინანსური აქტივები, მიიღწევა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებით. ამ ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას. ამ კატეგორიაში მოიაზრება მოთხოვნები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ და სხვა ფინანსური აქტივები. ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ბანკის ინვესტიციები აგრეთვე მოიცავს საქართველოს მთავრობის ფასიან ქაღალდებს.

იმ სავალო ფინანსური ინსტრუმენტის პრემია და დისკონტი, რომლებიც შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით ამორტიზებული ღირებულების გამოთვლის მეშვეობით. დარიცხული პროცენტი აღიარდება მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების შესაბამის მუხლებში. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი ითვალისწინებს თანდაყოლილი განაკვეთის გამოყენებას, რომლის მიხედვითაც ხდება მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირება ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი არსებობის მანძილზე, ისე რომ პროცენტი აღიარდეს მუდმივი შემოსავლიანობის მქონე განაკვეთის საფუძველზე.

რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული ინვესტიციები

ბანკის ინვესტიციები, რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შედგება საერთაშორისო რეზერვების ნაწილისგან, რომელიც იმართება საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკის მიერ, რაც წარმოადგენს ინვესტიციას საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკის საინვესტიციო კალათაში (BISIP_K). ბიზნესმოდელის მიზანი, რომლის მიხედვითაც იმართება ინვესტიცია, მიიღწევა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებით. თუმცა, სახელშეკრულებო პირობები არ წარმოქმნის კონკრეტულ თარიღებში ისეთ ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები

ბანკი უცხოური ფასიანი ქაღალდების პორტფელის საპროცენტო რისკის მართვისათვის იყენებს საპროცენტო განაკვეთის ფიუჩერსულ კონტრაქტებს და ოფციონებს, რომლებით ვაჭრობაც მიმდინარეობს საზღვარგარეთის ბირჟებზე. ბირჟაზე ნავაჭრი საპროცენტო განაკვეთის ფიუჩერსული კონტრაქტები არის პროცენტის მატარებელ ინსტრუმენტზე მიბმული ფიუჩერსული კონტრაქტები, რომლებიც ინვესტორს საშუალებას აძლევს პროცენტის მატარებელ ინსტრუმენტზე დააფიქსიროს ფასი მომავალი თარიღისათვის. ბირჟაზე ნავაჭრი საპროცენტო განაკვეთის ფიუჩერსული კონტრაქტების ოფციონი წარმოადგენს წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტს, რომელიც საშუალებას აძლევს მფლობელს მიიღოს სარგებელი საპროცენტო განაკვეთების ცვლილებისაგან. ბანკი ასევე იყენებს უცხოური ვალუტის წარმოებულ ინსტრუმენტებს უცხოურ ვალუტაში არსებულ ინვესტიციებზე სავალუტო რისკის მართვისთვის.

საპროცენტო განაკვეთების ფიუჩერსები და ოფციონები კლასიფიცირდება, როგორც „რეალური ღირებულებით შეფასებული მოგებაში ან ზარალში ასახვით“. წარმოებული ინსტრუმენტები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით კონტრაქტის დადების თარიღისათვის და შემდგომ ანგარიშგების ყოველი თარიღისათვის გადაფასდება რეალური ღირებულებით. ანგარიშგების თარიღისათვის რეალური ღირებულება ეფუძნება ბლუმბერგით მიღებულ მიწოდების ფასებს და მიღებული გადაფასების მოგება/ზარალი აისახება ფასიანი ქაღალდებიდან და წარმოებული ინსტრუმენტებიდან მიღებული არარეალიზებული მოგება/ზარალის მუხლით მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. წარმოებული ინსტრუმენტები ასახულია აქტივებად თუ მათი რეალური ღირებულება დადებითია და ვალდებულებებად, თუ რეალური ღირებულება უარყოფითია.

რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით შეფასებული ინვესტიციები

ბანკის ინვესტიციები, რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით მოიცავს საქართველოს და უცხო ქვეყნების მთავრობების, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისა და უცხოური სახელმწიფო სააგენტოების მიერ გამოშვებულ სავალო ფასიან ქაღალდებს. ფასიანი ქაღალდები წარმოადგენენ ბანკის საერთაშორისო რეზერვების პორტფელის ნაწილს ან მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტს. აღნიშნული სავალო ფასიანი ქაღალდები იმართება იმ ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანიც მიიღწევა როგორც ფინანსური

აქტივების ფლობით სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით, ისე ფინანსური აქტივების გაყიდვით. სავალო ფასიანი ქაღალდები კლასიფიცირდება, როგორც რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, იმ პირობით, რომ ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი

ბანკი აღიარებს ზარალის რეზერვს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალთან დაკავშირებით იმ სავალო ფინანსური ინსტრუმენტებისთვის, რომლებიც შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით ან რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით.

ბანკის ზარალის რეზერვი შეფასებულია არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ოდენობით, გარდა შემდეგი შემთხვევებისა, რომლებისთვისაც ზარალის რეზერვი შეფასებულია 12-თვიანი საკრედიტო ზარალის ოდენობით:

- სავალო საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები, რომლებიც ანგარიშგების თარიღისთვის დაბალი საკრედიტო რისკის მქონეა;
- სხვა ფინანსური ინსტრუმენტები, რომელთათვისაც საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არ გაზრდილა მათი თავდაპირველი აღიარების შემდგომ.

ბანკი მიიჩნევს რომ სავალო საინვესტიციო ფასიან ქაღალდებს აქვთ დაბალი საკრედიტო რისკი, როდესაც მათი საკრედიტო რისკის რეიტინგი საერთაშორისოდ მიღებული „საინვესტიციო რანგის მქონეს“ განმარტების ეკვივალენტურია. ბანკის მკაცრი საინვესტიციო პოლიტიკის გათვალისწინებით, რომელიც გულისხმობს განსაკუთრებით მაღალი საკრედიტო რანგის მქონე ინვესტიციების ფლობას, ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებსაც ბანკი ფლობს როგორც საერთაშორისო რეზერვებს, განიხილება დაბალი საკრედიტო რისკის მქონედ. გარდა ამისა, ბანკი, საქართველოს მთავრობის მიმართ არსებულ მოთხოვნებს, რომლებიც დენომინირებულია ლარში, განიხილავს როგორც დაბალი საკრედიტო რისკის მქონეს. ასეთი მიდგომა ასახავს ზოგად დაშვებას, რომ სახელმწიფოს ვალი დენომინირებული ადგილობრივ ვალუტაში მიიჩნევა დეფოლტის განსაკუთრებით დაბალი რისკის მატარებლად (ჩვეულებრივ მოიხსენიება როგორც „ურისკო“ ბაზრის მონაწილეთა გადმოსახედიდან), ისევე როგორც იმ ფაქტს, რომ, ბანკსა და საქართველოს მთავრობას შორის არსებული განსაკუთრებული კავშირის გამო, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ბანკში გახსნილი აქვს თავისი ძირითადი მიმდინარე ანგარიში. ბანკი არ იყენებს გამონაკლისს დაბალი საკრედიტო რისკის დაშვების თაობაზე არც ერთი სხვა ფინანსური ინსტრუმენტის მიმართ.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოანგარიშება

არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი წარმოადგენს ზარალს, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე დეფოლტის ყველა შესაძლო შემთხვევის შედეგად. 12-თვიანი საკრედიტო ზარალი წარმოადგენს ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ნაწილს, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას საანგარიშგებო თარიღის შემდეგ 12 თვის განმავლობაში ფინანსური ინსტრუმენტის დეფოლტის შემთხვევების შედეგად.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი წარმოადგენს საკრედიტო ზარალის საშუალო შეწონილ სიდიდეს. ის ფასდება შემდეგნაირად:

- ფინანსური აქტივები, რომლებიც არ არის საკრედიტო რისკით გაუფასურებული საანგარიშგებო თარიღისთვისე: მთლიანი ფულადი სახსრების დეფიციტის დღევანდელი ღირებულება (მაგალითად სხვაობა ბანკისთვის ხელშეკრულების შესაბამისად გადასახდელ მთლიან ფულად ნაკადებსა და იმ ფულად ნაკადებს შორის, რომლის მიღებასაც ბანკი მოელის);

- ფინანსური აქტივები, რომლებიც საკრედიტო რისკით გაუფასურებულია საანგარიშგებო თარიღისთვის: სხვაობა მთლიან საბალანსო ღირებულებასა და სამომავლო ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის;

საკრედიტო რისკით გაუფასურებული ფინანსური აქტივები

თითოეულ საანგარიშგებო თარიღზე ბანკი აფასებს, რამდენად არის საკრედიტო რისკით გაუფასურებული ფინანსური აქტივები, რომლებიც შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით და სავალო ფინანსური აქტივები, რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით. ფინანსური აქტივი მიიჩნევა საკრედიტო რისკით გაუფასურებულ ფინანსურ აქტივად, თუ მომხდარია ერთი ან მეტი ისეთი მოვლენა, რომელმაც უარყოფითი გავლენა იქონია ამ ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ფულადი ნაკადების შეფასებაზე.

ფინანსური აქტივის გაუფასურების მტკიცებულებებს განეკუთვნება, მაგალითად, დაკვირვებადი მონაცემები შემდეგი მოვლენების შესახებ:

- ემიტენტის ან მსესხებელი საწარმოს მნიშვნელოვანი ფინანსური სიძნელეები;
- სახელშეკრულებო პირობების დარღვევა, როგორიცაა, მაგალითად დეფოლტი ან გადახდის ვადაგადაცილება;
- ბანკის მიერ სესხის ან ავანსის რესტრუქტურიზაცია, იმ პირობებით რომლებსაც ,სხვა შემთხვევაში არ განიხილავდა;
- მოსალოდნელი ხდება, რომ მსესხებელი დაიწყებს გაკოტრების პროცედურას, ან სხვა სახის ფინანსური რეორგანიზაციის პროცესს;
- მოცემული ფინანსური აქტივის აქტიური ბაზრის გაქრობა ფინანსური სიძნელეების გამო;

ამორტიზებული ღირებულებით ან რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით შეფასებული ყველა ფინანსური აქტივი, რომელიც ვადაგადაცილებულია 90 დღით ან მეტით, ითვლება რომ დეფოლტირებულია, გარდა საქართველოს მთავრობის მიმართ არსებული მოთხოვნისა, რომელიც ჩაითვლებოდა დეფოლტირებულად 180 დღეზე მეტი დღით ვადაგადაცილების შემთხვევაში. ეს წარმოადგენს ფასს 9-ით გათვალისწინებული ვარაუდის უარყოფას, რომ დეფოლტი არ დგება იმაზე უფრო გვიან, ვიდრე ფინანსური აქტივი 90 დღით გახდება ვადაგადაცილებული. თუმცა, ეს მიდგომა ასახავს მთავრობის ბიუჯეტის დამტკიცების პროცესის გარემოებებს და ბანკის განსაკუთრებულ ურთიერთობას სახელმწიფოსთან, გამომდინარე იქიდან, რომ ბანკი მოქმედებს როგორც მთავრობის ბანკირი და ფისკალური აგენტი.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის წარდგენა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარდგენილია შემდეგნაირად:

- ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები: აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულებიდან გამოქვითვის სახით;
- სავალო ინსტრუმენტები, რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით: ზარალის რეზერვი არ აღიარდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების შესაბამის მუხლში რამეთუ ამ აქტივების საბალანსო ღირებულება არის მათი რეალური ღირებულება. თუმცა, ზარალის რეზერვი გამჟღავნებულია და აღიარებულია იმ ინვესტიციების გადაფასების რეზერვში, რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით.

ჩამოწერა

ამორტიზებული ღირებულებით ან რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით შეფასებული აქტივები ჩამოიწერება (ნაწილობრივ ან სრულად) მაშინ, როდესაც არ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ფინანსური აქტივი, მთლიანად ან ნაწილობრივ ანაზღაურდება. აღნიშნული ძირითადად წარმოადგენს შემთხვევებს, როდესაც ბანკი დაასკვნის, რომ მსესხებელს არ გააჩნია აქტივები ან შემოსავლის წყარო, რომელთაც შეეძლოთ საკმარისი ფულადი ნაკადების გენერირება იმ თანხების დასაფარად, რაც ჩამოწერას ექვემდებარება. შეფასება კეთდება ინდივიდუალური აქტივის დონეზე.

ადრე ჩამოწერილი თანხების ანაზღაურება ჩართულია ფინანსური ინსტრუმენტების გაუფასურების ზარალის/(აღდგენის) მუხლში მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავალის ანგარიშგებაში.

ფინანსური ვალდებულებები ამორტიზებული ღირებულებით

გამოშვებული ფინანსური ინსტრუმენტები ან მათი კომპონენტები კლასიფიცირდება, როგორც ვალდებულებები, როდესაც საკონტრაქტო მოთხოვნების გამო ბანკს აქვს ვალდებულება გადასცეს ნაღდი ფული ან სხვა ფინანსური აქტივები ფინანსური ინსტრუმენტის მფლობელს ან გადაცვალოს ნაღდი ფულის ფიქსირებული ოდენობა ან სხვა ფინანსური აქტივები საკუთარი კაპიტალის ინსტრუმენტებში. ასეთი ინსტრუმენტები მოიცავენ ვალდებულებებს მთავრობის, რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტების და კლიენტების მიმართ, გამოშვებულ სავალო ფასიან ქაღალდებს, ვალდებულებებს საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიმართ და სხვა ფინანსურ ვალდებულებებს. ისინი თავდაპირველად აისახება მიღებული სახსრების რეალური ღირებულებით გარიგებასთან დაკავშირებული ხარჯების გამოკლებით. პირველადი ასახვის შემდგომ ეს ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

მიმოქცევაში გაშვებული ფული

მიმოქცევაში გაშვებული ფული მოიცავს ბანკის მიერ კანონისა და მისი, როგორც ცენტრალური ბანკის ფუნქციის ფარგლებში გამოშვებულ ბანკნოტებსა და მონეტებს. მიმოქცევაში არსებული ბანკნოტები და მონეტები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აისახება ნომინალური ღირებულებით, შემცირებული ბანკის სალაროში ნაღდი ფულის ოდენობით.

ბანკნოტებისა და მონეტების დამზადების ხარჯები აისახება ხარჯებში მათი გაწევისთანავე.

კომერციული ბანკებისგან უკან დაბრუნებული ბანკნოტები და მონეტები ამოიღება მიმოქცევაში არსებული ფულადი სახსრებიდან და მათი მდგომარეობიდან ან სტატუსიდან გამომდინარე, ხდება მათი განადგურება ან ბანკის სარეზერვო ფონდებში შენახვა, რომელიც არ აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

ანარიცხები (წარმოდგენილი სხვა ვალდებულებებში)

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ბანკს აქვს მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულებები, რომელნიც წარმოიქმნა წარსული მოვლენების შედეგად და, სავარაუდოდ, ვალდებულების დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა და შესაძლებელია განხორციელდეს ვალდებულების თანხის საიმედოდ შეფასება.

არამონეტარული ოქრო და სხვა ძვირფასი ლითონები (წარმოდგენილი სხვა აქტივებში)

ოქროს საინვესტიციო მონეტები და ოქროს ზოდები აღიარებას და შემდგომ შეფასებას ექვემდებარება ბასს 2 – *„სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების“* შესაბამისად. ოქროს საინვესტიციო მონეტები და ოქროს ზოდები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით დამზადების, ტრანსპორტირებისა და სხვა პირდაპირი ხარჯების გათვალისწინებით. შემდგომში მათი შეფასება ხდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. საინვესტიციო მონეტების და ზოდების გაყიდვისას წარმოშობილი მოგება და ზარალი აისახება მოგებაში ან ზარალში. სხვა სამახსოვრო მონეტებზე გაწეული ხარჯები აღიარებას გადახდისთანავე ექვემდებარება როგორც მიმდინარე ხარჯები და აისახება მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია ისტორიული ღირებულებით დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. მიწა არ ექვემდებარება ცვეთას.

თუ ძირითადი საშუალებების რომელიმე კომპონენტს აქვს განსხვავებული სასარგებლო მომსახურების ვადა , მაშინ იგი აღირიცხება ძირითადი საშუალებების ცალკე ქვემუხლში.

ძირითადი საშუალებების ცვეთა გამოიქვითება მათი ისტორიული ღირებულებიდან და გამოიყენება აქტივების ჩამოსაწერად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. აქტივზე ცვეთის დარიცხვა იწყება მისი შეძენის დღიდან ან საკუთარი ძალებით შექმნილი აქტივისათვის იმ მომენტიდან როდესაც აქტივის შექმნა დასრულებულია და ის მზად არის გამოყენებისთვის. ცვეთის დარიცხვა წარმოებს წრფივი მეთოდით შემდეგი წლიური განაკვეთების გამოყენებით:

	%
შენობა-ნაგებობები	2
კომპიუტერები, საოფისე მოწყობილობა და ავეჯი	10-20
სატრანსპორტო საშუალებები და სხვა	20

რემონტისა და შენახვის ხარჯები აისახება მათი გაწევისთანავე და მიეკუთვნება სხვა ხარჯებს, გარდა შემთხვევებისა როდესაც ისინი კაპიტალიზაციას ექვემდებარებიან.

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების გადახედვა ხდება თითოეული საანგარიშგებო თარიღისათვის, რათა დადგინდეს აღემატება თუ არა მათი საბალანსო ღირებულება მათ ანაზღაურებად ღირებულებას. ანაზღაურებადი ღირებულება წარმოადგენს უდიდესს: გაყიდვის ხარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და არსებულ გამოყენების ღირებულებას შორის. ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების ანაზღაურებად ღირებულებაზე გადამეტების შემთხვევაში, აქტივები ექვემდებარება შემცირებას მათ ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურებით მიღებული დანაკარგების აღიარება ხდება შესაბამის საანგარიშგებო პერიოდში და აისახება მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. გაუფასურებით გამოწვეული დანაკარგების ასახვის შემდეგ, ხდება ძირითადი საშუალებების ცვეთის კორექტირება შემდგომ პერიოდებში, იმისათვის, რომ გაანგარიშებული აქტივების საბალანსო ღირებულება ნარჩენი ღირებულების გამოკლებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სისტემატურად გადანაწილდეს დარჩენილ სასარგებლო მოხმარების პერიოდზე.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები მოიცავს კომპიუტერულ პროგრამებს და ლიცენზიებს.

ცალკე შესყიდული არამატერიალური აქტივები ინდივიდუალურად აღირიცხება და თვითღირებულებით აისახება თავდაპირველი აღიარებისას. თავდაპირველი აღიარების შემდგომ აღირიცხება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით. არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა ფასდება როგორც შეზღუდული, ან განუსაზღვრელი ვადის მქონე. შეზღუდული ვადის მქონე არამატერიალური აქტივები ამორტიზებულია 5 წლიანი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში და მათი შემოწმება გაუფასურებაზე ხდება გაუფასურების ნებისმიერი მაჩვენებლის არსებობისას. შეზღუდული ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის პერიოდისა და მეთოდების გადახედვა ხორციელდება ყოველი ფინანსური წლის ბოლოს.

გამოყენების უფლების სახით არსებული აქტივი იჯარის მიხედვით

ბანკმა დროდადრო შესაძლოა, ისარგებლოს აქტივების იჯარით ადმინისტრაციული მიზნებისთვის.

ბანკი გამოყენების უფლების სახით არსებულ აქტივს და საიჯარო ვალდებულებას აღიარებს იჯარის ვადის დაწყების თარიღში. გამოყენების უფლების სახით არსებული აქტივი თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით, რაც მოიცავს თავდაპირველი საიჯარო ვალდებულების ოდენობას, რომელიც კორექტირებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღში ან ამ თარიღამდე განხორციელებული საიჯარო გადახდებით, ნებისმიერ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს და იმ დანახარჯების შეფასებულ ღირებულებას, რაც საჭიროა აქტივის დემონტაჟისთვის და გაუმჯობესებების ამოღებისთვის.

გამოყენების უფლების სახით არსებული აქტივი შემდგომში ამორტიზდება წრფივი მეთოდის გამოყენებით იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან იჯარის ვადის დასრულების თარიღამდე პერიოდში. გამოყენების უფლების სახით არსებული აქტივი დამატებით პერიოდულად მცირდება გაუფასურების ზარალის ოდენობით, ასეთის არსებობის შემთხვევაში, და კორექტირდება საიჯარო ვალდებულების გარკვეული ხელახალი შეფასებებით.

საიჯარო ვალდებულება თავდაპირველად ფასდება იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის გადაუხდელი საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულებით, რისთვისაც დისკონტირებისას გამოიყენება იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთი, ან თუ ამ განაკვეთის განსაზღვრა მარტივად შეუძლებელია - მოიჯარის ზღვრული სასესხო განაკვეთი. ზოგადად, დისკონტირების განაკვეთად გამოიყენება მოიჯარის ზღვრული სასესხო განაკვეთი.

საიჯარო ვალდებულება ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ის ხელახლა ფასდება, როდესაც იცვლება მომავალი საიჯარო გადახდები, ან როდესაც იცვლება იმის შეფასება, გამოიყენებს თუ არა ბანკი იჯარის გაგრძელების ან ვადამდე შეწყვეტის უფლებას. გამოყენების უფლების სახით არსებული აქტივის საბალანსო ღირებულება კორექტირდება შესაბამისად, ან იმ შემთხვევაში, თუ გამოყენების უფლების სახით არსებული აქტივის საბალანსო ღირებულება ნულამდეა შემცირებული, შესაბამისი ოდენობა აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ბანკი, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, გამოყენების უფლების სახით არსებულ აქტივს წარადგენს ცალკე მუხლად, ხოლო საიჯარო ვალდებულებებს - „სხვა ვალდებულებების“ მუხლში.

ბანკმა აირჩია, რომ არ აღიაროს გამოყენების უფლების სახით არსებული აქტივები და საიჯარო ვალდებულებები დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარით სარგებლობისას ან მოკლევადიანი იჯარის შემთხვევაში. ბანკი ასეთ იჯარებთან დაკავშირებულ საიჯარო გადახდებს აღიარებს ხარჯად, წრფივად, იჯარის ვადის განმავლობაში.

საგადასახადო დაბეგვრა

,,საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, ბანკის აქტივები, ქონება და შემოსავალი, ისევე როგორც მისი საქმიანობა და ოპერაციები არ ექვემდებარება დაბეგვრას და სხვა მოსაკრებლების გადახდას.

პირობითი ვალდებულებები / აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აღიარდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა აისახება შენიშვნებში, ანგარიშსწორებისას სახსრების ნებისმიერი გადინების შესაძლებლობის არსებობამდე. პირობითი აქტივი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ აღიარდება, მაგრამ აისახება შენიშვნებში იმ შემთხვევაში, თუ ივარაუდება ეკონომიკური სარგებლის მიღება.

შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება

შემოსავალი აღიარდება, როდესაც ბანკი შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებას დაპირებული საქონლის ან მომსახურების (მაგალითად, აქტივის) კონტრაჰენტებისთვის გადაცემით. აქტივი გადაცემულად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, როდესაც (ან როგორც კი) კონტრაჰენტი მოიპოვებს აქტივზე კონტროლს.

საპროცენტო და მასთან გათანაბრებული შემოსავლები და ხარჯები

ყველა ფინანსური ინსტრუმენტისთვის რომლებიც შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით ან რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, საპროცენტო შემოსავლები და ხარჯები აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთით, რომელიც ზუსტად ახდენს მომავალში ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მომსახურების ვადის ამოწურვამდე ან უფრო მოკლე ვადაში, შესაბამის ვითარებაში, მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრების დისკონტირებას ფინანსური აქტივის მთლიან (ბრუტო) საბალანსო ღირებულებამდე ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებულ ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოანგარიშების დროს გათვალისწინებულია ფინანსური ინსტრუმენტის ყველა სახელშეკრულებო პირობა (მაგ. წინასწარი გადახდები) და მოცულია ფინანსურ ინსტრუმენტთან პირდაპირ დაკავშირებული ყველა საკომისიო და სხვა ხარჯები, რომლებიც წარმოადგენენ ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, მაგრამ არ არის გათვალისწინებული მომავალი საკრედიტო დანაკარგები. მისაღები ან გადასახდელი თანხების გადახედვის შემთხვევაში კორექტირდება ფინანსური აქტივის მთლიანი (ბრუტო) საბალანსო ღირებულება ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება. გადახედილი საბალანსო ღირებულების თანხა გაანგარიშდება თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე და საბალანსო ღირებულების ცვლილების თანხა აღიარდება, როგორც საპროცენტო შემოსავლები ან ხარჯები.

საპროცენტო შემოსავლის აღიარების საფუძველი

თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთი გამოიყენება იმ ფინანსური აქტივების მთლიანი საბალანსო ღირებულების მიმართ (საბალანსო ღირებულება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვით შემცირების გარეშე), რომლებისთვისაც:

- საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არ გაზრდილა მათი თავდაპირველი აღიარების შემდგომ;
- საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა მათი თავდაპირველი აღიარების შემდგომ, მაგრამ რომლებიც არ არის საკრედიტო რისკით გაუფასურებული;

იმ ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც საკრედიტო რისკით გაუფასურებულია, თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთი გამოიყენება წმინდა საბალანსო ღირებულების მიმართ (საბალანსო ღირებულება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვით შემცირების შემდეგ).

ფინანსურ აქტივებზე და ვალდებულებებზე უარყოფითი საპროცენტო შემოსავლების და ხარჯების წარდგენა

უარყოფითი პროცენტი ფინანსურ აქტივებზე განიხილება, როგორც ხარჯი და წარდგენილია საპროცენტო ხარჯების ქვეშ, განცალკევებულად. ანალოგიურად, უარყოფითი პროცენტი ფინანსურ ვალდებულებებზე განიხილება, როგორც შემოსავალი და წარდგენილია საპროცენტო შემოსავლების ქვეშ, განცალკევებულად.

გასამრჯელო და საკომისიო შემოსავლები და ხარჯები

ბანკი გამოიმუშავებს გასამრჯელოებს და საკომისიო შემოსავლებს კონტრაჰენტებისთვის სხვადასხვა სახის მომსახურების გაწევის საფუძველზე. გასამრჯელო და საკომისიო შემოსავლები მოიცავს ნაღდი ფულით განხორციელებული ოპერაციების და გადარიცხვების საკომისიოს, რომლებიც აღიარდება შემოსავლად მომსახურების გაწევისთანავე. გასამრჯელო და საკომისიო ხარჯები მოიცავს ნაღდი ფულის ოპერაციებს, ანგარიშსწორების საკომისიო ხარჯებს და გარე მენეჯერისათვის გადახდილ საკომისიოს, რომლებიც მომსახურების გაწევისთანავე აღიარდება ხარჯად.

უცხოურ ვალუტაში გადაყვანა

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რომელიც ბანკის სამუშაო და წარსადგენი ვალუტაა. გარიგებები უცხოურ ვალუტაში თავდაპირველად აისახება სამუშაო ვალუტაში, გარიგების თარიღისათვის მოქმედი გაცვლითი კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების ეროვნულ ვალუტაში გადაყვანა ხდება ანგარიშგების თარიღისათვის დაფიქსირებული სამუშაო ვალუტის გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში ისტორიული ღირებულებით წარმოდგენილი არაფულადი ერთეულების გადაყვანა ხორციელდება თავდაპირველი გარიგებისათვის არსებული გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში რეალური ღირებულებით წარმოდგენილი არაფულადი ერთეულების გადაყვანა ხორციელდება რეალური ღირებულების განსაზღვრის თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების გადაყვანით გამოწვეული მოგება ან ზარალი აისახება მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლი ანგარიშგებაში უცხოური ვალუტით განხორციელებული ოპერაციებიდან მიღებულ წმინდა მოგებაში/(ზარალში) - გადაყვანის საკურსო სხვაობებში.

სხვაობა კონტრაქტით გათვალისწინებულ უცხოურ ვალუტაში დენომინირებული გარიგებების გაცვლით კურსებსა და ბანკში გარიგების თარიღისათვის არსებულ კურსებს შორის აისახება წმინდა მოგებაში/(ზარალში) უცხოურ ვალუტაში განხორციელებული სავაჭრო ოპერაციებიდან.

გაცვლითი კურსები

ქვემოთ მოცემულია ეროვნული ბანკის მიერ გამოყენებული გაცვლითი კურსები, რომლებიც ბანკმა გამოიყენა წლის ბოლოს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას:

	31 დეკემბერი, 2021	31 დეკემბერი, 2020
ლარი/1 აშშ დოლარი	3.0976	3.2766
ლარი/1 ევრო	3.5040	4.0233
ლარი/1 ავსტრალიური დოლარი	2.2482	2.5118
ლარი/1 კანადური დოლარი	2.4208	2.5616
ლარი/1 ნასესხობის სპეციალური უფლება (SDR)	4.3354	4.7192

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ურთიერთგადაიფარება და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აისახება ნეტო თანხით იმ შემთხვევაში თუ ბანკს აქვს კანონმდებლობით მინიჭებული უფლება განახორციელოს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვა და ვარაუდობს, რომ დაფარვა განახორციელოს ნეტო საფუძველზე, ან აქტივის რეალიზაცია და ვალდებულების დაფარვა ერთდროულად განახორციელოს. ისეთი ფინანსური აქტივის გადაცემის აღრიცხვის დროს, რომელიც არ აკმაყოფილებს აღიარების შეწყვეტის კრიტერიუმებს, ბანკს არა აქვს გადაცემული აქტივისა და დაკავშირებული ვალდებულებების ურთიერთგადაფარვის უფლება. მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდისათვის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა არ მომხდარა.

ფინანსური აქტივების რეკლასიფიკაცია

ფინანსური აქტივები არ რეკლასიფიცირდება მათი თავდაპირველი აღიარების შემდგომ, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც ბანკი ცვლის ფინანსური აქტივების მართვის ბიზნესმოდელს.

ხელმძღვანელობის განსჯის სფეროები და შეფასებების განუსაზღვრელობის წყაროები

ბანკის ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესი საჭიროებს ხელმძღვანელობის შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებსაც გავლენა აქვს ანგარიშგების თარიღისათვის აქტივებისა და ვალდებულებების წარმოდგენილ თანხებზე და შემოსავლების და ხარჯების წარმოდგენილ ოდენობებზე აღნიშნული თარიღით დასრულებული პერიოდისთვის. დაშვებები და შეფასებები მუდმივად განიხილება ხელმძღვანელობის მიერ. ხელმძღვანელობის შეფასება ეფუძნება ისტორიულ გამოცდილებას და მრავალ სხვა ფაქტორს, რომლებიც მართებულად ითვლება მოცემულ გარემოებებში. ფაქტიური შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს ამ დაშვებებისგან სხვადასხვა პირობებში და არსებითი დაშვებების შემთხვევაში.

კრიტიკული განსჯისა და შეფასების მნიშვნელოვანი სფეროები აღწერილია შემდეგ განმარტებით შენიშვნებში:

- ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია: ბიზნესმოდელის შეფასება, რომლის პირობებშიც ფლობს ბანკი აქტივებს და იმის შეფასება თუ რამდენად შეიცავს სახელშეკრულებო პირობები ისეთი ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას - შენიშვნა 3
- გამონაკლისი დაბალი საკრედიტო რისკის დაშვებასთან დაკავშირებით და იმ ვარაუდის უარყოფა, რომ დეფოლტი არ დგება იმაზე უფრო გვიან, ვიდრე ფინანსური აქტივი 90 დღით გახდება ვადაგადაცილებული - შენიშვნა 3
- ფინანსური ინსტრუმენტების შეფასება რეალური ღირებულებით - შენიშვნა 27

ახალი და განახლებული „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ (ფასს) გამოყენება

ახალი და განახლებული სტანდარტები:

2021 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა:

– საორიენტაციო საბაზისო საპროცენტო განაკვეთის რეფორმა — ფაზა მეორე (ცვლილებები ფასს 4-ში, ფასს 7-ში, ფასს 9-ში, ფასს 16-ში და ბასს 39-ში).

ზემოხსენებულ ცვლილებებს მნიშვნელოვანი გავლენა არ ჰქონია ბანკის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

მოსალოდნელია, რომ ქვემოთ ჩამოთვლილი ახალი და განახლებული სტანდარტები, მნიშვნელოვან გავლენას არ მოახდენენ ბანკის ფინანსურ ანგარიშგებაზე. გაცხადებული ცვლილებები ძალაში შედის 2021 წლის 1 იანვრის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის:

- წაგებიანი ხელშეკრულებები - ხელშეკრულების შესრულების ღირებულება (ცვლილებები ბასს 37-ში);
- ძირითადი საშუალებები: შემოსავლები, სანამ აქტივი მზად იქნება ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნებისთვის გამოსაყენებლად (ცვლილებები ბასს 16-ში);
- მინიშნება კონცეპტუალურ საფუძვლებზე (ცვლილებები ფასს 3-ში);
- ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარედ და გრძელვადიანად (ცვლილებები ბასს 1-ში);
- ფასს 17 „სადაზღვეო კონტრაქტები“ და განახლებები ფასს 17-ში „სადაზღვეო კონტრაქტები“;
- ფასს სტანდარტების წლიური გაუმჯობესება 2018-2020 – (ცვლილებები ფასს 1-ში „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება“, ფასს 9-ში „ფინანსური ინსტრუმენტები“, ფასს 16-ში „იჯარა“ და ბასს 41-ში „სოფლის მეურნეობა“);
- სააღრიცხვო პოლიტიკის გამჟღავნება (ცვლილებები ბასს 1-ში და ფასს-ის პრაქტიკაში გამოყენების სახელმძღვანელო 2-ში);
- სააღრიცხვო შეფასებების განსაზღვრება - (ცვლილებები ბასს 8-ში);
- ერთი ტრანზაქციის შედეგად წარმოშობილ აქტივებსა და ვალდებულებებთან დაკავშირებული გადავადებული გადასახადი (ცვლილებები ბასს 12-ში);
- COVID-19-თან დაკავშირებული საიჯარო ქირის დათმობის შეთანხმებები 2021 წლის 30 ივნისის შემდგომ (ცვლილებები ფასს 16-ში);

4. გასამრჯელო და საკომისიო შემოსავლები და ხარჯები

გასამრჯელო და საკომისიო შემოსავლები და ხარჯები შედგება:

	დასრულებული წლისთვის 31 დეკემბერი 2021	დასრულებული წლისთვის 31 დეკემბერი 2020
გასამრჯელო და საკომისიო შემოსავლები:		
ფულადი სახსრების გადარიცხვა	2,927	2,295
სალაროს ოპერაციები	488	1,961
სხვა	24	24
სულ გასამრჯელო და საკომისიო შემოსავლები:	**3,439**	**4,280**
გასამრჯელო და საკომისიო ხარჯები:		
გარე მენეჯერისთვის გადახდილი გასამრჯელო	(1,646)	(1,420)
ანგარიშსწორების ოპერაციები	(1,067)	(1,379)
ნაღდ ფულთან დაკავშირებული ოპერაციები	(354)	(1,037)
სულ გასამრჯელო და საკომისიო ხარჯები:	**(3,067)**	**(3,836)**

ბანკი ფლობს და მართავს დროის რეალურ რეჟიმში ანგარიშსწორების სისტემას, რომელიც არის ბანკთაშორისი გადახდის სისტემა ეროვნულ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციებისთვის. ფულადი სახსრების გადარიცხვა წარმოადგენს ანგარიშსწორების საკომისიო გადასახადს, რომელიც გადახდილია მონაწილეების მიერ ანგარიშსწორების შესრულების დროს.

5. სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავლები შედგება:

	დასრულებული წლისთვის 31 დეკემბერი 2021	დასრულებული წლისთვის 31 დეკემბერი 2020
სამახსოვრო მონეტების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი	2,321	1,198
ჯარიმებიდან მიღებული შემოსავალი	19	656
სხვა	66	36
სხვა შემოსავლები	**2,406**	**1,890**

6. საოპერაციო ხარჯები

საოპერაციო ხარჯები მოიცავს:

	დასრულებული წლისთვის 31 დეკემბერი 2021	დასრულებული წლისთვის 31 დეკემბერი 2020
ხელფასები და პრემიები	29,395	26,887
ანაზღაურებადი შვებულება და ბიულეტენი	1,760	1,416
სულ პერსონალის ხარჯები	**31,155**	**28,303**
საინფორმაციო მომსახურების გამოწერა	2,967	2,668
პროგრამული უზრუნველყოფის ხარჯი	2,553	1,803
სოციალური დახმარების ხარჯები	2,290	2,184
კომუნალური ხარჯები	1,739	1,255
რემონტი და ტექნიკური მომსახურება	668	414
უსაფრთხოება	522	522
საწვავის ხარჯები	187	149
იურიდიული მომსახურება და კონსულტაცია	180	120
სამივლინებო და მასთან დაკავშირებული ხარჯები	163	139
დასაქმებულთა გადამზადების ხარჯები	-	185
სხვა	1,311	1,201
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	**12,580**	**10,640**
ცვეთის ხარჯი (შენიშვნები 15)	5,819	4,738
ამორტიზაციის ხარჯი (შენიშვნა 16)	1,838	1,502
სულ ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები	**7,657**	**6,240**

7. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს:

	31 დეკემბერი, 2021	31 დეკემბერი, 2020
ნაღდი ფული უცხოურ ვალუტაში	1,221,357	1,604,147
მიმდინარე ანგარიშები	1,603,024	1,349,538
ვადიანი დეპოზიტები ფინანსურ ინსტიტუტებში	799,548	648,802
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	**3,623,929**	**3,602,487**

2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, 2,278,849 და 1,847,489 ათასი ლარი, შესაბამისად, განთავსებული იყო მიმდინარე ანგარიშებზე და 90 დღემდე ვადიან დეპოზიტებზე ექვს (2020 წელს - ექვს) საერთაშორისო მასშტაბით აღიარებულ კომერციულ ბანკსა და ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის წევრი ქვეყნების ცენტრალურ ბანკებში.

2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, საკრედიტო ინსტიტუტებში განთავსებულ დეპოზიტებზე წლიური საპროცენტო განაკვეთის დიაპაზონი შეადგენდა 0.11%-0.23% და 0.19%-0.33% (შესაბამისად).

8. მოთხოვნები რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტების მიმართ

2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოთხოვნები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ მოიცავს:

	31 დეკემბერი, 2021	31 დეკემბერი, 2020
მოთხოვნები რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტების მიმართ		
მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტების მიხედვით		
რეფინანსირების სესხები	2,071,194	2,150,473
ფიქსირებული განაკვეთის მქონე სესხები	633,539	482,949
ერთთვიანი ღია საბაზრო ოპერაციების ინსტრუმენტები	401,049	400,705
ერთდღიანი სესხები	41,233	180,043
სულ მოთხოვნები რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტების მიმართ		
მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტების მიხედვით	**3,147,015**	**3,214,170**

რეფინანსირების სესხები წარმოადგენს ბანკის მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტებს, რომლებიც გაიცემა საქართველოს კომერციულ ბანკებზე ლიკვიდობის მიზნებით და გააჩნია 7 დღიანი ვადიანობა. რეფინანსირების სესხის მსგავსად, მონეტარული პოლიტიკის ერთთვიანი ღია საბაზრო ოპერაციების ინსტრუმენტის, ერთდღიანი სესხებისა და ფიქსირებული განაკვეთის სესხების მეშვეობით ბანკი აწვდის მოკლევადიან ლიკვიდურობას ქვეყნის საბანკო სისტემას საჭიროების შემთხვევაში.

2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკს გააჩნდა რეფინანსირების სესხები გაცემული სამ რეზიდენტ კომერციულ ბანკზე 1,892,090 ათასი ლარის ოდენობით, 10.5%-10.62% წლიური საპროცენტო განაკვეთის დიაპაზონით და სამ რეზიდენტ კომერციულ ბანკზე 1,954,929 ათასი ლარის ოდენობით, 8.001%-8.05% წლიური საპროცენტო განაკვეთის დიაპაზონით, შესაბამისად.

2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ერთდღიანი სესხების კონცენტრაცია შეადგენდა 40,012 ათასი ლარის მოთხოვნას ერთი რეზიდენტი კომერციული ბანკის მიმართ, წლიური საპროცენტო განაკვეთით 11.25% და 180,043 ათასი ლარის მოთხოვნას ერთი რეზიდენტი კომერციული ბანკის მიმართ, წლიური საპროცენტო განაკვეთით 8.75%, შესაბამისად.

2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ერთთვიანი ღია ბაზრის ინსტრუმენტის კონცენტრაცია შეადგენდა 295,773 ათასი ლარის მოთხოვნებს ორი რეზიდენტი კომერციული ბანკის მიმართ, წლიური საპროცენტო განაკვეთით 10.59%-10.71%, და 320,563 ათასი ლარის მოთხოვნებს ერთი რეზიდენტი კომერციული ბანკის მიმართ, წლიური საპროცენტო განაკვეთით 8.033%, შესაბამისად.

2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფიქსირებული განაკვეთის მქონე სესხების კონცენტრაცია შეადგენდა 512,937 ათასი ლარის მოთხოვნას ორი რეზიდენტი კომერციული ბანკის მიმართ, წლიური საპროცენტო განაკვეთით 10.1984% და 383,675 ათასი ლარის მოთხოვნას ორი რეზიდენტი კომერციული ბანკის მიმართ, წლიური საპროცენტო განაკვეთით 8.036%, შესაბამისად.

რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტების მიმართ არსებული არცერთი მოთხოვნისთვის არ არის საკრედიტო რისკი არსებითად გაზრდილი თავდაპირველი აღიარების შემდგომ. საკრედიტო რისკის შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ 28-ე განმარტებით შენიშვნაში.

გირაო და სხვა სასესხო უზრუნველყოფა

სესხის უზრუნველყოფის ტიპი და კრიტერიუმები თითოეული უზრუნველყოფის ტიპისთვის განისაზღვრება ბანკის საბჭოს მიერ.

უზრუნველყოფად მიღებული აქტივებია: ა) საქართველოს მთავრობისა და ეროვნული ბანკის მიერ გამოშვებული ქართულ ლარში დენომინირებული სავალო ფასიანი ქაღალდები; ბ) საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების მიერ გამოშვებული ქართულ ლარში დენომინირებული სავალო ფასიანი ქაღალდები; გ) რეზიდენტი და არარეზიდენტი იურიდიული პირების მიერ გამოშვებული ქართულ ლარში დენომინირებული სავალო ფასიანი ქაღალდები „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და ქართულ ლარში დენომინირებული 2018 წლის 1 იანვრამდე კერძო შეთავაზებით გამოშვებული ფასიანი ქაღალდები, გარდა სავალო ფასიანი ქაღალდებისა, რომლებიც გამოშვებულია საქართველოში ოპერირებადი კომერციული ბანკების მიერ; დ) კომერციული ბანკების სასესხო აქტივები, რომლებიც აკმაყოფილებს გარკვეულ კრიტერიუმებს; ე) უცხოურ ვალუტაში დენომინირებული დეპოზიტები ეროვნულ ბანკში. განსაკუთრებულ შემთხვევებში, ეროვნული ბანკის საბჭომ შესაძლოა, განსაზღვროს სხვა ტიპის აქტივი სესხის უზრუნველყოფისთვის; ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტი პერიოდულად განსაზღვრავს უზრუნველყოფის თითოეული სახეობის დასაკავებელ თანხას (ჰეარქათს) უფლებამოსილი აქტივების ნომინალურ ღირებულების მიმართ. კანონის თანახმად საქართველოს ეროვნულ ბანკს აქვს მოთხოვნის უპირატესი დაკმაყოფილების უფლება მოვალის აქტივების ხარჯზე.

2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტებისგან უზრუნველყოფად მიღებული ფინანსური აქტივების სახეობები და რეალური ღირებულებები იყო შემდეგნაირი:

	31 დეკემბერი, 2020	31 დეკემბერი, 2020
კომერციული ბანკების სასესხო პორტფელი	2,282,228	1,863,617
სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები (სახაზინო ვალდებულებები/ობლიგაციები)	1,196,058	1,537,824
ბანკის მიერ გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები (სადეპოზიტო სერთიფიკატები)	-	7,454
საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების და განვითარების ბანკების მიერ გამოშვებული ლარში დენომინირებული ობლიგაციები:		
ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD)	-	212,739
Netherlands Development Finance Company	61,230	-
კერძო სექტორის მიერ გამოშვებული ობლიგაციები	21,025	23,651
	3,560,541	**3,645,285**

ბანკი ახორციელებს უზრუნველყოფის ღირებულების მონიტორინგს, ითხოვს დამატებით უზრუნველყოფას არსებული ხელშეკრულების ფარგლებში და ასევე ახდენს უზრუნველყოფის ღირებულების მონიტორინგს სესხის გაუფასურებისთვის რეზერვების ადეკვატურობის შემოწმებისას.

როგორც ეს აღწერილია ზემოთ მოყვანილ ცხრილში, ბანკი იღებს უზრუნველყოფას ფინანსური ინსტრუმენტების სახით რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტების მიმართ მოთხოვნებისთვის. მსგავსი შეთანხმებები, იმ შემთხვევაშიც კი თუ ისინი განიხილება როგორც გენერალური შეთანხმებები ურთიერთ-ჩათვლის შესახებ, არ აკმაყოფილებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ურთიერთგადაფარვის კრიტერიუმებს. ბანკი აღსრულებად ურთიერთგადაფარვის უფლებას იძენს მხოლოდ მეორე მხარის დეფოლტის, გადახდისუუნარობის ან გაკოტრების შემთხვევაში. ბანკი და მისი კონტრაჰენტები არ ვარაუდობენ ანგარიშსწორების განხორციელებას ნეტო საფუძველზე, ან აქტივის რეალიზაციის და ვალდებულების დაფარვის ერთდროულად განხორციელებას.

9. SDR-ის ანგარიში საერთაშორისო სავალუტო ფონდში

ნაშთები საერთაშორისო სავალუტო ფონდის („სსფ“) მიმართ მოიცავს:

	31 დეკემბერი, 2021	31 დეკემბერი, 2020
აქტივები:		
SDR-ის ანგარიში საერთაშორისო სავალუტო ფონდში	**1,506,927**	**697,227**
ვალდებულებები:		
საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიმდინარე ანგარიშები		
მიმდინარე ანგარიში №1	2,606	2,302
მიმდინარე ანგარიში №2	14	13
	2,620	**2,315**
საერთაშორისო სავალუტო ფონდისგან მიღებული სესხები		
გაფართოებული დაფინანსების მექანიზმის ფარგლებში (EFF)	1,447,066	1,218,979
ზოგადი SDR-ის სახსრების განაწილება	1,357,442	526,029
სპეციალური SDR-ის სახსრების განაწილება	141,089	153,465
	2,945,597	**1,898,473**
სულ ვალდებულებები საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიმართ	**2,948,217**	**1,900,788**
გარე საბალანსო ნაშთები		
საერთაშორისო სავალუტო ფონდის კვოტა	1,042,446	920,893
საერთაშორისო სავალუტო ფონდის კვოტისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდისგან მიღებული სახსრების უზრუნველსაყოფად ბანკის მიერ შესანახად ფლობილი ფასიანი ქაღალდები	(3,425,367)	(2,695,502)

SDR-ის ანგარიში საერთაშორისო სავალუტო ფონდში

SDR-ის ანგარიში წარმოადგენს ბანკის ანგარიშს საერთაშორისო სავალუტო ფონდში, რომელიც გამოიყენება სესხებთან დაკავშირებული ოპერაციებისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდთან ანგარიშსწორებისათვის. SDR-ის ანგარიში ძირითადად შეადგენს საერთაშორისო სავალუტო ფონდისგან ხელშეკრულების თანახმად მიღებულ SDR სახსრების განაწილებას. SDR-ის ანგარიშზე დარიცხული პროცენტის გაანგარიშება ხდება საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ ყოველკვირეულად დადგენილი განაკვეთით, რომელიც ეფუძნება ძირითად ფულად ბაზრებზე არსებულ მოკლევადიან საბაზრო განაკვეთებს. 2021 და 2020 წლების განმავლობაში საშუალო ნომინალურმა წლიურმა საპროცენტო განაკვეთმა შეადგინა 0.050%-0.1150% და 0.050%-0.750%, შესაბამისად.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიმდინარე ანგარიშები

ბანკს მოეთხოვება საერთაშორისო სავალუტო ფონდის ორი ანგარიშის ფლობა: მიმდინარე ანგარიში #1 და მიმდინარე ანგარიში #2. საერთაშორისო სავალუტო ფონდის ანგარიში #1 გამოიყენება საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ საოპერაციო ანგარიშსწორებისათვის, ხოლო მიმდინარე ანგარიში #2 განკუთვნილია საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ ლარში წარმოშობილი საოპერაციო ხარჯების დასაფარად.

საერთაშორისო სავალუტო ფონდისგან მიღებული სახსრები

საერთაშორისო სავალუტო ფონდისგან მიღებული სახსრები მოიცავს „გაფართოებული დაფინანსების მექანიზმის“ (EFF) ფარგლებში მიღებულ სესხს 1,447,066 ათასი ლარის საბალანსო ღირებულებით 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: 1,218,980 ათასი ლარი). EFF პროგრამა ხელს უწყობს საქართველოში ყოვლისმომცველი პროგრამის განხორციელებას, რაც გულისხმობს მაკროეკონომიკური და ფინანსური სტაბილურობის შენარჩუნებასა და ზრდის ხელშეწყობის მიზნით სტრუქტურული რეფორმების გატარებას. 36-თვიანი „გაფართოებული დაფინანსების მექანიზმის“ პროგრამა დამტკიცდა 2017 წლის 12 აპრილს 210.4 მილიონი SDR-ის ოდენობით (კვოტის 100 პროცენტი). 2020 წლის 14 აპრილს დამტკიცდა ხელმისაწვდომობის ზრდა კვოტის 130 პროცენტის ოდენობით, რის შედეგადაც ჯამური ხელმისაწვდომობა EFF-ის ფარგლებში გაიზარდა 484 მილიონ SDR-მდე (კვოტის 230 პროცენტი), რომლისგანაც 2021 წლის განმავლობაში ბანკმა აითვისა 78 მილიონი SDR (2020: 79 მილიონი SDR). დაფარვები დაიწყო 2021 წლიდან და სესხის სრული დაფარვა დაგეგმილია 2031 წლისთვის. სასესხო განაკვეთი მიბმულია საერთაშორისო სავალუტო ფონდის საბაზრო საპროცენტო განაკვეთზე (ცნობილი როგორც საბაზისო განაკვეთი), რომელიც წარმოადგენს SDR-ის საპროცენტო განაკვეთს, რომელმაც 2021 წლის 31 დეკემბრისთვის შეადგინა 1.0770% (2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: 1.080%).

საერთაშორისო სავალუტო ფონდისგან მიღებული სახსრები დენომინირებულია SDR-ში.

SDR სახსრების განაწილება

SDR სახსრების განაწილება წარმოადგენს საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ უზრუნველყოფის გარეშე, საპროცენტო განაკვეთის მქონე SDR სახსრების განაწილებას ზოგადი და სპეციალური სახსრების სახით. სახსრების ზოგადი განაწილება საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ ხელშეკრულების თანახმად ხორციელდება SDR განყოფილების ყველა წევრისათვის კვოტის პროპორციულად. საქართველოსთვის სახსრების ზოგადი განაწილება განხორციელდა 2009 წელს (111,419 ათასი SDR) და 2021 წელს (201,658 ათასი SDR). 2009 წელს ძალაში შევიდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის ხელშეკრულების მეოთხე ცვლილება SDR სახსრების სპეციალურ, ერთჯერად განაწილებასთან დაკავშირებით, რომლის თანახმადაც განხორციელდა 32,540 ათასი SDR-ის სპეციალური განაწილება საქართველოსთვის. წევრები და განსაზღვრული მფლობელები უფლებამოსილნი არიან SDR სახსრები გამოიყენონ საერთაშორისო სავალუტო ფონდთან ოპერაციების განსახორციელებლად. ბანკი სახსრების განაწილებას მიიჩნევს საერთაშორისო სავალუტო ფონდის წინაშე უცხოურ ვალუტაში არსებულ ვალდებულებად.

საქართველო, როგორც საერთაშორისო სავალუტო ფონდის წევრი და სახსრების მიმღები ქვეყანა, ვალდებულია საერთაშორისო სავალუტო ფონდის წინაშე იმ თანხით, რომელიც უტოლდება მასზე განაწილებულ წმინდა აკუმულირებულ სახსრებს და ნებისმიერ სხვა თანხას, რომელიც ექვემდებარება გადახდას წევრობის შეწყვეტის, ან საერთაშორისო სავალუტო ფონდის SDR განყოფილების გაუქმების შემთხვევაში.

SDR სახსრების განაწილების საპროცენტო განაკვეთი 2021 და 2020 წლებში შესაბამისად შეადგენდა წლიურ 0.050%-0.1150% და 0.050%-0.750%, შესაბამისად.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის კვოტა

საერთაშორისო სავალუტო ფონდის კვოტა 210,400 ათასი SDR, წარმოადგენს საქართველოს საწევრო შენატანს საერთაშორისო სავალუტო ფონდში, რომელსაც არ ერიცხება საპროცენტო განაკვეთი და მოქმედია 2016 წლის 26 იანვრიდან, მას შემდეგ რაც საერთაშორისო სავალუტო ფონდის მმართველთა საბჭომ, ფონდის უმაღლესმა მმართველმა საბჭომ, დაასრულა მე-14 კვოტების გადაფასება. საერთაშორისო სავალუტო ფონდი მოიზიდავს სახსრებს წევრი ქვეყნებიდან. საერთაშორისო სავალუტო ფონდის ყოველ წევრ ქვეყანას მიეკუთვნება კვოტა, რომელიც ეფუძნება ქვეყნის შედარებით მდგომარეობას მსოფლიო ეკონომიკაში. წევრების კვოტა ასახავს საერთაშორისო სავალუტო ფონდთან მათი ფინანსურ და ორგანიზაციული ურთიერთობის ძირითად ასპექტებს. გამომდინარე იქიდან რომ ბანკი წარმოადგენს ქვეყნის ფისკალურ წარმომადგენელს საერთაშორისო სავალუტო ფონდთან ურთიერთობაში ინსტრუმენტი არ არის წარდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის კვოტისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდისგან მიღებული სახსრების უზრუნველსაყოფად ბანკის მიერ შესანახად ფლობილი ფასიანი ქაღალდები

ფასიანი ქაღალდი შედგება საერთაშორისო სავალუტო ფონდის კვოტის უზრუნველსაყოფად ფლობილი 1,042,446 ათასი ლარისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდისგან მიღებული სახსრების უზრუნველსაყოფად ფლობილი 2,382,901 ათასი ლარისაგან (სულ 3,425,367 ათასი ლარი). ფასიანი ქაღალდი საქართველოს მთავრობის მიერ გამოშვებულ იქნა 1992 წელს საერთაშორისო სავალუტო ფონდის კვოტასთან მიმართებაში. უზრუნველყოფის სახით არსებული ფასიანი ქაღალდი მოიცავს საერთაშორისო სავალუტო ფონდისგან საქართველოს მთავრობისა და ბანკის მიერ მიღებული სახსრების მთლიან ნომინალურ ღირებულებას. ფასიანი ქაღალდის ნომინალური ღირებულება იცვლება ყოველწლიური გადაფასებისას და ბანკის მიერ საერთაშორისო სავალუტო ფონდის საერთო რესურსების ანგარიშიდან სახსრების მიღებისას. ფასიან ქაღალდს ბანკი ფლობს შენახვის მიზნით, შედეგად მისი აღრიცხვა ხდება გარე-საბალანსო ანგარიშზე და წარმოდგენილია ნომინალური ღირებულებით.

10. წარმოებულ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული აქტივები

	საბალანსო ღირებულება 31 დეკემბერი, 2021	ნომინალური ღირებულება 31 დეკემბერი, 2021	საბალანსო ღირებულება 31 დეკემბერი, 2020	ნომინალური ღირებულება 31 დეკემბერი, 2020
წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული აქტივები, საერთაშორისო რეზერვების მართვის ფარგლებში				
საპროცენტო განაკვეთის ფიუჩერსი:				
ფიუჩერსის მარჟა	10,994		22,365	
სავალუტო ფორვარდი				
სავალუტო ფორვარდთან დაკავშირებული აქტივები	380		587	
მისაღები ოდენობა	-	614,161	-	581,432
გადასახდელი ოდენობა	-	(605,891)	-	(590,442)
ნეტო სავალუტო ფორვარდი	**380**	**8,270**	**587**	**(9,010)**
საპროცენტო განაკვეთის ფიუჩერსთან დაკავშირებული აქტივები	2,861	213,734	249	-
საპროცენტო განაკვეთის ფიუჩერსთან დაკავშირებული ვალდებულებები	-	(5,983,634)	(9,212)	(3,935,524)
წმინდა პოზიცია საპროცენტო განაკვეთის ფიუჩერსზე	**2,861**	**(5,769,900)**	**(8,963)**	**(3,935,524)**
ნეტო წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული აქტივები, საერთაშორისო რეზერვების მართვის ფარგლებში	**14,235**	**(5,761,630)**	**13,989**	**(3,944,534)**
წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული აქტივები, მონეტარული ოპერაციების ფარგლებში				
სავალუტო სვოპები				
სავალუტო სვოპებთან დაკავშირებული აქტივები	3,864		1,318	
მისაღები ოდენობა	-	431,333		134,610
გადასახდელი ოდენობა	-	(427,469)		(133,292)
ნეტო სავალუტო სვოპი	**3,864**	**3,864**	**1,318**	**1,318**
სულ წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული აქტივები, მონეტარული ოპერაციების ფარგლებში	**3,864**	**3,864**	**1,318**	**1,318**

თავდაპირველად, წარმოებული ინსტრუმენტები ხშირად მოიცავენ მხოლოდ დაპირებების ურთიერთგაცვლას, ანაზღაურების მცირე გადაცემით ან ყოველგვარი გადაცემის გარეშე, თუმცა, აღნიშნული ინსტრუმენტები ხშირად მოიცავენ მაღალი ხარისხის ბერკეტებს და ცვალებადნი არიან. აქტივის ღირებულებაში, განაკვეთში ან ინდექსში შედარებით მცირე მოძრაობას შესაძლოა ჰქონდეს მნიშვნელოვანი გავლენა ბანკის მოგებაზე ან ზარალზე.

ფიუჩერსული ხელშეკრულებები წარმოადგენენ სახელშეკრულებო შეთანხმებებს გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტის კონკრეტული ფასით და სამომავლო თარიღით ყიდვაზე ან გაყიდვაზე. ფიუჩერსული ხელშეკრულებები ხორციელდება სტანდარტიზებული თანხებით რეგულარული გაცვლების საფუძველზე და ექვემდებარება ყოველდღიური ფულადი ზღვარის მოთხოვნებს. ფიუჩერსულ ხელშეკრულებებთან დაკავშირებული საკრედიტო რისკი განიხილება, როგორც მინიმალური, ვინაიდან გაცვლის ფულადი ზღვარის მოთხოვნები უზრუნველყოფენ იმას, რომ აღნიშნული ხელშეკრულებები შესრულდება და ანგარიშსწორება განხორციელდება ნეტო საფუძველზე.

ბანკი ვაჭრობს ევროდოლარის ფიუჩერსებით 2012 წლის მარტიდან, პორტფელის აქტიური მართვის ფარგლებში. აღნიშნული ფინანსური ინსტრუმენტი კოტირებულია ჩიკაგოს სასაქონლო ბირჟაზე და ჩიკაგოს სავაჭრო ბირჟაზე. ევროდოლარის ფიუჩერსები ფულადი ბაზრის ყველაზე ლიკვიდური და ყველაზე მეტად გაყიდვადი წარმოებული ხელშეკრულებებია. თითოეული ევროდოლარის ხელშეკრულების საფუძველს წარმოადგენს 3-თვიანი ევროდოლარის ვადიანი ანაბარი, რომლის პირობითი თანხაა 1 მილიონი აშშ დოლარი. ევროდოლარის ფიუჩერსებით ვაჭრობისას, ბანკი დგას მხოლოდ "საკლირინგო სახლის" საკრედიტო რისკის წინაშე, სადაც ხდება ევროდოლარის ფიუჩერსების ყიდვისა და გაყიდვის ურთიერთგადაფარვა.

ბანკი იყენებს ევროდოლარის ფიუჩერსულ კონტრაქტებს ჰეჯირების მიზნებისთვის, რაც, ამ შემთხვევაში, გულისხმობს, რისკების შესაბამისობაში მოსაყვანად (დურაცია და მრუდი), აშშ-ს სამთავრობო ან საკრედიტო რისკის მქონე (სააგენტოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გამოშვებული) ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვას და შესაბამისი მოცულობის საპირისპირო პოზიციის ევროდოლარის ფიუჩერსულ კონტრაქტებში გახსნას. ამგვარი სტრატეგიების მთავარ მიზანს წარმოადგენს პორტფელის საპროცენტო განაკვეთის რისკების შემცირება და საკრედიტო სპრედებიდან სარგებლის მიღება.

ბანკის პორტფელში არსებული ევროდოლარის ფიუჩერსები არ არის განკუთვნილი სავაჭრო მიზნებისთვის, ე.ი. ბანკი არ აპირებს მოგების მიღებას მათი ფასების ხელსაყრელი მოძრაობიდან.

11. ინვესტიციები შეფასებული რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით

ინვესტიციები შეფასებული რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით მოიცავს სახსრებს, რომლებიც იმართება საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკის მიერ. აღნიშნული წარმოადგენს ბანკის მიერ განთავსებულ ინვესტიციას საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკის საინვესტიციო კალათაში („Pool"-ში) (BISIP CNY), რომელიც თავის მხრივ წარმოადგენს ცენტრალური ბანკების საერთაშორისო რეზერვების ინვესტიციების სამართავად არსებულ ფონდს (რომელიც შედგება ჩინური სახელმწიფო ობლიგაციებისგან - CGB-ებისგან) და რომლის მთავარი მიზანიცაა ბანკისთვის გამოცდილების გაზიარება და საკონსულტაციო მომსახურების გაწევა. ფონდში კვოტის მფლობელებმა შესაძლოა მოითხოვონ საკუთარი ინვესტიციის გამოტანა ნაწილობრივ ან სრულად ნებისმიერ დროს. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკისთვის სამართავად გადაცემულმა სახსრებმა შეადგინა 329,975 ათასი ლარი.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ინვესტიციები შეფასებული რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით მოიცავს სახსრებს, რომლებიც იმართება საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკის მიერ და წარმოადგენდა ასევე განთავსებულ ინვესტიციას საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკის საინვესტიციო კალათაში („Pool"-ში) (BISIP K), შედგებოდა US Treasury და Europian Agency ობლიგაციებისგან ღირებულებით 177,163 ათასი ლარი.

12. ინვესტიციები შეფასებული რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ინვესტიციებმა შეფასებულმა რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით შეადგინა:

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები		
US Department of the Treasury, Washington	4,628,393	5,074,444
Governement of Canada, Ottawa	338,487	225,278
Government of Sweden	43,282	49,141
Government of Denmark	30,907	32,744
Australian Government, Canberra	-	662,094
	5,041,069	**6,043,701**
სუპრანაციონალური ფასიანი ქაღალდები		
Asian Development Bank, Manila	257,546	54,350
European Investment Bank, Luxembourg	202,220	69,791
European Stability Mechanism	184,537	-
Nordic Investment Bank	53,436	-
African Development Bank, Abidjan	48,652	59,847
International Bank for Reconstruction & Development, Washington	47,364	15,721
Bank for International Settlements, Basle	46,084	65,517
Inter-American Investment Corporation	34,288	5,950
New Development Bank, Shanghai	9,813	6,907
EUROFIMA, Basel	-	50,833
International Finance Corporation, Washington D.C.	-	13,926
Inter-American Development Bank, Washington D.C.	-	13,366
	883,940	**356,208**
სააგენტოს და სხვა ფასიანი ქაღალდები		
Kommuninvest I Sverige AB, Orebro	201,781	92,104
CDP Financial In, Montreal	176,821	131,326
Landeskreditbank Baden-Wuerttemberg Foerderbank	119,108	71,768
Kreditanstalt fuer Wiederaufbau, Frankfurt	117,742	124,165
CPPIB Capital Inc, Toronto	98,554	144,719
Province of Ontario Canada, Toronto	93,817	13,050
Bank Nederlandse Gemeenten, Den Haag	93,786	163,709
Province of Quebec Canada, Quebec	93,573	68,919
Erste Abwicklungsanstalt, Dusseldorf	89,114	63,379
Korean Development Bank	71,204	75,489
Province of Alberta Canada	58,604	77,231
SNCF Reseau EPIC	53,425	57,781
Municipality Finance PLC, Helsinki	50,714	45,081
Canada Housing Trust No 1	48,574	-
Svensk Exportkredit AB, Stocholm	48,418	118,500
Queensland Treasury Corp	46,460	20,127
Oesterreichische Kontrollbank AG, Vienna	45,088	48,931
OMERS Finance Trust	41,029	10,024
სხვა	286,667	596,803
	1,834,479	**1,923,106**
სულ ინვესტიციები შეფასებული რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით უცხოურ ვალუტაში	**7,759,488**	**8,323,015**
სავაჭრო სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები დენომინირებული ეროვნულ ვალუტაში		
საქართველოს მთავრობის ფასიანი ქაღალდები	1,649,777	1,168,338
სულ ინვესტიციები შეფასებული რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით დენომინირებული ეროვნულ ვალუტაში	**1,649,777**	**1,168,338**

რეალური ღირებულებით შეფასებული სხვა სრულ შემოსავალში ასახვით ინვესტიციების საპროცენტო (კუპონური) განაკვეთების და დაფარვის ვადების ანალიზი იხილეთ ქვემოთ ცხრილში:

	31 დეკემბერი, 2021		31 დეკემბერი, 2020	
დენომინირებული უცხოურ ვალუტაში:	**წლიური საპროცენტო განაკვეთი**	**დაფარვის ვადა**	**წლიური საპროცენტო განაკვეთი**	**დაფარვის ვადა**
სახელმწიფო სავალო ფასიანი ქაღალდები	0.125%-2.50%	2022-2026	0.125%-5.75%	2021-2025
სუპრანაციონალური სავალო ფასიანი ქაღალდები	0.25%-3%	2022-2025	0.25%-6%	2021-2025
სააგენტოს და სხვა ფასიანი ქაღალდები	0.25%-5%	2022-2026	0.25%-5.25%	2021-2025
დენომინირებული ეროვნულ ვალუტაში:				
სახელმწიფო სავალო ფასიანი ქაღალდები	7%-12.3%	2022-2028	6.75%-14.375%	2021-2028

ინვესტიციები შეფასებული რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით მოიცავს სახსრებს, რომლებიც იმართება RAMP პროგრამის ფარგლებში, რომელიც წარმოადგენს საერთაშორისო რეზერვების ნაწილის მსოფლიო ბანკის ხაზინისთვის (გარე მენეჯერი) სამართავად გადაცემას, რომელიც სპეციალიზებულია პორტფელის მართვაზე. გარე მენეჯერისათვის სამართავად სახსრების გადაცემის მთავარ მიზანს წარმოადგენს ბანკისთვის ნოუ-ჰაუს გადაცემა და საკონსულტაციო მომსახურების გაწევა. მენეჯერი კონტრაქტის საფუძველზე იღებს მართვის გასამრჯელოს, რომელიც გამოითვლება გადაცემული სახსრების ნეტო აქტივების ღირებულების საფუძველზე. გარე მენეჯერის პორტფელში არსებული აქტივები ბანკის სახელზეა, გლობალური მეურვის („ქასთოდიანის“) პასუხისმგებლობის ქვეშ, შერჩეული სავაჭრო ფასიანი ქაღალდების ინვესტირებისა და რეინვესტირების მიზნით. ბანკს შეუძლია, დროდადრო, შეატყობინოს გარე მენეჯერს, საინვესტიციო თანხის დამატების ან შემცირების შესახებ. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, RAMP პროგრამის ფარგლებში სამართავად გადაცემული სახსრების ჯამური ოდენობა შეადგენს 684,561 ათას ლარს (2020: 720,204 ათას ლარს).

არცერთი რეალური ღირებულებით შეფასებული სხვა სრულ შემოსავალში ასახვით ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკი არ არის არსებითად გაზრდილი თავდაპირველი აღიარების შემდგომ. იხილეთ შენიშვნა 28.

13. ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ინვესტიციები

	31 დეკემბერი, 2021		31 დეკემბერი, 2020	
	საბალანსო ღირებულება	**ნომინალური ღირებულება**	**საბალანსო ღირებულება**	**ნომინალური ღირებულება**
საქართველოს მთავრობის ფასიანი ქაღალდები				
საქართველოს მთავრობის ფასიანი ქაღალდები	161,461	160,846	201,661	200,846
სულ ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ინვესტიციები დენომინირებული ეროვნულ ვალუტაში	**161,461**	**160,846**	**201,661**	**200,846**

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ინვესტიციების საპროცენტო (კუპონური) განაკვეთები და დაფარვის ვადები იხილეთ ქვემოთ ცხრილში:

	31 დეკემბერი, 2021		31 დეკემბერი, 2020	
	წლიური საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის ვადა	წლიური საპროცენტო განაკვეთი.	დაფარვის ვადა
საქართველოს მთავრობის ფასიანი ქაღალდები	8.109%	2022-2025	8.610%	2021-2025

საქართველოს მთავრობის სავალო ფასიანი ქაღალდები ეროვნულ ვალუტაში წარმოადგენს საქართველოს მთავრობასა და ბანკს შორის 2006 წლის მარტში გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად სამთავრობო სესხის სავალო ფასიან ქაღალდებად გარდაქმნის შედეგად, ფულადი გადახდების განხორციელების გარეშე, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოშვებულ ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ფასიან ქაღალდებს. აღნიშნული ფასიანი ქაღალდები გამოშვებულ იქნა ექსკლუზიურად ბანკისათვის და არის არა-გადაცემადი და არასავსჭრო ინსტრუმენტი. შესაბამისად ისინი აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით. სამთავრობო სავალო ფასიანი ქაღალდების გადახდა ხდება ახალი ფინანსური ინსტრუმენტების გამოშვების გზით 40,000 ათასი ლარის ოდენობით ყოველწლიურად, რომლებიც კლასიფიცირდება როგორც ინვესტიციები, რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით. ობლიგაციის საპროცენტო განაკვეთი ექვემდებარება ყოველწლიურ გადახედვას არსებული საბაზრო განაკვეთების გათვალისწინებით.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არ გაზრდილა თავდაპირველი აღიარების შემდგომ. იხილეთ ასევე შენიშვნა 28.

14. გამოყენების უფლების სახით არსებული აქტივი

ბანკი სარგებლობს შენობის იჯარით პერონალის ნაწილისთვის ადმინისტრაციული მიზნებისთვის და აღიარებს შესაბამის გამოყენების უფლების სახით არსებულ აქტივს და საიჯარო ვალდებულებას:

გამოყენების უფლების სახით არსებული აქტივის ნაშთის ცვლილებები მოცემულია ქვემოთ:

	2021	2020
ნაშთი 1 იანვრის მდგომარეობით	**1,232**	**2,077**
ცვეთის ხარჯი წლის განმავლობაში	(845)	(845)
ნაშთი 31 დეკემბრის მდგომარეობით	**387**	**1,232**

საიჯარო ვალდებულების დაუფარავი ნაშთის ცვლილებები მოცემულია ქვემოთ:

	2021	2020
ნაშთი 1 იანვრის მდგომარეობით	**1,152**	**1,877**
საპროცენტო ხარჯი წლის განმავლობაში	58	112
გადახდები წლის განმავლობაში	(837)	(837)
ნაშთი 31 დეკემბრის მდგომარეობით	**373**	**1,152**

15. ძირითადი საშუალებები

	მიწა და შენობა-ნაგებობები	კომპიუტერები, საოფისე მოწყობილობა და ავეჯი	სატრანსპორტო საშუალებები და სხვა	დაუმთავრებელი მშენებლობა	სულ
თვითღირებულებით:					
1 იანვარი, 2020	**52,652**	**16,538**	**20,370**	**63**	**89,623**
შესყიდვა	-	2,226	221	1	2,448
31 დეკემბერი, 2020	**52,652**	**18,764**	**20,591**	**64**	**92,071**
შესყიდვა	196	319	7,102	-	7,617
გასვლა	-	(432)	(1,417)	(28)	(1,877)
31 დეკემბერი, 2021	**52,848**	**18,651**	**26,276**	**36**	**97,811**
დაგროვილი ცვეთა:					
1 იანვარი, 2020	**(7,287)**	**(7,700)**	**(16,817)**	**-**	**(31,804)**
ცვეთის დარიცხვა	(1,050)	(2,542)	(1,146)	-	(4,738)
31 დეკემბერი, 2020	**(8,337)**	**(10,242)**	**(17,963)**	**-**	**(36,542)**
ცვეთის დარიცხვა	(1,050)	(2,820)	(1,949)	-	(5,819)
გასვლა	-	430	1,417	-	1,847
31 დეკემბერი, 2021	**(9,387)**	**(12,632)**	**(18,495)**	**-**	**(40,514)**
წმინდა საბალანსო ღირებულება:					
31 დეკემბერი, 2021	**43,461**	**6,019**	**7,781**	**36**	**57,297**
31 დეკემბერი, 2020	**44,315**	**8,522**	**2,628**	**64**	**55,529**

16. არამატერიალური აქტივები

	პროგრამული უზრუნველყოფა და სხვა
თვითღირებულებით:	
1 იანვარი, 2020	**14,037**
შესყიდვა	1,378
გასვლა	(223)
31 დეკემბერი, 2020	**15,192**
შესყიდვა	2,429
გასვლა	(61)
31 დეკემბერი, 2021	**17,560**
დაგროვილი ამორტიზაცია:	
1 იანვარი, 2020	**(9,057)**
წლის დარიცხვა	(1,502)
გასვლა	223
31 დეკემბერი, 2020	**(10,336)**
წლის დარიცხვა	(1,838)
გასვლა	60
31 დეკემბერი, 2021	**(12,114)**
წმინდა საბალანსო ღირებულება	
31 დეკემბერი, 2021	**5,446**
31 დეკემბერი, 2020	**4,856**

17. სხვა აქტივები და ვალდებულებები

	31 დეკემბერი, 2021	31 დეკემბერი, 2020
სხვა აქტივები დენომინირებული უცხოურ ვალუტაში:		
წინასწარი გადახდები	-	977
სხვა	8	9
სულ სხვა აქტივები დენომინირებული უცხოურ ვალუტაში	**8**	**986**
სხვა აქტივები დენომინირებული ეროვნულ ვალუტაში:		
წინასწარი გადახდები	3,528	8,133
მარაგები	575	617
სამახსოვრო ოქროს მონეტები და ოქროს ზოდები	307	1,982
თანამშრომლებზე გაცემული სესხები	149	162
სხვა მოთხოვნები	101	642
	4,660	**11,536**
სხვა აქტივების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების რეზერვი	(74)	(156)
სულ სხვა აქტივები დენომინირებული ეროვნულ ვალუტაში	**4,586**	**11,380**

2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, სხვა ფინანსური აქტივები, გაუფასურების რეზერვის გამოკლებით, შეადგენს 183 ათასს და 1,633 ათას ლარს, შესაბამისად.

სხვა აქტივების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი წარმოადგენს თანამშრომლებზე გაცემული სესხების და სხვა დებიტორების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს. მოსალონელი საკრედიტო ზარალის რეზერვის მოძრაობა წარმოდგენილია 28-ე განმარტებით შენიშვნაში.

სხვა ვალდებულებები მოიცავს:

	31 დეკემბერი, 2021	31 დეკემბერი, 2020
სხვა ვალდებულებები დენომინირებული უცხოურ ვალუტაში		
ვალდებულებები მომწოდებლების მიმართ	2,886	5,587
სხვა ვალდებულებები	599	616
მთლიანი სხვა ვალდებულებები დენომინირებული უცხოურ ვალუტაში	**3,485**	**6,203**
სხვა ვალდებულებები დენომინირებული ეროვნულ ვალუტაში		
საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთვის გადასარიცხი მოგება	356,060	-
ვალდებულებები მომწოდებლების მიმართ	4,921	5,071
ვალდებულება რეალიზებულ ბანკნოტებსა და მონეტებზე	1,893	1,782
სხვა ვალდებულებები	4,077	2,726
მთლიანი სხვა ვალდებულებები დენომინირებული ეროვნულ ვალუტაში	**366,951**	**9,579**
სულ სხვა ვალდებულებები	**370,436**	**15,782**

2021 წლის 31 დეკემბრისათვის სხვა ფინანსური ვალდებულებები შეადგენს 12,361 ათას ლარს (2020 წლის 31 დეკემბრისთვის: 15,782).

18. ვალდებულებები რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტების მიმართ

ვალდებულებები რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტების მიმართ მოიცავს:

	31 დეკემბერი, 2021	31 დეკემბერი, 2020
ვალდებულებები რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტების მიმართ მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტების მიხედვით		
საკორესპონდენტო ანგარიშები ეროვნულ ვალუტაში	362,853	446,249
ერთდღიანი დეპოზიტები ეროვნულ ვალუტაში	81,200	78,700
სულ ვალდებულებები რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტების მიმართ მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტების მიხედვით	**444,053**	**524,949**
ბანკების სავალდებულო რეზერვები უცხოურ ვალუტაში	5,120,817	5,480,533
სულ ვალდებულებები რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტების მიმართ მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტების მიხედვით	**5,564,870**	**6,005,482**
ვალდებულებები რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტების მიმართ, სხვა		
საკორესპონდენტო ანგარიშები დენომინირებული უცხოურ ვალუტაში	181,271	89,741
კომერციული ბანკების სპეციალური დეპოზიტები უცხოურ ვალუტაში	42,747	13,330
სულ ვალდებულებები რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტების მიმართ, სხვა	**224,018**	**103,071**
სულ ვალდებულებები რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	**5,788,888**	**6,108,553**

2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტების მიმართ ვალდებულებებში შედის 4,288,445 ათასი ლარის და 4,469,736 ათასი ლარის (შესაბამისად) ოდენობის სამი უმსხვილესი რეზიდენტი კომერციული ბანკის ნაშთები, რომლებიც შეადგენს ფინანსური ინსტიტუტების მიმართ მთლიანი ვალდებულების 74.08 და 73.17 პროცენტს (შესაბამისად).

რეზიდენტ კომერციულ ბანკებს მოეთხოვებათ საქართველოს ეროვნულ ბანკში განათავსონ მინიმალური სარეზერვო ნაშთები. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სავალდებულო რეზერვები წარმოადგენს რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტების მიერ ეროვნულ ვალუტაში დენომინირებული მოზიდული სახსრების 5 პროცენტს (2020: 5%), და უცხოურ ვალუტაში დენომინირებული მოზიდული სახსრების 10-დან 25 პროცენტამდე, რაც დამოკიდებულია კონკრეტული კომერციული ბანკის დეპოზიტების დოლარიზაციის დონეზე (2020: 25%). უცხოური ვალუტის ნასესხები სახსრების შემთხვევაში, დარჩენილი დაფარვის ვადით 1-2 წელი, მინიმალური სარეზერვო ნაშთები შეადგენს 10-დან 15 პროცენტამდე, რაც დამოკიდებულია კონკრეტული კომერციული ბანკის დეპოზიტების დოლარიზაციის დონეზე (2020: 15%). სავალდებულო რეზერვებზე 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წლიური საპროცენტო განაკვეთი ლარში დენომინირებულ მინიმალურ სარეზერვო მოთხოვნებზე შესაბამისად შეადგენს 10.5 და 8 პროცენტს, ხოლო აშშ დოლარში/ევროში დენომინირებულ მინიმალურ სარეზერვო მოთხოვნებზე -0.25%/-0.7% და -0.25%/-0.7%, შესაბამისად. ეროვნულ ვალუტაში დენომინირებული მოზიდული სახსრები, რომელთა დარჩენილი დაფარვის ვადა აღემატება ერთ წელს და უცხოურ ვალუტაში დენომირებული მოზიდული სახსრები, რომელთა დარჩენილი დაფარვის ვადა აღემატება 2 წელს, არიან განთავისუფლებული სავალდებულო რეზერვის მოთხოვნისაგან.

19. ვალდებულებები ფინანსთა სამინისტროს მიმართ

	31 დეკემბერი, 2021	31 დეკემბერი, 2020
ვალდებულებები საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართ:		
მიმდინარე ანგარიშები დენომინირებული უცხოურ ვალუტაში	788,312	788,928
მიმდინარე ანგარიშები დენომინირებული ეროვნულ ვალუტაში	894,785	661,984
სულ ვალდებულებები საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართ	**1,683,097**	**1,450,912**

20. ვალდებულებები კლიენტების მიმართ

	31 დეკემბერი, 2021	31 დეკემბერი, 2020
ვალდებულებები კლიენტების მიმართ ეროვნულ ვალუტაში:		
ვალდებულებები საერთაშორისო ორგანიზაციების მიმართ	605	1,394
სულ ვალდებულებები კლიენტების მიმართ ეროვნულ ვალუტაში:	**605**	**1,394**

21. მიმოქცევაში გაშვებული ფული

მიმოქცევაში გაშვებული ფული წარმოადგენს ბანკის მიერ გამოშვებულ საქართველოს ეროვნულ ვალუტას. 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის, მოძრაობა წლის განმავლობაში იყო შემდეგი:

	2021	2020
ნაშთი 1 იანვრის მდგომარეობით	**4,661,427**	**4,137,012**
მიმოქცევაში გაშვებული ბანკნოტები	8,190,450	6,973,721
მიმოქცევაში გაშვებული მონეტები	85,740	54,257
მიმოქცევიდან ამოღებული ბანკნოტები	(8,279,816)	(6,456,882)
მიმოქცევიდან ამოღებული მონეტები	(68,767)	(46,681)
ნაშთი 31 დეკემბრის მდგომარეობით	**4,589,034**	**4,661,427**

22. გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები

	წლიური საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის ვადა	ნომინალური ღირებულება	საბალანსო ღირებულება
სადეპოზიტო სერთიფიკატები 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	9.45%-10.39%	28 იანვარი - 25 მარტი 2022	60,000	59,124
სადეპოზიტო სერთიფიკატები 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	8.01%-8.13%	28 იანვარი - 25 მარტი 2021	60,000	59,273

23. კაპიტალი

კანონის შესაბამისად, ბანკის კაპიტალი მოიცავს ბანკის გაცხადებულ და მთლიანად გადახდილ კაპიტალსა და სარეზერვო ფონდს.

საწესდებო კაპიტალი

2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკის საწესდებო კაპიტალი სრულად არის შეტანილი და შეადგენს 15,000 ათას ლარს.

კაპიტალის მართვა

ბანკი განსაზღვრავს კაპიტალს როგორც საკუთარ კაპიტალს ფასს-ის თანახმად. 2009 წლის 1 დეკემბრით (№2186) დათარიღებული კანონის 24-ე მუხლის საფუძველზე, ყოველი საფინანსო წლისათვის ბანკის წმინდა მოგება გამოიანგარიშება, როგორც წმინდა საოპერაციო მოგების ან ზარალის და გადაფასების შედეგად მიღებული არარეალიზებული წმინდა მოგების ან ზარალის ჯამი. წმინდა საოპერაციო მოგება ან ზარალი მიიღება საანგარიშგებო წლის შემოსავლის თანხიდან ძირითადი საქმიანობის წარმართვისათვის განკუთვნილი მიმდინარე ხარჯების გამოქვითვით. გაუნაწილებელი მოგება კანონის მოთხოვნებისა და საბჭოს მიერ დამტკიცების შესაბამისად, გადადის სხვადასხვა რეზერვებში. წლიური ანგარიშის ბანკის საბჭოს მიერ დამტკიცების შემდეგ საფინანსო წლის დარჩენილი წმინდა მოგება უნდა გადაირიცხოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ანგარიშზე ბანკის საფინანსო წლის დასრულებიდან 6 თვის ვადაში.

სარეზერვო ფონდი

კანონში შეტანილი ცვლილების (მუხლი 25) თანახმად, ბანკის საერთო სარეზერვო ფონდმა უნდა შეადგინოს სარეზერვო ფულის (ბანკის მიერ მიმოქცევაში გაშვებული ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში და კომერციული ბანკების საკორესპონდენტო ანგარიშები ეროვნულ ვალუტაში) 15 პროცენტი. ბანკის საერთო სარეზერვო ფონდი იქმნება წლის რეალიზებული მოგებიდან, რომელიც წარმოადგენს წლის წმინდა მოგებას სავალუტო და სხვა გადაფასებით გამოწვეული არარეალიზებული წმინდა მოგების და ზარალის გამოკლებით. ბანკის საბჭო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება წმინდა მოგების დარჩენილი თანხით საერთო სარეზერვო ფონდის მოცულობის შესაბამისი ფინანსური წლის ბოლოს არსებული სარეზერვო ფულის ოდენობის 15 პროცენტზე ნაკლები ოდენობით შევსების შესახებ.

სარეზერვო ფონდი გამოიყენება მხოლოდ ბანკის ზარალის საკომპენსაციოდ. ქვეყნის ფინანსური სისტემის სტაბილურობის შენარჩუნებისა და მდგრადი ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობის მიზნით, საბჭო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება სარეზერვო ფონდში არსებული თანხების განაწილების შესახებ. სარეზერვო ფონდში თანხების გადატანის შემდეგ, ბანკის რეალიზებული მოგების ნარჩენი ნაშთი უნდა გადაირიცხოს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში.

2021 ფინანსურ წელს ბანკმა საერთო სარეზერვო ფონდში 2021 წლის რეალიზებული მოგებიდან გადაიტანა 60,319 ათასი ლარი და 2020 წლის მოგებიდან - 219,139 ათასი ლარი (რომელიც 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შედიოდა გაუნაწილებელ მოგებაში).

კანონის 25-ე მუხლის „გ“ პუნქტის საფუძველზე, 2021 წლის რეალიზებული მოგების ნარჩენი ოდენობა, 356,060 ათასი ლარი გაუნაწილდა ფინანსთა სამინისტროს და გადაირიცხება საანგარიშგებო წლის დასრულებიდან 6 თვის განმავლობაში. 2020 წლის რეალიზებული მოგების ნარჩენი ოდენობა - 140,000 ათასი ლარი (რომელიც შესული იყო გაუნაწილებელ მოგებაში 2020 წლის 31 დეკემბრისთვის)- გაუნაწილდა და გადაერიცხა ფინანსთა სამინისტროს 2021 წელს.

უცხოური ვალუტის და სხვა გადაფასების რეზერვი

კანონის 25(ა) მუხლის თანახმად, უცხოური ვალუტის გადაფასებით გამოწვეული არარეალიზებული წმინდა მოგება მიემართება უცხოური ვალუტის გადაფასების რეზერვში და რეალური ღირებულებით აღრიცხული მოგებაში ან ზარალში ასახვით ფინანსური აქტივების საბაზრო ფასების ცვლილებების წმინდა არარეალიზებული მოგება მიემართება სპეციალურად ამ მიზნით შექმნილ გადაფასების რეზერვში. ეს სპეციალური რეზერვები გამოიყენება შესაბამისი ზარალების დასაფარად მომავალში.

2021 წელს უცხოური ვალუტის გადაფასებიდან მიღებული წმინდა არარეალიზებული ზარალი 259,086 ათასი ლარის ოდენობით კომპენსირდა უცხოური ვალუტის გადაფასების რეზერვიდან (2020 წელს: არარეალიზებული მოგება 680,748 ათასი ლარის ოდენობით სრულად მიიმართა გაუნაწილებელი მოგებიდან უცხოური ვალუტის გადაფასების რეზერვში). 2021 წელს სხვა გადაფასებების ცვლილებით გამოწვეული მოგება 14,036 ათასი ლარის ოდენობით მიიმართა გაუნაწილებელი მოგებიდან სხვა გადაფასების რეზერვში (2020 წელს: სხვა გადაფასებების ცვლილებით გამოწვეული ზარალი 2,512 ათასი ლარის ოდენობით კომპენსირდა სხვა გადაფასების რეზერვიდან).

რეალური ღირებულებით შეფასებული სხვა სრულ შემოსავალში ასახვით ინვესტიციების გადაფასების რეზერვი

აღნიშნული რეზერვი წარმოადგენს იმ ინვესტიციების რეალური ღირებულების ცვლილებას, რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით.

24. ვალდებულებები და პირობითი ვალდებულებები

ბანკი თავისი ჩვეული საქმიანობის პროცესში არის მხარე ფინანსური ინსტრუმენტებისა რომელიც დაკავშირებულია გარესაბალანსო ვალდებულებებთან. ბანკი გარესაბალანსო ვალდებულებებთან მიმართებაში ხელმძღვანელობს რისკების მართვის იმავე პოლიტიკით, რომელსაც იყენებს საბალანსო ოპერაციებში.

ვალდებულებები კაპიტალურ დანახარჯებზე

2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკს არ გააჩნია არსებითი ვალდებულებები კაპიტალურ დანახარჯებზე.

საოპერაციო გარემო

როგორც განვითარებად ბაზარს, საქართველოს არ გააჩნია მაღალგანვითარებული ინფრასტრუქტურა, რომელიც, როგორც წესი, ახასიათებს უფრო მომწიფებულ საბაზრო ეკონომიკას. ამიტომ, განსაკუთრებით მკვეთრმა ცვლილებებმა საოპერაციო გარემოში (გლობალური გარემოს ჩათვლით) შეიძლება იქონიოს ისეთი გავლენა ბანკის შედეგზე და ფინანსურ მდგომარეობაზე რომელიც ამჟამად ვერ განისაზღვრება.

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, საქართველოს მთავრობამ და ბანკმა მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგეს, რამაც დადებითი გავლენა იქონია ქვეყნის საინვესტიციო გარემოზე. განსაკუთრებით აღსანიშნავია რეფორმები საბანკო, იურიდიულ, საგადასახადო, მარეგულირებელი სისტემის ეფექტიანობის გაზრდის მიმართულებით და ასევე, სხვადასხვა ღონისძიებები ეკონომიკის ლიკვიდურობისთვის საჭირო მოთხოვნების შესრულებისა და ეროვნული ვალუტის კურსის სტაბილიზაციისთვის. ყოველივე ამან ხელი შეუწყო მაკროეკონომიკურ სტაბილურობას, რეალური ზრდის მაღალ ტემპებს და უცხოური ინვესტიციების შემოდინებას. არსებული ტენდენცია იძლევა საფუძველს, რომ ეკონომიკის ზრდა მთლიანობაში კვლავაც გაგრძელდება.

ამასთან, საქართველოს ეკონომიკის სამომავლო განვითარება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ზემოთხსენებულ რეფორმებზე და საქართველოს მთავრობისა და ბანკის მიერ მიღებული ფინანსური თუ მონეტარული ზომების ეფექტურობაზე.

ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ყველა საჭირო ღონისძიება განხორციელდა მაკროეკონომიკურ და ფინანსურ სტაბილურობასთან დაკავშირებით ბანკის როლის ხელშეწყობის მიზნით.

COVID-19 პანდემიის საპასუხოდ, ბანკმა შეიმუშავა ლიკვიდობის დროებითი ინსტრუმენტები, რათა თავიდან აიცილოს ან მინიმუმამდე შეამციროს პოტენციური სამომავლო ლიკვიდობის რისკები საბანკო სექტორში. 2020 წლის აპრილიდან, სტანდარტულ რეფინანსირების სესხებთან ერთად, ბანკი ბაზარს უწევს ლიკვიდობის მხარდაჭერას სავალუტო სვოპების ოპერაციების მეშვეობით. სავალუტო სვოპი არის მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტი, რომელიც მიმართულია ბაზარზე ლიკვიდობის შექმნისკენ. სავალუტო სვოპ ტრანზაქციების მეშვეობით, ბანკი 1 თვით ყიდულობს უცხოურ ვალუტას ეროვნული ვალუტის მეშვეობით მიმდინარე (სპოტ) კურსით, იმ პირობით, რომ იგი უკან გაიყიდება წინასწარ განსაზღვრული ფორვარდული კურსით.

სასამართლო დავები

ბანკის მიმდინარე სასამართლო პროცესებთან და საჩივრებთან მიმართებაში ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ამგვარი სასამართლო პროცესებიდან წარმოშობილი ვალდებულება, თუ ასეთს ადგილი ექნება, არ იქონიებს არსებით გავლენას ბანკის ფინანსურ მდგომარეობაზე ან მისი საქმიანობის შედეგებზე. ხელმძღვანელობის აზრით, არ არსებობს რაიმე არსებითი დაურიცხავი ზარალი, რომელიც შესაძლოა მომავალში მოხდეს და შესაბამისად ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის გათვალისწინებული დანაკარგების ანარიცხები.

საკრედიტო და პირობითი ვალდებულებები

2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკს არ გააჩნია რაიმე არსებითი საკრედიტო და პირობითი ვალდებულება.

25. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

ბანკი, როგორც სახელმწიფო ორგანო, დაკავშირებულია საქართველოს მთავრობის ორგანოებთან. თავისი პოლიტიკის მიზნების მისაღწევად, ბანკი ინარჩუნებს სტრუქტურულ და ფუნქციურ დამოუკიდებლობას საქართველოს მთავრობისგან, იქიდან გამომდინარე რომ ბანკს შეუძლია თავისი ხელმძღვანელობით და მართვით თავად დააფინანსოს ბანკის ოპერაციები გარე დახმარების გარეშე.

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაში იგულისხმებიან ის პიროვნებები, რომლებსაც გააჩნიათ უფლებამოსილება და აკისრიათ პასუხისმგებლობა დაგეგმონ, განკარგონ და აკონტროლონ ბანკის საქმიანობა, პირდაპირ თუ არა პირდაპირ. უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობას შეადგენენ: საბჭოს წევრები, აღმასრულებელი დირექტორი და დეპარტამენტების უფროსები.

ბანკი, ჩვეულებრივი საქმიანობის წარმართვის პროცესში შედის გარიგებებში დაკავშირებულ მხარეებთან და არსებითი ოპერაციები და ნაშთები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ურთიერთდამოკიდებულების შინაარსზე და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმაზე დაყრდნობით.

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასი ლარი)

ბანკის გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან წარმოდგენილია ქვემოთ:

	2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წელი		2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წელი	
	გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან	სულ მოგებისა და ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების მუხლის მიხედვით	გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან	სულ მოგებისა და ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების მუხლის მიხედვით
უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ანაზღაურება:				
- თანამშრომლის მოკლევადიანი სარგებელი	(4,254)	(31,155)	(3,922)	(28,303)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	შენიშვნები	31 დეკემბერი, 2021 დაკავშირებული მხარეების ნაშთები	31 დეკემბერი, 2021 სულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მუხლის მიხედვით	31 დეკემბერი, 2020 დაკავშირებული მხარეების ნაშთები	31 დეკემბერი, 2020 სულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მუხლის მიხედვით
აქტივები:					
ეროვნულ ვალუტაში დენომინირებული ინვესტიციები რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით- *საქართველოს მთავრობა*	12	1,649,777	1,649,777	1,168,338	1,168,338
ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ინვესტიციები ეროვნულ ვალუტაში- *საქართველოს მთავრობა*	13	161,461	161,461	201,661	201,661
თანამშრომლებზე გაცემული სესხები-*უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა*	17	74	149	-	-
ვალდებულებები:					
ვალდებულებები ფინანსთა სამინისტროს მიმართ	19	1,683,097	1,683,097	1,450,912	1,450,912
მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება					
საპროცენტო შემოსავალი		123,928	484,195	92,786	453,858
- საქართველოს მთავრობა		*123,910*		*92,786*	
- უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა		*18*		-	

რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით შეფასებული სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების რეალური ღირებულების ცვლილებით მიღებულმა არარეალიზებულმა ზარალმა 2021 წელს შეადგინა 33,433 ათასი ლარი (2020: მოგება 4,917 ათასი ლარის ოდენობით).

26. საფინანსო საქმიანობასთან დაკავშირებული ვალდებულებები

ვალდებულებების ცვლილებების რეკონსილაცია საფინანსო საქმიანობიდან წარმოშობილ ფულად ნაკადებთან:

		ნაღდი			უნაღდო				
	შენიშვნა	1 იანვარი 2021	გადახდილი პროცენტი	ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	დარიცხული პროცენტი	საკურსო სხვაობები	ფინანსთა სამინისტროსთვის განაწილება 2020 წლის მოგებიდან	ფინანსთა სამინისტროსთვის განაწილება 2021 წლის მოგებიდან	31 დეკემბერი 2021
საფინანსო საქმიანობით გამოწვეული ვალდებულებები:									
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	22	59,273	(5,088)	(700)	5,639	-	-	-	59,124
ვალდებულებები საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიმართ	9	1,900,788	(19,997)	1,262,346	19,857	(214,777)	-	-	2,948,218
სხვა ვალდებულებები	23	-	-	(140,000)	-	-	140,000	356,060	356,060

		ნაღდი			უნაღდო				
	შენიშვნა	1 იანვარი 2020	გადახდილი პროცენტი	ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	დარიცხული პროცენტი	საკურსო სხვაობები	ფინანსთა სამინისტროსთვის განაწილება 2020 წლის მოგებიდან	ფინანსთა სამინისტროსთვის განაწილება 2020 წლის მოგებიდან	31 დეკემბერი 2020
საფინანსო საქმიანობითგამოწვეული ვალდებულებები:									
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	22	79,149	(5,039)	(20,332)	5,495	-	-	-	59,273
ვალდებულებები საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიმართ	9	1,284,863	(11,729)	374,823	12,602	240,229	-	-	1,900,788
სხვა ვალდებულებები	23	-	-	(100,000)	-	-	100,000	-	-

27. ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება

ფასს-ის თანახმად რეალური ღირებულება არის თანხა, რომელიც მიღებული იქნება აქტივის გაყიდვიდან ან იქნება გადახდილი ვალდებულებების გადაცემისას ჩვეულებრივი გარიგებების ფარგლებში ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების თარიღისათვის.

რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები

ბანკის ზოგიერთი ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულებით აღრიცხვა ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება. მომდევნო ცხრილი იძლევა ინფორმაციას თუ როგორ განისაზღვრება ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულება (კერძოდ შეფასების ტექნიკები და გამოყენებული მონაცემები).

წარდგენის მიზნით, რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები დაყოფილია რეალური ღირებულების იერარქიის სამი დონის მიხედვით, რაც დაფუძნებულია რეალური ღირებულების დასადგენად გათვალისწინებული შემავალი მონაცემების დაკვირვებადობის ხარისხზე:

- აქტიურ ბაზარზე კოტირებული ფასები (**დონე 1**) – შეფასება დაფუძნებულია აქტიურ ბაზრებზე მსგავსი აქტივებისა თუ ვალდებულებების კოტირებულ ფასებზე, ბანკის წვდომის შესაძლებლობის შესაბამისად. ამ სახის ფინანსურ ინსტრუმენტებზე შეფასების კორექტირებები არ ვრცელდება, რადგან შეფასება დაფუძნებულია კოტირებულ ფასებზე, რომლებიც მზა სახით და საკმარისი სიხშირით გვხვდება აქტიურ ბაზარზე, ამ პროდუქტების შეფასება არ წარმოადგენს მნიშვნელოვანი შეფასების საგანს. ეს დონე მოიცავს საერთაშორისო რეზერვების პორტფელის ფინანსურ ინსტრუმენტებს, რომლებიც კლასიფიცირებულია წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებად, ფინანსურ ინსტრუმენტებად, რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით და ფინანსურ ინსტრუმენტებად, რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით. ინსტრუმენტები ფასდება ყოველდღიურად, ბლუმბერგის დღის საბოლოო ე.წ. „შეთავაზებული ფასების“ მიხედვით.
- შეფასების ტექნიკა, რომელიც იყენებს დაკვირვებად მონაცემებს. (**დონე 2**) - შეფასება რომელიც ემყარება მონაცემებს, გარდა კოტირებული ფასებისა რომელიც გამოიყენებოდა 1-ელ დონეში, რომლებიც დაკვირვებადია აქტივისა და ვალდებულებებისთვის პირდაპირ ან არაპირდაპირ. მე-2 დონე მოიცავს შემდეგს:

  ა) კოტირებული ფასები მსგავსი აქტივებისა და ვალდებულებებისთვის აქტიურ ბაზრებზე;
  ბ) კოტირებული ფასები იდენტური ან მსგავსი აქტივებისა და ვალდებულებებისთვის არა აქტიურ ბაზრებზე;
  გ) აქტივებსა და ვალდებულებებზე არა კოტირებული ფასების მქონე მონაცემი, რომლის დაკვირვებაც შესაძლებელია, მაგალითად:

  - საპროცენტო განაკვეთები და სარგებლის მრუდები, რომლებიც დაკვირვებადია კოტირებული ინტერვალებისთვის.
  - ნაგულისხმები მერყეობა. და
  - საკრედიტო „სპრედი“.

  დ) ბაზრით გამყარებული მონაცემები

  საქართველოს მთავრობის ფასიანი ქაღალდები, კლასიფიცირებული როგორც ინვესტიციები შეფასებული რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, მიეკუთვნება მე-2 დონეს და ითვლება დაკვირვებადი მონაცემების მიხედვით, უფრო კონკრეტულად კი საბაზრო სარგებლის მიხედვით საქართველოს მთავრობის მიერ გამოშვებული მსგავსი ფასიანი

ქაღალდებისთვის. რეალური ღირებულების შესაფასებლად, დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელი გამოიყენება მიმდინარე საპროცენტო განაკვეთის სარგებლის მრუდზე დაყრდნობით, რომელიც შეესაბამება დარჩენილ ვადიანობას.

- შეფასების ტექნიკა, რომლის შემავალი მონაცემები არ ეფუძნება საბაზრო მონაცემებს (**დონე 3**) – შეფასება დაფუძნებულია ყველა იმ მონაცემზე, რომელიც მნიშველოვან გავლენას ახდენს რეალურ ღირებულებაზე და არ ეფუძნება დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს. ბანკს არ გააჩნია ისეთი ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც არ ეფუძნება საბაზრო მონაცემებს.

ბანკს მიაჩნია, რომ სააღრიცხვო შეფასება, რომელიც დაკავშირებულია ფინანსური ინსტრუმენტების შეფასებასთან, როდესაც არ არის ხელმისაწვდომი კოტირებული საბაზრო ფასები ან სხვა დაკვირვებადი მონაცემები არის მნიშვნელოვანი წყარო გაურკვევლობებისა შეფასებებში რადგან: (i) ის არის მიდრეკილი პერიოდული ცვლილებებისკენ, საჭიროებს მენეჯმენტისგან დაშვებებს საპროცენტო განაკვეთებზე, ცვალებადობაზე, გაცვლით კურსებზე, კონტრაჰენტის საკრედიტო რეიტინგზე, შეფასების კორექტირებებზე და ტრანზაქციების სპეციფიურ ფუნქციებზე და (ii) შეფასების ცვლილებამ შეიძლება არსებითი გავლენა იქონიოს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღრიცხულ აქტივებსა და მოგებაზე ან ზარალზე.

ქვემოთ ცხრილში მოცემულია ფინანსური ინსტრუმენტები რეალური ღირებულებით, შეფასების დონეების მიხედვით 2021 წლის 31 დეკემბრისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. თანხები მოცემულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული ღირებულებებით:

ფინანსური აქტივები	შენიშვნები	რეალური ღირებულება				
		2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	რეალური ღირებულების იერარქიის დონეები	შეფასების ტექნიკები და ძირითადი მონაცემები	არა-დაკვირვებადი მნიშვნელოვანი მონაცემები
საერთაშორისო რეზერვები						
წარმოებული ფინანსური აქტივები	10	14,235	13,989	დონე 1	აქტიურ ბაზარზე კოტირებული "შეთავაზებული ფასი"	არ მიესადაგება
ინვესტიციები რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით	11	329,975	177,163	დონე 1*	აქტიურ ბაზარზე კოტირებული "შეთავაზებული ფასი"	არ მიესადაგება
ინვესტიციები რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით	12	7,759,488	8,323,015	დონე 1	აქტიურ ბაზარზე კოტირებული "შეთავაზებული ფასი"	არ მიესადაგება
მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტები						
ინვესტიციები რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით	12	1,649,777	1,168,338	დონე 2	საბაზრო საპროცენტო განაკვეთი მსგავსი ინტრუმენტების-თვის	არ მიესადაგება
წარმოებული ფინანსური აქტივები	10	3,864	1,318	დონე 1	აქტიურ ბაზარზე კოტირებული "შეთავაზებული ფასი"	არ მიესადაგება

**ბანკის ინვესტიციები რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით წარმოადგენს საერთაშორისო რეზერვების იმ ნაწილს, რომელიც სამართავად არის გადაცემული საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკისთვის და შედგება საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკის საინვესტიციო კალათაში (BISIP CNY) (31 დეკემბერი 2020 - BISIP K) განთავსებული ინვესტიციებისგან. აღნიშნული ინვესტიციები წარმოადგენს ინსტრუმენტებს, რომელთათვისაც არსებობს აქტიურ ბაზარზე კოტირებული ფასები რაზე წვდომაც ბანკს აქვს იდენტურ აქტივებისა თუ ვალდებულებებისთვის. შესაბამისად, რეალური ღირებულების იერარქიაში ინვესტიციის რეალური ღირებულება მიჩნეულია როგორც დონე 1.*

2021 წლის 31 დეკემბრით და 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის ადგილი არ ჰქონია გადატანას პირველ, მეორე და მესამე დონეებს შორის.

სხვა სრულ შემოსავალში შესული მოგება და ზარალი უკავშირდება ინვესტიციებს, რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით და მისი ანგარიშგება ხდება როგორც რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით ინვესტიციების გადაფასების რეზერვის ცვლილება.

მოგებაში ან ზარალში გაერთიანებული წმინდა არარეალიზებული მოგება/(ზარალი) ფასიანი ქაღალდებისა და წარმოებული ინსტრუმენტებიდან უკავშირდება წარმოებული ფინანსური აქტივებისა და სავაჭრო ფასიანი ქაღალდების ცვლილებებს რეალურ ღირებულებაში 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის.

იმ ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების რეალური ღირებულება, რომლებიც არ ფასდება რეალური ღირებულებით განმეორებით საფუძველზე (ამასთან აუცილებელია რეალური ღირებულების განმარტებითი შენიშვნები)

ფიქსირებული საპროცენტო შემოსავლის მქონე ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება უტოლდება რეალურ ღირებულებას, იმ შემთხვევაში თუ მათ გააჩნიათ ხანმოკლე დაფარვის ვადა. ეს დაშვება ასევე ეხება მოთხოვნამდე დეპოზიტებსა და ანგარიშებს დაფარვის ვადის გარეშე.

მიჩნეულია, რომ ცვლადი საპროცენტო სარგებლის მქონე ფინანსური აქტივებისა (საქართველოს სახელმწიფო სავალო ფასიანი ქაღალდები კლასიფიცირებული როგორც ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ინვესტიციები) და ვალდებულებების (სესხები საერთაშორისო სავალუტო ფონდიდან) შემთხვევაში საბალანსო ღირებულება უტოლდება რეალურ ღირებულებას. დამატებით ბანკის მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ სესხი საერთაშორისო სავალუტო ფონდიდან, მისი სპეციფიური თვისებიდან გამომდინარე წარმოადგენს ცალკე სესხების სეგმენტს, რომლებიც გაიცემა საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციების მიერ განვითარებადი ქყვეყნებისთვის ხელშეწყობის მიზნით. შედეგად ეს სესხები განიხილება როგორც "გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით" მიღებული.

28. რისკების მართვა

შესავალი

ბანკის საქმიანობა დაკავშირებულია სხვადასხვა ტიპის რისკებთან. ეს რისკები მოიცავს ფინანსურ რისკებს საბაზრო, საკრედიტო და ლიკვიდობის რისკების სახით. აგრეთვე ბანკის საქმიანობა დაკავშირებულია არაფინანსური რისკების ფართო სპექტრთან. ბანკის უნიკალური როლიდან და ფუნქციებიდან გამომდინარე, ბანკის მიერ რისკების მართვა და კონტროლი დაფუძნებულია არა მარტო ორგანიზაციული რისკისა და მოგების შესახებ მოსაზრებებზე, არამედ, ის მხედველობაში იღებს ეროვნულ ინტერესს, შესაბამის კანონმდებლობაში გაწერილი პასუხისმგებლობების მიხედვით. ბანკის ხედვით რისკების მართვის სისტემა წარმოადგენს მმართველობის პროცესის განუყოფელ ნაწილს და ძლიერი კორპორაციული მმართველობის არსებით კომპონენტს. ბანკის

საბჭო, საბოლოო ჯამში, პასუხისმგებელია რისკების მართვის ჩარჩოს და მნიშვნელოვანი რისკების მართვის პროცესის ზედამხედველობაზე და ასევე რისკების მართვის პოლიტიკების და პროცედურების გადახედვაზე. ეფექტური და ეფექტიანი რისკის მართვის სისტემის უზრუნველსაყოფად ბანკში შემუშავებულია დაცვის სამხაზიანი მოდელი. ეს მოდელი სტრუქტურული ერთეულებისთვის, რისკების ცენტრალიზებული მართვის დეპარტამენტისა და შიდააუდიტორული სამსახურისთვის გამოყოფს მკაფიო როლებსა და პასუხისმგებლობებს.

დაცვის პირველი ხაზი :მართვა სტრუქტურული ერთეულის დონეზე

დაცვის პირველი ხაზი (ბანკის დეპარტამენტები) პასუხისმგებელია რისკების იდენტიფიცირებაზე, შეფასებასა და რისკების მართვაზე სტრუქტურული ერთეულის დონეზე ადეკვატური და ეფექტური კონტროლის მექანიზმების შემუშავების, დანერგვასა და შენარჩუნების გზით.

დაცვის მეორე ხაზი:რისკების ცენტრალიზებული მართვის დეპარტამენტი

დაცვის მეორე ხაზი (რისკების ცენტრალიზებული მართვის დეპარტამენტი) პასუხისმგებელია ეფექტური არაფინანსური რისკების მართვის ჩარჩოს შემუშავებასა და დანერგვაზე, რომელიც შესაბამისობაშია საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის სტანდარტებთან და მიდგომებთან. რისკების ცენტრალიზებული მართვის დეპარტამენტი უზრუნველყოფს რისკების, მექანიზმების და რისკის მართვის პროცესების დამოუკიდებელ და პროაქტიულ შეფასებას და ბიზნეს უწყვეტობის მხარდაჭერას. დეპარტამენტი ანგარიშვალდებულია ბანკის პრეზიდენტთან.

დაცვის მესამე ხაზი: შიდააუდიტორული სამსახური

შიდააუდიტორული სამსახური წარმოადგენს დაცვის მესამე ხაზს, რომლიც უზრუნველყოფს რისკების მართვისა და შიდა კონტროლების სისტემების ეფექტურობას და ადეკვატურობას. შიდა აუდიტი რეგულარულად ამოწმებს, როგორც შიდა კონტროლების ადეკვატურობას, ასევე ბანკის პროცესების შესაბამისობას პროცედურებთან და შეფასების შედეგებსა და რეკომენდაციებს წარუდგენს საბჭოს თავმჯდომარეს.

რისკის მართვის დეპარტამენტის სტრუქტურა

რისკის ტიპი	მართვის დონე	სახელმძღვანელო მითითებების პოლიტიკის ავტორი	ზედამხედველობა
ფინანსური რისკები	დეპარტამენტის დონეზე	მონეტარული პოლიტიკის კომიტეტი საერთაშორისო რეზერვების მართვის კომიტეტი	საბჭო
არაფინანსური რისკები	დეპარტამენტის დონეზე	ცენტრალიზებული რისკის მართვის დეპარტამენტი	შიდა აუდიტი, აუდიტის კომიტეტი

ფინანსური რისკები

ბანკი ფინანსურ ინსტრუმენტებს იყენებს მონეტარული პოლიტიკის მიზნების მიღწევისა და საერთაშორისო რეზერვების მართვის მიზნით. ამ ორ პორტფელს განსხვავებული რისკის პოლიტიკა და მახასიათებლები აქვს და ორივე მათგანი იმართება ფინანსური ბაზრების დეპარტამენტის მიერ. ქვემოთ მოცემულ ფინანსური რისკების დახასიათებაში წარმოდგენილია ძირითადი რისკები, რომლის წინაშეც დგას ამ ორ პორტფელში შემავალი ფინანსური ინსტრუმენტები და ამ რისკების მართვის პოლიტიკა.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს მეორე მხარის ფინანსურ ზარალს.

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი წარმოადგენს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების კომპონენტების მაქსიმალურ საკრედიტო რისკს ბანკის იმ ფინანსური ინსტრუმენტებისთვის, რომლისთვისაც არ ვრცელდება გაუფასურების მოთხოვნები:

		მაქსიმალური რისკი	მაქსიმალური რისკი
აქტივები უცხოურ ვალუტაში	**შენიშვნა**	**31 დეკემბერი, 2021**	**31 დეკემბერი, 2020**
საერთაშორისო რეზერვები			
წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული აქტივები	10	14,235	13,989
ინვესტიციები რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით	11	329,975	177,163
აქტივები ეროვნულ ვალუტაში			
მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტები			
წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული აქტივები		3,864	1,318
სულ მაქსიმალური საკრედიტო რისკი		**348,074**	**192,470**

საკრედიტო რისკი იმ ინსტრუმენტებისათვის, რომლებზედაც ვრცელდება გაუფასურების მოთხოვნები, წარმოდგენილია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში შესაბამისი აქტივების საბალანსო ღირებულებებით.

საერთაშორისო რეზერვების პორტფელი

კანონის მიხედვით, ბანკი უფლებამოსილია იქონიოს და მართოს საერთაშორისო რეზერვების პორტფელი. ბანკი პორტფელს იყენებს მონეტარული და გაცვლითი კურსის პოლიტიკის წარმოებისა და შიდა და უცხოური გადახდების ნორმალური ფუნქციონირებისთვის. რეზერვები ასევე გამოიყენება ქვეყნის გარე რისკებისგან დასაცავად, რაც გულისხმობს საკმარისი ლიკვიდობის შენარჩუნებას ფინანსური კრიზისის დროს შოკის დასაძლევად. შესაბამისად, საერთაშორისო რეზერვების ფლობის სხვადასხვა მიზნებია უსაფრთხოების, ლიკვიდობისა და მომგებიანობის უზრუნველყოფა. ამასთან, საერთაშორისო სარეზერვო პორტფელში შემავალი აქტივები ინვესტირდება კონსერვატიულ საფუძვლებზე, ლიკვიდობასა და კაპიტალის შენარჩუნებაზე აქცენტირებით. მაგალითად, ბანკის საინვესტიციო სახელმძღვანელოში პრიორიტეტი ენიჭება კაპიტალის შენარჩუნებას და რეზერვების მაღალ ლიკვიდობას. როდესაც ეს წინაპირობები სრულდება, უნდა მოხდეს მოგების მაქსიმიზაცია.

პორტფელის მართვა ხდება საინვესტიციო სახელმძღვანელოს მიხედვით, რომელიც დამტკიცებულია ბანკის საბჭოს მიერ. ბანკის რეზერვების მართვის კომიტეტი (შემდგომში „კომიტეტი“) პასუხისმგებელია აქტივების სტრატეგიული გადანაწილების მიხედვით რისკის შემცირებისთვის საჭირო ზომების დანერგვასა და მონიტორინგზე. ასევე კომიტეტმა უნდა მიიღოს რწმუნება იმისა, რომ ბანკის საქმიანობა ხდება რისკის დადგენილი პარამეტრების ფარგლებში. კომიტეტის ჩვეულებრივი საქმიანობა მოიცავს ყოველთვიური ანგარიშების მიმოხილვას, კონტრაგენტების სიის დამოწმებას, სტრატეგიული ცვლილებების დამოწმებას საბჭოში წარდგენამდე და პერიოდულად, აქტივების გადანაწილებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ტაქტიკური გადაწყვეტილებების მიღებას. ბანკის რისკის მართვისა და კონტროლის განყოფილება (შემდგომში „განყოფილება“) პასუხისმგებელია საერთო რისკების ყოველდღიურ მართვასა და დადგენილ პარამეტრებთან შესაბამისობაზე, რაც უზრუნველყოფს რისკების იდენტიფიცირების, შეფასების, მართვისა და ანგარიშგებისათვის საჭირო საერთო პრინციპებისა და მეთოდების შემუშავებას.

მონეტარული პოლიტიკის პორტფელი

მონეტარული პოლიტიკის განხორციელების ძირითადი საშუალებებია ისეთი ფინანსური ინსტრუმენტები, როგორიცაა სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები, სესხები გაცემული კომერციულ ბანკებზე, სადეპოზიტო სერტიფიკატები და მინიმალური სარეზერვო მოთხოვნები კომერციული ბანკებისთვის. მონეტარული პოლიტიკის კომიტეტი პასუხისმგებელია დანერგოს და მონიტორინგი გაუწიოს რისკის შემცირების საშუალებებს, მაგალითად როგორიცაა უზრუნველყოფის მოთხოვნები რეფინანსირების სესხებისთვის.

ა) საერთაშორისო რეზერვების პორტფელში არსებული ფინანსური ინსტრუმენტები

საერთაშორისო რეზერვების ოპერაციებში გამოყენებული ფინანსური ინსტრუმენტების საკრედიტო რისკის გაკონტროლებისთვის, „სტრატეგიული აქტივების გადანაწილება“ ზღუდავს საკრედიტო რისკს ქვეყნების, კონტრაჰენტების და ემიტენტების მიხედვით, საკონცენტრაციო ლიმიტებისა და მინიმალური გრძელვადიანი საკრედიტო რეიტინგების დაწესებით (Standard & Poor's, Moody's და Fitch-სააგენტოების მიხედვით). მაგალითად, საინვესტიციო სახელმძღვანელო ნათლად განსაზღვრავს საკრედიტო რეიტინგის მინიმალურ დონედ A- რეიტინგს სავალო ინსტრუმენტებში (ობლიგაციები, თამასუქები), ისევე როგორც ბანკთაშორის დეპოზიტებსა და სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებში ინვესტირებისას. ამასთან, ნოსტრო ანგარიშების კონტრაჰენტებისთვის მინიმალური საკრედიტო რეიტინგი წარმოადგენს BBB-ს.

გარდა ამისა, საინვესტიციო სახელმძღვანელო ასევე ზღუდავს ინსტრუმენტების ინვესტირებას არასაბაზისო ფინანსურ ინსტრუმენტებში. პორტფელი დივერსიფიცირებულია სხვადასხვა ფულადი ბაზრის ინსტრუმენტებში ფიქსირებულ და ცვალებად-განაკვეთიან ფასიანი ქაღალდებში (სახელმწიფო სავალო ფასიანი ქაღალდები, „სააგენტოს“, მათ შორის რეგიონალური მთავრობებისა და სუპრანაციონალური ფასიანი ქაღალდები) და სხვა ძლიერ ლიკვიდურ, და უსაფრთხო ინსტრუმენტებში

კონტრაჰენტების შერჩევისას ბანკი ითვალისწინებს მათ საკრედიტო რეიტინგს, ქვეყანას, აქტივებისა და კაპიტალის მოცულობას, საერთაშორისო ბაზრებზე და კორპორატიულ კლიენტებთან მუშაობის გამოცდილებას და ასევე მათთვის შეთავაზებული მომსახურებისა და ინსტრუმენტების დიაპაზონს. ზემოთ ხსენებული სარეიტინგო სააგენტოების მიერ ბანკის კონტრაჰენტის გრძელვადიანი საკრედიტო რეიტინგის კლების შემთხვევაში, კონტრაჰენტი ამოღებული იქნება დაშვებული კონტრაჰენტების სიიდან.

როდესაც სხვადასხვა საკრედიტო სარეიტინგო სააგენტოები (Standard & Poor's, Moody's და Fitch) აქტივებისთვის განსაზღვრავენ განსხვავებულ საკრედიტო რეიტინგებს, საკრედიტო რისკის შესაფასებლად გამოიყენება მეორე საუკეთესო საკრედიტო რეიტინგი.

საკრედიტო ხარისხის ანალიზი

ქვემოთ მოცემული ცხრილი მოიცავს, ფინანსური ინსტრუმენტის კლასის მიხედვით, საერთაშორისო რეზერვების პორტფელში არსებული იმ ფინანსური აქტივების მთლიან (ბრუტო) საბალანსო ღირებულებას, რომლებზეც ვრცელდება გაუფასურების მოთხოვნები:

	31 დეკემბერი 2021				31 დეკემბერი 2020			
	12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არსებობის მანძილზე - არა გაუფასურებული	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არსებობის მანძილზე - გაუფასურებული	სულ	12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არსებობის მანძილზე - არა გაუფასურებული	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არსებობის მანძილზე - გაუფასურებული	სულ
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები (ნაღდი ფულის გამოკლებით)								
AAA	1,595,101	-	-	1,595,101	1,034,722	-	-	1,034,722
AA	170,100	-	-	170,100	400,030	-	-	400,030
A	637,371	-	-	637,371	563,229	-	-	563,229
BBB	-	-	-	-	359	-	-	359
მთლიანი საბალანსო ღირებულება	**2,402,572**	**-**	**-**	**2,402,572**	**1,998,340**	**-**	**-**	**1,998,340**
ზარალის რეზერვი	-	-	-	-	-	-	-	-
წმინდა საბალანსო ღირებულება	**2,402,572**	**-**	**-**	**2,402,572**	**1,998,340**	**-**	**-**	**1,998,340**
SDR-ის ანგარიში საერთაშორისო სავალუტო ფონდში								
AAA	1,506,927	-	-	1,506,927	697,227	-	-	697,227
მთლიანი საბალანსო ღირებულება	**1,506,927**	**-**	**-**	**1,506,927**	**697,227**	**-**	**-**	**697,227**
ზარალის რეზერვი	-	-	-	-	-	-	-	-
წმინდა საბალანსო ღირებულება	**1,506,927**	**-**	**-**	**1,506,927**	**697,227**	**-**	**-**	**697,227**
ინვესტიციები რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით								
AAA	6,803,394	-	-	6,803,394	7,363,058	-	-	7,363,058
AA	947,006	-	-	947,006	913,925	-	-	913,925
A	9,088	-	-	9,088	46,032	-	-	46,032
წმინდა საბალანსო ღირებულება - **რეალური ღირებულება**	**7,759,488**	**-**	**-**	**7,759,488**	**8,323,015**	**-**	**-**	**8,323,015**
ზარალის რეზერვი (აღიარებული სხვა სრულ შემოსავალში)	(218)	-	-	(218)	(337)	-	-	(337)

ბ) მონეტარული პოლიტიკის პორტფელში არსებული ფინანსური ინსტრუმენტები

საკრედიტო რისკი დაკავშირებულია ღია ბაზრის ოპერაციებთან და ინსტრუმენტებთან, რომელთა მეშვეობითაც ფინანსურ სისტემაში ხდება ლიკვიდობის მიწოდება. ბანკის ფასიანი ქაღალდების პორტფელი შედგება ექსკლუზიურად საქართველოს მთავრობის მიერ გამოცემული ფასიანი ქაღალდებისაგან, რომლებიც მიჩნეულია დაბალი საკრედიტო რისკის მქონე აქტივებად. საბანკო ინსტიტუტებზე გაცემულ სესხებთან დაკავშირებული რისკის შესამცირებლად, ბანკი ითხოვს უზრუნველყოფას, რომელსაც მისთვის მისაღები საკრედიტო ხარისხი ექნება. უზრუნველყოფის შეფასება ხდება მათი მიღებისას არსებული საბაზრო ფასით და შეფასებაზე შეიძლება გავრცელდეს დისკონტი ან „ჰეარკატი“ ინსტრუმენტის სპეციფიკური მახასიათებლებიდან გამომდინარე.

ბანკი მისი ფინანსური აქტივების (გარდა საერთაშორისო რეზერვებისა) კლასიფიცირებას შემდეგი სახით ახდენს:

რეიტინგი AAA - ძალიან კარგი ფინანსური მაჩვენებლების მქონე მსესხებლები, რომელთა სესხის ხელშეკრულების პირობებში არ შესულა ცვლილებები და რომელთა ძირითადი თანხა და პროცენტი არ არის ვადაგადაცილებული.

რეიტინგი AA – სტაბილური ფინანსური მაჩვენებლების მქონე მსესხებლები, რომელთა სესხის ხელშეკრულების პირობებში არ შესულა ცვლილებები და რომელთა ძირითადი თანხა და პროცენტი არ არის ვადაგადაცილებული.

რეიტინგი A - დამაკმაყოფილებელი ფინანსური მაჩვენებლების მქონე მსესხებლები, რომელთა სესხის ხელშეკრულების პირობებში შესულია ცვლილებები და რომელთა ძირითადი თანხა და პროცენტი არ არის ვადაგადაცილებული.

რეიტინგი B - სესხები გაცემული დამაკმაყოფილებელი ფინანსური მაჩვენებლების მქონე მსესხებლებზე, რომელთა სესხის ხელშეკრულების პირობებში შესულია ცვლილებები და რომელთა ძირითადი თანხა და პროცენტი ვადაგადაცილებულია.

ბანკის პოლიტიკის შესაბამისად, ბანკი ახდენს რისკის ზუსტ და თანმიმდევრულ კლასიფიცირებას მის საკრედიტო პორტფელში. დაკავშირებული რისკების შეფასება და განახლება რეგულარულად ხდება.

ქვემოთ მოცემული ცხრილი მოიცავს, ფინანსური ინსტრუმენტის კლასის მიხედვით, მონეტარული პოლიტიკის და სხვა ფინანსური აქტივების მთლიან (ბრუტო) საბალანსო ღირებულებას, რომლებზეც ვრცელდება გაუფასურების მოთხოვნები, ბანკის შიდა საკრედიტო რეიტინგის სისტემის საფუძველზე:

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასი ლარი)

	31 დეკემბერი 2021			31 დეკემბერი 2020		
	12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არსებობის მანძილზე - გაუფასურებული	სულ	12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არსებობის მანძილზე - გაუფასურებული	სულ
აქტივები უცხოურ ვალუტაში						
სხვა ფინანსური აქტივები						
AAA რეიტინგი	-	-	-	977		977
B რეიტინგი	8	-	8	9	-	9
მთლიანი საბალანსო ღირებულება	**8**	**-**	**8**	**986**	**-**	**986**
ზარალის რეზერვი	-	-	-	-	-	-
წმინდა საბალანსო ღირებულება	**8**	**-**	**8**	**986**	**-**	**986**
აქტივები ეროვნულ ვალუტაში						
მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტები						
მოთხოვნები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ						
AAA რეიტინგი	3,147,015	-	3,147,015	3,214,170	-	3,214,170
მთლიანი საბალანსო ღირებულება	**3,147,015**	**-**	**3,147,015**	**3,214,170**	**-**	**3,214,170**
ზარალის რეზერვი	-	-	-	-	-	-
წმინდა საბალანსო ღირებულება	**3,147,015**	**-**	**3,147,015**	**3,214,170**	**-**	**3,214,170**
ინვესტიციები შეფასებული რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით						
AAA რეიტინგი	1,649,777	-	1,649,777	1,168,338	-	1,168,338
საბალანსო ღირებულება - რეალური ღირებულება	**1,649,777**	**-**	**1,649,777**	**1,168,338**	**-**	**1,168,338**
სხვა აქტივები ეროვნულ ვალუტაში						
ინვესტიციები ამორტიზირებული ღირებულებით						
AAA რეიტინგი	161,461	-	161,461	201,661	-	201,661
მთლიანი საბალანსო ღირებულება	**161,461**	**-**	**161,461**	**201,661**	**-**	**201,661**
ზარალის რეზერვი	-	-	-	-	-	-
წმინდა საბალანსო ღირებულება	**161,461**	**-**	**161,461**	**201,661**	**-**	**201,661**
სხვა ფინანსური აქტივები						
A რეიტინგი	101	-	101	648	-	648
B რეიტინგი	-	149	149	-	156	156
მთლიანი საბალანსო ღირებულება	**101**	**149**	**250**	**648**	**156**	**804**
ზარალის რეზერვი	-	(74)	(74)	-	(156)	(156)
წმინდა საბალანსო ღირებულება	**101**	**75**	**176**	**648**	**-**	**648**

საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასი ლარი)

ქვემოთ მოცემული ცხრილი მოიცავს ზარალის რეზერვის შემავალი და საბოლოო ნაშთების რეკონსილაციას იმ ფინანსური ინსტრუმენტების კლასების მიხედვით, რომლების მიმართაც აღიარდა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი.

	2021			2020		
	12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი - გაუფასურებული	სულ	12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი - გაუფასურებული	სულ
აქტივები უცხოურ ვალუტაში						
საერთაშორისო რეზერვები						
ინვესტიციები აღრიცხული რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით						
ნაშთი 1-ლი იანვრის მდგომარეობით	**337**	**-**	**337**	**301**	**-**	**301**
ახალი ფინანსური აქტივების აღიარება	116	-	116	190	-	190
ზარალის რეზერვის გადაფასება	(74)	-	(74)	(51)	-	(51)
უცხოური სავალუტო კურსის და სხვა მოძრაობები	(6)	-	(6)	17	-	17
ფინანსური აქტივები რომელთა აღიარება შეწყდა - დაფარვა	(155)	-	(155)	(120)	-	(120)
ნაშთი 31 დეკემბრის მდგომარეობით	**218**	**-**	**218**	**337**	**-**	**337**
აქტივები ეროვნულ ვალუტაში						
სხვა აქტივები ეროვნულ ვალუტაში						
სხვა აქტივები						
ნაშთი 1-ლი იანვრის მდგომარეობით	**-**	**156**	**156**	**-**	**161**	**161**
ახალი ფინანსური აქტივების აღიარება	-	-	-	-	-	-
ზარალის რეზერვის გადაფასება	-	(56)	(56)	-	-	-
ფინანსური აქტივები რომლის აღიარება შეწყდა - დაფარვა	-	(26)	(26)	-	(5)	(5)
ნაშთი 31 დეკემბრის მდგომარეობით	**-**	**74**	**74**	**-**	**156**	**156**
სულ ნაშთი 1-ლი იანვრის მდგომარეობით	**337**	**156**	**493**	**301**	**161**	**462**
სულ ნაშთი 31 დეკემბრის მდგომარეობით	**218**	**74**	**292**	**337**	**156**	**493**

ჭარბი რისკის კონცენტრაცია

რისკის კონცენტრაციას მაშინ აქვს ადგილი, როდესაც კონტრაჰენტები ჩართულნი არიან მსგავს ბიზნეს საქმიანობაში, საქმიანობას ეწევიან ერთსადაიმავე გეოგრაფიულ რეგიონში, ან აქვთ მსგავსი ეკონომიკური მდგომარეობა და ეკონომიკური, პოლიტიკური და სხვა ცვლილებები თანაბრად უარყოფით გავლენას ახდენს სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების უნარზე. კონცენტრაცია მიუთითებს იმაზე, რომ ბანკი შედარებით მგრძნობიარე იქნება კონკრეტულ სფეროსა თუ გეოგრაფიულ ნაწილში მიმდინარე ცვლილებების მიმართ.

ჭარბი რისკის კონცენტრაციის მინიმიზაციის მიზნით, ბანკის პოლიტიკა და პროცედურები მოიცავს დივერსიფიცირებული პორტფელის შექმნისა და შენარჩუნების სპეციალურ ინსტრუქციებს. რისკის კონცენტრაცია აქტივების ხარისხისა და კონტრაჰენტების მიხედვით წარმოდგენილია შესაბამის შენიშვნებში.

გეოგრაფიული კონცენტრაცია

ბანკის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, გარდა საერთაშორისო რეზერვების პორტფელისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიმართ ვალდებულებისა, კონცეტრირებულია საქართველოში. ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია საქართველოს გარეთ კონცენტრირებული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები:

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	შენიშვნები	აშშ	ევროკავშირი*	ავსტრალია	კანადა	საერთაშორისო	სხვა	სულ
აქტივები:								
საერთაშორისო რეზერვები								
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები (ნაღდი ფულის გამოკლებით)	7	117,659	1,816,828	8	1,901	-	466,176	2,402,572
SDR-ის ანგარიში საერთაშორისო სავალუტო ფონდში	9	-	-	-	-	1,506,927	-	1,506,927
წარმოებულ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული აქტივები	10	-	-	-	-	-	14,235	14,235
ინვესტიციები რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით	11	-	-	-	-	329,975	-	329,975
ინვესტიციები რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით.	12	4,628,393	1,113,351	62,567	1,003,701	837,856	113,620	7,759,488
		4,746,052	**2,930,179**	**62,575**	**1,005,602**	**2,674,758**	**594,031**	**12,013,197**
ვალდებულებები:								
ვალდებულებები საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიმართ	9	-	-	-	-	2,948,217	-	2,948,217
წმინდა პოზიცია:		**4,746,052**	**2,930,179**	**62,575**	**1,005,602**	**(273,459)**	**594,031**	**9,064,980**

საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასი ლარი)

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	შენიშვნები	აშშ	ევროკავშირი*	ავსტრალია	კანადა	საერთაშორისო	სხვა	სულ
აქტივები:								
საერთაშორისო რეზერვები								
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები (ნაღდი ფულის გამოკლებით)	7	136,471	1,525,764	355	59	-	335,691	1,998,340
SDR-ის ანგარიში საერთაშორისო სავალუტო ფონდში	9	-	-	-	-	697,227	-	697,227
წარმოებულ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული აქტივები	10	-	-	-	-	-	13,989	13,989
ინვესტიციები რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით	11	-	-	-	-	177,163	-	177,163
ინვესტიციები რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით.	12	5,074,444	1,285,632	701,550	852,010	290,692	118,687	8,323,015
		5,210,915	**2,811,396**	**701,905**	**852,069**	**1,165,082**	**468,367**	**11,209,734**
ვალდებულებები:								
ვალდებულებები საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიმართ	9	-	-	-	-	1,900,788	-	1,900,788
წმინდა პოზიცია:		**5,210,915**	**2,811,396**	**701,905**	**852,069**	**(735,706)**	**468,367**	**9,308,946**

**ევროკავშირი-ნორვეგიის სააგენტოს ფასიანი ქაღალდების ჩათვლით*

ლიკვიდობის რისკი

ლიკვიდობის რისკი წარმოადგენს რისკს, რომელიც წარმოიშვება ბანკისთვის, როდესაც მას აქვს სირთულეები იმ ფინანსური ვალდებულებების დაფარვისას, რომლებიც დაკავშირებულია ფულადი სახსრების გადინებასთან ან სხვა ფინანსური აქტივის მიწოდებასთან.

ა) საერთაშორისო რეზერვების პორტფელში შემავალი ფინანსური ინსტრუმენტები

ლიკვიდობის რისკის მართვის ამოცანაა დარწმუნდეს რომ ბანკი ასრულებს ყველა აღებულ ფინანსურ ვალდებულებას. შესაბამისად, არსებობს ვადიანობის დივერსიფიკაციის პოლიტიკა და დაწესებული ლიმიტები, რომელთა მიზანია იმის უზრუნველყოფა, რომ შესყიდული ფასიანი ქაღალდებით მეორად ბაზარზე ვაჭრობა შესაძლებელი იყოს აქტივების ფასების მკვეთრი ცვლილებების გამოწვევის გარეშე. ამ სახელმძღვანელო მითითებების გამო, გრძელვადიან ფასიან ქაღალდებსაც გააჩნიათ მყისიერი ლიკვიდობა.

ბანკის მონეტარული პოლიტიკისა და საერთაშორისო რეზერვების მართვის კომიტეტები განსაზღვრავენ იმ ვადადამდგარი სახსრების მინიმალური პროპორციის ზღვრებს, რომლებიც გამოიყენება ფულადი სახსრების გადინების დასაფარად. ბანკის ლიკვიდობის მართვის პოლიტიკა მოითხოვს:

- ძირითად ვალუტებში ფულადი ნაკადების პროგნოზირებას, და მათთან დაკავშირებული ლიკვიდური აქტივების დონის გათვალისწინებით;
- დაფინანსების დივერსიფიცირებული წყაროს არსებობას;
- სესხების კონცენტრაციისა და პარამეტრების მართვას;
- პორტფელის მაღალ ლიკვიდურ აქტივებში განთავსებას, რომლებიც ადვილად იქნებიან ლიკვიდირებულნი, როგორც დაცვის მექანიზმი ნებისმიერი ფულადი ნაკადის შეწყვეტისას;
- ლიკვიდობისა და გაუთვალისწინებელი დაფინანსების გეგმის არსებობას.

ფინანსური ბაზრების დეპარტამენტი ბიზნეს ერთეულებიდან იღებს ინფორმაციას ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ლიკვიდობის ჭრილში და სხვა დეტალებს პროგნოზირებული ფულადი ნაკადების შესახებ დაგეგმილი მომავალი ოპერაციებიდან. ბანკის ლიკვიდობის რისკი დაკავშირებულია ფულად ნაკადებთან უცხოურ ვალუტაში.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ბანკის უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, სახელშეკრულებო არადისკონტირებულ ფულად ნაკადებზე დაფუძნებით. ფინანსური აქტივები უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილია „3 თვეზე ნაკლებ“ კატეგორიაში, იმის საფუძველზე, რომ ბანკს შეუძლია მათი რეალიზება არა უმეტეს 3 თვის ვადის განმავლობაში ლიკვიდურობის მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად:

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასი ლარი)

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	შენიშვნა	3 თვეზე ნაკლები	3 თვიდან 12 თვემდე	1 წლიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
აქტივები დენომინირებული უცხოურ ვალუტაში						
საერთაშორისო რეზერვები						
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები (ნაღდი ფულის გამოკლებით)	7	2,402,572	-	-	-	2,402,572
SDR-ის ანგარიში საერთაშორისო სავალუტო ფონდში	9	1,506,927	-	-	-	1,506,927
წარმოებულ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული აქტივები	10	14,235	-	-	-	14,235
ინვესტიციები რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით	11	329,975	-	-	-	329,975
ინვესტიციები რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით	12	7,759,488	-	-	-	7,759,488
სხვა აქტივები დენომინირებული უცხოურ ვალუტაში						
სხვა ფინანსური აქტივები	17	8	-	-	-	8
სულ აქტივები დენომინირებული უცხოურ ვალუტაში		**12,013,205**	**-**	**-**	**-**	**12,013,205**
ვალდებულებები დენომინირებული უცხოურ ვალუტაში						
ვალდებულებები რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	18	5,344,835	-	-	-	5,344,835
ვალდებულებები ფინანსთა სამინისტროს მიმართ	19	788,312	-	-	-	788,312
ვალდებულებები საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიმართ	9	1,503,790	69,556	744,590	725,797	3,043,732
სხვა ვალდებულებები	17	1,159	2,325	-	-	3,485
სულ ვალდებულებები დენომინირებული უცხოურ ვალუტაში		**7,638,096**	**71,881**	**744,590**	**725,797**	**9,180,364**
წმინდა პოზიცია		**4,375,109**	**(71,881)**	**(744,590)**	**(725,797)**	**2,832,841**

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასი ლარი)

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	შენიშვნა	3 თვეზე ნაკლები	3 თვიდან 12 თვემდე	1 წლიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
აქტივები დენომინირებული უცხოურ ვალუტაში						
საერთაშორისო რეზერვები						
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები (ნაღდი ფულის გამოკლებით)	7	1,998,340	-	-	-	1,998,340
SDR-ის ანგარიში საერთაშორისო სავალუტო ფონდში	9	697,227	-	-	-	697,227
წარმოებულ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული აქტივები	10	13,989	-	-	-	13,989
ინვესტიციები რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით	11	177,163	-	-	-	177,163
ინვესტიციები რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით	12	8,323,015	-	-	-	8,323,015
სხვა აქტივები დენომინირებული უცხოურ ვალუტაში						
სხვა ფინანსური აქტივები	17	8	-	978	-	986
სულ აქტივები დენომინირებული უცხოურ ვალუტაში		**11,209,742**	**-**	**978**	**-**	**11,210,720**
ვალდებულებები დენომინირებული უცხოურ ვალუტაში						
ვალდებულებები რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	18	5,583,604	-	-	-	5,583,604
ვალდებულებები ფინანსთა სამინისტროს მიმართ	19	788,928	-	-	-	788,928
ვალდებულებები საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიმართ	9	682,474	22,189	556,641	717,720	1,979,024
სხვა ვალდებულებები	17	1,688	4,398	117	-	6,203
სულ ვალდებულებები დენომინირებული უცხოურ ვალუტაში		**7,056,694**	**26,587**	**556,758**	**717,720**	**8,357,759**
წმინდა პოზიცია		**4,153,048**	**(26,587)**	**(555,780)**	**(717,720)**	**2,852,961**

ბ) მონეტარული პოლიტიკის პორტფელში შემავალი ფინანსური ინსტრუმენტები

მონეტარული ორგანოს მახასიათებლების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს ფინანსური სისტემის ლიკვიდობის კონტროლს, ბანკზე არ ვრცელდება ეროვნულ ვალუტაში აქტივებსა და ვალდებულებებს შორის შეუსაბამობის შეზღუდვები. მონეტარული პოლიტიკის ყველა ინსტრუმენტი, გარდა სავალდებულო რეზერვებისა, მოკლევადიანია.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი წარმოიშობა ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულების ცვლილების შედეგად, რაც გამოწვეულია ისეთი საბაზრო ფაქტორების ცვალებადობით, როგორიცაა საპროცენტო განაკვეთი და სავალუტო კურსი. საბაზრო რისკები მოიცავს სავალუტო რისკს, საპროცენტო განაკვეთებისა და სხვა ფასების ცვლილების რისკებს. საბაზრო რისკი წარმოიშობა საპროცენტო განაკვეთების, სავალუტო და კაპიტალის ფინანსური ინსტრუმენტების ღია პოზიციიდან, რომლებიც არ არის დაცული ზოგადი და სპეციფიკური საბაზრო რყევებისა და საბაზრო ფასების ცვლილებებისგან.

ა) საერთაშორისო რეზერვების პორტფელში არსებული ფინანსური ინსტრუმენტები

საბაზრო რისკი გულისხმობს ინვესტიციების ფასების ცვლილების შედეგად შესაძლო დანაკარგებს.

სტრატეგიული აქტივების გადანაწილების პროცესი ბანკის მიერ რისკის ტოლერანტობის/ამტანობის საფუძველზე ზღუდავს საბაზრო რისკს. მოგების მაქსიმიზაციის მიზნით, მას შემდეგ რაც მოხდება სცენარების შეფასება სხვადასხვა საპროცენტო განაკვეთების მიხედვით, საბაზრო რისკის ლიმიტის ფარგლებში ისაზღვრება შემოსავლიანობის სავარაუდო მაჩვენებელი ცალკეული პორტფელებისთვის. ვალუტის რისკები განისაზღვრება უცხოურ ვალუტაში არსებული ვალდებულების ანალიზის საფუძველზე. საერთო სავალუტო რისკის შესამცირებლად ასევე განიხილება დივერსიფიკაციის ეფექტი (იხილეთ შენიშვნა - სავალუტო რისკი)

სამუშაო კაპიტალის, ევროში დენომინირებული საინვესტიციო პორტფელის (2015 წლის 15 დეკემბრიდან) და ავსტრალიურ დოლარში დენომინირებული საინვესტიციო პორტფელის (2021 წლის თებერვლიდან) გარდა, ყველა პორტფელი აქტიურად იმართება შემოსავლიანობის სავარაუდო მაჩვენებელთან მიმართებაში. აქტიური საბაზრო რისკი შემოსავლიანობის სავარაუდო მაჩვენებელთან მიმართებაში განისაზღვრება რისკის ბიუჯეტირების პროცესში და თითოეული პორტფელისთვის განისაზღვრება აქტიური საბაზრო რისკის ლიმიტები წინასწარ შეფასებული სავარაუდო თვალის მიდევნების შეცდომისა („ტრეკინგ ერორი“) და გადახრის ხანგრძლივობის შეზღუდვით. აქტიური პორტფელების ბაზრის შოკებთან დამოკიდებულების შესაფასებლად ხორციელდება რეგულარული „სტრეს-ტესტი“.

ქვემოთ მოცემულია სტრატეგიული შედარებითი საფუძვლების ხანგრძლივობა და აქტიური ბაზრების რისკის ლიმიტები საერთაშორისო რეზერვების პორტფელისთვის:

	2021		2020	
ტრანშები	შედარებითი საფუძვლების ხანგრძლივობა (ხანგრძლივობის გადახრის ლიმიტები)	წინასწარ ნავარაუდები „თვალის მიდევნების შეცდომა“	შედარებითი საფუძვლების ხანგრძლივობა (ხანგრძლივობის გადახრის ლიმიტები)	წინასწარ ნავარაუდები „თვალის მიდევნების შეცდომა“
ლიკვიდობის პორტფელი	6 თვე	15 საბაზო	1 წელი	10 საბაზო
- აშშ დოლარი	(+/-3 თვე)	პუნქტი	(+/-3 თვე)	პუნქტი
საინვესტიციო პორტფელი	9 თვე	30 საბაზო	1,5 წელი	15 საბაზო
- აშშ დოლარი*	(+/-3 თვე)	პუნქტი	(+/-3 თვე)	პუნქტი
საინვესტიციო პორტფელი	9 თვე	30 საბაზო	1,5 წელი	15 საბაზო
- კანადური დოლარი	(+/-3 თვე)	პუნქტი	(+/-3 თვე)	პუნქტი

** სტრატეგიული აქტივების გადანაწილების გადაწყვეტილების გამო შედარებითი საფუძვლების ხანგრძლივობა ლიკვიდობის პორტფელისთვის აშშ დოლარში და საინვესტიციო პორტფელისთვის აშშ დოლარსა და კანადურ დოლარში შემცირდა 2021 წლის მარტიდან.*

**2021 წლის მარტიდან საინვესტიციო პორტფელი აშშ დოლარში მოიცავს სუპრანაციონალურ ქვე-პორტფელს 9 თვიანი საფუძვლების ხანგრძლივობითა და 15 საბაზისო პუნქტი „თვალის მიდევნების შეცდომის“ ლიმიტით.*

საბაზრო რისკის მონიტორინგი ხდება ვალუტების ვადიანობის და შემადგენლობის ყოველდღიური შეფასებით და თვალის მიდევნების შეცდომის გაკონტროლებით. საერთაშორისო რეზერვების მართვის ყოველდღიური ანგარიში, რომელიც ფინანსური ბაზრების დეპარტამენტის მიერ არის მომზადებული, მოიცავს შედეგებისა და რისკის, როგორც ცალკეულ, ასევე „ბენჩმარკთან“ მიმართებაში შეფასებას და წარმოადგენს განხორციელებული საინვესტიციო სტრატეგიის შეფასებას.

ბანკის დამოკიდებულება რეალური ღირებულების საპროცენტო განაკვეთის რისკზე ძირითადად წარმოიშვება მისი ინვესტიციებით საერთაშორისო რეზერვების პორტფელში, რომლებიც ხასიათდებიან მერყეობით ბაზრის საპროცენტო განაკვეთების ცვლილებების გამო.

უცხოური ვალუტის რეზერვების საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოადგენს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ცვალებადობის რისკს, რაც გამოწვეულია საბაზრო საპროცენტო განაკვეთების ცვლილებით.

უცხოური ვალუტის რეზერვების პორტფელი, რომელსაც მართავს ეროვნული ბანკი, იყოფა ტრანშებად და ბანკი აფასებს საპროცენტო განაკვეთის რისკს მის ტრანშებზე, ყველა ვალუტისთვის, საპროცენტო განაკვეთებში 1-პროცენტიან ცვლილებებზე დაყრდნობით, რაც მიუთითებს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური საბაზრო ღირებულების ცვლილებას საშემოსავლო განაკვეთის 1 პროცენტიანი ცვლილების შედეგად. ბანკის მიერ ფლობილი ტრანშების რეალური საბაზრო ღირებულება ექვემდებარება რყევებს, თუმცა ეს რყევები არ უშლის ბანკს ხელს მისი ვალდებულებების შესრულებაში.

ბანკის საერთაშორისო რეზერვების საპროცენტო განაკვეთის მგრძნობელობა ტრანშების მიხედვით

ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს საპროცენტო განაკვეთში 1-პროცენტიანი ცვლილების გავლენას აქტივებზე (მაჩვენებლები წარმოდგენილია ათას აშშ დოლარში).

	2021		2020	
ვალუტა	საპროცენტო განაკვეთის ზრდა	აქტივების მგრძნობელობა	საპროცენტო განაკვეთის ზრდა	აქტივების მგრძნობელობა
საინვესტიციო ტრანში აშშ დოლარში*	1%	(13,079)	1%	(30,005)
საინვესტიციო ტრანში ავსტრალიურ დოლარში	1%	-	1%	(3,302)
საინვესტიციო ტრანში კანადურ დოლარში	1%	(1,428)	1%	(1,496)
ლიკვიდობის ტრანში აშშ დოლარში	1%	(3,449)	1%	(4,469)
საინვესტიციო ტრანში ჩინურ იუანში (2020: აშშ დოლარში) გარე (BIS)	1%	(3,171)	1%	(508)
სამუშაო კაპიტალის ტრანში აშშ დოლარში	1%	(17)	1%	(35)

	2021		2020	
ვალუტა	საპროცენტო განაკვეთის შემცირება	აქტივების მგრძნობელობა	საპროცენტო განაკვეთის შემცირება	აქტივების მგრძნობელობა
საინვესტიციო ტრანში აშშ დოლარში*	1%	13,366	1%	30,945
საინვესტიციო ტრანში ავსტრალიურ დოლარში	1%	-	1%	3,398
საინვესტიციო ტრანში კანადურ დოლარში	1%	1,457	1%	1,540
ლიკვიდობის ტრანში აშშ დოლარში	1%	3,517	1%	4,578
საინვესტიციო ტრანში ჩინურ იუანში (2020: აშშ დოლარში) გარე (BIS)	1%	(3,141)	1%	(516)
სამუშაო კაპიტალის ტრანში აშშ დოლარში	1%	17	1%	36

ბ) მონეტარული პოლიტიკის პორტფელში შემავალი ფინანსური ინსტრუმენტები

ღია ბაზრის ოპერაციებისთვის, რისკი ძირითადად დაკავშირებულია საქართველოს სახელმწიფო ობლიგაციების საბაზრო ღირებულების და ლიკვიდობის მიწოდების ტრანზაქციებისას მიღებული უზრუნველყოფის ღირებულების ცვლილებასთან. უზრუნველყოფებთან მიმართებაში

გაუფასურების რისკი მცირდება მარჟებისა და „haircut"-ების გამოყენებით, რომლებიც ამცირებენ მათ ღირებულებას და საშუალებას იძლევიან, რომ გასესხებული თანხის ეფექტური ნაწილი უზრუნველყოფის ღირებულებაზე ნაკლები იყოს.

ბანკის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საპროცენტო განაკვეთის მგრძნობელობა

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშვება იმ ალბათობით, რომ საპროცენტო განაკვეთის ცვლილება გავლენას მოახდენს მომავალ ფულად ნაკადებზე ან ფინანსური ინსტრუმენტების რეალურ ღირებულებაზე. ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს საპროცენტო განაკვეთში 1-პროცენტიანი ცვლილების გავლენას ბანკის მოგება ან ზარალზე, წარმოებული ინსტრუმენტების ეფექტის გათვალისწინებით, სხვა ცვლადების უცვლელობის პირობებში.

	2021		2020	
ვალუტა	საპროცენტო განაკვეთის ზრდა	წმინდა საპროცენტო შემოსავლის მგრძნობელობა	საპროცენტო განაკვეთის ზრდა	წმინდა საპროცენტო შემოსავლის მგრძნობელობა
აშშ დოლარი	1%	36,283	1%	33,583
SDR	1%	(14,387)	1%	(12,012)
ევრო	1%	4,608	1%	3,053
ავსტრალიური დოლარი	1%	-	1%	7,610
კანადური დოლარი	1%	4,861	1%	3,096
ლარი	1%	44,559	1%	39,978
სხვა	1%	5,863	1%	1,947

	2021		2020	
ვალუტა	საპროცენტო განაკვეთის შემცირება	წმინდა საპროცენტო შემოსავლის მგრძნობელობა	საპროცენტო განაკვეთის შემცირება	წმინდა საპროცენტო შემოსავლის მგრძნობელობა
აშშ დოლარი	1%	(36,283)	1%	(33,583)
SDR	1%	14,387	1%	12,012
ევრო	1%	(4,608)	1%	(3,053)
ავსტრალიური დოლარი	1%	-	1%	(7,610)
კანადური დოლარი	1%	(4,861)	1%	(3,096)
ლარი	1%	(44,559)	1%	(39,978)
სხვა	1%	(5,863)	1%	(1,947)

2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კაპიტალის მგრძნობელობა გამოითვლება იმ ფიქსირებული განაკვეთის მქონე ინვესტიციების გადაფასებით მიღებული საპროცენტო განაკვეთის 1 პროცენტიანი ცვლილების გათვალისწინებით, რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით:

	2021		2020	
ვალუტა	საპროცენტო განაკვეთის ზრდა	კაპიტალის მგრძნობელობა	საპროცენტო განაკვეთის ზრდა	კაპიტალის მგრძნობელობა
აშშ დოლარი	1%	72,753	1%	72,529
ევრო	1%	-	1%	-
ავსტრალიური დოლარი	1%	-	1%	7,606
კანადური დოლარი	1%	4,842	1%	3,095
ლარი	1%	16,498	1%	11,683

	2021		2020	
ვალუტა	საპროცენტო განაკვეთის შემცირება	კაპიტალის მგრძნობელობა	საპროცენტო განაკვეთის შემცირება	კაპიტალის მგრძნობელობა
აშშ დოლარი	1%	(72,753)	1%	(72,529)
ევრო	1%	-	1%	-
ავსტრალიური დოლარი	1%	-	1%	(7,606)
კანადური დოლარი	1%	(4,842)	1%	(3,095)
ლარი	1%	(16,498)	1%	(11,683)

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოადგენს ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების ცვალებადობის რისკს, რომელიც გამოწვეულია სავალუტო კურსების ცვლილებებით. აქტივების სავალუტო სტრუქტურიდან გამომდინარე, ბანკის აქტივების ღირებულებისთვის დამახასიათებელია ძირითადი ვალუტების კურსების ცვლილების რისკი. სავალუტო კურსის რისკის შემცირება გარკვეულ დონეზე შესაძლებელია აქტივების ფლობით ვალუტების დივერსიფიცირებულ პორტფელში. 2015 წლის 14 დეკემბრიდან, სამიზნე ვალუტების შემადგენლობა არის: აშშ დოლარი - 80%, ევრო - 10% და სხვა ვალუტები 10%–მდე (კანადური დოლარი, ჩინური იუანი და სხვა ვალუტები 10%-მდე). სტრატეგიული აქტივების გადანაწილების მიხედვით, დასაშვები გადახრა სამიზნე ვალუტის კომპოზიციიდან აშშ დოლარისთვის, ევროსთვის და სხვა ვალუტებისთვის +/-10%-ია.

მგრძნობელობა უცხოური ვალუტის მიმართ

ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს ბანკის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების კონცენტრაციას ძირითად ვალუტებში და სავალუტო კურსების ლართან მიმართებაში 1%, 5% და 10% ცვლილებების გავლენის ანალიზს მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაზე, სხვა ცვლადების უცვლელად შენარჩუნების პირობებში. ცხრილში მოცემული უარყოფითი თანხები ასახავს სავარაუდო წმინდა კლებას მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, ხოლო დადებითი თანხები - სავარაუდო წმინდა მატებას.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	აშშ დოლარი	ევრო	SDR	ავსტრალიური დოლარი	კანადური დოლარი	სხვა	სულ
აქტივები დენომინირებული უცხოურ ვალუტაში	8,346,127	2,309,178	1,506,927	8	486,068	586,254	**13,234,562**
ვალდებულებები დენომინირებული უცხოურ ვალუტაში	(4,554,046)	(1,581,096)	(2,945,597)	-	-	(1,490)	**(9,082,229)**
წმინდა პოზიცია	**3,792,081**	**728,082**	**(1,438,670)**	**8**	**486,068**	**584,764**	**4,152,333**

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	აშშ დოლარი	ევრო	SDR	ავსტრალიური დოლარი	კანადური დოლარი	სხვა	სულ
აქტივები დენომინირებული უცხოურ ვალუტაში	8,633,286	2,218,135	698,205	760,984	309,577	194,680	**12,814,867**
ვალდებულებები დენომინირებული უცხოურ ვალუტაში	(4,822,737)	(1,542,680)	(1,898,473)	-	-	(13,318)	**(8,277,208)**
წმინდა პოზიცია	**3,810,549**	**675,455**	**(1,200,268)**	**760,984**	**309,577**	**181,362**	**4,537,659**

	გავლენა სრულ შემოსავალსა და კაპიტალზე						
	31 დეკემბერი, 2021						
	აშშ დოლარი	ევრო	SDR	ავსტრალიური დოლარი	კანადური დოლარი	სხვა	სულ
სავალუტო კურსის ზრდა 1%-ით	37,921	7,281	(14,387)	-	4,861	5,848	**41,524**
სავალუტო კურსის ზრდა 5%-ით	189,604	36,404	(71,933)	-	24,303	29,238	**207,616**
სავალუტო კურსის ზრდა 10%-ით	379,208	72,808	(143,867)	1	48,607	58,476	**415,233**
სავალუტო კურსის კლება 1%-ით	(37,921)	(7,281)	14,387	-	(4,861)	(5,847)	**(41,523)**
სავალუტო კურსის კლება 5%-ით	(189,604)	(36,404)	71,933	-	(24,303)	(29,239)	**(207,617)**
სავალუტო კურსის კლება 10%-ით	(379,208)	(72,808)	143,867	(1)	(48,607)	(58,476)	**(415,233)**

	გავლენა სრულ შემოსავალსა და კაპიტალზე						
	31 დეკემბერი, 2020						
	აშშ დოლარი	ევრო	SDR	ავსტრალიური დოლარი	კანადური დოლარი	სხვა	სულ
სავალუტო კურსის ზრდა 1%-ით	38,105	6,755	(12,003)	7,610	3,096	1,814	**45,377**
სავალუტო კურსის ზრდა 5%-ით	190,527	33,773	(60,013)	38,049	15,479	9,068	**226,883**
სავალუტო კურსის ზრდა 10%-ით	381,055	67,546	(120,027)	76,098	30,958	18,136	**453,766**
სავალუტო კურსის კლება 1%-ით	(38,105)	(6,755)	12,003	(7,610)	(3,096)	(1,814)	**(45,377)**
სავალუტო კურსის კლება 5%-ით	(190,527)	(33,773)	60,013	(38,049)	(15,479)	(9,068)	**(226,883)**
სავალუტო კურსის კლება 10%-ით	(381,055)	(67,546)	120,027	(76,098)	(30,958)	(18,136)	**(453,766)**

სხვა რისკები

ანგარიშსწორების რისკი

ანგარიშსწორების რისკის (ე.ი. რისკი იმისა, რომ კონტრაჰენტმა შესაძლოა ვერ დაასრულოს ტრანზაქცია) შემცირების რამდენიმე გზა არსებობს. ბანკი მხოლოდ მას შემდეგ გადარიცხავს თანხებს, რაც დარწმუნდება რომ ტრანზაქციისთვის საკმარისი უზრუნველყოფა არსებობს. ფასიანი ქაღალდების პირდაპირი ტრანზაქციებისას ანგარიშსწორების რისკი იფარება ისეთი სისტემების გამოყენებით, რომლებიც ემყარება გადახდისთანავე მიწოდების პრინციპს, რაც გულისხმობს ფასიანი ქაღალდებისა და ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების თანადროულ/ერთდროულ გაცვლას. გარდა ამისა, ანგარიშსწორება ხორციელდება ბანკის მიერ ფლობილი, დროის რეალურ რეჟიმში ანგარიშსწორების სისტემის მეშვეობით, რომელიც განსაზღვრავს თითოეული მონაწილის პოზიციას რეალურ დროში ინდივიდუალური გადახდების საფუძველზე. ამის შედეგად, ავტომატურად ხდება ოვერდრაფტების თავიდან აცილება და იქიდან გამომდინარე, რომ სისტემა ამავდროულად იყენებს ბანკში განთავსებულ აქტივებს ანგარიშსწორების წყაროდ, ის საკრედიტო რისკს ამცირებს.

არაფინანსური რისკი

არაფინანსური რისკები, რომლის მიმართაც ეროვნულ ბანკს მოწყვლადობა გააჩნია, მოიცავს საოპერაციო და რეპუტაციულ რისკებს. საოპერაციო რისკს, თავის მხრივ განაპირობებს არაადეკვატური ან წარუმატებელი შიდა პროცესები, ადამიანური ფაქტორები, სისტემები და გარე მოვლენები. საოპერაციო რისკები თავის მხრივ აერთიანებს შემდეგ კატეგორიებს: სამართლებრივი რისკი, ტექნოლოგიური რისკი, ადამიანური რესურსების რისკი, უსაფრთხოების რისკი (ფიზიკური და ინფორმაციული), პროექტის რისკი, მესამე მხარის, ბიზნესის უწყვეტობის, თაღლითობისა და შესაბამისობის რისკები. არაფინანსური რისკის რეალიზებამ შესაძლოა წარმოშვას ფინანსური ზარალი, შელახოს ბანკის რეპუტაცია ან ხელი შეუშალოს ბანკს მისი მიზნების შესრულებაში. ამისათვის, ბანკში შექმნილია რისკების ცენტრალიზებული მართვის სისტემა, რათა მინიმუმამდე იქნას დაყვანილი არაფინანსური რისკებით გამოწვეული ფინანსური ზეგავლენა და ბანკი უზრუნველყოფილ იქნას ეფექტური შიდა კონტროლის სისტემებით.

რისკების ცენტრალიზებული მართვის ჩარჩო მოიცავს არაფინანსური რისკების მართვის, ინციდენტების მართვისა და ბიზნესის უწყვეტობის მართვის სისტემებს, რომელთაც თავის მხრივ აძლიერებს შიდა კონტროლის პროცედურების სისტემა. არაფინანსური რისკების შეფასება ხდება ხარისხობრივ მეთოდზე (5 დონიანი) დაყრდნობით და აერთიანებს ბანკის ყველა პროცესს, რომელთა არასრულყოფილად ან ხარვეზებით წარმართვამ შესაძლოა ზეგავლენა მოახდინოს ეროვნული ბანკის მიზნების მიღწევაზე. ინციდენტების მართვის სისტემა ემსახურება ინციდენტების გამოვლენასა და მათ ანალიზს, რათა თავიდან იქნას არიდებული მათი ხელახალი განმეორება. საოპერაციო რისკების შეფასების გაფართოებისა და გაუმჯობესების მიზნით ბანკმა შეარჩია და მიიღო რაოდენობრივი შეფასების მეთოდი - სტანდარტიზებული გაზომვის მიდგომა (Standardized Measurement Approach). დანერგვის პროცესის დასრულების მიზნით, ბანკი გააგრძელებს მუშაობას ფინანსური დანაკარგების მაჩვენებლებზე, თანმიმდევრული პროცესებისა და პროცედურების განვითარებაზე. ბიზნესის უწყვეტობის მართვის სისტემა ახდენს ბანკის კრიტიკული პროცესების მდგრადობის მუდმივ გაუმჯობესებას, რისთვისაც ადგენს საჭირო პროცედურებს, ახორციელებს მუდმივ ტესტირებასა და ახალი სცენარების შემუშავებას. პანდემიის გამო, 2021 წელს ბანკმა გააგრძელა თავისი საქმიანობა, მათ შორის კრიტიკული სერვისების მიწოდება, დისტანციურ სამუშაო რეჟიმში. ბანკის მომსახურებისა და ფუნქციების უწყვეტობის უზრუნველსაყოფად წარმოდგენილ იქნა დამატებითი ტექნიკური რესურსები, პროცესები და პროცედურები, ასევე პერსონალს ჩაუტარდა შესაბამისი ტრენინგები.

ბანკმა განსაზღვრა არაფინანსური რისკის მისაღები დონე (რისკის მადა), რომელსაც ეროვნული ბანკი მიიჩნევს მისაღებად თავისი მანდატისა და ამოცანების განხორციელების პროცესში. მთლიანობაში, ეროვნულ ბანკს კონსერვატიული მიდგომა აქვს საოპერაციო და რეპუტაციული რისკების მიმართ და ოპერირებს დაბალი რისკის მადისა და ტოლერანტულობის დონის საზღვრებში. აქედან გამომდინარე, ბანკი უზრუნველყოფს ადეკვატური რაოდენობის რესურსების გამოყოფას და ეფექტური მმართველობის სისტემის ჩამოყალიბებას, რათა არაფინანსური რისკის დონე შენარჩუნებული იქნას დაბალი რისკის ზონაში. რისკის მადის მაჩვენებელი გადაიხედება და მტკიცდება ყოველწლიურად ბანკის საბჭოს მიერ.

29. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2022 წელს, ანგარიშგების გამოსაცემად დამტკიცების თარიღისთვის, საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მნიშვნელოვანი მოვლენები არ მომხდარა.